ეძღვნება მზია მგალობლიშვილის
ნათელ ხსოვნას

ჟაკ ფრანსუა გამბა

მოგზაურობა კავკასიაში

(მოგზაურობა სამხრეთ რუსეთში, კერძოდ, კავკასიის ქედის გადაღმა, რომელიც განახორციელა 1820-1824 წლებში შევალიე გამბამ, მეფის კონსულმა თბილისში)

ტომი მეორე

(ფრანგულიდან თარგმნა მზია მგალობლიშვილმა,
კომენტარები და საძიებლები დაურთო ლელა მიქიაშვილმა)

თბილისი 2021

VOYAGE DANS

LA RUSSIE MERIDIONALE,

et

PARTICULIÈREMENT DANS LES PROVINCES

SITUÉES

AU-DELÀ DU CAUCASE,

FAIT DEPUIS 1820 JUSQU'EN 1824;

PAR LE CHEVALIER GAMBA,

consul du Roi a Tiflis

Tome Second

Paris 1826

წინამდებარე გამოცემით მკითხველს ვთავაზობთ ცნობილი ფრანგი მოგზაურისა და კომერსანტის ჟაკ ფრანსუა გამბას “მოგზაურობის” მეორე ტომის ქართულ თარგმანს. ნაშრომის ძირითადი ნაწილი ეძღვნება XIX საუკუნის პირველი მეოთხედის აღმოსავლეთ საქართველოს აღწერას, განსაკუთრებით საინტერესოა თბილისის სტრატეგიული ადგილმდებარეობის ავტორისეული ანალიზი და ქალაქის ეკონომიკური განვითარების შესახებ შემოთავაზებული პერსპექტიული გეგმა, არანაკლებ მნიშვნელოვანია ცნობები როგორც ქართველების, ისე საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნების წარმომადგენელთა (მათ შორის - გერმანელი კოლონისტების) შესახებ; ამასთანავე, თხზულება შეიცავს უაღრესად საინტერესო მასალებს კავკასიის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილის მოსახლეობაზე (ოსები, ინგუშები, დაღესტნელები და სხვ.), კავკასიის ისტორიით დაინტერესებული მკითხველი აქვე გაეცნობა ავტორისეულ შთაბეჭდილებებსა და მოსაზრებებს სტრატეგიული თუ ეკონომიკური თვალსაზრისით ისეთ მნიშვნელოვან ქალაქებზე, როგორიც იყო აღნიშნულ ეპოქაში ბაქო, ასტრახანი, ვლადიკავკაზი, დერბენდი და სხვ.

რედაქტორი: გიორგი სანიკიძე

რეცენზენტები: ირინე ნაჭყებია
მზია ტყავაშვილი

იბეჭდება საგამომცემლო-სარედაქციო საბჭოს გადაწყვეტილებით

შესავალი

XIX ს. პირველი ნახევრიდან კავკასია ევროპული დიპლომატიის ყურადღების ცენტრში მოექცა, რაც უმთავრესად „აღმოსავლეთის საკითხით“ იყო განპირობებული: ამ პერიოდში კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში საკუთარი ინტერესებით ერთმანეთს დაუპირისპირდნენ რუსეთი, ინგლისი, საფრანგეთი, ავსტრია და პრუსია. ამიერიდან გაიზარდა ამ ქვეყნების სავაჭრო, პოლიტიკური და დიპლომატიური აგენტების რაოდენობა, რომელთა მიზანი იყო აღნიშნულ რეგიონში საკუთარი ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით დეტალური ცნობების მოპოვება. კავკასიის მიმართ ევროპელთა დაინტერესებას მნიშვნელოვნად ამძაფრებდა ისიც, რომ იმ დროისათვის მისი დიდი ნაწილი რუსეთის იმპერიის საზღვრებში მოექცა. ევროპული სავაჭრო კაპიტალის აღმოსავლეთისაკენ სწრაფვის ლოგიკური შედეგი იყო კომერსანტების, მისიონერებისა თუ მოგზაურების მიერ შექმნილი აღწერილობითი და მემუარული ლიტერატურის სიუხვეც. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ავტორთა ნაშრომები, რომლებიც სამხრეთ კავკასიის რეგიონს და, კერძოდ საქართველოს ეძღვნება: იმის გათვალისწინებით, რომ 1801 წლიდან განვითარებული ცნობილი მოვლენების წყალობით, საქართველოდან რუსეთში იძულებით გადაასახლეს სამეფო ოჯახის წევრები, მათ შორის – სწავლული ბატონიშვილები და მათთან დაახლოებული პირნი, XIX ს. I ნახევრის საქართველოს შესახებ აღწერილობითი ლიტერატურის შექმნაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვით სწორედ უცხოელ ავტორებს, რომელთა ნაშრომებსაც ეს გარემოება პირველწყაროს მნიშვნელობას ანიჭებს.

იმ ევროპელ ავტორთა შორის, ვინც საქართველოს შესახებ წერდა, ჟაკ ფრანსუა გამბას (1763-1833) განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. გამბა დაიბადა დიუნკერკელი მეწარმის ოჯახში 1763 წლის 26 დეკემბერს. მამის გარდაცვალების შემდეგ ის სათავეში ჩაუდგა სავაჭრო კომპანიას, რომელიც ხე-ტყით ამარაგებდა საფრანგეთის გემთმშენებლობით მრეწველობას. საფრანგეთის რევოლუციის დროს კომპანიის გაკოტრების შემდეგ გამბა რამდენიმე წლის მანძილზე მოგზაურობდა ევროპაში, შემდეგ კი დამკვიდრდა პარიზში და მთარგმნელობით მოღვაწეობას მიჰყო ხელი. ამასთანავე, ის ადგენდა სხვადასხვა სახის ფინანსური ხასიათის საქმიან ქაღალდებს დაინტერესებული პირებისა და ორგანიზაციებისათვის; ეს გამოცდილება გამბას განსაკუთრებით გამოადგა შემდგომ მოღვაწეობაში.

ბურბონების რესტავრაციის პერიოდში გამბამ შეადგინა და საფრანგეთის მთავრობას წარუდგინა აზიასთან (პირველ რიგში, ინდოეთთან) ვაჭრობის განვითარების პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა რუსეთის იმპერიაზე (კონკრეტულად კი სამხრეთ კავკასიაზე) გამავალი სატრანზიტო გზის გამოყენებას. პროექტით დაინტერესდა მინისტრი რიშელიე (ოდესის ყოფილი გუბერნატორი), რომლის შეთავაზებითაც გამბამ 1817-1818 წწ. განახორციელა თავისი პირველი მოგზაურობა რუსეთის იმპერიის სამხრეთ ნაწილში. რიშელიეს მოსაზრებით, საფრანგეთის სავაჭრო პოლიტიკისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საქართველოს, რომლის დედაქალაქი თბილისი სამომავლოდ შესაძლოა ევროპისა და

აზიის ვაჭრობის მთავარი სატრანზიტო ცენტრი გამხდარიყო. ამ მიზნით რიშელიემ გამბას შესთავაზა განმეორებით ემოგზაურა რუსეთის იმპერიის კავკასიურ პროვინციებში და შეესწავლა საქართველოს (და მთლიანად კავკასიის) პოტენციალი სავაჭრო ინტერესების განხორციელების კუთხით. მეორე მოგზაურობის დროს (1819-1824 წწ.) გამბამ უმთავრესი ყურადღება გაამახვილა საქართველოზე და მისი შემდგომი მოღვაწეობა უპირობოდ ნაყოფიერი გამოდგა როგორც ფრანგული კაპიტალის ინტერესებისთვის, ისე ევროპასთან საქართველოს დაახლოებისთვის.

აუცილებელია იმ პოლიტიკური ვითარების გათვალისწინება, რომელშიც დაიწყო გამბამ სამხრეთ კავკასიაში მოღვაწეობა. ნაპოლეონის ომების შემდეგ საფრანგეთმა პრაქტიკულად უარი თქვა ირანისთვის „ბრძოლაზე“ და აქ ასპარეზი დაუთმო რუსეთსა და ინგლისს. მეორე მხრივ, დაიწყო რუსეთის მიერ სამხრეთ კავკასიის ეტაპობრივად შემოერთების პროცესი. შექმნილ ვითარებაში ინგლის-რუსეთის დაპირისპირება ბუნებრივი იყო. ამ დაპირისპირების გამოყენებით, შესაბამისად რუსეთთან დაახლოებით, საფრანგეთი ცდილობდა აღმოსავლეთში, კერძოდ კი ირანში, საკუთარი ეკონომიკური ინტერესების გატარებას და შემდგომ პოლიტიკური პოზიციების გამყარებასაც.

საქართველო საუკუნეთა მანძილზე უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა, როგორც სატრანზიტო გზა აზიისა და ევროპის ქვეყნებს შორის. შავი ზღვის აუზში ოსმალეთის იმპერიის ბატონობის პერიოდში საქართველომ გარკვეულწილად დაკარგა ეს ფუნქცია, მაგრამ რუსეთის მიერ სამხრეთ კავკასიის შემოერთებისა და შავი და კასპიის ზღვების სანაპიროებს შორის კავშირის აღდგენის შემდეგ ევროპელებმა ხელახლა აღმოაჩინეს ეს გზა. შესაბამისად, სამხრეთ კავკასიამ ევროპისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა.

ამ ხანებში აქტიურ როლს ასრულებდა საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალი. თუმცა, სამხრეთ კავკასიაში მას მოქმედების თავისუფლებას უზღუდავდა რუსეთი, რომელიც თვითონ ცდილობდა სავაჭრო კავშირებისთვის ამ რეგიონის გამოყენებას. სამხრეთ კავკასიაში დომინირების მოსაპოვებლად ფრანგულ კაპიტალს ასევე უხდებოდა ინგლისურ კომპანიებთან დაპირისპირება. ბუნებრივია, ამ სავაჭრო ურთიერთობებში აქტიურად იყვნენ ჩაბმული ოსმალეთი და ირანი.

ევროპული, შესაბამისად ფრანგული კაპიტალისთვის მნიშვნელოვან წინაღობას წარმოადგენდა ჯერ კიდევ 1810 წელს რუსეთის იმპერიის მიერ დაწესებული ე.წ. „მაღალი მფარველობითი ტარიფი“. მიუხედავად იმისა, რომ 1816 და 1819 წლებში ეს ტარიფი ოდნავ შემსუბუქდა, ის მაინც არ იყო ევროპელთათვის ხელსაყრელი და მაღალი საბაჟო გადასახადების წინააღმდეგ ბრძოლა საფრანგეთის სავაჭრო აგენტების მთავარ ამოცანად იქცა. საბოლოო ჯამში, მათ წარმატებას მიაღწიეს და ეს უპირველესად ჟაკ ფრანსუა გამბას დამსახურებაა.

იმ პერიოდში რუსეთის სამთავრობო წრეებში უკვე გააცნობიერეს, რომ რუსულ კაპიტალს ჯერჯერობით არ ხელეწიფებოდა კავკასიის ბაზარზე გაბატონება. ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში სულ უფრო მეტად იხრებოდნენ აზრისკენ, რომ საბაჟო გადასახადის მინიმუმამდე დაყვანით მოეზიდათ სამხრეთ კავკასიისკენ ევროპის ტრანზიტული ვაჭრობა ირანთან, რომელიც მანამდე ოსმალეთის ტერიტორიაზე გადიოდა. შემდგომში მეფის მთავრობა ნაციონალური

მრეწველობის თანდათანობით განვითარების პირობებში იმედოვნებდა ბაზრების კვლავ ხელში ჩაგდებას პროტექციონისტული საბაჟო ტარიფების დაწესებით.

ამ პროცესში განსაკუთრებული როლი შეასრულა გამბამ. მან ჩინებული შთაბეჭდილება მოახდინა საქართველოს მთავარმართებელზე - გენერალ ა. ერმოლოვზე. მისი რჩევით და წინადადებებით ერმოლოვმა შეადგინა კანონ-პროექტი სამხრეთ კავკასიაში შეღავათიანი ვაჭრობის დაწესების შესახებ და წარუდგინა ის იმპერატორ ალექსანდრე I-ს, რომელმაც 1821 წლის 8 ოქტომბერს ხელი მოაწერა ბრძანებას კავკასიაში შეღავათიანი ტარიფის დაწესების შესახებ. ამ აქტით რუსეთი, პირველ რიგში, ცდილობდა არახელსაყრელი პირობები შეექმნა ინგლისური ვაჭრობისთვის მისთვის კონტინენტური ევროპის სავაჭრო კაპიტალის დაპირისპირებით. სამამულო მრეწველობის განვითარებით რუსეთის მაშინდელი მესვეურები ვარაუდობდნენ, რომ 10 წლის შემდეგ შესძლებდნენ ევროპულ საქონელზე ორიენტირებულ მომხმარებელთა დაკმაყოფილებას. კანონი გამოიწვევდა ტრაბზონ-არზრუმის გზის გადმონაცვლებასაც ამიერკავ-კასიის ტერიტორიაზე, რომელიც, როგორც ფიქრობდნენ, „გააძლიერებდა რუსეთის პოლიტიკურ გავლენას ევროპის კონტინენტზე და ირან-თურქეთის მიმართაც“ (თუმცა, ეს ვარაუდი, საბოლოო ჯამში, არასწორი გამოდგა).

ამ ბრძანებულებამ დიდი ბიძგი მისცა საქართველოში ვაჭრობის განვი-თარებას და ქვეყანა, პრაქტიკულად, მსოფლიო ვაჭრობის საქონელბრუნვაში ჩააბა. ეს საფრანგეთის დიდ გამარჯვებას წარმოადგენდა. 1821 წ. გამბა ოფიციალურად დაინიშნა საფრანგეთის კონსულად თბილისში, მას მიეცა სავაჭრო საწარმოების შექმნის უფლება, შეღავათიანი პირობებით გადაეცა მიწები; ამ პოსტზე იგი აქტიურად მოღვაწეობდა საქართველოში ფრანგული კაპიტალის მოსაზიდად, დიდ დახმარებას უწევდა საქართველოში დასაფუძ-ნებლად ჩამოსულ ფრანგ ვაჭარ-მრეწველებს. ამ თვალსაზრისით უნდა გამოიყოს ფრანგი მეწარმე კასტელა, რომელმაც ევროპელთაგან პირველმა სცადა საქართველოში აბრეშუმის ევროპული ტექნოლოგიის დანერგვა და ამ მიზნით დიდი ფაბრიკის აშენება. ფაბრიკის მშენებლობა თითქმის დასრულებული იყო, მაგრამ კასტელას მოულოდნელი გარდაცვალების გამო პროექტი განუხორ-ციელებელი დარჩა. შეღავათიანი ტარიფის მოქმედების დროს ფრანგმა კომერ-სანტებმა, რომლებიც ყველაზე აქტიურები იყვნენ ევროპელთა შორის, დიდი რაოდენობით სავაჭრო საქონელი შემოიტანეს როგორც საქართველოში გასაყი-დად, ისე აქედან ირანში გადასაზიდად. საბოლოო ჯამში, საფრანგეთის სავაჭრო ბრუნვა აღმოსავლეთთან მნიშვნელოვნად გაიზარდა.

1824-1826 წწ. გამბა საფრანგეთში დაბრუნდა და იქ გამოაქვეყნა თავისი მოგზაურობის აღწერა 2 ტომად; 1826 წელს საფრანგეთის წინაშე დამსახურე-ბებისთვის საპატიო ლეგიონის ორდენით დაჯილდოებული გამბა ბრუნდება თბილისში და აგრძელებს აქტიურ მოღვაწეობას რეგიონში საფრანგეთის ინტე-რესების გასატარებლად. 1831 წ. რუსეთის მიერ შეღავათიანი ტარიფის გაუქმე-ბის შემდეგ გამბა მალევე, 1833 წელს გარდაიცვალა ქუთაისში.

გამბას თხზულების პირველი ტომი (სახელწოდებით “მოგზაურობა ამიერკავკასიაში”), რომელიც ძირითადად დასავლეთ საქართველოს აღწერას მოიცავს, 1987 წელს გამოსცა მზია მგალობლიშვილმა. მას თარგმნილი ჰქონდა

ნაშრომის მეორე ტომიც, რომლის გამოცემაც მის სიცოცხლეში, სამწუხაროდ, ვერ მოესწრო. ამჟამად განხორციელდა თარგმანის საბოლოო რედაქტირება და მას თან დაერთო სათანადო კომენტარები. იმის გათვალისწინებით, რომ წინამდებარე გამოცემა განკუთვნილია არა მხოლოდ სპეციალისტთათვის, არამედ დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის, ტექსტს ერთვის საკმაოდ ვრცელი და დეტალური განმარტებები; გამოცემაში დედნისეული ტექსტის იერსახის შესანარჩუნებლად ავტორის შენიშვნები შესაბამისი ნუმერაციით ასახულია გვერდის ბოლოს - სქოლიოში, ჩვენს მიერ დართული კომენტარების აღმნიშვნელი ციფრები კი მოქცეულია ფრჩხილებში. აქვე აღვნიშნავთ, რომ პირველი ტომისაგან განსხვავებით, გამბა ამჯერად აღწერს ჩრდილო კავკასიასაც, შესაბამისად, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ მეორე ტომისათვის გვეწოდებინა "მოგზაურობა კავკასიაში".

„მოგზაურობის" მეორე ტომი ეძღვნება აღმოსავლეთ საქართველოს და დიდი ადგილი ეთმობა თბილისის აღწერას. ავტორი უპირველესად აღნიშნავს ქალაქის სწრაფ ტრანსფორმაციას (და ამ მხრივ შეღავათიანი ტარიფის მოქმედებას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის) რუსეთის იმპერიის ცენტრად სამხრეთ კავკასიაში. გამბა საგანგებოდ ეხება თბილისის სტრატეგიული ადგილმდებარეობის უპირატესობებს და აღნიშნავს, რომ არც თუ ისე შორეულ მომავალში, რეგიონში ვაჭრობის ინტენსიფიკაციისა და მრეწველობის განვითარების შედეგად, იგი გახდება ჭეშმარიტად ევროპული ქალაქი და ევროპასა და აზიას შორის საკვანძო პუნქტი.

თვალში საცემია რუსეთის ხელისუფლებისადმი გამბას კეთილგანწყობა და სამხრეთ კავკასიაში რუსული პოლიტიკის მხარდაჭერა, რაც მარტივი ასახსნელია: პოლიტიკური თვალსაზრისით, ამ პერიოდში საფრანგეთი ცდილობდა რუსეთთან დაახლოებას; ეკონომიკური თვალსაზრისით კი, რუსეთის მიერ შეღავათიანი ტარიფის დაწესება სწორედაც რომ საფრანგეთის ინტერესებში შედიოდა და მიმართული იყო ინგლისელთა ინტერესების წინააღმდეგ. პოლიტიკური გათვლებიდან გამომდინარე, რუსეთის ხელისუფლებამ გამბას მართლაც „სასათბურე" პირობები შეუქმნა სამხრეთ კავკასიაში მოღვაწეობისთვის, რაც ლოგიკურად განაპირობებდა მის პრორუსულ განწყობას. გამბას თხზულება გამოიცა მე-19 საუკუნის 20-იანი წლების შუა ხანებში - მაშინ, როდესაც შეღავათიანი ტარიფის მიერ მოტანილი სარგებელი უკვე აშკარად იგრძნობოდა სამხრეთ კავკასიაში და ეს კარგადაც ჩანს ტექსტშიც. ბუნებრივია, გამბას განწყობა აბსოლუტურად შეცვლილი იქნებოდა 1831 წელს შეღავათიანი ტარიფის გაუქმების შემდეგ (თუმცა, ჩვენთვის უცნობია, არსებობს თუ არა გამბას ჩანაწერები ამ მოვლენის შესახებ). ამ აქტით გამოუსწორებელი ზიანი მიადგა როგორც საფრანგეთის სავაჭრო ინტერესებს რეგიონში, ისე საქართველოს შემდგომ ეკონომიკურ განვითარებას, შეანელა ქვეყნის ევროპასთან დაახლოების პროცესი.

გამბა, პირველ რიგში, საფრანგეთის წარმომადგენელია და ამ ქვეყნის ინტერესების გამტარებელია, მხოლოდ მეორე რიგში - კომერსანტი და საქმოსანია. ამიტომაც მის მახვილ თვალს უყურადღებოდ არ რჩება ეკონომიკასთან დაკავშირებული პრაქტიკულად არანაირი დეტალი. ავტორს მეტად საყურადღებო

მოსაზრებები აქვს იმის შესახებ, თუ რა უნდა გაკეთდეს სამხრეთ კავკასიის კეთილდღეობისათვის, როგორ და რა საშუალებებით უნდა განხორციელდეს აქ ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებისათვის, რაც, როგორც ზემოთ ითქვა სულაც არ შედიოდა რუსეთის ინტერესებში. რუსეთის იმპერია სამხრეთ პროვინციებს მხოლოდ ნედლეულის ბაზად და მიმწოდებლად აღიქვამდა. თუმცა, საკუთრივ სამთავრობო წრეებშიც არსებობდა განსხვავებული შეხედულებები. კერძოდ, უნდა ვახსენოთ ა. გრიბოედოვის პროექტი. გრიბოედოვი კავკასიაში ტრანზიტული ვაჭრობისა მრეწველობის განვითარების უპირობო მომხრე იყო. მან დიდი შრომაც გასწია აზიასა და ევროპას შორის თბილისის ვაჭრობის ცენტრად გადასაქცევად. გრიბოედოვისა და მისი კომპანიონის ზავილეისკის მიერ 1828 წელს წარდგენილი პროექტი ("Проект Российской закавказской компании"), რომელიც გენერალმა პასკევიჩმა გააკრიტიკა და არ მიიღო, საქართველოსა და კავკასიაში ოსტ-ინდოეთის კომპანიის მოდელის განხორციელებას ისახავდა მიზნად. მიუხედავად იმისა, რომ გამბა და გრიბოედოვი სხვადასხვა ქვეყნების ინტერესებს ემსახურებოდნენ, საქართველოსთან მიმართებაში მათი პოზიციები ერთმანეთს დაემთხვა.

ჩვენი თვალსაზისით, რუსეთის ხელისუფლების ამ ნაჩქარევ გადაწყვეტილებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა 1826-28 რუსეთ-სპარსეთისა და 1828-1829 რუსეთ-ოსმალეთის ომების შედეგებმა. ამ ომებში გამარჯვებით რუსეთის იმპერიამ საბოლოოდ შემოიერთა სამხრეთ კავკასია. გაივლო ახალი საზღვრები და ერთ დროს საგარეო ვაჭრობა მხარისათვის საშინაო ვაჭრობად იქცა, რუსეთის ხელისუფლება კი სულაც არ იყო დაინტერესებული სამხრეთ კავკასიის ეკონომიკური განვითარებით.

უცხოურ საქონელზე შეღავათიანი ბაჟებისა და თავისუფალი ტრანზიტის გაუქმებას თვალსაჩინო ცვლილებები მოჰყვა: ევროპიდან ირანისაკენ მიმავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზა, რომელიც XIX ს-ის 20-იან წლებში აღორძინდა, ამიერიდან ძალას კარგავდა. ევროპის „აზიური ვაჭრობის" მთავარ მაგისტრალს ტრაბზონის გზით კონკურენტი (რედუტ-კალე-თბილისი-ბაქო) ჩამოაცილეს. ტრაბზონში ჩამოყალიბებულმა ინგლისურმა სავაჭრო კომპანიამ აღმოსავლეთის ბაზარი თავისი საქონლით აავსო.

ამდენად, გამბას ძალისხმევა, ექცია საქართველო ირანისა და ევროპის დამაკავშირებელ რგოლად, საბოლოო ჯამში, რუსეთის სამთავრობო წრეების პოზიციის გამო, წარუმატებლად დასრულდა, თუმცა უკვალოდ არ ჩაუვლია და გარკვეულწილად მაინც გახსნა საქართველოსთვის გზა ევროპისკენ.

ლელა მიქიაშვილი
გიორგი სანიკიძე

თავი I

პარიზიდან გამგზავრება. მოზდოკში ჩასვლა. ამ ქალაქის აღწერა. გადასასვლელი თერგზე (Terek). ვლადიკავკაზი (Vladi-Caucase). ბალთა. ლარსი (Laars). დარიალის (Dariel) ხეობა. ამ ადგილის აღწერა. ყაზბეგი (Kasbek). კობში (Koby) ჩასვლა.

1819 წლის 12 ოქტომბერს პარიზიდან გამოვემგზავრე. გავიარე ავსტრია, მორავია, გალიცია, პოდოლი და ვოლინი, ჩავედი ოდესაში და ზამთარი იქ გავატარე. 1820 წლის მაისში დავტოვე ეს ქალაქი და რამდენიმე დღით ტაგანროგში და დონის კაზაკების მთავარ ქალაქში - ნოვოჩერკასკში (Novotcherkask) შევჩერდი. შემდეგ დიდი გაჭირვებით გადავლახე აქსაისთან[1] (Axaï) დონი, რომელიც ამ დროისათვის თავისი ჩვეული კალაპოტიდან ერთ ლიეზე[2] მეტით იყო გადმოსული. 1820 წლის 8 (20) მაისს მოზდოკში ჩავედი.

მოზდოკი[3] ერთი მოზრდილი სოფელია, რომელიც ჩრდილოეთის განედის 430 43' 40''-ზე და რკინის კუნძულის[4] (l'île de Fer) გრძედის 610 30'–ზე მდებარეობს. სახლები აქ ძირითადად ხისაგან ან წნულისაგანაა აგებული და ერთმანეთისაგან ბაღებითა და შემოღობილი ადგილებითაა გამოყოფილი. მოზდოკი რუსებმა 1763 წელს გააშენეს – ორი წლის თავზე მას შემდეგ, რაც მცირე ყაბარდოს (La petite Cabardah) მთავარმა მურზა კორჩოკ კონჩოკინმა (Mouza-Kourgok-Kautchokin) ეს ტერიტორია, ანუ მისივე სამფლობელოს ნაწილი, რუსებს დაუთმო.

ძველი მოზდოკის ნანგრევები ახალი ქალაქიდან შვიდი ვერსის დაშორებით მდებარე ტყეშია განლაგებული. ქალაქში აგებული ციხესიმაგრე ამ ადგილს მთიელთა თარეშისაგან ადვილად იცავდა, მაგრამ ევროპული ჯარისთვის წინააღმდეგობის გასაწევად არ გამოდგებოდა. ამის გამო, ამ ადგილის გამაგრების მიზნით, გადაწყვიტეს თერგისთვის კალაპოტის შეცვლა და მისი გალავნის გარშემო გატარება. მაგრამ დაუდევრად შესრულებულ მშენებლობას შედეგად მოჰყვა ქალაქის გარეუბნებში ჭაობების გაჩენა, რამაც მკვეთრად გააუარესა კლიმატური პირობები; ამის გამო კი აქ დროებით ჩამოსახლებულ უცხოელებში ციებ-ცხელების დაავადება გავრცელდა. ქალაქი თერგის ზემოთ, რამდენიმე ტუაზის[5] სიმაღლეზეა გაშენებული. მას გარშემო აკრავს ვაკე. მიწა ნაყოფიერია; მოჰყავთ ხორბალი, ქერი, დიდი რაოდენობით ფეტვი და თამბაქო. აშენებენ ცხენებს და სხვა პირუტყვს.

მოზდოკის მოსახლეობა დაახლოებით ხუთი ათას სულს შეადგენს. აქ ცხოვრობენ ქართველები, სომხები და კავკასიის უძველესი მკვიდრნი; გარდა ამისა, აქ საკმაოდ მრავალრიცხოვანი რუსული გარნიზონი დგას. ქართველები და სომხები მიწათმოქმედებას და ვაჭრობას მისდევენ. მათი უმრავლესობა მოზდოკში მას შემდეგ დამკვიდრებულა, რაც 1795 წელს ულმობელი საჭურისი მოჰამად აღა (Mahomed-Aga) საქართველოში შემოიჭრა და თბილისი დაარბია.[6] მოზდოკში მცხოვრები თითქმის ყველა ოსი, ყაბარდოელი და ლეკი აქ ჩამოსახლებულა მათ მიერ, ან მათი ახლობლის მიერ ჩადენილი მკვლელობის გამო, რადგანაც თავიანთ ქვეყანაში ისინი სიკვდილს ვერ აიცდენდნენ. ამ მთიელთა შორის, ისე როგორც კორსიკასა და აზიის უმეტეს ნაწილში, სისხლის

აღების წესია გავრცელებული. თუკი დამნაშავეს ვერ შეიპყრობენ, მის მაგივრად მისი ოჯახის წევრზე იძიებენ ხოლმე შურს.[7] რუსეთის მმართველობის პირობებში ეს ბარბაროსები სიმშვიდეს იცავენ და მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის მოსახლეობის, ალბათ, ერთი მეოთხედი მაინც მკვლელია, მკვლელობის შემთხვევები აქ ძალზე იშვიათია. ადგილობრივი სოფლის მეურნეობა და ვაჭრობა ადამიანის საარსებოდ საკმარის სარჩოს იძლევა. ხშირად ერთი ჩეტვერტი (tchetwert) ხორბალი მხოლოდ 7-8 ფრანკი[8] ღირს; ერთი გირვანქა ხორცი – 2 სუზე[9] ნაკლები; ვიკუნიას[10] ფერის, აქლემის ბეწვის მაუდისაგან დამზადებული და წვრილი სირმით გაწყობილი ჩერქეზული ტანსაცმელი – 25 ფრანკი, ხოლო ერთი წყვილი წაღი - არა უმეტეს 4 ფრანკისა.

მოზდოკის მოსახლეობა ერთმანეთისაგან განსხვავდება რელიგიით, ზნე-ჩვეულებებითა და ენით. რუსები და ქართველები ბერძნულ წესს მისდევენ, მთიელთა უმრავლესობა კი შიიტი (chites) მუსლიმია. თუმცა, ყურანის მიწერილობებში ბევრია ქრისტიანული ელემენტებიც. კათოლიკებს, რომელთა შორისაც საკმაოდ მრავლად არიან სომხები, მცირე რაოდენობით - ქართველები და აგრეთვე პოლონელი სამხედროები ან რუსეთის ჯარის ადმინისტრაციასთან დაკავშირებული პირები, აქვთ ერთი ეკლესია, რომელსაც ორი იეზუიტი ემსახურება. ერთ-ერთი იეზუიტი იყო პატრი ვიაჩესლავ პოლოვი (P. Voichevila-Polowi) - ღვთისმოსაობითა და სათნოებით აღსავსე სამაგალითო პიროვნება. ხაზის([1]) მთელი მოსახლეობა, განურჩევლად აღმსარებლობისა, მას დიდი მოწიწებითა და პატივით ეპყრობა. იგი ბევრს მოგზაურობს იმ მიზნით, რომ სხვადასხვა დასახლებულ პუნქტებში გაფანტულ პოლონელებს სულიერი დახმარება გაუწიოს; იცავს მარხვას, თრგუნავს საკუთარ სხეულს, რაც მის ჯანმრთელობაზე ცუდად მოქმედებს. მეორე იეზუიტი, პატრი ანრი (P. Henri), დაბადებულია ნამიურში (Namur)[11]. მაიორმა ჯონსონმა[12], რომელმაც 1817 წელს ინდოეთიდან მომავალმა გზად მოზდოკი გაიარა, ჯეროვანი შეფასება მისცა ამ სასულიერო პირის გმირულ მხნეობას: 1812 წლის ჟამიანობის დროს იგი არ შეუშინდა საფრთხეს და შავი ჭირით დაავადებულთ სარწმუნოებრივი და სამედიცინო დახმარება გაუწია. მაშინ, როცა შიშმა ყველას გაუქვავა გული და, აზიაში საყოველთაოდ გავრცელებული წესის თანახმად, სენშეყრილს ნათესავები და ახლობლები ბედის ანაბარა ტოვებდნენ, პატრი ანრი ერთადერთი იყო, ვინც დაავადებულებთან მიახლოებას არ ერიდებოდა და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მზრუნველობას არ აკლებდა მათ. ამასთანავე, ქვეყანაში სენის გავრცელების საშიშროებისაგან თავდასაცავად, უპატრონოდ მიტოვებულ მიცვალებულებს ან თვითონვე მარხავდა, ანდა თვალყურს ადევნებდა მათ დაკრძალვას.

ბ-ნმა კლაპროტმა[13], რომელმაც ამ მხარეში 1807-1808 წლებში იმოგზაურა, ნათლად დაგვანახა, თუ როგორი ნიჭიერება გამოუჩენია პატრ ანრის სომხური ენის შესწავლისას. მოზდოკში ყოფნის ცხრა თვის თავზე, გვიამბობს მოგზაური, - ამ ბერს, თურმე, უკვე შეეძლო სომხურ ენაზე ექადაგა. ამავე დროს, თავისი

([1]) ამ მხარეში ხაზს უწოდებენ თერგისა და ყუბანის გასწვრივ მდებარე ციხესიმაგრეებით დაცულ საზღვარს.

მიზანი რომ განეხორციელებინა - მოექცია კავკასიის ხალხები ქრისტიანულ სარწმუნოებაზე, - მას ყაბარდოული და ოსური ენები, ასევე კავკასიაში გავრცელებული ზოგიერთი ადგილობრივი კილოკავიც შეუსწავლია. მაგრამ ამ განზრახვის განსახორციელებლად მას დასაყრდენი ვერ უპოვნია, მთებში წასასვლელად ნებართვაც კი ვერ მიუღია და ამის გამო სწავლაც შეუწყვეტია. საფუძველი მაქვს ვიფიქრო, რომ იგი ჩაიფერფლა, როგორც ფილოლოგებისათვის გამოუყენებელი ძვირფასი მასალა.

პატრმა ანრიმ იმდენად გააღვივა თავისი სამწყსოსა და თვით რუსი ოფიცრების გულმოდგინება და გულუხვობა, რომ მოზდოკში გუმბათიანი ეკლესიის აგებაც კი მოახერხა. ამ მხარეში ეს საუკეთესო ნაგებობაა. ეკლესიის გალავნის შიგნით საკმაოდ დიდი შენობაც დგას, სადაც საქართველოში მიმავალი მოგზაურები ჩერდებიან. ჩვეულებრივ, ისინი პატრებთან ერთად ერთ ოჯახად ცხოვრობენ, გამგზავრებისას კი პატრები მათგან არავითარ გასამრჯელოს არ ითხოვენ, თუმცა უარს არ ამბობენ, თუკი მოგზაურები წყალობის სახით რაიმეს გაიღებენ.

მოზდოკში ჩემი ყოფნისას აქ ჩამოვიდა ორი ინგლისელი მაიორი - ლინდსი[14] და მაკინტოში. ისინი თავრიზიდან (Tauris) მოდიოდნენ და კავკასია გზად გაიარეს. პირველ მათგანს, - უფლისწულ აბას მირზას[15] სამსახურში მყოფ არტილერიის ოფიცერს, თავრიზში გახსნილი ჰქონდა საარტილერიო სკოლა. უფლისწულს თავისი ჰარამხანიდან მისთვის საჩუქრად უბოძებია ერთი ქართველი ქალი, რომლისაგანაც ლინდსის სამი შვილი შესძენია. მათგან ორი დედასთან დარჩენილა, ხოლო მესამე მაიორს თან ახლდა[2]. იგი ბრუნდებოდა ინგლისში, რათა ერთ-ერთი ბიძისაგან, ბეთუნის (Béthune) ცნობილი საგვარეულოს წარმომადგენლისგან, მემკვიდრეობა და გვარი მიეღო.

მაიორი მაკინტოში ქვეითი ჯარის სახელგანთქმული ოფიცერი გახლდათ. ამბობდნენ, რომ როდესაც სერინგაპატამზე[16] მას პირველს მიუტანია იერიში, მის გადაჭარბებულ გულმოდგინებას უფროსი ოფიცრის უკმაყოფილება გამოუწვევია. მათი დუელის შემდეგ მაკინტოში იძულებული გამხდარა ასეული დაეტოვებინა და აბას მირზას სამსახურში ჩამდგარიყო. უფლისწულს მისთვის სპარსეთის ქვეითი ჯარის ევროპულ ყაიდაზე გაწვრთნა დაუვალებია.

ბ-ნი ლინდსი და ბ-ნი მაკინტოში თავაზიანი და გულღია ადამიანები იყვნენ. სამი დღე საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ჩვენს შორის ახლო ურთიერთობა დამყარებულიყო. მაიორმა მაკინტოშმა, რომელიც შესანიშნავად ხატავდა, მაჩვე-

---

(2) თბილისში დავბინავდი სწორედ იმ სახლში, სადაც ეს ქართველი ქალი ცხოვრობდა. ის ლამაზი იყო და ჩანდა, რომ მეტად წყალობდა მაიორ ლინდსის. იმ დროს, როცა მას შევხვდი, იგი თავის საყვარელ ადამიანთან განშორებასა და დედის სიკვდილს დასტიროდა. 1795 წელს იგი სპარსელებს წაუყვანიათ და ფათჰ ალი შაჰის (Feth Ali-Châh) ჰარამხანაში განუმწესებიათ, სადაც გაიზარდა. შემდეგ კი ამ უკანასკნელის მემკვიდრის ჰარამხანაში გადაუყვანიათ. როდესაც იგი მაიორ ლინდსისთან ერთად თბილისში დაბრუნებულა, გამოუკითხავს სად ცხოვრობდა დედამისი, რომელიც ჯერ კიდევ ხსომებია და გაუფრთხილებლად გამოცხადებია მას. როცა დედას დაუნახავს საყვარელი ქალიშვილი, რომლის დაკარგვასაც თურმე დიდი ხანია გლოვობდა, სიხარულის ელდისაგან სული განუტევებია.

ნა მის მიერ შესრულებული კავკასიის ორი პეიზაჟი და ჩანახატები სხვადასხვა ხალხის ჩაცმულობისა, რომელთაც იგი თავისი მოგზაურობისას შეხვედრია. ამ ორ ინგლისელს ნანახი ჰქონდათ პერსეპოლისი[17] და აღტაცებით საუბრობდნენ მისი დიდებული ნანგრევების შესახებ. მათ მომცეს ქვის ნამტვრევები, რომლითაც ეს ქალაქი იყო აგებული. ეს იყო კარგად გაპრიალებული ბაზალტის ქვები.

ინგლისელ მაიორებს თან ჰქონდათ სპარსეთის ჯარისკაცების სამხედრო ფორმის სხვადასხვა ნიმუში. ყველაფერი, რაც კი ამ ფორმისათვის იყო საჭირო, - ცისფერი მაუდი, კაშკაშა წითელი საღებავი მოსართავებისათვის, სარჩული თუ ღილები, - ინგლისის ფაბრიკებში მზადდებოდა, ხოლო მზა ტანსაცმელი სპარსეთის ყურის ნაპირზე მდებარე პორტის - ბანდარ-ბუშეჰრის[18] (Bender-Boucher) გავლით ჩაჰქონდათ სპარსეთში.

მრეწველობაში დაწინაურებული ამ ერის ურთიერთობა გარე სამყაროსთან, მოგზაურობები, ადმინისტრაციული ღონისძიებები, ყველანაირი მოქმედება თუ გადაწყვეტილება, თვით ქველმოქმედებაც კი, სავაჭრო ინტერესებს ემსახურება, რაც მისი ძლევამოსილების ჭეშმარიტი წყაროა.

მოზდოკში ჩავედი ეტლით, რომელიც კავკასიის ცუდი გზების კვალობაზე მეტად მძიმე იყო. მაიორმა ლინდსიმ მთხოვა, ეს ეტლი მისთვის დამეთმო, თანაც სწორი რჩევაც მომცა - მესარგებლა მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივი ეტლებით. თბილისში გასამგზავრებლად ერთი „ბრიჩკისა“([3]) და ერთი „პოვოზკისათვის“ (დაბალთვლებიანი პატარა ურიკა) რვა ცხენი გვჭირდებოდა. მოზდოკიდან ოთხმოცდაათი ვერსით დაშორებულ ვლადიკავკაზამდე სამგზავროდ, კერძო გარიგებით, 76 მანეთი და 80 კაპიკი გადავიხადეთ. „ბრიჩკაში“ მოვთავსდით ოდესელი ვაჭარი ბ-ნი მორო, რუსული ენის თარჯიმანი ბ-ნი გიბალი და მე. ჩემი ვაჟიშვილი და აღმოსავლური ენების თარჯიმანი -ახალგაზრდა ქართველი, „პოვოზკაში“ ჩასხდნენ. აქვე მოვათავსეთ ჩვენი ბარგის ნაწილიც.

1820 წლის 15 (27) მაისს, შაბათს, ჩვენი გამგზავრებისათვის დანიშნულ დღეს, მოზდოკში ჩამოვიდა არტილერიის გენერალი მერლინი, რომელიც გეორგიევსკში[19] ყოფნისას გავიცანი. იგი კობამდე[20] განლაგებული საგუშაგოების ინსპექტირებისთვის მიემგზავრებოდა. ჩვენ დიდად დავალებულნი ვართ მისგან მოგზაურობის დროს ჩვენს მიმართ გაწეული დახმარების გამო.

ბადრაგი, როგორც წესი, ყოველ შაბათ დღეს, დილით გადის ხოლმე. ამ დღეს კი მან მხოლოდ საღამოს ხუთი საათისათვის მოახერხა გამგზავრება([4]). ღამის გათევას თერგს გაღმა, მოზდოკიდან ორი ვერსით დაშორებულ ციხესიმაგრეში ვაპირებდით. თერგი უკიდურესად სწრაფი მდინარეა. იგი კავკასიის უმაღლესი მწვერვალებიდან მოედინება. მისი წყალი ჩვეულებრივ მღვრიეა, მაგრამ სასმელად უვნებელია, თუკი მას ჭურჭელში ჩაასხამენ და რამდენიმე

([3]) „ბრიჩკების“ წარმოებით ყველაზე მეტად ორი ქალაქია ცნობილი: მოსკოვი და პეტერბურგი. ამ ეტლების ღირებულება 800-დან 1000 მანეთამდე, ანუ 1000 ფრანკამდეა. მათში შეიძლება მოთავსდეს ყველაფერი, რაც ხანგრძლივი მოგზაურობისათვის არის საჭირო.

([4]) მთავარმართებელ ერმოლოვის[21] მიერ ახლახან გამოცემული განკარგულების თანახმად, ნაცვლად იმისა, რომ ბადრაგი ყოველ შაბათს რეგულარულად გამგზავრებულიყო, ახლა იგი პეტერბურგიდან საქართველოს ფოსტის ჩამოსვლას ელოდება და ორი საათის შემდეგ გადის ხოლმე.

დღეს გააჩერებენ, რის შედეგადაც წყლის შემადგენელი კირისა და ლითონის ნაწილაკები ჭურჭლის ფსკერზე ილექება.

წლის ამ დროს თოვლის დნობის გამო ადიდებულმა თერგმა ორი ბორანიდან ერთ-ერთი წაიღო. მდინარეზე გადასვლა მეორე ბორნით მოგვიხდა. ბორნები მთავრობის საკუთრებაა, გადასვლა კი უფასოა([5]). აქ, ისე როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში, თვალში მეცა ის გარემოება, რომ რუსეთის ადმინისტრაცია, შესაძლოა, ყველა მცირე გადასახადებს აწესებს ნებისმიერ ევროპულ სახელ-მწიფოსთან შედარებით.

ბორანს მთელი დღის განმავლობაში იყენებენ საქართველოში განლაგებული ჯარისათვის განკუთვნილი ფქვილით დატვირთული დაახლოებით ასი ურმის გადასაყვანად. გადაჰყავთ აგრეთვე თბილისისკენ მიმავალი ეტლებიც, რომელთაც ბადრაგი მიაცილებს. როდესაც თერგის ნაპირებს მივუახლოვდით, საურმე ხარები მდინარეზე ცურვით გადადიოდნენ. ზოგიერთი მეხრე, ვინც მარჯვედ ცურავდა, ხარებს წყალში შერეკდა, შემდეგ თვითონ გადაეშვებოდა მდინარეში, ყვირილით აქეზებდა მათ და უკან რომ არ გამობრუნებულიყვნენ, გრძელ სახრეს ურტყამდა. როგორც კი ხარები მდინარის შუამდე მიაღწევდნენ, მათ დინება ითრევდა, თან იყოლებდა და მალე ისინი გაღმა მხარეს, საკმაოდ სწორ ნაპირზე აღმოჩნდებოდნენ. ამის შემდეგ ხარები თავ-თავიანთ ურემსა და პატრონს უბრუნდებოდნენ. გოლბერის ცნობით, სწორედ ამგვარი წესით გადადიან ხოლმე მავრები და ზანგები მდინარეებზე შიდა აფრიკაში თავიანთი ხარებით, ცხენებითა თუ აქლემებით.

შეიკრიბა თუ არა ბადრაგის ყველა მგზავრი, ქარავანი გზას გაუდგა. ავანგარდს ქმნიდა ათიოდე ცხენოსანი კაზაკი. ისინი წინ მიუძღოდნენ ორ საარტილერიო ქვემეხს. თითოეულ მათგანში ოთხ-ოთხი ცხენი იყო შებმული; მათ თან ახლდნენ მეზარბაზნეები და ორმოცდაათი ქვეითი ჯარისკაცი. შემდეგ მოდიოდნენ მოგზაურთა ეტლები, ორმოცდაათი ყაბარდოული ცხენი, რომელთაც ჩერქეზები მიერეკებოდნენ და ფქვილით დატვირთული ასი ურემი. მსვლელობა მთავრდებოდა ორმოცდაათი ქვეითი ჯარისკაცისა და რამდენიმე კაზაკისაგან შემდგარი რაზმით.

ამ დღეს მხოლოდ ორი ვერსი გავიარეთ და მივადექით სიმაგრეს, სადაც ღამე უნდა გაგვეთია. აქ მხოლოდ და მხოლოდ სამი შენობა იდგა. გენერალმა ერთი ოთახი გამოგვიყო. სამხრეთ რუსეთში, განსაკუთრებით კი აზიის პროვინციებში, მოგზაურებს ასეთი წესი აქვთ: მათ თან დააქვთ ლეიბები და საჭირო სურსათ-სანოვაგე. ჩვენც დავიჭირეთ თადარიგი და ამ წინდახედულობის წყალობით, გზაში მაინცდამაინც არ გაგვჭირვებია.

([5])სამი წლის წინათ თერგზე, მოზდოკის დასავლეთით ექვსი ვერსის დაშორებით, ამ ქალაქსა და ეროხტას (Erochta) „სტანიცას“* შორის გადადიოდნენ. ახლა თერგის გაღმა მხარეს, მაღლობზე, აგებულია ციხე ყაზარმებითა და ერთი ლაზარეთით, ხოლო კონსტანტინოვსკაიამდე ახალი გზაა გაჭრილი. ამ ახალი გზით მოგზაურს უკვე აღარ უწევს ძველ გზაზე მდებარე, მეტად სახიფათო ტყეების გავლა. მიუხედავად ასეთი ცვლილებებისა, ბადრაგი მაინც ყოველთვის ისეთივე მრავალრიცხოვანია, როგორც 1820 წელს ჩემი მოგზაურობის დროს იყო.

* „სტანიცას“ (staniste) უწოდებენ კაზაკებით დასახლებულ სოფლებს.

ამ მხრივ დიდი სხვაობაა ორ ახლადწარმოქმნილ ქვეყანას - ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სამხრეთ რუსეთს შორის: ამერიკაში, კოლონისტები მოიხილავენ და აითვისებენ თუ არა რომელიმე მხარეს, იქ მაშინვე ჩნდება სასტუმრო სახლები და საზოგადოებრივი დანიშნულების ეტლები. ამგვარად, მოგზაურს აღარ სჭირდება, რომ თან იქონიოს საკუთარი ეტლი თუ სხვა აღჭურვილობა, რაც თავისთავად დიდ ხარჯებთან და სირთულეებთან არის დაკავშირებული; რუსეთის ამ პროვინციებში კი, მიუხედავად იმისა, რომ ის (რუსეთი) უკვე ოცი წელია აქ დამკვიდრდა, არ არსებობს არავითარი შეღავათი ან რაიმე ხელშემწყობი პირობა მსუბუქად და დაუღლელად მოგზაურობისათვის.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ამ სხვაობის ძირითადი მიზეზი გახლავთ ის, რომ ამერიკელი კოლონისტები არიან იმ ქვეყნიდან, სადაც ცივილიზაცია უმაღ-ლეს დონეზეა; ხოლო სამხრეთ რუსეთის კოლონისტებს შორის ერთნი საკუთრივ რუსეთიდან არიან წამოსულნი, სადაც ჯერ კიდევ მომთაბარული ჩვევები და მისწრაფებებია გაბატონებული, სხვები კი - გერმანიიდან არიან, საიდანაც, სა-კუთარი ბედუკუღმართობით შეწუხებულნი, გაჭირვებას გამოქცევიან. დანარჩენი კოლონისტები კი ვაჭრები და სოფლის მეურნეები გახლავან. ყველა მათგანის ერთადერთი მიზანია ამ კოლონიებში დროებით თავის შეფარება და ცხადია, ისინი ნაკლებად ზრუნავენ ისეთი პირობების შექმნაზე, რითაც თვითონ არ ისარგებლებენ. ზემოთქმულს შემიძლია დავუმატო, რომ ერთ-ერთი მიზეზი, რაც ყველაზე მეტად უშლის ხელს აქაური პირობების გაუმჯობესებას, კოლონიე-ბისათვის ქვედა დონის ადგილობრივი მმართველობის მხარდაჭერის ნაკლებობა გახლავთ. მმართველთა ძირითადი ბირთვი და ადმინისტრაციის წარმომადგენ-ლობა თავიანთი სამართლიანობით, სამსახურისადმი კეთილსინდისიერი დამო-კიდებულებით გამოირჩევა, ამ ვრცელი იმპერიის მონარქებიც ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა არ დაუშვან ვინმეს მხრიდან უფლებების გადამეტება, ამ დროს კი მეცამეტე თუ მეთოთხმეტე რანგის მოხელენი ბოროტად სარგებლობენ მათ-თვის ნაბოძები ძალაუფლებით. ადამიანთა ეს ფარული ჩაგვრა კი, სწორედ იმი-ტომ, რომ იგი შეუმჩნეველია, არის მუდმივი და ვერავითარი ზედამხედველობითა თუ მეთვალყურეობით ვერ აღიკვეთება.

გენერალ მერლინს განზრახული ჰქონდა კვირას ღამე მოზდოკიდან სამოცი ვერსით დაშორებულ სიმაგრეში - ელიზაბეტსკოეში (Elisabeth-Skhoï) გაგვეთია. რადგანაც ძირითადად ქვეითი ჯარისაგან შემდგარი ჩვენი ესკორტი საათში ოთხ ვერსს ძლივს გადიოდა, ჩვენ ღამის ორ საათზე გავუდექით გზას. მთვარის შუქი გვწყალობდა და ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე გადავიარეთ თერგიდან სამ ვერსზე მდებარე მცირე სიმაღლის ქედი. შემდეგ გადავჭერით ნათესებით დაფარული სწორი და ნაყოფიერი მინდორი. გადავლახეთ მეორე ქედიც, რომელიც პირველთან შედარებით ოდნავ მაღალი, მაგრამ უფრო ძნელად სავალი იყო. მასზე რამდენიმე ადგილას გზა თითქმის შვეულად იყო შეკიდული. სასაუზმოდ ერთ მშვენიერ წყაროსთან შევჩერდით. ჩვენს თვალწინ შორს ხეებით დაფარული ულამაზესი ხეობა იშლებოდა.

რუსეთის ქვეშევრდომმა ყაბარდოელმა თავადმა, რომელიც ცხენების რემას მიერეკებოდა, 14 დუკატად[22] მოგვყიდა რვა წლის საკმაოდ კარგი ცხენი. ჩემმა

ვაჟმა ამ ცხენით იმგზავრა თბილისამდე. ფასზე თარჯიმანმა მოგვარიგა და ყაბარდოელმაც, ნიშნად თანხმობისა, ხელი ჩამოართვა მას.

ხეობაში ხუთი საათი ვიარეთ და შევჩერდით კონსტანტინოვსკაიას[23] (Konstaninoskoï) სიმაგრეში. ეს არის შვიდი-რვა ფუტის[24] სიმაღლის მიწაყრილითა და უბრალო მესერით გარშემოვლებული ადგილი. თერგის ხაზზე და ამიერკავკასიის ქვეყნებში თითქმის ყველა ციხე სწორედ ამგვარადაა აგებული. თუკი რუსები ამ მთებში ქვის ციხესიმაგრეებს ააგებენ, ისინი არამხოლოდ ადგილობრივთა შემოტევებს, არამედ დროის დამანგრეველ ზემოქმედებასაც გაუძლებდნენ და, ალბათ, ჩერქეზეთის ხალხებსაც უფრო მეტ მოწიწებას შთააგონებდნენ. სუსტად გამაგრებული სადგომის ხილვისას კი მათ ამ სიმაგრეების იოლად აღების რწმენა უჩნდებათ.

კონსტანტინოვსკაიადან გამოსულებმა შვიდი ვერსი ვიარეთ დაბურულ ტყეში. აქ უმეტესად მუხა, კოპიტი, ალვის ხე, ნეკერჩხალი და ვერხვი გვხვდებოდა. შემდეგ კი ვლადიკავკაზამდე[25] გაშლილი ვაკეა. ნიადაგი აქ ჩინებულია და დასანანია, რომ ეს ადგილი დაუმუშავებელი და დაუსახლებელია. დაბლობის სიგანე დაახლოებით სამოც ვერსამდეა, სიგრძე კი აშკარად უფრო მეტია.

ამ მხარეში მიმავალ ბადრაგს ტყეში ჩასაფრებულ შეიარაღებულ მთიელთა მხრიდან თავდასხმის მუდმივი საფრთხე ემუქრება. ამიტომ მიზანშეწონილი იქნება, თუ ერთი ვერსის მანძილზე გზის ორივე მხარეს ხეებს მოჭრიან. საფრანგეთში ასეთი ღონისძიება გატარდა მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში, როცა განუწყვეტელი ომებისა და ჯარის ნაწილის დაშლის შედეგად ორლეანისა და სანლის ტყეები ყაჩაღთა ბუნაგებად გადაიქცა.

ღამე ელიზაბეტსკოეში გავატარეთ, ორშაბათს კი დილის შვიდ საათზე გავედით აქედან და შუადღისათვის ვლადიკავკაზამდე ოცდაორი ვერსი გავიარეთ.

ვლადიკავკაზის ციხე მოზდოკსა და თბილისს შორის მდებარე ყველა ციხესიმაგრისაგან განსხვავდება. იგი მყარად არის ნაგები და კავკასიონის დიდი ქედის ძირში, ულამაზეს დაბლობზეა აღმართული. ციხე გაშენებულია მოგრძო, ოთხკუთხა ფორმის მოედანზე. აქვს საკმაოდ ფართო მთავარი შესასვლელი, რომელსაც ულამაზესი კარიბჭე ამშვენებს და ბოლოვდება პატარა გორაკით, რომელზეც კომენდანტის სახლი დგას. იგი მთელ დაბლობს გადაჰყურებს. ჩვენ დიდად კმაყოფილნი დავრჩით იმ მიღებით, რომელიც კომენდანტის თანამდებობაზე მყოფმა ოფიცერმა მოგვიწყო. იგი ხუთი წელია, რაც ამ პოსტზეა და მეტად თავაზიანად ხვდება უცხოელებს, რომლებიც ყოველ კვირას თბილისიდან მოზდოკამდე ან რუსეთიდან საქართველოში მოდიან ხოლმე.

მოზდოკიდან თბილისში მიმავალი ეტლების რიცხვი უმნიშვნელოა. ამ გზაზე კაზაკთა სადგურებში მხოლოდ ცხენების შოვნა შეიძლება სამგზავროდ. საბედნიეროდ ვლადიკავკაზში, იმისათვის რომ აქედან ას ოთხმოცი ვერსით დაშორებულ თბილისში ჩავსულიყავით, მოვახერხეთ რვა ცხენის დაქირავება, რაშიც გადავიხადეთ 400 მანეთი ასიგნაციით (400 ფრ.). შიდა რუსეთში მოგზაურობის დროს ამ თანხის ნახევარიც კი არ დაგვიხარჯავს; ცხენები

საუცხოო გამოდგა, მეეტლე კი - გამრჯე და გაბედული. ასე რომ ცხენების დაქირავებაში გადახდილი თანხა სულაც არ გვინანია.

ვლადიკავკაზი ძველი ციხის ადგილზეა გაშენებული. ციხის წინ გადა-ჭიმული უზარმაზარი დაბლობი ძველად ჰუნებით იყო დასახლებული. ისინი აქ საუკეთესო ჯიშის ცხენებს აშენებდნენ.

რუსეთის მთავრობა რომ განახორციელებდეს პროექტს, რომელსაც მას სთავაზობენ, სახელდობრ: დღეისათვის დაუმუშავებელ ამ ნაყოფიერ დაბლობზე ვეტერან ჯარისკაცთა კოლონიას დააფუძნებდეს, ადგილ-ადგილ ციხესიმაგრეებს ააგებდეს მთიელთა შესაკავებლად და მათი თარეშის აღსაკვეთად, მოზდოკის მოსახლეობას გადაასახლებდეს თერგის მარჯვენა ნაპირზე, - მაშინ საჭირო აღარ იქნება ორასი კაცისა და ორი საარტილერიო ქვემეხისაგან შემდგარი ბადრაგი, რომელიც დღეს ესოდენ აუცილებელია ამ მთიან ადგილებში უსაფრთხო მოგზაურობისათვის.

ვლადიკავკაზში ოცდაოთხი საათი დავყავით და 18 (30)-ში ნაშუადღევის ორ საათზე კვლავ გავუდექით გზას. ციხიდან გამოვედით თუ არა, თერგზე ხის ხიდით გადავედით და მის მარცხენა ნაპირს ავყევით. შვიდი ვერსის გავლის შემდეგ მთის მწვერვალზე მდებარე სოფელ ბალთას[26] მივაღწიეთ. აქ ვნახეთ კვადრატული კოშკი, რომელიც უძველეს ნაგებობას წარმოადგენს. იგი აგურითაა ნაგები და საკმაოდ მყარია. ბ-ნი კლაპროტის მიერ ნახსენები ხის ხიდი დღეს აქ აღარ არსებობს. სოფელი ბალთა ეკუთვნის ერთ-ერთ თავადს დონდარის[27] (Dondar) საგვარეულოდან. ამ თავადების მამა მთიელთა შორის ცნობილი ყოფილა ავაზაკობითა და სისასტიკით. მისი ვაჟები კი რუსეთის ქვეშევრდომები არიან და ზოგიერთ მათგანს ჯარში სამსახურისას სამხედრო წოდებებიც კი აქვს მიღებული. ეს საგვარეულო საკმაოდ მრავალრიცხოვანია.

ბალთიდან ლარსამდე[28] (Laars) თხუთმეტ ვერსს ანგარიშობენ. რაც უფრო ვუახლოვდებოდით ამ სოფელს, ხეობა მით უფრო ვიწროვდებოდა. ტყით დაფარული მთების ნაცვლად მხოლოდ მოტიტვლებულ კლდეებსღა ვხვდებოდით. ლარსი გაშენებულია ამაღლებულ ადგილას, საიდანაც გზა კონტროლდება. სოფელი ეკუთვნის დონდარის საგვარეულოს ერთ-ერთ წარმომადგენელს, სახელად ჯანკოტს (Djancotte). რუსეთის ქვეშევრდომობის მიღების შემდეგ მას გვარი დონდაროვად (Dondaroff) გადაუკეთებია.

ლარსი დარიალიდან[29] შვიდი ვერსითაა დაშორებული. ამ სოფლებს შორის არსებული ხეობა ციცაბო კლდეების ორ რიგს შორისაა მოქცეული. კლდე კირქვისა ან ფიქალისაა; აქა-იქ ქვები ერთმანეთზე შრეებად არის განლაგებული და მეტ-ნაკლები სისქის ფენებისაგან შედგება. მთელი ხეობის სივრცე უჭირავს თერგს, რომელიც საზარელი ხმაურით მიედინება. წარსულში მდინარის მარჯვენა ნაპირზე ვიწრო გზა არსებობდა, მაგრამ 1817 წელს ზვავის შედეგად გამძვინვარებულ მდინარეს წაულეკავს. მიმოსვლის აღსადგენად მდინარის ნაპირზე, წყლის უმაღლესი დონიდან რამდენიმე ფუტის სიმაღლეზე, ციცაბო კლდეებში ათი-თორმეტი ფუტის სიგანის გზა გაჭრეს და ქვემოდან ნაპირი კედლით გაუმაგრეს. როცა ჩვენ ამ გზაზე გავიარეთ, იგი ზვავისაგან ჩამოყრილი ქვებით იყო დაფარული. იქ, სადაც ციცაბო კლდე წმინდა გრანიტისაა, გზა

სწორად არ არის გაჭრილი და ბევრგან მდინარისაკენ დახრილად ეშვება. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ მთის ქანების კვეთა დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული და აგრეთვე ისიც, რომ სამუშაოს ზერელედ ეკიდებიან. ამ ადგილას იძულებულნი გამხდარან ფართო, ღია თაღი გამოეკვეთათ და გზა გაეჭრათ სამი ტუაზის სიგრძის ქვაბულში, რომლის სიმაღლე ისეთია, რომ ჩვენმა ეტლმა თავისუფლად გაიარა. ეს ქვაბული წმინდა სამების სახელს ატარებს.

გზის ეს მონაკვეთი იმდენად ვიწროა, რომ მასზე ერთდროულად მხოლოდ ორი ცხენი თუ გაივლის. გზას გაკეთებული აქვს მოაჯირი. ერთ ადგილას იგი ჩვენმა „ბრიჩკამ“ გაანგრია. რვა ჯარისკაცს რომ არ ემარჯვა და „ბრიჩკა“ დროულად არ დაეჭირა, უთუოდ მდინარეში გადავიჩეხებოდით. ორი შემხვედრი ეტლი ამ გზაზე დიდი სირთულის წინაშე აღმოჩნდება, რადგან, დაუდევრობის გამო, კლდეში ალაგ-ალაგ არ არის გაკეთებული საგანგებო შეღრმავებები, რომელთაც ვხვდებით ბოჰემიაში, ოსიგიდან ლოვოსიცისაკენ მიმავალ გზაზე, სადაც ეტლი ჩერდება შეღრმავებულ ადგილას და ელოდება შემხვედრი ეტლის გავლას.

ძველად გზა თერგის მარცხენა ნაპირზე, მთასა და დარიალის ზედა ციხის ნანგრევებს[30] შორის გადიოდა. დღეს კი აქ სამჯერ უნდა გადახვიდეთ მდინარეზე ხის ხიდით, შემდეგ კი ხეობას გაუყვებით და მიადგებით ციხესიმაგრეს, რომელშიც დაახლოებით სამასკაციანი ქვეითი ჯარისა და რამდენიმე კაზაკისაგან შედგენილი გარნიზონი დგას. ციხეს ყოველი მხრიდან გარს აკრავს მაღალი და თითქმის მთლიანად გაშიშვლებული ციცაბო მთები და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს იგი ჭაშია ჩაშვებული. მთები იმდენად ახლო-ახლოა ერთმანეთთან, რომ ზაფხულის ყველაზე ხანგრძლივ დღეებშიც კი აქ მზე მხოლოდ რამდენიმე საათით თუ შემოაღწევს. ფოსტის უფროსმა ძალიან კარგად მიგვიღო, საცხოვრებელიც მოსახერხებელი იყო და ჩვენთვის საჭირო სურსათიც ზომიერ ფასებში შევიძინეთ.

დარიალის ძველ ციხესა და ახლანდელ ციხესიმაგრეს თერგი ჰყოფს. აქვე შემორჩენილია ქვის კიბის ნაშთი. ამ კიბით ჩადიოდნენ მდინარის ნაპირზე და თანაც ისე, რომ მეორე ნაპირზე განლაგებული მტერი მეციხოვნეებს ისრებით ვერაფერს ავნებდა. ადგილობრივი გადმოცემის თანახმად, ციხე დედოფალ დარიას[31] (Daria) ეკუთვნოდა. იგი თურმე გამვლელებისაგან დიდ გადასახადს კრეფდა, თანაც მგზავრთაგან თუ ვინმე მოეწონებოდა, თავისთან იტოვებდა სარეცლის გასაზიარებლად, ხოლო თუ ვინმეს უკმაყოფილებას შეამჩნევდა, მას უმალ თერგში გადაუშვებდა. ამ გადმოცემას, ცხადია, არავითარი ღირებულება არ გააჩნია. აქ სხვა რამ გახლავთ მნიშვნელოვანი: საკმარისია თვალი შეავლოთ დარიალს, რომ მის ადგილმდებარეობაში უმალ შეიცნობთ კარიბჭეს (Pyloe) ანუ კავკასიის კარს. ხოლო ლარსიდან დარიალამდე თითქმის ორი ლიეს მანძილზე გადაჭიმული ხეობა ხომ უდავოდ, ის ხეობაა, რომლის დაცვაც ჰუნების მეფეებს ევალებოდათ, რისთვისაც ისინი წლიურ ჯამაგირს იღებდნენ ბიზანტიელი მონარქებისაგან. ლეონ I-მა[32] უარი თქვა ამ გადასახადის გადახდაზე; ოდნავ მოგვიანებით კი ეს მნიშვნელოვანი პუნქტი მეტად ზომიერ საფასურად ანასტასიოსს[33] შესთავაზეს, მაგრამ ვიდრე იმპერატორი მოთხოვნილ თანხასა და შესაბამის მანძილს ანგარიშობდა, მოვაჭრე მხარეებს შორის უფრო ფხიზელი

მეტოქე გამოჩნდა: სპარსეთის ხელმწიფე კავადმა (Cabade)[34] ძალის გამოყენებით დაიკავა კავკასიის ეს გასასვლელი ხეობა, კავკასიის კარი და კედელი, რომელიც, როგორც ირწმუნებიან, კავადს კავკასიონის მთისწინეთის მთელ სიგრძეზე აღუმართავს, საიმედოდ იცავდა სპარსეთსა და რომის აზიურ პროვინციებს სკვითების შემოსევებისაგან([6]). ამის გამო იუსტინიანე[35] და კავადი შეთანხმდნენ, რომ თანხას თანაბრად გადაიხდიდნენ. პროკოპი[36] ამბობს, რომ პირველი მათგანი სპარსეთის ხელმწიფეს უზარმაზარ თანხას აძლევდა ოქროთი. ეს შეთანხმება ძალაში რჩებოდა ხოსრო I-ისა (Chosroes) და მისი ძის დროსაც, რომელიც ანუშირვანის[37] (Nourschirvan) სახელითაა ცნობილი და დიდად დაფასებულია აღმოსავლეთის ხალხებში.

ვიდრე რუსები მოზდოკიდან თბილისამდე გზას გაიყვანდნენ, ამ გზის მიმდებარე ტერიტორიებს ნაკლებად იცნობდნენ და ეგონათ, რომ დარიალის ხეობა მდებარეობს არა თერგზე, არამედ არაგვზე.[38] მაგრამ არაგვი საწინააღმდეგო მიმართულებით მიედინება, რადგან სულ სხვა ადგილას იღებს სათავეს, ვიდრე თერგი და მტკვარს უერთდება უძველეს ქალაქ მცხეთასთან([7]). დარიალის გასწვრივ აღმართულ მთებში ხშირად შეხვდებით კავკასიის ჯიხვს ანუ დურაღს, ხოლო ამ მხარის სალ კლდეებში უამრავი სვავი და მოზრდილი ჯიშის არწივი ბუდობს. დარიალის მიდამოები მდიდარია ტყვიის საბადოებით, მაგრამ ქვეყნის მდებარეობა მისი დამუშავების საშუალებას არ იძლევა.

ვლადიკავკაზიდან ბარონ უნგარნ ლივონელთან (Hungarn Livonien) ერთად ვიმგზავრეთ. იგი გზებისა და ხიდების უწყების მაიორი გახლდათ და უკვე ხუთი წელია, რაც ვლადიკავკაზში ცხოვრობს. მას ევალებოდა კობის გადაღმა მხარემდე გზების მშენებლობა-შეკეთება. კავკასიის ამ ნაწილის შესახებ ჩემ მიერ შეგროვილი ზოგიერთი ცნობა სწორედ მან მომაწოდა.

დარიალიდან ოთხშაბათს 19 (31) მაისს გავემგზავრეთ და ვიარეთ ხეობაში, რომელიც წინა დღეს გავლილ ხეობასთან შედარებით ოდნავ უფრო ფართო იყო. შემდეგ თერგი მარჯვნივ ჩამოვიტოვეთ და გზა განვაგრძეთ ნაყოფიერ მხარეში, მაგრამ რადგან იგი დაუმუშავებელი და ნაკლებად დასახლებულია, აქ მგზავრობა სახიფათოა. პეიზაჟი და საკუთრივ მთების ბუნებაც მუდმივად იცვლებოდა. დარიალიდან ორი ვერსის დაშორებით, ხელმარჯვნივ, თერგის გაღმა მხარეს შევნიშნეთ ყინულის დიდი მასა, რომელიც 1817 წელს დაძრული საშინელი ზვავის დროს ჩამოწოლილა. ზვავს ორ მეტრზე მეტი სიმაღლის ფართობი დაუფარავს და თერგიც გადაუკეტია. მდინარის ნაპირები ისე წაულეკავს, რომ ორი წელი ამ გზაზე ეტლები ვეღარ მიმოდიოდნენ. როგორც ჩანს, ეს კატასტროფა ყოველ შვიდ-რვა წელიწადში ერთხელ მეორდება. ამ დროის მანძილზე ყაზბეგზე თოვლისა და ყინულის უზარმაზარი მასა გროვდება და ეს მასა ამ მხარის ვრცელ ნაწილში ჩამოწვება ხოლმე.

ვიდრე ყაზბეგის ანუ სტეფანწმინდის (Stephan-Tsminda) სიმაგრეში ჩავიდოდით, იქვე ახლოს გენერალი მერლინი შემოგვხვდა. იგი ვლადიკავკაზში დაგვ-

---

([6]) იხილეთ გიბონი, ტომი 9, გვერდი 446.

([7])ბ-ნი კლაპროტი ამბობს, რომ ზოგიერთ მთიან მხარეში არაგვს თერგსაც უწოდებენო.

შორდა გზების ინსპექტირების მიზნით. მან გულისხმიერება გამოიჩინა და კობში სათანადო ბრძანებები გასცა, რათა ჩვენთვის ბადრაგი დაეხვედრებინათ, თანაც გზა გაეწმინდათ, რათა ჩვენს ეტლებს დაუბრკოლებლად გავლა შესძლებოდათ.

დარიალიდან ექვს საათზე გავემგზავრეთ და ცხრა საათზე ყაზბეგში ჩავედით. აქ, ცხენები რომ შეგვესვენებინა, სამი საათი დავყავით. გენერალ ყაზბეგის[39] ქვრივის სახლში გამოგვიყვეს ერთი კარგი ოთახი, სადაც მთელი ამ მგზავრობის მანძილზე პირველად ვიხილეთ ტახტები და მაგიდები.

გენერალ ყაზბეგის სახელი ეწოდა მყინვარის (Mqinwari) სახელწოდებით ცნობილ სოფელსა და მთას. მან ღირსეულად იმსახურა რუსეთის არმიაში. წარმოშობით იგი ქართველი გახლდათ, ხოლო ცოლად ჰყავდა ჩერქეზი ქალი ყაბარდოდან. გენერალს სამი შვილი დარჩა, ორი ქალი და ერთი ვაჟი. ეს უკანასკნელი რუსეთის ჯარში გენერალ ერმოლოვთან მსახურობს. ქვრივი დიდი სიმდიდრის მფლობელია. ყაზბეგის ციხის გარეთ მან მშვენიერი ეკლესია ააგო, რომელიც გამოირჩევა თავისი სიმყარითა და გადახურული იყო საუკეთესოს ხარისხის ქვით. ასეთი ქვა მრავლად მოიპოვება ყველგან, ახლომდებარე მთებში. იგი ბრტყელია, მონაცრისფრო და სისქით დაახლოებით ერთ გოჯამდე იქნება. ყაზბეგში არის აგრეთვე შესანიშნავი ფიქალი, რომლისგანაც ამზადებენ ერთი ტუაზი სიგრძისა და ორი წირი[40] სისქის მშვენიერ ლურჯი ფერის მაგიდებს. ფიქალი ნაკლებად მტვრევადია. უთუოდ დადგება დრო, როცა რუსეთი კავკასიის მთებში არსებულ მინერალურ რესურსებს ჯეროვნად გამოიყენებს და სახლების გადასახურად უპირატესობას მიანიჭებს ფიქალს და არა ისლს, რომელიც ქალაქებსა თუ სოფლებს მუდმივად უქმნის ხანძრის საშიშროებას. ყაზბეგის მიდამოებში დიდი რაოდენობით მოიპოვება მთის ბროლი. ჩვეულებრივ, გლეხები მას შემოდგომაზე აგროვებენ, როცა თოვლი დამდნარია. ხშირად ბროლი დიდი ზომისაა და საოცრად გამჭვირვალე ფერი აქვს. მე ვიშოვე მთის ბროლის რამდენიმე ნატეხი და გადავიხადე 1 მანეთი (4 ფრანკი). მათი პრიზმები დაახლოებით ორ გოჯს აღწევდა თითოეულ ზედაპირზე. მომიტანეს აგრეთვე რკინის პირიტი[41], რომელიც ასევე მრავლად მოიპოვება ამ მთებში. გარდა ამისა, ჩვენ მიერ გზად გავლილ ხეობებში ხშირად ვხვდებოდით მინერალურ წყლებს, რაც ნათლად მეტყველებს აქ გოგირდის, რკინისა და სხვა მრავალი მინერალის არსებობაზეც.

გენერალ ყაზბეგის სახლის მოპირდაპირე მხარეს, მაღალ მთაზე, მოჩანს ეკლესია[42] ორი საკმაოდ მაღალი სამრეკლოთი. ეს მშვენიერი ხუროთმოძღვრული ნაგებობაა, რასაც ადასტურებს ნახატი, რომელიც გზების და ხიდების უწყების მოხელემ, დამსახურებულმა ოფიცერმა, ცნობილი მინერალოგის ძმისწულმა - ბ-მა აუიემ (Haüy) მაჩვენა. ეკლესია წმ. სამების სახელზეა ნაკურთხი და მის აგებას თამარ დედოფალს მიაწერენ. დღეს აქ ჯარისკაცები დგანან, რომელთაც ქვეყნის დაცვა ევალებათ. ეკლესია სოფლიდან ხუთი ვერსითაა[43] დაშორებული. ციხესიმაგრის კომენდანტმა მისი დათვალიერება შემოგვთავაზა, მაგრამ დაღლილობის გამო უარი ვუთხარით. გენერლის სახლის პირდაპირ აღმართულია ყაზბეგი. ეს სწორედ ის მთაა, რომელზეც, გადმოცემის თანახმად, პრომეთე იყო მიჯაჭვული.

ვიდრე ყაზბეგიდან გამოვემგზავრებოდით, გენერლის ქვრივს შეხვედრის ნებართვა ვთხოვეთ. იგი დივანზე აზიურად ფეხმორთხმული დაგვხვდა. მასთან იყო თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის ულამაზესი ქალიშვილი. ქვრივს მადლობა გადავუხადეთ ჩვენს მიმართ გამოჩენილი სტუმართმოყვარეობისათვის და აგრეთვე იმ დიდი ყურადღებისათვის, რომელსაც იგი არ აკლებდა კავკასიაზე გამვლელ ყველა უცხოელს.

ყაზბეგიდან კობამდე თექვსმეტი ვერსია. ეს მანძილი ჩვენ ოთხსაათ-ნახევარში დავფარეთ. გზა საკმაოდ კარგია და ღრმა ხეობაზე გადის. ეს ხეობა გაცილებით უფრო ღრმაა, ვიდრე ის ხეობები, რომლებიც ვლადიკავკაზიდან მომავალ გზაზე გავიარეთ. აქა-იქ კარგად დამუშავებული და მჭიდროდ დასახლებული ადგილებიც შეგვხვდა.

თავი II

ცნობები ოსებისა (Ossetes) და ინგუშების (Ingouches) შესახებ. კობი. წმინდა ქრისტეფორეს (Saint-Christophe)) მთა. კაიშაური (Cachaour). არაგვის (Aragvi) ხეობა. ფასანაური (Passanaour). ანანური (Ananour). კარანტინი. დუშეთი (Douchett). ღართისკარი (Charthis-Kari). მცხეთა (Mtskhetha). ამ ქალაქის აღწერა. ღირსშესანიშნავი ეკლესია. თბილისში (Tiflis) ჩასვლა.

დარიალიდან მოყოლებული, ოსებისა და ინგუშების ქვეყნის იმ ნაწილში შევედით, რომელიც საქართველოს ექვემდებარება. ინგუშები გზის ხელმარცხნივ ცხოვრობენ, ოსები კი - ხელმარჯვნივ. ამ უკანასკნელებს არც თუ ისე სასია-მოვნო გარეგნობა აქვთ, თანაც მეტად ტანმორჩილნი არიან, შრომისმოყვარეო-ბით არ გამოირჩევიან და დაბეჩავებული ხალხის შესახედაობაც დაკრავთ. ბ-ნი კლაპროტი დარწმუნებულია, რომ ოსები იმავე წარმოშობისანი არიან, რაც მი-დიელები (Medes) და სპარსელები, ე.ი. ინდო-გერმანიკულ შტოს განეკუთვნებიან. ამის დამადასტურებელი საბუთები მან აღმოაჩინა მათ ისტორიაში, ტრადიციებსა და საკუთრივ ენაშიც კი. მიუხედავად იმისა, რომ ოსები დიდი განსწავლულობით არ გამოირჩევიან, ისინი მრეწველობის ორ ისეთ დარგში არიან გაწაფულნი, რომლის არსებობაც კი ძნელად წარმოსადგენია ამ მთებში: ისინი ამზადებენ ხალიჩებს, რომლებიც გამოირჩევა ქსოვის ტექნიკითა და ფერთა გამძლეობით; ხოლო თავიანთ მთებში ტყვედ აყვანილი რამდენიმე რუსისგან მათ ლუდის დაყენება შეუსწავლიათ[1], რომელიც თბილისში ჩააქვთ და თანაბარი რაოდენობის ღვინოზე ცვლიან.

ინგუშები[2] რუსეთის მორჩილ კავკასიის ხალხთა რიცხვს განეკუთვნებიან. ბ-ნმა კლაპროტმა მათთან რამდენიმე კვირა დაჰყო და მეტად საინტერესო ცნობები დაგვიტოვა ამ ხალხის შესახებ. ინგუშები მუსლიმები არ არიან, მაგრამ აღარც ქრისტიანებად ჩაითვლებიან. დღეისათვის მათი რელიგია დეიზმია[3], რომელშიც ქრისტიანული სარწმუნოების წესებია შერეული. ქრისტიანობა მათ საქართველოს დედოფლის – სახელოვანი თამარის დროს მიუღიათ, რომელიც

1171-1198 წლებში[4] მეფობდა. აქ კვირა შვიდ დღედ იყოფა და კვირა დღე დასვენების დღეა. აბაზების (Abazes) და ჩერქეზების (Circassiens) მსგავსად, ისინიც დიდად სცემენ თაყვანს ჯვრებსა და ძველ ეკლესიებს, რომლებიც აქაურ მთებში მრავლად გვხვდება და რომლებსაც ხშირად სტუმრობენ სალოცავად, სწირავენ ცხვრებს და სხვა ცხოველებს. მღვდლის მაგივრობას სწევს სპეტაკი ზნის უხუცესი, რომელსაც მუდამ ერთი და იგივე საგვარეულოდან ირჩევენ. მხოლოდ მას აქვს ლოცვის წარმოთქმისა და შეწირვისთვის განსაზღვრულ ადგილებში მსხვერპლის შეწირვის უფლება. ინგუშები დიდი სიძულვილით არიან გამსჭვალულნი მუსლიმების მიმართ. იოლად შეიძლება ამ ხალხის შემობრუნება ქრისტიანობისაკენ, რომლის ამაღლებული ზნეობაც ცივილიზებული ხალხის მორალს წარმოადგენს. მათ გაქრისტიანებას ხელს შეუწყობდა საკუთრივ ამ ხალხის ხასიათი და, ამასთანავე, მათი მეხსიერებაც.[5]

ინგუშები იყოფიან დიდ და მცირე ინგუშებად. პირველნი ბარში ბინადრობენ, მეორენი კი - მთებში. ორივენი შრომოსმოყვარეობითა და გამჭრიახი გონებით გამოირჩევიან. მთის ინგუშები კარგად ფლობენ საირიგაციო საქმეს; იციან, როგორ უნდა გაამაგრონ მთის ფერდობზე მიწა მეტ-ნაკლებად ამაღლებული ჯებირებით. ხოლო მდინარეებზე, რომლებიც ამ მხარეში მოედინება, მათ მარტივი კონსტრუქციის წისქვილები უდგათ, რომელთა აღწერილობაც სიამოვნებით ამოვიწერე ბ-ნი კლაპროტის ნაშრომიდან, ვინაიდან ასეთივე წისქვილები ვნახე საქართველოშიც - მცხეთასა და გორს შორის.

„ამ წისქვილს - ამბობს ეს სწავლული მოგზაური, - აქვს ერთი დოლაბი. იგი მოძრაობაში მოჰყავს პატარა ჰორიზონტალური თვლის ღერძს, რომელზეც ფუღუროვანი ხიდან ან პატარა ღარიდან გადმოსული წყალი ძალზე დახრილი კუთხით ეცემა. ძაბრისებრი ფორმის, ხის ქერქისაგან დამზადებული ბუნკერი ოთხ თოკზეა ჩამოკიდებული და მოძრაობს ხის ჯოხის საშუალებით, რომელსაც ზემოთ სწევს დოლაბი. ბორბალს საცობის მაგივრობას უწევს ერთი წაწვეტებული ქვა, რომელიც მეორე ქვის ღრუში გადის, ხოლო ორთითა ფორმის კოჭი სწევს და აჩერებს დოლაბს ქვემოთ მოთავსებული მეორე ქვის მეშვეობით. რკინა ამ მანქანაში არ შედის.“

როდესაც რომელიმე ოჯახი საცხოვრებელ ადგილს იცვლის, მას თან მიაქვს ხოლმე ასეთი წისქვილის ძირითადი ნაწილები სხვა მდინარეზე დასაყენებლად. ინგუშებმაც, ისე როგორც ოსებმა, იციან ლუდის გამოხდის წესები. ბარის მცხოვრებლებს მოჰყავთ ფეტვი, ხორბალი და ქერი; ძირითადად აშენებენ ცხვრებს, ღორებსა და ვირებს, ცხენები და ხარები კი ცოტა ჰყავთ. ინგუში ქალები მეტად მუყაითნი არიან, იციან ზოგიერთი ქსოვილის, უფრო კი ხალი-ჩების ქსოვა. გარეგნულად ინგუშები არიან გამხდრები, ახოვანნი, მკვირცხლნი და დაუღალავნი. ამიერკავკასიის რუსულ პროვინციებში დასახლებული ევროპელები ტყეების გასაჩეხად და მიწების დასამუშავებლად შესანიშნავ მუშახელს იშოვიან ინგუშების სახით. დამოუკიდებლობისადმი სიყვარულით გამსჭვალული ეს ხალხი ზოგჯერ გმირობის ტოლფას სიმამაცეს იჩენს.

კობი, სადაც ჩვენ ოთხშაბათიდან ხუთშაბათ ღამეს შევჩერდით, მთებს შორის მოქცეულ სიმაგრეს წარმოადგენს. აქ სამი თუ ოთხი სახლია, მიწისა და

ხისაგან ნაგები, ისე, როგორც ყველა ის სახლი, რომელიც ვლადიკავკაზიდან მოყოლებული გვხვდებოდა. დავბინავდით უკიდურესად ნესტიან სახლში და მიუხედავად იმისა, რომ 1 ივნისი იყო, ღამე მაინც შეგვცივდა. ოფიცერმა, რომელიც ციხესიმაგრეს განაგებდა, გულისხმიერება გამოიჩინა და საკუთარი ბინა შემოგვთავაზა, მაგრამ ჩვენ უარი ვუთხარით. საღამოს ყაჩაღის იერის მქონე და ამგვარადვე შემოსილი ოსი მოვიდა და ათასგვარი წვრილმანი სამსახური შემოგვთავაზა, მაგრამ ჩვენ იმით დავკმაყოფილდით, რომ მისგან 2 მანეთად (2 ფრ.) პატარა ბატკანი ვიყიდეთ, რომელიც თვითონვე დაკლა და გაატყავა. კობის მიდამოებში უამრავი მინერალური წყალია. მჟავე წყლებს შორის იყო ერთი, რომელიც წითელ ღვინოსა და შაქართან შევურიეთ და ისე დავლიეთ. ამგვარად შეზავებული, ის ციმლიანსკის[6] (Simiansk) სახელით ცნობილ დონის შუშხუნა ღვინოს წააგავდა.

ვლადიკავკაზში გვითხრეს, კობსა და კაიშაურს[7] შორის საშინელი გზა გელითო და მართლაც, უნდა ვაღიარო, რომ ამ ნათქვამში არაფერი იყო გადაჭარბებული.

მთავარმართებელმა კეთილი ინება და ბრძანება გასცა, გზა გაეწმინდათ თოვლისა და ყინულისაგან, რომლითაც იგი რამდენიმე დღის წინ დაფარულიყო. გზა მართლაც გაწმენდილი დაგვხვდა, ხოლო ყველაზე ძნელად სავალ ადგილებზე დასახმარებლად ხუთი წყვილი ხარი, ოცდათოთხმეტი ოსი და ოცდაათი ქვეითი ჯარისკაცი გამოგვიყვეს; გარდა ამისა, ჩვენთან იყო ათი კაზაკი, ესკორტის სახით, და მათ საჭიროების შემთხვევაში ასევე შეეძლოთ დახმარების გაწევა. ყოველგვარი გამაფრთხილებელი ზომების მიღების შემდეგ, ხუთშაბათს, 20 მაისს (1 ივნისს), დილის ექვს საათზე გზას გავუდექით. რაც უფრო ღრმად მივიწევდით მთებში, გზა მით უფრო ძნელად სავალი ხდებოდა. იძულებულნი გავხდით ფერდობს ჩავყოლოდით და ჩვენი „ბრიჩკა“ სულ გადახრილ მდგომარეობაში ყოფილიყო, და თუკი იგი უფსკრულში გადაჩეხვას გადაურჩა, ეს იმ ჯარისკაცებისა და ოსების დამსახურებით, რომელთაც „ბრიჩკა“ ხელით ეჭირათ. ჩვენი ცხენები განუწყვეტლივ თოვლსა და ყინულში ეფლობოდნენ და ამიტომაც იძულებულნი ვიყავით ხარებიც გამოგვეყენებინა. ოთხი ვერსი ვიარეთ ნელი, დამქანცველი სვლით და წმინდა ქრისტეფორეს მთის მწვერვალამდე მივაღწიეთ. ეს იყო უმაღლესი პუნქტი, სადაც უნდა ავსულიყავით. ხელმარჯვნივ ჩანდა ამ წმინდანის სახელზე აგებული პატარა ძეგლი გუმბათზე აღმართული ჯვრით.[8]

წმინდა ქრისტეფორეს მთაზე ოსები დავითხოვეთ. ისინი დიდად კმაყოფილნი დარჩნენ, როცა გაწეული სამუშაოს საზღაურად თითოეულმა მათგანმა გასამრჯელოდ 25 კაპიკი მიიღო; მაგრამ გზის ყველა სიძნელე ჯერ კიდევ წინ გველოდა: ალაგ-ალაგ გზა ჩახერგილი იყო, ხშირად კი მთლიანად დაფარული ზვავისაგან ჩამონაყარი უზარმაზარი ლოდებით. გზის გასაწმენდად იძულებული გავხდით ლოდები დაგვემსხვრია ან კიდევ გზის გადაღმა გადაგვეყარა. ასეთი მძიმე სამუშაო გახლდათ მიზეზი იმისა, რომ კაიშაურამდე ათი ვერსის გავლას ცხრა საათი მოვანდომეთ. კაიშაურში მხოლოდ ნაშუადღევის სამ საათზე ჩავედით.

ამ გზაზე შექმნილი დაბრკოლებების გამო წელიწადში ცხრა თვის მანძილზე ყოველგვარი სავაჭრო საქონელი ცხენებით გადააქვთ. თბილისში მხოლოდ აგვისტოში, სექტემბერსა და ოქტომბერში ჩამოდიან საქონლით დატვირთული რუსებისა და თათრების ურმები.

გზაზე, ვიდრე კაიშაურში ჩავიდოდით, ცხენებზე ამხედრებული ოსები შემოგვხვდნენ; ზოგი მათგანი შეიარაღებული იყო ხმლებით, თოფებითა და პისტოლეტებით. ოდნავ მოშორებით კი ქართველები მოჰყვებოდნენ ცხენოსან ბადრაგს. ისინი მაკარიევის[9] (Makariew) ბაზრობაზე მიემგზავრებოდნენ და თითოეულ ცხენს ბამბით, აბრეშუმითა და სხვა სპარსული საქონლით დატვირთული ორ-ორი ტომარა მიჰქონდა.

კაიშაური იმ ხეობის ბოლოში მდებარე ერთი პატარა ციხეა, დილით რომ გავიარეთ. მეორე დღეს დილაადრიან გავუდექით გზას ფასანაურისაკენ[10], რომელიც კაიშაურიდან თვრამეტი ვერსითაა დაშორებული. პირველი რვა ვერსი სულ ვიწრო და ძნელად სავალი გზით ვიარეთ. ერთი მხრიდან გზას მაღალი მთა ებჯინებოდა, მეორე მხარეს კი ას ტუაზზე მეტი სიღრმის უფსკრული იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ცუდი გზის გამო მუდმივად საფრთხის ქვეშ ვიყავით, მაინც ვტკბებოდით ულამაზესი ხეობის ხედით. მას არაგვი ჰკვეთდა, რომელიც სათავეს წმინდა ქრისტეფორეს მთაზე, თერგის საწინააღმდეგო მიმართულებით იღებს, მაგრამ იგი თერგივით სწრაფი მაინც არ არის.

გადავწყვიტეთ, მთის ძირამდე მივსულიყავით. ვიდრე ეტლის მოლოდინში ვისვენებდით, რამდენიმე ყმის თანხლებით მომავალი ერთი ინგუში დავინახეთ. ყველანი ცხენებზე იყვნენ ამხედრებულნი, ხოლო ინგუშ დიდებულს ჯაჭვის პერანგი და რკინის ჯავშანი ემოსა, თავზე კი წაწვეტებული მუზარადი ეხურა და მარცხენა მხარზე დაახლოებით ერთი ფუტი დიამეტრის პატარა ტყავის ფარი ჰქონდა გადაკიდებული. მის აღჭურვილობას მხარზე ღვედით ჩამოკიდებული თოფი, პისტოლეტი და ხანჯალი ავსებდა. მსახურნიც ასევე თავიდან ფეხებამდე შეიარაღებულნი იყვნენ. მათ ზორბა ჯიშის ექვსი მწევარი ძაღლი მოსდევდათ. რადგან ჩვენც საიმედო ესკორტი გვახლდა, ამგვარი ბრბოს შეხვედრას სულაც არ შევუშინებივართ, სხვა პირობებში კი ალბათ ეს ინციდენტი შეგვაშფოთებდა.

ხელმარჯვნივ ჩამოვიტოვეთ ულამაზესი სოფელი, სახელად მლეთა[11] (Melety). იგი გამორჩეულია შუა ფერდობზე მდებარეობით და ირგვლივ არსებული მშვენიერი საძოვრებით. შემდეგ შევჩერდით ძველ, ქვით ნაშენ მონასტერში. აქ დღეს ყაზარმაა მოწყობილი და ეს სოფელი კაიშაურის ციხეს ექვემდებარება. იტალია, ტიროლი და შვეიცარია არაგვის ხეობაზე უფრო მომხიბლავსა და რომანტიკულს ვერაფერს შემოგვთავაზებენ. მონასტრიდან ოდნავ მოშორებით ხეობა გადავკვეთეთ ქვითა და ხით საკმაოდ მკვიდრად ნაგები ხიდით. ულამაზესი მცენარეებით შეფენილი ბორცვები და მდელოები ენაცვლებოდა ციცაბო კლდეებს, რომელთა შესაძლებელი ჩამოშლა მუდმივად ქვების ქვეშ მოყოლით საფრთხეს უქმნის მოგზაურებს, და თოვლითა და ყინულით დაფარულ მთებს, რომელთა გავლასაც ორი დღე მოვანდომეთ. ერთ მხარეს თვალწინ იშლებოდა ჩვენ მიერ სულ ახლახან გავლილი მთები, რომლებსაც ზემოდან ორი ერთმანეთისაგან გამიჯნული, თოვლით დაფარული თხემი დაჰყურებდა; მეორე

მხარეს კი პეიზაჟს აცოცხლებდა უამრავი სოფელი, ირგვლივ დიდი მზრუნ-ველობით დამუშავებული მიწებით.

თვალში მოგვხვდა აგრეთვე ამ ორი მხარის მცხოვრებთა შორის სხვაობაც: არაგვის ხეობის მცხოვრებლებს სულ სხვა იერი ჰქონდათ, თანაც ისინი ტანმაღლები იყვნენ, რაც აშკარად იმაზე მიუთითებდა, რომ ჩვენ უკან ჩამო-ვიტოვეთ ოსების ქვეყანა და უკვე საქართველოში ვიმყოფებოდით. დროდადრო, ხან სოფლებიდან მოშორებით, ხან კი მათ სიახლოვეს, გვხვდებოდა კვადრატული კოშკები, კედლებისა ციხეების ნანგრევები. თითქმის ყველა მათგანი ქვისა და აგურისაგან იყო ნაგები და ისევე, როგორც რაინის ნაპირებზე, მთის მწვერ-ვალებზე აღმართული. ეს კი ნათლად მეტყველებს, რომ ამ მხარეს ხშირად ემუქრებოდა მეზობელთა მხრიდან შემოსევებისა და ძარცვის საშიშროება.

კაიშაურიდან ათი ვერსის დაშორებით არაგვის პირას შევჩერდით. ეს იყო მშვენიერი ადგილი ერთი კოხტა სოფლის მოპირდაპირე მხარეს, რომელსაც სამი კოჭით გამაგრებული, მოაჯირიანი ხიდით უკავშირდებოდნენ. დავინახეთ ერთი მწყემსი, რომელიც ხიდზე გადადიოდა. შუა ხიდზე იგი შეჩერდა და თავისი ფარიდან სათითაოდ გადაუშვა წყალში ცხვარი. ამ მხარეში მეცხვარეები ყოველდღე ასე იქცევიან და ამით ცხვრებს ცხიმოვანი გამონაჟონისაგან ასუფთავებენ, რის შედეგადაც მატყლი უფრო ფაფუკი ხდება. ამ მიდამოებში არაგვი იმდენად სწრაფია, რომ ხშირად ვიდრე ეს ცხოველები მეორე ნაპირზე გასვლას მოასწრებენ, წყალი მათ ასი-ასორმოცდაათი ნაბიჯით შორს გაიტაცებს ხოლმე, მაგრამ არც ერთი მათგანი არასოდეს დამხრჩვალა. აქაური ცხვრები ტანმორჩილი არიან, მატყლი კი ხუჭუჭა და აბრეშუმივით ნაზი აქვთ. საერთოდ კი, კავკასიის მთიან რაიონებში ძროხებიცა და ხარებიც ასევე პატარა ჯიშისაა.

ამ მხარეში სახედარიც საკმაოდ დიდი რაოდენობით გვხვდება, განსაკუთ-რებით ოსებით დასახლებულ ადგილებში. ეს მეტად სასარგებლი ცხოველი კავკასიის ამ კუთხეში სავარაუდოდ რუსეთიდან უნდა იყოს შემოყვანილი. პირვე-ლად, როცა სახედარი დავინახეთ, სიცილიაში - კატანიის[12] ველებზე (Cataneo) დაბადებულმა ჩვენმა მსახურმა აღტაცებული შეძახილებით გამოხატა თავისი სი-ხარული - ამ ცხოველის ხილვამ მას სამშობლო გაახსენა. მკითხველს შევახსენებ, რა სიხარული განიცადა ბ-ნ დე ბუგენვილის[13] მიერ საფრანგეთში ტაიტიდან ჩამოყვანილმა ველურმა, როდესაც პარიზის სამეფო ბაღში დაინახა ხე, რომელიც მის მშობლიურ კუნძულზე ხარობდა. ამრიგად, დედამიწის რომელ კუთხეშიც არ უნდა იყოს ადამიანი, თვალი მაინც ყოველთვის სამშობლოსაკენ გაურბის.

ერთი საათის შესვენების შემდეგ კვლავ გავუდექით გზას, რომელიც შედარებით უკეთესი იყო, მაგრამ არაგვის ერთ-ერთ შენაკადზე გადებული ხიდის შეკეთებაზე არ უზრუნვიათ და ამის გამო მეტად ცუდი გზით მოგვიხდა შემოვლა. აქ ეტლი კინაღამ დაგვემსხვრა. ხიფათს თავი კი დავაღწიეთ, მაგრამ გაგვიტყდა ეტლის ღერძი, რომელიც სახელდახელოდ დაამაგრეს თოკებით.

ფასანაურამდე ხეობა თანდათან ვიწროვდებოდა. იგი სამი ვერსის მანძილზე სპირალურად მიიკლაკნებოდა და მხოლოდ ციხესთან ფართოვდებოდა. ფასანაურში ვისადილეთ და საკმაოდ კარგი მეფორნეც ვიპოვეთ; ორ მანეთად

მან ახალი ღერძი დაგვიდგა. ეს იყო პირველი მეფორნე, რომელიც ვლადი-კავკაზიდან მოყოლებული ვნახეთ.

სადილის შემდეგ არაგვის ნაპირებზე გავისეირნეთ. ეს მდინარე თევზით მდიდარია. აქ ქართველები ანკესით თევზაობდნენ და წამდაუწუმ იჭერდნენ მშვენიერ კალმახებს. როცა თოვლის დნობის სეზონი გადის და მდინარის დინება სისწრაფეს კარგავს, მაშინ აქ ბადით თევზაობენ.

ვლადიკავკაზში ნაყიდი პური მთლიანად გაგვითავდა და იძულებულნი გავხდით ფასანაურში გვეყიდა შავი ჭვავის პური, რომელსაც ჯარისკა-ცებისათვის აცხობდნენ. სამაგიეროდ, საკმაოდ კარგი ქართული ღვინო ვიშოვეთ და თითო ბოთლში გადავიხადეთ 15 კაპიკი (15 სანტიმი)[14] ასიგნაციით.

ფასანაურიდან ორ საათზე გამოვედით და ოცდასამი ვერსით დაშორებულ ანანურის[15] კარანტინში ექვს საათზე ჩავედით.

ფასანაურიდან ანანურის კარანტინამდე თითქმის უწყვეტლივ ვიწრო ხეობა მიემართება. ამ მხარის ხეობებში, მოგზაურებს, თუ ისინი საკმაო რაოდენობით არ არიან და თანაც კარგი ესკორტი არ ახლავთ, მთიელების მხრიდან გატაცების საშიშროება ემუქრებათ. მთელ გზაზე, ხელმარცხნივ არაგვი მიედინება, ხელმარჯვნივ კი გრანიტისა და ფიქალის უზარმაზარი მთებია აღმართული. ხეობაში გავლისას დიდ სიძნელეებს გვიქმნიდა ნაშუადღევს ამოვარდნილი ქარიშხლის შედეგად წარმოქმნილი ჩანჩქერები, რომლებიც ყოველი მხრიდან მოედინებოდნენ. ქარიშხალს ღარტაფებზე გადებული ორი ხიდიც წაელეკა და ფონით მათი გადალახვა საკმაოდ გაგვიჭირდა. როგორც იქნა, თავიდან ავიცილეთ ყოველგვარი ხიფათი და ანანურის კარანტინში ჩავედით.

ეს ქალაქი გაშენებულია ჩვენ მიერ ახლახან გავლილი გზის გასწვრივ. მისი ამგვარი მდებარეობა რუსეთის მთავრობას საშუალებას აძლევს, გაატაროს საჭირო ზომები, რათა კავკასიიდან მომავალი მგზავრები კარანტინის გავლის გარეშე საქართველოში ვერ შემოვიდნენ. ხელმარცხნივ ყველა გასასვლელი ღრმა ხევითაა ჩაკეტილი, ხელმარჯვნივ კი ჯარისკაცები უთვალთვალებენ მთებს. ამგვარად, ბუნებრივად არსებულ დაბრკოლებებს ხელოვნურად შექმნილი სირთულეებიც ემატება, რომელთა გადალახვაც უხდება მოგზაურს. მაგრამ ეს მკაცრი ზომები, რომლებიც ტარდება ყველას მიმართ, ვინც კი საქართველოში ჯანმრთელობის მოწმობის გარეშე აპირებს შემოსვლას, იცავს ამ პროვინციას ჟამიანობის გავრცელების საშიშროებისაგან, რომელიც, ანაპელი თურქების წყალობით, ხშირად მძვინვარებს ხოლმე მთიან ადგილებში.

საკარანტინო პუნქტის გარეთ, შემოღობილ ადგილას შენობები დგას, სადაც დაბალი წოდების ადამიანებსა და დაავადებაზე ეჭვმიტანილებს ათავსებენ. ისინი სადარაჯოს უშუალო ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებიან. საკარანტინო პუნქტის შიდა ნაწილი მარჯვენა მხრიდან ჩაკეტილია არყალათი[16] (Arcala), რომელიც არაგვს ერთვის, მარცხენა მხარეს კი, მის თავსა და ბოლოში - ხის ბარიერებია, სადაც ჯარისკაცები დგანან და გარეთ გამოსვლის საშუალებას არ იძლევიან. ამ შიდა ნაწილში ერთმანეთისაგან გამიჯნული შვიდი შენობა დგას და თითოეულ მათგანში ორი ან სამი ოთახია. აქვეა აგრეთვე ორი დიდი ფარდული ეტლებისათვის და მსახურთა საცხოვრებლები.

როდესაც მთაში ჟამიანობა მძვინვარებს, უსაფრთხოების ზომები უფრო მკაცრდება და მოგზაურებსაც უფრო მეტად აყოვნებენ; ხოლო თუ დაავადების საშიშროება ნაკლებად საგრძნობია, კარანტინში მათ მხოლოდ ოთხ დღეს აჩერებენ. აქ ყოფნისას ჩვენ ურთიერთობა გვქონდა მხოლოდ და მხოლოდ ამ დაწესებულების ზედამხედველთან და ექიმთან. მენარდე მგზავრებს ამარაგებს ყველა საჭირო პროდუქტით, თანაც მეტად იაფად. სურსათი საკმაოდ კარგი ხარისხისა იყო, მხოლოდ შავი პური გამოდგა უხარისხო, ისე როგორც ყველა სხვა პური, რომელიც კი ვლადიკავკაზიდან მოყოლებული გზად გვიყიდია.

საკარანტინო პუნქტის შუა ადგილას, ცალკე შენობაზე ცხრა კვადრატული ფუტის ქვის სათავსო იყო მიშენებული, სადაც მოგზაურთათვის განკუთვნილი უამრავი ქურა იდგა. თუკი ანანურის შენობები მოხერხებულია ზაფხულში კარანტინის გასავლელად, იგივე არ ითქმის ზამთრის შესახებაც, რამდენადაც ფანჯრებს მინები არ გააჩნიათ, ხოლო ოთახებს იშვიათად აქვთ კარი. მაგრამ ეს შენობები მხოლოდ დროებით გამოიყენება საკარანტინო პუნქტად. მთავარმართებელს განზრახული აქვს აქ ახალი კარანტინის აგება, რომლის გეგმაც მართლაც ჩინებულია და როგორც ამბობენ, ეს მშენებლობა 120,000 მანეთამდე დაჯდება([8]).

ანანური ძველი ქალაქია. იგი შუა ფერდობზე, მაღალი მთის მოპირდაპირე მხარესაა გაშენებული.

მართალია, იგი საქართველოს მთავარ ქალაქებს შორის ითვლება, მაგრამ აქ ციხის გარდა მხოლოდ ორმოციოდე სახლია, ხოლო მოსახლეობის რაოდენობა ორას სულს შეადგენს. თითქმის ყველა საცხოვრებელი მიწურისაა, როგორც ეს საქართველოსთვის არის დამახასიათებელი. აქვე არის მეტად მყარად ნაშენი ქვის კვადრატული კოშკი.

ანანურში ჰავა გამორჩეულად ჯანსაღია. საკარანტინო პუნქტის ექიმი გვარწმუნებდა, რომ შვიდი წლის მანძილზე, მისი საექიმო პრაქტიკის განმავლობაში, ამ ქალაქში წლიური სიკვდილიანობის მაჩვენებელი არასოდეს ყოფილა სამ ადამიანზე მეტი, ხოლო ზოგიერთ წლებში მხოლოდ და მხოლოდ ორი კაცი გარდაცვლილა. ევროპის არც ერთ ქვეყანაში არ არის ასეთი დაბალი შეფარდებითი სიკვდილიანობა. ციებცხელება და ფილტვების დაავადება კი ამ მხარეში სრულიად უცხოა.

კარანტინში ოთხი დღე დავყავით. ექვს სულზე ჩვენი დანახარჯი ზომიერ თანხას - 22 მანეთს ასიგნაციით არ ასცდენია. ეტლების, ასევე ჩემი ვაჟის ცხენი, საკუთრივ საკარანტინო პუნქტის ეზოში და არყალას გაღმა ნაპირზე პოულობდნენ სარჩოს. საბედნიეროდ, მწვანე ფურაჟისთვის ხელსაყრელი სეზონი იდგა და რადგან ვერც თივა და ვერც ქერი ვერ ვიშოვეთ, ამითაც იოლად გავედით. გამგზავრებამდე ერთი დღით ადრე ერთმა მეთევზემ თითო აბაზად (80 სანტ.) მოგვიტანა დიდი რაოდენობით კალმახი და სხვა თევზები. მათ მოშავო და წინწკლებიანი კანი და ძალზე გემრიელი ხორცი ჰქონდათ.

([8]) სამი წლის წინათ ამ საკარანტინო პუნქტის მშენებლობა დასრულდა და იგი მოგზაურთა კომფორტისა თუ ზედამხედველობის თვალსაზრისით წუნდაუდებელია.

საკარანტინო პუნქტი 24 მაისს (5 ივნისს), დილის ექვს საათზე დავტოვეთ. გასვლისას შემოვუარეთ ანანურის ციხეს, რომელიც ძველ და საკმაოდ მყარ ნაგებობას წარმოადგენს; ასევე მცირე სიმაღლის მთები, რომლებიც მათ გარს არტყია. შემდეგ არაგვის ნაპირები მოვიტოვეთ უკან და გადავჭერით საკმაოდ ფართო და ხეებში ჩაფლული ხეობები.

დუშეთში[17], რომელიც ანანურიდან თერთმეტ ვერსზე მდებარეობს, არაფერია ღირსშესანიშნავი. ქალაქში, არსებითად, მხოლოდ ერთი გრძელი ქუჩაა, რომელზეც დუქნებია ჩამწკრივებული. მთელი მოსახლეობა აქ იყრის თავს. იმ დღეს, როცა ქალაქში გავიარეთ, აქ ბაზრობა იყო და უამრავი ხალხი ირეოდა. იყვნენ ქალებიც, რომელთა შორისაც ზოგიერთი მშვენიერი გარეგნობით გამოირჩეოდა და ამართლებდა იმ რეპუტაციას, რომლითაც ქართველი ქალები სარგებლობენ.

დუშეთის ციხე გზიდან ხელმარჯვნივაა. აქვეა კაზაკების საგუშაგოც, რომელიც მოგზაურებს ესკორტით უზრუნველყოფს. ქალაქიდან ერთი ვერსის დაშორებით მიწების ნაწილზე ვენახებია გაშენებული. ვაზი აქ დაბალია და სარები არ უდგას. ბევრგან იყო ვაზის ტალავრებიც.

ანანურიდან ოცდათოთხმეტი ვერსით დაშორებულ ღართისკარამდე[18] (Gharthis-Kari) მიმავალი გზა ხან არაგვის ნაპირს მიუყვება, ხანაც შორდება მას და ნაყოფიერ დაბლობებსა და ხეებში ჩაფლულ ხეობებს ჰკვეთს. ალაგ-ალაგ კი გზა დაქანებულ ფერდობებზე გადის.

ღართისკარი სოფელია, სადაც სახლები ცოტაა. ეს არის თბილისიდან იმერეთისაკენ (lmmirette) მიმავალი გზის გასაყარი. აქედან ქუთაისი (Kotaïs) ორას ოცი ვერსით არის დაშორებული, მცხეთამდე კი ექვსი ვერსია, რომელიც ჩვენ ერთ საათში დავფარეთ. ღართისკარამდე შუა გზაზე, ხელმარცხნივ, მთის წვერზე ძველი ციხის შთამბეჭდავი ნანგრევები ჩანს.

მცხეთა ძველად საქართველოს დედაქალაქი და მისი მეფეების რეზიდენცია იყო. ადგილობრივი გადმოცემის თანახმად, იგი აუგია ქართლოსის (K'harthlos) ვაჟს - მცხეთოსს (Mtskhithos).([9]) მისი ნანგრევები უზარმაზარ ტერიტორიას მოიცავს და გადაჭიმულია მტკვრის (Kour) მარცხენა ნაპირზე ([10]), ამ მდინარისა და არაგვის შესართავთან. არაგვის ნაპირების გასწვრივ ჩვენი მოგზაურობის მანძილზე დიდხანს ვიარეთ. ნანგრევების ფართობი გვაფიქრებინებს, რომ ქალაქი დიდი უნდა ყოფილიყო. ციხე[19] ცენტრში იდგა და მთელ არემარეს გადაჰყურებდა. იგი დღესაც საკმაოდ კარგად არის შემონახული. სწორედ ამ ადგილასაა აგებული ის საკათედრო ტაძარი, რომელშიც საქართველოს მეფეებისა და არქიეპისკოპოსების კურთხევა ხდებოდა. ამ ძეგლის ხუროთმოძღვრება დიდებულია. გარე კედლებზე ჩატანებულ უამრავ ქვაზე ქართული წარწერებია ამოკვეთილი. ქვები მომწვანო ფერის ტუფისაა, რომელიც ჰაერზე მაგრდება.

([9]) იხილეთ სწავლულ ბ-ნ სენ-მარტენის "მემუარები სომხეთზე" (Saint-Martin, *Mémoires sur l'Arménie*) ტომი 2, გვერდი 59.

([10]) შარდენი ამბობს, რომ კურს (Kour) ანუ კიროსს (Cyrus) (Chah-Bahman) შაჰ-ბაჰმანს[21] უწოდებენ ეს მდინარე ასეა მოხსენიებული სპარსულ ქრონიკებში.

გოტიკურ სტილში შესრულებული პორტალები, კაპიტელები და კარნიზები საკმაოდ ელეგანტური სკულპტურებითაა მორთული.[20]

მღვდელმთავარმა, რომელიც ამ ციხის შიგნით ცხოვრობს, გულისხმიერება გამოიჩინა და მასპინძლობა შემოგვთავაზა.[11] ვიდრე ჩვენთვის სადილს ამზადებდნენ, მან გვირჩია დაგვეთვალიერებინა ციხის გარეთ, სამლოცველოს სიახლოვეს აგებული მშვენიერი ეკლესია. თავად სამლოცველოს აგებას წმინდა ნინოს (Sainte Nine) სახელს უკავშირებენ, რომელიც მეოთხე საუკუნეში ქრისტიანული სარწმუნოების საქადაგებლად მოვიდა საქართველოში. ეს სამლოცველო, ან უფრო სწორად - ეკვდერი, მართლაც ძალზე შორეული წარსულის ყველა დამახასიათებელი ნიშან-თვისების მატარებელია.

ეკლესია იმავე მოდელის მიხედვითაა არის ნაგები, როგორითაც ციხეა. მცხეთის დაკნინება დაიწყო მას შემდეგ, რაც საქართველოს მეფეებმა 469 წელს თავიანთი სატახტო ქალაქი თბილისში გადაიტანეს. მომდევნო საუკუნეებში იგი სპარსელებმა ააოხრეს. ულმობელმა თემურ ლენგმა (Tamerlan) კი დასრულა მისი ნგრევა. ამ დამპყრობლის ზეობის ეპოქიდან, რომელიც, სამწუხაროდ, აზიურ ქრონიკებში სახელოვან ეპოქადაა მიჩნეული, საქართველოს მეფეები ამაოდ ცდილობდნენ ამ ქალაქის აღდგენას. მცხეთამ ვეღარასოდეს შესძლო უმწეო და განადგურებული მდგომარეობიდან გამოსვლა. ამასთანავე, მას ისეთივე ხელსაყრელი მდებარეობა ჰქონდა, როგორც თბილისს და მას თავისუფლად შეეძლო სამეფოს სატახტო ქალაქად და ვაჭრობის დიდ ცენტრად ქცეულიყო. თანაც, თბილისთან შედარებით, მას ის უპირატესობაც ჰქონდა, რომ გარს ერტყა ნაყოფიერი მიწები. დღეს აქ ორასი ოჯახი ცხოვრობს, რაც დაახლოებით ათას სულს შეადგენს.

მოსახლეობა გამრჯე და შრომისმოყვარეა; ისინი მისდევენ სოფლის მეურნეობას, ვაჭრობასა და მეთევზეობას. მათ ხელშია აგრეთვე მოზდოკის, ქუთაისისა და ბაქოსაკენ მიმავალი საქონლის ტრანსპორტირებაც. ქუთაისში ტვირთის გადასატანად თითო ცენტნერში მათ უხდიან 2 მანეთს (2 ფრ.) ვერცხლით.

მცხეთაში რამდენიმე საათით შევისვენეთ და გეზი თბილისისაკენ ავიღეთ. აქეთ ორი გზა მიემართება: ერთი მტკვრის მარცხენა ნაპირს მიუყვება, მეორე კი - მარჯვენას. ჩვენ მეორე ავირჩიეთ, რადგან გვითხრეს, რომ ეტლებისათვის ის უფრო მოსახერხებელი იყო.

ციხიდან გამოსულებმა დაახლოებით ერთი ვერსი ძველი ქალაქის ნანგრევებს შორის ვიარეთ, სანამ იმ ხიდს მივაღწევდით, რომელიც შემოსევების შედეგად ნახევრად დანგრეული იყო. მის აგებას პომპეუსს მიაწერენ.[22] შემორჩენილია მხოლოდ რამდენიმე თაღი, რომელზეც გადებულია კოჭები და ძალზე ვიწრო ფიცარნაგი, მოაჯირის გარეშე.[12]

---

[11] ეს სასულიერო პირი სამი წლის წინ გარდაიცვალა, თბილისის არქიეპისკოპოს ფილარეტის (Philarete) გარდაცვალებიდან ცოტა ხნის შემდეგ, რომლის სრული ნდობითაც სარგებლობდა და რომელთანაც გულწრფელი გრძნობებით იყო დაკავშირებული.

[12] ჩემი 1820 წლის მოგზაურობის შემდეგ ამ ძველ თაღებზე მყარი ხიდი ააგეს.

გადავლახეთ მტკვარი, შემდეგ ერთ ვერსზე მეტი უკან ვიარეთ და ძველი ციხის მოპირდაპირე მხარეს აღმოვჩნდით. უეჭველად, ადრე ამ ადგილას მეორე ხიდიც უნდა ყოფილიყო, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებდა მცხეთასა და არმაზის მთას.[23] ქართველი ერის მამამთავარი ქართლოსი არმაზში იყო დაფუძნებული. გზის ხელმარცხნივ, მტკვრისა და არაგვის შესართავთან, არმაზის მთა შთამბეჭდავი ნანგრევებითაა დაფარული.([13])

მიუხედავად იმისა, რომ 5 ივნისი იყო, ხეობები და დაბლობები, რომლებიც გავიარეთ, უკვე გადამხმარი იყო. ხეები აქ ბევრად ნაკლებია, ვიდრე იმ ადგილებში, მოზდოკიდან რომ გამოვიარეთ. ცუდი გზისათვის რომ თავი აერიდებინათ, მეეტლეებმა რამდენიმე ვერსის მანძილზე ბორცვის დაქანებაზე გვატარეს. ჩვენმა "ბრიჩკამ" კი შეინარჩუნა წონასწორობა, მაგრამ „პოვოზკა" (pavosque) მთის ძირში გადაგვიბრუნდა. ჩვენი ახალგაზრდა ქართველი თარჯიმანი ათი ნაბიჯის სიმაღლიდან გადავარდა, მაგრამ საბედნიეროდ არ დაშავებულა.

თბილისიდან ხუთი ვერსის დაშორებით, ქვის ხიდით გადავიარეთ წყარო, რომელიც დიდი წვიმების დროს დიდდება და გამაყრუებელი ხმით ვარდება ხოლმე მტკვარში. ამის შემდეგ თბილისამდე განუწყვეტლივ ამ მდინარის გაყოლებაზე ვიარეთ. ხელმარცხნივ, ხეებში ჩაფლულ სოფელში[24] გერმანელი ახალმოსახლეები ცხოვრობენ. მათ ოდესის შემოგარენში მიატოვეს ნაყოფიერი მიწები, რომელთაც ამუშავებდნენ და საქართველოში დამკვიდრდნენ. კოლონისტები გონივრულად იყენებენ მტკვარს თავიანთი ბაღების სარწყავად.

თბილისის მისადგომებთან, საყარაულო სამსახურს წარვუდგინეთ ჩვენი მოწმობები ანანურის საკარანტინო პუნქტიდან. ვიდრე ქალაქში შეგვიშვებდნენ, საჭიროდ ჩათვალეს, რომ ეს მოწმობები კომენდანტისა და პოლიციისათვის გადაეცათ. ალბათ, დიდხანს მოგვიწევდა ლოდინი, ამ დროს საქართველოს მმართველის მოადგილე, უფროსი ლეიტენენტი ველიამინოვი[25] (Williaminoff) რომ არ გამოჩენილიყო. მე იგი 1818 წელს მოზდოკში ყოფნისას გავიცანი. მან კეთილი ნება გამოიჩინა და სასწრაფოდ გასცა ბრძანება, დაუყოვნებლივ გავეტარებინეთ. ეს დაბრკოლება გადავლახეთ, მაგრამ ახლა მეორე დაბრკოლებაც უნდა დაგვეძლია: საცხოვრებელი უნდა გვეშოვნა. ეს კი უკიდურესად რთული იყო ამ ქალაქში, სადაც ევროპელები სულ ახალი მოსულები იყვნენ მმართველებად, რომ მათგან დახმარების იმედი გვქონოდა.

ჩვენ შევჩერდით ერთ პროვანსალელთან, სახელად პოლთან (Paul). იგი საფრანგეთის ჯარის გრენადერი ყოფილა, 1812 წლის ლაშქრობის დროს ტყვედ ჩავარდნილა და საქართველოში ერთ რუს გენერალს ჩამოჰყოლია, როგორც მზარეული. ახლახან მას თბილისში გაუხსნია სასტუმრო[26] - ჭეშმარიტი სიახლე აზიაში! იგი პატიოსნებით აღსავსე ღირსეული კაცია. რადგან მას ჩვენთვის თავისუფალი ოთახი არ აღმოაჩნდა, მივმართეთ პოლიციის უფროსს, რომელმაც იცოდა რა ჩემდამი მთავარმართებლის კეთილგანწყობა, სასწრაფოდ მოგვათავსა

([13]) „მემუარები სომხეთზე" (*Mém. sur l'Arménie*), ტომი 2, გვერდი 177.

მის განკარგულებაში არსებულ ერთადერთ ბინაში. იგი მდინარის ნაპირზე მდებარეობდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ჩემთან მოვიდა სომეხი იაკობ ხანი (Yakobskhan), რომელიც ინდოეთიდან მომავალი, საქართველოში გზად გამვლელი ყველა ინგლისელის ბანკირი გახლდათ და მაიორმა ლინდსიმ მასთან რეკომენდაცია გამიწია. მან თავის სახლში უფრო კეთილმოწყობილი ბინა შემომთავაზა, რაზეც თანხმობა განვუცხადე. თბილისში ყოფნისას ვერ მოვახერხე სათანადოდ გამომეხატა მადლიერება იმ ყურადღებისათვის, რასაც ჩვენი მასპინძელი ჩვენს მიმართ იჩენდა.

თბილისში ჩასვლის მეორე დღეს მის აღმატებულებასთან, მთავარმართებელ ერმოლოვთან წავედი. მან გულთბილად მიმიღო. მთავარმართებლისათვის ცნობილი იყო ჩემი მოგზაურობის მიზანი - მომევლო შავი და კასპიის ზღვის სანაპიროები, გულდასმით შემესწავლა საქართველოს ადგილმდებარეობა, მისი ამჟამინდელი ურთიერთობები შიდა აზიასთან და ის მომავალი კავშირები, რომელთა დამყარებაც აქ ადვილი იქნებოდა. გენერალი სიამოვნებით დამპირდა, რომ გამომიყოფდა ესკორტებს, არ მომაკლებდა საჭირო დახმარებასა თუ მფარველობას და ჩემი მოგზაურობა სავსებით უსაფრთხო იქნებოდა.

მსურდა, მოგზაურობა ძველი კოლხეთით დამეწყო, მაგრამ ორიოდე თვის წინ ამ პროვინციებში არეულობა დაიწყო და გზები დაცული არ იყო. გენერალმა დამიყოლია, ეს მოგზაურობა იმ დრომდე გადამედო, ვიდრე მისი განხორციელება უსაფრთხო არ იქნებოდა. თბილისში თხუთმეტიოდე დღე დავრჩი და შემდეგ გადავწყვიტე საქართველოს უმდიდრეს პროვინციას - კახეთს (Kakétie) ვწვეოდი.

თავი III

თბილისიდან კახეთს გამგზავრება. გერმანელთა ახალშენები. საქართველოს გრენადერთა ბანაკი. გადასასვლელი იორზე//კამბისესზე (Iori-Cambysus). სიღნაღი (Sinac). დრაგუნთა პოლკის ბანაკი. ვაქირი (Vachery). წინანდალი (Tcenidaly). თავად ჭავჭავაძის (Tchiftchivadze) მშვენიერი ადგილ-მამული. თელავი (Telaw). თბილისში დაბრუნება. ცნობები ლეკთა შესახებ.

შაბათს, 8 (20) ივნისს, ნაშუადღევის ორ საათზე თბილისიდან კახეთს გავემგზავრეთ. ამ გზაზე ფოსტის ცხენები არ იყო და გერმანელებისაგან ჩვენი "ბრიჩკისათვის" ოთხი ცხენი დავიქირავეთ ერთ დუკატად. ამ ცხენებით უნდა გაგვევლო ის ორმოცდაათი ვერსი, თბილისიდან ვიურტემბერგელთა[1] (Wurtembergeoises) ახალშენამდე რომ ანგარიშობენ. ჩემი ვაჟი და რუსული ენის თარჯიმანი ცხენებზე ისხდნენ. ესკორტად სამი კაზაკი გვახლდა, რომელთაც ლეკებისაგან (Lesghines ou Lesghis) ჩვენი დაცვა ევალებოდათ. ისინი სულ რამდენიმე წლის წინ იტაცებდნენ ქართველებს თბილისის მისადგომებიდანაც კი.

მტკვარზე გადავედით უძველესი ხიდით[2], რომელიც ქალაქს ავლაბრის გარეუბნისაგან გამოჰყოფს. შემდეგ ციცაბო გზას ავყევით, გადავლახეთ მთები, რომლებიც თბილისს სამი მხრიდან გარს აკრავს და ათი ვერსი ვაკეზე ვიარეთ; შემდეგ ალაგ-ალაგ მეტნაკლებად მაღალ მთებში მოგვიხდა ოცდაოთხი ვერსის გავლა და კვლავ ვაკეზე გამოვედით.

მთელი ეს მხარე სრულიად მოუსავლიანი იყო. ის ცოტაოდენი ხორბალი, რომელიც აქა-იქ ჩანდა, იმდენად მეჩხერი იყო და თავთავები ისეთი უნაყოფო ჰქონდა, რომ იგი ძლივს თუ გადაფარავდა მოსავლის აღების დანახარჯებს. ადგილ-ადგილ კი მიწის ნაკვეთები კალიებს გაეჩანაგებინათ. ეს უბედურება, რომელიც ამ წელს თავს დაატყდა საქართველოს პროვინციების დიდ ნაწილს, ხშირია ამ მხარეში.

ექვს ვერსზე იმ მთებიდან, ახლახან რომ გამოვიარეთ, გერმანელების ორი სოფელია; ისინი ერთმანეთისაგან თითო ვერსითაა დაშორებული და იორის — ძველად კამბისესის[3] სახელწოდებით ცნობილი მდინარის - ნაპირებზეა გაშენებული. ამ სახელით მოიხსენიება იგი ძველ ავტორებთან, რომელთა ცნობით, ეს სახელი კიროსს (Cyrus) უწოდებია მისთვის მამამისის პატივსაცემად. ამ სოფელთაგან ერთ-ერთს პეტერსდორფი (Petersdorf) ეწოდება. აქ მხოლოდ ოცდახუთი სახლია, მოსახლეობა კი - ოთხმოცდათერთმეტი სული. მეორე სოფელია მარიენფელდი[4] (Marienfeld) და აქ ოცდათერთმეტი ოჯახია, რაც ერთიანად ას სამოცდაათ მცხოვრებს შეადგენს. ჩვენ ამ უკანასკნელ სოფელში შევჩერდით.

სახლები, რომლებშიც კოლონისტები ცხოვრობენ, აგებულია თეთრი, რბილი ქვითა და ხით, გარედან კი შელესილია თაბაშირით. მათ მოხერხებული განლაგება აქვთ და თითქმის ყველა მათგანი კოლონებიანი პერისტილითაა[5] მორთული. აქვთ აგრეთვე საკმაოდ დიდი ეზოები და სადგომები. თითოეულ ოჯახის სრულ საკუთრებაშია ოცდათხუთმეტი დესეტინა, ე.ი. დაახლოებით ოთხმოცდაათი არპანი[6] მიწა. სახელმწიფო ხაზინას სახლების მშენებლობა მხოლოდ 125 მანეთი ვერცხლით, ანუ 500 ფრანკი დაუჯდა. ეს ავანსი, სარგებლის გარეშე, მოახალშენეებმა ათი წლის მანძილზე უნდა გადაიხადონ; ხოლო შემდეგ - დესეტინაზე ათი კაპიკით, ე.ი. კარ-მიდამოზე 7 მანეთით დაიბეგრებიან. ამ ათი წლის მანძილზე ისინი ყოველგვარი გადასახადისაგან განთავისუფლებულნი არიან.

ქალაქ თბილისთან სიახლოვის უპირატესობიდან გამომდინარე, ამ მოახალშენე გერმანელებს კეთილდღეობისთვის უნდა მიეღწიათ, მაგრამ მათი დამკვიდრების პირველ წელს ძლიერი გვალვა დადგა და ისეთი მცირე მოსავალი მოიწიეს, რომ რუსეთის მთავრობა იძულებული გახდა მოახალშენეებისათვის დახმარება აღმოეჩინა.

ამ მხარეში, სადაც ეს ორი სოფელია გაშენებული, ჯანსაღი ჰაერია. ივრის წყალიც ჩინებულია, მაგრამ მიუხედავად ამისა, სოფელ მარიენფელდში მაინც მაღალი სიკვდილიანობა აღინიშნებოდა. მხოლოდ ერთი წლის მანძილზე აქ ასსამოცი მოსახლიდან თერთმეტი დაიხოცა. როცა ამ სიკვდილიანობის მიზეზი გავიკითხე, აღმოჩნდა, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ ზოგიერთი ლოკალური პირობების გაუთვალისწინებლობის შედეგი იყო. ზაფხულობით ამ ოლქში დღის განმავლობაში ყველგან დიდი სიცხე იცის, ღამით კი საშინლად ცივა. თუკი

სიცივის საწინააღმდეგოდ საგანგებო ზომებს არ მიიღებენ, ტემპერატურის ასეთი მკვეთრი ცვალებადობა ციებ-ცხელებით და პლევრიტით დაავადებას იწვევს. სიკვდილიანობის მეორე მიზეზი გახლავთ ივრის წყალი, რომელიც თოვლით დაფარული კავკასიის მთებიდან მოედინება. იგი ყინულივით ცივია და მისი დალევა ზაფხულშიც კი სახიფათოა. რომაელი ისტორიკოსები მოგვითხრობენ, რომ როცა პომპეუსი ალბანელთა (Albaniens) მეფე ოროზს (Porose) დასდევნებია და კამბისესზე გადასულა, მის მებრძოლთაგან ზოგიერთს პაპანაქება სიცხის დროს ამ მდინარის წყალი დაულევია და თავისივე გაუფრთხილებლობის მსხვერპლი გამხდარა. პეტერსდორფში სიკვდილიანობის დონე ოთხმოცდათერთ-მეტიდან სამ კაცს შეადგენდა. უსაფრთხოების გარკვეული ზომების მიღების შედეგად ციებ-ცხელება, რომლითაც აქაური მოსახლეობა ხშირად ავადდებოდა, თავიდან იქნა აცილებული.

ამ ორი სოფლის მოახალშენეთა შორის, რომლებიც ვიურტემბერგიდან (Wurtemberg) არიან გადმოსახლებულნი, ოთხი უნგრული ოჯახია. მათ საკმაოდ დიდი რაოდენობით ჰყავთ ცხენები. ადგილობრივი ძროხები, ჩვეულებრივ, პატარა ჯიშისაა, შამტუხად (Chamtouk) წოდებული აქაური ცხვარი კი თითქმის გადაგვარებულია და ჩვეულებრივზე ბევრად ნაკლები ზომისაა. თითქმის ყველა ეს მოახალშენე, ისე როგორც თბილისის გარეუბნებში მცხოვრები ახალმოსახლენი, ოდესიდან არიან მოსულნი. მათი გადმოსახლების ერთადერთი მიზეზი ცრურწმენა გახლავთ.

ლეკები გერმანელების მეზობლად ცხოვრობენ, რითაც სარგებლობენ და ხშირად სტაცებენ ხოლმე მათ პირუტყვს; მაგრამ მთავარმართებლის მიერ გატარებული ენერგიული ღონისძიებების წყალობით, ამჟამად გერმანელ კოლონისტებს ლეკების მხრიდან უკვე არანაირი საშიშროება აღარ ელით.

მარიენფელდში ჩვენს მიმართ დიდი სტურმართმოყვარეობა გამოიჩინა კოლონიის უფროსმა, ლიეტუვიდან (Lithuanie) ჩამოსახლებულმა პოლონური წარმოშობის აზნაურმა.

ვიურტემბერგელებს იორზე ერთი წისქვილი ჰქონდათ და უნდოდათ, რომ ეს მდინარე ნაწილობრივ გამოეყენებინათ თავიანთი მიწების მოსარწყავად. მაგრამ ამისათვის სათანადო სამუშაოების ჩატარება იყო საჭირო, რისთვისაც რუსეთის მთავრობას კვლავ ახალი ავანსები უნდა გაეცა, ამით კი იგი სრულებითაც არ იყო დაინტერესებული: ამ მოახალშენეთათვის მთავრობას უკვე საკმარისად ჰქონდა მსხვერპლი გაღებული, მათგან კი ჯერჯერობით ძალზე მცირე სარგებელი მიეღო.

მარიენფელდში თორმეტი კაზაკისაგან შემდგარი საგუშაგოა. კაზაკებს ევალებათ ლეკთა თარეშისაგან მოსახლეობის დაცვა და, აგრეთვე, კოლონიის უფროსის დაცვა მოახალშენეთა უკმაყოფილებისაგან, რასაც ისინი თავიანთი დამკვიდრებისთანავე ამჟღავნებდნენ: ისინი უარს აცხადებდნენ მუშაობაზე და პრეტენზიას გამოთქვამდნენ იმის თაობაზე, რომ რუსეთმა მათ მიმართ აღებული ვალდებულებები არ შეასრულა. მაგრამ გამოხდა ხანი, მოახალშენენი აქტიურად ჩაებნენ მეურნეობის მოწყობაში და დღეისათვის პირველი წარმატებებიც სახეზეა.

მეორე დღეს, დაახლოებით ცხრა საათისათვის, მარიენფელდიდან მუხროვანისკენ[7] (Moucravane) საქართველოს გრენადერთა პოლკის ბანაკისკენ გავემგზავრეთ. მას მთავარმართებლის ნათესავი, პოლკოვნიკი ერმოლოვი[8] განაგებს. ვიდრე მუხროვანში ჩავიდოდით, გავიარეთ ქვა-ღორღიანი ხეობა, სადაც იორი მიედინება.

საქართველოს გრენადერთა ბანაკი ერთ მშვენიერ დღეს, ალბათ, ქალაქად გადაიქცევა. იგი შუა ფერდობზე, ლეკებით დასახლებულ მთებთან ახლოს მდებარეობს. კლიმატი აქ ჯანსაღია. დაცვის თვალსაზრისით, უკეთესი ადგილის შერჩევა შეუძლებელია. ამასთანავე, იგი სულ რამდენიმე ვერსითაა დაშორებული თბილისიდან კახეთისაკენ მომავალი გზიდან. განზრახულია ამ გზის გაგრძელება ერთი მხრივ - დერბენდამდე (Derbent), მეორე მხრივ კი - ბაქომდე. უკვე ჩატარდა დაზვერვითი სამუშაოები, ასე რომ, ერთ მშვენიერ დღეს მუხროვანი ჩაებმება დიდ სავაჭრო საქმიანობაში, რომელიც შეიძლება წარიმართოს ორ ზღვასა და მათ მოსახლეობას შორის. ლეკებსაც, თავის მხრივ, შეექმნებათ დასაქმების საშუალება - გადაზიდავენ ღვინოსა და სხვა სახის საქონელს, რომელიც კახეთიდან წამოვა, ან კიდევ - ამ პროვინციას გაივლის.

კმაყოფილებით აღვნიშნეთ, რომ საქართველოს გრენადერთა საცხოვრებელი კარვები და ბარაკები თანდათანობით სოლიდური შენობებით იცვლებოდა. მშენებლობებისათვის კალატოზებად, ხუროებად, ზეინკლებად და მღებავებად თავად აქაურ ჯარისკაცებს იყენებდნენ. ამ სამუშაოებში ისინი საკმაოდ კარგ გასამრჯელოს - დღეში 10 კაპიკს (2 სუ) იღებდნენ. ხეებს იქვე, მეზობლად მდებარე ტყეებში ჭრიდნენ, ქვებსაც იქ აგროვებდნენ, ხოლო რკინას პოლკოვნიკი საკუთარი ხარჯით იძლეოდა; ასე რომ, ამ ახალი ქალაქის მშენებლობისათვის ფულადი დანახარჯი უმნიშვნელოა.

პოლკში იყვნენ აგრეთვე სხვადასხვა ხელობის მცოდნე მუშები, რომელთა საქმიანობაც დიდი გაქანების აზროვნებას არ საჭიროებს. თუმცა, ამავე დროს აქვე ვნახეთ სრულყოფილი სახელოსნო ოთხთვალებისთვის და, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, კივერების[9] ფაბრიკა და სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტების დასამზადებელი საამქრო.

სავსებით ნათელია, რომ რუს ჯარისკაცთა დასაქმების ამგვარი წესი დიდად აადვილებს ისეთ ქვეყნებში გაბატონებას, სადაც, მსგავსად აზიის სხვა ქვეყნებისა, აუცილებელია ახალი ქალაქების დაარსება, რათა დაეუფლო და შეინარჩუნო ახლად დამორჩილებული მრავალრიცხოვანი ხალხები. როგორც ჩანს, ასეთივე წესით მოქმედებდნენ ალექსანდრეს მეთაურობის ქვეშ გაერთიანებული ჯარებიც. აქედან გასაგებია, თუ რატომ დააარსა ალექსანდრემ[10] დაპყრობილ ტერიტორიებზე ორმოცამდე ახალი ქალაქი, რომელთაც თავისივე საკუთარი სახელი უწოდა. როგორც ჩანს, ეს რომაული ჯარების ქმედებების მსგავსიცაა.

ბ-მა პოლკოვნიკმა ერმოლოვმა საოცრად თბილი შეხვედრა მოგვიწყო. ამიერკავკასიაში მომსახურე რუს პოლკოვნიკთა ჩვეულების თანახმად, ყველა ოფიცერი მასთან ერთად იჯდა სუფრასთან. რაც მთავარია, ეს კეთილშობილური სტუმართმოყვარეობა მაშინაც ძალაში რჩება, როცა პოლკოვნიკი შინ არ არის.

ამავე პოლკის პოდპოლკოვნიკი, ბ-ნი შვეცოვი[11] (M.de Schwetschoff), სამი წლის წინ ყიზილიურტთან (Kasiourte), დერბენდიდან ყიზლარისაკენ[12] (Kislaer) მიმავალ გზაზე, დაღესტნელმა (Daghestan) მთიელებმა გაიტაცეს. როცა ამ ოფიცრის ესკორტის ორი კაზაკი მოკლეს, იგი იძულებული გახდა, ამ მრავალრიცხოვან ავაზაკებს დამორჩილებოდა, მაგრამ მაინც მოახერხა ორი მათგანის მწყობრიდან გამოყვანა. პოდპოლკოვნიკის გამოსასყიდად მთიელებმა მოითხოვეს 30,000 მანეთი ვერცხლით (12,000 ფრ.). ვინაიდან მას საამისო სახსარი არ გააჩნდა, ერთ-ერთმა მისმა ამხანაგმა გაავრცელა ღია ბარათები, სადაც მისი დატყვევების ამბავი იყო აღწერილი. რამდენიმე თვეში გამოსასყიდი თანხის გადახდის მსურველთა უამრავი ხელმონერა შეგროვდა, მოგვიანებით კი, მკაცრი რეპრესიების გატარების შედეგად, გაღებული თანხა ყველას უკან დაუბრუნდა, თანაც უფრო მეტი ოდენობით.([14])

მუხროვანში დაბანაკებული ოფიცრები ნადირობით არიან გატაცებულნი. ისინი ყოველნაირად ეხმარებიან პოლკოვნიკს სამხეცის შესაქმნელად, აქ უკვე ჰყავთ დათვები, შვლები, ჯეირნები, მელიები და ტურები.

ჩვენი იქ ყოფნისას მუხროვანში ერთ-ერთი პოლკის ორასკაციანი რაზმი ჩამოვიდა, რომელიც მანამდე ორი წლის განმავლობაში საფრანგეთში იმყოფებოდა. ეს ჯარისკაცები საქართველოს გრენადერთა პოლკში უნდა ჩარიცხულიყვნენ. ისინი გაოცებულნი დარჩნენ მათ მიერ ახლახან დატოვებული მობეჟის[13] (Maubeuge) ბანაკებიდან ასეთ შორეულ მანძილზე ფრანგების ხილვით.

ნაშუადღევს პოლკოვნიკთან ერთად წავედით კლდეში ნაკვეთი ძველი ეკლესიის ნანგრევების სანახავად. დღეს იგი თოფის წამლის საწყობად გამოიყენება. ეკლესია, ცხადია, ძალზე ძველი უნდა იყოს, ისე როგორც სხვა, ნანგრევებად ქცეული ეკლესიები, რომლებსაც ლეკებით დასახლებულ მხარეში მრავლად ვხვდებით.

ორშაბათს, დილით ადრე გავემგზავრეთ მუხროვანიდან. პოლკოვნიკმა და ვიცე-პოლკოვნიკმა სოფელ კაჩემამდე (Catchema)[14] გამოგვაცილეს, რომელიც ივრის მარცხენა ნაპირზეა გაშენებული. იორი ერთვის ალაზანს[15] (Alazan) იმ ადგილთან ახლოს, სადაც ალაზანი მტკვარს უერთდება. იორი უფრო შენაკადია, ვიდრე მდინარე; მას თან ჩამოაქვს უამრავი ქვა და რადგან წყალდიდობების გამო ეს მდინარე ხშირად იცვლის კალაპოტს, ეს ქვები მთლიანად ფარავს ხეობას.

სოფელი კაჩემი არაფრით გამოირჩევა. მის გარშემო მიწები დაბალი ხარისხისაა, მოუსავლიანობას კი ზაფხულობით დიდი გვალვიანობაც განაპირობებს.

პოლკოვნიკმა კეთილი ნება გამოიჩინა და კახეთში სამოგზაუროდ ექვსი ცხენი გამოგვიყო. ამით მან დიდი სამსახური გაგვიწია, ვინაიდან ჩვენი მოგზაურობის დროს უმეტესად სოფლის შარაგზებზე უნდა გვევლო.

([14]) ბ-ნი შვეცოვი გამორჩეული და ყველასათვის საყვარელი ოფიცერი გახლდათ. 1821 წელს იგი ხაზის ვიცე-პოლკოვნიკად დაინიშნა, მაგრამ მალევე გარდაიცვალა. იგი მხიარული ბუნების კაცი იყო, თანაც დიდი სიმამაცით გამოირჩეოდა.

მუხროვანიდან საქართველოს გრენადერთა პოლკის საჯინიბომდე თერთმეტი ვერსის გავლას ოთხი საათი მოვანდომეთ. ეს მხარე ბევრად უკეთესი იყო და ფურაჟიც უფრო უხვად მოიპოვებოდა. დიდი გვალვების დროს აქ მოჰყავთ პოლკოვნიკის ცხენები და, აგრეთვე, პოლკის ცხენების ნაწილიც. ჩვენი ცხენებისათვის დასვენების საშუალება რომ მიგვეცა, ორი საათით შევჩერდით, თან აქვე ვისადილეთ. ღამის გასათევად კი აქედან ოცდაჩვიდმეტი ვერსით დაშორებულ დამპალას[16] (Dampali) კაზაკთა საგუშაგოზე წავედით. ამ ორ პუნქტს შორის იყო კაზაკთა სხვა საგუშაგოც, სადაც ჩვენი ესკორტი შევცვალეთ.

დამპალას საგუშაგო, ისე როგორც საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა პროვინციებში არსებული კაზაკთა ყველა სხვა პოსტი, წარმოადგენს მესერებითა და ორმოებით შემოსაზღვრულ მიწის ნაკვეთს და მას ციხესიმაგრეს უწოდებენ. ჩვეულებრივ, აქ სამი ან ოთხი ბარაკია. მათგან ერთი ოფიცრის საცხოვრებელს წარმოადგენს, დანარჩენები კი უბრალო კაზაკებისა და მოგზაურთათვისაა განკუთვნილი. აქვეა, აგრეთვე, წნულით შემოღობილი საჯინიბოებიც.

ერთმა კაზაკმა 1 მანეთად და 50 კაპიკად ერთი დუჟინი ხოხობი მოგვყიდა (მწყერზე ოდნავ უფრო დიდი ზომისა). ეს ხოხბები კაზაკს ახლახანს დაეჭირა, დაეხოცა და გაეპუტა. ხოხობი უგემრიელესი იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ დიდად დაგვენანა, რომ ამ შესანიშნავ ფრინველს ასე უსარგებლოდ სპობდნენ. საფრანგეთში ეს ფაქიზი ფრინველი ძალზე იშვიათია, საქართველოში და ყველა იმ მხარეში, რომელიც ფაზისს (Phase) ესაზღვრება, იგი ფართოდ არის გავრცელებული. აქაური ხოხობი ორნაირი ჯიშისაა: ჩვეულებრივი და მოოქროსფრო. ეს უკანასკნელი უფრო ხშირად კასპიის ზღვის სანაპიროზე გვხვდება.

ღამე დამპალაში გავათიეთ, დილაადრიან კი სიღნაღში გავემგზავრეთ. ამ ორ პუნქტს შორის ანგარიშობენ ორმოცამდე ვერსს, რომელიც ჩვენ ხუთ საათში დავფარეთ.

აქ ყველგან ერთმანეთს ენაცვლებოდა დაბლობები, ხეობები და მთები. საკმაოდ ბევრი სოფელი გავიარეთ და მათ გარშემო თითქმის ყველგან საუცხოო ნარგავები გვხვდებოდა.

სიღნაღამდე ხუთი ვერსის დაშორებით, ერთი საათის განმავლობაში მთის მწვერვალზე ავდიოდით. აქედან ხელმარცხნივ ქალაქი ჩანდა. იგი საკმაოდ მაღალ ბორცვზეა გაშენებული, უკან კი უზარმაზარი ვაკე აკრავს, რომელიც კავკასიის უმაღლესი ქედით ბოლოვდება.

სიღნაღი ქიზიყის[17] (Kizig) მაზრისა და მთელი კახეთის მთავარი ქალაქია. აქ დაახლოებით ოთხასი სახლი და ორი ათასი მცხოვრებია. სიღნაღელები საქართველოში ყველაზე მამაც ხალხად ითვლებიან. ისეთ ქვეყანაში, სადაც ეს თვისება საყოველთაოა, ასეთი გამორჩევის საფუძველი, უდავოდ, დამყარებულია აქაურ კლიმატზე, მთების მაცოცხლებელ ჰაერზე, განსაკუთრებით კი - იმ აუცილებლობაზე, რომელიც აქაურებს მეზობელთა თავდასხმების მოსაგერიებლად მუდმივ მზადყოფნას აიძულებს.

ჰაერისა და თავდაცვის მხრივ სიღნაღისთვის კარგი ადგილია შერჩეული, მაგრამ აქ წყლის ნაკლებობაა. ქალაქში ერთადერთი წყალსატევია და ისიც

იმდენად მცირე რაოდენობის წყლით ამარაგებს მას, რომ მოსახლეობას რიგში დგომა უწევს, თანაც თითოეულ ადამიანს მხოლოდ ერთი ჭურჭლის ავსება შეუძლია.

ასეთი არასახარბიელო ვითარება ხშირად სისხლიან შეხლა-შემოხლას იწვევს ქალაქელებს შორის, რომლებიც ბუნებით გულფიცხნი არიან და თანაც მუდამ ხანჯლებით (quindjal) დადიან. როდესაც წყალი წყდება, ისინი იძულებულნი ხდებიან წყლის მოსატანად ალაზანზე წავიდნენ; მაგრამ აქ, იმისათვის რომ ლეკებისაგან დაიცვან თავი, მუდამ ჯგუფ-ჯგუფად უნდა იარონ და თან კარგადაც უნდა იყვნენ შეიარაღებულნი. კავკასიაში მცხოვრებ ხალხებს შორის ლეკები ყველაზე მეტად მისდევენ ავაზაკობას და, მიუხედავად რუსეთის მიერ მათთვის ჩანერგილი შიშისა, თუკი ხელსაყრელი შემთხვევა მიეცემათ, ძალიან უჭირთ ამ ცდუნებისაგან თავის შეკავება.

სიღნაღში ჩვენს ჩასვლამდე რამდენიმე დღით ადრე, ათი ლეკი ბანაობდა ალაზანში, რომელიც საკმაოდ სწრაფი მდინარეა და მათ ქვეყანას კახეთისაგან გამოჰყოფს. იქვე ახლოს ოთხი სომეხი მოსავალს იღებდა. ლეკებს მათი მოტაცება განუზრახავთ და, ხანჯლებით შეიარაღებულნი, დედიშობილა მისცვივდნენ სომხებს. ორმა მათგანმა მოახერხა თავის დაღწევა, ლეკებს კი ორი გაუტაცებიათ, რომელთაგანაც ერთი მდინარის გადალახვისას დამხრჩვალა.

ამ შეიარაღებული თავდასხმის შესახებ მთავარმართებელს მოახსენეს და ალბათ იგი სასწრაფოდ მიიღებს ზომებს ლეკების დასასჯელად.

დავბინავდით სიღნაღის ციხისთავთან. მან გულთბილად მიგვიღო. მისი სახლი სიღნაღსა და თელავს შორის მდებარე ულამაზეს მხარეს გადაჰყურებდა.

დაბლობთან კომუნიკაცია გაძნელებულია იმის გამო, რომ მისკენ დამრეცი ფერდობით მიემართება გრძელი გზა. ეჭვგარეშეა, ეს ხელს უშლის მოსახლეობის კეთილდღეობას, რომელსაც ამის გამო უჭირს ამ მხარის უხვი პროდუქციით ვაჭრობა. ისინი მისდევენ მიტკლის წარმოებას და მის შესაღებად იყენებენ ველურ ენდროს, რომელიც ამ ადგილებში უხვად მოიპოვება. მე მაჩვენეს ძალიან დიდი ზომისა და საუცხოო ხარისხის ენდრო, მაგრამ მისი ფასი მხოლოდ მისივე ამოთხრისათვის გაწეული შრომის ფასს არ აღემატება, ამიტომ მას აღარ ახმობენ და ნედლი სახით ყიდიან - ფუთს 4 მანეთად ვერცხლით, ე. ი. - ფრანგულ ცენტნერს 48 ფრანკად. რუსეთის მთავრობა კარგს იზამს, თუ ხელს შეუწყობს ამ მცენარის განაშენიანებას კახეთში, რისთვისაც აქაური ნიადაგი მეტად შესაფერისია.

1812 წელს სწორედ სიღნაღსა და მის მაზრაში დაიწყო დიდი შეიარაღებული აჯანყება რუსეთის წინააღმდეგ.[18] აჯანყების დროს სამასზე მეტი ჯარისკაცი ამოხოცეს. ქართველ თავადთა დიდი ნაწილი რუსეთის ერთგული დარჩა და ამის გამო მათაც შეეხო სახალხო მძვინვარება, რაც ძირითადად, ჯარისკაცების თავშეუკავებელი ქმედებით იყო გამოწვეული. გავიხსენოთ, რომ ასეთი მანკიერება არც ფრანგი ჯარისკაცებისათვის არ არის უცხო და სწორედ ამის გამო დაუდგათ სიცილიელებს მწუხრის ჟამი. მონტესკიე19, რომელმაც საფუძვლიანად გამოიკვლია ერების აღზევებისა და დაცემის მიზეზები, შეგვახსენებს, რომ ფრანგებმა რვაჯერ დაიპყრეს იტალია, მაგრამ თავიანთი თავშეუკავებლობისა და

ზიზღის გამო, რომელსაც ისინი დამარცხებულთა მიმართ იჩენდნენ, რვაჯერვე განიდევნენ აქედან.

აჯანყებაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ სომხებს, რომლებიც მხოლოდ ვაჭრობითა და სოფლის მეურნეობით არიან დაკავებულნი. აჯანყება მალევე ჩაახშეს და, აქედან მოყოლებული, მხოლოდ საქართველოს კეთილდღეობასა და ხალხთა ბედნიერებაზე მზრუნველმა გონიერმა მმართველმა ნელ-ნელა გააქრო რუსების მიმართ ქართველების მტრობა. ამასთანავე, ქართველებმა ისიც იციან, რომ ამ სახელმწიფოს მმართველობის ქვეშ მათ არავითარი საშიშროება აღარ ელით ლეკების, სპარსელებისა და თურქების მხრიდან, რომლებიც რიგ-რიგობით ანადგურებდნენ მათ ქვეყანას და ტყვედ მიჰყავდათ მათი ცოლ-შვილი. ამიტომაც არის, რომ ქართველები ყოველდღიურად უდასტურებენ რუსეთს თავიანთ ერთგულებას.

სიღნაღიდან ორშაბათს გავემგზავრეთ. თავადაზნაურობის მარშალმა, თავის თარჯიმანთან ერთად, მოისურვა ჩვენს ესკორტს შემოერთებოდა. მას განზრახული ჰქონდა მხოლოდ მას შემდეგ დაგვშორებოდა, როცა ქიზიყის მაზრას გავცდებოდით. ეს ქართველი თავადი სამოციოდე წლის კაცი გახლდათ. იგი განთქმული იყო თავისი შეუპოვრობით, ფიზიკური სიმარჯვითა და შთამბეჭდავი სამხედრო მიღწევებით საქმეებით. იგი დღესაც ჯერ კიდევ ჯან-ღონით აღსავსეა და შიშის ზარს სცემს ლეკებს, რადგანაც არაერთი ლეკი მოუკლავს საკუთარი ხელით.

სიღნაღიდან დაახლოებით სამი ვერსი კვლავ იმ გზას მივუყვებოდით, რომლითაც წინა დღეს სიღნაღამდე ვიარეთ. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ კარგი ცხენები გვყავდა, მათ მაინც გაუჭირდათ ეტლის ათრევა პირველი მთის მწვერვალამდე. ამის შემდეგ ულამაზესი კაკლის ხეებით დამშვენებულ პლატოზე დავეშვით. მოგზაურებს ჩვევად აქვთ ამ ძირძველი ხეების ჩრდილქვეშ შესვენება, ისევე როგორც ეტნას მთაზე, „ჩენტო კავალიდ“ (Cento Cavalli) წოდებული მშვენიერი წაბლის ხეების ქვეშ. შემდეგ ხელმარჯვნივ გადავუხვიეთ და გადავიარეთ ბევრად უფრო ნაყოფიერი და მჭიდროდ დასახლებული მხარე, ვიდრე ის, რომელიც წინადღით მგზავრობისას ვნახეთ.

გვითხრეს, რომ სიღნაღიდან ცარსკი კოლოდეცამდე (Czarzkey Poloden), ნიჟნი ნოვგოროდელ (Nijninovogorod) დრაგუნთა პოლკის საზაფხულო ბანაკამდე, მხოლოდ ოცდაშვიდი ვერსიაო. მაგრამ, ვინაიდან სიღნაღიდან ცხრა საათზე გამოვედით და დანიშნულების ადგილზე მხოლოდ ორ საათზე ჩავედით, ჩვენი ცხენები კი საათში არანაკლებ შვიდ ვერსს გადიოდნენ, ეს მანძილი ოცდათხუთმეტ ვერსზე მეტი უნდა იყოს.

ნიჟნი ნოვგოროდის პოლკის პოლკოვნიკი ჩვენი ჩასვლის მომენტში ბანაკში არ დაგვხვდა. მას მაიორი სალიკოვი (Salikoff) ცვლიდა, რომელმაც, მთავარმართებელ ერმოლოვის მიერ მოცემული სარეკომენდაციო წერილების წყალობით, პოლკოვნიკის არყოფნა არ გვაგრძნობინა და ისე მიგვიღო, როგორც ამას პოლკოვნიკისაგან მოველოდით. ორი დღის მანძილზე, რომელიც მაიორისა და მისი ოფიცრების გარემოცვაში გავატარეთ, მათ ერთი წუთითაც თავი არ დაუზოგავთ, რათა ჩვენთვის კარგი მასპინძლობა გაეწიათ.

დრაგუნთა ლეიტენანტის ჩინი, რომელიც ჩემს ვაჟიშვილს ჰქონდა, მათთვის უდიდეს ტიტულად ითვლებოდა და ოცდაოთხი საათიც არ იყო გასული, რომ მან თავის თანასწორ ამხანაგებთან იგრძნო თავი.

მეფის წყაროს[20] (la Source-du-Roi) ბანაკი მართლაც შესანიშნავ ადგილზეა. ეს სახელწოდება ამ ადგილმა იმის გამო მიიღო, რომ თურმე მეფე ერეკლე (Heraclius) ყოველთვის ამ წყაროდან სვამდა წყალს. იგი საქართველოში საუკეთესო წყაროდ ითვლება. ჰაერი აქ სუფთა და ჯანსაღია, მაგრამ ოდნავ ცივი. ამიტომ არის, რომ თიბვისა თუ სამხედრო მანევრების ჩატარების დროს აქაური კლიმატი ჯარისკაცებში ციებას ან ფილტვების დაავადებას იწვევს.

ზემო პლატოდან, რომელზედაც ეს ბანაკია განლაგებული, საუცხოო ხედი იშლება იმ დაბლობზე, რომლის ხილვითაც ჩვენ უკვე დავტკბით სიღნაღიდან. ბანაკიდან ოთხ ვერსზე თითქმის მთლიანად ნანგრევებად ქცეული უძველესი ციხე ვნახეთ. იგი ხეებშია ჩაფლული; შუაგულ ტყეში საკმაოდ მაღალ და თვალწარმტაც ადგილზე დგას და ადვილად დასაცავია. ზაფხულის პაპანაქება სიცხისას საქართველოს მეფეები აქ მოდიოდნენ, ტკბებოდნენ სუფთა და გრილი ჰაერით და თანაც აქედან ლეკების გადაადგილებასაც თვალყურს ადევნებდნენ. 1812 წლის შეიარაღებული აჯანყების დროს ამ ციხეს ბევრი რუსი ჯარისკაციც აფარებდა თავს.

ჩვენი ჩასვლის მეორე დღეს მაიორმა სალიკოვმა ჩვენთვის დრაგუნთა ესკადრონის მანევრები მოაწყო. განგვაცვიფრა მათი მოძრაობის დახვეწილობამ. მხედრები ახალგაზრდა და ჯან-ღონით სავსენი იყვნენ. მათ, როგორც წესი, ყაბარდოს მთებიდან ჩამოყვანილი შესანიშნავი ცხენები ჰყავდათ, რომლებიც წვრილი კანჭებითა და სიმკვირცხლით გამოირჩეოდნენ. პოლკოვნიკი ამ ცხენებში იხდიდა 200 მანეთს ასიგნაციით, - ამ თანხაშივე შედიოდა მათი ბანაკში ჩამოყვანაც, - მთავრობისაგან კი ამისათვის მხოლოდ 120 მანეთს იღებდა, დანარჩენს თვითონ ანაზღაურებდა. საფრანგეთში ასეთივე ცხენი არანაკლებ 1200-1500 ფრანკი ეღირებოდა. ასეთი ჯიშის ცხენები ყოველთვის ფხიზლად არიან, მათ არც სიცხე და არც სიცივე აწუხებთ, და ადვილად არ იღლებიან. ისეთ ქვეყანაში, სადაც ფურაჟი სრულებით არ არის, ამ ცხენებზე ამხედრებულ პოლკს შეუძლია დღეში ოთხმოც ვერსამდე გაიაროს.

ოფიცრებსაც ასევე ყაბარდოული ცხენები ჰყავთ, თანაც გაცილებით უკეთესი. ბევრ მათგანს ყარაბაღული ჯიშის (Karabagh) სპარსული ცხენებიც ჰყავს. ყარაბაღი სპარსეთის მოსაზღვრე პროვინციაა, რომელიც დღეს რუსეთს ეკუთვნის. სამწუხაროდ, ამ უკანასკნელი ჯიშის ცხენები სიცივესა და ნესტს ვერ იტანენ, შესაბამისად, ევროპაში აკლიმატიზაცია რომ გაიარონ, პირველ ხანებში დიდი მოფრთხილება დასჭირდებათ.

პოლკში ყოფნისას ჩვენ პოლკოვნიკთან და ყველა მის ოფიცერთან ერთად მივირთმევდით საჭმელს. სადილობისას ორმოცი მუსიკოსი ასრულებდა სამხედ-რო მელოდიებს. ორი მათგანის მიხედვით, რომლებიც მხიარული და მგზნებარე ჰანგებით გამოირჩეოდა, ჩვენ წარმოდგენა შეგვექმნა ლეკურ მუსიკაზე.

პარასკევს, 14 (26) ივნისს, ნასადილევს, სინანულით დავტოვეთ დრაგუნთა პოლკი, სადაც ასე სასიამოვნოდ გავატარეთ ათი დღე და სოფელ ვაქირში[21]

გავემგზავრეთ. აქ ვაპირებდით ღამის გათევას. ამ სოფლამდე დრაგუნთა საზამთრო ბანაკი უნდა გაგვევლო. ოფიცერთა უმრავლესობამ, მაიორის მეთაურობით, გადაწყვიტა ამ ადგილამდე გავეცილებინეთ, შემდეგ კი გზა დაელოცათ და გამოგვმშვიდობებოდნენ. ამჯერად ჩვენი ამალა ჩვეულებრივზე ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი აღმოჩნდა. იგი შედგებოდა ოცდაათზე მეტი ცხენოსნისაგან, რომლებიც გართობის გუნებაზე იყვნენ და თავიანთ ცხენებს, ქართველებისა და სპარსელების მსგავსად, სხვადასხვა ილეთებს ასრულებინებდნენ, ჯირითის დროს ისროდნენ თოფებიდან და დამბაჩებიდან და კვლავ ტენიდნენ იარაღს ისე, რომ ცხენები სვლას არ აჩერებდნენ. ვარჯიშების სხარტად და უნაკლოდ შესრულებით თავადაზნაურთა მარშალი გამოირჩეოდა. ბანაკში ჩასვლისას მყარად ნაშენი სახლების ხილვამ. ისინი ხის მასალით, ლერწმითა და მიწით იყო გადახურული. სახლები ერთმანეთისაგან თითქმის თანაბარი მანძილის დაშორებით ლამაზად ჩამწკრივებულიყო, ყველას ჰქონდა ბაღი და საკმაოდ ფართო ერთადერთი ქუჩა იქმნებოდა.

დრაგუნთა ბანაკი ყარაღაჯად[22] (Caravach) იწოდება. იგი ვაქირიდან ოცდაათ ვერსზე მდებარეობს. ვიდრე გზას გავაგრძელებდით, ოფიცრებმა მოგვიმზადეს „ზაკუსკა“ (Zakouska) - მსუბუქი საუზმე, რომელიც სადილს უსწრებს და გულუხვად გვასვეს დამშვიდობების სადღეგრძელოები.

საერთო მხიარულების ჟამს, რომელიც თან ახლდა გამოსათხოვარ საუზმეს, ჩემს ვაჟიშვილს აზრად მოუვიდა, ცხენიდან ჩამოსულიყო და კამეჩზე დამჯდარიყო. ამ პირუტყვს სრულიადაც არ უჭირდა სვლა, მაგრამ როდესაც მხედარი მის აჩქარებას შეეცადა, იგი გაშმაგებული გავარდა და იმგვარად აფართხალდა, რომ ელვის სისწრაფით ძირს დასცა თავისი მხედარი, რომელიც ასეთი პირუტყვით ჯირითს არ იყო შეჩვეული.

ვაქირში ჩასვლას ოთხი საათი მოვანდომეთ. გადავიარეთ თელავის საუცხოო დაბლობი, ცნობილი თავისი ნიადაგის ნაყოფიერებითა და მრავალფეროვანი მცენარეულობით. გზა უკან ბრუნდებოდა არათანაბარი სიმაღლის მთების ქედის გასწვრივ, სადაც ქალაქი სიღნაღი იყო გაშენებული, რომელიც გზიდან ოთხ ვერსზე ჩამოვიტოვეთ. დაბლობზე ბევრი ლამაზი სოფელი შემოგვხვდა.

ვაქირი სიღნაღიდან მხოლოდ რვა ვერსითაა დაშორებული. სოფელში შიკრიკი გავგზავნეთ, ჩვენთვის ბინა რომ მოემზადებინათ. ვინაიდან აქ ჩვენთვის შესაფერისი, მოსახერხებელი სახლი არ აღმოჩნდა, სოფლის მამასახლისმა (maire) ღვინის დასაწურ და შესანახ ფარდულში მოგვათავსა. მას სამი მხრიდან ჰქონდა კედლები, ჩრდილოეთის მხარეს კი მთლიანად ღია იყო.

ფარდულს სახურავი ფიცრისა ჰქონდა, სიგრძით დაახლოებით ექვი ტუაზი იყო, სიგანით კი - ოთხი. შუაში იდგა ქვის ღარი, სადაც ყურძენს წურავდნენ; შემდეგ კი ღვინოს იქვე, ერთმანეთისაგან ოდნავ დაშორებით მიწაში ჩაფლულ დიდ ქვევრებში ასხამდნენ. აქ წლების მანძილზე ინახება ღვინო, მაგრამ შესაფერისი დუღილი არ მიმდინარეობს და ამის გამო, როცა ღვინო ქვევრებიდან ტიკებში გადასასხმელად ამოაქვთ ხოლმე, იგი მჟავდება.

ვაქირი შუა ფერდობზეა გაშენებული. იგი საუცხოო ხილნარის ბაღებშია ჩაფლული. მის გარშემო მეტად ნაყოფიერი მიწებია. აქ ხარობდა მშვენიერი

ხორბალი, უფრო ხშირად კი ეს მიწები დიდი ზვრებით იყო დაფარული. აქვეა ულამაზესი კაკლისა და ლეღვის ხეები. ლეღვის ხის ფოთლების სიგრძე ერთ ფუტზე მეტი იყო, სიგანე კი - ათი გოჯი. იგი წელიწადში ორჯერ იძლევა ნაყოფს - ივლისსა და ოქტომბერში, და მეორე მოსავალი უფრო კარგია.

მამასახლისი ჩვენს მიმართ დიდ ყურადღებას იჩენდა. ვახშმად წითელი ლობიო, კვერცხები და ქათმები მოგვართვა. პური, ისე როგორც საქართველოს ყველა სხვა სოფელში, აქაც ძალზე ცუდი იყო. მას ჯერ კიდევ ისეთივე წესით აცხობენ, როგორც უხსოვარი დროიდან აცხობდნენ აზიაში.

თონეები აქ მიწაშია ჩაფლული. ეს არის ხუთი-ექვსი ფუტის დიამეტრისა და ხუთი ფუტის სიღრმის ჭა, ნაშენი ქვითა და კირით. ცეცხლს თონის შუაგულში ანთებენ და როცა იგი სასურველ დონემდე გახურდება, ნახშირსა და ნაცარს ამოიღებენ. პურის მცხობელს თონის გვერდით ფიცარი და ფქვილით სავსე ვარცლი უდგას. იგი იღებს სამ მუჭა ფქვილს, ასველებს ცოტაოდენ წყალში და ზელს მას ფიცარზე ისე, რომ ოდნავ მკვრივი ცომი მიიღოს. შემდეგ ამ უფორმო ცომს იგი თონის კედელზე აკრავს და გააბრტყელებს იმგვარადვე, როგორც ჩვენი კალატოზები კედლებზე კირხსნარს უსვამენ ხოლმე. ხაბაზი ნელ-ნელა მთლიანად ამოავსებს თონის კედლებს ამ ცომით, ზემოდან კი ფიცრებს გადააფარებს. თხუთმეტი-ოცი წუთის შემდეგ იგი თონიდან ამოიღებს ცუდად მომზადებულ კვერებს, რომლებიც ერთდროულად თეფშებისა და პურის მაგივრობას სწევენ. საფუარი ამ მხარეში სრულებით არ იხმარება.

ფარდულში საკმაოდ კარგად გამოვიძინეთ, თუმცა სულ იმის შიშში ვიყავით, რომ ფალანგები არ დაგვსხმოდნენ თავს: ეს არის უზარმაზარი ობობის სახეობა, რომელიც საკმაოდ მრავლადაა თბილისის ძველ შენობებში და საქართველოს პროვინციების ერთ ნაწილში.

გარეგნულად ფალანგა შემზარავ შთაბეჭდილებას ახდენს. ერთი შეხედვით, შეიძლება ითქვას, იგი საზარელიც კია. ტანი ცერის სიმსხო აქვს და საკმაოდ მოკლე თათებს ეყრდნობა, ძალზე მოძრავია და წაგრძელებული კისერი აქვს; პირი შეიარაღებულია კბილებით, რომელთა მეშვეობითაც იგი აუწერელი გაშმაგებით ჩაეჭიდება ხოლმე თავის მსხვერპლს.

გასართობად მოგვიტანეს ცალ-ცალკე ჭურჭელში მოთავსებული ორი ფალანგა. ჩვენ ისინი ერთ ქილაში ჩავსვით: ფალანგები მაშინვე ერთმანეთს ეცნენ და პირით ჩაეჭიდნენ. ამ სიტუაციაში, როცა თითქოს საბედისწერო დასასრული არ იყო მოსალოდნელი, ერთმანეთზე გადაბმული ფალანგები გაყუჩდნენ, მაგრამ დროდადრო უფრო ძლიერი ფალანგა, რომელსაც არ სურდა ნადავლის ხელიდან გაშვება, მიათრევდა ხოლმე უფრო სუსტ თანამოძმეს. ბოლოს, ამ დამქანცველი ორთაბრძოლის შემდეგ, პატარა ფალანგა მოწინააღ-მდეგეს გაუსხლტა და საოცარი სისწრაფით ქილის სრიალა კედლის ზედაპირზე აცოცდა. ჩვენ ქილა შევანჯღრიეთ და ფალანგა ისევ ფსკერზე ჩამოვარდა. დიდი ფალანგა ელვის სისწრაფით ეცა მას და ამჯერად მოახერხა კისრის ქვეშ სწვდომოდა თავის მსხვერპლს და ამით განემტკიცებინა თავისი უპირატესობა. ამის შემდეგ მას ხუთი წუთიც კი არ დასჭირვებია, ისე წააგლიჯა თავი პატარა ფალანგას და საშინელ კრუნჩხვებში სული გააცხებინა, ბოლოს კი ეცა და შემზარავი სიხარბით ერთ წუთში შესანსლა.

ზოგჯერ, სეირის საყურებლად ერთმანეთთან აბრძოლებენ მორიელსა და ფალანგას. გააფთრებულ ბრძოლაში თითქმის ყოველთვის ფალანგა იმარჯვებს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ხშირად ეს გამარჯვება ძვირად უჯდება, რადგან თუ ბრძოლის დროს მორიელმა მოასწრო და უკბინა ფალანგას, როგორც წესი, ეს უკანასკნელი ნახევარ საათში კვდება. ფალანგები საკმაოდ გავრცელებულია სპარსეთში. თუ იგი ადამიანს შეაღოღდება, საჭიროა დიდი ნებისყოფა, რომ მან (ადამიანმა) არანაირი მოძრაობა არ გააკეთოს, წინააღმდეგ შემთხვევაში გაბრაზებულმა მწერმა შესაძლოა უკბინოს. ფალანგის ნაკბენი მხოლოდ მაშინაა სახიფათო, თუკი სასწრაფოდ წამალს არ წაუსვამენ. წამლად იყენებენ ცხიმს, უმეტესად - ზეთს, რომელსაც მინის პატარა ფლაკონით ქართველები მუდამ თან დაატარებენ ხოლმე. ამ ცხიმით საკმაოდ დიდხანს, დაახლოებით ნახევარი საათის მანძილზე იზელენ ნაკბენ ადგილს, რის შემდეგაც ფალანგის ნაკბენი არავითარ საშიშროებას აღარ წარმოადგენს.

ფალანგებისა და მორიელების გარდა, საქართველოში გავრცელებულია მრავალფეხები, ტარანტულები და გველები, რომელთა ნაკბენიც მეტნაკლებად შხამიანია.

თავადაზნაურთა მარშალი და მისი თარჯიმანი განაგრძობდნენ ჩვენთან ერთად მოგზაურობას. ამ კეთილშობილურად გაწეული სამსახურის გამო ჩვენმა მოგზაურობამ ისე იოლად და უზრუნველად ჩაიარა, რომ უკეთესს ვერაფერს ინატრებს კაცი.

ვაქირიდან დილის შვიდ საათზე გამოვედით და სადილობისას შუა ფერდობზე მდებარე ულამაზეს სოფელში ჩავედით, რომელიც მუკუზანიდან[23] (Mokozange) სამ ვერსზე იყო. ისევე, როგორც წინა დღეს, აქაც პერისტილში დაგვაბინავეს, სადაც ფარდაგები და ბალიშები დააგეს. მამასახლისმა, მისმა რამდენიმე დიდგვაროვანმა მეზობელმა და მარშალმა ჩვენთან ერთად ისადილეს, მაგრამ რადგანაც ჯერ კიდევ ბერძნული მარხვა იდგა, რომელიც წმინდა პეტრეს დღეს მთავრდებოდა, მათ უარი განაცხადეს ჩვენთვის დამზადებულ კერძებზე და დაკმაყოფილდნენ ხმელი და დამარილებული თევზით, რომელსაც ბაქოში იჭერენ.

ქართული წესის შესაბამისად, ღვინო ვსვით მოვერცხლილი ჩამჩებით – აზარფეშებით (hazarpeches), რომელთაც რიგრიგობით გადასცემენ ხოლმე თითოეულ სტუმარს. ღვინო კარგი იყო. მედოკის ღვინოების მსგავსად, რომელთანაც მას ბევრი საერთო აღმოაჩნდა, ეს ღვინოც არ იყო მათრობელა.

ამ სოფლიდან ნასადილევს გავემგზავრეთ და სულ მალე მუკუზანი გავიარეთ. რამდენიმე ვერსის გავლის შემდეგ კი დავემშვიდობეთ მარშალს და გზა ტყეში განვაგრძეთ. აქ ძირითადად მუხა გვხვდებოდა, მაგრამ იყო ასევე ულამაზესი ნეკერჩხალი, სიკომორი[24], ალვის ხე, ვერხვი, კაკალი, რცხილა და არაჩვეულებრივად ლამაზი კოპიტი.

რვა საათი ხდებოდა, როდესაც თავად ჭავჭავაძის (Tchiftchivadze) სასახლეს[25] მივადექით, რომლისთვისაც მთავარმართებლის სარეკომენდაციო წერილები გვქონდა. ამ მდიდარმა მემამულემ მეტად გულთბილად მიგვიღო. თავადი სულ ახალგაზრდა იყო, როცა პეტერბურგში გაგზავნეს, სადაც მამამისი მძევ-

ლად იმყოფებოდა. აქ მან საუკეთესო განათლება მიიღო და საკუთარი მაგალითით ყოველნაირად უწყობდა ხელს საქართველოში ცივილიზაციის პროგრესულ განვითარებას. მისი სასახლე, რომლის მშენებლობაც ამ დროისათვის დამთავრების პროცესში იყო, ჭეშმარიტად სასწაულს წარმოადგენდა ამ ქვეყანაში, სადაც საცხოვრებლების უმრავლესობა თიხისაგან შენდებოდა და ხშირად მიწურის სახე ჰქონდა. ინტერიერი ისეთივე განლაგებით გამოირჩეოდა, როგორც ევროპულ სასახლეებშია მიღებული, ექსტერიერის ხუროთმოძღვრება კი აზიის კლიმატური პირობების შესაბამისი იყო. ქვეყანაში, სადაც წელიწადში სამი თვის მანძილზე თითქმის აუტანელი სიცხეები იცის, სწორედაც რომ გონივრულია ქვედა და პირველი სართულების გასწვრივ ფართო, ზემოდან გადახურული გარე აივნების აშენება. ჩვეულებრივ, აქ ღამით წვებიან ხოლმე, რადგან ღამის სიგრილე ნორმალური ძილის საშუალებას იძლევა.

სასახლის ირგვლივ ფართო ეზოებია. ბაღს მშვენიერი მდებარეობა აქვს, ხოლო დაახლოებით ოცდაათი არპანის ფართობის ვაკე, რომელიც ოდნავ დაქანებულია გალავნის კედლისაკენ, მთის ძირამდე, თავადს საშუალებას მისცემს განახორციელოს ინგლისური ტიპის ბაღის გაშენების პროექტი, რომლის მოხაზულობაც შესანიშნავად ერწყმის ბუნებრივ ადგილმდებარეობას.

თავად ჭავჭავაძის დედა დიდად პატივსაცემი ქალბატონი გახლავთ. იგი თავად ანდრონიკაშვილების (Andronic) შთამომავალია, რომლებიც კონსტანტინოპოლიდან მოსულან და საქართველოში სამი საუკუნის წინ დამკვიდრებულან. ანდრონიკაშვილები დაბეჯითებით ირწმუნებიან, რომ ისინი ამ გვარის მატარებელ ბერძენ იმპერატორთათა შთამომავლები არიან; თავად ჭავჭავაძის მეუღლე, ახალგაზრდა ქალბატონი კი თავად ორბელიანების (Orbelianoff) უძველესი გვარის შთამომავალია[26]; ამ მხრივ ძნელად თუ შეეცილება მას რომელიმე საგვარეულო. ბ-ნი სენ-მარტენი თხზულებაში „მემუარები სომხეთზე“, თუკი მას სარწმუნოდ მივიჩნევთ, წერს რომ ამ საგვარეულოს წარმომადგენლები ჩინეთის მეფების შთამომავლები არიან და რომ მათი წინაპრები ალექსანდრე მაკედონელის სპარსეთში შეჭრამდე ერთი საუკუნით ადრე მოსულან საქართველოში.

თავადი ჭავჭავაძე ნიჟნი ნოვგოროდის დრაგუნთა პოლკის რეზერვის პოლკოვნიკია. უწინ მას იგივე წოდება ჰქონდა რუსეთის იმპერატორის გვარდიაში, მაგრამ დიდი ხნის მანძილზე სამშობლოს მოცილებულმა, საქართველოში დაბრუნება მოინდომა, რომ საკუთარი ადგილ-მამული ემარტა და საამისო ნებართვა ითხოვა.

ის დიდი მამულების მფლობელია. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია ორი - წინანდლისა (Tchenedaly) და მუკუზანის მამულები, - ორივე ცნობილია საუცხოო ღვინით და ამ მხრივ მათ საქართველოში პირველი ადგილი უჭირავთ. მათ მოსდევს კონდოლის[27] (Condol) ვენახი, რომელიც მთავრობას ეკუთვნის და თელავის მაზრის დაქვემდებარებაშია; ბოლოს კი უნდა ვახსენო თავად ივანე აფხაზის[28] (Jean Apkasow) ვენახები.

თავადმა გაგვასინჯა თავისი სამწლიანი და რვაწლიანი ღვინოები. ეს იყო მაღალი ხარისხის სასმელი, რომელსაც, ქართული ღვინოების დიდი ნაწილისაგან განსხვავებით, სრულებით არ ჰქონდა მომჟავო გემო.

ამ ქვეყანაში ერთი თუნგი (tounga - ექვსნახევარი ბორდოს ბოთლი) ღვინის ფასი, ჩვეულებრივ, ძლივს აღწევს 1 აბაზს (80 სანტ.). ამავე ფასად ყიდიან ღვინოს ვაჭრები თბილისსა და სხვა ქალაქებში, ოღონდ მას ტრანსპორტირების ხარჯებსა და თავიანთ მოგებას უმატებენ.

საქართველოში ღვინისათვის არც კასრებს იყენებენ და არც ბოთლებს. ის ტიკებით გადააქვთ. ამისათვის ხუთი სახის ტყავი გამოიყენება, სახელდობრ: კამეჩის, ხარის, ღორის, ვაცისა და თხის ტყავები. პირველი სამი უფრო კარგია და გემოც, რომელსაც ეს ტყავები აძლევენ ღვინოს, უფრო ნაკლებად უსიამოვნოა შედარებით იმასთან, რომელიც თხისა და ვაცის ტყავებისაგან რჩება. ამ უკანასკნელებს, ჩვეულებრივ, ესპანეთში, პორტუგალიასა და კალაბრიაში იყენებენ. მათ შიგნით, ბეწვიან მხარეს, ნავთი აქვთ წასმული და ეს ნივთიერება ცუდ გემოს აძლევს ღვინოს, მაგრამ როგორც ირწმუნებიან, იგი მის შენახვას უნდა უწყობდეს ხელს.

ამ მხარეში უკვე იცნობენ ბ-ნ გრაფ შაპტალის[29] (Chaptal) ნაშრომს მევენახეობისა და მეღვინეობის შესახებ და ეჭვგარეშეა, რომ ერთ მშვენიერ დღეს საქართველოში ღვინის წარმოება გაუმჯობესდება. ეს სწავლული მიიჩნევს, რომ იბერია (Iberie) - დღევანდელი საქართველო, - არარატის (Ararat) მთის მეზობელი მხარე, ის ქვეყანაა, სადაც ვაზის კულტივირება პირველად მოხდა. ამ დაკვირვების შემდეგ გასაოცარია, რაოდენ უმნიშვნელო წარმატებას მიაღწია მევენახეობის განვითარებამ ამ მხარეში.

თავადი ჭავჭავაძე დიდი გულმოდგინებით ეკიდება ყველაფერს, რაც კი მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარებას ეხება. მისი შემოსავლის ძირითადი წყაროც სწორედ ეს არის. უხვი მოსავლიანობის წლებში, როგორიცაა ახლანდელი, 1820 წელი, მას შეუძლია სხვადასხვა ვენახებიდან ოცდაათ ათასამდე თუნგი ღვინო დაწუროს. მას პურის ყანებიც აქვს, ხოლო მეზობლად მცხოვრები ლეკების მსგავსად, მისმა გლეხებმაც, დაახლოებით ათას ხუთასი კაცის რაოდენობით, წარმატებით დაიწყეს თუთის ხეების განაშენიანება და აბრეშუმის ჭიის გამოყვანა.

თავადის დედა და მეუღლე თვალყურს ადევნებენ სოფლად აბრეშუმის მოსავლის აღებას. აბრეშუმის ამოხვევა მათ თვალწინ ხდება. გარეცხვის შედეგად უხეში ნედლეული წვრილ, რბილ და მბრწყინავ აბრეშუმად გარდაიქმნება. მისგან იღებენ ორგანსინებს, ღებავენ სხვადასხვა ფერებში და ამზადებენ ლამაზ ქსოვილებს.

პარიზიდან გამომგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე შინაგან საქმეთა მინისტრმა დამავალა, შემეკრიბა ცნობები აღმოსავლეთის ხალხებში წარმოებული აბრეშუმის სამღებრო საქმის ტექნოლოგიის შესახებ. დიდად მოხარული ვიყავი, რომ ამის თაობაზე ზოგიერთი ცნობა თვით თავად ჭავჭავაძის მეუღლისაგან მივიღე. ჩემ მიერ შეგროვილი მონაცემები საფრანგეთში გადავაგზავნე და, როგორც ჩანს, მათ ინტერესით მოეკიდნენ, რადგან დამევალა, ჩვენი ფაბრიკების ინტერესებიდან გამომდინარე, კვლავაც გამეგრძელებინა ამ მიმართულებით კვლევა-ძიება.

თავადის მიწებს მისივე ყმები (vassaux) ამუშავებენ და ამავე დროს, მცირე რაოდენობით - იმერელი გლეხებიც. პირველნი ვალდებულნი არიან კვირაში ერთი დღე თავიანთი ბატონისათვის იმუშაონ, დანარჩენ ხუთ დღეს კი ისინი თავიანთთვის მუშაობენ თავადისაგან იჯარით აღებულ მიწებზე. აქედან მიღებული მოსავლის მეშვიდედ ნაწილს თავადს უხდიან. გამოსაღების ეს ორი სახეობა ეკვივალენტურია რუს ყმა-გლეხთა (serfs) გადასახადისა, რომლებიც კვირაში სამ დღეს თავიანთი ბატონისათვის მუშაობენ, მაგრამ შეუძლიათ თავისთვისაც იმდენი მიწა დაამუშაონ, რამდენიც სურთ, ყოველგვარი სარგოს გაცემის გარეშე.

როდესაც თავადი ერთი წლით იღებს თავის სამსახურში მოჯამაგირეებს, იგი მათ წელიწადში 30 მანეთს უხდის ვერცხლით და აძლევს სარჩოს. ხოლო იმერლებს, რაგინდ საუკეთესო მუშებიც არ უნდა იყვნენ, 20 მანეთზე მეტს ვერცხლით არ აძლევს. უწინ იმერლები ხშირად ჩამოდიოდნენ ხოლმე სამუშაოდ, მაგრამ სამეგრელოსა (Mingrelie) და იმერეთის მემამულეთა მიერ თავიანთი გლეხების გაქცევის გამო წარდგენილი საჩივრების შედეგად, მათ საქართველოში უკვე აღარ იღებენ. ამ ღონისძიების საფუძველი გახლავთ ის, რომ ისედაც მცირედ დასახლებულ ამ ორ პროვინციაში გაჩნდა მოსახლეობის მკვეთრად კლების საშიშროება.

წინანდალში მოსავლის აღების პერიოდს შევესწარით. მარცვლეულს საქართველოში ნამგლით იღებენ. ამ სამუშაოს შესრულებისას გლეხები ერთმანეთს შეძახილებით ამხნევებენ. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ამ ტრადიციის შესახებ სამეგრელოსა და იმერეთში.

მარცვლეულის ლეწვის წესი საკმაოდ თავისებურია. ამ მიზნით გამოიყენება სამკუთხედის მსგავსი მოწყობილობა, რომელიც ექვსი-შვიდი ფუტის სიგრძისა და ორნახევარი ფუტის სიგანის სამი ფიცრისაგან არის გაკეთებული. ქვედა ნაწილში ბუდეში ჩასმული ქვებია მოთავსებული. ერთ-ერთ კუთხეში შეაბამენ ხარებს ან კამეჩებს, რომელთაც მარცვლეულის ძნებზე ატარებენ. სამკუთხედ ნაწილზე მამაკაცები და ბავშვები სხდებიან, რათა სიმძიმემ თავთავების გადაწვენა გააადვილოს[30].

განზრახული გვქონდა, წინანდლიდან თელავში[31] წავსულიყავით, ამ უკანასკნელი ქალაქიდან კი, გომბორის[32] (Gomboro) მთის გავლით, თბილისში დავბრუნებულიყავით და ორმოცდაათი ვერსის გავლა მოგვიხდებოდა. მაგრამ რადგან თავადმა დაგვარწმუნა, რომ ამ გზაზე ჩვენი „ბრიჩკა“ ვერ ივლიდა, ჩვენც დავეთანხმეთ მის შემოთავაზებას, რომ სასახლიდან მხოლოდ შვიდი ვერსით დაშორებულ თელავამდე მასთან ერთად წავსულიყავით, ხოლო ღამის გასათევად კვლავ წინანდალში დავბრუნებულიყავით.

წინანდალს, თელავსა და ამავე სახელწოდების მთელ მაზრას შორის მდებარე მხარე უმშვენიერესი ბუნებითა და ნაყოფიერი მიწებით გამოირჩევა. ჩამოვედით შემაღლებული პლატოდან, სადაც სასახლე იყო აშენებული და შემდეგ გადავლახეთ პატარა მდინარე, რომელიც ამ პლატოს ძირში მოედინებოდა. მისი კალაპოტის სიგანე ას ტუაზზე მეტია და აქ ურიცხვი რაოდენობის ქვებია დაგროვილი, რომლებიც მდინარეებს ჩამოაქვთ ხოლმე

მთებიდან. შემდეგ ულამაზეს ხეობაში შევედით, სადაც იყო მუხისა და კოპიტის ნარგავები, აგრეთვე ტყისთვის დამახასიათებელი სხვა ხეები, რომელთა უმრავლესობას ვაზი ჰქონდა შემოხვეული.

თელავი ალაზნიდან თხუთმეტ ვერსზე, მაღლობზეა გაშენებული. აქ ორასი თუ სამასი სახლია. გვხვდება გალავნის, კოშკებისა და ეკლესიების ნანგრევები. ძველად ის კახეთის მეორე ქალაქი იყო.

კომენდანტი თითქმის ნანგრევებად ქცეულ სასახლეში ცხოვრობს. აქ მთავარმართებელს ელოდნენ და მისთვის ის ოთახი მოემზადებინათ, სადაც მეფე ერეკლე გარდაიცვალა. იგი საქართველოს უკანასკნელი მეფის წინ ზეობდა და ცნობილი იყო თავისი ხანგრძლივი მეფობით, აგრეთვე მოვლენებით, რომლებმაც მას სახელი მოუხვეჭა და იმ გმირული შემართებით, რომელსაც იგი ავლენდა თავისი მტრების, განსაკუთრებოთ კი - სპარსელების მიმართ, ასე ხშირად რომ ესხმოდნენ თავს მის ქვეყანას. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მისივე ვაჟიშვილებს შორის ქვეყნის გადანაწილებამ მის ძლიერებას ყოველგვარი საფუძველი გამოაცალა. მიუხედავად იმისა, რომ იგი იძულებული იყო ჯერ ისევ ფერფლითა და ნანგრევებით დაფარულ თავის სატახტო ქალაქს გასცლოდა და მოშორებით, კახეთის სიღრმეში გახიზნულიყო, ორმოცდაათი წლის მანძილზე ის, მოხუცი მითრიდატეს[33] (Mithridate) მსგავსად, რომელსაც მას ზოგჯერ ადარებენ, მედგრად იცადა მრისხანე მტრებით გარშემორტყმულ, არც თუ ისე ვრცელ და ციხესიმაგრეებს მოკლებულ თავის სამშობლოს. ერეკლეს არასოდეს შეუწყვეტია ბრძოლა სპარსელების წინააღმდეგ და ხშირად დიდ წარმატებებსაც აღწევდა თავისი ხალხის მხარდაჭერით, რომელიც ძლივს თუ აღწევდა ორმოცდაათიოდე ათას სულს. როცა ხანდაზმულ ქართველ თავადებს ვხვდებოდი, რომლებიც ამ მეფის დროინდელ ომებში იღებდნენ მონაწილეობას, ისინი აღტაცებით მესაუბრებოდნენ ერეკლეს მიერ ბრძოლებში გამოჩენილ ჭეშმარიტ გმირობაზე.

მაიორი პიეტერსი (Pieters), რომელიც უკვე ექვსი თვეა, რაც თელავის მაზრას განაგებს, წარმოშობით ლივონელია (Livonien). იგი დიდი ხნის მანძილზე მონაწილეობდა ბრძოლებში და ბევრი ჭრილობაც აქვს მიღებული. თელავის მაზრაში მას უამრავი საქმე აქვს - იძულებულია ხშირ-ხშირად შემოიაროს ეს მხარე, სადაც ლეკები განუწყვეტლივ დათარეშობენ. მაიორი კარგი მონადირეა და, პოლკოვნიკ ერმოლოვის მსგავსად, მასაც პატარა სამხეცე აქვს მოწყობილი. ჩვენ დავათვალიერეთ ეს სამხეცე და ვნახეთ ორი პატარა მგელი: ისინი ეზოში იყვნენ დამწყვდეული და თავის დაღწევის მიზნით ამაოდ ცდილობდნენ კედლებზე გადაძრომას; მათ იმდენი ურბენიათ, რომ ერთი მათგანი თითქმის დასახიჩრებულიც კი იყო ამდენი წვალებისაგან. აქვე იყვნენ, აგრეთვე, ირემი, ფურ-ირემი, ძალიან პატარა ჯიშის თხა და ბოლოს - მელია და ტურა. ეს უკანასკნელი სიმკვირცხლითა და თავისი პატრონის მიმართ გამოვლენილი ალერსიანობით გამოირჩევა. ტურა დამწყვდეული არ იყო და თითქმის მთელ დროს თავის მეზობელ მელასთან ატარებდა, რომლის მიმართაც განსაკუთრებულ სიყვარულს ამჟღავნებდა. მელიაც ტურასავით ადვილად ვერ ეგუებოდა თავისუფლების დაკარგვას. ეს ორი ცხოველი დიდად ჰგვანან ერთმანეთს, განსხვავდებიან მხოლოდ თავისა და კუდის ფორმით. ორივეს

მტაცებლური ბუნება აქვთ, თუმცა, მელას უყვარს ახალი სისხლი და მაშინვე ჭამს თავის მსხვერპლს, ტურას კი ლეში ურჩევნია.

ტურა საქართველოში ძალზე გავრცელებულია. თბილისშიც კი გვესმოდა ღამღამობით ხოლმე ტურების გამგმირავი და გამაყრუებელი გამკივანი ხმა, რომელიც ბავშვის ყვირილს წააგავს. წაიკითხეთ ოლეარიუსთან[34] (Olearius), რას ამბობს იგი იმ დიდი შთაბეჭდილების შესახებ, რომელიც ამ ცხოველის კივილს მოუხდენია გრაფ ჰოლშტაინის (Holstein) საგანგებო ელჩის მდივანზე: დაღესტნის სანაპიროზე გემის დაღუპვის შემდეგ, მას გზა აბნევია ტყეში და იძულებული გამხდარა, ღამე ხეზე გაეთია. როცა დიდი ძებნის შემდეგ იგი უპოვიათ, თურმე სრულიად სერიოზულად ირწმუნებოდა, რომ ამ ცხოველების მთელი ხროვა უნახავს, რომელთაც გაბმულად ყმუოდნენ იმ ხის ქვეშ, სადაც იგი ყოფილა თავშეფარებული. ვერაფრით დაარწმუნეს, რომ იგი ცდებოდა, ვერც მისი განკურნება მოხერხდა ამ ჰალუცინაციისაგან და იგი ჭკუიდან შეიშალა; თუმცა ოლეარიუსი დასძენს, რომ მანამდე დიდად განათლებული და გონებაგახსნილი კაცი იყოო.

აქაურ ტყეებში ვხვდებით, აგრეთვე, წითურ, პატარა ტანის დათვებსაც. მაიორი იმედოვნებდა, რომ მალე თავის სამხეცეს ამ დათვსაც შემატებდა.

მაიორს გამოვემშვიდობეთ, დავბრუნდით თავად ჭავჭავაძესთან და დღის დარჩენილი ნაწილიც მასთან გავატარეთ. მეორე დღეს კი, დილაადრიან, დიდი სინანულით დავტოვეთ ეს თავაზიანი მასპინძელი. სადილად თავადმა თავის სოფელ მუკუზანში მიგვიპატიჟა. აქ მისმა მოურავმა (Intendant) მიგვიღო. სახლის ქვედა სართული ღვინის დასაწურ ფარდულად იყო გამოყენებული, აქვე იყო ღვინის შესანახი ქვევრებიც. წინანდლის ღვინოსთან შედარებით, მუკუზანის ღვინო ბევრად უარესად გვეჩვენა.

სადილობისას ერთმა თათარმა მუსიკოსმა რამდენიმე სიმღერა შეგვისრულა მანდოლინის მსგავსი ერთი უხეირო ინსტრუმენტის თანხლებით, რომელსაც ნაწლავისგან დამზადებული სიმების ნაცვლად კანაფის უბრალო ზონრები ჰქონდა გაბმული. იგი თურქულ ყაიდაზე, მუხლმორთხმული დაჯდა და უმალვე, რაღაც ენთუზიაზმით შეპყრობილმა, მეტად ამაღლებული ტონითა და მეტისმეტად არეულად დაიწყო სიმღერა. მღეროდა სულ ერთი და იგივე ჰანგზე, როგორც ეს ესპანეთშია მიღებული, ტექსტი იმპროვიზირებული იყო და ეხებოდა ყველა იმ სიძნელეებსა და ფათერაკებს, რომლებიც, მისი აზრით, თან სდევდა ჩვენს მოგზაურობას.

ამ სოფელშიც და სოფელ ვაქირშიც რამდენიმე ქართველი მოვიდა ჩვენს სანახავად. ისინი, თურმე, მამლუქებთან ერთად იბრძოდნენ ეგვიპტეში ჩვენი შეჭრის ხანებში. შემდეგ ტყვედ ჩავარდნილან, მაგრამ ფრანგები მათ იმდენად კარგად ექცეოდნენ, რომ ამ უკანასკნელთ ისინი დღესაც ქებით მოიხსენიებდნენ. ქართველებმა კმაყოფილება გამოხატეს ჩვენი ნახვის გამო და ჩვენს ენაზე რამდენიმე სიტყვაც გვითხრეს.

მუკუზანიდან ვაქირის გზაზე დადგომის ნაცვლად მარცხნივ შემოვბრუნდით; დიდი გაჭირვებით გავიარეთ ხეობები და ძალზე მაღალი, ულამაზესი ტყეებით შეფენილი მთები. დაახლოებით საღამოს შვიდი საათისათვის ჩავაღწიეთ სოფელ

ჭარში[35] (Dchary). იგი თავად ჭავჭავაძის დედის ძმას - ხანდაზმულ თავად ანდრონიკაშვილს ეკუთვნის. თავადი სულ ორიოდე წლის წინ დაბრუნებულიყო რუსეთიდან, სადაც დიდი ხნის მანძილზე მძევლად ჰყოლიათ. კახეთის ამბოხების დროს მისი სახლიც გადაუწვავთ და იგი ჯერაც არ იყო აღდგენილი. ამიტომ მან თავისთან ვერ მიგვიღო და მოურავთან მიგვიჩინა ბინა, თანაც გულისხმიერება გამოიჩინა და საღამოს მშვენიერი წითელი და თეთრი ღვინო, ასევე ჩვენთვის საჭირო სანოვაგეც გამოგვიგზავნა.

თავად ანდრონიკაშვილის სოფლის მიმდებარე ტერიტორიები მეტად ნაყოფიერია. ათი ვერსის დაშორებით კახეთის იმ ნაწილში შედიხართ, რომელიც გაშლილ ვაკეს წარმოადგენს. აქ არ არის ხეები და დიდი რაოდენობით მოჰყავთ მარცვლეული. დიდი გვალვის გამო ამ წელს ყველგან ცუდი მოსავალი იყო მოსალოდნელი და აქაც გვალვას ისე დაეზიანებინა მარცვლეული, რომ ეს მხარე დამთრგუნველ შთაბეჭდილებას ტოვებდა.

დამპალაში სადილად გავჩერდით, დასაძინებლად კი იმ სადარაჯო პოსტს მივაშურეთ, სადაც საქართველოს გრენადერთა პოლკის საჯინიბოები იყო განთავსებული. მეორე დღეს, დილაადრიან, უკვე მუხროვანის[36] (Moncravange) ბანაკში ვიყავით. ჩვენი ჩასვლის წინადღეს პოლკოვნიკ ერმოლოვის დღეობა აღუნიშნავთ და აქ რამდენიმე ჩვენი თბილისელი მეგობარი დაგვხვდა. ისინი რამდენიმე დღით პოლკოვნიკთან დროის გასატარებლად ჩამოსულიყვნენ.

ნასადილევს პოლკოვნიკმა სანადიროდ წაგვიყვანა. თან გამოგვყვა საკმაოდ ბევრი ოფიცერიც. ისინი ტყის გარშემო განლაგდნენ, დოლების ბრახუნით დაიწყეს ნადირის დაფრთხობა და მათი გარეკვა პატარა ხეობისაკენ, სადაც მონადირეები იყვნენ ჩასაფრებულნი. ბოლოს მხოლოდ ერთი შველის მოკვლა მოახერხეს, რომელიც ვახშმად მოგვიმზადეს.

მეორე დღეს, ნასადილევს, გავუდექით გზას და 1820 წლის 2 (14) ივლისს უკვე თბილისში გავათიეთ ღამე. რადგან იაკობ ხანთან ჩვენი ბინა უკვე დაეკავებინა კაპიტან ვილოკს (Willock) - თეირანში ინგლისის საქმეთა რწმუნებულის ძმას, რომელიც მოზდოკიდან ავადმყოფი ბრუნდებოდა, ჩვენ ასეთივე მოსახერხებელი ბინა ვიშოვეთ სომეხ თავად თუმანოვთან (Toumanoff), რომელსაც მრავალრიცხოვანი ოჯახი ჰყავდა. ჩვენ დიდად მადლიერი დავრჩით მისი.

ჩემი მოგზაურობის დროს მე ვისაუბრე ლეკების შესახებ. მკითხველი, ალბათ, მადლიერი იქნება, თუ ამ მეომარი ხალხის შესახებ ზოგიერთ ცნობას კიდევ მივაწვდი.

ლეკების ქვეყანას (მათ ასევე, ჩვეულებრივ, „ლეზგინებს“ უწოდებენ ხოლმე), აღმოსავლეთით ესაზღვრება დაღესტანი[37], სამხრეთით - ნუხა[38] (Noucha), ჩრდილოეთით იგი კავკასიის მაღალი მთების მიმართულებითაა გადაჭიმული, ხოლო კახეთისაგან მას მდინარე ალაზანი ჰყოფს, რომელიც მინგეჩაურიდან[39] (Mingatchaour) ოდნავ ზემოთ ერთვის მტკვარს.

ეს მხარე ყურადღებას იქცევს მთების, ხეობებისა და დაბლობების ხელსაყრელი მონაცვლეობით, დიდრონი ხეებით, რომლებითაც ის მოფენილია,

მეტისმეტად ნაყოფიერი მიწებით, ხილის უხვი მოსავლით და უამრავი წყა-როებით. აქაური ჰაერი მეტად ჯანსაღია, მაგრამ მიუხედავად ამ უპირატე-სობისა, ეს მხარე მაინც ღარიბია, რადგან აქ არც ვაჭრობა წარმოებს და არც ადგილობრივი პროდუქციის გასაღების ბაზარი არსებობს.

გარეგნულად ლეკი უფრო დაბალი ტანისა და ნაკლებად ლამაზია, ვიდრე ქართველი, თუმცა სახე საკმაოდ სიმეტრიული აქვს, ცხვირი სწორი და წვეტიანი, თვალები შავი და გამოხედვა - მკაცრი. ბუნებით თავშეკავებული და ზარმაცი, იგი ყაჩაღობითა და მიწების დამუშავებით ცხოვრობს. თუ ლეკებს ევროპის რომელიმე ხალხს შევადარებთ, მსგავსებას კორსიკის, უფრო კი - სარდინიის მთიელებთან ვიპოვით.

მტკვრის მარცხნივ მდებარე მთელი ეს მხარე წარსულში ლეკების სათარეშო ასპარეზი იყო, დღეს კი ეს იშვიათად ხდება ნუხასა და კახეთში.

თუკი ლეკები უკვე ისე ხშირად აღარ იტაცებენ რუს სამხედროებს, რომლებიც თავის მხრივ, ერიდებიან დასახლებულ პუნქტებში დაბანაკებას, ეს იმდენად რუსების მიერ შთაგონებული შიშის გამო კი არ ხდება, რამდენადაც იმ მიზეზით, რომ ლეკები მათგან ვერავითარ გამოსასყიდს ვერ იღებენ. ერთი ქართველის ან სომხის გამოსასყიდი, მისი შესაძლებლობიდან გამომდინარე, მერყეობს 400-დან 1 200 მანეთამდე ვერცხლით (1 600-დან 2 400 ფრანკამდე). ამრიგად, ეს ავაზაკობა, რომელიც ლეკებისათვის ღირსების საქმე და თანა-მოძმეთა შორის პატივისცემის დამსახურების საშუალებაა, ამავე დროს მეტად შემოსავლიანიც არის.

იმის ნათელსაყოფად, თუ რა განსხვავებაა კავკასიის ორ ხალხს - ჩერქეზებსა და ლეკებს - შორის, რომლებიც თანაბრად არიან მიდრეკილნი ავაზაკობისადმი, ვიტყვი, რომ თუ ჩერქეზს ტყვეების მოხელთების შემდეგ უკან დაედევნებიან და მათი წაყვანის საშუალებას არ მისცემენ, იგი ყოველგვარი ზიანის მიყენების გარეშე მიატოვებს თავის ნადავლს; ლეკი კი თავის ტყვეებს ისე არ შეელევა, თუ მარჯვენა ხელს არ მოჰკვეთს, რომელსაც თავის სოფელში წაიღებს და, როგორც ნადავლს, საკუთარი სახლის კარზე ჩამოკიდებს.

თუ ლეკს ბრძოლაში მოკლავს რუსი ან ქართველი და თუ მკვლელის ვინაობა გაირკვევა, მაშინ მოკლულის ნათესავი ან მეგობარი ფიცს დებს, რომ შურს იძიებს მკვლელზე. სისხლის მაძიებელი ლეკი ტოვებს ოჯახს, სოფელს და მტერს ჩაუსაფრდება იმ გზაზე, სადაც ამ უკანასკნელმა ადრე თუ გვიან უნდა გამოიაროს. ლეკს პატარა ჩანთით თან მიაქვს ფქვილი და „შამტუხა“ ცხვრის სამი-ოთხი დუმა. ამ სანოვაგითა და თავისი ნაბდით (bourca), რომელიც დასაწოლად სჭირდება, იგი თავის სამალავს არ ტოვებს, სანამ სურსათი არ შემოელევა. შემდეგ იგი სასწრაფოდ მიაშურებს სოფელს სურსათის მარაგის შესავსებად და კვლავ უბრუნდება თავის პოსტს იმ დრომდე, ვიდრე შურს არ იძიებს, ან ვიდრე არ დარწმუნდება, რომ მოწინააღმდეგე ქვეყნიდან გადაიხვეწა.

ლეკები სათარეშოდ ყოველთვის მხოლოდ რამდენიმე კაცის შემადგენლობით როდი მიდიოდნენ: ხშირად მთელი ბრბო ესხმოდა ხოლმე საქართველოსა თუ სპარსეთის ქალაქებს გასაძარცვად. გასულ საუკუნეში ამ მთიელებმა არაერთხელ ააოხრეს შემახა (Chamakhi) და არდებილი[40] (Ardebyl).

ლეკების ამგვარი ბუნების გამო, მეზობლები ყოველთვის ცდილობდნენ, მათთან კეთილგანწყობილი ურთიერთობა ჰქონოდათ: ისინი სიამოვნებით მიდიან დაქირავებულ მებრძოლებად და სულაც არ აწუხებთ, ქრისტიანის სამსახურში იქნებიან თუ მუსლიმისა. სხვადასხვა დროს ლეკები შედიოდნენ თურქების, სპარსელებისა და ქართველების ჯარების შემადგენლობაში. ხანდაზმულ ერეკლეს თავისი მეფობის უკანასკნელ წლებში ყოველთვის ჰყავდა ლეკები თავის სამსახურში: რადგანაც მეფე ხშირად ვერ ახერხებდა მათთვის კუთვნილი გასამრჯელოს მიცემას, ხოლო თავადები უარს აცხადებდნენ მეფის მიერ ამ მიზნით დაწესებული გადასახადების გადახდაზე, მეფე მათთან აგზავნიდა გარკვეული რაოდენობის ლეკებს, რომლებიც ამ თავადებთან რჩებოდნენ მანამდე, ვიდრე ისინი ამ გადასახადს არ გადაიხდიდნენ. ეს საკმაოდ უცნაური ფაქტი გვიჩვენებს, რომ გადასახადის იძულებით ამოღების ეს ფორმა ახალი გამონაგონი როდია და რომ ყველა ქვეყნის ხელისუფლება იყენებს გადასახადის აკრეფის ამგვარივე ძალადობრივ მეთოდებს და შედეგებიც იგივეა.

ლეკების შესახებ ცნობების შესავსებად მიზანშეწონილად მიმაჩნია აქვე მოვიტანო ერთი სწავლულის სტატია, რომელიც კარგად იცნობდა ამ ხალხით დასახლებულ მხარეს([15]):

„ალაზნის (ძველად - ალაქსონ ველ ლებას Alaxone vel Lebas), თათრულად - ყანისუს (Canichu) მარცხენა ნაპირზე ჩამოვიტოვეთ კახეთი, ჩავყევით ამ მდინარეს და ბოლო ქართული სოფელი, რომელიც შემოგვხვდა, იყო გავაზი[41] (Gavaze); აქედან მოყოლებული, დაახლოებით სამოცი ვერსის მანძილზე, მიტოვებულ მხარეში მივდიოდით, სადაც ჯერ კიდევ ჩანდა ძველი ნასახლარები. ეს ოდესღაც მართლაც მშვენიერი მხარე ქართველებით ყოფილა დასახლებული, მაგრამ ლეკების თარეშის შედეგად განადგურებულა. დღეს დიდოეთისა (Didoizy) და გონზუკურის[42] (Conzoukoory) ლეკებს აქ თავიანთი ფარა მოჰყავთ ზამთრობით, როცა მთები თოვლით იფარება. ზაფხულში კი ეს ავაზაკების თავშეყრის ადგილია, სადაც ისინი იკრიბებიან კახეთში, განსაკუთრებით კი - ქიზიყში სათარეშოდ წასასვლელად.

მთებისაკენ სხვადასხვა ბილიკი მიემართება. ლეკების პირველი სოფლის - ბელაქნის (Belakany) გზაზე ძველი ქართული ნასოფლარებია შემდეგი თანმიმდევრობით:

პირველი - ყარსუბანი (Cartoubany), თექვსმეტი ვერსი;

მეორე - ლაგოდეხი (Lagodechi), თორმეტი ვერსი;

მესამე - ჭიაური (Tschiaoury), ათი ვერსი;

მეოთხე - მეზემი (Mezemi), ანუ ფერიყალა (Perikala), შვიდი ვერსი;

დაბოლოს - ბელაქანი, თხუთმეტი ვერსი.

ბელაქნიდან მდინარე ყაფი-ჩაიმდე (Capits-chay), რომელიც ელისუს[43] სულტნის სამფლობელოების (Etats du sultan d'Elisouy) საზღვარია, კავკასიის

([15]) სტატია გადავეცი ბ-ნებს ეირისა (Éyries) და მალტ-ბრუნს (Malte-Brun), რომლებმაც ის „ანალებში" შეიტანეს.

მთებსა და მდინარე ალაზანს შორის მდებარე დაბლობი ლეკებს ეკუთვნის. მათი მთავარი სოფლებია: ბელაქანი, წაბლოვანი (Sablouany), კატეხი (Katechy), ყაფისდარა (Kapiz-Dora), ყარაჯალი (Caradjilli), მაწეხი (Mezechi), გოგამი (Gogami), ჭარი (Tschory) ზაქათალასთან (Zacatali) ერთად, თალა (Tala), მუხახი (Mouchachki), ჩარდახი (Tscherdachki), საპუნჩი (Sapintschi), ალიასკარი (Aliascari), მამრეხი (Mamrichki), ჯინიხი (Djenihki) და ა.შ.

ამ სოფლების ერთი ნაწილი მთების მიერ შექმნილ ხეობებშია, მეორე კი - დაბლობზე. საკუთრივ ლეკები მთებში ცხოვრობენ, ხოლო ალაზანთან ახლოს თათრები ბინადრობენ, რომლებიც გამუსლიმებული ქართველების მსგავსად, ლეკების ქვეშევრდომნი არიან. ამ ქართველებს ინგილოებს (Ingalos), ანუ ახლებს, ე. ი - ცოტა ხნის წინათ რჯულშეცვლილთ უწოდებენ.[44]

თათრები[45] ბორჩალოს (Bortschaly), ყაზახის (Kazachk) და შამშადილის (Schamschadit) ხიზნები არიან, რომლებიც რუსებისადმი სიძულვილს თუ ჩადენილი დანაშაულისათვის მოსალოდნელ სასჯელს გამოექცნენ, ლეკებთან შეაფარეს თავი და მათი ყმები გახდნენ. დღეს მთავრობას მეტი ძალა და დროც აქვს იმისთვის, რომ ლეკებს ხიზნების შეფარება აუკრძალოს, ასე რომ იგი ალბათ აუკრძალავს ლეკებს ხიზნების შეფარებას.

მმართველობის შესახებ

ლეკები ჭეშმარიტად თავისუფალნი არიან: მათ არ ჰყავთ არც ბეგები (bechks),), არც მთავრები. მართალია, ისინი თავს რუსეთის ქვეშევრდომებად აღიარებენ, იხდიან მსუბუქ გადასახადს აბრეშუმითა და ფულით, მაგრამ მმართველობისათვის საკუთარ კანონებს იყენებენ. თითოეული სოფელი ღირსეულთა შორის ყველაზე პატივცემულ კაცს ირჩევს, ზოგჯერ კი, მოსახლეობის რაოდენობის შესაბამისად, ერთზე მეტსაც ირჩევენ. მას ქევხას[46] (Kemchki) უწოდებენ და მის მოვალეობაში შედის მმართველობასა და მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული ყველა საკითხის მოგვარება. ეს მაგისტრები ყოველ წელს ინიშნებიან საერთო თავყრილობაზე, რომელსაც „ჯამაათი“[47] (djamate) ეწოდება. თუკი ისინი თავიანთი უმწიკვლო საქმიანობით, უფრო ხშირად კი - ცბიერებით, ხალხის სიყვარულს დაიმსახურებენ, მაშინ ამ თანამდებობაზე რჩებიან არამარტო მთელი სიცოცხლის განმავლობაში, არამედ მემკვიდრეობითაც ინარჩუნებენ მას საკუთარი საგვარეულოსთვის. სიმდიდრეს, მრავარიცხოვან ოჯახს, კავშირებს, ხანდაზმულობასა და სიმამაცეს დიდი წონა აქვს ჯამაათში.

ზედმეტი არ იქნება იმის აღნიშვნა, რომ დღეისათვის რუსეთის მთავრობა ზემოქმედებას ახდენს ამ არჩევანზე და იმ შემთხვევაში, თუ ხალხის რჩეული ნაკლებად ამჟღავნებს ერთგულებას რუსეთის ხელისუფლებისადმი, ეს უკანასკნელი აიძულებს ხალხს, შეცვალოს თავისი რჩეული და მიუთითებს იმ პიროვნებაზე, ვინც მისი ადგილი უნდა დაიკავოს. ასე მაგალითად, გენერალ-მაიორმა, თავადმა ერისთავმა (Eristoff) ბელაქნის ქევხი შეცვალა და ხალხის ნების გარეშე თავად დანიშნა ახალი.[48] ქევხი და რამდენიმე საპატიო უხუცესი ყოველდღიურად

იკრიბებიან მეჩეთთან ადგილობრივ მცხოვრებთა შორის არსებული სადავო საკითხების განსასჯელად, რუსებისაგან მიღებული დოკუმენტების გასაცნობად და ა.შ. მიღებული გადაწყვეტილებების ტექსტს ადგენს და ბეჭდით ამოწმებს მწერალი, რომელსაც „დიბირია“ (dibiria) ეწოდება. პატარა სოფლებში ამ მოვალეობას „მოლა“ (mollah) ასრულებს. თუ საქმე დიდმნიშვნელოვანია, ელოდებიან პარასკევ დღეს და მთელი თემის წინაშე განიხილავენ მას. ხშირად პატარა სოფლები თავიანთ სადავო საკითხებს ყველაზე დიდ და მდიდარ სოფლების ჯამაათებს წარუდგენენ ხოლმე განსახილველად და მათ გადაწყვეტილებებს ემორჩილებიან: ასეთი პატივით ყველაზე მეტად ჭარი სარგებლობს.

როცა განსახილველი საკითხი ყველა თემს შეეხება, მაშინ ტარდება ყველა ქევხისა და სხვა რჩეულ პირთა საერთო შეკრება მუხახსა და ჩარდახს შორის მდებარე ადგილას, რომელსაც აღდამი (Achkdam) ეწოდება. აქ იხილება ომის, მშვიდობისა და ფინანსების საკითხები. ამავე დროს, ზოგჯერ აქ იკრიბებიან იმისათვისაც, რომ მოაგვარონ თემებს შორის არსებული სადავო საკითხები, ან აღკვეთონ სოფლებს შორის წარმოქმნილი უთანხმოება.

ყაჩაღობასა და მკვლელობაში ეჭვმიტანილი უნდა წარსდგეს თავისი სოფლის ჯამაათის წინაშე, სადაც მის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე გაამართლებენ, ან სასჯელს მიუსჯიან. ჩადენილი დანაშაულიდან გამომდინარე, სასჯელი ითვალისწინებს ჯარიმას ან სიკვდილით დასჯას. თუ მკვლელობაში მხილებული ლეკი ჯამაათის წინაშე არ წარსდგება და გაიქცევა, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, მაშინ მას დაუსწრებლად ასამართლებენ: სიკვდილს მიუსჯიან, სახლს დაუნგრევენ ან ბაღებს გაუნადგურებენ. შურისძიება მოვალეობაა, სისხლი სისხლი წილ უნდა იქნეს აღებული. ამ პრინციპის საფუძველზე, კაცი, რომელიც ნათესავის ან მეგობრის (ყონაღის - konac) მოკვლის საპასუხოდ, სისხლის აღების მიზნით ჩაიდენს მკვლელობას, უდანაშაულოა. საზოგადოების მიერ ისჯება მხოლოდ ის მკვლელი, რომლის მიზანსაც არ წარმოადგენდა სისხლის აღება.

ერთი შეხედვით, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ასეთი დაუსჯელობიდან გამომდინარე, მკვლელობის შემთხვევები ხშირი უნდა იყოს; მაგრამ, საშუალოდ, ეს ისევე იშვიათია, როგორც ჩვენთან, ცივილიზებულ ქვეყნებში. შიში იმისა, რომ მტრად გადაიკიდებენ მოკლულის მთელ ნათესაობას და მეგობრებს, ამასთანავე – რწმენაც, რომ ადრე თუ გვიან მაინც ვერ გაექცევიან მათ მიერ დადებულ ხაფანგს (რადგანაც სისხლის ასაღებად ყველანაირი საშუალება გამოიყენება), ისეთივე ლაგამის როლს ასრულებს, როგორც ჩვენი კანონმდებლობის სიმკაცრე.

ასეთივე სიმკაცრით ისჯება მრუშობაც. ქმარს, რომელიც ცოლს დანაშაულის ადგილზე წაასწრებს, უფლება აქვს, ადგილზევე მოკლას ცოლიც და მისი საყვარელიც. ხოლო თუკი ქმარი საჩივრით წარსდგება ჯამაათის წინაშე, მხილებულ ცოლს ქვებით ჩაქოლავენ, საყვარელს კი თოფით მოკლავენ.

უხუცესნი თუ ქევხები, რომლებიც ჯამაათში შედიან, საქმის გარჩევის დროს ფეხმორთხმით სხდებიან და ადგილის დაკავებისას მკაცრად იცავენ ეტიკეტს. ახალგაზრდები, რომელთაც ასევე აქვთ აქ დასწრების უფლება, მათ უკან ფეხზე დგანან და ეყრდნობიან თავიანთ თოფებს ან კიდევ დიდ ხის ჯოხებს, რომლებიც

მუდმივად ხელთ აქვთ, როცა შეიარაღებულნი არ არიან. უხუცესი, ანუ ის, ვისაც საკითხი განსახილველად გამოაქვს, ჯამაათს აცნობს საქმის ვითარებას. თუ საკითხი შეეხება რუსეთის მთავრობის რომელიმე მოთხოვნას, უხუცესი ჯამაათს აუწყებს ამის თაობაზე და თან დოკუმენტს წარუდგენს. უფროსობის რანგის მიხედვით, თითოეული სიტყვით გამოდის და თავის აზრს გამოთქვამს. გასაგებია, რომ ასეთ წესრიგს დიდხანს ვერ დაიცავენ: სულ მალე იწყება აყალმაყალი, ხმაური და ყვირილიც თანდათან შემზარავი ხდება. ახალგაზრდები, რომლებიც მოჭარბებული ყოველთვის რადიკალიზმით გამოირჩევიან გამოირჩევიან, ილაშქრებენ მოხუცთა მიერ გამოჩენილი სიფრთხილის წინააღმდეგ: ხშირად ტყდება ჩხუბი, ზოგჯერ სისხლიც კი იღვრება. ის, ვინც თავს დამნაშავედ გრძნობს, განსაკუთრებით კი - ის, ვისაც რუსეთის მთავრობა ეჭვის თვალით უყურებს, ყველანაირი საშუალების გამოყენებით ცდილობს, რაც შეიძლება მეტი მომხრე გაიჩინოს ახალგაზრდებს შორის. საჭიროების შემთხვევაში ისინი მას ჯამაათის მართლმსაჯულებისგან დაიცავენ. სწორედ ასეთი რამ მოხდა 1822 წელს, რასაც შედეგად მოჰყვა კატეხის (Katechy), ყაფისდარასა (Kapiz-Dara) და სხვათა განადგურება: რუსეთის მთავრობამ მოითხოვა დასასჯელად გადაეცათ გენერალ ერისთავის წარგზავნილთა შეურაცხმყოფელნი. შეკრებილმა ჯამაათმა თანხმობა განაცხადა ამ ბრძანების შესრულებაზე, მაგრამ ახალგაზრდობა არ დაეთანხმა ამ გადაწყვეტილებას: „როგორ ჩავუგდოთ ხელში ურწმუნოებს მართლმორწმუნე მუსლიმები? როგორ შევირცხვინოთ თავი ამ ზომამდე?“ - ცხარობდნენ ისინი. მათ გააუქმეს ჯამაათის გადაწყვეტილება და რუსები იძულებულნი გახდნენ, იარაღის ძალით შეეპყრათ დამნაშავენი.

ისინი მიმოწერას არაბულ ენაზე აწარმოებენ, ჯამაათთან სასაუბროდ კი იყენებენ თათრულ ენას, რომელსაც „თურქულს“ (turki) უწოდებენ, თუმცა სინამდვილეში ეს ამ ენის სხვადასხვა და თავისებური დიალექტების ნაზავია.

შემოსავალი, ვაჭრობა და ა. შ.

ქვეყანა ძალზე ნაყოფიერია. აქ უხვად მოდის ყველანაირი ჯიშის ხილი, რომელსაც ლეკები საზამთროდ ინახავენ. დიდი რაოდენობით მოჰყავთ ყურძენიც, მაგრამ ღვინოს არ აყენებენ, რამდენადაც ეს სასმელი მათთვის აკრძალულია. სამაგიეროდ, აკეთებენ „ბუზას“ (buza - მოხარშული ღვინის სახეობა), რომელიც დასალევად მეტისმეტად მაგარია. ბუზასაგან იღებენ კარგ ძმარს.

აქ უხვად მოდის ყველანაირი ჯიშის მარცვლეული, ბრინჯი, ზოგიერთ ოლქში კი - ბამბაც. დიდ ყურადღებას აქცევენ თუთის ხის მოშენებას და კარგადაც უვლიან მას. ვინაიდან აბრეშუმის ჭია არ მოითხოვს ისეთ დიდ გარჯას, როგორც მარცვლეული კულტურები და თანაც გაცილებით მეტ მოგებასაც იძლევა, ამიტომ ეს არის მათი სიზარმაცისა და, ამავე დროს - სიმდიდრის წყარო. აბრეშუმს, ძირითადად, სომხები ყიდულობენ, რომლებიც მის შესაძენად ადგილზევე მოდიან. მარცვლეული და ბრინჯი კი თავიანთი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მოჰყავთ, თუმცა მცირე რაოდენობით მაინც გააქვთ მთებში ლევორძელ (Levorzi) და სხვა ლეკებთან, რომლებიც საქართველოში გლონკადორძის (Glonkadorzy) საერთო სახელწოდებით არიან

ცნობილნი. თბილისსა და საქართველოს სხვა მაზრებში დიდი რაოდენობით იგზავნება ხილი: ვაშლი, მსხალი, წაბლი, კაკალი და სხ.

მოუსავლიანობისა და რუსეთის მთავრობის მიერ მარცვლეულის მოულოდნელად მოთხოვნის შემთხვევაში (როგორც ეს 1821 წელს მოხდა), ლეკები თავიანთ ქვეშევრდომ ინგილოებს მიმართავენ, რომელთა გაღატაკებაც მათ სრულებითაც არ ენაღვლებათ.

ლეკები მისდევენ აგრეთვე პირუტყვის მოშენებასაც. უპირატესობას ანიჭებენ ცხვრებს, შემდეგ კი - კამეჩებს. ხარები აქ თითქმის არ არის, ან ძალზე ცოტაა.

ყველაფერი, რაც ლეკებს ჩასაცმელად ესაჭიროებათ, ნუხადან ან საქართველოდან შემოაქვთ. ზოგჯერ ისინი თავად მიემგზავრებიან შესაძენად, უფრო ხშირად კი სომხებს ჩამოაქვთ. ისინი აწარმოებენ უხეშ მაუდს, რომელიც საქართველოში ლეკური მაუდის სახელით არის ცნობილი. მას ადგილობრივი ცხვრის მატყლისაგან ამზადებენ. ამ სამუშაოს ქალები ასრულებენ შემოდგომასა და ზამთარში; ისინი აგრეთვე ქსოვენ ხალიჩებს, რომლებსაც სახლის მოსართავადაც იყენებენ და ყიდიან კიდეც. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ მთებში მოქსოვილი ხალიჩები გამოირჩევიან ფერთა სიკაშკაშით და სიიაფით, სხვა მხრივ კი ისინი სრულიად უგემოვნოა.

მათი ცხოვრების წესის შესახებ

უქმად ყოფნა ლეკისათვის უმთავრესი ბედნიერებაა. თუკი მას უშრომლად შეუძლია ცხოვრება, იგი უბედნიერესია და სულ ამით მოაქვს თავი. მათი ცოლები კი პირიქით, მეტისმეტად შრომისმოყვარენი არიან და სახლშიც ყველაზე მძიმე სამუშაოს ასრულებენ. სპარსელი ქალებისაგან განსხვავებით, ისინი არც სახეს იფარავენ პირბადით და არც უცხოელებს ემალებიან.

როდესაც ქმარი მგზავრობიდან ბრუნდება, ცოლის მოვალეობაა, ჩამოართვას მას ცხენი, შეიყვანოს თავლაში, შემდეგ დაეხმაროს ქმარს ტანსაცმლის გახდაში: იგი მის მიმართ უფრო მსახურის მოვალეობას ასრულებს, ვიდრე ცოლისას.

თუ ლეკთან უცხო სტუმრები მოდიან, მათაც მისმა ცოლმა უნდა ჩამოართვას ცხენები და მოუაროს. ასევე ჩამოართმევს იგი იარაღსაც, რაც იმის ნიშანია, რომ უცხოელს ამ სახლში არავითარი საშიშროება არ ელის და რომ მას სტუმართმოყვარეობის ადათი იცავს. ამ დროიდან სახლის პატრონი და ყველა მისი ახლობელი მზად არის, საკუთარი სიცოცხლის ფასად, ვინმეს მხრიდან სტუმრის ოდნავ შეურაცხყოფაც კი არ დაუშვას. როცა სტუმარი წასვლას დააპირებს, სახლის პატრონი ან მისი ერთ-ერთი ნათესავი უახლოეს სოფლამდე მიაცილებს ხოლმე მას.

ლეკების სახლები ქვით არის ნაშენი, გადახურულია მაღალი ისლის სახურავით, სადაც აბრეშუმის ჭიები ჰყავთ დაბინავებული. ზოგიერთები ცხოვრობენ ძალზე მაღალ კოშკებში, საიდანაც მშვენივრად იცავენ თავს მტრებისაგან. იატაკზე აგებენ ხალიჩებს. კედლებში გაკეთებული ნიშები გამოტენილია ბალიშებით, ლეიბებითა და საბნებით. მდიდრების საცხოვრებელი ზოგჯერ

ქაშანურისა და მინის ჭურჭლით არის მორთული, მაგრამ მათ არ გააჩნიათ არც სკამი და არც მაგიდა, საჭმელად სხდებიან იატაკზე.

ლეკებს ფანჯრებში არა აქვთ მინები. რადგანაც არ იციან ფანჯრებში შუშის ჩასმა, ცუდი ამინდის დროს, დღისითაც მათ დარაბების დახურვა და ცეცხლის დანთება უხდებათ. ამასთანავე, არც დარაბები და არც კარები კარგად არ იხურება. საჭმელი ძალზე უბრალოა, მაგრამ უხვად აქვთ; ჩანგლებსა და კოვზებს კი არ ხმარობენ, ჭამენ ხელებით. მათი ჩვეულებრივი სადილია ფლავი, შემწვარი ხორცი, დაშაშხული ცხვრის ხორცი, წვნიანი, ერბო-კვერცხი და ძმარში დამწნილებული სხვადასხვა ბოსტნეული. ჭამას იწყებენ ხილით; წყალი და ბუზა (ანუ მოხარშული, გაღვივებული ღვინო) ერთადერთი სასმელია, რომელიც სუფრაზე გამოაქვთ.

ლეკები მუსლიმები არიან, სუნიტების (Sunnis) და ომარის (Omar) სექტის[49] მიმდევრები. მათ მოლებს წყვილთა დაქორწინების უფლება აქვთ და ერთადერთს, რასაც მათგან მოითხოვენ, ეს არაბული ენის ცოდნა გახლავთ. მექაში (Mecque) მოგზაურობა, ყველა კეთილმორწმუნე მუსლიმის სურვილი, ზოგიერთ მოხუც ლეკს განუხორციელებია კიდეც. ასეთ მოხუცებს განასხვავებენ ქუდზე შემოხვეული თეთრი სახვევით. ისინი ჰაჯის[50] (hadgy) წოდებას ატარებენ და მათ დიდი პატივით ეპყრობიან.

მოსახლეობის, სამხედრო ძალებისა და იმ გადასახადების შესახებ, რომელთაც ისინი რუსებს უხდიან:

მოსახლეობის რაოდენობის ზუსტად განსაზღვრა რთულია, ვინაიდან ეს ლეკებმა თავადაც არ იციან. ზემოთ დასახელებულ სოფლებში საკუთრივ ლეკურ ოჯახების რაოდენობას ხუთი ათას ხუთასიდან ხუთი ათას ექვსასამდე ანგარიშობენ, რაც, ჩემი გამოთვლებით, ოცდაშვიდი ათას ხუთას ან ოცდარვა ათას სულს შეადგენს. საჭიროების შემთხვევაში საომრად გამოსვლა შეუძლია არა უმეტეს ექვსი ათას კაცს (გარდა ინგილოებისა, რადგან მათი ერთგულების იმედი არ აქვთ). ისინი კარგად არიან შეიარაღებულნი და დღემდე მამაცების რეპუტაციით სარგებლობენ.

მთელი მათი გადასახადი ათ ბათმან (batman) აბრეშუმს შეადგენს (ბათმანი ეკვივალენტურია ექვსი ოყისა[51] - (ocque), რაც უდრის რუსეთის თვრამეტ გირვანქას). მაგრამ გენერალი ერისთავი, რომელსაც არ უნდოდა აბრეშუმის ბეგარის აღებით შეეწუხებინა თავი, თანაც სურდა რუსეთის სახელმწიფოსათვის სარგებელი მოეტანა, დღეს ლეკებს ამ გადასახადს ფულადი სახით ახდევინებს, რაც შეადგენს წელიწადში 8400 მანეთს ვერცხლით.

ინგილოების შესახებ

ინგილოები ის ბედკრული ქართველები არიან, რომელთაც არ მოისურვეს თავიანთი სახლ-კარის მიტოვება, როცა ამ ქვეყანას ლეკები დაეპატრონენ. ინგილოები ქრისტიანები იყვნენ, მაგრამ შემდგომში მათ იძულებით მიაღებინეს ისლამი. ისინი დღესაც მუსლიმებად რჩებიან და იმავე სექტას მიეკუთვნებიან, რომლის მიმდევრებიც მათი ბატონები არიან. მაგრამ ძველი წეს-ჩვეულებები ასე

ადვილად არ ქრება და, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ერთ საუკუნეზე მეტია, რაც ინგილოები ლეკების ქვეშევრდომნი არიან, ტრადიციამ მათ მაინც შეუნარჩუნა მეხსიერებაში ძველი სარწმუნოება, რომლის ზოგიერთ წესსაც ისინი საიდუმლოდ ასრულებენ. საუბრობენ ქართულად და როგორც მარწმუნებდნენ, დღესაც კი ბევრი მათგანი მალულად მიდის კახეთში ბავშვების მოსანათლად და საზიარებლად. ვაი იმას, ვინც ამგვარ ბოროტმოქმედებაში იქნება მხილებული! მთელი მისი ქონება და მრავალი წლის ნაოფლარ-ნაჯაფი არ ეყოფა ფანატიზმით შეპყრობილი ბარბაროსი ბატონის გაუმაძღრობას. ლეკებმა იციან, რომ ინგილოები ჯერ კიდევ მისდევენ ძველ წეს-ჩვეულებებს, ამიტომაც მუდმივად უდარაჯებენ მათ და სულ მცირეოდენი გადაცდომისათვის დიდი ჯარიმით სჯიან. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რაოდენ სავალალოა ინგილოების მდგომარეობა. საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ ისინი მორჩილებით იტანენ ამ ბარბაროსთა ჭირვეულობას.

ლეკები, რომლებიც თავიანთ თავს მიწების ერთადერთ მესაკუთრედ მიიჩნევენ, ინგილოებისაგან მოსავლის მესამედს ითხოვენ. ბატონის ნებართვის გარეშე ინგილოს არ შეუძლია თავისი ვაჟის ან ასულის დაქორწინება. როცა ნებართვა მიღებულია, საცოლისა და საქმროს ოჯახები ვალდებულნი არიან თავიანთი ქონების შესაბამისი გადასახადი გადაიხადონ, რომელიც ზოგჯერ 50 დუკატსაც აღემატება. არსებობს, აგრეთვე, ასეთივე სახის სხვა მრავალი ვალდებულებაც, მაგრამ ყველაზე მძიმე და საშინელი ის არის, როცა მათი ბატონი მრავალრიცხოვანი მეგობრებისა და მსახურთა თანხლებით მათთან მობრძანდება: ინგილოები ვალდებულნი არიან გამოკვებონ და მზამზარეულზე აცხოვრონ ბატონი და მისი თანმხლები პირები. ბატონი იმდენ ხანს რჩება, რამდენიც მოესურვება, წასვლისას კი სახლიდან მიაქვს ყველაფერი, რაც მოეწონება.

გადასახადები, განსაკუთრებით კი ხორბალი, რომელსაც რუსები ლეკებისაგან მოითხოვენ, ყოველთვის მძიმე ტვირთად აწვა ამ საცოდავებსაც და ლეკების ქვეშევრდომ თათრებსაც, რომელთა შესახებაც ზემოთ ვისაუბრე. ჯამაათებმა ეს გადასახადი გადაინაწილეს და მისი ნატურით ასაკრეფად ინგილოებთან იასაულებს (isaouls) აგზავნიან. ეს უკანასკნელნი კი მათ ყოველნაირად ავიწროვებენ. საცოდავი ინგილოები ვეღარ უძლებენ ამდენ ტანჯვას, ზოგჯერ ტოვებენ თავიანთ სახლ-კარს და თავს აფარებენ ელისუს სულტანს, თუმცა აქაც იგივე ხვედრი ელით.

თუკი ოდესმე რუსეთის მთავრობა მტკიცედ მოიკიდებს ფეხს ამ ადგილებში, ეჭვს გარეშეა, ლეკებს ჩამოართმევს ინგილოებზე ბატონობის უფლებას და მაშინ განთავისუფლებული ინგილოები სიხარულით დაუბრუნდებიან ქრისტიანობას.

ამის შედეგად ინგილოები გახდებიან ნაყოფიერი მიწების მფლობელნი, აღარ იქნებიან დაჩაგრულნი და ბევრად უფრო შრომისმოყვარენი გახდებიან, ვიდრე სხვა ქართველები. ისინი მდიდრულად თუ არა, ყოველ შემთხვევაში, უზრუნველ-ყოფილად მაინც იცხოვრებენ. ყოველივე ამის შედეგად კი ამ მხარეში დაგროვ-დება დიდძალი რესურსი საქართველოში განლაგებული ჯარის გამოსაკვებად.

ინგილოების მთავარი სოფლებია:

ალიაბადი (Aliabati), მოსული (Mosouli), ვერხვიანი (Werchkany), ჰენგიანი (Epgani) და თანალო (Tannalo).

ამ სოფლების უდიდესი ნაწილი, თუ ყველა არა, ჭარს ეკუთვნის, მაგრამ ლეკებს ამ სოფლების ცალ-ცალკე გაყიდვის უფლება არა აქვთ. მათ შეუძლიათ ადამიანების გაყიდვა მხოლოდ იმ მიწასთან ერთად, რომელსაც ისინი ამუშავებენ, რადგან მათი ქვეშევრდომები არ არიან მიწის მესაკუთრენი, ხოლო ლეკებმა, დაპყრობის უფლებით, მხოლოდ მიწა მიისაკუთრეს.

თავი IV

თბილისიდან იმერეთში გამგზავრება. მუხრანი (Moukhran). გორი. სურამი (Souram). ნოვო-მალინსკი (Novo-Malinski). ყვირილა (Quirila). ქუთაისში ჩასვლა. თბილისში დაბრუნება. ჩემ თანამგზავრთა ავადმყოფობა. ერთ-ერთი მათგანის გარდაცვალება.

ვინაიდან იმერეთში დაწყებული ამბოხება უკვე მთლიანად ჩაწყნარებულიყო[1] და ამ მხარეში ჩემ გამგზავრებას აღარაფერი აბრკოლებდა, 1820 წლის 30 ივლისს (11 აგვისტოს), კვირას, თბილისიდან ქუთაისისაკენ გავემგზავრეთ. იმავე დღეს ოცდაშვიდი ვერსით დაშორებულ ღართისკარში ჩავედით. გზის ეს მონაკვეთი მე უკვე აღვწერე ამ პუნქტამდე, რომელიც მოზდოკსა და იმერეთის გზების გასაყარზე მდებარეობს. გეზი დასავლეთის მიმართულებით ავიღეთ, რისთვისაც ხელმარჯვნივ ჩამოვიტოვეთ პირველი გზა და უსწორმასწორო ხეობაში შევედით. სამხრეთით ხეობას არცთუ ისე მაღალი მთები ესაზღვრებოდა, მის ჩრდილოეთით კი საკმაოდ მაღალი მთები იყო, რომელთაც ზემოდან დაჰყურებდნენ კავკასიონის მწვერვალები.

მთელ ამ მხარეში მინდვრები იშვიათი იყო და ნადირიც, შესაბამისად მცირე რაოდენობით. მოჰყავთ ხორბალი, ჭვავი და ქერი. მიუხედავად იმისა, რომ აქ საკვები პროდუქტების გაჭირვებაა, ხორბლის მოსავალს ისე უყაირათოდ იღებენ, რომ ჩალის ღეროების თითქმის ნახევარი მიწაზე რჩება.

ხელმარჯვნივ, პატარა მთა-გორებით გარშემორტყმული ოთხკუთხა ადგილი იმდენად წააგავდა ავენის (Avesnes) ახლოს მდებარე კეისრის ბანაკს, რომ ვიფიქრე, რომაული ბანაკია-მეთქი. ამ ფანტაზიას დამაჯერებლობას ანიჭებდა ის გარემოებაც, რომ ალბანეთისაკენ (Albanie) მიმავალმა პომპეუსმა სწორედ ეს ადგილები გაიარა.

ღართისკარიდან მუხრანამდე[2] ცამეტ ვერსს ანგარიშობენ, მაგრამ ამ მანძილის გასავლელად თითქმის სამი საათი დაგვჭირდა და ამიტომ ვფიქრობ, რომ ეს მანძილი დაახლოებით თვრამეტ ვერსს უნდა შეადგენდეს.

ამ სოფლამდე, სადაც საკმაოდ მტკიცედ ნაგები კოშკები და კედლები აქ ძველ დროში ქალაქის არსებობაზე მიუთითებენ, დაახლოებით ერთნახევარი ვერსის მანძილზე დაბალი და ნესტიანი ადგილია. ნაწვიმარზე აქ გავლა, ალბათ,

დიდ სიძნელეებთან იქნება დაკავშირებული, მაგრამ ამის მიზეზი არა იმდენად ლოკალური პირობებია, რამდენადაც ცუდად მოწყობილი სარწყავი სისტემა, რადგან გლეხებს თავიანთი საგუბრები და ორმოები ზედ გზის პირას აქვთ ამოთხრილი.

მუხრანში მეტად გაგვიჭირდა სურსათ-სანოვაგის შოვნა, მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერ თანხის გადახდაზე მზად ვიყავით. სოფელი მუხრანი თავად ერისთავის საკუთრებაა. იგი ერთი არცთუ ისე მდიდარი, მაგრამ მრავალრიცხოვანი საგვარეულოს უფროსი წარმომადგენელია. წარმოშობით ერისთავები ოსეთიდან არიან და, როგორც ამბობენ, მათ ამ მხარეში დიდი ხნის მანძილზე ხელთ ეპყრათ ძალაუფლება.[3] თავის მამულში თავადს მინის ქარხნის დაარსება განუზრახავს და ამ მიზნით რუსეთიდან ამ დარგის სპეციალისტიც კი ჩამოუყვანია; მაგრამ ეს უკანასკნელი უფრო პატივმოყვარეობით ყოფილა შეპყრობილი, ვიდრე ტალანტით დაჯილდოებული და ამის გამო თავადის ეს წამოწყება ჩაშლილა, რასაც დიდი სინანულით შეხვედრია მთავარმართებელი, რომელიც ამ საქმეს, ისე როგორც ქვეყნისთვის სასარგებლო ნებისმიერ საქმეს, განსაკუთრებით მფარველობდა. ამ წამოწყების წარმატებით დაგვირგვინებით დიდად დაინტერესებულნი იყვნენ აგრეთვე ვენახების მფლობელებიც, რომელთათვისაც ასეთი ქარხნის დაარსება მეტად ხელსაყრელი იყო.([16])

მუხრანის შემდეგ გავიარეთ უფრო ცუდად დამუშავებული მხარე იმასთან შედარებით, რომლის გავლაც დილით მოგვიხდა. ტერიტორიის დიდი ნაწილი ბუჩქნარით იყო დაფარული, აქა-იქ კი მუხის, ტირიფისა და ალვის ხეებიც ჩანდა.

ჭალაში[4] (Tchala) ჩასვლამდე ცოტა ხნით ადრე, გავიარეთ უკეთესად დამუშავებული მხარე: ხელმარცხნივ მივყვებოდით დაბლობს, სადაც, ჩემი აზრით, თანამედროვე ტიპის სოფელი იყო გაშენებული. მთების მწვერვალებზე, რომლებიც ხეობას ზემოდან დაჰყურებდნენ, საკმაოდ დიდი ნაგებობები ჩანდა, მათ შორის ერთი ძველი ეკლესია გამოირჩეოდა. კაზაკთა საგუშაგო ხელმარჯვნივ, ჩვენ მიერ ჩამოტოვებულ სოფელ ჭალიდან ოთხ ვერსზეა. ძველი ყაზარმები თებერვლის თვეში ცეცხლის გაჩენისგან დამწვარა და რადგან ისინი ჯერ კიდევ არ აღედგინათ, იძულებულნი გავხდით, უბრალო ღერწმით შემოღობილ თავლაში გაგვეთია ღამე.

ჭალიდან ოთხშაბათს, 1 (13) აგვისტოს გამოვედით და გორამდე[5] თექვსმეტი ვერსის გავლას მხოლოდ ორი საათი მოვანდომეთ. ქალაქის მდებარეობა ადასტურებს, რომ იგი სტრაბონის მიერ მოხსენიებული ძველი გორსენაა (Gorsenna). იგი პატარა მდინარე ფშანზე[6] (Pchani) მდებარეობს, რომელიც ოდნავ მოშორებით უერთდება ქალაქიდან მხოლოდ ერთი ვერსით დაშორებულ მტკვარს. ციხე დგას მთაზე, რომელსაც პარალელოგრამის ფორმა აქვს და ისე ეულადაა აღმართული ვრცელი დაბლობის შუაგულში, რომ ეს მთა კი არა, მონალექი მიწა გეგონებათ. აქ არის ეკლესია, რომლის აგებასაც თამარ დედოფალს მიაწერენ.

([16]) 1823 წელს სომეხმა ეპისკოპოსმა ნერსესმა (Nარსეს) თბილისში მინის ქარხანა დააარსა. მინის შემადგენლობაში შედიოდა მტკვრის რიყის ქვები, ქურებიდან გამოსულ ბოთლებს ულამაზესი მუქი იისფერი დაკრავდა.

მოსახლეობის რაოდენობისა და ვაჭრობის განვითარების მიხედვით გორი საქართველოში მეორე ქალაქია: აქ დაახლოებით ექვსასი სახლი და ოთხი ათასი მცხოვრებია, თუ არ ჩავთვლით საკმაოდ მრავალრიცხოვან გარნიზონს. ქალაქში რვა ეკლესიაა. კათოლიკური ეკლესიის მშენებლობა მხოლოდ ერთი წლის წინ დასრულდა. ის აგურითაა ნაშენი და მისი მშენებლობის ხარჯები მდიდარ სომხებს გაუღიათ. ეკლესია დიდი მოცულობისაა, თუმცა მორწმუნეები, რომელთა რიცხვი ორასს არ აღემატება, სულაც არ საჭიროებენ ასეთ დიდ ეკლესიას. მას ემსახურებიან იტალიელი კაპუცინები[7], რომლებიც ამ ქალაქში 1615 წლიდან დამკვიდრებულან. შარდენი[8] მათ დიდი ქებით მოიხსენიებს მის მიმართ გაწეული სამსახურის გამო. დღესაც, ისე როგორც შარდენის დროს, კაპუცინები უფასო მკურნალობას ეწევიან. მათთვის დამახასიათებელი მოკრძალებული თვისებების გამო, კაპუცინებს დიდ პატივს სცემენ როგორც ევროპელები, ისე ადგილობრივი მოსახლეობა.

გორის შემოგარენში საკმაოდ კარგი მიწებია. ქალაქთან ახლოს ერთი არპანი (რომელიც მიწის საზომ ერთეულად იხმარება), მიწის ფასი ას მანეთს აღწევს ვერცხლით. უფრო მოშორებით კი ხშირ შემთხვევაში მისი ფასი 2-3 მანეთს არ აღემატება. თითქმის მთელი მიწა, მეტ-ნაკლები ოდენობის იჯარით, დაურიგდათ გლეხთა ოჯახებს ფულადი ან ნატურით ანაზღაურების პირობით. ნატურით ანაზღაურება საყოველთაოდ მიღებული ფორმა უნდა ყოფილიყო ისეთ ქვეყანაში, სადაც გლეხი არასოდეს იყო დარწმუნებული მოსავლის შენარჩუნებაში. როდესაც ნატურით ანაზღაურება ფულადი გადასახადით შეიცვალა, დაბეგვრის თანხა საგრძნობლად უნდა შემცირებულიყო იმის გამო, რომ ქვეყანა მუდმივად შემოსევების საფრთხის წინაშე იდგა და ოთხი მოსავლიდან ერთის შენარჩუნებაც კი ხშირად სათუო იყო. აქედან გამომდინარე, კაცი, რომელიც ას არპან მიწას ამუშავებს, ხშირად თავის ბატონს მხოლოდ არენდის ძირითად საფასურს - 6-7 მანეთს ვერცხლით უხდის. მაგრამ ამ ძირითად გადასახადს ემატება ფეოდალური სამსახურის ვალდებულებაც: საქართველოში გლეხი ვალდებულია ბატონს თავისი საკარმიდამოდან მიღებული პროდუქტები გაუყოს. ვაჟის შეძენისას გლეხი ბატონს ძღვენს მიართმევს, ხოლო ბატონის სიკვდილის შემდეგ იგი ამ ვალდებულებებს მისი მემკვიდრის მიმართ ასრულებს. თუკი გლეხი უშვილოდ გარდაიცვლება, მის ძმებსა და ძმისწულებს მისი მიწის მიღება მხოლოდ მას შემდეგ შეუძლიათ, რაც ისინი საიჯარო გადასახადის გაზრდაზე დათანხმდებიან, ვინაიდან ამ პერიოდში მიწის მფლობელობაში მიღება კანონით კი არ იყო გათვალისწინებული, არამედ წარმოადგენდა კეთილგანწყობის აქტს - ჭეშმარიტ წყალობას ოჯახისათვის. ყოველივე ამის შედეგად, ადვილი გასაგებია, რომ თუკი ბატონს უფლება აქვს გაყიდოს თავისი მამული და იჯარით გასცეს იგი, გლეხს პირიქით, თავისი საკუთრების გაყიდვის და გასხვისების უფლებას მოკლებულია. უფრო მეტიც: თუ გლეხი ვინმესგან ვალად აიღებს 5 მანეთზე მეტს ვერცხლით, გადაუხდელობის შემთხვევაში, ბატონის ნებართვის გარეშე მართლმსაჯულებას არ შეუძლია, რაიმე გავლენა იქონიოს მევალეზე, რადგან მამული გლეხს არ ეკუთვნის. ის პიროვნულადაც ბატონზეა დამოკიდებული, რომელსაც ხვნა-თესვის, მოსავლის აღებისა თუ კალოობის დროს შეუძლია კვირაში ორი-სამი დღე უსასყიდლოდ ამუშაოს გლეხი.

ფეოდალიზმი ევროპაში ბარბაროსმა ერებმა შემოიტანეს, რომლებმაც იგი მეოთხე-მეხუთე საუკუნეებში დაიპყრეს. ამ ბარბაროსი ერების ნაწილი კი კავკასიის მიდამოებიდან დაიძრა. მაგრამ ასეც რომ არ ყოფილიყო, ადვილი მისახვედრია, რომ ისეთ ღია ქვეყანაში, როგორიცაა მეზობლების მხრიდან შემოსევების მუდმივ საფრთხეში მყოფი საქართველო, ფეოდალური ხელის-უფლება ნაკარნახევი იყო სუსტი ადამიანების არსებობით, რომლებიც მამაც და ძლიერ ადამიანთა სახით დასაყრდენს საჭიროებდნენ: ისინი ამ მხარდაჭერის ფასად მორჩილების ვალდებულებს იღებდნენ, შემდგომში კი ეს მორჩილება მონობაში გადაიზარდა.

ქალაქ გორში ვაჭრობას არცთუ ისე ფართო ხასიათი აქვს. ძირითადად ვაჭრობენ აბრეშუმით, ტყავეულით, ცვილითა და თაფლით. კამეჩის ერთი ტყავი, რომელიც თავისი სისქითა და გამძლეობით გამოირჩევა, იწონის ორნახევარ ფუთს (ოთხმოცდასამ გირვანქას) და იყიდება 6-7 მანეთამდე ვერცხლით (24-28 ფრანკი).

სომეხს, რომელთანაც ჩვენ დაგვაბინავეს, რამდენჯერმე წაუღია საქონელი სავაჭროდ თავრიზში (Tauris) და იაზდამდეც[9] (Yezd) კი ჩასულა. უკანასკნელი მოგზაურობის დროს სპარსეთში, სადაც მას ბამბა და აბრეშუმის ქსოვილები შეუძენია, შეუმჩნევია, რომ რუსების მიერ გამოწვეული შიშის გამო, სპარსელები მის მიმართ ყველგან ყურადღებას იჩენდნენ და მფარველობას არ აკლებდნენ.

ამ სამეფოდან გატანილი საქონელი მთელი გზის მანძილზე უამრავ ბაჟს ექვემდებარება. ვფიქრობ, რუსეთისათვის ძნელი არ უნდა იყოს, დაითანხმოს სპარსეთის შაჰი სრულ გამონაკლისზე თუ არა, ყოველ შემთხვევაში, იმ ბაჟის საგრძნობლად შემცირებაზე მაინც, რასაც ქალაქის მმართველები კრეფენ. ეს კი თანდათანობით უზრუნველყოფს იმის შესაძლებლობას, რომ საქართველოში გარკვეულწილად მოიზიდონ სპარსეთის ვაჭრობის ნაწილი.

თბილისში მუდმივმა სიცხემ და გვალვამ ძლიერ შეგვაწუხა. გორში ყოფნისას კი ოცდაოთხი საათი გადაბმულად წვიმდა და ჩვენი შიში, რომ წვიმა გზებს ისე დააზიანებდა, რომ ეტლს გავლა გაუჭირდებოდა, უსაფუძვლო არ გამოდგა. მიუხედავად ცუდი ამინდისა, გორიდან 3 (15) აგვისტოს, დილის რვა საათზე წამოვედით.

ქალაქიდან გამოსვლისთანავე, დაახლოებით ერთი ვერსის მანძილზე, ხშირი ბუჩქნარითა და ეკალ-ბარდებით დაფარული ადგილია. უნდა გადაგვევლო ერთი მდინარისა თუ რუს შვიდი-რვა ტოტი, რომელთა დინებაც ამ პერიოდში მეტად ჩქარი იყო, ვინაიდან მთებიდან წამოსული მდინარეები ძლიერ წვიმებს აედიდებინათ. ჩვენ ცხენებს წყალი მკერდს ზემოთ წვდებოდათ, ქვეითად მოსიარულეთათვის კი, რამდენიმე დღის განმავლობაში მაინც, აქ გავლა შეუძლებელი იქნებოდა.

გორიდან ოთხ ვერსზე, ხელმარჯვნივ, კავკასიის მთების უკანასკნელი განშტოებების ძირში, ერთ სოფელს მივადექით. იგი მცირედ დასახლებული იყო, მაგრამ აქა-იქ მიმოფანტული კვადრატული თუ მრგვალი კოშკების უამრავი ნანგრევებით თუკი ვიმსჯელებთ, უწინ იგი ძალზე მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტი უნდა ყოფილიყო. ათი ვერსის შემდეგ ულამაზეს დაბლობზე გავედით.

იგი უკეთ დამუშავებული მეჩვენა ვიდრე ქართლის (Kartalinie) ის ნაწილი, რომელიც უკვე გამოვიარეთ. გზად რამდენიმე სოფელი შემოგვხვდა, ხოლო მთების მწვერვალებზე ბევრგან ჩანდა გამაგრებული ფეოდალური კოშკების ნანგრევები. ამ სოფლებს შორის გამოირჩეოდა რუისი[10] (Rouissi), მნიშვნელოვანი რაოდენობის მოსახლეობით. მის გარშემო მდებარე ნაყოფიერი მიწების დამუშავებას ხელს უწყობს ერთი პატარა მდინარე, რომელიც სარწყავად გამოიყენება. რუისის ეკლესია საკმაოდ ლამაზია. ჩემი აზრით, ის შუა საუკუნეებში უნდა იყოს აგებული.

გორსა და სურამს შორის მდებარე კაზაკთა საგუშაგო განთავსებულია მთებით გარშემორტყმულ ადგილზე, ჭაობთან ახლოს. ამის გამო თითქმის ყველა კაზაკი აქ ციებცხელებით იყო დაავადებული. საგუშაგოს გარგარები[11] (Gargareb) ეწოდება იმ სოფლის სახელწოდების მიხედვით, რომელიც მისგან მცირე მანძილითაა დაშორებული. საგუშაგოდან სურამამდე ოცდაორი ვერსია. პირველი ხუთი ვერსი ტყეში გადის, რომლის ნიადაგიც უნაყოფოა. ხეები აქ, ძირითადად, დაბალი და დაგრეხილია. მოშორებით საკმაოდ ნაყოფიერი და უკეთესად დამუშავებული მიწებია. ალაგ-ალაგ გვხვდებოდა სოფლები ზერელედ ნაშენი სახლებით: ზოგი მათგანი მიწისა იყო, სხვები კი - წნულებისაგან შეკრული. ისინი მკვეთრად განსხვავდება იმ ძველი ქვის ციხეების, ეკლესიებისა თუ კოშკებისა, რომლებიც ისე მტკიცედ იყო ნაგები, რომ სპარსელებისა და ლეკთა განუწყვეტელი შემოსევების დროს საიმედოდ იცავდა მოსახლეობას.

სურამის[12] შემოგარენი საკმაოდ ლამაზია. ციხიდან იშლება ხედი იმ ხეობებსა და ბორცვებზე, რომლებიც იმერეთამდე ჩასასვლელად უნდა გადალახოთ, და გრძელდება მაღალი მთების თხემამდე, რომელიც კავკასიას ახალციხის საფაშოს (pachalick d'Akhaltzikhe) მთებთან აკავშირებს. სურამიდან ერთი ვერსის დაშორებით, ხელმარცხნივ, ალვის ხეების ხეივანში, ხის სახლებია ჩამწკრივებული. მოგზაურები, რომლებიც სურამიდან ოთხმოცდაექვსი ვერსით დაშორებული ახალციხიდან მოემართებიან, აქ გადიან კარანტინს. ამ დროისათვის მოგზაურებიც და ვაჭრებიც მხოლოდ თოთხმეტი დღე რჩებოდნენ კარანტინის გასავლელად. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ახალციხესა და იმერეთს შორის მეტად იშვიათია მიმოსვლა. სურამის საკარანტინო პუნქტში შემოსული ვაჭრები შემოტანილ საქონელზე უმნიშვნელო ბაჟს იხდიან.

დიდად გავიხარეთ, გორის მაზრის კომენდანტს, მაიორ ტიტოვს (Titoff) რომ ჩავუსწარით სურამში; თურმე, ჩვენი ჩასვლისას იგი უკვე აპირებდა ქალაქიდან გასვლას. მასთან სარეკომენდაციო წერილები გვქონდა. მაიორის შუამდგომ-ლობით მშვენიერი ბინა გამოგვიყვეს გარნიზონის ერთ-ერთ ოფიცერთან, რომელმაც მეტად თავაზიანად მიგვიღო. სურამის ციხე, გორის ციხის მსგავსად, მაღალ, ცალკე მდგომ მთაზეა აღმართული და მთელ ამ მხარეს ზემოდან გადმოჰყურებს. ის აშენებულია თამარ მეფის დროს, რომელსაც მიაწერენ თითქმის ყველაფერს, რაც კი ოდნავ მაინც ღირსშესანიშნავია საქართველოში.

სურამს გარს არტყია სოფლები, რომელთა მოსახლეობა საკმაოდ უზრუნ-ველყოფილად ცხოვრობს. მოზრდილ ცხვარში გადავიხადეთ ხუთი მანეთი ასიგნაციით. საერთოდ, აქ ყველანაირი სურსათი, როგორც წესი, იაფია.

სურამში ებრაელთა რამდენიმე ოჯახი ცხოვრობს, მათ შორის ყმებიც არიან. ებრაელები ამ მხარეში უხსოვარი დროიდან ბინადრობენ. ისინი საცალო ვაჭრობით და ადგილობრივი პროდუქციის გაყიდვით არიან დაკავებული.

4 (16) აგვისტოს, დილის ოთხ საათზე სურამიდან გამოვედით. მართალია, გურიასა (ჩოურიელ) და იმერეთში ამბოხებები უკვე ჩახშობილი იყო, მაგრამ უსაფრთხოებისათვის ჩვენ მაინც გაგვაყოლეს ესკორტი ოცდაათი ქვეითი ჯარისკაცისა და ოთხი კაზაკის შემადგენლობით. ცხენების შესანაცვლებლად ოთხი წყვილი ხარიც მოგვიყვანეს, რადგანაც ნოვო-მალინსკამდე ძალზე ცუდი გზა იყო და ფიქრობდნენ, რომ ჩვენი ცხენები „ბრიჩკის“ ზიდვას ვერ შეძლებდნენ. თითო ვერსის გასავლელად წყვილ ხარში 2 კაპიკი (8 სანტიმი) გადავიხადეთ.

ქალაქიდან გამოვედით თუ არა, ხელმარცხნივ ციხესიმაგრის ნანგრევები შევნიშნეთ და შევედით ხეობაში, რომელიც ერთი ვერსის გავლის შემდეგ უკიდურესად ვიწროვდებოდა. ხეობას გარს ერტყა ხშირი ტყეებით დაფარული მაღალი მთები. ოცდაათი ვერსის მანძილზე სურამიდან მალინსკის კაზაკთა საგუშაგომდე ეს ტყეები უწყვეტადაა გადაჭიმული. აქ იყო სხვადასხვა ჯიშის მუხის, წიფლის, იფნის, ნეკერჩხლის, ჭადრისა და ალვის ხეები. მრავლად იყო ხეხილიც. ამ ტყეებს სიძველე არ ეტყობა და ამ დაკვირვებას აქაური ხალხიც ადასტურებს: ისინი ირწმუნებიან, რომ ხშირი ტყით დაფარული ეს ადგილი ადრე მჭიდროდ დასახლებული და დამუშავებული ყოფილა, მაგრამ შინაარეულობებსა და უცხო მტრის შემოსევებს მოსახლეობა გაუფანტავს და გაუნადგურებია, მეურნეობა კი მოუსპია. ტყეების ერთი ნაწილი სახელმწიფოს კუთვნილებაა, მეორე კი ქართველებსა და იმერლებს ეკუთვნის, რომელნიც მისგან ვერანაირ სარგებელს ვერ იღებენ.

სურამიდან რამდენიმე ვერსის დაშორებით პოლკოვნიკ პუზირევსკის[13] (Pousilevski) ქვრივი შემოგვხვდა. პოლკოვნიკი ამა წლის აპრილის თვეში მოკლეს, სწორედ იმ დროს, როცა გურიაში ამბოხება დაიწყო. ქვრივს ესკორტი გავუცვალეთ.

სურამიდან მოყოლებული, მთელ გზაზე მოგზაურთათვის არც სასტუმრო სახლებია და არც რაიმე სახის თავშესაფარი. იმერლები, რომელთაც საქონელი რედუტ-კალედან თბილისში ხან ცხენით და ხარებით, ხანაც ურმებით გადააქვთ, ტყეებში ბანაკდებიან ხოლმე. ისინი ეძებენ ისეთ ადგილს, სადაც საძოვრებია და თანაც ყოველთვის იქვე ახლოს უნდა იყოს წყაროც; ანთებენ დიდ კოცონს და ცეცხლის პირას, პირდაპირ მიწაზე წვებიან: ამგვარი წინდახედულობით ისინი თავს იცავენ ყოველგვარი საფრთხისაგან, რაც მათ ჯანმრთელობას ღია ცის ქვეშ ღამის გათევით შეიძლება დაემუქროს აქაურ ნესტიან ტყეებში, სადაც იშვიათად თუ აღწევს მზის სხივი.

სწორედ სურამიდან ერთ ლიეზე მოჩანს ქართლისა და იმერეთის გამყოფი მთების მწვერვალები. გადავიარეთ თუ არა მთები დასავლეთის მიმართულებით, ჩვენ წინაშე ერთმანეთის მონაცვლეობით გადაიშალა მთები და ხეობები; წყაროები და ხევებიც კი სულ უფრო ხშირად გვხვდებოდა. ყოველ ნახევარ საათში პეიზაჟი იცვლებოდა, აქა-იქ ბუნება ულამაზეს სანახაობას წარმოადგენდა. საფრანგეთის მთავრობის მიერ წარმოგზავნილმა მოგზაურმა-ნატურა-

ლისტმა ბ-ნმა ფონტანიემ (Fontanier) 1822 წელს, რედუტ-კალედან[14] თბილისი-საკენ მომავალმა, ეს მთები გადაიარა და ზოგან ვულკანური წარმონაქმნები აღმოაჩინა. ვინაიდან ცუდი გზების გამო ჩვენი ხარები საათში მხოლოდ ორიდან ოთხ ვერსამდე გადიოდნენ, ნოვო-მალინსკში ექვს საათზე ჩავედით.

კაზაკების საგუშაგო ფერდობის შუა ნაწილში, მოლითის[15] (Molite) მარცხენა ნაპირზე, ამავე სახელწოდების სოფლიდან ოდნავ მოშორებითაა განთავსებული. კაზაკებისათვის განკუთვნილი ბარაკების გვერდით ყაზარმების კორპუსი დგას, სადაც ხუთასამდე ქვეითი ჯარისკაცია დაბინავებული დაბინავებული. ამავე ხეობაში დაბანაკებულია რამდენიმე არტილერისტი ოთხი საარტილერიო ქვემეხით. აქვეა ასევე აშენებული უცხოელთათვის განკუთვნილი ორი ქოხი. ჩვენ ერთ-ერთ მათგანში დაგვაბინავეს. მასში ერთი პაწაწინა ოთახი იყო, რომელსაც წინ კიდევ ერთი ოთახი ჰქონდა მიშენებული, მაგრამ იმდენად ცუდად იყო გადახურული, რომ წყალი ყოველი მხრიდან ჩამოდიოდა. ოთახში არავითარი ავეჯი არ იდგა. ამ საძაგელი სადგომითა და საშინელი უამინდობით გამოწვეულ უსიამოვნებას აქარწყლებდა საგუშაგოს უფროსის, თავაზიანობით აღსავსე ლეიტენენტის დამოკიდებულება ჩვენ მიმართ, რასაც დიდი მადლიერებით ვიხსენებთ. მან მოგვამარაგა ყველაფრით, რაც კი გვესაჭიროებოდა, მეორე დღეს კი, დილაადრიან, ჩვენი ეტლისათვის ექვსი წყვილი ხარიც გვიშოვა. საქარის ქედის[16] (Zakarakede) საგუშაგომდე ყველაზე ცუდი სავალი პირველი რვა ვერსი იყო. გზის ამ მონაკვეთზე ჯარებისათვის განკუთვნილი სანოვაგით დატვირ-თულმა მარკიტანტმა[17] ორმანეთნახევრად ვერცხლით (10 ფრანკი) რვა თუნგი ღვინო მოგვყიდა, რაც დაახლოებით ორმოცდათორმეტ ბოთლს შეადგენს. ამ ღვინით ავავსეთ ჩვენი ტიკი და თან წავიღეთ.

ნოვო-მალინსკიდან საგუშაგოს ლეიტენანტმა მოისურვა ჩვენი გამოცილება, რათა გაეკონტროლებინა, თუ, როგორ გვატარებდნენ ჩვენი ესკორტის ჯარისკაცები პირველი ექვსი ვერსის მანძილზე ციცაბო და ხიფათით აღსავსე გზებზე. ერთი საათით შევჩერდით იმერელ აზნაურთან. მისი სახლი ოდნავ მოშორებით იდგა მოლითის სანაპიროდან, რომელიც მაღალი მთებიდან ჩანჩქერივით ეშვება და ამ ადგილას საკმაოდ სწრაფად მოედინება.

ეს იმერელი წინა დღით მოვიდა ჩვენთან და თავისთან მიგვიპატიჟა; ჩვენც თანხმობა განვუცხადეთ. სუფრა ლამაზი ხეებითა და სიმინდის ყანებით გარშემორტყმულ ჭალაში გაგვიშალეს. იმერელს რამდენიმე შეკითხვა დავუსვი მისი მამულის თაობაზე, რომლის ფართობიც სიგრძით ოთხი ვერსი იყო, სიგანით კი - ოთხი და დაახლოებით სამი ათას ფრანგულ არპანს[18] შეადგენდა. ის მთლიანად ტყით იყო დაფარული. ამ მამულში იმერელ აზნაურს 1050 დუკატი გადაუხდია. ტყეში საუცხოო ჯიშის ხეები ხარობდა, მაგრამ სამწუხაროდ, იგი იმდენად იყო დაშორებული ყველა სანაოსნო მდინარისაგან, რომ მისგან სარგებლობის მიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა, თუკი აქ ხე-ტყის გადამამუშავებელ ქარხანას ააგებდნენ. ამდაგვარი მამული საფრანგეთში ერთ მილიონზე ნაკლები არ ეღირებოდა.

ძველი ავტორები ამბობენ, რომ ადამიანს მხოლოდ სიცოცხლის ბოლოს შეუძლია გაარკვიოს, იგი ბედნიერი იყო თუ უბედურიო. ჩვენი მასპინძელი ამის

საუკეთესო მაგალითი გახლდათ: ის იმ აზნაურთა კლასის წარმომადგენელი იყო, რომელიც თავის ბატონს ემორჩილებოდა და არანაირი საკუთარი ქონება არ გააჩნდა. ახალგაზრდობისას, ჯერ კიდევ ყმაწვილი, ახალციხელმა თურქებს მოუტაციებიათ და კონსტანტინოპოლელი ვაჭრებისთვის მიუყიდიათ. აქ კი ის ქაბუდან ფაშას[19] (capitan-pacha) მონა გამხდარა და ერთგულად ემსახურებოდა მას. რამდენიმე წლის შემდეგ ამ უკანასკნელისათვის 500 დუკატი მიურთმევია საჩუქრად და სანაცვლოდ თავისუფლება მიუღია. ამის შემდეგ იგი ბერძნული გემით ეგვიპტეში, სმირნასა და მარსელში ვაჭრობდა, სადაც თავისი მოხერხებულობის წყალობით, შესძლო გაეზარდა საკუთარი საწყისი კაპიტალი, გონივრული მოქმედებით რომ ჰქონდა დაგროვილი; რის შემდეგაც, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, დაბრუნდა სამშობლოში. აქ აზნაურმა ჭკუა იხმარა და თავისი კაპიტალი ამ მამულში დააბანდა. დღეს იგი სიამტკბილობით ცხოვრობს თავის ოჯახში, თხუთმეტამდე ყმასთან ერთად. 1794 წელს ამ აზნაურმა საფრანგეთში იმოგზაურა და ფრანგული ენიდან მეხსიერებაში შემორჩა მხოლოდ ერთი სიტყვა - მოქალაქე. იგი დიდად გაკვირვებული დარჩა, როცა ვუთხარით, რომ ეს მიმართვა უკვე აღარ გამოიყენებოდა.

გამოვემშვიდობეთ ჩვენს მასპინძელს და გზა განვაგრძეთ. მცირე მანძილის გავლის შემდეგ, ხელმარჯვნივ, მეტად ჩქარი დინების მდინარეს მივადექით. იგი შორაპნის (Schorapana) ზემოთ უერთდება ყვირილას. მშენებლებს გზა ციცაბო მთებში გაუკვეთიათ, მაშინ როდესაც შეიძლებოდა სულ მცირე მონაკვეთზე გაეყვანათ შემოვლითი გზა, რის შემდეგაც იგი ხეობებზე გაივლიდა და მდინარის დინებას გაჰყვებოდა. ამ შემთხვევაში საკმარისი იქნებოდა ორი ხიდის აგება უკიდურესად სახიფათო გასასვლელის თავიდან ასაცილებლად.([17]) ვიდრე ამ ადგილამდე მივიდოდით, კაზაკთა საგუშაგოზე შევჩერდით; ის მშვენიერ ადგილას, თითქმის ზედ მდინარის პირზე მდებარეობდა. საგუშაგოდან ოდნავ მოშორებით, მაღალ მთაზე, რომელიც მთელ ამ მხარეს გადაჰყურებდა, ძველი ციხესიმაგრის ნანგრევები ჩანდა.

მეთვრამეტე ვერსზე ტყების იმ ნაწილში აღმოვჩნდით, სადაც შევნიშნეთ ნათესების კვალი და აქა-იქ ჩადგმული სახლები. აღტაცებული დავრჩით სიმინდის (რომელიც აქ დიდი რაოდენობით მოჰყავთ) ყანების სილამაზით, უზარმაზარი ლეღვის, კაკლის, კომშისა და ბროწეულის ხეებით, რომლებიც ველურ ხეთა შორის ხარობდნენ და თითქმის ყველა მათგანს ვაზი და ველური სვია ჰქონდა შემოხვეული. ყურძნის მოსავლის უდიდესი ნაწილი ხეებზე რჩება ხოლმე, ხოლო სვიას აქ საერთოდ არ კრეფენ, ვინაიდან საქართველოში მისი გამოყენება არ იციან.

რვა საათი იყო, როცა საქარაქედში ჩავედით. ეს საგუშაგო საკმაოდ თვალწარმტაც ადგილზე მდებარეობს - ერთმანეთისაგან პატარ-პატარა გორაკებით გამოყოფილ ხეობებს შორის და ყოველი მხრიდან მაღალი მთებით არის

([17]) 1823 წელს ეს გზა მთლიანად გადაკეთდა. სამუშაოები ბარონმა ფრიცმა (Fritz) შეასრულა და სავსებით დამსახურებულად სახელიც გაითქვა, ისევე, როგორც გენერალმა გორჩაკოვმა (Gortschakoff), რომლის ბრძანების საფუძველზეც განხორციელდა ეს სამუშაოები.

გარშემორტყმული. საგუშაგოში ვერც ცხენებისათვის და ვერც ჩვენთვის ვერაფერი ვიშოვეთ. ყვირილის საგუშაგომდე მხოლოდ თორმეტი ვერსი გვრჩებოდა გასავლელი და საქარაქედიდან შუადღისას გავედით. ეს მხარე ნაკლებად ტყიანი და მთაგორიანი იყო, ვიდრე წინა დღით გავლილი. სახლების უმეტესობა შუაგულ ტყეში და მთის ფერდობებზე იყო აშენებული. დიდი მანძილი არ გვქონდა გავლილი, როცა ქორწილში მიმავალი იმერლები შემოგვხვდნენ. ოქროთი მოსირმულ, ლურჯი და წითელი ფერის ხავერდში მდიდრულად გამოწყობილი ხუთიექვსი ცხენოსანი წრიულად მიჰყვებოდა ახალგაზრდა პატარძალს, მის დედასა და რამდენიმე მანდილოსანს, რომლებიც მის ამალას შეადგენდნენ. სწრაფად მიმავალ ცხენებს ფეხდაფეხ მისდევდნენ თორმეტი-თოთხმეტი წლის ბავშვები.

როცა ყვირილას მივუახლოვდით, ნაცვლად იმისა, რომ იქვე განლაგებულ ორასკაციან ქვეითი ჯარის ბანაკში გავჩერებულიყავით, ვარჩიეთ, დაუყოვნებლივ გადაგველახა მდინარე პონტონის ხიდით, რომელიც ორ ტყავგადაკრულ ნავზე (cayouques) იყო გადებული და რომელსაც იმერლები მართავდნენ. ჩემი ვაჟიშვილი და თათრულის მცოდნე თარჯიმანი კი ცოტა ქვემოთ, ფონით გადავიდნენ, რაც არცთუ ისე უსაფრთხო იყო იმის გამო, რომ წინადღეების წვიმების შედეგად მდინარე ადიდებულიყო. დილით აქ ერთი სომეხი დამხრჩვალიყო თავის ცხენთან ერთად.

ღამე კაზაკთა საგუშაგოში გავათიეთ. კარგა ხანია, ასე კომფორტულად არ ვყოფილვართ დაბინავებული. საღამო ხანს ყვირილას ნაპირებზე გავისეირნეთ. მდინარის მიერ ჩამოტანილ უამრავ რიყის ქვებს შორის შევნიშნეთ წითელი გრანიტის ნატეხები, ქანდაკების ჩამონატეხი თეთრი მარმარილო ყოველგვარი ლაქების გარეშე, წისქვილის ქვა და ტალკი.

ათი საათისათვის ამიერკავკასიის კაზაკთა ატამანი (attaman), გენერალი ვლასოვი[20] (Vlazoff) ჩამოვიდა. გვინდოდა ჩვენს მიერ დაკავებული მისი ბინა გაგვეთავისუფლებინა, მაგრამ მან უარი განაცხადა და კარავში დაწვა, მიუხედავად იმისა, რომ ციება შეყროდა. მას თავისი ჯარების გენერალური შემოწმება უნდა განეხორციელებინა.

მეორე დღეს დილაადრიან გავუდექით გზას და ოთხი საათი მოვანდომეთ ჩოლაბურის[21] (Tchelabory) ნაპირებამდე მისვლას. აქ ვისაუზმეთ და სამ საათში ქუთაისში ჩავედით.

ამ ქალაქში რამდენიმე დღე დავყავით თავად პეტრე გორჩაკოვთან (Pierre Gortschakoff) რომელიც იმჟამად იმერეთის დროებითი გუბერნატორი იყო. ამის შემდეგ ცხენისწყლით (Tskeniskal) მარანში[22] (Maragne) გავემგზავრეთ. ეს პერიოდი უცხოელთათვის სახიფათო იყო სამოგზაუროდ, მაგრამ გვინდოდა მოგვენახულებინა ნავსადგური, სადაც ევროპიდან საქართველოში გამოგზავნილი საქონელი გადმოიტვირთებოდა, რომელიც შემდეგ ფაზისზე აღმასვლით გადაჰქონდათ. ამის შესახებ სხვებისგან მქონდა გაგონილი, მაგრამ პირადად მინდოდა გავცნობოდი, ვინაიდან, როცა ახალი სავაჭრო გზის გახსნის საკითხი დადგებოდა, პასუხი გამეცა ყველა იმ შეკითხვაზე, რომლებიც, ალბათ, აუცილებლად გაჩნდებოდა.

ამის შემდეგ კვლავ თბილისისაკენ ავიღეთ გეზი. ის ღამე ყვირილას საგუშაგოში გავატარეთ. ივლისში, აგვისტოსა და სექტემბერში აქ ისეთი მავნე კლიმატური პირობებია, რომ წელიწადის ამ დროს სომხები აქ არასდროს ჩერდებიან – იმისათვის კი, რომ თავიანთი ცხენები ოდნავ მაინც შეასვენონ.

მეორე დღეს ბ-ნ მოროს (Moro), რომელსაც ჯერ კიდევ თბილისიდან გამომგზავრებამდე შეეყარა ციებ-ცხელება, შეტევა დაეწყო. გორში ჩასვლისას ჩემი ვაჟიშვილიც და ყველა ჩვენი თანამგზავრიც ერთად გახდნენ ავად. იძულებული ვიყავით, რამდენიმე დღე ამ ქალაქში დავრჩენილიყავით; მაგრამ ბ-მა მორომ მოინდომა თბილისში გამგზავრება, რადგან იგი მხოლოდ და მხოლოდ ექიმ ბრიებელს (Briebel) ენდობოდა, რომელიც საერთო სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა. იმისათვის, რომ დრო მოგვეგო და თბილისში ერთ დღეში ჩავსულიყავით, გადავწყვიტეთ ახალქალაქის[23] (Alkhalaka) გზით წასვლა. ეს გზა მტკვრის მარჯვენა ნაპირს მიუყვებოდა და როგორც ამბობდნენ, ჩვეულებრივ გზაზე ბევრად უფრო მოკლე იყო.

სომეხმა, რომელთანაც გორში დავბინავდით, მოინდომა გამოგვყოლოდა მდინარემდე, რომელიც ქალაქიდან დაახლოებით ერთი ვერსით იყო დაცილებული. იგი ირწმუნებოდა, რომ ამ მდინარეზე ფონით გასვლა გაცილებით უფრო ძნელი იყო, ვიდრე ჩვენ გვეგონა. მართლაც, მივუახლოვდით თუ არა მტკვრის ნაპირებს, დავინახეთ ადიდებული მდინარე. ჩვენი კაზაკები დიდხანს ეძებდნენ ფონს, მაგრამ ყველგან ძალიან ღრმა დინებას აწყდებოდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, ერთ-ერთმა მათგანმა გასასვლელ ადგილს მიაგნო და მისი ცხენი ისე გავიდა მეორე ნაპირზე, რომ ფეხქვეშ ნიადაგი არ გამოსცლია. ჩვენც ბრმად მივყევით მას, მაგრამ უეცრად ეტლი იმდენად გადაიხარა, რომ კინაღამ მდინარეში გადაყირავდა. ეს რომ მოხდარიყო, ალბათ ყველანი დავიხრჩობოდით. როგორც იქნა, დიდი გაჭირვებით, მტკვრის მეორე ნაპირზე გადავედით და შუადღისათვის სოფელ ახალქალაქში ჩავედით.([18])

მამასახლისმა ბრძანება გასცა, ჩვენთვის სადილი გაემზადებინათ. მდინარეზე გადმოსვლისას ბ-ნ მოროს ციებ-ცხელების ძლიერი შეტევა დაეწყო და მას არაფერი უჭამია; იგი ფეხზე ძლივს იდგა. ორი საათი შევისვენეთ და კვლავ გავუდექით გზას. ეს გზები იმდენად საშინელი იყო, რომ ეტლები აქ არასოდეს დადიოდნენ. ყოველ ნაბიჯზე უფსკრულში გადაჩეხვის საშიშროების წინაშე ვიდექით. უეცრად, კოფოზე მჯდარმა ჩვენმა სიცილიელმა მსახურმა შიშისაგან შეჰყვირა და ბ-ნ მოროზე მიმითითა, რომელსაც ინსულტის შეტევა მოსვლოდა: მას თვალები გაშტერებოდა და გაურკვევლად ლუღლუღებდა. სოფლებიდან მოშორებით, ყოველგვარ დახმარებას მოკლებულნი, ამაოდ ვცდილობდით ამ მდგომარეობიდან მის გამოყვანას, კიდევ ოთხ საათზე მეტი გვჭირდებოდა ამ ძნელად სავალი გზებისთვის თავის დასაღწევად. როგორც იქნა, საღამოს ცხრა საათზე, მცხეთიდან შვიდი ვერსით დაშორებულ ერთ სოფელს მივადექით და

([18]) შარდენი გორიდან ახალქალაქის გავლით ჩავიდა თბილისში. იგი მოგვითხრობს ძველი ნანგრევების შესახებ, რომლებიც აქ უნახავს, მე კი ეს ნანგრევები ვერ აღმოვაჩინე.[24]

დიდი დრო დაგვჭირდა, ვიდრე ბინას ვიშოვიდით. ბ-ნი მორო მოვათავსეთ სახლის შესასვლელში გაშლილ ლეიბზე, მაგრამ მან მაშინვე სული განუტევა.

ძნელია იმ მწუხარების გადმოცემა, მეგობრის დაღუპვით რომ განვიცადეთ. იგი დიდი ხნის მანძილზე მარსელის ჰოსპიტლების ადმინისტრატორი იყო, სადაც ყველას პატივისცემით სარგებლობდა. ოდესაში იგი ფრანგულ სავაჭრო ფირმას ჩამოჰყვა კომპანიონად, ხოლო ჩემთან ერთად სამოგზაუროდ წამოსვლა იმიტომ მოისურვა, რომ უნდოდა საქართველოს სავაჭრო რესურსებს გასცნობოდა. მან სიცოცხლე დაასრულა უცხო მხარეში, თავისი მეუღლისა და სამი ქალიშვილისაგან მოშორებით, რომლებიც კეთილშობილებით გამოირჩეოდნენ და რომელთა ერთადერთი მარჩენალიც ბ-ნი მორო გახლდათ.

ბ-ნ მოროს ცხედარს ღამე გაუთიეს ერთმა ბერძენმა მღვდელმა და ჩვენმა სიცილიელმა მსახურმა. გათენებისთანავე, ადგილობრივი წესის თანახმად, ქალები მოვიდნენ და ტირილითა და მოთქმით გარს შემოეხვივნენ მიცვალებულს. ნაშუადღევს ჩემი თარჯიმანი ბ-ნი გიბალი25 (Guibal)) თბილისიდან დაბრუნდა, სადაც იგი მთავარმართებლისათვის ამ საშინელი ამბის შესატყობინებლად გავგზავნეთ; თანაც დავავალეთ, გაერკვია, თუ რა ფორმალობა იყო შესასრულებელი ბ-ნი მოროს გარდაცვალებასთან დაკავშირებით. შევუდექით მეგობრისადმი უკანასკნელი ვალის შესრულებას და სხვადასხვა ცერემონიებს შორის არ დავივიწყეთ ვახშამიც, რომელსაც დაკრძალვის შემდეგ აუცილებლად უმართავენ მღვდლებსა და მოტირალთ.

ამის შემდეგ თბილისში გამოვემგზავრეთ. აქ ჩვენმა ჩამოსვლამ დიდი ინტერესი გამოიწვია. ავადმყოფობისაგან რომ საბოლოოდ გამოვჯანმრთელებულიყავი და ბაქოში გამგზავრების შესაძლებლობა მქონოდა, საჭირო გახდა თბილისში ორი კვირა დავრჩენილიყავი. ვიდრე ჩემი მოგზაურობის ამ ნაწილის აღწერას შევუდგებოდე, საჭიროდ მიმაჩნია დავახასიათო საქართველო, ვისაუბრო მის სოფლის მეურნეობაზე, მოსახლეობაზე და ჩამოვთვალო ყველა ის რესურსი, რასაც ეს მხარე სთავაზობს ვაჭრებს მას შემდეგ, რაც საიმპერატორო „უკაზმა“, ხუთპროცენტიანი გადასახადის წყალობით, ამ მხარეს შეუზღუდავი სავაჭრო შეღავათი მიანიჭა.

თავი V

საქართველოს საზღვრები. მისი დაყოფა. ისტორიული ცნობები. ამ სამეფოს რუსეთთან შეერთება. მმართველობის სირთულეები გულისტანის (Gulistan) ტრაქტატამდე. გენერალი ერმოლოვი (Ermoloff) დაინიშნა მთავარმართებლად. ამ მმართველის დამახასიათებელი თვისებები. სახანოების (Kanats) შეერთება საქართველოსთან. მათი თანამედროვე საზღვრები. ცნობები რუსეთსა და სპარსეთს შორის დასადგენი საზღვრების შესახებ.

საკუთრივ საქართველო მდებარეობს ჩრდილო განედის 400 31’-420-ებსა და გრძედის 410-430-ებს შორის პარიზის მერიდიანით. მისი საზღვრებია: ჩრდი-

ლოეთით - კავკასიის ქედი (mont Caucase); სამხრეთით - ყარაბაღი[1] (Karabagh), განჯა[2] (Genje) და სომხეთის ერთი ნაწილი; აღმოსავლეთით - ლეკების ქვეყანა და ნუხა[3], ხოლო დასავლეთით - სომხეთი, ახალციხის საფაშო და იმერეთი.

საქართველო შედგება სამი პროვინციისაგან: ქართლის, კახეთისა და სომხითისაგან[4] (Sumkétie). სხვადასხვა დროს ეს პროვინციები სხვადასხვა სამეფოებს წარმოადგენდნენ.

კავკასიის და იმერეთის მხრიდან საქართველო ბუნებრივად არის დაცული, აღმოსავლეთისა და სამხრეთის მხრიდან კი იგი მუდამ დაუცველი იყო და, ამდენად -ადვილად დასაპყრობიც. ეს გახლდათ მიზეზი იმისა, რომ ამ ქვეყანას, რომელიც დიდი ხნის მანძილზე არსებობდა, როგორც სამეფო, არაერთგზის განუცდია ცვლილებები როგორც თავისი ძლიერების თვალსაზრისით, ასევე თავისი მოცულობითაც, რაც მეტად იშვიათი მოვლენაა.

კიდეც რომ დავუშვათ, რომ არ არსებობდნენ არც ქართლოსი (Kartlos), რომელიც ნოეს შემდეგ მეექვსე თაობაა, არც მისი ვაჟი მცხეთოსი (Mtskhethos) და არც მათი შთამომავალნი[5], ის მაინც უნდა ვაღიაროთ, თითქმის ყველა ისტორიკოსთან ერთად, რომ საქართველოს პირველი მეფე გახლდათ ფარნავაზი[6] შიდა ქართლიდან (P'harnavaz de Shinak'hartli),), რომელიც ალექსანდრე დიდის დაპყრობების შემდეგ ოდნავ მოგვიანებით ცხოვრობდა. ეს კი საფუძველს გვაძლევს ერთხმად მივიჩნიოთ, რომ ეს სამეფო ერთ-ერთი უძველესთაგანია დედამიწის ზურგზე.

ბ-ნი კლაპროტი, რომელსაც ზედმიწევნით აქვს შესწავლილი ეს მხარეები, მცხეთოსთან დაკავშირებით იხსენიებს მეფე მირიანს[7] (Mirian), რომელიც იესო ქრისტეს დაბადებიდან 265-318 წლებში ცხოვრობდა. მოიხსენიებს, აგრეთვე, მირდატს[8] (Mirdet) 375 წელს და მას ოცდამეექვსე მეფედ მიიჩნევს; 1304 წელს გიორგის[9] (Ghiorghi) - სამოცდამეთვრამეტე მეფედ, ხოლო, თავისი კანონთა კრებულით ცნობილ ვახტანგს[10] (Wagtang), რომელიც 1703-1722 წლებში მეფობდა, - ოთხმოცდამეთორმეტე მეფედ თვლის.

მეტად რთულია არათუ ყველა ამ მეფის, არამედ თუნდაც რომელიმე მათგანის მეფობის ისტორიის აღწერა. ჩვენამდე მოღწეულია მცირედი ცნობები, რომლებიც გაბნეულია სპარსელ და სომეხ, ან კიდევ ბიზანტიელ ისტორიკოსთა შრომებში. ბნელით არის მოცული საქართველოს მატიანეებიც, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი მაინც იძლევა იმის საფუძველს, რომ აღტაცება გამოვხატოთ ამ ერის მიმართ, რომელსაც წილად ხვდა აზიის ყველა დამპყრობლის მიერ დარბეული და შევიწროებული ქვეყანა და რომელიც ძლევამოსილი სახელმწიფოების საომარ ასპარეზად იყო ქცეული; მაგრამ ამ ერს არ დაუკარგავს თავისი დამოუკიდებლობა, თუ არ ჩავთვლით მოკლე პერიოდს; ორი ათასზე მეტი წლის მანძილზე მან შეინარჩუნა სამეფო და მუსლიმური ქვეყნების გარემოცვაში მყოფს, მთელი ოთხი საუკუნის განმავლობაში არ უღალატია ქრისტიანული სარწმუნოებისათვის. ანუშირვანმა[11] (Nouchirvan) იბერია (თანამედროვე საქართველო) იუსტინიანეს[12] მეფობის დასაწყისში დაიპყ-

რო. მოგვიანებით იგი მაჰმუდ ღაზნევის[13] (Mahmoud le Gaznevide) სახელმწიფოს შემადგენლობაში მოექცა. ალფ არსლანი[14] (Alep-Arselan),), - სპარსეთის ერთ-ერთი უდიდესი ხელმწიფედ მიჩნეული, რომელსაც სიმამაცესთან ერთად არც კეთილშობილება აკლდა და, ამასთანავე, ლიტერატურისა და მეცნიერების მოყვარულიც იყო, დაეუფლა ამ მხარეს და სასტიკი დევნა დაუწყო ქრისტიანებს. ამგვარი ქმედება მის ცხოვრებას ჩრდილს აყენებს, მუსლიმი მწერლები კი მას ამის გამო ქება-დიდებით მოიხსენიებენ.

1305 წელს თემურ-ლენგმა15 საქართველო უფრო გაანადგურა, ვიდრე დაიმორჩილა. 1547 წელს კი ეს ქვეყანა თაჰმასბმა[16] (Tamasp) იგდო ხელთ, ხოლო შაჰ აბასმა[17] (Chah-Abbas) აქ ოცი წლის განმავლობაში გაბატონებულ თურქებს გამოგლიჯა ის ხელიდან. თურქებმა აქ თბილისის ციხე ააგეს, რომლის ნანგ-რევებიც კარგად არის შემონახული. შაჰ აბასის სიკვდილის შემდეგ საქართველო ხან სრულიად დამოუკიდებელი იყო, ხანაც - სპარსეთის მოხარკე; მაგრამ იმის გამო, რომ იგი სპარსეთს ძლევამოსილი ჯარებითა და ნიჭიერი მხედართმთავ-რებით ამარაგებდა, მას დიდი სიფრთხილით ეპყრობოდნენ.

მეთვრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის მანძილზე საქართველო არაერთ-ხელ იქნა დარბეული. თაჰმასბ ყული ხანის[18] (Thamas-Kouli-Kan) სიკვდილის შემ-დეგ ერეკლე[19], რომელიც ამ დამპყრობლის ჯარში მსახურობდა, საქართველოს მეფედ გამოცხადდა; მაგრამ მისი მეფობა მშვიდი არ ყოფილა: მის წინააღმდეგ განუწყვეტლივ იბრძოდნენ სპარსელები.

ვინაიდან საუკუნეების მანძილზე მთელ აზიას - ბუხარიდან და კავკასიიდან მოყოლებული ინდოეთის ოკეანემდე, ინდის[20] (Indus) მარჯვენა ნაპირიდან ევფრა-ტამდე[21] (Euphrate), - განუწყვეტლივ იპყრობდნენ და ხან სხვადასხვა ხელის-უფალნი ერთმანეთს შორის ინაწილებდნენ, ხან კი ეს ტერიტორია ერთი ხელისუფალის ბატონობის ქვეშ ექცეოდა, სავსებით ბუნებრივია, რომ საქართველოს საზღვრები ვერასოდეს იქნებოდა მტკიცედ დადგენილი. ზოგჯერ საქართველოს მეფეები თავიანთი კუთვნილი სამი პროვინციიდან მხოლოდ ერთით იფარგლებოდნენ და იგი ცალკე სამეფოდ იქცეოდა, ზოგჯერ კი ეს სახელმწიფო კასპიიდან შავ ზღვამდე და კავკასიონიდან არაქსამდე[22] (Araxe) იყო გადაჭიმული და სომხეთის უდიდეს ნაწილსაც კი მოიცავდა. ასეთი უნდა ყოფილიყო ქართულ მატიანეებში ხოტბაშესხმული თამარ დედოფლის სამეფო - დედოფლისა, რომელსაც შეგნებული ჰქონდა რა თავისი ძლევამოსილება, ნიჭი და მხნეობა, ამაყად იწოდებოდა თამარ მეფედ.

საქართველოს უკანასკნელი მეფის წინ ზეობდა მეფე ერეკლე (Héraclius), რომლის ხანგრძლივი მეფობა მრავალრიცხოვანი ბრძოლებითა და მნიშვნელოვანი სამხედრო წარმატებებით აღინიშნება. მის დროს საქართველოს საზღვრები ყოველწლიურად განიცდიდა ცვლილებებს.

სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, როცა ამ მეფემ დაინახა, რომ მისი ქვეყანა მოსახლეობისაგან დაიცალა, ხაზინა კი დაცარიელდა, ის მიხვდა, რომ მტრებისათვის წინააღმდეგობის გაწევას ძველებურად ვეღარ შეძლებდა და მან

თავისი ქვეყანა სახელგანთქმული ეკატერინე II-ის[23] (Katherine) მფარველობას დაუქვემდებარა.

მისი ძე გიორგი[24] (George) კი, რომელიც მუდამ თავის ქვეშევრდომთა კეთილდღეობაზე ზრუნავდა, დარწმუნდა, რომ სპარსელთა და ლეკთა განუწყვეტელი შემოსევებისაგან საქართველოს ვერ დაიცავდა და ერეკლეს ანდერძის თანახმად, თავისი სახელმწიფო რუსეთის იმპერატორს დაუმორჩილა. იმ ხანად რუსეთში მეფობდა პავლე[25], რომელმაც შემოთავაზებული სამეფო თავის იმპერიას შეუერთა.

მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ერეკლეს აღნიშნული გადაწყვეტილება, ისე როგორც მისი შვილის მიერ გატარებული უფრო გადამწყვეტი ღონისძიება, არ ყოფილა ამგვარი ხასიათის პირველი ნაბიჯი, რომელიც რუსეთის მიმართ გადაიდგა.

1586 წლიდან დღევანდელი საქართველოს შემადგენელი სამი პროვინციიდან ერთ-ერთის - კახეთის მეფემ (czar) ალექსანდრემ[26] (Alexandre) ერთგულების ფიცი დაუდო თეოდორე ივანეს ძეს[27] (Teodor Ivanovitch). ამავე ხანებში ქართლის მეფე გიორგიმაც[28] ასეთივე ფიცი დადო მისი და მისი შვილების მხრიდან. 1618, 1639, 1674, 1708 და 1712 წლებში საქართველოში შემავალი სხვადასხვა სამეფოების სუვერენებმა და იმერეთის მეფეებმა, რომლებიც უკლებლივ ბერძნული წესის ქრისტიანები იყვნენ, ვერ შეძლეს ძლიერი მფარველის დახმარების გარეშე ლეკების, სპარსელებისა და თურქებისათვის წინააღმდეგობის გაწევა და აღიარეს სუზერენობა რუსეთის იმპერატორებისა, რომლებიც აღნიშნულ ხანებში მეფობდნენ.[29]

ამასთანავე, იმპერატორ პავლეს მიერ საქართველოს შემოერთებას გარკვეული წინააღმდეგობა მოჰყვა; ის მომდინარეობდა არა გიორგის ვაჟიშვილის[30] მხრიდან, რომელიც მაშინ ჩვილი ბავშვი იყო, არამედ განსვენებული მეფის ერთ-ერთი ძმის - ალექსანდრეს[31] მხრიდან. იგი გარკვეული ხნის განმავლობაში მხარს უჭერდა ამბოხებას, მაგრამ შემდეგ სპარსეთში გადაიხვეწა და დღემდე იქ ცხოვრობს. ამავე პერიოდში, ციციანოვის[32] (Titianoff) სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, (მის შესახებ ქვემოთ, ბაქოსადმი მიძღვნილ პარაგრაფში ვისაუბრებ), რუსეთის მთავრობამ ამ გენერალს დაავალა მოსკოვში გაეგზავნა მეფე გიორგის ქვრივი მარიამ (Marie) დედოფალი[33], რომელიც მისი გვარისა იყო. მას მეამბოხეთა სულისჩამდგმელად მიიჩნევდნენ. ამ მკაცრი ბრძანების შესამსუბუქებლად თავადმა მოინდომა მოკრძალება და პატივისცემა გამოეხატა და გადაწყვეტილების აღსრულება გენერალ ლაზარევს[34] (Lazareff) მიანდო. გენერალიც ასევე ქართველი გახლდათ წარმოშობით და მას დედოფლის საყვარლად მიიჩნევდნენ. ლაზარევი დედოფლის წინაშე იმ დროს გამოცხადდა, როცა დედოფალი სანოლიდან ადგომას აპირებდა; დიდი პატივისცემისა და ერთგულების აღმნიშვნელი სიტყვების შემდეგ, ლაზარევმა დედოფალს სინანულით ამცნო მასზე დაკისრებული მოვალეობის შესახებ. მარიამმა თვალი თვალში გაუყარა გენერალს და უთხრა: „ლაზარევ, ნუ გავიწყდება, რომ ჩემი ქვეშევრდომი ხარ და თავს ნებას ნუ მისცემ, კვლავ გაიმეორო ასეთი ბრძანება, წინააღმდეგ შემთხვევაში სასჯელს

ვერ ასცდები.“ გენერალმა მოიბოდიშა, მაგრამ დაჟინებით მოითხოვა ბრძანების შესრულება. მაშინ მარიამმა იძრო თავისი ხანჯალი და გენერალი უსულოდ დაეცა მის ფეხებთან.([19])

ამ შურისძიების შემდეგ იმპერატორმა საჭიროდ არ ჩათვალა დამნაშავის დასჯა, მარიამიც ბედს დამორჩილდა. იგი რუსეთში გადაასახლეს და ერთ-ერთ მონასტერში გამოკეტეს, თუმცა მოგვიანებით გაანთავისუფლეს: დღეს იგი მოსკოვში ცხოვრობს და მთავრობის მიერ დანიშნულ პენსიას იღებს.

მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთის იმპერიას შეუერთდა, ამ ძველი სამეფოს ისტორია აქ დანიშნულ მთავარმართებელთა ისტორიით შემოიფარგლება; ისინი მალი-მალ ენაცვლებოდნენ ერთმანეთს და, მეტ-ნაკლები ტალანით დაჯილდოებულთ, არც ერთ მათგანს([20]) არ სურდა თავისი წინამორბედის მიმბაძველი ყოფილიყო, თუმცა მაინც ამ უკანასკნელის მიერ გაკვალულ გზას მიჰყვებოდა. ამგვარად, მმართველობაში არსებული დიდი ნაკლი მის უსისტემობასა და არათანმიმდევრულობაშია.

მმართველობის ნაკლოვანებები დროისა და პირობებისგან იყო გამოწვეული. მართლაც, იმპერატორ ალექსანდრესათვის[35] დიდ სირთულეს წარმოადგენდა სერიოზული ყურადღების მიქცევა შორეული ქვეყნისათვის იმ დროს, როცა მისი არმია ევროპაში ბრძოლებით იყო([21]) დაკავებული, ხოლო მისი ბიუჯეტი - შემცირებული. თანაც, იმპერიასთან საქართველოს შეერთებას ყველა როდი ემხრობოდა. საქართველოს, რომელიც რუსეთისაგან კავკასიონითაა გამოყოფილი, ისევე როგორც ესპანეთი საფრანგეთისაგან - პირენეებით[36], მრავალი საღად მოაზროვნე ადამიანი პარაზიტულ სამფლობელოდ მიიჩნევდა; უფრო მეტიც, მას საზიანოდაც კი თვლიდნენ, რადგან რუსეთს აქ მრავალრიცხოვანი ჯარი უნდა დაეტოვებინა, რომლის დანაკლისიც მუდმივად იგრძნობოდა, ხოლო კლიმატის ზემოქმედება თუ მთიელებთან შეტაკებები ყოველწლიურად ჯარისკაცთა საერთო რაოდენობის მეხუთედს, ზოგჯერ კი - მეოთხედსაც სპობდა. ამის გამო და იმის გათვალისწინებითაც, რომ საქართველო კვლავ განიცდიდა მოსახლეობისა და სახსრების ნაკლებობას, უნდა ითქვას, რომ მმართველობა შესამჩნევ წარმატებებს მხოლოდ მას შემდეგ მიაღწევდა, როცა ევროპაში

([19]) ასეთი იყო საყოველთაოდ გავრცელებული ვერსია, რომელსაც თვით მარიამ დედოფალიც ადასტურებდა. მაგრამ, როგორც ამბობენ, დაახლოებით ათი წლის შემდეგ, დედოფლის ერთ-ერთ მოახლეს სიკვდილის წინ გაუმჟღავნებია, რომ გენერალი ლაზარევი, დედოფლის ბრძანებით, მას მოუკლავს ხანჯლით.

([20]) საქართველოს მთავარმართებელთა შორის არავის არ დაუტოვებია ისეთი დიდი სახელი, როგორც ციციანოვს, რომელიც ქართველი იყო. ამ სამეფოს მმართველობა მას თავიდანვე მიანდეს.

([21])მანშტეინი37 (Manstein) თავის მემუარებში აღნიშნავს, რომ რუსეთის სამეფო კარმა უმალ გამოიყენა შემთხვევა, თაჰმასბ ყული ხანისათვის დაეთმო კასპიის ზღვისპირა პროვინციები - გილანი (Ghilan) და მაზანდარანი (Mazanderan), რომლებიც პეტრე დიდის (ჴიერრე-ლე-ჩრანდ) მიერ იყო მოპოვებული. დიდი ნიჭით დაჯილდოებული მეფე ამ პროვინციებს ვაჭრობის განვითარების თვალსაზრისით განიხილავდა, მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ მისი დიდმნიშვნელოვანი და სასარგებლო გეგმები მივიწყებულ იქნა. ამ დროიდან მოყოლებული ამ ქვეყნებს მხოლოდ და მხოლოდ ძვირადღირებულ ტვირთად მიიჩნევდნენ, სადაც ყოველწლიურად თორმეტიდან თოთხმეტ ათასამდე კაცი და ბევრი ფული უსარგებლოდ იკარგებოდა.

საერთო მშვიდობა დამყარდებოდა და რუსეთსა და სპარსეთს შორის დადებული გულისტანის ტრაქტატი[38] იმპერატორ ალექსანდრეს საშუალებას მისცემდა, მიეხედა ამ სამეფოსათვის. სწორედ ამ დროს თეირანის (Teheran) ბრწყინვალედ განხორციელებული ელჩობის მისიიდან დაბრუნებული მთავარმართებელი ერმოლოვი დაინიშნა გენერალ-გუბერნატორად ამიერკავკასიის რუსეთის პროვინ-ციებში, ასტრახანის[39] (Astrakan) ძველ სამეფოში, დონის მარცხენა მხარესა და კავკასიას შორის მდებარე ქვეყნებში. საქართველოში ჩამოსვლამდე ერმოლოვს უკვე მოპოვებული ჰქონდა მაღალი რეპუტაცია; მასთან ერთად აქ მრავალი დამსახურებული ოფიცერიც ჩამოვიდა, მათ შორის - ორი გენერალი ველია-მინოვი[40] (Williaminoff), გამორჩეული ადამიანები: ერთმა მათგანმა სამხედრო ადმინისტრაციაში მოღვაწეობისას გაითქვა სახელი, მეორემ კი - როგორც შტაბის მეთაურმა. გენერლის დროშის ქვეშ შემოიკრიბნენ აგრეთვე რუსეთის დიდგვაროვანი ახალგაზრდა ოფიცრებიც, რომლებმაც 1812, 1813 და 1814 წლების მძიმე ბრძოლებში დიდი ნიჭი და სიმამაცე გამოავლინეს. მათ ერთი წუთითაც კი არ უყოყმანიათ, ემსახურათ იმ ქვეყანაში, სადაც აქამდე, თუ არ ჩავთვლით უმაღლეს ჩინოსან სამხედროებს, თითქმის ყოველთვის მხოლოდ და მხოლოდ შერისხული ოფიცრები იგზავნებოდნენ.

გენერალი ერმოლოვი მაღალი ტანისა და საოცრად ძლიერი აღნაგობის მქონე ადამიანია. საჭიროდ მიმაჩნია ამ გამორჩეულობის აღნიშვნა, რადგან სწო-რედ ამ თვისებამ შეუწყო ხელი იმ შიშის დანერგვას, რომელიც კავკასიის ხალ-ხებს შორის გამოიწვია მისმა ჩამოსვლამ. აზიის სატრაპებისაგან განსხვავებით, მას სკვითური ჩვეულებები ახასიათებს; სძულს აღმოსავლური ფუფუნება, თითქმის ყოველთვის მგზავრობს ეტლით, რომელსაც არ გააჩნია რესორები, წვება უბრალო ფარდაგზე და მეტისმეტად თავშეკავებულია. ამ მკაცრ ჩვევებთან ერთად მას შესისხლხორცებული აქვს უფაქიზესი მანერები, რომლებიც მის ალალ-მართალ და თავაზიანობით აღსავსე ხასიათს ერწყმის. ერთდროულად იგი მოხერხებული ტაქტიკოსიცაა და კარგი ლიტერატორიც: პოლიბიოსისა[41] და სტრატეგიული ხასიათის თხზულებებიდან პირდაპირ ვერგილიუსისა[42] და ციცერონის[43] ნაწარმოებებზე გადადის. თუ დავუმატებთ, რომ ყოველივე ამასთან ერთად იგი გამოირჩევა მტკიცე ხასიათით, უკიდურესი სამართლიანობით, კეთილშობილი უანგარობით, თავის ხელისუფალთა და სამშობლოს მიმართ დიდი სიყვარულით, უნდა ვაღიაროთ, რომ იმპერატორ ალექსანდრეს ამიერკავკასიის პროვინციების კეთილდღეობისა და ამ ხალხების ბედნიერების უზრუნველ-საყოფად გენერალ ერმოლოვზე უკეთესი არჩევანის გაკეთება არ შეეძლო.

როდესაც ეს მმართველი თავის გუბერნიას მოევლინა, მან მშვენივრად იცოდა, რაოდენ დიდი ჯაფა დასჭირდებოდა წესრიგის აღსადგენად იმ ქვეყანაში, რომელიც საუკუნეთა მანძილზე განუწყვეტელ თავდასხმებს განიცდიდა და სადაც ხელისუფლება, აქაური მოსახლეობის მსგავსად, ცხოვრობდა, თუ შეიძ-ლება ითქვას, დღევანდელი დღით. საკუთრივ საქართველოში ბატონები საყო-ველთაო თავდაცვის მიზნით, იძულებულნი იყვნენ, მუდმივად მიემართათ თავი-ანთი ვასალებისათვის, რამაც ერთსაც და მეორესაც დამოუკიდებელი ხასიათი ჩამოუყალიბა. ეს კი მმართველობისას დიდ სიძნელეებს ქმნის: ხელისუფლება

არჩევანის წინაშე დგება - ან დიდი სიმშვიდითა და მოწყალებით განამტკიცოს ანარქიული მდგომარეობა, ან კიდევ უმკაცრესი ზომების გატარებით დაიმსახუროს სიძულვილი.

სპარსელების უკანასკნელმა თავდასხმამ[44] თბილისზე, ქალაქის ძარცვამ და თექვსმეტი ათასი მცხოვრების გატაცებამ, რომლებიც დღემდე მონები არიან თეირანსა და სპარსეთის სხვა ქალაქებში, ქართველთა დიდი რაოდენობის განადგურება გამოიწვია. უმრავლესობა, თავიანთი მეფის - ერეკლეს დროს ფათერაკებით აღსავსე ცხოვრებას რომ იყო შეჩვეული, არავითარ ერთგულებას არ იჩენდა ახალი მმართველობის მიმართ, რომელიც, მართალია, იცავდა მათ უცხოელთა შემოსევებისაგან, მაგრამ ამავე დროს, ერთგვარ უმოქმედობის მდგომარეობაშიც აყენებდა და ამგვარად, ისინი იძულებულნი იყვნენ უარი ეთქვათ იარაღზეც და საბრძოლო დიდებაზეც.

მთავარმართებელმა იმთავითვე შენიშნა ეროვნული ხასიათის ეს თვისება. მთიელთა წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში მას საშუალება მიეცა დაესაქმებინა ქართველი თავადები, რომელნიც სამხედრო საქმისადმი დიდი სიყვარულით გამოირჩეოდნენ და უმოქმედობის გამო მოთმინება ჰქონდათ დაკარგული. მთავარმართებელმა უბოძა მათ თანამდებობები, წოდებები, დანიშნა ისინი სარდლებად. ამასთანავე, გაბატონებული კლასის სასარგებლოდ გატარებულ ამ ღონისძიებებთან ერთად, მან წამახალისებელი ზომები მიიღო სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის წინსვლის უზრუნველსაყოფად, რის შედეგადაც ამ ხალხის სიძულვილი შეუმჩნევლად შეიცვალა ახალი ხელისუფლებისადმი გარკვეული კეთილგანწყობით.

რუსეთმა, საქართველოსა და იმერეთის დაუფლების შემდეგ, სპარსეთისადმი დამორჩილებულ პროვინციებში გაბატონებულ მთავრებს უფლებები შეუნარჩუნა. შირვანს, ყარაბაღს, ნუხას კვლავ ძველი ხანები მართავდნენ, რომლებიც იმპერატორ ალექსანდრეს თავიანთ სუზერენად აღიარებდნენ, მაგრამ ადგილობრივი ძველი კანონები და ჩვეულებანი უცვლელად შეინარჩუნეს.[45] რუსეთი შემოიფარგლა იმით, რომ გზებზე დააყენა კაზაკთა საგუშაგოები და თავის ზედამხედველობას დაუქვემდებარა იმ განაჩენების აღსრულება აღსრულება, რომელიც სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა: ჭეშმარიტად სამადლიერო ღონისძიება, რომელიც ღირსყოფს ამ დიდი იმპერიის სუვერენს.

საქმის ამგვარი ვითარება მმართველობაში დიდ არეულობასა და სირთულეებს იწვევდა, ამავე დროს კი განსაცდელსაც უქმნიდა რუსეთის ჯარს, რადგან სხვადასხვა ხანებსა და მათი მოკავშირე ერთმორწმუნე სპარსეთის ხელისუფალთა შორის მჭიდრო ურთიერთობა არსებობდა.

ამ წინააღმდეგობებით აღსავსე გარემოში ძნელი იყო საკუთრივ საქართველოს მიმდებარე მხარეებში მდგომარეობის განმტკიცება და ვიდრე რუსეთის მიერ ადმინისტრირებული ოლქების გვერდით სულ სხვა კანონებისა და განსხვავებული რეჟიმისადმი დაქვემდებარებული მხარეებიც იარსებებდა, ხელისუფლება უდავოდ მოკლებული იქნებოდა ერთიანობას.

მრავალი მაგალითიდან მოვიყვან ერთს: 1821 წლის 8 (20) ოქტომბრის „უკაზის“[46] გამოქვეყნებამდე ბაქოში სპარსული საქონლის შემოსაზიდი ბაჟი ოცდახუთ პროცენტს შეადგენდა, მაშინ როდესაც მის მოსაზღვრე შირვანში

იგივე საქონელი უბრალო ბაჟით - ექვსი პროცენტით იყო დაშვებული. აქ ხალხი ემორჩილებოდა მოწესრიგებულ მმართველობას, იქ კი - განუსაზღვრელ დესპოტიზმსა და თვითნებობას. ნუხასა და შირვანის სახანოებზე გავლისას სხვადასხვა სახის ბაჟს ახდევინებდნენ. ამგვარად, სხვადასხვა ოლქებში განსხვა-ვებული ვითარება იყო, ხელისუფლებას კი არ შეეძლო თავისი ზედამხედველობის ქვეშ მოექცია ამდენი განსხვავებული სახელმწიფო. ექვსი წლის წინათ ნუხის ხანის სიკვდილისა და შირვანისა და ყარაბაღის ხანების გაქცევის შემდეგ, ეს პროვინციები იმპერიას შემოუერთდნენ; ამრიგად, გვერდზე რჩება რა კოლხეთის (Colchide) აუზი, რომელიც საქართველოსაგან მთის ქედებითაა გამოყოფილი და თითქოს განცალკევებულ სახელმწიფოს წარმოადგენს, საქართველოს თავისი თანამედროვე განფენილობის საზღვრად უდევს ჩრდილოეთით - კავკასია, აღმოსავლეთით - კასპიის ზღვა, ხოლო დასავლეთით - იმერეთის მთები. მაგრამ თუკი საზღვარი ამ სამ მხარეს სავსებით გარკვეულია, სამაგიეროდ სამხრეთით იგი დაუზუსტებელია და განუწყვეტელი დავის საგანს წარმოადგენს, რადგან გულისტანის ტრაქტატით ორ სახელმწიფოს შორის საზღვრებად დადგენილ იქნა ჯარების მიერ დაკავებული შესაბამისი პოზიციები.

1823 წელს მთავარმართებელმა თითქოს გადაწყვიტა ეზრუნა ორ იმპერიას შორის საზღვრების დადგენაზე. ამ მიზნით აბას მირზამ დანიშნა რწმუნებული და მთავარმართებლის ნათესავს, გენერალ-მაიორ ერმოლოვს, რამდენიმე ინჟინერსა და შტაბის უფროსთან ერთად, დაევალა ეს მნიშვნელოვანი ოპერაცია, რომლის განხორციელებაც ბევრ სირთულეებთან იყო დაკავშირებული.

ტრაქტატში მოხსენიებული საზღვრები არ არის განსაზღვრული რომელიმე მდინარით ან მთით. საყრდენ წერტილებად არც ციხეები და ქალაქებია. ამის გამო ორ სახელმწიფოს შორის არსებული საკმაოდ დიდი მხარის კუთვნილება გაურკვეველია. აქ თავს აფარებენ თურქმანებისა (turkomans) და ქურთების (Kourdes) ტომები. ისინი ხშირად ავაზაკობენ ხან ერთ, ხან მეორე ოლქში, რაც ურთიერთ საჩივრებსა და პროტესტს იწვევს. ამასთანავე, რა შედეგიც არ უნდა მოჰყვეს საზღვრების დასადგენად წარმოებულ მოქმედებას, იგი მაინც არ იქნება საბოლოო.

ამ სახელმწიფოსა და რუსეთს შორის ბუნებრივი საზღვრები დიდი მდინარით – არაქსით განისაზღვრება და მიუხედავად იმისა, რომ ეს სპარსეთისათვის ერევნის[47] (Erivan) სახანოს დაკარგვას ნიშნავს, რომლის დედაქალაქიც რუსებმა 1812 წელს უშედეგოდ მოაქციეს ალყაში, ეს მაინც არ არის ერთადერთი ზუსტი დემარკაცია. საქმის ვითარება გვაფიქრებინებს, რომ ფათჰ ალი შაჰის[48] სიკვდილის შემდეგ ეს საზღვარი ყოველგვარი პროტესტის გარეშე იქნება აღიარებული. მით უფრო, თუ მართალია, ის მოარული ხმები, თითქოსდა გულისტანის ტრაქტატის საიდუმლო მუხლით რუსეთის იმპერატორმა პირობა დადო, რომ სპარსეთის ხელმწიფედ აბას მირზას ცნობდა და საჭიროების შემთხვევაში ჯარით დაეხმარებოდა.

ერთ დიდად აღიარებულ ნაშრომში, რომელიც 1822 წელს გამოიცა პარიზში, შეცდომით იყო აღნიშნული, თითქოს რუსებს სამხედრო ხაზი თბილისიდან

სპარსეთის ყურემდე ეჭირათ და რომ ისინი ანზალისა[49] (Enzeli) და ასთარაბადის[50] (Asterabad) სახანოებს ფლობდნენ.

სინამდვილეში კი, რუსეთის უკანასკნელი პუნქტი სპარსეთის მხრიდან არის გომერი (Gomer), რომელიც ერევნიდან ას ოცდაექვსი ვერსითაა (ოცდათორმეტი ლიე) დაშორებული, ხოლო სამხედრო ხაზი, რომლის შესახებაც საუბარია, არა მარტო არასოდეს არსებულა, არამედ არც არასდროს გამხდარა რუსეთისათვის მიზანი, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს სპარსეთის ყურესთან. ამასთანავე, ინგლისის მისია თეირანში არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდა ამგვარი მოთხოვნის დაკმაყოფილებას, თუკი რუსეთი მას ოდესმე წამოაყენებდა სპარსეთის სამეფო კარის წინაშე, რადგან ეს საფრთხეს შეუქმნიდა დიდი ბრიტანეთის გავლენას ინდოეთში.

რაც შეეხება ანზალისა და ასთარაბადს, ეს ორი პორტი რუსეთმა ვერ დაიმორჩილა; ეს ვერ შეძლო ვერც კონსულმა, რომელიც სპარსეთთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, 1822 წელს დაინიშნა რეზიდენტად[51] ანზალიში. იგი ჯერ კიდევ 1824 წელს იმყოფებოდა ბაქოში და სპარსეთის შაჰისაგან ელოდა ჩასვლის ნებართვას, ან ყოველ შემთხვევაში, იმის გარანტიას მაინც, რომ ის სავსებით დაცული იქნებოდა გილანში, სადაც იმ დროისათვის არეულობა იყო.

საჭიროდ ჩავთვალე ამ ცნობების მოტანა; მათ სიზუსტეზე დაყრდნობა შეიძლება. ისინი აბათილებენ რუსეთის მიმართ გამოთქმულ მოსაზრებას მისი დამპყრობლური პოლიტიკის გამო. დასაშვებია, რომ რუსეთი ამგვარ საყვედურს ხშირად იმსახურებდა, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს საფუძველს მოკლებულია.

თავი VI

თბილისის აღწერა. ახალი ნაგებობანი. არქიეპისკოპოს ნერსესის მიერ აგებული შენობები. ბაზარი და ქარვასლა. ქართველების მრეწველობა. მოსახლეობის მდგომარეობა. კლიმატი. სხვადასხვა სარწმუნოება. ცნობები კათოლიკეთა შესახებ თბილისსა და სპარსეთში. ქალდეელები (Chaldeens). გორდიენის (Gordiens) მთების ნესტორიანები (Nestoriens). გენერალ ერმოლოვის მიერ საქართველოში ვაჭრობის მხარდასაჭერად გატარებული ღონისძიებები. გოგირდის აბანოები. ბაღები. კათოლიკეთა სასაფლაო. გერმანელთა სოფლები თბილისის შემოგარენში.

კიროსი (Cirus) ანუ მტკვარი თბილისს ორ ნაწილად ჰყოფს; მარჯვენა ნაპირზე ძველი ქალაქი, გოგირდის აბანოები და ახალი ქალაქია გაშენებული, მარცხენაზე კი – ავლაბრისა (Awlabari) და ისნის (Isni) გარეუბნები, ასევე გერმანელებით დასახლებული სოფელია. მათი დამაკავშირებელი ხიდი ნგრევის პირას იყო მისული, მაგრამ ამ სამი წლის წინ აქ ერთთაღიანი ხის ხიდი[1] აუგიათ აგურების ვეებერთელა ბურჯებზე და ის იმდენად მყარადაა ნაგები, რომ მდინარის სწრაფი დინება ვერაფერს დააკლებს.[(22)]

[(22)] ამ ახალი ხიდისთვის ძველი ხიდის საძირკველია გამოყენებული.

1820 წელს, როცა მე ძველი ქალაქი ვნახე, თითქმის ყველა ქუჩა ნანგრევებით იყო მოფენილი, რაც სპარსელთა შემოსევის მწარე მოგონებას წარმოადგენდა. ხშირად ძალზე ძნელი იყო ამ ნანგრევებში გზის გაკვალვა და ოთხი ფუტის[2] სიმაღლეზე, ნახევრად მიწური სახლების შესასვლელამდე მიღწევა, სადაც მოსახლეობა ცხოვრობდა. ზოგიერთი სახლის ბანი ქალაქის ვიწრო და მიხვეულ-მოხვეული ქუჩების დონეზე იყო. სამი წელი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ამ ძველ ქალაქს, რომლის დაკნინებული იერიც აზიურ შეუზღუდავ მმართველობაზე დაფუძნებული მჩაგვრელი რეჟიმის მაუწყებელი იყო, მისცემოდა განსხვავებული ელფერი და დამსგავსებოდა იმ ქალაქებს, რომელთაც ცივილიზებული ევროპის წესებით მართავენ.

ასეთი მნიშვნელოვანი გარდაქმნების განსახორციელებლად პოლიციის უფროსმა, ინჟინერთან და რამდენიმე რწმუნებულთან ერთად, თანდათანობით დაიწყო ქუჩების გაგანიერება იმისთვის, რომ ეტლს თავისუფლად გაევლო. ქუჩების სწორხაზოვნებას ზედმიწევნით იცავდნენ, ხოლო მცხოვრებლებს დაევალათ, მოკლე ვადაში თავიანთი სახლები შეეცვალათ აგურის სახლებით, რომელთა სიმაღლე, ჩვეულებრივ, თორმეტ-თხუთმეტ ფუტს არ აღემატებოდა. საქმის დასაჩქარებლად გამოიყო უზარმაზარი ადგილი, სადაც აგურებს ამზადებდნენ. ამ სამუშაოზე ჯარისკაცებს ასაქმებდნენ, მათ ნაწილს ტყეებში მუხის ხეების მოჭრა და გორიდან თბილისამდე მათი მტკვარზე დაცურება ევალებოდა. ასე და ამგვარად, ძველი ქალაქის მშენებლობა წარმოუდგენელი სისწრაფით მიმდინარეობდა.[23]

ძველი ქალაქის გარშემო თხრილები თანდათანობით ივსება და რამდენიმე წლის შემდეგ ძველი ქალაქი ახალს შეუერთდება. ახალ ქალაქში დაახლოებით სამოცი ფუტის სიგანის ქუჩებია გაჭრილი, რადგან ადგილი ამის საშუალებას იძლეოდა. მშვენიერი მოედნები, გულდაგულ აშენებული ყაზარმები - ნაწილი ცეცხლზე გამომწვარი, ნაწილიც - მზეზე გამომშრალი აგურისა, ჰოსპიტლები, ადმინისტრაციულ დაწესებულებათა შენობები - ყოველივე ეს გენერალ ერმოლოვის მიერ წარმოებულ საზოგადოებრივ სამუშაოთა ერთ მთლიან სურათს ქმნის. შეუდარებელია ის ზრუნვა და საქმიანობა, რასაც გენერალი იჩენს მისდამი რწმუნებული დედაქალაქის გასამშვენიერებლად და, შეიძლება ითქვას, მისი სრული სახით აღსადგენად. ყველა კარგად ხედავს, რომ მას დიდად ახარებს თბილისის გაფართოება. გენერლები, ადგილობრივი თავადები და მდიდარი სომხები კი ყოველნაირად ცდილობენ თავი მოიწონონ საკუთარი სახლების ელეგანტური იერით. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სომეხი თავადის, გენერალ მადათოვის[3] (Mandatoff) მიერ ახალ ქალაქში დიდი გემოვნებით აშენებული სახლი. 1820 წელს, სპარსეთში გაქცევამდე ცოტა ხნით ადრე, ყარაბაღის ხანმა გენერალ მადათოვს ორასი ათასი დესეტინა (ხუთასი ათასი არპანი) მიწა უწყალობა და მის დასამუშავებლად საჭირო ყმების ერთი ნაწილიც გამოუყო.

---

[23] მშენებლები უმთავრესად სპარსელები არიან. შეუძლებელია მათზე უფრო გონიერი და მარჯვე მუშების პოვნა. ვერაფერს ვიტყვი იმ სამუშაოს დიდ მოცულობაზე, რომელსაც ასრულებს სულ მცირე დროში სპარსელი კალატოზი. ამიტომაცაა, რომ ზოგიერთი მათგანი გასამრჯელოდ დღეში 6 ფრანკს იღებს. ვგულისხმობ იმ კალატოზებს, რომლებსაც შეუძლიათ კამარებისა და თაღების ზუსტად განსაზღვრა, ხის საყრდენისა თუ სხვა საბჯენის გარეშე აგურ-აგურ მათი აწყობა, თანაც ისე, რომ უბედური შემთხვევისაგან ყოველნაირად დაცულნი არიან.

დიდი სამუშაოების ორგანიზატორთა შორის ყველაზე მეტად თბილისის სომეხი არქიეპისკოპოსი ნერსესი[4] გამოირჩეოდა. ამ სახელოვანმა პრელატმა ახალ ქალაქში უზარმაზარი ქარვასლა ააგო, რაც იმის მაუწყებელია, რომ ამ ქალაქში ალბათ ფართო ვაჭრობა გაიშლება. ქარვასლის შენობას ეპისკოპოსმა სასწავლებელიც მიუშენა, სადაც განზრახული აქვს მოიწვიოს აზიური და ევროპული ენების მასწავლებლები და თავის თანამემამულეებს მისცეს განათლება, რასაც ისინი აქამდე ზოგადად მოკლებულნი იყვნენ.

ამრიგად, ცივილიზაცია თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს ევროპიდან აზიისაკენ. სულაც არ არის შორს ის დღე, როცა ცივილიზაცია სასურველ გავლენას იქონიებს იმ ქვეყნების კეთილდღეობაზე, სადაც იგი ფეხს მოიკიდებს.

დიდად სასიხარულოა, რომ ამ შორეული ქვეყნების განათლებაზე მეურვეობა ორ იშვიათი ღირსების მქონე პიროვნებას დაეკისრა. ორივენი კეთილი და შემწყნარებელი თვისებებით არიან შემკულნი, რაც დიდად შეუწყობს ხელს მათ მიერ წამოწყებული დიდებული საქმის წარმატებით დაგვირგვინებას.

ერთ-ერთი მათგანი, ბ-ნი აბატი ნიკოლი[5] (Nicole), მეფის კაპელანი, გარკვეული დროის მანძილზე საფრანგეთში საზოგადოებრივ განათლებას ედგა სათავეში. იგი დღესაც ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მრჩეველთაგანია ამ დარგში. ნევის ნაპირებზე მან ერთგვარი რევოლუცია მოახდინა კერძო განათლების სფეროში, აღზარდა გამორჩეული ადამიანები, რომლებიც შემდგომში რუსეთის ნიჭიერი გენერლები და ღირსეული მმართველები გახდნენ; მოგვიანებით იგი შავი ზღვის სანაპიროზე, ოდესაში ჩავიდა, რომელიც ამ ოცდაათი წლის წინათ ჯერ კიდევ ღარიბ თათრულ სოფელს წარმოადგენდა. აქ მან კარგად ორგანიზებული ლიცეუმი დააარსა, სადაც სწავლება ყველანაირ სასარგებლო ცოდნას მოიცავდა.

მეორე გახლავთ პატივდებული ნერსესი. ის კარგად უწყოდა, რომ ეს ერი ერთ დროს ძლევამოსილი და სახელოვანი იყო, დღეს კი დაკნინებული, გაფანტული და დამცირებულია. რადგან იგი საკუთარ თავს არა მარტო ეპისკოპოსად, არამედ ხალხის წინამძღოლადაც მიიჩნევდა, გადაწყვიტა, რომ რელიგიურ განათლებასთან ერთად აუცილებელი იყო საერო განათლებაც. როგორც ჩანს, მან გენიოსის თვალით შეხედა მომავალს და შეინარჩუნა იმედი, რომ უფალი სამუდამოდ არ აიღებდა ხელს ძველი პატრიარქების[6] შთამომავლებზე; ამიტომაც განიზრახა, ყოველი შემთხვევისათვის, ეს ერი წინასწარ შეემზადებინა, მის წიაღში აღეზარდა ზნეობრივი, განათლებული ადამიანები, რათა მომავალში, რუსეთის იმპერატორის მიერ დიდად დაფასებულ პირთა შორის მათაც თავისი ადგილი ჰქონოდათ.

თბილისის მოსახლეობა თანდათან იზრდება სომხების მოზღვავების ხარჯზე, რომლებიც აქ ეძიებენ თავშესაფარს თურქების ტირანიისა თუ სპარსელების მხრიდან შევიწროებისაგან. აზიურ თურქეთში ანარქია, ძალმომრეობა და უწესრიგობა სუფევს; ფაშები და სამხედრო პირები არავის ზოგავენ. რაც შეეხება სპარსეთს, რეპრესიები და ძალადობა ამ ქვეყანაში შემოსავლის მიღების ერთგვარ ფორმად ითვლება.

სახანოებში გადასახადების აკრეფა მინდობილი აქვს პრინცს, რომელიც მისი გამგებელია. მასვე ევალება სპარსეთის შაჰის ხაზინაში ფიქსირებული თანხის შეტანაც. ამ შენატანის გასაზრდელად ხანს, რომელიც თავისი პროვინციის

შემოსავლის მოიჯარადრედ იქცევა, უფლება ეძლევა აკრიფოს იმდენი გადასახადი, რამდენსაც თავად ჩათვლის საჭიროდ. იმისათვის, რომ საცოდავ სპარსელებს ფული წაგლიჯონ, იყენებენ ყოველგვარ საშუალებას, რისი გამოგონებაც კი შეუძლიათ მათივე გაუმაძღრობიდან გამომდინარე. ხალხი კი, იმის შიშით, რომ თავის შესაძლებლობაზე მეტი გადასახადი არ შეაწერონ, იძულებულია სიღატაკით შეინიღბოს. ეს შიში გახლავთ მიზეზი იმისა, რომ სპარსელები და სომხები თავს არიდებენ მსხვილ სავაჭრო ოპერაციებს, რომელთაც გარკვეული წარმოდგენის შექმნა შეუძლია მათ სიმდიდრეზე. ორი საუკუნის მანძილზე დაშინებული სპარსელი მალულად აგროვებდა ფულს, ეს კი, თავის მხრივ იწვევდა მრეწველობის, ვაჭრობისა და სოფლის მეურნეობის სრულ დაკნინებას.[24] ამიტომ, ვისაც შეუძლია თავისი ავლადიდების რეალიზაცია და მისი რუსეთში გატანა, დაუყოვნებლივ იქ გარბის.

1820 წელს თბილისში ჩამოსულმა ერთმა სომეხმა ვეებერთელა ქარვასლა[7] ააგო. ამ შენობისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთში, რომელიც სიგანით რვა ტუაზს, ხოლო სიგრძით ოცდაათ-ორმოც ტუაზს არ აღემატებოდა, მან გადაიხადა 81,000 მანეთი ასიგნაციით (81,000 ფრ.), ხოლო ადიდებული მტკვრისაგან თავისი ქარვასლის დასაცავად მან კედელი და განიერი ჯებირი აღმართა. ეს ქარვასლა ბევრად უფრო დიდია, ვიდრე ძველ ქალაქში არსებული ორი სხვა ქარვასლა.

აქლემებისა და ცხენების განუწყვეტელი შემოსვლა ქალაქში და მათი აქედან გასვლა, სპარსელ ვაჭართა სიმკვირცხლე და ამის საპირისპიროდ – სომხებისა და თურქების სიდინჯე, დაბოლოს, სხვადასხვა შორეული ქვეყნიდან შემოსული საქონლის ტრანსპორტი – ყოველივე ეს განსაკუთრებულ იერს აძლევს და სიცოცხლით ავსებს ამ თავისებურ სასტუმროებს, სადაც ესოდენ განსხვავებული ენებისა და ქვეყნების ვაჭრები თითქოს ერთ თემში გაერთიანებული ცხოვრობენ. აქ არაფერს იხდიან არც სადგომში და არც საქონლის საწყობში; მხოლოდ პატრონს აძლევენ საკომისიოს – ერთ პროცენტს ყიდვა-გაყიდვის ოპერაციიდან.

სამივე ქარვასლა შუა ბაზარშია განლაგებული. ბაზარი მრავალ ქუჩად და მოედნად იყოფა და მუდამ სავსეა მოსეირნე ხალხით. მანუფაქტურული მრეწველობის თითოეულ დარგს ბაზარში ცალკე უბანი აქვს მიჩენილი.

დუქნებით გარშემორტყმულ პატარა მოედანთან მიახლოებისას ყურისწამღები ხმაური გამცნობთ, რომ მეთუნუქეთა უბანში იმყოფებით. სპილენძი, რომელსაც ისინი ნედლეულის სახით ყიდულობენ სახელმწიფოსაგან, სომხითის (Somkétie) მდიდარი მაღაროებიდან შემოდის. ისინი თვითონვე

---

[24] გადასახადის აკრეფის ასეთი წესი ჯერ კიდევ ლუი XIII-ის დროს იყო შემოღებული საფრანგეთში. თავის „პოლიტიკური ეკონომიკის ტრაქტატში“ სტიუარტი (Stuart, *Traité sur l'Économie politique*) ფართოდ განიხილავს ამ საკითხს და აღნიშნავს, რომ როდესაც ფერმერები (როგორც მაშინ უწოდებდნენ მეწარმეებსა და მოიჯარადრეებს) მეტისმეტად ბოროტად იყენებდნენ მათი ბატონების მიერ მათთვის მინიჭებულ გადასახადის აკრეფის უფლებას, ხალხი ამ მოხელეებს ხშირად ხოცავდა; ავტორი დასძენს, რომ ამგვარი მკვლელობებისათვის იშვიათად ისჯებოდა ვინმე, რადგან ეშინოდათ, რომ თავადაც არ გამხდარიყვნენ გადასახადის აკრეფის მსხვერპლი, და ეს შიში იყო ერთადერთი ლაგამი, რომელიც მოიჯარადრეთა მოჭარბებულ სიხარბეს აოკებდა.

აბრტყელებენ მას ფურცლებად დაყალიბებამდე. ცოტა მოშორებით მექოთნეებს გამოფენილი აქვთ თიხის ჭურჭელი, რომლის ფორმებიც თაობიდან თაობამდეა შენარჩუნებული და, ჩვეულებრივ, მეტად მოხდენილია. ოქრომჭედლებს ოცამდე სახელოსნო აქვთ. მათ სამუშაო არ ელევათ, რადგან ამ ქვეყანაში ვერცხლის ჭურჭელი ფუფუნების საგანს წარმოადგენს. ისინი ჩინებულად ფლობენ მოჭიქვის ხელოვნებას. გოგირდის აბანოებთან ახლოს ვხვდებით ყველაზე სახელგანთქმულ მეიარაღეებს. ხმლებსა და ხანჯლებს მეტი წრთობა რომ მისცენ, ისინი იყენებენ ფოლადს, რომელიც ხორასნიდან (Khorassan) შემოაქვთ და რომელიც ისეთი იშვიათი გახდა, რომ დღეს ოქროს ფასი დაედო. მათ ასევე იციან იარაღის ლამაზად მოჭედვაც. ბაზრის სიღრმეში მოკალათებული ზოგიერთი ხელოსანი სპარსული ცხენებისათვის ამზადებს უცნაური ნახატებით მოჩითულ ქეჩის გადასაფარებლებს. ოდნავ მოშორებით აბრეშუმის ძაფის მრთველები არიან, რომლებიც ადგილობრივი ყვავილებითა და მცენარეებით მბზინავ და მდგრად ფერებში ღებავენ ძაფს. დათრიმვლის ნაცვლად დაბაღებს ტყავი ორ ხის ცილინდრს შორის თასმებში განუწყვეტლივ გატარებით გამოჰყავთ და ისეთ ელასტიურობასა და სიმტკიცეს აძლევენ მას, რომ ეს უკანასკნელი ჩვენს სახელოსნოებში დამზადებულ ტყავებს ბევრად სჯობს. დაბოლოს, სახელოს-ნოების დიდი რიგი მეწაღეებსა და ქურქჩებს უჭირავთ. ეს უკანასკნელნი ასტრახანული ცხვრისა და ბატკნის ტყავისაგან ამზადებენ შავ და ნაცრისფერ ქუდებს. მათ თანაბარწილად მოიხმარენ როგორც სპარსეთში, ისე საქართველოში; განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ამ ორი ქვეყნის ხალხი სხვადასხვა სიმაღლის ქუდებს ატარებენ.

მაუდით, აბრეშუმის ქსოვილებით, ტილოებით, აღმოსავლური სანელებ-ლებითა და სურნელოვანი სუნელებით მოვაჭრენი ბაზრის ერთ ნაწილში არიან თავმოყრილნი. იქვე, გვერდით, პატარა მოედანზე, საიდანაც ხიდი იწყება, ხალხის ბრბო ირევა; აქ ლეკები, თათრები (tartares) და ოსები ყიდიან ბეწვეულს, ხალიჩებს, შალის წინდებს, რომელთა ნაირფერი ნახატებიც არ არის გემოვნებას მოკლებული, ან კიდევ - თავიანთ საქონელს ცვლიან სპარსულ და ევროპულ საქონელზე. ამ საერთო აყალმაყალში ბაქოდან და სპარსეთიდან მოსული, საქონლით დატვირ-თული ხარები და აქლემები გადაკვეთენ მოედანს, გადადიან მდინარის გაღმა ნაპირზე და და საერთო საძოვრებზე ჩერდებიან. ვაჭრებიც აქვე პოულობენ ქარვას-ლას[8], რომელიც ოთხი წლის წინათ აშენდა და რომელიც უფრო იაფად სთავაზობს მათ საცხოვრებლებს, ვიდრე ქალაქის სხვა ქარვასლები. ქალაქში არსებული ორი ძველი ქარვასლიდან ერთ-ერთში მხოლოდ სპარსელები ცხოვრობენ; ხოლო ყარსელი (Kars), არზრუმელი (Erzeroum) და სპარსელი სომხები, ჩვეულებრივ, მეორე ქარვასლაში ჩერდებიან.

თბილისის მოსახლეობამ ამ რამდენიმე წლის წინ საგრძნობლად იწყო ზრდა. 1820 წელს თბილისში დაახლოებით ოცდაოთხი ათასი მცხოვრები ითვლებოდა. 1825 წელს მის მოსახლეობას, სულ ცოტა, ოცდაცამეტ ათას სულს ანგარიშობდნენ; მაშინ როგორც ქალაქში, ისე მის გარეუბნებში აღირიცხებოდა: 2500 სომხის ოჯახი, 1500 - ქართველისა, 500 - თათრისა და სპარსელისა, სულ - 4500 ოჯახი; ყოველი ოჯახი, სულ მცირე, ექვსი სულისაგან შედგებოდა, რაც მთლიანობაში 27,000 სულს

შეადგენს. გარნიზონის, სახელმწიფო მოხელეთა და უცხოელების რიცხვი 6000-ს უტოლდებოდა, ე. ი. სულ 33,000 სული.

საფუძველი მაქვს ვიფიქრო, რომ მოსახლეობის მუდმივი ზრდა სპარსეთიდან და თურქეთიდან ქრისტიანთა ემიგრაციის შედეგია: ისინი აქეთ უწყვეტად მოედინებიან.

არქიეპისკოპოს ნერსესის მიერ მოწოდებული ცნობების თანახმად[9], სომხებს შორის სიკვდილიანობის წლიური მაჩვენებელი ევროპის ყველაზე ჯანსაღი ქვეყნების პროპორციებს არ სცილდება, ხოლო შობადობის რიცხვი ბევრად აღემატება სიკვდილიანობისას.

ადრე აღნიშნავდნენ, რომ ამ ხალხში უფრო მეტად ქალები იხოცებოდნენ, ვიდრე მამაკაცები, განსაკუთრებით კი - ახალგაზრდა გოგონები ათიდან თორმეტ წლამდე. ვარაუდობენ, რომ ამის მიზეზი გახლავთ სომხებსა და ქართველებში გავრცელებული ჩვეულება: იყო შემთხვევები, როცა მათ გოგონებს, როგორც კი შეუსრულდებოდათ ათი წელი, მაშინვე ათხოვებდნენ. ეს ნაადრევი ქორწინება გამოწვეული იყო ამ ქვეყნის ქრისტიანების მუდმივი შიშით, რომ სპარსეთის ხელისუფალნი საქართველოს მეფეებისაგან მათ გოგონებს მოითხოვდნენ, რომლებიც, როგორც წესი, ლამაზები იყვნენ, ხოლო ამაზე უარის თქმას იშვიათად თუ ვინმე გაბედავდა. ქალიშვილების გათხოვების შემდეგ კი ეს საშიშროება აღარ ემუქრებოდათ, რადგან აღმოსავლური ცრურწმენის თანახმად, ქორწინების შემდეგ ისინი დიდი ხელმწიფის ჰარამხანისათვის უღირსნი ხდებოდნენ.

თავიანთ ასულებთან სამუდამო განშორების შიშით, მეტადრე კი სარწმუნოების გამოცვლის საფრთხის გამო, თბილისელი სომხები ხშირად ერთადერთ გამოსავალს მიმართავდნენ - თავიანთ ქალიშვილებს ძალზე ადრეულ ასაკში ნიშნავდნენ რუსებზე, რომლებიც ამ მხარეში იმყოფებოდნენ სამსახურეობრივი მოვალეობის გამო. ამგვარ მფარველს საქართველოსა და სპარსეთის მეფეები ანგარიშს უწევდნენ. ადრეული ქორწინების ეს ორი მიზეზი დღეს აღარ არსებობს: პატრიარქმა ეპისკოპოსებსა და მღვდლებს აუკრძალა ახალგაზრდა გოგონების დაქორწინება თოთხმეტ წლამდე, მაგრამ არქიეპისკოპოსი ნერსესი ამბობდა, რომ ქორწინების ასაკის დასადგენად მის მიერ მიღებული ყველა სახის ზომების მიუხედავად, მშობლები ხშირად გვერდს უვლიან ამ აკრძალვას, თუკი შვილების დაბინავების დაჩქარება მათ ინტერესებში შედის.

თბილისში ცა თითქმის ყოველთვის მოწმენდილია. წლის განმავლობაში აქ ოცდაათი-ორმოცი წვიმიანი დღე ძლივს დაითვლება. ზამთარი, ჩვეულებრივ, 10 დეკემბრისათვის იწყება, მხოლოდ ორიოდე თვე გრძელდება და თერმომეტრი იშვიათად დაიწევს სამ-ოთხ გრადუსამდე. ზაფხულობით სიცხე კონცენტრირე-ბულია თბილისის გარშემო მდებარე დაბლობზე და ზოგჯერ დიდი სიცხეები დგება ხოლმე, განსაკუთრებით ძველ ქალაქში. 1820 წელს საკუთარი თვალით ვნახე, რომ თერმომეტრმა ჩრდილში 33 გრადუსამდე აიწია. ჩვეულებრივ წლებში კი იგი მთელი ზაფხულის განმავლობაში 22-28 გრადუსზე დგას. ახალი ქალაქის ამაღლებულ ნაწილში, სადაც მთავრობის სასახლეა[10], სიცხე ბევრად უფრო ნაკლებია და ზოგჯერ ქალაქის დაბალ ნაწილთან შედარებით 3-4 გრადუსის განსხვავებას იძლევა.

ზომიერების გრძნობას მოკლებულ უცხოელებს ხანდახან, დიდი სიცხეების დროს, ციება და ტვინის ანთება, უფრო კი - მონაცვლეობითი ციებ-ცხელება ემართებათ. ამ დაავადებას ახლა ინდური წესით მკურნალობენ კალამელითა და იპეკეკუანათი, შემდეგ კი ქინაქინით, რომელსაც ციება იშვიათად უწევს წინააღმდეგობას. დიდი ზომიერების დაცვაა საჭირო, რათა ავადმყოფობა არ შემობრუნდეს. საერთოდ კი, ევროპელები რომ კარგად იყვნენ დამკვიდრებულნი ამ მხარეში, სულ ადვილად დააღწევდნენ თავს ამ დიდ სიცხეებს: თბილისიდან სულ რაღაც ორ-სამ ლიეზე დაშორებულ მთებში ააშენებდნენ ხის სახლებს და ივლისის, აგვისტოსა და სექტემბრის თვეებს იქ გაატარებდნენ. ამ მაღალ მხარეში ტემპერატურა რბილია, ჰაერი კი სავსებით ჯანსაღი; თერმომეტრი, ჩვეულებრივ, 18-20 გრადუსს შორის დგას.

ისეთ ქალაქში, როგორიცაა თბილისი, სადაც სხვადასხვა ერების წარმომადგენლები ცხოვრობენ და რომელსაც ისეთი ტოლერანტი მთავრობა განაგებს, როგორიც რუსეთის მთავრობაა[11], ბუნებრივია სრულიად განსხვავებულ რელიგიურ ნაგებობათა არსებობა. შიიტ (chites) და სუნიტ (sunnites) მუსლიმებს აქ თითო-თითო მეჩეთი აქვთ: ერთი ძველი საგზებლის[12], ანუ მოგვთა ტაძრის ახლოსაა, თავად ცეცხლთაყვანისმცემელთა ტაძარი კი დღეს ერთი ღარიბი ქართული ოჯახის საცხოვრებელს წარმოადგენს. ცეცხლთაყვანისმცემლობა სპარსეთში მაჰმუდ ღაზნევის (Mahmoud de Gasnevide) დაპყრობის დროს მუსლიმური რელიგიით შეიცვალა.[13]

ბერძნული წესის მიმდევარ ქართველებს და სომხური წესის მიმდევართ მრავალი ტაძარი აქვთ. სიონის სახელით ცნობილ საკათედრო ტაძარში კი წირვას რუსები ესწრებიან.

კათოლიკებს თბილისში ერთი ეკლესია აქვთ.[14] ის იმ ძველი მონასტრის მოპირდაპირე მხარესაა, რომელიც 1795 წელს სპარსელების შემოსევის დროს დანგრეულა. ამ სამრევლო ეკლესიას ემსახურებიან იტალიელი კაპუცინები. საქართველოში მათი დამკვიდრება 1635 წლით თარიღდება; მაშინ ისინი აქაური მეფეების მკურნალები და დასტაქრები იყვნენ, რომლებიც კაპუცინების მიმართ განსაკუთრებულ პატივისცემასა და ყურადღებას იჩენდნენ. ამავე დროს, კაპუცინები იყვნენ, აგრეთვე, ადგილობრივი მოხელეებისა და თავადების მკურნალებიც, უფასოდ მკურნალობდნენ ხალხს და ურიგებდნენ მათ წამლებს, რის გამოც კაპუცინები ერთობ დიდი გავლენით სარგებლობდნენ. ქართველ და სომეხ მღვდლებთან ეს ბერები მუდამ სრულ თანხმობაში ცხოვრობდნენ და ახლო ურთიერთობა ჰქონდათ მათთან.

თბილისის ეკლესია უკვე აღარ არის საკმარისი ქართველ კათოლიკეთათვის, რომელთა რიცხვმაც დღეისათვის დაახლოებით ექვსასს მიაღწია. ეკლესია საკმაოდ ლამაზად არის მორთული და ღვთისმსახურებაც აქ წესების ზედმიწევნით დაცვით სრულდება. სხვადასხვა რიტუალთა შორის მეტად უცნაურად გამოიყურება, პირველ რიგში, მშვიდობის ამბორი - აგრერიგად ამაღელვებელი და წინდახედული წესი ისეთ ქვეყანაში, სადაც შურისძიება მოვალეობადაა ქცეული; მეორე კი, - ზიარების შემდეგ მორწმუნეთათვის რამდენიმე წვეთი ღვინით გამასპინძლების ჩვეულება.

კაპუცინების მონასტერს მხოლოდ ერთი კედელი ჰყოფს სომხების ეკლესიის[15] ეზოსაგან. ყოველ კვირას სომხები სწირავენ ცხვარს ან პატარა ბატკანს. მღვდელი აკურთხებს მსხვერპლს, ხორცს ანაწილებენ და ურიგებენ დამსწრეებს. ამრიგად, ამ ქვეყანაში, ქრისტიანობას რომ ლამის მისი წარმოშობისთანავე ქადაგებენ, კათოლიკურ ტაძარში ისეთი წეს-ჩვეულებებია შემორჩენილი, რომლებიც პირველყოფილ სამლოცველოებს მოგვაგონებენ, ხოლო სომხებთან, რომლებიც არ მისდევენ რომაულ წესს, შემორჩენილია აბრაამისა და იაკობის რელიგიასთან დაკავშირებული მსხვერპლშეწირვები.

თბილისის მონასტრის წინამძღვარი პატრი ფილიპე[16] (Philippe) პაპმა ამიერკავკასიის პროვინციების სამოციქულო პრეფექტად დანიშნა. მის საეკლესიო იურისდიქციაში შედის გორისა და ქუთაისის სამწყსოები, რომელთაც იტალიელი კაპუცინები ემსახურებიან, და აგრეთვე, ახალციხის სამწყსო, რომელსაც ამ დროისათვის ჯერ არ ჰყავს მღვდელმსახური.

1822-1823 წლებში ოთხასამდე სომხური ოჯახი შვიდ მღვდელთან ერთად გამოიქცა თურქეთიდან და ისინი რუსეთის მთავრობამ შეიხიზნა. ისინი სომხითში, ბამბაკის (Bambac) მაზრაში შემდეგ სოფლებში დამკვიდრდნენ: კარაკლი (Karacli), ჩაზიგალი (Chatzigali), კაპანახჩი (Kopanoltchy), კოპული (Kopuli), კაჩარლი (Kactarli).

როგორც ზემოთ აღვნიშნე, მთელ საქართველოში რომლებსაც მიიჩნევენ, რომ გადამდები სენი აქვთ შეყრილი, როგორც წესი, უპატრონოდ ტოვებდნენ ხოლმე და რადგან შველა არსაიდან ელოდათ, ისინი სასიკვდილოდ იყვნენ განწირულნი.

ამ უბედურებისაგან თავდასაცავად, რომელიც არცთუ ისე იშვიათი მოვლენა იყო, პატრმა ფილიპემ თავისი მონასტრის გვერდით სულ ახლახანს პატარა საავადმყოფო ააგო, სადაც ყველა სნეულს მკურნალობდნენ, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა. დაავადებულთა სამკურნალოდ მან ორი მოწყალების და მოიყვანა, რომელთაც პირობა ჩამოართვა, რომ გასამრჯელოს მხოლოდ იმათგან აიღებდნენ, ვისაც ამ ხარჯების დაფარვის საშუალება ჰქონდა, ღარიბებს კი უსასყიდლოდ უმკურნალებდნენ.

ასეთი საქციელი თავისთავად ქება-დიდებით მოსავს პატრ ფილიპეს და მე ვეღარაფერს დავამატებ ამ ბერის შესამკობად, რომელიც თავისი მრევლის დიდსულოვნების მეშვეობით ცდილობს ულევი საქველმოქმედო დახმარება აღმოუჩინოს ღატაკებს.

მიუხედავად იმისა, რომ უცხოელთა მისიები რელიგიურ დაწესებულებებს წარმოადგენენ, მათ მჭიდრო კავშირი აქვთ სავაჭრო საქმიანობის ინტერესებთანაც და ამიტომ, ვფიქრობ, ურიგო არ იქნება, ზოგიერთი ცნობა მოგაწოდოთ სპარსეთში ქრისტიანთა რაოდენობისა და მათი მდგომარეობის შესახებ. თვით ნებისმიერი ფილოსოფოსიც კი, უნდა თუ არა, იზიარებს იმ აზრს, რომ ქრისტიანული რელიგია ცივილიზებულ ხალხთა რელიგიაა, რომელიც იცნობს კაცობრიობის განვითარების კანონებს; მუსლიმური სარწმუნოება კი უვიცობის, ფანატიზმისა და ბარბაროსობის რელიგიაა. ამ ერთადერთი თვალსაზრისის გათვალისწინებით, კარგი იქნება, გავერკვეთ აზიაში ცივილიზაციის საყრდენი წერტილების არსებობაში.

აბას დიდის (Abbas-le-Grand) დროს, როცა სპარსეთის იმპერია ტიგროსიდან ინდამდე იყო გადაჭიმული, აქ საკმაოდ ბევრი კათოლიკური მონასტერი არსებობდა და თითქმის ყველას კაპუცინები და დომინიკელები[17] ემსახურებოდნენ. ასეთი მონასტრები იყო ისპაჰანში, თავრიზში და ყანდაჰარის ზოგიერთ ქალაქშიც კი. როდესაც ლუი XIV-ის დროს კოლბერმა[18] სპარსეთში გაგზავნა ელჩობა საფრანგეთსა და სპარსეთს შორის სავაჭრო ხელშეკრულების გასაფორმებლად, ისფაჰანის[19] მონასტრის ბერებმა ამ მოლაპარაკების შუამავლებს დიდი დახმარება გაუწიეს. უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში კი, როცა სპარსეთი სისხლის-მღვრელმა ომებმა მოიცვა, მათ დატოვეს მონასტრები და ქრისტიანთა დიდმა ნაწილმა უფრო მშვიდ ქვეყნებს, განსაკუთრებით კი - ინდოეთს მიაშურა.

დღეისათვის არც სპარსეთში და არც ავღანეთში უკვე აღარ არსებობს არც ერთი მოქმედი მონასტერი. შემორჩენილია მხოლოდ შარდენისა და ტავერნიეს მიერ მოხსენიებული ისპაჰანის მონასტერი; მის მოვლა-პატრონობაზე ზრუნვა დაკის-რებული აქვს სომეხ კათოლიკეთა ხუთ ოჯახს, მაგრამ ამ მონასტერს მღვდელი არ ჰყავს.

რომაული წესის მიმდევარმა სომხებმა, რომელთაგანაც თითქმის ყველა ვაჭარია, მიატოვეს ეს გავერანებული მიწები და განგის ნაპირებზე ბომბეიში, მადრასსა და კალკუტაში გადასახლდნენ, სადაც თან წაიღეს შემორჩენილი ქონება და ვაჭრობის დარგში არც თავიანთი გამჭრიახობა დაუკარგავთ; მათ შორის ზოგიერთმა დიდი ქონება შეიძინა. ქალდეელ[20] (chaldeene) კათოლიკეთა მოსახლეობა, რომელმაც თავი დააღწია ქურთების მიერ გამუდმებულ ძარცვას, სომხეთისა და აზერბაიჯანის (Aderbijan) საზღვრებზე, ხოისთან (Koy) ახლოს, კოსტროიას (Kostroya) ოლქში მოვიდნენ საცხოვრებლად. ეს არის სამი ათასი ოჯახი, დაახლოებით თვრამეტი ათასი სული. ეს ქალდეელები მისდევენ მიწათ-მოქმედებას და თავიანთი მწირი შეძლების მიუხედავად, დიდი გადასახადებით არიან დაბეგრილნი. ამასთანავე, მართალია გადასახადის რაოდენობა 1300 თუმანს შეადგენდა, მაგრამ მისი დაგვიანების საბაბით და, ამავე დროს, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შედეგადაც, ეს გადასახადი, ჩვეულებრივ, 2000 თუმანს (32000 ფრ.) აჭარბებდა, ძღვენის სახით მირთმეული მარცვლეულისა და სხვა პროდუქტის ჩაუთვლელად. ამ ქალდეელებს ეპისკოპოსად ჰყავთ ერთი მღვდელი, რომელიც სამოცდაათ წელს გადაცილებულია. იგი თითქმის ყველა აღმოსავლურ ენაზე ლაპარაკობს, თანაც იტალიურსაც მშვენივრად ფლობს.

თეირანში რუსეთის საქმეთა რწმუნებულის, ბ-ნ პოლკოვნიკ მაზაროვიჩის (Mazarovitch) ჩამოსვლამდე, რომელიც დალმაციელი[21] კათოლიკე და ყველა ევროპელის დიდი მოამაგე გახლავთ, ქალდეელი ეპისკოპოსი ხშირად საშინელ ჩაგვრას განიცდიდა. მისი წლოვანებისა და სათნოების მიუხედავად, ყოველთვის, როცა გადასახადების გადახდა გვიანდებოდა, მას გაჯოხვით სჯიდნენ; მაგრამ მას შემდეგ, რაც პოლკოვნიკმა ეს პრელატი განსაკუთრებული პატივით მიიღო და თავის სუფრასთან სპარსეთის მაღალი თანამდებობის პირთა შორის საპატიო ადგილი მიუჩინა, მან გარკვეული პატივისცემა დაიმსახურა და მისი მდგომარეობის ასეთი ბედნიერი შემობრუნებით მისმა სამწყსომაც დიდად იხეირა.

მე უკვე აღვნიშნე, რომ ბ-ნი პოლკოვნიკი მაზაროვიჩი გულისხმიერი ადამიანია. მას საშუალება ჰქონდა, ეს თვისება ერთი ფრანგი ქალის მიმართაც გამოემჟღავნებინა; ეს ქალი, უკვე საკმაოდ ხანდაზმულ ასაკში, თავრიზში მოხვდა და რამდენიმე ხანი აქ რუსეთის იმპერატორის წყალობით ცხოვრობდა. პოლკოვნიკის დახმარებით იგი აბას მირზას ასულების მასწავლებელი გახდა. მისივე შეწევნით, ინგლისელი მკურნალი ბ-ნი კორმაკი (Cormac) ტახტის მემკვიდრე უფლისწულსა და მის ჰარამხანას დაუკავშირდა. ინგლისელები აქ სპარსეთის ჯარს წვრთნიან, ხელმძღვანელობენ არტილერიას. სან-დომინგოში დაბადებული ერთი ქალი, რომელიც ლამბალის (Lamballe) პრინცესას[22] ნათლულია, ფრანგულ ენას ასწავლის ხელმწიფის ასულებს და ზრუნავს მათ აღზრდაზე, რომელიც ძველ ჩვეულებებსა და ცრურწმენებზე დამყარებული მათი აღზრდისაგან ძირეულად განსხვავდება.

თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქრისტიანების თაობაზე ცნობების შეგროვება ვერ შევძელი, ამიტომაც ვერაფერს გეტყვით მათ შესახებ. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ამ იმპერიასა და სპარსეთს შორის ქალაქ ამადისთან (Amadie) ახლოს, გორდიენის მთის ქედზე, სომხეთსა და სირიას შორის, დიდი რაოდენობით ცხოვრობენ ნესტორიანი ქრისტიანები, რომლებმაც ომარისა და ალის სექტანტებს[23] შორის მოქცევის მიუხედავად, შეძლეს შეენარჩუნებინათ თავიანთი დამოუკიდებლობაცა და რელიგიაც. მათი თავკაცი სიმონი როგორც სასულიერო, ასევე საერო მმართველია. მისი ხალხი, მიწათმოქმედი თუ მომთაბარე, მთებში თავს იცავს ბუნების მადლით მონიჭებული სიმამაცის წყალობით და არასოდეს ყოფილა დამონებული. ევროპისაგან მოწყვეტილი სიმონი ვერ ეზიარა ევროპულ ხელოვნებას, ვერ ჩასწვდა ევროპულ განსწავლულობას, მაგრამ მაინც არ გარიყულა მისგან, არ მოქცეულა დაუძლეველი ცრურწმენის გავლენის ქვეშ. ხოლო ის ფაქტი, რომ მისდამი დაქვემდებარებულ მრავალ სოფელში უკვე გახსნილია სასწავლებლები, იმის მაუწყებელია, რომ იგი საჭიროდ მიიჩნევს თანამოძმეთათვის სწავლა-განათლების მიცემას.

ვუბრუნდები თბილისის აღწერას, რომელსაც ამ გადახვევამ ერთობ დამაშორა. რამდენიმე წელია, რაც ეს ქალაქი ინდოეთიდან ევროპაში მომავალ ინგლისელთათვის გასავლელ ქალაქად იქცა: ისინი ბომბეიდან გემით მოემგზავრებიან და თხუთმეტ-ოც დღეში სპარსეთის ყურეში ბანდარ-ბუშეჰრის ნავსადგურში შემოდიან. აქ მათ თავიანთი გენერალური კონსული ჰყავთ და საკმაოდ ფართო ვაჭრობას ეწევიან. ამ გზით ისინი სპარსეთში ავრცელებენ ინდოეთისა და თავიანთი ქვეყნის სამრეწველო საქონელს.

ბანდარ-ბუშეჰრის ინგლისელები მეჰმანდარის (mehrmender)[(25)] თანხლებით მოგზაურობენ და ექვს კვირაში თავისუფლად ფარავენ გზას სპარსეთის ყურიდან თბილისამდე. ქარავნები კი ამ გზის გავლას სამოც დღეს ანდომებენ. თბილისიდან ევროპაში დასაბრუნებლად ინგლისელები ან რედუტ-კალედან მიემგზავრებიან გემით ოდესისაკენ, ან გაივლიან კავკასიას, რუსეთის ერთ ნაწილს და ავსტრიას.

[(25)] სპარსელი მოხელე, რომელიც თან ახლავს საპატიო მოგზაურებს, უზრუნველყოფს მათ ბინითა და სურსათით და საკუთარი თავით აგებს პასუხს მათ უსაფრთხოებაზე მოგზაურობის დროს.

ზოგჯერ თბილისში ერთსა და იმავე დროს ჩამოდიან კომერსანტები პარიზიდან, შიკრიკები პეტერბურგიდან, ვაჭრები კონსტანტინოპოლიდან, ინგლისელები -კალკუტიდან და მადრასიდან (Madras), დაბოლოს, სომხები სმირნადან და იაზდიდან, უზბეკები კი - ბუხარიდან; ასე, რომ ეს ქალაქი შეიძლება ჩაითვალოს ევროპასა და აზიას შორის საკვანძო პუნქტად. როდესაც ვაჭრობა აქ მთელი თავისი შესაძლებლობებით გაიშლება, სამარყანდიდან, ტიბეტიდან და ჩინეთის საზღვრებიდან წამოსული ბუხარელები თბილისის ბაზარზე შეხვდებიან ლაჰორელ[24] (Lahor) და გუჯარათელ (Guzurate) ინდუსებს.

თბილისის მმართველობა მინდობილი აქვს გენერალ ვანჰოვენ ლივორნელს (Vanhoeven Livornien); თავისი გულღია და კეთილი ხასიათით იგი გამორჩეული პიროვნება გახლავთ, განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენს უცხოელებისადმი, რომლებიც ამ ქალაქში ან გზად გაივლიან, ან კიდევ სულაც სახლდებიან.

თანმიმდევრული და ბრძნული ღონისძიებების გატარებით, მთავარმართებელი ერმოლოვი ყოველნაირ პირობებს ქმნის საქართველოში ვაჭრობის განვითარებისათვის. ამგვარი მოქმედება სწორედ რომ მოსალოდნელი იყო ისეთი გამჭრიახი ადმინისტრატორისაგან, როგორიც ის გახლავთ.

რედუტ-კალესადმი მიძღვნილ პარაგრაფში მე უკვე ვისაუბრე იმ ნაგებობათა შესახებ, რომლებიც გენერალმა 1822 წლის დასასრულს მოგზაურთა დასაბინავებლად და საქონლის შესანახად ააგო და სადაც უნდა გაიარონ კარანტინი.

მისივე თაოსნობით შეკეთდა და მთლიანად აღდგა თბილისიდან ქუთაისისაკენ მიმავალი გზის ერთი მონაკვეთი და დღეს აქ ეტლებს მთელი წლის განმავლობაში შეუძლიათ მიმოსვლა; მაგრამ ჯერ კიდევ გასაკეთებელია უამრავი ხიდი ხევებსა და მდინარეებზე, რომლებსაც დღესდღეობით ფონით გადიან. მთავარმართებელი სულ იმის ცდაშია, რომ ასეთი სახის სამუშაოები თანმიმდევრულად განხორციელდეს. კაზაკთა პოსტებზე საზოგადოებრივი სარგებლობისათვის განკუთვნილი ცხენების რაოდენობა საკმარისი იყო, მაგრამ ისინი ვერ აკმაყოფილებდნენ კერძო პირთა მოთხოვნებს და ეს უკანასკნელნი, უცხოელების ჩამოსვლამდე, ყოველთვის საკუთარი პირუტყვით მოგზაურობდნენ ამ მხარეში. მთავარმართებელმა კაზაკთა ჰეტმანთან დადო შეთანხმება, რომლის თანახმადაც რედუტ-კალედან თბილისში მომავალი ვაჭრებს, რომლებიც ამ ქალაქიდან სპარსეთისაკენ ან კავკასიის გავლით მოზდოკისაკენ მიემართებიან, დაუბრკოლებლად უზრუნველყოფენ საფოსტო ცხენებით, რაც მათ საქონლის გადასაზიდად ან სამოგზაუროდ ესაჭიროებათ.

როდესაც თბილისში ვაჭრობა შეზღუდული იყო, ამ დარგის მოსამსახურეთათვის მცირე რაოდენობის საბაჟო შენობებიც საკმარისი იყო. მას შემდეგ კი, რაც 1821 წლის 8 (20) ოქტომბრის „უკაზმა“[25] ვაჭრობის შეღავათები დააწესა და დიდი ბიძგი მისცა ამ ქალაქის ურთიერთობას ევროპასა და აზიასთან, მთავარმართებელმა უზენაესი მთავრობისაგან მტკვრის სანაპიროებზე დიდი საწყობების აგების ნებართვა მიიღო. აქ შესაძლებელია ყველა სახის საქონლის შენახვა ბაჟის გადახდამდე.

როცა იმერეთსა და საქართველოს მეფეები, ხოლო სახანოებს - ხანები მართავდნენ, ქალაქები და ეკლესიები თავიანთ ტერიტორიაზე საქონლის

გატარებისას სხვადასხვა სახის გადასახადებს კრეფდნენ, ეს კი ძალზე არახელსაყრელი იყო გადამხდელთათვის.

მთავარმართებელმა საგულდაგულოდ მოიძია ის დოკუმენტები, რომელთა საფუძველზეც ეს გადასახადები იკრიფებოდა. ვიდრე მათ შეამცირებდა ან გააუქმებდა, მან საჭიროდ ჩათვალა გამოეკვლია, თუ რა ზიანს აყენებდა ეს გადასახადები მთავრობას. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ საბაჟო პოლიციის სიმკაცრე: დაღლილი და ზოგჯერ დაავადებული მოგზაურები დაუყოვნებლივ უნდა გამოცხადებულიყვნენ საბაჟოს კანტორებში და გაევლოთ ხანგრძლივი გამოკვლევა. გენერალმა გააუქმა ეს წესი და მგზავრებს უფლება მისცა, ოცდაოთხი საათი დაესვენათ და შემოიფარგლებოდა მათი კონსულის ან მასპინძლის დეკლარაციით.

ევროპიდან თბილისში ფოსტა რეგულარულად მოდის კვირაში ერთხელ: პეტერბურგიდან და ოდესიდან - ოცდარვა დღეში, პარიზიდან კი – ორმოცდათხუთმეტ დღეში. ფოსტის ჩამოსვლის ზუსტი დღე გაურკვეველია, ვინაიდან ეს დამოკიდებულია გზების, განსაკუთრებით კი - კავკასიის გზაზე არსებულ მდგომარეობაზე. ფოსტის გაგზავნის დღედ უცვლელად დანიშნულია ყოველი კვირის სამშაბათი საღამო. ყველა იმ უპირატესობიდან, რითაც ვაჭრობა სარგებლობს თბილისში, ყველაზე მნიშვნელოვანი გახლავთ ის, რომ რუსეთის უშორესი ადგილებიდანაც კი ფულადი გზავნილების მიღება ან აქედან გაგზავნა ხორციელდება ძალზე მცირე ფასად - სულ ერთი პროცენტის ოდენობით, თანაც რუსეთის მთავრობა გარანტიას იძლევა ამ თანხაზე და თვით შეიარაღებული ავაზაკების ხელყოფისაგანაც კი იცავს მას. როდესაც თბილისიდან რომელიმე ქალაქში იგზავნება ფული, საფოსტო გზავნილების საფასურს ერთი პროცენტი გადასახადი ემატება მხოლოდ იმდენჯერ, რამდენ გირვანქასაც იწონის გზავნილი. ამ წესების მიხედვით, თუ გაგზავნა ბანკის ასიგნაციებით სწარმოებს, საფოსტო გზავნილის საფასურის ზრდა შეუმჩნეველია; თუ იგი დუკატებით და თუმნებით ხორციელდება, განსხვავება ასევე უმნიშვნელოა, რადგან გირვანქა ოქროს ფასი 1500 ფრანკია, ხოლო პეტერბურგში საფოსტო გზავნილის საფასური 1 მანეთია ასიგნაციით; ვერცხლის ტრანსპორტირებისას კი საფასური იზრდება დაახლოებით ერთი პროცენტით, რადგან გირვანქა ვერცხლი 100 ფრანკი ღირს. ერთ ფუთზე მეტი წონის მქონე ამანათს (ოცდაცამეტი და ერთი მესამედი გირვანქა) ფოსტა არ იღებს.

„მოგზაურობაში“, რომლის გამოქვეყნებაც მხოლოდ ერთადერთ მიზანს - ვაჭრობისათვის სარგებლობის მოტანას ემსახურება, ამ წვრილმანი ცნობების მშრალად ჩამოთვლას მომიტევებენ, ისინი ხომ ასე აუცილებელია იმ რესურსებისა და შეღავათების ნათელსაყოფად, რასაც ეს ქვეყანა გვთავაზობს[26].

გოგირდის აბანოები თბილისში საკმაოდ ბევრია და კარგად არის მოწყობილი. ისინი კერძო პირების საკუთრებაშია. ხუთიოდე წლის წინ მთავრობამ აქ ერთი ძალიან დიდი და კარგად მოწყობილი აბანო ააგო. აქაურმა მომსახურე პერსონალმა იცის ყველა ის პროცედურა, რასაც კონსტანტინოპოლის აბანოებში ატარებენ.

---

[26] დამადასტურებელ დოკუმენტებში მე წარმოვადგინე ცნობები თბილისში გამოყენებული ზომა-წონის ერთეულებისა და მონეტების შესახებ.

თბილისის გოგირდოვანი წყლები სხვადასხვა ტემპერატურისაა, აქ ხშირად დადიან როგორც ადგილობრივი მცხოვრებნი, ისე უცხოელები.

ყველაზე უფრო ხშირად კი აბანოში ქალები დადიან. ბევრი მათგანი აქ ნახევარ დღეს ატარებს და საჭმელსაც აქვე მიირთმევს.

რამდენიმე წელია, რაც ქართველი თავადები ქალაქის გამწვანებას შეუდგნენ. ჩრდილის მომფენი ვერხვებითა და ალვის ხეებით განთქმული ერეკლეს მშვენიერი ბაღი[26] ქალაქის ახალ უბნად უნდა გადაიქცეს. 1820 წელს რუსეთის მთავრობას იგი გაუყიდია სულ რაღაც 5000 მანეთად ვერცხლით (20,000 ფრ.), ხოლო 1823 წელს იგი საჯარო ვაჭრობით გაყიდულა 20,000 თუ 21,000 მანეთად ვერცხლით (84,000 ფრ.). მშენებლობით გატაცებამ კირუსის ნაპირებზე სწორედ იმ დროს იჩინა თავი, როცა იგი მისგან ესოდენ შორ მანძილზე მდებარე სენის ნაპირებზე გაიშალა. ეს კი სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავების მაჩვენებელია, ვინაიდან ერთი და იგივე მიზეზები თითქმის ყოველთვის ერთნაირ შედეგებს იწვევს.

სამხრეთის ბორცვზე, თბილისს რომ ზემოდან დაჰყურებს, საიდანაც ულამაზესი ხედი იშლება, ერთმა გენერალმა - თავადმა ბებუთოვმა[27] (Beboutoff) მშვენიერი სააგარაკო სახლი ააგო და იქვე დიდი გემოვნებით გააშენა ბაღები, რომლებიც ტერასებად ეშვებიან. დიდი ხნის წინ მისთვის მაგალითი მიუცია მეტად ღირსეულ პიროვნებას, გენერალ ახვერდოვს[28] (Akverdoff), რომელიც თბილისის გუბერნატორის პოსტზე ყოფნისას გარდაიცვალა. იმავე რაიონში საზოგადოებისათვის გაიხსნა ბაღი, რომელიც იმ სასახლეს აკრავს, სადაც მთავარმართებელი ცხოვრობს. ბაღი ძალიან დიდია, კარგად არის გამწვანებული და გემოვნებით დაგეგმარებული. ოდნავ ზემოთ კათოლიკების ახალი სასაფლაოა.[29] იგი სასეირნო ადგილად აქციეს, სადაც ხალხი დადის შირაზის ვაზის საუკეთესო ნარგავების სანახავად, რომლებიც აქ სამი წლის წინ გაუშენებიათ. ეს ვაზი გამოუგზავნია ვიცე-პოლკოვნიკ მონტისს[30] (Monthieth) - აბას მირზას სამსახურში მყოფ ინგლისელ სამხედრო ოფიცერს, რომელიც დიდხანს ცხოვრობდა ინდოეთში. იშვიათად თუ შეხვდება კაცი ასეთ დაუზარებელ ადამიანს. კათოლიკური სასაფლაოს ბოლოში ლამაზი ფანჩატურია, რომლის ერთი ნაწილი სასეირნო ადგილს წარმოადგენს, მეორე კი - სამლოცველოს.

ოცი წლის წინათ თბილისში აზიური წეს-ჩვეულებანი იყო გაბატონებული. ყველა ადგილობრივი მცხოვრები ცდილობდა სტუმართმოყვარეობა გამოეჩინა იმ იშვიათი მოგზაურების მიმართ, ვინც ქალაქს სტუმრობდა. ვაჭრები ქარვასლებში ჩერდებოდნენ. დღეისათვის დედაქალაქში რამდენიმე სასტუმრო სახლია, რომელიც სომხებს ეკუთვნის, ერთ ფრანგს რესტორანი აქვს გახსნილი, ორს კი - საფუნთუშე.

ასეთი თანდათანობითი წინსვლა, გამოცოცხლება, აქტიურობა და ახალი წესების დანერგვა თბილისში ვაჭრობის პროგრესული განვითარების მაჩვენებელია, ევროპისათვის კი ეს ჯერჯერობით შეუმჩნეველი რჩება. პროგრესულად გაიზარდა, აგრეთვე, საფოსტო გზავნილების შემოსავალიც: თუკი 1820 წელს იგი დაახლოებით 22,000 მანეთს ასიგნაციით (22,000 ფრ.) არ აღემატებოდა, 1823 წელს 88,000 მანეთამდე გაიზარდა. დროის ამ მონაკვეთში საბაჟო შემოსავალი 100,000-დან დაახლოებით 200,000 მანეთამდე ასიგნაციით გაიზარდა, რაც ნიშნავს, რომ

როგორც სპარსეთიდან, ისე ევროპიდან აქ შემოსულია 8,000,000 მანეთის უცხოური საქონელი, რადგან იმპორტის საგადასახადო წილი 5%-ს შეადგენს.

აღმშენებლობის გზაზე მდგარ ქალაქში, ცხადია, ჯერ კიდევ არ იყო მოსალოდნელი თეატრალური სანახაობის არსებობა. აქ დროდადრო ჩამოდიოდნენ გერმანელი ქორდას მოცეკვავეები და შემახელი თათრების ბაიადერები. ერთნი თავიანთ სიმკვირცხლესა და სიმარჯვეს აჩვენებდნენ, მეორენი კი ვნებიანი ცეკვებით იზიდავდნენ ქართველებსა და თბილისში დამკვიდრებულ უცხოელებს.

ყველანაირ მძიმე სამუშაოს, რომელიც ფიზიკურ ძალას მოითხოვს, იქნება ეს წყლის ზიდვა, რომელიც ქალაქის სახლებში ნაწილდება, თუ ტვირთის გადატანა, ჩვეულებრივ, იმერლები ასრულებენ; ისინი ამიერკავკასიის რუსული პროვინციების ოვერნელები არიან.

მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე გარეუბნის სოფელში მცხოვრები გერმანელები ქალაქს ამარაგებენ მწვანილით, კარაქით, ღორის ხორცითა და შაშხით. გერმანელთა უმეტესობა ვიურტემბერგიდანაა წამოსული. ამ ახალშენსა და, აგრეთვე, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, თბილისიდან ხუთი ვერსით დაშორებულ ამავე ერის წარმომადგენელთა მეორე ახალშენს უნდა უმადლოდეს საქართველო კარტოფილის მოშენებას. როდესაც 1820 წელს ამ ქალაქში ჩამოვედი, ერთი გირვანქა კარტოფილის ფასი 10 სუ იყო, ამჟამად კი საქართველოში მისი ფასი, ისევე როგორც ბევრი სხვა ბოსტნეულისა, მეტად ზომიერია. გერმანელები, რომელთა შესახებაც მოგახსენებთ, კმაყოფილნი ჩანან თავიანთი ბედისა და მათ კეთილდღეობას თითქოს ხელს არაფერი უშლის.

თავი VII

საქართველოს თანამედროვე მოსახლეობა. ქართველების, სომხების, თათრების, სპარსელებისა და ქურთების დამახასიათებელი თვისებები. სომეხი პატრიარქის ჩასვლა რუსეთის ტერიტორიაზე. ეჩმიაძინის (Etchmiadzin) მონასტერში დაბრუ-ნებაზე მას უარს უცხადებენ. ქართველთა გასართობი თამაშები და ვარჯიშები. ქართველთა ცეკვები სახლის ბანებზე.

საკუთრივ საქართველოს მოსახლეობას ანგარიშობენ სამოც ათას ოჯახს, რაც სამას სამოც ათას სულს შეადგენს - კვადრატულ მილზე[1] დაახლოებით ას ოცი მცხოვრები. ეს არის გადარჩენილი ნაწილი იმ შემოსევების შედეგად განადგუ-რებული საკმაოდ მრავალრიცხოვანი მოსახლეობისა, რომელთა სამსხვერპლოც იყო ეს მრავალტანჯული მხარე. როდესაც 1618 წელს შაჰ აბასმა საქართველო მიიტაცა თურქებისაგან, რომლებიც აქ დაახლოებით ოცი წლის განმავლობაში ბატონობდნენ, მან ოთხმოცი ათასი ოჯახი, ანუ ხუთასი ათასი მცხოვრები აყარა და სპარსეთის უშორეს პროვინციებში მიმოფანტა. მნიშვნელოვნად შემცირდა ამ მხარის მოსახლეობა ნადერ შაჰის (Nadir chah) დროსაც, ხოლო აღა მაჰმად ხანმა (Aga-Mahomet-Kan) 1795 წლის შემოსევისას, რომელიც არაერთხელ მოვიხსენიე,

გადარჩენილი ოცი ათასი ქართველი წაასხა სპარსეთში, სადაც ისინი დღემდე ცხოვრობენ. თუ ამას დავუმატებთ იმ ფაქტსაც, რომ საქართველოს მეფეები და თავადები თავიანთ ქვეშევრდომებს გამუდმებით ჰყიდდნენ ხოლმე მუსლიმ მოვაჭრეებზე, ადვილი წარმოსადგენია ის მიზეზები, ამ მხარის თითქმის სრული გაუკაცრიელება რომ გამოიწვია. დღეს ეს მიზეზები აღარ არსებობს და საქართველოს მოსახლეობის სწრაფ ზრდას წინ აღარაფერი ეღობება.

რუსეთის იმპერიაში შემავალი სპარსეთის ძველი პროვინციების მოსახლეობის მდგომარეობის აღწერას მოკლე მიმოხილვის სახითაც კი ვერ შევძლებ. მას შემდეგ, რაც რუსეთის მონარქი დაეუფლა ამ ტერიტორიებს, ბევრი მუსლიმი სპარსეთში გადაიხვეწა; მაგრამ დროთა განმავლობაში რუსეთის მშვიდობიანმა მმართველობამ ლტოლვილთა დიდი ნაწილი კვლავ მოიზიდა ამ მხარეში.

საქართველოს მოსახლეობას, მის ამჟამინდელ საზღვრებში, შეადგენენ ქართველები, სომხები, თათრები და სპარსელები.

ნება მომეცით ამ სხვადასხვა ხალხების პორტრეტი ისეთნაირად წარმოვსახო, როგორც თავად დავინახე და როგორც ეს აღმიწერეს ისეთმა ადამიანებმა, დიდი ხნის განმავლობაში რომ ცხოვრობდნენ აქ და საშუალება ჰქონდათ, კარგად გასცნობოდნენ მათ.

ქართველი კაცი მაღალი ტანისა და ძლიერი აღნაგობისაა. მისი სახის ნაკვთები, როგორც წესი, ლამაზი და მკვეთრად გამოკვეთილია. აქვს შავი, მშვენიერი ჭრილის თვალები, გრძელი, ხშირად არწივისებრი ცხვირი, უფრო ებრაელების ცხვირის მსგავსი, ვიდრე რომაელებისა, რის გამოც მას ხშირად ებრაელებთან აიგივებენ. სიარულის მანერა მედიდური აქვს, ზოგჯერ სხეულის ოდნავი რხევით, რაც მას ზვიად იერს აძლევს. რადგანაც ქართველი კაცი ისეთ ქვეყანაში ცხოვრობდა, რომელსაც მუდმივად ემუქრებოდა მტრის შემოსევის საფრთხე, იგი იძულებული იყო, ყოველთვის მზად ყოფილიყო თავდაცვისათვის: მას უნდა მოეგერიებინა ხან თურქები, რომლებიც ყარსის ან ახალციხის საფაშოებიდან შემოდიოდნენ, ხან - სპარსელები, რომლებიც არაქსს გადმოლახავდნენ ხოლმე, ხან კი - თათრები და კავკასიონიდან გადმოსული ლეკები. ამ მდგომარეობამ ქართველი კაცი მეომრად აქცია, მაგრამ რადგან იგი განეკუთვნებოდა მცირერიცხოვან ერს, რომელიც იძულებული იყო ურიცხვი მტრის წინააღმდეგ ებრძოლა, იგი პარტიზანულ ომებს უფრო იყო შეჩვეული, ვიდრე რეგულარულ ბრძოლებს. აზიელთა შორის ქართველ კაცზე უფრო მამაცი ჯარისკაცი და საუკეთესო მხედარი არ მოიძებნება. სპარსეთის ჯარებში ქართველთა კორპუსები ყოველთვის წარმოადგენდნენ ელიტურ შენაერთებს; სპარსეთის ხელმწიფეები მთელ იმედებს მათზე ამყარებდნენ და, როგორც წესი, გამარჯვებაც ყოველთვის მათი დამსახურება იყო. მამაცი, მაგრამ არცთუ იშვიათად - სასტიკი; სტუმართმოყვარე, მაგრამ - არც თუ ისე გულითადი; გონიერი, მაგრამ ნაკლებად განათლებული - აი ამ თვისებათა ერთობლიობის გამო ქართველ კაცს ერთდროულად გააჩნია მეომრისთვის დამახასიათებელი ნაკლოვანებებიც და ღირსებებიც.

საკუთარი მეფეების დროს გამუდმებულ ომებს შეჩვეულ ქართველ თავადებს თანდათან ბეზრდებათ უმოქმედო და ერთფეროვანი ცხოვრება. თუკი შექმნილი ვითარება რუსეთს ოდესმე აიძულებს იმპერიის ცენტრში - აზიაში შეტევა

აწარმოოს შიიტი და სუნიტი მუსლიმების წინააღმდეგ, მისთვის სულაც არ იქნება ძნელი საქართველოში სულ მცირე ხანში მრავალრიცხოვანი ჯარის შეკრება. თავისი მხნეობით გამორჩეული და ევროპულად გაწვრთნილი ეს ჯარი ტოლს არ დაუდებს იმპერიის საუკეთესო არმიას.

ხალხი, ჩვეულებრივ, მიწათმოქმედებასა და ხელოსნობას მისდევს, ვაჭრობას კი აგდებულად უყურებს. ქართველი კაცისათვის არ არის დამახასათებელი მებატონის ქედმაღლობა, მისი იერი და მანერები უფრო მეომრულ ხასიათზე მიუთითებენ.

ქართველი ქალები სავსებით ამართლებენ მათ სილამაზეზე არსებულ მაღალ რეპუტაციას. ისინი გამოირჩევიან სახის სწორი ნაკვთებით, რომელთა მოდელიც მშვენიერმა ბერძნულმა ქანდაკებებმა შემოგვინახა, მოხდენილი ტანით, თეთრი, ქათქათა კანითა და ნაზი გამოხედვით. ბანაკურ ცხოვრებას შეჩვეულ მამაკაცებთან ურთიერთობის პირობებში, თავიანთი სულიერი სიფაქიზისა და მხიარული ხასიათის წყალობით, მანდილოსნებმა იოლად მოახერხეს მათზე გავლენის მოპოვება.

სომხებს, რომლებიც საქართველოში მრავლად არიან, თავიანთი ზნე-ჩვეულებებითა და ბუნებრივი მონაცემებით არავითარი მსგავსება არ აქვთ ქართველებთან. ამ უკანასკნელთა მებრძოლი სულისკვეთება სრულ კონტრასტს ქმნის სომხების მშვიდობიან ხასიათთან.

სომეხი კაცი ოდნავ უფრო დაბალი ტანისაა, მაგრამ უფრო ჩასუქებული, ვიდრე ქართველი. მასაც სახის სწორი ნაკვთები აქვს, ცხვირი - უფრო სწორი, გამოხედვა - სერიოზული, იერი - ჩაფიქრებული და მორჩილი. იგი თითქოს აერთიანებს ორ ერთმანეთის საწინააღმდეგო თვისებას: პატრიარქალურ ზნე-ჩვეულებებსა და იმ მანკიერებებს, რაც დიდი ხნის განმავლობაში დამოუკიდებლობას მოკლებულ ქვეყანაში ცხოვრებასთან არის დაკავშირებული.

ისევე როგორც აბრაამისა და იაკობის[2] დროს, პირველშობილი ძე მამის შემდეგ ოჯახის პატრონად, მის უფროსად და მემკვიდრედ ითვლება. უმცროსი ძმები მისი მორჩილნი არიან, ხოლო დები - თითქმის მისი მსახურნი. ერთნიც და მეორენიც მამის მიმართ მოკრძალებით არიან აღვსილნი; იშვიათად ჩამოჯდებიან მის წინ და და არც მაგიდასთან სხდებიან მასთან ერთად. შვილები მამის უერთგულესი მსახურნი არიან. ამ სტუმართმოყვარე ხალხში მამის სუფრასთან მსხდომ უცხოელებს უფროსი ვაჟიშვილი ემსახურება და მაშინაც კი, როცა სუფრასთან სტუმარი არ შემოესწრებათ, ეს უკანასკნელი მაინც ვალდებულია, მამას მოემსახუროს.

მე რეკომენდაცია მქონდა ერთ ნახიჩევანელ სომეხ სოვდაგართან. მისვლისთანავე იგი ძველი ნაცნობივით მომეგება და გადამეხვია, შემიყვანა ჩემთვის განკუთვნილ ოთახში, მომიმზადა აბაზანა, ერთი ცხვარიც დააკვლევინა და ნადიმზე თავისი ყველა მეგობარიც მოიწვია.

ამ აღწერას თუ დავუმატებთ სომხების სხვა თვისებებს - უბრალოებას, მომჭირნეობას, იშვიათ მოწესრიგებულობას, დიდ საზრიანობას კომერციულ საქმიანობაში, - მათ დადებით მხარეს დავინახავთ. სომეხი ხალხი რომ დამოუკიდებელი ერი ყოფილიყო, მუდმივად ეცხოვრა მშვიდ ვითარებაში და დამორჩილებოდა მხოლოდ საკუთარ კანონებს, შესაძლებელია არც კი გასჩენოდა

სხვა ერისაგან დიდად განსხვავებული თვისებები. მაგრამ სომხები, ებრაელების მსგავსად, ერთმანეთთან ისტორიული მეხსიერებით იყვნენ დაკავშირებულნი და სამყაროს დასაბამიდან საუკუნეების მანძილზე მთელ აზიაში მიმოფანტულნი: ისინი მუდამ დესპოტურ ხელისუფალთ ემორჩილებოდნენ თურქეთში, ძველ სომხეთსა თუ სპარსეთში; დამოკიდებულნი იყვნენ სხვა სარწმუნოების მიმდევარ ბატონებზე, რომლებიც მხოლოდ თავიანთი მისწრაფებებით ხელმძღვანელობდნენ და მხოლოდ საკუთარ ნება-სურვილს ცნობდნენ კანონად.

სომხების ფუფუნებამ და მათ მიერ დაგროვილმა სიმდიდრემ მათზე გაბატონებულ ტირანთა ყურადღება მიიპყრო და ამის გამო ისინი ხელმომჭირნეებად და ძუნწებად იქცნენ. ერთ დაუფიქრებელ სიტყვას ან გადაჭარბებულ სითამამეს მათი დაღუპვა შეეძლო, ამიტომ ისინი უჩუმრად და შენიღბულად ცხოვრობდნენ: იმ შემთხვევაში, თუკი გამჟღავნდებოდა, რომ რომელიმე შერისხულის მიმართ თანაგრძნობა გამოიჩინეს, მათ დიდი განსაცდელი ემუქრებოდათ და ამის გამო იძულებულნი იყვნენ თვალი დაეხუჭათ სხვათა გაჭირვებაზე. რადგანაც მუსლიმურ ქვეყნებში მათ ვერც პატივი და ვერც თანამდებობა ვერ მოიპოვეს, მოგების ჟინი მთელი მათი საქმიანობის მამოძრავებელ ძალად იქცა.

თბილისსა და მთელ საქართველოში ვაჭრობა თითქმის მთლიანად სომხების ხელშია და შექმნილი მდგომარეობა გვაფიქრებინებს, რომ სულ მალე ისინი სრულად აინაზღაურებენ იმ ზარალს, რომელიც მათ თბილისის ძარცვისას განიცადეს.

თათრები, რომლებიც რუსეთის კუთვნილ ამიერკავკასიის პროვინციებში მრავლად არიან, გადაზიდვებთან დაკავშირებული ვაჭრობისთვის სანდო მიმწოდებლებს წარმოადგენენ; ამასთანავე, ისინი სიამოვნებით მიდიან დაქირავებულ მწყემსებად და ცხენების რემების მეთვალყურეებად. მათი უმრავლესობა თავისი ბუნებრივი მიდრეკილებით ნახევრად ბინადარ და ნახევრად მომთაბარე ცხოვრებას მისდევს: გაზაფხულის დადგომისთანავე თათრები ტოვებენ სახლებს, მიდიან მთებში სუფთა ჰაერზე და საკვებით უზრუნველყოფენ საქონლის ჯოგს; სექტემბრის ბოლოსათვის კი კვლავ თავიანთ საცხოვრებელს უბრუნდებიან. იკვებებიან მარტივად, ძირითადად რძის პროდუქტებითა და ფლავით, ფაშატის მოდუღებული რძე კი მათთვის ჩვეულებრივი სასმელია. მათი ცოლები ცხვრის მატყლისაგან რთავენ ძაფს და ქსოვენ ხალიჩებს, რომლებიც გამოირჩევიან ფერთა გამძლეობით, თუმც მათი საბაზრო ფასი საკმაოდ დაბალია.

თათრები, ჩვეულებრივ, უწყინარნი და რუსული მთავრობისადმი დიდად მორჩილნი არიან. რამდენადაც დაუცველ ქვეყანაში ცხოვრობენ, არასოდეს უფიქრიათ სპარსელების ქვეშევდომებად ქცევა. ამასთანავე, სექტანტური განსხვავება მათ შორის სიძულვილს აღმოფხვრას შეუძლებელს ხდის.

გარდა ამ სამი ხალხისა, რომელთა შესახებაც ახლახანს ვისაუბრე, ნუხაში, განჯაში, ყარაბაღში, შირვანსა და საკუთრივ დაღესტანშიც კი დიდი რაოდენობით ვხვდებით სპარსელებს. ისინი ამ მხარეებში მას შემდეგ დამკვიდრდნენ, რაც რუსეთს დამორჩილდნენ. მათ შეინარჩუნეს თავიანთი თანამემამულეების ზნე-ჩვეულებანი და თვისებები, რის გამოც დახასიათება, რომელსაც ამ ხალხის მიმართ ვიძლევი, ამ ვრცელი სამეფოს მცხოვრებთა დიდ ნაწილზეც შეიძლება გავრცელდეს.

სპარსელი მამაკაცი შავგვრემანია, საშუალოზე მაღალი და საკმაოდ კარგი აღნაგობისაა; სახე წაგრძელებული აქვს, თვალები - ცოცხალი და ჭკვიანური; თითქმის ყოველთვის ატარებს გრძელსა და ხშირ წვერს. თურქისაგან განსხვავებით, იგი ბევრად უფრო ფეხმარდია და ნაკლებად დინჯი ქცევის მანერა აქვს. ამ ორი ხალხის შედარებისას მე ვიტყოდი, რომ თურქმა, ხალიფას მიმართ სრული მორჩილების პირობებში, შეინარჩუნა მთელი ის მხნეობა, რაც ფატალიზმის შედეგია: იგი ემორჩილება დესპოტს, მაგრამ არა - გადაგვარებულ დესპოტს; ცრურწმენამ და ძველი დროის გამარჯვებათა შესახებ მოგონებებმა მას მებრძოლი სული შეუნარჩუნა. იგი ზოგჯერ მკაცრია და ბარბაროსულად იქცევა, მაგრამ მადლიერებისა და უკეთილშობილესი გრძნობებისთვისაც ღია აქვს გული. ახლა კი თურქის საპირისპიროდ დავახასიათოთ სპარსელი ისე, როგორც ამას აღწერს ყველა მოგზაური, რომელსაც კი მათთან უცხოვრია: ერთ საუკუნეზე მეტია, რაც სპარსელი შეეგუა იმ გარემოებას, რომ მისი ქვეყანა დაპყრობილია, იგი ბრმად მორჩილებს თათრების, თურქმანებისა და ავღანელების ბელადებს და თვლის, რომ განგებამ მას წილად არგუნა მონობა და ტანჯვა-წამება. მისთვის სამარცხვინოა უახლოესი წარსულის ყველანაირი მოგონება, რადგან ფიქრობს, რომ არასოდეს შესწევდა ძალა წინააღმდეგობის გასაწევად: მას თვალწინ უნგრევდნენ და უძარცვავდნენ ქალაქებს, უხოცავდნენ თანამოძმეებს, ართმევდნენ ქონებას; უიმედო არსებობისათვის განწირული, სიცოცხლის შესანარჩუნებლად იგი უკიდურეს, ხშირად ძალზე სამარცხვინო ზომებსაც კი მიმართავდა. ასეთმა ვითარებამ ეს ხალხი სულიერად სავსებით დასცა, სპარსელის არც ერთი სიტყვა სინამდვილეს არ შეესაბამება, არავითარი ფიცი მისთვის არ არის წმინდა: დღეს თუ ერთზე დაიფიცებს, ხვალ შეუძლია იგივე ფიცით საწინააღმდეგო ამტკიცოს; ძლიერის წინაშე ქვემძრომია, სუსტის მიმართ კი - დიდგული და სასტიკი. მერე რა, რომ იგი ბუნებრივი ნიჭითაა დაჯილდოებული, აქვს შეთვისების უნარი, შეუძლია წარმატებებს მიაღწიოს მექანიკის დარგში, მეცნიერებაში - ყველაფერ იმაში, რაც სწავლა-განათლების სფეროს მოიცავს?! ბუნების მიერ მომადლებული ეს ნიჭი უბედურებად იქცევა ხოლმე, თუკი მის მფლობელს არც პრინციპები და არც სათნოება არ გააჩნია.

სინანულის გრძნობა მეუფლება, როცა სპარსელებს ასეთ ცუდ ფერებში წარმოვსახავ, ამიტომ მინდა დაუყოვნებლივ დავძინო, რომ მათ შორის არის ბევრი ღირსეული ადამიანი, ვინც უდიდეს პატივისცემას იმსახურებს. ამგვარ გამონაკლისთა შორის, კაცობრიობის სასიკეთოდ, შეგვიძლია დავასახელოთ ტახტის მემკვიდრე - უფლისწული აბას მირზა, რომლის კეთილშობილური მიზნები მიმართულია თავისი ხალხის ზნე-ჩვეულებებისა და ხვედრის გაუმჯობესებისაკენ, ხალხისა, რომლის მმართველიც იგი ერთ მშვენიერ დღეს გახდება.

მე მოგახსენეთ ქალაქში მცხოვრები სპარსელების შესახებ, ხოლო ისინი, ვინც მომთაბარე ცხოვრებას მისდევენ, მათგან გარკვეულწილად განსხვავდებიან.

თავიანთი ზნე-ჩვეულებით ქურთებიც არ ჰგვანან თათრებსა და თურქმანებს. სხვადასხვა ხალხებს, რომლებიც თავიანთ ჯოგებთან ერთად მომთაბარეობენ სპარ-სეთში, საკუთარი თვითმყოფადობა ახასიათებთ: ძარცვისადმი მიდრეკილება და ამ

მანკიერების საზღაურად - სტუმართმოყვარეობის კანონებისადმი უდიდესი პატივისცემა, ზნეობრივი ქცევის წესები და ზოგჯერ - ამაღლებული გრძნობებიც კი.

მე უკვე ვისაუბრე იმის შესახებ, რომ ამიერკავკასიის რუსულ პროვინციებში თანდათანობით დიდი რაოდენობით სომხები ჩამოდიან; ამ ჩამოსახლებულთა შორის არის სომეხი პატრიარქი[3], რომლის აქ დამკვიდრებასაც შესამჩნევი და მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა: ეს უკანასკნელი 1822 წელს მთელ თავის სამღვდელოებასთან ერთად გამოიქცა ეჩმიაძინის მონასტრიდან[4], რომელიც სპარსეთში, ერევნის პროვინციაში, არარატის მთასთან ახლოს მდებარეობს. ეს უჩვეულო მოვლენა სწორად რომ ავხსნათ, უნდა გავიხსენოთ, რომ სპარსეთსა და თურქეთს შორის თითქმის სამი წლის მანძილზე წარმოებული ომის დროს ქურთები, რომლებიც ზედ საზღვარზე ცხოვრობდნენ, ბარბაროსებს შორის ურთიერთ-შეტაკებისას გამეფებულ არეულობაში არ ინდობდნენ არც მტერსა და არც მოყვარეს; მათ არაერთგზის შეურაცხყვეს სომეხთა მონასტერი, მოითხოვეს კონტრიბუცია და, როგორც ამბობენ, ორი სასულიერო პირიც კი მოუკლავთ.

ეს მიზეზი სავსებით ამართლებს სომეხი პატრიარქის მოსვლას თავშესაფრის საძებნელად იმ ერთან, რომელსაც სათანადოდ შეეძლო მისი დაფასება; მაგრამ ვერც თურქეთი და ვერც სპარსეთი გულგრილად ვერ შეეგუებოდა იმ ფაქტს, რომ პატრიარქი, უფრო სწორად კი - სომეხი ხალხის სულიერი წინამძღვარი, ამიერიდან უნდა დამკვიდრებულიყო იმ ხალხთან, რომელიც ერთისათვის დაუფარავი სიძულვილის ობიექტი იყო და ორივესათვის - თავზარის დამცემი. ასე იყო თუ ისე, მთავარმართებელმა ბრძანება გასცა, რათა განსაკუთრებული პატივით მოპყრობოდნენ პატრიარქს, რომელმაც თავის ადგილსამყოფელად სანაინის მონასტერი[5] აირჩია სომხეთში.

ამ დროიდან მოყოლებული, ერევნის ხანისა და თავად აბას მირზას დაჟინებული მოთხოვნითაც კი ვერაფრით დაითანხმეს გენერალი ერმოლოვი პატრიარქის ისევ ეჩმიაძინში დაბრუნების თაობაზე. ბოლოს, მემკვიდრე უფლისწულის სახელით საგანგებო ელჩიც კი მოვიდა და კვლავ ითხოვა პატრიარქის უკან დაბრუნება, თანაც განაცხადა, რომ ამიერიდან მას პატივით მოეპყრობოდნენ და მისი მისი უსაფრთხოებაც ყოველმხრივ იქნებოდა დაცული. გენერალმა ხისტად მიუგო, რომ იგი გაკვირვებულია, რატომ მოითხოვს უფლისწული ასე დაჟინებით პატრიარქის დაბრუნებას მონასტერში, სადაც მოსალოდნელია ქურთების მხრიდან თავდასხმა და ძარცვა, უფლისწული კი მათგან სამღვდელო პირთა დაცვას ვერ ახერხებს.

მე ვისაუბრე საქართველოს გუბერნიაში მცხოვრები სხვადასხვა ხალხების შესახებ; ახლა კი ნება მომეცით, ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ თვით ქართველთა გასართობ თამაშებსა და ზნე-ჩვეულებებზე.

ბუნებრივია, რომ ერეკლეს დროიდან მოყოლებული, რუსების მიერ ამ ქვეყნის დაკავებამდე, ქართველთა გასართობი თამაშები, მათი ცხოვრების პირობებიდან გამომდინარე, საბრძოლო ხასიათს ატარებდნენ.

ცხენოსანი თავადები და დიდგვაროვნები ამხედრებულები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ასპარეზობდნენ ჯირითში, ისროდნენ მიზანში, ცხენზე ამხედრებულნი კვლავ ტენიდნენ თოფს და ახლა ზურგიდან ისროდნენ. ზოგჯერ, ისე როგორც

თურქები კონსტანტინოპოლში, ისინი ერთობოდნენ ჯერიდის ანუ შუბის ტყორცნით; ხშირ შემთხვევაში ამ სასიკვდილო თამაშების შესახებ შეიძლება იგივე გვეთქვა, რაც ერთმა თურქმა თუ სპარსელმა ელჩმა თქვა, როცა ის ერთ-ერთ ჩვენს ტურნირს დაესწრო: „ეს ყველაფერი გართობისათვის მეტისმეტია, ხოლო საბრძოლო შერკინებისათვის - მეტად მცირე." გენერალმა ერმოლოვმა, რომელიც იმ უბედურ შემთხვევათა მოწმე იყო, შეჯიბრებებში მონაწილე ადამიანთა სიფიცხეს რომ მოჰყვებოდა ხოლმე, მოასპარეზეები დაითანხმა, რომ ჯოხის ნაცვლად წკეპლა ეხმარათ, თუმცა მიუხედავად ამ წინდახედული ღონისძიებისა, უბედური შემთხვევები ჯერ კიდევ ხშირია.

თავადაზნაურობაში გავრცელებული ეს სამხედრო თამაშობანი მდაბიო ხალხმაც გადაიღო და აითვისა, მაგრამ მათი ბრძოლის მანერა ნაკლებად კეთილშობილური იყო და სასიკვდილო შემთხვევებიც - უფრო ხშირი. კვირაობით და სხვადასხვა დღესასწაულებზე ქართველები ავლაბრის გარეუბნის მომიჯნავე მთის გადაღმა იკრიბებოდნენ და ორ გუნდად იყოფოდნენ. ბავშვები ერთმანეთს აქეზებდნენ და ჯოხების ან შურდულის სროლით ერთობოდნენ. როცა ერთ-ერთი ჯგუფი დამარცხდებოდა, მის ადგილს ახალგაზრდობა იკავებდა, შემდეგ კი ამ უკანასკნელთ უფროსები ჩაენაცვლებოდნენ.

ერთ დღესაც მთავარმართებელმა ამ ასპარეზობაზე დასწრება მოისურვა და მისმა იქ ყოფნამ ისე აღაგზნო ქართველები, რომ ასპარეზობა ბოლოს ნამდვილ გააფთრებულ ბრძოლაში გადაიზარდა და ვიდრე მის შეწყვეტას მოახერხებდნენ, ბევრი მონაწილე დაიჭრა, ხოლო სამი კაცი ადგილზევე დაიღუპა კიდეც. ამის შემდეგ ასეთი სახიფათო გასართობების განახლება სასტიკად აიკრძალა, მაგრამ იშვიათად ჩაივლის კვირა დღე ისე, რომ ეს ასპარეზობა არ წამოიწყონ და პოლიციის მოსვლამდე რამდენიმე კაცი დაიჭრება ხოლმე.

ამ სისხლიანი გასართობების საპირისპიროდ არსებობს უფრო მშვიდი გართობის სახეობაც: კარგ ამინდში, რომელიც ასე ხშირია თბილისში, ყოველ საღამოს ქართველებისა და სომხების სახლების ბანებზე ახალგაზრდა გოგონები, ქალები და ბავშვები იკრიბებიან; როგორც წესი, ერთდროულად მხოლოდ ერთი ან ორი ქალიშვილი ცეკვავს, დანარჩენები კი დაირაზე ხელების ზომიერად შემოკვრით მათ აკომპანირებას უწევენ. ცეკვა ძალზე ნელია: მოცეკვავენი ფეხზე არ დგებიან და იფარგლებიან თავის, მკლავებისა და სხეულის მოძრაობით. ასეთი გასართობები ხშირად იმართება და ქალაქ თბილისს მხიარულ იერს აძლევს ხოლმე; ეს არის სიმბოლო უზრუნველყოფისა და ბედნიერებისა, რითაც ეს ხალხი სარგებლობს მას შემდეგ, რაც ბარბაროსთა შემოსევებისაგან საიმედოდ არის დაცული.

თავი VIII

თბილისის ხელსაყრელი ადგილმდებარეობა ვაჭრობისათვის. ურთიერთობანი, რომლებიც ამ ქალაქს შეუძლია დაამყაროს შავი და კასპიის ზღვების საშუალებით; ამ ახალი ბაზრის დაცულობა; ცნობები ჰორმუზის (Ormus) შესახებ; ქარავანთა მიმოსვლა სხვადასხვა ეპოქებში; მიზეზები, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე ხელს უშლიდა თბილისის ვაჭრობას; ცვლილებები მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთის შემადგენლობაში შევიდა; სომხები ლაიფციგის (Léipsick) ბაზრობაზე; ვაჭრობის ხელშეწყობისთვის გატარებული ღონისძიებანი.

თბილისს, საქართველოს დედაქალაქს, მეტად ხელსაყრელი ადგილმდებარეობა აქვს, რაც პირველი და აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ იგი აყვავებულ ქალაქად იქცეს და ამ უპირატესობის უგულებელყოფა შეუძლებელია.

შავი და კასპიის ზღვებიდან დაახლოებით ასი ლიეთი დაშორებულ თბილისს მთელი წლის მანძილზე შეუძლია იოლად და სწრაფად, ყოველგვარი საფრთხის გარეშე, და რაც მთავარია – მცირე დანახარჯებით, - კავშირი დაამყაროს ამ ორ ზღვასთან. შავი ზღვით კავშირი შეიძლება დამყარდეს ანატოლიის (Natolie) მთელ სანაპიროსთან, სამხრეთ რუსეთის ნავსადგურებთან და დუნაის შესართავთან; ხოლო როცა თბომავალი გემები დაინიშნება, რაც ხელს შეუწყობს სათანადო კომუნიკაციას, - რვა დღეც კი არ იქნება საჭირო, რომ ამ ზღვის უშორესი ნავსადგურები ფაზისისა და ხობის შესართავებს და აგრეთვე, კონსტანტინოპოლს დაუკავშირდეს. ეს ურთიერთობა ჩაკეტილი ზღვით წარმოებს და, შესაბამისად, არ არის იმის საშიშროება, რომ იგი შეწყდება, ზღვაზე გაბატონებული რომელიმე სახელმწიფოს მიმართ დაპირისპირების შედეგად. ამ ურთიერთობაში ჩაებმება დასავლეთ აზიისა და მთელი ევროპის კონტინენტის მოსახლეობა და რუსეთის 52 მილიონი მაცხოვრებელი.

როდესაც მსოფლიოს ამ ნაწილში ყველგან მშვიდობიანობა სუფევს, აზიისა და სამხრეთ რუსეთის პროდუქციით დატვირთულ, ფაზისის ნაპირებიდან გამოსულ ხომალდებს ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შეუძლიათ ამერიკის ყველა ნავსადგურში გაშალონ თავიანთი დროშები და მომგებიანად გაუწიონ იქ კონკურენცია იმ ხომალდებს, რომლებიც აქ სავაჭროდ იგზავნება ყველაზე ხელსაყრელი მდებარეობის მქონე ევროპის ნავსადგურებიდან.

კასპიის ზღვით, რომელიც რუსეთის სამფლობელოს წარმოადგენს, ყოველ შემთხვევაში – მის ნავიგაციაზე ამ უკანასკნელს მაინც განსაკუთრებული უფლება აქვს, - და რომელსაც ამ სახელმწიფოს „ჩაკეტილი ზღვა“ შეიძლება ეწოდოს, ევროპული მანუფაქტურული საქონლით დატვირთულ ხომალდებს შეუძლიათ 36 საათში ჩავიდნენ ბაქოდან გილანის, მაზანდარანისა და ასთრაბადის სანაპირომდე, ან კიდევ – ბალხანის ყურემდე; ხოლო ექვს დღეში ხომალდები ამ ნავსადგურიდან ასტრახანში ჩადიან. ამგვარად, თბილისში დაფუძნებულ ვაჭრებს შეუძლიათ ფართო სავაჭრო ოპერაციები წამოიწყონ მთელ ავღანეთში, ბუხარაში, ქაშმირსა და და ტიბეტში; აღადგინონ ძველი სავაჭრო გზა, რომელსაც ჩინეთის უკიდურესი დასავლეთი მხრიდან – შენსის[1] (Chensi) პროვინციიდან ოთხმოც თუ ას დღეში ჩაჰქონდა საქონელი ოქსუსის[2] (Oxus) ნაპირებამდე, ხოლო ორას დღეში – კასპიის

ზღვის სანაპირომდე. ეს ინფორმაცია მკითხველმა რომ საფუძველს მოკლებულად არ მიიჩნიოს, მე შევახსენებდი, რომ ამ გზით, რომელიც დაახლოებით ორი ათას ლიეს შეადგენს, იგზავნება პრუსიული მაუდი სილეზიიდან[3] ჩინეთის საზღვარზე კიახტაში[4] (Kiakhta). რუსეთში შემოტანისას მასზე იხდიან სატრანზიტო ბაჟს – 15 კაპიკს ვერცხლით არშინზე, 1 ფრანკს ფრანგულ წყრთაზე[5], რაც დაახლოებით რვა პროცენტს შეესაბამება. ასეთ გადასახადს იმიტომ აკისრებენ, რომ სატრანზიტო ხარჯები რუსეთსა და აზიის უმეტეს ნაწილში ძალზე დაბალია – აქ ცხოველებს საერთო საძოვრებზე გარეკავენ ხოლმე და არაფერს იხდიან სასტუმრო სახლებში. ამიტომაც ამ გზით მაუდის გადაზიდვა საკმაო მოგებას აძლევს ფაბრიკანტებს და 1818 წლიდან იგი შეუწყვეტლივ წარმოებს. ზოგჯერ წლის განმავლობაში გააქვთ 15 ათასი თოფი მაუდი, რომლის ღირებულებაც შეიძლება განისაზღვროს 4 მილიონიდან 4 მილიონ 500 ათას ფრანკამდე.[(27)]

რობერტსონი, რომელმაც ვრცელი გამოკვლევა უძღვნა აზიის კომერციას, სუეცზე და სპარსეთის ყურეზე გამავალ გზებზე საუბრისას ყველაზე ხელსაყრელად მიიჩნევს შავი და კასპიის ზღვებს შორის კომუნიკაციას. იგი ამბობს, რომ სირიის პირველი და უნიჭიერესი მეფე სელევკიოს ნიკატორი[6], ვიდრე მოკლავდნენ, დაინტერესებული ყოფილა ამ ახალი გზით; რობერტსონი დასძენს: „ვაჭრობის დარგი, რომელიც მან ამ ახალი გზით ხელთ იგდო, თავისი მოცულობითა და სარგებლით იმდენად მნიშვნელოვანი ყოფილა, რომ ამ ახალ გზას დაუმსახურებია დიდი ხელმწიფის ყურადღება, რომელიც არაფერს იშურებდა მისი მფლობელობის უზრუნველსაყოფად.“[(28)]

ქარავნები თბილისიდან არზრუმში ორ კვირაში ჩადიან და უფრო მეტი დრო მათ არც თავრიზამდე სჭირდებათ. სამოცდაათ დღეში ისინი თბილისიდან სპარსეთის ყურეში ბანდარ-ბუშეჰრში აღწევენ. ამ ნავსადგურიდან საქონლით დატვირთული ხომალდები, რომლებიც ხშირად დადიან ბომბეიში, ჩვეულებრივ, სულ თხუთმეტ-ოც დღეში ფარავენ ამ გზას. ამგვარად, თბილისი ინდოეთს უკავშირდება მოკლე, უსაფრთხო და იოლი გზით; მაგრამ თბილისის მომავალი კეთილდღეობა მხოლოდ მის ადგილმდებარეობაზე როდია დამოკიდებული.

როდესაც ბატონი ჯონ მალკოლმი[7] თავის „სპარსეთის ისტორიაში“ ჰორმუზზე[8] საუბრისას აღნიშნავს, რომ ეს ქალაქი გადაიქცა საწყობად, სადაც დედამიწის ყველა კუთხიდან უამრავი ვაჭარი იყრის თავს აზიური საქონლის ევროპულზე გასაცვლელად, ამის მიზეზად იგი ასახელებს იმ ფაქტს, რომ „ისინი და მათი ქონება დაცული იყო უსამართლობისა და ძალადობისაგან და ამ ქალაქიდან მათ შეეძლოთ უშიშრად ეწარმოებინათ ხელსაყრელი ვაჭრობა სპარსეთთან, არაბეთთან და თურქეთთან. ამის გარანტიას კი მუდმივად იძლეოდა ამ ბარბაროსულ მხარეებში მყარად დამკვიდრებული რეზიდენტი.“ ამ სიტყვებით ამ ნიჭიერმა ავტორმა გააკეთა ის, რისი გაკეთებაც მე ვერ შევძელი – მშვენივრად განმარტა, რომ

---

(27) მე საჭიროდ აღარ ჩავთვალე დამადასტურებელი დოკუმენტებისთვის დამერთო „უკაზის“ პირი, რომელშიც მოხსენიებულია პრუსიული მაუდი და მარშრუტი მოსკოვიდან ჩინეთის საზღვარზე კიახტამდე, სადაც პორტები სრულ წესრიგშია.

(28) იხ. რობერტსონის „კვლევები ინდოეთის შესახებ“ (*Recherches sur l'inde* par Robertson), გვ. 61.

თბილისს ნამდვილად აქვს ეს უპირატესობა: დღეს ხომ ის ქრისტიანულია და ცივილიზებული იმპერიის შემადგენლობაში შედის. სწორედ ეს უდიდესი უპირატესობა უზრუნველყოფს თბილისისათვის ჰორმუზის ტოლ წარმატებას; მისი მეშვეობით იგი ახალ პალმირად[9], ახალ ალექსანდრიად[10] გადაიქცევა. მისი მომგებიანი მხარეები უფრო ძლიერი იქნება, ვიდრე ის სიძნელეები, დაბრკოლებები თუ წინააღმდეგობები, რომლებმაც აქამდე თუკი ვერ შეაჩერეს, ყოველ შემთხვევაში – შეანელეს მაინც ის მოძრაობა, რომლის მიზანია ევროპასა და აზიას შორის ურთიერთობების ამ ახალი გზით წარმართვა.

„ჰორმუზის კუნძულზე არც მცენარეული საფარია და არც მტკნარი წყალი; მისი გარშემოწერილობა ოცი ათასს წრეხაზს არ აღემატება; აქ მთები და დაბლობები ერთთავად მარილისაგანაა შექმნილი; ყველა ნაკადული მარილითაა გაჟღენთილი და თვით ზედაპირზეც კი მარილი თოვლის მსგავსად არის კონდენსირებული; ნიადაგი, ან უფრო სწორედ, მისი ერთიანი ზედაპირი, თავისი თვისებებით ზაფხულის სიცხეს უფრო აუტანელს ხდის, ვიდრე მცხუნვარე კუნძულებზე და მის შემოგარენ პროვინციებში; მას მხოლოდ და მხოლოდ ვარგისი ადგილმდებარეობა და კარგი ნავსადგური აქვს.“[(29)] თუკი ყოველივე ამის მიუხედავად, ეს კუნძული იყო ცენტრი უაღრესად დიდმნიშვნელოვანი ვაჭრობისა, თუკი იგი იზიდავდა ქარავნებს, რის გამოც აქ დიდი რაოდენობით ოქრო შემოდიოდა და მსოფლიოს სხვა რომელიმე ბაზართან შედარებით აქ ვაჭრობა სულ უფრო ფართო ხასიათსა და მნიშვნელობას იძენდა, სავსებით დასაშვებია ვიფიქროთ, რომ მდინარის პირას მდებარე, ჩვეულებრივ, სამკურნალო და ნაყოფიერ მხარეში გაშენებული და საუცხოო კლიმატური პირობების მქონე თბილისიც ასეთივე მნიშვნელობას შეიძენს; თანაც, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს ქალაქი დაახლოებით იგივე მანძილითაა დაშორებული, რითაც ჰორმუზი პენჯაბის[11] მდიდარი პროვინციისაგან, რომელთანაც ამ უკანასკნელს ფართო ვაჭრობა აქვს გაჩაღებული.

ამაოა იმის მტკიცება, რომ აზიიდან ალეპოში, სმირნასა და კონსტანტი-ნოპოლში მიმავალი ქარავნები თითქოს არ უღალატებენ თავიანთ მარშრუტს და ჩვეული გზიდან არასოდეს გადაუხვევენ: არსად ადამიანები ისე არ ეძიებენ ხეირსა და და არ ცდილობენ მოგების უზრუნველყოფას, როგორც აზიაში.

იუსტინიანეს, ხოსროსა და მათ მემკვიდრეთა დროს საქონელი საქართველოსა და კოლხეთის გავლით გადაჰქონდათ; ზენობის[12] დროს ხმელთაშუა ზღვისაკენ მიმავალი საქონელი გაივლიდა პალმირის ირგვლივ გადაჭიმულ უდაბნოს; ეგვიპტის სულტნების პერიოდში ინდოეთის საქონელი იტვირთებოდა სუეცში და აქედან ჩადიოდა ალექსანდრიაში; ვენეციელები მიჰყვებოდნენ ტანასა[13] და აზოვის გზას, ხოლო გენუელებმა კოლხეთის გზა განაახლეს. ეს ცვლილებები, რომელთა მაგალითებიც კიდევ მრავლად შემიძლია მოვიყვანო, აშკარად ადასტურებს, რომ თუკი რომელიმე ქალაქის ადგილმდებარეობა დიდად უწყობს ხელს აქ ვაჭრობის მოზიდვას, დაცულობა და მტკიცე მფარველობა ის ძირითადი პირობებია, რასაც ვაჭრობა უპირველეს ყოვლისა მოითხოვს. ამგვარად, როცა ამიერკავკასიის

[(29)] იხ. მალკოლმის „სპარსეთის ისტორია“, ტ. II, (*L'Histoire de Perse,* par Malcolm), გვ. 332.

რუსეთის პროვინციებს, ხელსაყრელ ადგილმდებარეობასთან ერთად, აგრეთვე ის უპირატესობაც აქვთ, რომ ნორმალურ ხელისუფლებას ექვემდებარებიან, არ შეიძლება ამ პროვინციებმა არ მოიზიდონ აქ ევროპასა და აზიას შორის წარმოებული ვაჭრობის უდიდესი ნაწილი.

შევადაროთ დღევანდელი თბილისის ბაზარი ალეპოს, სმირნასა და კონსტანტინოპოლის ბაზრებს, სადაც დიდი ხანია უცხოელებმა ხელიდან გამოგვაცალეს ჩვენს მიერ უწინდელ დროში წარმოებული ვაჭრობა: ერთის მხრივ, გვაქვს სრული სიმშვიდე, მუდმივი დაცულობა, ზომიერი ბაჟები, თავისუფლება ყოველგვარი გადასახადისაგან, სურსათის სიუხვე და მასზე არსებული დაბალი ფასები, მყარი ფული. მეორეს მხრივ – შეუზღუდავი დესპოტიზმი, შევიწროვება ფაშების მიერ, დაუსჯელი მკვლელობები, ძარცვის საფრთხე, ხანძრები, ჟამიანობა, არავითარი გარანტია პიროვნებისა თუ საქონლის დასაცავად; დაბოლოს, არამყარი ფული, რომლის რეალური ფასიც ყოველდღიურად ეცემა და საქონლის დროულად გაყიდვის არავითარ საშუალებას არ იძლევა.

როცა თბილისსა და ოსმალეთის იმპერიის ნავსადგურებს შორის ასეთი კონტრასტები თვალსაჩინოა, მაშინ რაღა საჭიროა ანგარიში გავუწიოთ იმ განსხვავებას, რომელიც ამ ორი გზის ხარჯებს შორის შეიძლება არსებობდეს? დიდი მასშტაბის საგარეო სავაჭრო ოპერაციების განხორციელებისას ეს სულაც არ არის ანგარიშგასაწევი. როგორც უკვე ვთქვი, ვაჭრებისთვის უპირველეს ყოვლისა ბაზრის გარანტიაა მნიშვნელოვანი. ეს გარანტია კი არსებობს თბილისში მას შემდეგ, რაც აქ რუსების მმართველობა დამკვიდრდა, ისე როგორც არსებობდა ჰორმუზში პორტუგალიელთა მმართველობის ხანაში. ეს გარანტია აქ იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ბატონი ჯონ მალკოლმი აღნიშნავდა: როგორც კი ჰორმუზი ქრისტიანებისგან მუსლიმთა ხელში გადავიდა, ქარავნებმა მაშინვე შეაქციეს მას ზურგი.

მას შემდეგ, რაც თბილისის სასარგებლოდ ყველა საბუთი წარმოვადგინე, რაც უდავოდ მოიზიდავს აქ აზიის ქარავანთა უდიდეს ნაწილს, ახლა საჭიროდ მიმაჩნია, რამდენიმე სიტყვა მოგახსენოთ მისი ვაჭრობის ამჟამინდელ მდგომარეობაზე, მიზეზებზე, რომლებმაც შეაფერხეს აქ ვაჭრობის განვითარება და იმ საშუალებებზე, რომლებიც დააჩქარებს მის წინსვლას.

როდესაც 1802 წელს რუსები საქართველოს, თანდათანობით კი – ამიერკავკასიის სპარსულ პროვინციებს დაეუფლნენ, გადამწვარ თბილისში ჯერ კიდევ კვამლი იდგა. მოსახლეობის განადგურება, რაც შინაური ომების დროს დაიწყო და მეთვრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში საბოლოოდ დაასრულა სპარსეთის სამეფოში გაბატონებული ულმობელი საჭურისის ჯარებმა.[14] ამასთანავე, განუწყვეტელი შემოსევების საფრთხის ქვეშ მყოფმა ღია და ევროპასთან კავშირს მოკლებულმა ქვეყანამ ვერ შეძლო გადაქცეულიყო სავაჭრო ქვეყნად.

ამგვარად, ვაჭრობა ამ მხარეებში სულ ახლახან გაჩნდა და თარიღდება მხოლოდ და მხოლოდ რუსების მოსვლით, უფრო ზუსტად კი იმ დროით, როცა გულისტანის ტრაქტატმა საქართველოს მშვიდობა მოუტანა.

პირველ ხანებში, იმ დრომდე, ვიდრე იმპერატორი ალექსანდრე ამიერკავკასიის რუსულ პროვინციებს შეღავათებს უბოძებდა, ერთადერთი სავაჭრო ოპერაცია,

რასაც სომხები აწარმოებდნენ, იყო საქართველოში დაბანაკებული რუსული ჯარისათვის პირველი მოთხოვნილების ზოგიერთი საქონლის მიწოდება. ამ საქონლის შესაძენად ისინი მიემგზავრებოდნენ მაკარიევის ბაზრობაზე, დღევანდელ ნიჟნი ნოვგოროდში. ჩვეულებრივ, მათ იქ ჩაჰქონდათ სპარსული ქსოვილები, ხამი აბრეშუმი, სამელნე გალი[15], მეტწილად კი – ქაშმირის შალი და მარგალიტები. მათ კი ცვლიდნენ მაუდზე, ერთფეროვან და მოჩითულ ტილოზე, თავ შაქარზე და სხვა საქონელზე, რომლებიც თბილისში ჩამოჰქონდათ. საკმაოდ ხშირად ისინი საქონელს ფულითაც ყიდულობდნენ, ხოლო რადგან ამ სომეხ ვაჭრებს ჯერ კიდევ საბოლოოდ ვერ დაეღწიათ თავი საკუთარი სიღარიბისაგან, მათ შორის ძალიან ცოტას თუ აძლევდნენ საქონელს კრედიტით. ამგვარად, მათი ვაჭრობა, მათივე ხელმოკლეობის გამო, მეტწილად წვრილმანი ხასიათს ატარებდა. ამასთანავე, ის შეზღუდულიც იყო, რადგანაც სპარსეთის მოხმარებისათვის საჭირო ევროპული ფაბრიკების პროდუქცია, რომლის შესაძენადაც ეს სომეხი ვაჭრები მაკარიევში ჩადიოდნენ, ზედმეტად იყო დატვირთული ბაჟით (რასაც რუსეთში საქონლის შემოტანისას ახდევინებდნენ) და სხვა დამატებითი ხარჯებით. ამის გამო ეს საქონელი ვერ გაიყიდებოდა აზიაში იმ საქონლის კონკურენციის გამო, რომელსაც სპარსელები სმირნასა და კონსტანტინოპოლში იძენდნენ ადგილობრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. მაგრამ სულ მოკლე ხანში, თავიანთი ხელმომჭირნეობის წყალობით, ამ სომეხ ვაჭართაგან ზოგი გამდიდრდა და როცა 1821 წლის 8 (20) ოქტომბრის „უკაზი“ გამოქვეყნდა, რაც ამ მხარეებში სავაჭრო შეღავათებს ითვალისწინებდა, თბილისში უკვე რამდენიმე მდიდარი ვაჭარი ცხოვრობდა. ამ „უკაზის“ შესახებ ცნობა საფრანგეთში ზუსტად იმ დროს მოვიდა, როცა განსვენებული ბ-ნი გრაფი დე რიშელიე[16], რომელსაც მშვენივრად ესმოდა მისი სარგებლიანობა, სამინისტროს ტოვებდა. მისი წასვლის შემდეგ საფრანგეთის ვაჭრობამ დაკარგა დასაყრდენი და მცოდნე დამკვალიანებელი, რომელსაც შეეძლო ვაჭრობისათვის მფარველობის გაწევა და მისი წარმართვა უცხო ქვეყნებში ვაჭრობის წამოწყებისთვის. აქედან მოყოლებული, საგარეო მოვლენებმა – ხმელთაშუა ზღვის გარშემო შექმნილმა დაძაბულობამ, სავაჭრო კრიზისმა, რომლის გავლენაც ჯერ კიდევ აგრერიგად საგრძნობია, - ყოველივე ამან გამოიწვია ყურადღების გადატანა იმ რეგიონისაკენ, რომელიც პროდუქციის გასაღების უზარმაზარ საშუალებას აძლევდა ჩვენს ფაბრიკებს, და ამასთანავე, ფართო სარბიელს ქმნიდა დიდი კომერციული ოპერაციებისთვის.

სანამ ჩვენ ვმერყეობდით, საქართველოს სომხებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და საგანგებოდ აღნიშვნის ღირსია ის იმპულსი, რომელიც მათ სამი წლის განმავლობაში მისცეს ამ ვაჭრობას. თბილისელი სომეხი ვაჭარი სარაჯიევი[17] (Saratgeff) პირველი იყო იმ ვაჭართა შორის, ვინც ოდესაში ჩამოვიდა და დაახლოებით 100 ათასი ფრანკის ღირებულების ევროპული საქონელი შეიძინა. იგი თვითონვე გამოჰყვა ამ საქონელს რედუტ-კალემდე, აქედან კი – თბილისამდე და ყველაფერი დიდი მოგებით გაყიდა. შემდეგ წელს ლაიფციგის ბაზრობაზე პირველად გამოჩნდა გაერთიანებული ექვსი სომეხი; მათ შეისყიდეს 600 ათასი ფრანკის ღირებულების ევროპული წარმოების მანუფაქტურული საქონელი, გააგზავნეს იგი ტრანზიტით, გალიციისა და სამხრეთ რუსეთის გზით, ოდესაში,

აქედან კი გადატვირთეს ხომალდზე და სარაჯიევის მიერ მითითებული გზით რედუტ-კალესაკენ გაემგზავრნენ. 1825 წელს ლაიფციგში მათ მიერ შესყიდული საქონლის ღირებულებამ 1,200,000 ფრანკს მიაღწია. უკანასკნელ, 20 ივნისის ფრანკფურტში შედგენილ წერილს თუ დაეჯერება, რომელიც ამავე თვის 24 რიცხვის „სავაჭრო გაზეთშია“ (“Feuille du Commerce”) გამოქვეყნებული, თბილისელ ვაჭრებს ლაიფციგის უკანასკნელ ბაზრობაზე შეუძენიათ 700 ათასი ტალერის (2,800,000 ფრანკის) ღირებულების საქონელი.

სომხების მაგალითს დაუყოვნებლივ უნდა მიბაძონ ევროპელებმა. უახლოეს მომავალში ისინი თბილისში დააარსებენ ყველანაირი სახის მანუფაქტურული საქონლის საწყობს, რომელიც დააკმაყოფილებს აზიის ხალხების მოთხოვნილებებსა და აღმოსავლური ფუფუნების დონეს. ამის შემდეგ ქაშმირიდან, ბუხარადან და ავღანეთიდან თავრიზში, იაზდსა და ისპაჰანში მიმავალი ქარავნები თბილისამდე გააგრძელებენ გზას, სადაც უფრო მრავალფეროვან, თავიანთი გემოვნების შესაფერ საქონელს შეარჩევენ. ამავე დროს, აქვე იპოვნიან მდიდარ მყიდველებს, რომლებიც მათი ცხენებითა და აქლემებით ჩამოზიდულ საქონელს შეიძენენ.

რადგანაც ვაჭრობა ევროპულ სახელმწიფოთათვის ძლიერების უმაღლესი გამოხატულებაა, რადგან სწორედ მის ბაზაზეა დამყარებული მანუფაქტურული მრეწველობა და საკუთრივ ამ სახელმწიფოთა შინაგანი სიმშვიდეც, ამიტომაც, ვფიქრობ, მომიტევებენ, რომ ამ საკითხს რამდენადმე განვრცობილად განვიხილავ: საქმე ხომ აზიის ვაჭრობას და მის მოსახლეობას შეეხება, რომელიც ოთხჯერ აღემატება სამხრეთ ამერიკის მოსახლეობას.

დასავლეთ აზიასა და ევროპას შორის ვაჭრობა მხოლოდ სპარსელი ვაჭრების შუამავლობით წარმოებს. ეს კი განაპირობებს მის შეზღუდულ ხასიათს. ასეთ შორეულ მანძილზე მათ არ შეეძლოთ განესაზღვრათ, თუ რა სახის აზიური სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია და სამრეწველო საქონელი იყო უფრო მეტად საჭირო ევროპისათვის. კიდევ უფრო ნაკლებად შეეძლოთ მათ გამოეცნოთ, ოცდაათი წლის მანძილზე გასაოცარი ტემპებით პროგრესირებადი მრეწველობის მრავალფეროვან პროდუქციას შორის, ის საქონელი, რომელსაც გასაღება ექნებოდა სპარსეთში. ეს შენიშვნა სხვა მხრივაც არის მნიშვნელოვანი, როცა საქმე ეხება არა მხოლოდ სპარსელებს, არამედ მულტანის,[18] ლაჰორის, სამარყანდის, ქაშმირის, ტიბეტისა და ავღანეთის მცხოვრებლებს, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ევროპულ საქონელს მხოლოდ მესამე ან მეოთხე ხელიდან იღებდნენ, რუსეთისა და სპარსეთის ყურის გზით, ან კიდევ – თავრიზის, იაზდისა და ისფაჰანის ვაჭართაგან.

სავსებით ნათელია, რომ იმ დღეს, როდესაც თბილისი მნიშვნელოვან ბაზრად გადაიქცევა, სადაც ინდის ნაპირებიდან პენჯაბიდან მოყოლებული გუჯარათამდე მრავალი ქარავანი ჩამოვა, აქ შემუშავდება ახალი სავაჭრო ოპერაციები, დამყარდება ფართო ურთიერთკავშირი მანუფაქტურულ ევროპასა და აზიას შორის, რომელიც მდიდარია ჩვენი ფაბრიკა-ქარხნებისათვის აუცილებელი ყველანაირი ნედლეულით.

ეს ახალი გზა, ეს ბაზარი ცივილიზებული ხალხის სახელმწიფოში, ეს ახალი ჰორმუზი მნიშვნელოვანი მოვლენაა საფრანგეთისათვის და მას აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება; იგი ასევე მნიშვნელოვანია რუსეთისათვის, რომლის ერთ-ერთი პროვინციის ხვედრია ფართო მასშტაბის ვაჭრობის ცენტრად ქცევა;

დაბოლოს, იგი მნიშვნელოვანია მთელი ევროპისათვის, რომელიც ყველგან გასაღების ბაზარს ეძიებს თავისი სამრეწველო საქონლისთვის, რამდენადაც ამ მრეწველობას ნაკლებად აკმაყოფილებს თანამედროვე კომერციის ვიწრო წრე.

მაგრამ თუ სურთ, რომ ეს აღმავლობა, მიუხედავად ყველანაირი ხელშემწყობი პირობებისა, არ შეჩერდეს, უნდა გაიხსენონ და გაითვალისწინონ პორტუგალიელების მაგალითი: იმისათვის, რომ ჰორმუზში მიეზიდათ მდიდარი ქარავნები, რომლებიც იქ აზიის უშორესი მხარეებიდან იყრიდნენ თავს, ისინი უცხოელებს არ აკლებდნენ ყურადღებას, მზრუნველობას, მრავალფეროვან აღმოსავლურ სიამოვნებასა და სიტკბოებას: „წელიწადის იმ მონაკვეთში, როდესაც უცხოელი ვაჭრები ჰორმუზში ჩადიოდნენ, ეს ქალაქი აღმოსავლეთის უბრწყინვალეს და საამურ ქალაქად იქცეოდა. აქ ხალხი დედამიწის თითქმის ყველა კუთხიდან მოდიოდა: აქ ცვლიდნენ საქონელს და აწარმოებდნენ საქმიან მოლაპარაკებებს დიდი მოკრძალებითა და ურთიერთპატივისცემით, რაც ნაკლებად იყო დამახასიათებელი სხვა სავაჭრო ადგილებისათვის.

ამ ტონის მიმცემნი ნავსადგურის ვაჭრებმა ეს თავაზიანი მანერები უცხოელებსაც გადასცეს. ქალაქში დაცული სანიმუშო წესრიგი, კომფორტი, უხვად ყველანაირი სახის გასართობი, - ყოველივე ეს, ვაჭრობის ინტერესებიდან გამომდინარე, ხელს უწყობდა აქ ვაჭრების თავშეყრას. ქუჩები იფარებოდა სუფთა ჭილოფით, ზოგან კი – ფარდაგებითაც. სახლების ზემოდან გადმოშვერილი სახურავები ადამიანებს მცხუნვარე მზისაგან იცავდა; აქვე იყო ინდურ ყაიდაზე გაკეთებული საკუჭნაოები, რომლებსაც მოოქრული ლარნაკებითა და ნატიფი ფაიფურით რთავდნენ. ამ ლარნაკებში აყვავებული ბუჩქები ან არომატული მცენარეები იყო ჩარგული. მოედნებზე შეხვდებოდით წყლის მზიდავ აქლემებს. გულუხვად არიგებდნენ სპარსულ ღვინოებს, აგრეთვე – ნელსაცხებლებსა და უგემრიელეს საჭმელებს, ისმოდა მშვენიერი აღმოსავლური მუსიკა.“[30]

უცხოელ ვაჭრებს ასეთ გადაჭარბებულ ფუფუნებას არ უნდა ელოდნენ ექნებათ საქართველოში, მაგრამ შეუძლიათ ნამდვილად დარწმუნებულნი იყვნენ იმაში, რომ აქ არსებული გონიერი ხელისუფლების პირობებში ისინი ვაჭრობისას უზრუნველყოფილნი იქნებიან საჭირო შეღავათებით და გარდა ამისა, ისარგებლებენ თბილისში თავშეყრილი სხვადასხვა ხალხების ზნე-ჩვეულებებისა და ტრადიციებისათვის დამახასიათებელი პატივისცემით.

თუკი ნებას მომცემდნენ დამესახელებინა ახლადწარმოქმნილი ვაჭრობის განვითარებისათვის აუცილებელი თავდაპირველი ზომები, მე, უპირველეს ყოვლისა, წამოვაყენებდი წინადადებას სავაჭრო ტრიბუნალის დაარსების თაობაზე; ის სწრაფი და პირდაპირი მართლმსაჯულებით შეცვლიდა სამოქალაქო იურისდიქციას, რომლის ზანტი მოქმედება და გაჭიანურებული აპელაციები ყოველგვარ გარიგებას აფერხებს; სასურველია აგრეთვე, რომ რამდენიმე წლით განსაზღვრული შეღავათი შეიცვალოს ნახევარსაუკუნოვანი ვადით. ამით დიდ

---

[30] „ევროპული კომერციის ფილოსოფიისა და პოლიტიკის ისტორია და სხვ. ორთავე ინდოეთში“ (*His. phill. et polit., etc. , de Commerce européen - dans les deux Indes*), ტომი I, გვ. 163.

ასოციაციებს საკმაო დრო მიეცემათ ფართო ვაჭრობისათვის საჭირო მშენებლობებში გაღებული ხარჯების ასანაზღაურებლად.

ოსმალეთის იმპერიაში ამჟამად არსებულ ვითარებაში თბილისის ბაზარი მთელი ევროპისათვის საერთო ინტერესის სფეროდ იქცა. აქ დამკვიდრებული ვაჭრები დაცულობის სრული გარანტიით ისარგებლებენ სპარსეთშიც, ამ გარანტიას უზრუნველყოფს გავლენიანი მთავრობა, რომელსაც ამიერკავკასიის პროვინციებში დაახლოებით 60 ათასკაციანი ჯარი ჰყავს. ამ განცხადების დასასაბუთებლად ერთ მაგალითს მოვიყვან: როდესაც 1821 წელს თეირანში თბილისელი სომხების ერთი ქარავანი გაძარცვეს, სპარსეთში რუსეთის რწმუნებულის, ბ-ნ პოლკოვნიკ მაზაროვიჩის უბრალო მოთხოვნაც კი საკმარისი აღმოჩნდა, რათა სომხებისათვის სასწრაფოდ აენაზღაურებინათ დანაკარგი, ხოლო თანხის დასადგენად მათივე უბრალო განცხადებით დაკმაყოფილდნენ.

თავი IX

სოფლის მეურნეობის კულტურები კახეთში. ზვარ-ვენახები. შენიშვნები მათი პროდუქციის თაობაზე. სომხითი და ქართლი. მარცვლეულის მოსავლის აღება. საძოვრები. ცხვრები. მეაბრეშუმეობის წინსვლა ამ მხარეში. ნაყოფიერი მიწები არაგვის გასწვრივ. სელი. ბრინჯი. ბამბის, ინდიგოს კულტურები, შაქრის ლერწამი. ცხენსაშენი, რომელიც სამომავლოდ უნდა მოეწყოს. კალიები, ცნობები ამ უბედურების შესახებ.

თავისი ნაყოფიერი მიწებითა და ადგილობრივი პროდუქციით კახეთი ყველაზე მდიდარია საქართველოს შემადგენელ სამ პროვინციას შორის. მე უკვე აღვწერე სიღნაღის (Sinac) ულამაზესი ხეობა და აქაური სოფლები. ტყეებში, თითქმის ყველგან, ხეებზე ვაზია შემოხვეული და თუკი მისი ღეროს სისქის მიხედვით ვიმსჯელებთ, იგი კახეთისა და ძველი კოლხეთის ლიანად და პირველყოფილ ვაზად უნდა მივიჩნიოთ. ვაზის ყლორტები ყველაზე მაღალი ხეების კენწეროებამდეა ასული და ამის გამო მოსავლის აღება იმდენად გართულებულია, რომ ყურძნის სულ ცოტა, ნახევარი მაინც, ყუნწზევე ლპება. ბუნების მადლის, ამ ველური ვაზის გვერდით, რომელიც ადამიანისაგან არანაირ ზრუნვას არ მოითხოვს, კახელებს უამრავი ვენახი აქვთ გაშენებული, რომელთა შორისაც ბევრი მართლაც რომ სახელგანთქმულია; კარგად მოვლილი ვაზი დიდი რაოდენობით იძლევა ყურძენს, მისგან მიღებული ღვინოს კი საქართველოშივე მოიხმარენ. იმისათვის, რომ ყურძნის მოსავალი კიდევ უფრო გაიზარდოს, კახეთშიც, ასტრახანის გარეუბნების მსგავსად, მიღებულია ვაზის მორწყვა; ეს, უდავოდ, ცუდად მოქმედებს ღვინოზე: იგი დიდხანს არ ინახება და მალე ძმარდება.

საქართველოში, უფრო კი - თბილისში, ღვინოს დიდი რაოდენობით, შეიძლება ითქვას, უზომოდაც კი მოიხმარენ. ქართველი კაცისათვის, უბრალო ხელოსნიდან მოყოლებული კეთილშობილ თავადამდე, დღის ჩვეულებრივი რაციონია ერთი თუნგი[1] (ხუთ-ნახევარი ბორდოს ბოთლი) ღვინო. მარტო კახეთიდან თბილისში

მოხმარებული მთელი ღვინის ოთხ მეხუთედზე მეტი შემოდის. გენერლებისა და წარჩინებულ პირთათვის განკუთვნილი ერთი თუნგი საუკეთესო ღვინო 1 აბაზიდან[2] 1 და მეოთხედ აბაზამდე (20 სუ) ღირს, ერთი ბოთლი სუსტი და მდარე ხარისხის ღვინის ფასი კი ძლივს აღწევს ერთ სუს.

როცა ამ მხარეში სოფლის მეურნეობა განვითარდება, როცა ავზები და კასრები ქვევრებსა და ტიკებს შეენაცვლებიან, როცა ბოცებისა და სარდაფების გამოყენება დაინერგება, საქართველოში კი გაეცნობიან და აითვისებენ ღვინის დაყენების ევროპულ წესებს, ეს პროვინცია შეძლებს დიდი რაოდენობით ღვინის გატანას ბაქოში, საიდანაც იგი ასტრახანში გაიგზავნება, იქიდან კი ვოლგისა და მისი შენაკადების აყოლებით, ამ ღვინით მოამარაგებენ რუსეთისა და ციმბირის გარკვეულ ნაწილს. ამრიგად, იგი შეცვლის მოლდავურ და ბერძნულ ღვინოებს, რომელთა შემოტანაც რუსეთში საკმაოდ გართულებულია თანამედროვე პირობების გამო; გარდა ამისა, ამ ღვინოების შემოტანაზე დაწესებულია გადასახადი - კასრში 320 მანეთი ასიგნაციით, ხოლო საქართველოდან, რომელიც რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილია, შემოტანილ ღვინოზე ამ გადასახადს არ გადაიხდიან.

კახეთში დაიწყეს ზაფრანისა და ენდროს მოშენება; თესლი ელიზაბეტპოლიდან[3] (Elizabeth-Pol) ანუ ძველი განჯიდან შემოიტანეს. ცნობილია, რომ ამ მხარის ენდრო საუკეთესოა, საფრანგეთში მოახერხეს მისგან ძალზე კარგი ჭიაფერის[4] საღებავის მიღება. კახეთი ასევე უხვად ამარაგებს მოსახლეობას მოხმარებისთვის აუცილებელი მარცვლეულით.

ქართლსა და სომხითში ყველაზე მეტად გავრცელებულია მარცვლეულის კულტურა, ხოლო ვენახი აქ მეორეხარისხოვანია. ორივე ეს პროვინცია კახეთთან შედარებით უფრო გვალვიანია და ნაკლებად მოსავლიანი; ამიტომ სადაც კი შესაძლებელია სარწყავი სისტემის მოწყობა, მიწები ირწყვება. კარგი საძოვრები აქ მეტად იშვიათია, რის გამოც რქოსან პირუტყვს არ აშენებენ, სამაგიეროდ ბევრი ცხვარი ჰყავთ, განსაკუთრებით - გორის ოლქში. მატყლი საკმაოდ უხეშია, მაგრამ მშვენივრად გამოიყენება ხალიჩების საქსოვად, რაც ამიერკავკასიის რუსულ პროვინციებში მრეწველობის ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული დარგია. 1822 წელს მთავარმართებელმა ამ მხარის მოსახლეობას მერინოსის ჯიშის ცხვრები დაურიგა, მაგრამ ისინი საერთო ფარაში შეურიეს და მათზე ზრუნვა უდარდელ მწყემსებს მიანდეს, რის გამოც, როგორც ჩანს, ადგილობრივი ცხვრის ჯიშის გასაუმჯობესებლად მათ ვერანაირი სარგებლობის მოტანა ვერ შეძლეს.

მიწებს საქართველოში ყველგან ხარებით ხნავენ. გუთანში შებმული ხარების რიცხვი ოლქებისა და მიწების ხარისხის მიხედვით ცვალებადია. გუთანი, რომელიც აქ გამოიყენება, ორხელია. სახნისი იმერეთში ხისაა, საქართველოში კი - რკინისა. ზემოთ მე აღვწერე, თუ რა პროცედურებს ახორციელებენ ღვინის დასაყენებლად, ვისაუბრე იმის თაობაზეც, თუ როგორ ტარდებოდა ძნის ლეწვა და ზოგიერთი სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაო. ისევე როგორც მრეწველობასა და კომერციას, საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარებასაც ჰქონდა ხელისშემშლელი პირობები, რაც ამ მხარის პოლიტიკურ ვითარებასთან იყო დაკავშირებული. მომხდარი ცვლილებები, ალბათ, სოფლის მეურნეობასაც სასიკეთოდ დაეტყობა.

საქართველოს ზოგიერთ ოლქში ვხვდებით თუთის ხეების პლანტაციებს, განსაკუთრებით კი ეს ითქმის სპარსეთის იმ პროვინციებზე, რომლებიც დღეს რუსეთს ექვემდებარება.

განჯაში, ნუხასა და შირვანში დიდი რაოდენობით მოჰყავთ აბრეშუმი. მას ართავენ ძალზე დიდი დიამეტრის მქონე სართავ ჯარებზე, რის გამოც იგი მდარე ხარისხისაა და მისი ამოხვევა იმდენად რთულია, რომ ლიონელმა ფაბრიკანტებმა მის გამოყენებაზე უარი თქვეს. ამ ქალაქში იგი სპარსული აბრეშუმის სახელით იყო ცნობილი, მისი ფასი შეესაბამებოდა მისივე მდარე ხარისხს, უფრო კი - მის ცუდ რეპუტაციას; მაგრამ 1740 წელს, კასპიის ზღვაზე ინგლისური სავაჭრო კანტორების უფროსმა ჰენვეიმ[5] (Hanway), რომელიც თავისი გონიერებისა და კეთილშობილური თვისებების გამო, ფრიად დაფასებული კაცი გახლდათ, მიაღწია იმას, რომ გილანსა და შირვანში ვიწრო დიამეტრიანი სართავი ჯარები შემოიღეს. ამის შედეგად ამ აბრეშუმმა, რომელსაც მანამდე ინგლისში სრულებით არ აფასებდნენ, იქაურ ფაბრიკებში ფართო აღიარება მოიპოვა. ინგლისელების გამოცდილებას მიბაძა ორმა ფრანგმა - ბ-ნებმა ფერტე დიდლომ (Ferté Didelot) და კასტელამ (Castelaz).[6] მათ ამ მხარეში ვივარედან[7] (Vivarais) ჩამოიყვანეს რამდენიმე მუშა და მიღებულმა შედეგმაც სავსებით გაამართლა მათი შეხედულება, ვისაც სწამდა - სპარსეთის აბრეშუმი პიემონტის[8] აბრეშუმის ტოლფარდი რომ გამხდარიყო, ამისათვის მხოლოდ და მხოლოდ დახელოვნებული ოსტატების მიერ მისი დართვა იყო საჭირო.

ჯერჯერობით, ვიდრე საფრანგეთში თუთის ხეებს მოაშენებენ და ისეთი რაოდენობით მიიღებენ აბრეშუმს, რომ აღარ დასჭირდებათ უცხო ქვეყნებიდან მისი შემოტანა (ისე, როგორც ამჟამად, როცა აქ ყოველწლიურად უწევთ 25-30 მილიონამდე ღირებულების იტალიური და ბენგალური აბრეშუმის შეძენა), ურიგო არ იქნება, თუკი საფრანგეთი მოიპოვებს ახალ ბაზარს, სადაც ამ ნედლეულს მანუფაქტურულ პროდუქციაზე გაცვლის მეშვეობით შეიძენს.

განჯაში (დღევანდელ ელიზაბეტპოლში), ყარაბაღში, განსაკუთრებით კი არაქსის მიმდებარე ტერიტორიებზე, მოჰყავთ ენდრო, ბრინჯი და სელი. ბრინჯი ძალზე კარგი ხარისხისაა და დიდი რაოდენობითაც მოიხმარება ამ მხარეში, სადაც ის ძირითად საკვებს წარმოადგენს. ბრინჯის ფასი ზოგჯერ იმდენად დაბალია, რომ მისი მოყვანის ხარჯებსაც კი ვერ ფარავს. ევროპის მოუსავლიან წლებში ვაჭრობა სარგებელს ნახავს, თუკი ბრინჯს სწორედ ამ მხარეებიდან გამოზიდავენ და მას ხმელთაშუა ზღვის ნავსადგურებში გადააგზავნიან; აქედან კი, იმ შემთხვევაში თუკი ოსმალეთის იმპერიასთან მოხდება შეთანხმება და ეს უკანასკნელი დუნაიზე, ულმიდან[9] მის შესართავამდე, ვაჭრობის უფლებას გასცემს, ეს მარცვლეული შეუფერხებლად გადაეგზავნება ამ მდინარის გასწვრივ მდებარე ყველა სახელმწიფოს, რაც ვაჭრობისთვისაც მეტად მომგებიანი იქნება.

სელის მხოლოდ მარცვალს იყენებენ და მისგან ზეთს ხდიან, ღეროს კი, ჩვეულებრივ, წვავენ და თუკი აქამდე მას არანაირად არ გამოიყენებოდა ამ ქვეყანაში, ამიერიდან იგი შესაძლოა ექსპორტის საგანიც გახდეს.

ყარაბაღი ცნობილია საუკეთესო ჯიშის ცხენებით, რომლებსაც სპარსულ ცხენებს შორის პირველი ადგილი უკავიათ. ძირითადი ცხენსაშენი ამ ძველი სახანოს მთებშია. აქაური ცხენების ერთადერთი ნაკლი გახლავთ ის, რომ სუსტი

გამძლეობა აქვთ და დიდ მზრუნველობასა და მოვლას საჭიროებენ ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ, რისთვისაც ისინი ძირითადად გამოიყენებიან. დაკეპილი ჩალისა და ქერის გარდა, ისინი ძნელად ეგუებიან სხვა საკვებს; ჩერქეზულ ცხენებთან შედარებით, რომლებიც არ უშინდებიან არც კლიმატს, არც დაღლას და ყოველგვარ საკვებსაც იოლად ეგუებიან, კავალერიის სამსახურისათვის ყარაბაღული ცხენები უფრო ნაკლებად გამოდგებიან.

ძალზე ცოტაა ისეთი ქვეყანა, რომელსაც ესოდენ ხელსაყრელი ადგილ-მდებარეობა ჰქონდეს ცხენსაშენის მოსაწყობად, როგორც ეს ამიერკავკასიის რუსულ პროვინციებს აქვთ. მე უკვე აღვნიშნე, რომ თბილისის ბაზარზე ყოველწლიურად დაახლოებით ოცი ათასამდე ჩერქეზული ცხენი ჩამოჰყავთ გასაყიდად; მათ შორის გამოირჩევიან ფაშატები, რომელთა ფასი 30-დან 120 ფრანკამდეა. ასევე შესანიშნავი თურქმენული ულაყების შეძენა შეიძლება ბალხანის ყურის[10] ნაპირზე, სპარსულისა - ყარაბაღსა და ხორასანში, ხოლო არაბული ულაყებისა - არზრუმში.

ბამბა მოჰყავთ შირვანში[11], ძირითადად არაქსის ნაპირებზე. მთელ ამ მხარეში შეიძლება ბამბის დიდი პლანტაციების გაშენება, საჭიროა მხოლოდ მოკლებოჭკოვანი ბამბის გრძელბოჭკოვანით შეცვლა, რადგანაც მისი დამზადება უფრო ნაკლებ ხარჯებს მოითხოვს, სამაგიეროდ კი მიღებული პროდუქტი გაცილებით ძვირად ფასობს. სოფლის მეურნეობის ამგვარი აღმავლობა გაამდიდრებს მემამულეებსა და გლეხებს და დიდად სასიკეთო გავლენას მოახდენს კომერციაზე, რადგანაც ხმელთაშუა ზღვიდან სამეგრელოს სანაპიროზე ჩამოსული ხომალდები უკან დაბრუნებისას ამ საქონლით დაიტვირთებიან; ეს სიახლე ასევე სასარგებლო იქნება ევროპის კონტინენტის ყველა მანუფაქტურული ქვეყნისათვის, განსაკუთრებით - ქვემო და ზემო რაინზე მდებარე ქვეყნებისათვის: საზღვაო ომის შემთხვევაში, მათ შესაძლებლობა მიეცემათ, გერმანიის გავლით, ტრანზიტით შემოიტანონ ეს ნედლეული, რაც გაცილებით იაფი დაუჯდებათ, ვიდრე მისი შემოტანა ჩვენი ნავსადგურებიდან, სადაც ომიანობის დროს, ფრახტისა და დაზღვევის სიძვირის გამო, როგორც წესი, ხარჯები ასი პროცენტით იზრდება.

ხმელთაშუა ზღვის ნაპირზე მდებარე ქვეყნები მოკლებული არიან იმ უპირატესობას, რომლითაც სარგებლობენ ის ქვეყნები, რომლებიც თავიანთ პროდუქციას შავი ზღვის ნავსადგურებიდან აგზავნიან; ასე მაგალითად, როცა ჩვენი ჯარები ეგვიპტეს იკავებდნენ, ერთი წლის მანძილზე ინგლისელებმა შეძლეს იმგვარად ჰქონოდათ ჩაკეტილი ყველა გასასვლელი, რომ ჩვენი გენერლები და ჯარისკაცები ვერანაირი ცნობის მიღებას ვერ ახერხებდნენ საფრანგეთის ბედიღბლის შესახებ. სწორედ ამ უსიამოვნო გარემოებამ გაუჩინა ჯარისკაცებს სურვილი, დაეტოვებინათ ეს ქვეყანა, სადაც ისინი მთელი ევროპისაგან მოწყვეტილები აღმოჩნდნენ. ადვილი წარმოსადგენია, რა დაბრკოლება შეიძლება შეექმნას საფრანგეთის მრეწველობას იმ შემთხვევაში, თუკი ბამბის პროდუქტებით მომარაგების ძირითადი პუნქტი მისთვის ეგვიპტე იქნება: როგორც კი ინგლისი ომს გამოგვიცხადებს, საფრანგეთსა და ეგვიპტეს შორის კავშირი ხომ იმ დღესვე შეწყდება.

ეჭვი არ არის, რომ არაქსის ნაპირებისათვის დამახასიათებელი თბილი ჰავისა და ნაყოფიერი მიწების გამო, ამ მხარეში მშვენივრად იხარებს ინდიგო. აქ უკვე მოჰყავთ ბამბა და სხვა კულტურები, რომლებსაც იგივე ტემპერატურა ესაჭიროება, როგორიც ინდიგო. ეს უკანასკნელი იმითაც იქნება მომგებიანი, რომ მისგან მიღებული ნაწარმი კარგად გასაღდება სპარსეთსა და მთელ რუსეთში.

შაქრის ლერწამი მაზანდარანის[12] ადგილობრივი პროდუქციაა, რომელიც ყარაბაღთან შედარებით მხოლოდ სამი გრადუსით სამხრეთით მდებარეობს. საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ეს მცენარე ყარაბაღის პროვინციის მინდვრებშიც გაიხარებს; მას ყინვას მოარიდებენ ისევე, როგორც ლუიზიანაში[13], სადაც დაინახეს, რომ შაქრის ლერწამმა მხოლოდ მას შემდეგ გაიხარა, რაც სანტო-დომინგოს[14] კოლონისტებმა მის მოსაშენებლად, თავიანთი გამოცდილებიდან გამომდინარე, მიიღეს გადაწყვეტილება, რომ იგი ყოველ წელს ყინვების დადგომამდე მოეჭრათ.

შირვანსა და დაღესტანში მოჰყავთ სეზამი[15]. მისგან გამოხდილი ზეთი ხარისხით დიდად არ ჩამოუვარდება ზეითუნის ზეთს. მე დავუმატებდი, რომ თითქმის ყველგან ამ პროვინციებში ადვილი იქნება კორპის, მუხის, სამელნე გალის, ზეთისხილისა და და ფისტის[16] გაშენება.

მას შემდეგ, რაც მკითხველს გარკვეული ცნობები მივაწოდე ადგილობრივი სოფლის მეურნეობის ამჟამინდელი მდგომარეობისა და მისი განვითარების პერსპექტივების შესახებ, არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ამიერკავკასიის რუსულ პროვინციები, დაწყებული ქართლისა და იმერეთის გამყოფი მთებიდან კასპიის ზღვამდე, უკვე რამდენიმე წელია კალიებისაგან დიდად ზარალდება.

მე უკვე აღვნიშნე, რომ თუკი ეს მწერები არასოდეს შესევიან ძველი კოლხეთის ორ შემადგენელ სამეფოს - იმერეთსა და სამეგრელოს, ეს იმიტომ, რომ მათი შემოსევებისაგან ამ მხარეებს ჩრდილოეთით, აღმოსავლეთითა და სამხრეთით მაღალი მთები იცავს, დასავლეთით კი - ტყეები, რომლებიც თითქმის მთელ სამეგრელოს ფარავს.

კალიები, რომლებიც საქართველოს გლეხებს აჩანაგებენ, ხშირად ისეთივე ზომის არიან, როგორც კუტ-კალიები და სხეულის ერთი ნაწილი ვარდისფერი აქვთ. თითქმის ყოველთვის ისინი სამხრეთის ქარს მოჰყვებიან ხოლმე, რომელიც ხან აზერბაიჯანიდან, ხან კი ერევნის სახანოდან უბერავს. ეს კალიები ქმნიან უზარმაზარ ღრუბლებს და მათ მოახლოებას მოსახლეობა შიშით შეჰყურებს. ვაი იმ მინდორს, რომელსაც ისინი შეესევიან! რამდენიმე საათი საკმარისია, რათა ქერის, ხორბლისა თუ სიმინდის საუცხოო მოსავლიდან ნამცეციც აღარ დარჩეს. ასეთ დროს არც ვენახია დაცული განადგურებისაგან, თუმცა ეს მწერები მას ნაკლებად ეტანებიან.

როცა კალიები ერთ მინდორს გააჩანაგებენ, შემდეგ მეორეს შეესევიან, ხოლო თუკი დაუმუშავებელ ადგილზე მოხვდებიან, აფრინდებიან და მოშორებით სხვა ადგილს დააცხრებიან ხოლმე თავს. რამდენიმე წლის წინ კალიები საქართველოდან დაღესტანში გადასულან და კასპიის ზღვის გასწვრივ, ყიზლარისა და ასტრახანის მიმართულებით დონის ნაპირებამდე შესევიან მინდვრებს. 1820 წლიდან მოყოლებული, კალიების შემოსევას ისეთი გავლენა მოუხდენია ყირიმის

მოსავალზეც კი (უდავოდ, აქამდე მისაღწევად მათ შავი ზღვა უნდა გადაელახათ), რომ იქ დამკვიდრებულ გენუელ მიწათმოქმედთ გადაუწყვეტიათ, დაეტოვებინათ კალიებისაგან გავერანებული ეს მხარე; ახლა ისინი თურმე იმერეთში აპირებენ გადმოსახლებას მიწების დასამუშავებლად.

ჩვეულებრივ, კალიები მხოლოდ ივლისსა და აგვისტოში ჩნდებიან ხოლმე. 1822 და 1823 წლების ზამთარში, რომელიც საქართველოში საკმაოდ თბილი იყო, ამ გამანადგურებელ მწერთა ერთი ნაწილი აქვე დარჩენილა; გაზაფხულის დადგომისთანავე, როცა ისინი გამოცოცხლებულან, თუმცა ჯერ კიდევ საკმაოდ არ იყვნენ მოღონიერებულნი და არც მიწა არ იყო სათანადოდ დაფარული მცენარეულობით, გლეხებს მოუხერხებიათ ამ კალიების ერთ ადგილზე მოგროვება და მათი უდიდესი ნაწილის განადგურება.

მაგრამ მოკლე ხანში კალიების ახალი გუნდი გამოჩნდა და მათი ულმობელი კბილებისაგან მთლიანად განადგურდა ვეებერთელა დამუშავებული მინდვრები.

კალიების შემოსევების შესახებ ჩემ მიერ მოყვანილი ფაქტები დასტურდება ყველა იმ ქვეყნებში მიღებული დაკვირვებებით, რომელთაც ეს უბედურება ადრეც გადაუტანიათ და ახლაც იგივე საშიშროების წინაშე დგანან; მაგრამ დაახლოებით ხუთი წელია, რაც ამიერკავკასიის რუსულ პროვინციებში ისეთი რამ ხდება, რასაც ბუნებისმეტყველებმა ყურადღება უნდა მიაქციონ.

კალიებს კვალდაკვალ გუნდებად მოჰყვებიან ის ჩიტები, რომლებსაც ქართულად ტარბს[17] (Tarby) უწოდებენ. ეს უნდა იყოს Paradisea tristis, ბურბონის კუნძულზე გავრცელებული ჩიტი, რომელიც განგებას თითქოს კალიების გასანადგურებლად მოუვლენია. იგი სიდიდით მგალობელი ჩიტის ზომისაა, მერცხალივით სწრაფად და აღგზნებული დაფრინავს, ფრთები და ზურგი შავი ფერისა აქვს, მუცელი კი - მუქი ყვითელი.

როდესაც ამ ჩიტების გუნდები მოფრინავენ, მათი დანახვა ძალზე შორი მანძილიდანაც შეიძლება, თანაც ისმის ხმაც, რომელსაც ერთ ადგილზე შეყრილი მილიონობით ფრთის მოძრაობა გამოსცემს. როგორც წესი, ტარბი იმ იმ მინდვრის ახლოს ჩერდება, მიფრინავს, სადაც კალიებია; რამდენიმე საათს ჩიტები შეისვენებენ ხოლმე, შემდეგ კი მწერებს გუნდებად დაესხმებიან თავს. 1823 წლამდე ჩატარებული ყველა დაკვირვების შედეგად ადამიანები მივიდნენ ერთ დასკვნამდე: ტარბები კალიებს კი არ ჭამენ, არამედ იფარგლებიან იმით, რომ სპობენ მათ. ამ შეხედულებამ ხელი შეუწყო ცრურწმენის გავრცელებას, რომლის შესახებაც ქვემოთ მოგახსენებთ.

როცა ეს ფრინველები გააფთრებით იწყებენ კალიების განადგურებას, ეს უკანასკნელნი მათ ფრთებზე შეასხამენ ხოლმე სითხეს, რომელიც მწერების მთელ სხეულზე მიმოიქცევა. რამდენიმე ხანში ეს სითხე შედედებას იწყებს და ჩიტებს ფრენის საშუალებას აღარ აძლევს, ამიტომ ისინი დროდადრო მიატოვებენ ხოლმე ბრძოლის ველს, ჩაყვინთავენ კირუსში ან სხვა რომელიმე იქვე ახლოს მდებარე მდინარეში, მოიშორებენ სხეულიდან ამ ნივთიერებას, ფრთებსაც გაიშრობენ და მხოლოდ ამის შემდეგ განაახლებენ შეტევას კალიებზე.

ეგვიპტეში გველების გამანადგურებელმა ძენძერუკმა[18] ტაძრებში დაიმკვიდრა ადგილი. ჩვენ დროში ჰოლანდიაში, გერმანიასა და თვით საფრანგეთის მრავალ

ოლქშიც, ქვეწარმავალთა დაუძინებელი მტერი ყარყატი, მშობლის შვილისადმი სიყვარულის სიმბოლო, ასევე თაყვანისცემის ობიექტად იქცა: ჰოლანდიაში ამ ფრინველს ვინმემ თოფი რომ ესროლოს, სახალხო რისხვას ვერ გადაურჩება. დაბოლოს, მერცხალი, რომელიც თავის ბარტყებს ობობებითა და მწერებით კვებავს, ბედნიერების მომტან ფრინველად არის მიჩნეული და ყველგან, მათ შორის ადამიანისათვის უშუალოდ ახლო ადგილებშიც, შეუძლია მშვიდად აიშენოს ბუდე, რადგანაც მას გარანტირებულად არავინ ერჩის.

გასაკვირი არ არის, რომ ტარბი ასევე წმინდა ფრინველად არის მიჩნეული საქართველოში, სადაც მას ასეთი სარგებლობა მოაქვს. სომეხი და ბერძენი ქრისტიანები და თვით თათრებიც კი, დღეს დარწმუნებულნი არიან, რომ ტარბის მოსაზიდად იმ ოლქში, სადაც იგი სჭირდებათ, აუცილებელია ეჩმიაძინის გვერდით არსებული ჭიდან კოკით წყლის მოტანა. 1822 წლამდე ეჩმიაძინი სომხეთის პატრიარქის რეზიდენცია იყო, ახლა კი აქ მხოლოდ რამდენიმე ბერია დარჩენილი.

ეს წყალი ბერების მიერ არის ნაკურთხი; წყლის მომტანმა მთელი გზა ისე უნდა გამოიაროს, რომ კოკა მიწაზე არც ერთხელ არ დადგას, შესვენებისას იგი ხეზე ან კედელზე უნდა ჩამოკიდოს. დანიშნულების ადგილზე მიტანისას მღვდელი წყალს ხელახლა აკურთხებს და მხოლოდ ამის შემდეგ მოასხამენ მას მინდორზე, სადაც კალიებია შესეული. ადგილობრივი მკვიდრნი ირწმუნებიან, რომ წყლის მოსხურების შემდეგ საკმარისია ორი დღე-ღამე, რომ ტარბები გამოჩნდნენ. 1823 წელს ჩვენ გავხდით მოწმენი იმისა, თუ როგორ მიიღო არქიეპისკოპოსმა ნერსესმა ეს სასწაულმოქმედი წყალი და ტარბებმაც არ ააყოვნეს მოფრენა.

წინა წლებში ტარბები მხოლოდ მოკლე დროით გამოჩნდებოდნენ ხოლმე, ამ წელს კი ისინი ივნისის თვეში მოფრინდნენ და თავდაპირველად საავადმყოფოს გვერდით, მაღლობზე მოკალათდნენ. აქედან კი განუწყვეტლივ თავს აცხრებოდნენ მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე ქერისა და სიმინდის მინდვრებს, რომლებსაც კალიების გუნდი შესეოდა. ცოტა ხანში შეამჩნიეს, რომ ტარბები ხშირ-ხშირად დაფრინავდნენ ახალი ხიდის მშენებლობის შემდეგ დარჩენილ ნანგრევებსა და ქვების გროვებს შორის და მიხვდნენ, რომ მათ აქ ბუდეების აშენება სურდათ. ადმინისტრაციამ შორსმჭვრეტელობა გამოიჩინა და ბრძანა, სასწრაფოდ შეეწყვიტათ სამშენებლო სამუშაოები. მილიონობით ტარბმა კირით შედუღაბებულ ქვებს შორის არსებულ ღრუებში კენჭებითა და თივის ღეროებით ბუდეები გააშენა და კვერცხებიც დადო. როგორც კი ბარტყები გამოიჩეკნენ, ფრინველებმა მათ გამოკვებაზე დაიწყეს ზრუნვა და ყველა ხედავდა, მთელი დღის მანძილზე როგორ ესხმოდნენ ისინი გუნდ-გუნდად კალიებით სავსე მინდვრებს; თითოეულ ტარბს ნისკარტით მოჰქონდა ორი-სამი ცალი მწერი. ამით დადასტურდა სრული უსაფუძვლობა იმ აზრისა, თითქოს კალიების გადანადგურებით ტარბები არ სარგებლობდნენ.

მრავალი კვირის განმავლობაში ტარბები ჩვენს თვალწინ დაფრინავდნენ, მათ მოახლოებას ფრთების შრიალი გვამცნობდა; 18 ივლისს კი არც ერთი ტარბი არ გამოჩენილა და როგორც შევიტყვეთ, მათი უზარმაზარი გუნდები დილის ოთხი საათიდან ერთმანეთის მიყოლებით გაფრენილან სამხრეთის მიმართულებით.

მკითხველი მომიტევებს ამ გაჭიანურებულ თხრობას, მაგრამ აქ საქმე უბრალოდ საბუნებისმეტყველო საგანს კი არ შეეხება, არამედ ისეთ მოვლენას, რომელიც ალბათ ფრიად მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის მუშაკებისათვის. თავის ნაშრომში - „მოგზაურობა ეგვიპტეში“ ვოლნეის[19] დაახლოებით ისეთივე ფაქტები მოჰყავს კალიებზე და მათ გამანადგურებელ ფრინველებზე საუბრისას, როგორსაც მე საქართველოში ვაკვირდებოდი.

თავი X

თბილისიდან გამგზავრება. სოღანლუღი (Saganloug). დემურჩესალი (Demourtchesali). სალაგლი (Salagli). ასტაბეღლუ (Astabeglou). გაზანსონი (Gazanson). თაუზი (Tauz). ძეგამი. შამქორი. ელიზაბეტპოლი ანუ განჯა. ამ ქალაქისა და მისი მაზრის აღწერა.

1820 წლის 4 (16) სექტემბერს, შაბათს, ნაშუადღევის სამ საათზე თბილისიდან ბაქოში გავემგზავრეთ. ქალაქიდან გამოსვლისა და აბანოების ხიდის გავლის შემდეგ გარკვეული დრომ მტკვრის, ანუ კირუსის მარჯვენა ნაპირს მივყვებოდით. მისი კალაპოტი გვალვებისაგან იმდენად იყო დავიწროვებული და დაპატარავებული, რომ ამ პერიოდში იგი ნაკლებად იმსახურებდა დიდი მდინარის სახელს, რომელიც მას უკვე ჰქონდა დამკვიდრებული. მისი ორივე ნაპირი, დაახლოებით ასი ტუაზის სიგანისა, ალვის ხეებისა და ტირიფების ხეივნებით იყო დაფარული; მცენარეული საფარი მიწის იმ მონაკვეთზე ვრცელდებოდა, რომელიც ნაპირიდან გადმოსული წყლით ხშირ-ხშირად ირწყვებოდა. ამავე ადგილას შეინიშნება წვრილი ქვიშიანი ნიადაგი, სადაც ღვიისა და ტუიის (thuya) ერთ-ერთი სახეობაც ხარობს.

მტკვრის მარცხენა ნაპირზე, თბილისიდან რვა ვერსის დაშორებით, საკმაოდ შთამბეჭდავი ნანგრევები მოჩანს - სქელი კედლები და მათ შორის აღმართული კოშკი; მდინარის მარჯვენა მხარეს კი მეორე კოშკი და გალავნის ნანგრევებია. ეს ნაგებობები აქ ქალაქისა თუ ციხის არსებობაზე მიანიშნებენ; ისინი ერთმანეთს უკავშირდებოდნენ ხიდით, რომლის ნანგრევებიც მდინარის ორივე ნაპირზეა შემორჩენილი. უფრო მოშორებით, სიღრმეში, საკმაოდ მტკიცედ ნაგები ოთხკუთხა შენობაა ზემოდან წაწვეტებული გუმბათით, რაც უტყუარად ადასტურებს აქ სპარსული თუ თათრული აკლდამის არსებობას.

თორმეტი ვერსის გასავლელად ორსაათ-ნახევარი დაგვჭირდა: სწორედ ამ მანძილითაა დაშორებული თბილისი სოღანლუღიდან[1], სადაც ღამის გათევას ვაპირებდით. საგუშაგოზე ერთი პატარა, თიხით ნაგები და კირით შელესილი სახლი დგას; მისი ერთი ნაწილი კაზაკებს უჭირავთ, მეორე კი - უცხოელების დასაბინავებლად გამოიყენება. წნულით ნაგები თავლა ლერწმით არის გადახურული.

სოღანლუღი მტკვრიდან ასიოდე ნაბიჯზე, საკმაოდ ამაღლებულ და ჯანსაღ ადგილას მდებარეობს. აქედან დილის ექვს საათზე გავემგზავრეთ და გზა განვაგრძეთ მწირ დაბლობზე, რომელსაც სოღანლუღიდან ათი ვერსის მანძილზე გარს აკრავს არცთუ ისე მაღალი მთების ორი ქედი. სოღანლუღსა და

დემურჩესალის[2] შორის ოცდარვა ვერსს ანგარიშობენ. ამ მანძილის დაფარვას ხუთი საათი მოვანდომეთ; ვზოგავდით ჩვენს ცხენებს, რადგან ათი ვერსი უნდა გაგვევლო ისეთ ადგილებში, სადაც სრულებით არ იყო ფურაჟი.

დემურჩესალის საგუშაგოს შენობები სოღანლუღის შენობათა მოდელის მიხედვითაა ნაგები, ოღონდ უცხოელთათვის განკუთვნილი ბინის ნაწილი ბევრად უფრო მცირე ზომისაა და ნაკლებად კეთილმოწყობილი. აქ მხოლოდ რამდენიმე საათით შევისვენეთ და სალაგლიში[3] (Salagli) გავემგზავრეთ.

ამ მხარეშიც მიწა ასევე უნაყოფო და დაუმუშავებელი იყო. დემურჩესალიდან ათ ვერსზე მივადექით კრომის (Crome) ანუ ხრამის[4] (Khram) ნაპირებს. იგი ოდნავ მოშორებით ერთვის მტკვარს. მდინარე გადავლახეთ აგურისაგან ნაგები, საკმაოდ მყარი ხიდით[5], რომელიც ყველაზე ამაღლებულ ადგილას იყო აშენებული; (მხოლოდ ხიდის ქვაფენილი და პარაპეტი იყო ოდნავ დაზიანებული). ამ მივარდნილ ადგილებში შემორჩენილი ეს ძეგლი, რომელიც, როგორც ჩანს, მეტად ძველი უნდა იყოს, ნამდვილად იმსახურებს მოგზაურთა ყურადღებას. მისი ძირითადი თაღი ისრისებურია და საკმაოდ დახელოვნებული ოსტატის მიერაა აგებული. ხელმარჯვნივ, დასავლეთისაკენ, ხიდს სამი, ბევრად უფრო მცირე ზომის სხვა თაღი ამშვენებს, აღმოსავლეთით კი ეს თაღები ამოშენებულია და ისინი ფარავენ მიწისქვეშა კამარით გადახურულ, ოცდათხუთმეტი ნაბიჯი სიგრძისა და რვა ნაბიჯის სიგანის მქონე ადგილს. აქ ხიდის ბოლოში დატანებული კიბით ჩადიან. თუკი ყურადღებით დავაკვირდებით ამ თავისებურ კონსტრუქციას, ბევრგან შევამჩნევთ ჭვარტლის კვალს, რაც საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ამ მშვენიერი ნაგებობის მფლობელს ეს ნაწილი ქარვასლისათვის ჰქონდა განკუთვნილი. დიდი თაღის სვეტებში ძალზე მოხერხებულად იყო განლაგებული აგრეთვე ვაჭრების დასაბინავებელი სათავსოები.

აღმოსავლეთისაკენ, დაახლოებით ოთხასი ტუაზის დაშორებით, მეორე ხიდის ნანგრევებია. კოშკები, მყარად ნაგები კედლების ნაშთები და სხვა ნანგრევები, რომლებიც ძირითადად მდინარის მარცხენა ნაპირზე გვხვდება, წარსულში ამ ადგილას საკმაოდ მნიშვნელოვანი ქალაქის არსებობაზე მიანიშნებს; სავარაუდოდ, მისი მრავალრიცხოვანი, აქტიური მოსახლეობა ფართო ვაჭრობაში უნდა ყოფილიყო ჩაბმული, რაზეც მიუთითებს ის ფაქტი, რომ მეფეს, რომელიც იმ პერიოდში განაგებდა ქვეყანას, ერთმანეთთან ასე ახლოს აუგია ორი ხიდი. ამ ნანგრევების სიახლოვეს, გამოქვაბულებში, ზამთრობით თათრები ცხოვრობენ. მათ შეინარჩუნეს მომთაბარე ცხოვრების ზოგიერთი ტრადიცია: მაისის თვიდან ისინი თავიანთი ცოლ-შვილითა და ცხენების, ხარებისა და ცხვრის ფარების თანხლებით გაუდგებიან ხოლმე გზას მდინარის მარჯვენა მხარეს აღმართული მაღალი მთებისაკენ. აქ ისინი სექტემბრის ბოლომდე ცხოვრობენ კარვებში. ზოგიერთი მათგანი ჩვენი იქ ყოფნისას უკვე დაბრუნებული იყო. ზამთრობით ეს თათრები ქსოვენ ხალიჩებს, რომლებიც მაღალი დონის, დახვეწილი ხელოვნების ნიმუშებად შეიძლება მივიჩნიოთ. მრეწველობის ეს დარგი მათთვის მომგებიანია იმდენად, რამდენადაც იგი არაფრით არ არის დამოკიდებული უცხოურ ნედლეულზე: ცხვარი იძლევა მატყლს, მათი ცოლები რთავენ ძაფს, ხოლო ადგილობრივი მცენარეულობისაგან გამძლე და მბზვინვარე საღებავებს ამზადებენ.

მდინარე ხრამზე გადასვლის შემდეგ გზაჯვარედინს მივადექით: სამხრეთით ერევნისაკენ მიმავალი გზა იყო, სამხრეთ-აღმოსავლეთით კი - ბაქოს გზა. ჩემს მიერ ზემოთ აღწერილი ნანგრევებიდან სალაგლის საგუშაგომდე მხოლოდ თხუთმეტ ვერსს ანგარიშობენ. ჩვენ ეს მანძილი საათნახევარში გავიარეთ; გზა სავალად კარგი იყო, ნიადაგი კი - უნაყოფო.

პირველ ორ საგუშაგოსთან შედარებით სალაგლის მდებარეობა უკეთესია: ხელმარჯვნივ მშვენიერი ტყეა, სადაც მეტწილად ტირიფის, ვერხვისა და სხვადასხვა ჯიშის ალვის ხეებს ვხვდებით. მოშორებით ჩანს იარუსებად აღმართული მთების მასა სხვადასხვა ფორმის ბორცვებით, რომლებიც თითქმის ერთ სწორ ხაზზე არიან ჩამწკვრივებული და უამრავ ქედს ქმნიან. მწვერვალზე თოვლი არ იდო.

სალაგლის საგუშაგოს ბინა საკმაოდ კარგად იყო მოწყობილი. ღამე აქ გავათიეთ და ორშაბათს, 6 (18) სექტემბერს, დილის ექვს საათზე გავემგზავრეთ: გეზი ამ ადგილიდან თვრამეტი ვერსით დაშორებულ ასტაბეღლუსაკენ ავიღეთ. გზა ზოგან მთაგორიანი იყო, ზოგან კი - ტბორებით დასერილი. ეს მხარე თითქმის მთლიანად ქვიშიანია და, ჩვეულებრივ, უნაყოფო. მხოლოდ ალაგ-ალაგ შევნიშნეთ დამუშავებული ნაკვეთები, მაგრამ მოსავალი აქ იშვიათად თუ შეესაბამება მხვნელ-მთესველთა მიერ გაწეული შრომას ნაყოფს.

სალაგლის საგუშაგომდე გადავლახეთ საკმაოდ ფართო ხევის კალაპოტი, რომელიც ქვების სამი-ოთხი გოჯის სისქის მქონე ფენით იყო დაფარული. ამ დროისათვის ხევი დამშრალი იყო, ქარიშხლის დროს კი, როდესაც მთებიდან ელვის სისწრაფით მოედინება წყლის მასები, იგი მთლიანად ივსება და მაშინ აქ გავლა შეუძლებელი ხდება. მთელ ამ გზაზე მხოლოდ ერთი თათრული სოფელი შეგვხვდა.

გზის ამ მონაკვეთში, რომელიც ტრამალებისა და დაბლობების სიმრავლით გამოირჩეოდა, ხშირად ვხვდებოდით მრავალრიცხოვანი საქონლის ჯოგებსა და ცხენების რემებს; ვნახეთ რამდენიმე ცხენოსანი თათარიც, რომლებიც მთიდან ბარში მოერეკებოდნენ თავიანთი ნახირის ნაწილს. ისინი ძალზე თავაზიანად მოგვესალმნენ. ასტაბეღლუს საგუშაგოსაგან ოდნავ მოშორებით არის წყარო, რომლის წყალი მოედინება კენჭებიან კალაპოტში, მაგრამ სასმელად მაინც უვარგისია.

ასტაბეღლუდან გაზანსონამდე (Gazanson) თორმეტი ვერსია; ჩვენ ეს მანძილი ორ საათზე ნაკლებ დროში გავიარეთ: ზოგან გზა ოღროჩოღრო იყო და ამის გამო ბევრგან გაგვიჭირდა მაღლობზე ასვლა. ამ საგუშაგოდან ერთი ვერსის დაშორებით, სოფლის ახლოს, სასადილოდ შევჩერდით. სოფლის გარშემო მდებარე ვაკე ლერწმითა და უხარისხო ბალახით იყო დაფარული. ექვსი თათარი ბარგით დატვირთულ ოცამდე ხარს მოუძღოდა, ისინი ელიზაბეტპოლიდან ბრუნდებოდნენ.

ვიდრე საქართველო, განსაკუთრებით კი - იმერეთი და სამეგრელო არ იქნება უფრო მჭიდროდ დასახლებული და სოფლის მეურნეობა განვითარებული, ხარებით ბარგის გადაზიდვა ყველაზე ადვილად, მომგებიანად და მოსახერხებლად დარჩება.

მართლაც, ეს პირუტყვი უფრო ადვილად იტანს საკვების ნაკლებობას, ვიდრე ცხენი; მის გამოსაკვებად ტყეებისა და ტრამალების ყველაზე უხარისხო ბალახიც კი საკმარისია, ამასთანავე, იგი ეზიდება თითქმის ისეთივე სიმძიმის ტვირთს,

როგორც ცხენი, ანუ დაახლოებით 200-250 გირვანქას; მოითხოვს ბევრად ნაკლებ გამყოლს და წინასწარ ხარჯებს; დაბოლოს, თუკი რაიმე უბედური შემთხვევა მოხდება, თითქმის იმავე ფასშია შესაძლებელი ბაზარზე მისი გაყიდვა, რა ფასშიც იყო ნაყიდი.

ტვირთის გადასაზიდად შეიძლება ასევე კამეჩების გამოყენებაც, მაგრამ ეს პირუტყვი დიდ მეთვალყურეობას მოითხოვს. ისინი როგორც კი გუბეებსა და ჭუჭყიან წყალს დაინახავენ, ტვირთიანად ჩაეფლობიან შიგ და თუკი გუბე საკმარისი სიღრმისა აღმოჩნდა, მანამ არ ამოვლენ, ვიდრე არ იპოვნიან და ძალით არ ამოათრევენ ამ წუმპიდან. მხოლოდ დროდადრო ნახევრად ამოჰყოფენ ხოლმე წყლიდან თავს ჰაერის ჩასასუნთქად. ამიტომ არის, რომ იმერლები, ჩვეულებრივ, კამეჩებს მხოლოდ თავიანთ „არბაში“ (arabat - თათრული ურემი) შესაბმელად იყენებენ.

აქაური კამეჩი, როგორც ეს სავსებით სამართლიანად აღნიშნა ოლეარიუსმა, გამოირჩევა იმით, რომ იძლევა დიდი რაოდენობით რძეს, რომელიც ამავე დროს ძალზე ნოყიერია და ძროხის რძეზე სამჯერ მეტ ნაღებს შეიცავს. თავისი ბუნებით ეს პირუტყვი დიდად განსხვავდება ნეაპოლის სამეფოს[6] კამეჩისაგან: ეს უკანასკნელი ძნელად დასაოკებელია, ქართული კამეჩი კი გამოირჩევა თავისი გონიერებითა და ერთგულებით, რომელსაც იგი ამჟღავნებს მათ მიმართ, ვინც, ჩვეულებრივ, მას პატრონობს.

გაზანსონის საგუშაგოს დაახლოებით ასტაბეღლუს მსგავსი მდებარეობა აქვს. მის ახლოს რამდენიმე ხე ეულად დგას. ნაშუადღევის სამ საათზე ეს საგუშაგო დავტოვეთ და გავემართეთ თაუზისაკენ[7] (Taouz), რომელიც აქედან მხოლოდ თექვსმეტი ვერსის მანძილზეა.

გამოვედით თუ არა გაზანსონიდან, გადავლახეთ ხევი და ცოტა ხნის შემდეგ შევედით ერთ პატარა, საკმაოდ მჭკნარ ტყეში, სადაც ტირიფისა და ალვის ხეები ჭარბობდნენ. ტყე სიგრძით არა უმეტეს ერთ-ნახევარი ვერსია და ისეთი მეჩხერია, რომ ბევრგან თითქმის უერთდება იმ უზარმაზარ ხრიოკ დაბლობს, რომელიც მას გარს აკრავს და გზიდან ერთი თუ ორი ვერსის დაშორებით თვალუწვდენელ მანძილზეა გადაჭიმული. ოდნავ შემაღლებული მთების მწკრივი ამ გზას მარცხენა მხარეს ემიჯნება, მარჯვნივ კი, უფრო მოშორებით, ეს მთები თითქოს პარალელურ ხაზებად შეჯგუფულა ერთი მეორის მიყოლებით. დაბლობები და ხეობები უკიდურესად გვალვიანია; ახლა აქ კიდევ უფრო ხანგრძლივი გვალვა იყო, რადგან 1820 წელს მთელი ზაფხულის განმავლობაში სხვა წლებთან შედარებით ჩვეულებრივზე უფრო ძლიერი და ხანგრძლივი სიცხეები იდგა.

თავიანთ მიწის ნაკვეთებზე ძლიერი გვალვის ზემოქმედების შესამცირებლად თათრები მოხერხებულად იყენებდნენ დაგროვილ წყალს, მაგრამ მეორე მხრივ, ისინი სრულებით არ ითვალისწინებდნენ მგზავრების ინტერესებს: ხშირად მთავარი გზა სარწყავი არხებით იყო დასერილი, რაც ჩვენს „ბრიჩკას“ მუდმივად გადაბრუნების საფრთხეს უქმნიდა.

ამ უზარმაზარ დაბლობზე ხშირად შეგვხვედრია ერთად შეჯგუფული 15-20 ჯეირანი, რომლებიც ჩვენი მიახლოებისთანავე მოჰკურცხლავდნენ. ჯეირანი

ულამაზესი შველის ჯიშია, რომელიც ამ მხარეში განსაკუთრებულად არის გამორჩეული. იგი ტყეში არ ცხოვრობს.

ამ ველებზე თხუთმეტ-ნახევარი ვერსი გავიარეთ, რის შემდეგაც ქვა-ღორღით დაფარული ფართო ხევის კალაპოტისაკენ დავეშვით. ხევის გადალახვა საკმაოდ გაგვიძნელდა. მის ზემოთ მდებარე პლატოზე თაუზის კაზაკთა საგუშაგო იყო განთავსებული. სურსათ-სანოვაგე და ფურაჟი აქ ისე ჭირს, რომ ძლივს მოვახერხეთ მისი შოვნა სულ მცირე რაოდენობით და ისიც - მეტისმეტად მაღალ ფასებში.

სამშაბათს, 7 (19) სექტემბერს, დილის ექვს საათზე ძეგამის[8] კაზაკთა საგუშაგოსაკენ გავემართეთ. გზის ეს მონაკვეთი არაფრით გამოირჩეოდა: ეს იყო იმავე დაბლობის გაგრძელება, დროდადრო საკმაოდ ღრმა ხრამებით გადაკვეთილი და გამოთხრილი აბობოქრებული წყლების დინებისაგან, რომლებიც ქარიშხლიანი წვიმების შედეგად ჩამოედინებოდნენ ხელმარჯვნივ მდებარე მწვერვალებიდან.

ამ გზაზე შევნიშნეთ მთის ერთი ქედი, რომელიც იშვიათადაა ზუსტად მითითებული ჩვენს რუკებზე. იგი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ არის გადაჭიმული, ხოლო აღმოსავლეთისაკენ, თბილისიდან ელიზაბეტპოლამდე, ოდნავ დიაგონალურად მიემართება. მისი ერთი მხარე კავკასიონს უერთდება, მეორე კი ერთმანეთისაგან გამოჰყოფს განჯისა და ერევნის დაბლობებს. მისი სიგანე არათანაბარია - ერთიდან ექვსზე მეტ ვერსამდე. ტემპერატურა აქ ზომიერი და სასიამოვნოა, მიწა კი მარადმწვანე მცენარეულობით არის დაფარული; ამიტომაც არის, რომ თათრები აქ თავიანთ ნახირს მთელი ზაფხულის მანძილზე აძოვებენ.

ამ უკაცრიელ ველ-მინდორზე განუწყვეტლივ ვაწყდებოდით ჯეირნების უზარმაზარ ჯოგებს. ამ საოცრად უწყინარ ცხოველებზე ნადირობის წესი მეტად უცნაურია და მხოლოდ თითო-ოროლა მოუსვენარი სომეხი მონადირე თუ ახერხებს ამ წესით წარმატებულ ნადირობას: ხარის ტყავებში გამოხვეული მონადირეები ხელფეხით ერთდროულად სიარულში ვარჯიშობენ და ასეთ მდგომარეობაში თოფის სასროლ მანძილზე უახლოვდებიან ჯოგს.

ძეგამის საგუშაგო (ისევე, როგორც დანარჩენი საგუშაგოები, სადაც ჩვენ მოგვიწია ყოფნა) ოდნავ შემაღლებულ პლატოზეა განთავსებული. აქვეა წყაროც, რომელიც ძლიერი წვიმის დროს ნამდვილ ნიაღვარად იქცევა ხოლმე. თაუზიდან ძეგამამდე 17 ვერსის გავლას ორსაათ-ნახევარი მოვანდომეთ, ხოლო შამქორში[9] ჩასასვლელად, რომელიც აქედან ოცდარვა ვერსზეა, სამი საათი დაგვჭირდა.

ძეგამიდან გამოსვლის შემდეგ საკმაოდ მეჩხერ ტყეში შევედით, სადაც მხოლოდ ხშირი ბუჩქნარი ჭარბობდა. დროდადრო დამუშავებული მინდვრებსაც ვხვდებოდით, რაზეც მათ მოსარწყავად თათრების მიერ ამოთხრილი ორმოები მიგვანიშნებდა.

ძეგამის საგუშაგოდან დაახლოებით 5 ვერსზე უკვე შამქორის კოლონა ჩანს. იგი ციხის გალავნის გარეთ დგას და ღირსშესანიშნავია იმით, რომ ოსტატურად არის ნაგები და სიმყარით გამოირჩევა. მისი შედარება შეიძლება ტრაიანეს კოლონასთან[10], რომელიც რომშია აღმართული. შამქორის კოლონა უაღრესად სწორი წყობისა და ერთმანეთთან პერპენდიკულარულად განლაგებული წითელი აგურებით არის ნაგები. საძირკველი კვადრატული ფორმისაა და მისი თითოეული

გვერდის სიგანე თხუთმეტი ფუტია, სიმაღლე კი - თორმეტი. ამ საძირკველზე აღმართულია დაახლოებით თორმეტფუტიანი დიამეტრის მქონე კოლონა, რომლის სიმაღლე ას ოთხმოც ფუტამდე იქნება. იგი აღჭურვილია საკმაოდ ფართო, ორმაგი სპირალური კიბით, რომელზეც ერთდროულად ორ კაცს თავისუფლად შეუძლია გავლა, თუმცა დღეისათვის იგი იმდენად არის დაზიანებული, რომ აქ ასვლა ძალზე სახიფათოა. კიბე შედიოდა გალერეაში, რომელიც გარედან ირგვლივ მიუყვებოდა კოლონას და მისი ზედა ნაწილიდან ორმოცი ფუტის სიმაღლეზე იყო. სავარაუდოდ, ეს ძეგლი ძველად სათვალთვალო პუნქტად გამოიყენებოდა, შემდგომში კი მოლები აქედან მუსლიმებს უხმობდნენ სალოცავად.

კოლონა უძველეს ხანაშია აგებული და მას მაკედონიის მეფეს - ალექსანდრეს უკავშირებენ. მის ირგვლივ ყველგან მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ნანგრევებია, ხოლო დამშრალ ხევზე, რომელიც ციხიდან ელიზაბეტპოლისაკენ მიმავალ გზაზეა, ქვის მშვენიერი ხიდის ნანგრევებია შემორჩენილი. როგორც ჩანს, ოდესღაც ამ ადგილას მდიდარი, მშრომელი და ძლევამოსილი ხალხი ცხოვრობდა, დღეს კი იგი დაფარულია ნანგრევებით, სადაც მხოლოდ ზამთრობით თუ დაეხეტებიან მომთაბარე თათრები.

საგუშაგოზე არსებული ყველაზე საუკეთესო სადგომი უკვე დაეკავებინა ერთ სომეხს, რომელიც ჩამოსული იყო ექვსი მსახურით, ცხენებითა და საქონლით. მან თავაზიანად დაგვითმო თავისი სათავსო, მაგრამ ჩვენ ვიუარეთ და დავკმაყოფილდით ერთი პატარა ოთახით, სადაც ძლივს მოხერხდა ჩვენი ლეიბების გაშლა. ოთხშაბათს, 9-ში, დილის შვიდ საათზე დავტოვეთ ეს პუნქტი და გავემგზავრეთ ელიზაბეტპოლში, რომელიც აქედან 25 ვერსით არის დაშორებული. ამ მხარეში დაახლოებით შუა გზამდე ისეთივე ბუნება იყო და ნიადაგიც ისევე მწირი, როგორც იმ ადგილებში, სადაც რამდენიმე დღის განმავლობაში მოგვიწია მგზავრობა; მაგრამ როგორც კი მივუახლოვდით ელიზაბეტპოლს, მაშინვე მოვიხიბლეთ მშვენიერი ხეებით, რომლებიც ძველი განჯის ჯერ კიდევ შემორჩენილი ნანგრევების ირგვლივ ხარობდნენ. როდესაც ეს ქალაქი გენერალმა ციციანოვმა დაიმორჩილა, სახელი შეუცვალა და ალექსანდრეს თანამეცხედრე დედოფლის პატივსაცემად მას ელიზაბეტპოლი უწოდა. იმჟამად განჯის მბრძანებელი ბრწყინვალე ტიტულით ხანთა ხანად (kan des kans) იწოდებოდა, ალბათ, თავისი სუზერენის - სპარსეთის ხელმწიფის მიბაძვით, რომელიც მეფეთ მეფედ (შაჰანშაჰად) (roi des rois) მოიხსენიებოდა.[31]

1801 წელს, როდესაც რუსეთის იმპერატორმა საქართველო შეიერთა და წარმოშობით ქართველი ციციანოვი ამიერკავკასიის პროვინციების გენერალ-

---

[31] სპარსეთის თანამედროვე დაყოფა სახანოებად მოგვაგონებს ამ მონარქიის დანაწევრებას უძველეს ხანაში, როდესაც ჰეროდოტეს დროიდან აქ ოცი სატრაპია არსებობდა. ამ სხვადასხვა სატრაპიებიდან მიღებული შემოსავალი, ანუ გადასახადი, 14,560 ეუბეს[11] (Eubee) (ბერძნ. კუნძული) ტალანტს აღწევდა, რაც სწავლულ დოქტორ არბუტნოტის (Arbutnot) დაანგარიშებით, 2,807,417 გირვანქა სტერლინგს უტოლდება. რობერტსონი ამ თანხას მცირედად არ მიიჩნევდა, თუმცა არ იცოდა, რომ ეს სატრაპიები, ისე როგორც ჩვენი დროის ხანები, სუზერენს თავიანთი შემოსავლის მხოლოდ მცირეოდენ ნაწილს აძლევდნენ.

გუბერნატორად დანიშნა, ამ უკანასკნელმა მოინდომა ახლომდებარე სახანოებზე აღედგინა ძველი ქართველი მეფეების უფლებები. განჯის ხანმა უარი განაცხადა, ეცნო რუსეთის სუზერენობა, რის გამოც ციციანოვმა მის სატახტო ქალაქზე გაილაშქრა. განჯის ხანი, რომელიც უკვე დიდი ხანია მემკვიდრეობით ფლობდა სახანოს, ცდილობდა ყველანაირი საშუალებით შეენარჩუნებინა დამოუკიდებლობა, ამიტომ მან შესთავაზა რუსეთის ხელისუფლებას, რომ ძალაუფლებას მხოლოდ ერთადერთი პირობით დათმობდა: შეენარჩუნებინათ მისთვის ციხე, რომელშიც იგი იყო შეხიზნული; მაგრამ მის ყველა მოთხოვნას უარით უპასუხეს. მაშინ მან ერთადერთი დარჩენილი გზა - თავდაცვა აირჩია. ამ მხრივ მას გარკვეული წარმატების იმედი ჰქონდა, რადგან თურქების მიერ მეტად მყარად ნაგები ციხე კარგადაც იყო შეიარაღებული. ხანი ერთი წუთითაც არ ჩერდებოდა და არ შორდებოდა ციხეს, მის ყოველ კუთხე-კუნჭულს აკონტროლებდა: ხან ხელოსნებს ავალებდა, შეეკეთებინათ გამონგრეული ადგილები, ხან თავისი ხელით ტენიდა ქვემეხს ორმოცდაორ გირვანქიანი ყუმბარით (ეს ქვემეხი დღესაც ამ ადგილას დგას) და რუსულ ბატალიონებს უმიზნებდა; მაგრამ ყველაფერი ამაო გამოდგა; საბოლოოდ იგი იძულებული გახდა, დამორჩილებოდა მრავალრიცხოვან რუსულ ჯარს. რუსებმა განჯის ციხე აიღეს, ხანი კი მოკლეს ზუსტად იმ ქვემეხზე, რომელსაც იგი მათ უმიზნებდა. ხმლის პირველი დარტყმა მან გენერალ ლისანევიჩისაგან[12] (Liesanevitch) მიიღო, რომელიც მაშინ პოლკოვნიკის ჩინს ატარებდა: ბრძოლის ქარცეცხლში მან შეწყალებაზე უარი განუცხადა ხანს და თავისივე თანმხლებ ჯარისკაცებს უბრძანა დაესრულებინათ დაწყებული საქმე.[13]

განჯის ხანი ცნობილი იყო თავისი სიმამაცით, მაგრამ ამავე დროს, ხასიათის სიმტკიცითა და სისასტიკითაც გამოირჩეოდა: სრულიად უმნიშვნელო დანაშაულისათვის იგი ვინაობის განურჩევლად სჯიდა ბრალეულს, საკუთარ ვაჟიშვილებსაც კი არ ინდობდა და თუკი ისინი უკადრის საქციელს ჩაიდენდნენ, მამის სასჯელს ვერსად გაექცეოდნენ. თავის ციხეში ხანმა გამაგრებული ციტადელი ააგო, სადაც თავს აფარებდა ხოლმე, როცა მისი მმართველობით უკმაყოფილო ხალხი ამბოხებებს აწყობდა, ასეთი რამ კი ხშირად ხდებოდა; რადგანაც ის უმკაცრესი სამართლებრივი მოთხოვნები, რასაც საკუთარ ქვეშევრდომებს აკისრებდა, მასზე სულაც არ ვრცელდებოდა; უსაზღვრო სიხარბით შეპყრობილი, იგი ყველა შესაძლო გადასახადით ბეგრავდა საკუთარ ხალხს; უზარმაზარი გადასახადი იყო დაწესებული ღვინოზე, არაყზე, ყველანაირ სასმელზე, ხორცსა და სხვა სურსათზე, ერთი სიტყვით, - სოფლის მეურნეობისა თუ მრეწველობის ყველა პროდუქტზე. ერთ ფუთ აბრეშუმზე იხდიდნენ 2 მანეთს ვერცხლით, ანუ 10 აბაზს. ჯერ-ჯერობით რუსეთს ამ მხარეების მართვა-გამგეობაში არაფერი შეუცვლია, რის გამოც ძველი სუზერენის დროს შევიწროვებული აქაური მოსახლეობა ახლაც გაცილებით უფრო მძიმედ არის დაბეგრილი, ვიდრე რუსები. განჯის ხანის ქვეშევრდომები, მათი ცოლები და ქალიშვილები ხანის საკუთრებად ითვლებოდნენ; თუკი რომელიმე ქალი მოეწონებოდა, ბრძანებას გასცემდა და დაუყოვნებლივ მოგვრიდნენ, უარის თქმა დაუშვებელი იყო. თავის ჰარამხანაში ხანს ოთხი კანონიერი ცოლი და ოცამდე მხევალი ჰყავდა.

როცა რუსებმა ციხე აიღეს, აქ აურაცხელი სიმდიდრე აღმოაჩინეს, რომლის ერთი ნაწილი მიიტაცეს, მეორე, გაცილებით დიდი ნაწილით კი ჯარებისათვის დაგვიანებული ხელფასები გადაიხადეს. თუმცა, ადგილობრივებს სჯეროდათ, რომ ხანმა წინასწარვე იცოდა რუსების შეტევის შესახებ და თავისი განძის უდიდესი ნაწილი მიწაში ჩაფლო, რასაც შემდეგნაირად ასაბუთებდნენ: შეტევის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე ხანს მუდმივად შეჰყავდა ციხეში მუშები მიწის ამოსათხრელად, ხოლო რადგანაც ეს მუშები ციხიდან გამოსული აღარავის უნახავს, სავსებით ნათელი იყო, რომ ისინი ხანის წინდახედულ სიფრთხილეს შეეწირნენ. მისი ორი ვაჟი, რომლებიც მაშინ რუსებმა დაატყვევეს, დღეს სპარსეთში არიან გადახვეწილნი. მათ სავარაუდოდ იციან ამ განძის საიდუმლო ადგილსამყოფელი, თუკი ის მართლაც არსებობდა.

განჯის ხანს ქალაქში სხვა სასახლეებიც ჰქონდა; ციხიდან ერთი ვერსის დაშორებით კი, განჯის პატარა მდინარის გაყოლებაზე, საუცხოო პარკი და ბაღები ჰქონდა გაშენებული, სადაც იგი მთელ ზაფხულს თავის ცოლებთან ერთად ატარებდა.

დღეს ხანის ყოფილ სასახლეში მოწყობილია საავადმყოფო, სადაც დაავადებულებს დიდი მზრუნველობით ეპყრობიან, რაც ამავე შენობაში არაერთხელ მომხდარი ბარბაროსული ქმედებების სრულიად საპირისპიროა. ამ ბარბაროსობაზე შეიძლება ქვემოთ მოყვანილი მაგალითით ვიმსჯელოთ: ჭადრების ულამაზესი ხეივნის ბოლოს აღმართულია საკმაოდ მოზრდილი მეჩეთი, რომლის თათარი დარაჯი იმავდროულად მოლასაც ეხმარება ღვთისმსახურებისას. იგი ცალი თვალით ბრმაა და ამ უბედურების მიზეზის შესახებ ჩვენმა თანმხლებმა გვიამბო: ეს დარაჯი ადრე ხანის სასახლის ერთ-ერთი მსახური - მთავარი ზედამხედველი ყოფილა. აღმოსავლურ სასახლეებში დამკვიდრებული წესების თანახმად, ეზოებში გავლისას მსახური თავდახრილი და გულხელდაკრეფილი უნდა ყოფილიყო. ერთ დღესაც ამ უბედურს, თავისი დაუდევრობით, შენობისკენ აუხედავს და ხანი და მისი ერთ-ერთი ცოლი დაუნახავს. ხანს მსახური თავისთან მოუხმია და მკაცრად უკითხავს, რომელი თვალით შეხედე ჩემს ცოლსო; საბრალო თათარსაც უთქვამს - მარჯვენა თვალითო; ხანსაც დაუყოვნებლივ ამოუთხრია მისთვის ეს თვალი, თუმცა ამას სრულებითაც არ შეუშლია ხელი იმისთვის, რომ ამ თათარს კვლავაც ერთგულად გაეგრძელებინა ინტენდანტის მოვალეობის შესრულება სასახლეში. ხანის სიკვდილის შემდეგ, განჯის ალყის შედეგად ხანის სასახლეები განადგურდა, ისიც უსამსახუროდ დარჩა, მაგრამ დღეს ბედნიერია იმით, რომ როგორც მოლას დამხმარეს და მეჩეთის დარაჯს, ეძლევა საარსებო თანხა - დაახლოებით 200 მანეთი ვერცხლით (800 ფრ.).

დამატებით უნდა ითქვას, რომ, აზია მუდამ ისეთი რეგიონი იყო, სადაც ადამიანები უკიდურესი გაჭირვებიდან უსწრაფესად აღწევდნენ უმაღლეს კეთილდღეობას და პირიქით, - ამაღლებული მდგომარეობიდან უცაბედად უდიდეს გაჭირვებაში ვარდებოდნენ. აქ უფრო მეტია პრიამოსის და ჰეკუბას[14] ბედის გამზიარებელი, ვიდრე ევროპაში, სადაც უდავოდ ბევრმა გამოიარა დიდი ჭირ-

ვარამი, მაგრამ ასეთი ხალხი იქ გაცილებით ნაკლებია, ვიდრე აზიაში, განსაკუთრებით კი სპარსეთში, სადაც ესოდენ ხშირია მსგავსი შემთხვევები.[32]

ამ მხარეში გაბატონებული საშინელი დესპოტიზმისაგან თავის დასაღწევად ა.წ. (1820 წ.) მაისის თვეში შვიდი ათასი სპარსული ოჯახი მუსტაფა ალი ხანის (Mustapha-Ali-Kan) წინამძღოლობით ყარაბაღის საზღვრებს მოადგა და მთავარმართებელს თავშესაფარი და მიწები სთხოვა. თავდაპირველად განჯის პროვინციაში გადაწყვიტეს ამ ხალხის დასახლება, მაგრამ რადგან აქ მიწები არც საკმარისი რაოდენობით იყო და არც იმდენად ნაყოფიერი, რომ მოსახლეობის ეს ნამატი გამოეკვება, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ეს ხალხი ისევ ყარაბაღში დატოვეს.

განჯის ხედი საოცარ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე: ერთმანეთთან შერეული ნანგრევებითა და მყარად ნაგები შენობებით, რომელთაგანაც ზოგიერთს მდიდრული მორთულობა ამშვენებს. თითქმის ყველა სახლი ოთხკუთხა ქვის ფორმით აზელილი თიხით არის ნაგები. ეს არის ნამდვილი პიზი(Pisy)[15], მაგრამ არა ახალგამოგონილი, არამედ ძველი დროიდან შემორჩენილი, რომელიც საუკუნეებს უძლებს ისეთ კლიმატურ პირობებში, სადაც იშვიათად წვიმს. შენობებისა და ნანგრევების ირგვლივ ჩამწკრივებულ ხეებს შორის გიგანტური ზომის ჭადრები გამოირჩევა. ვარაუდობენ, რომ განჯის სახლების ორ მესამედზე მეტი სპარსელთა მრავალრიცხოვანი შემოსევების შედეგად განადგურდა, ძველი დროიდან შემორჩენილი საუკეთესო ბაღები კი მთავრობის ხელში გადავიდა.

განჯის მაზრა მთლიანად ასი ვერსის სიგრძისაა, სიგანე კი ოთხმოც ვერსამდეა (ოცდახუთი ლიე ოცზე, ანუ ხუთასი კვადრატული ლიე). მოსახლეობის რაოდენობა ოცდახუთი ათასია, აქედან თორმეტი ათასი მარტო ელიზაბეტპოლში ცხოვრობს, საერთო ჯამში კი, კვადრატულ ლიეზე ორმოცდაათი მოსახლე მოდის. სოფლების რაოდენობაზე თუ გადავანაწილებთ, ეს რიცხვი ოცდარვას არ აღემატება.

ასეთ ნაყოფიერ მხარეში მოსახლეობის ამგვარი სიმწირე მისი სპარსეთსა და საქართველოს შორის მდებარეობით აიხსნება, რის გამოც მათ შორის წარმოებული ბრძოლების მუდმივ ასპარეზად და ძარცვის ობიექტად იყო ქცეული. გარდა ამისა, მოსახლეობის სიმცირის მიზეზი გახლდათ აზიის ხალხთა ჩვეულება - დაპყრობილი ქვეყნებიდან ტყვეების გაყვანა; დაბოლოს, - აღმოსავლური დესპოტიზმი თავისი შეუწყნარებლობით და მუსლიმური ფანატიზმით.

განჯის თითქმის ყველა საჯარო ნაგებობა დანგრეულია. ქვის ხიდი, რომელიც ახლანდელი ხიდის ოდნავ მოშორებით იყო და რომლის რამდენიმე თაღი ჯერ კიდევ

---

[32] ზემოთ მე ვისაუბრე, თუ როგორ დასაჯა განჯის ხანმა თათარი ინტენდანტი; ამგვარი სისასტიკე სულაც არ არის გასაკვირი ისეთ ქვეყანაში, სადაც თვალის ამოთხრა ხშირად შეწყალებას ნიშნავს, რამდენადაც იგი სიკვდილით დასჯას ცვლის. როდესაც სპარსეთის პირველი შაჰი იმ საგვარეულოდან, რომელიც ამჟამადაც ზეობს, - საჭურისი აღა მაჰმად ხანი მაზანდარანში შეიჭრა, ერთ-ერთმა მისმა მხედართმთავარმა იერიშით აიღო ქალაქი, რომელსაც უწინდელი დინასტიის ერთგული მომხრეები იცავდნენ. როდესაც შაჰს თავდაპირველმა მძვინვარებამ გადაუარა, მხედართმთავარი ქალაქის მეთაურებს დაპირდა, რომ შაჰისაგან მოსახლეობის შეწყნარებას ითხოვდა, მაგრამ მრისხანე შაჰმა მხოლოდ მას შემდეგ განაცხადა თანხმობა, რაც ათი გირვანქის წონის ადამიანის თვალი მიართვეს.

შემორჩენილია, ჩანაცვლებულია ხის უვარგისი ხიდით. განადგურებას გადაურჩა მხოლოდ ქარვასლა და ქვით ნაგები ბაზარი, სადაც უამრავი ვაჭარი იყრის თავს. როცა ჩვენ ამ ადგილებში გავიარეთ, ბაზრებში იყო ცოტა აბრეშუმის ნართი, შეღებილი აბრეშუმი სპარსული და შიდა რუსეთის საქონელი.

ადგილობრივი ბუნებრივი პროდუქციის ნაწილით განჯის ოლქს თავისუფლად შეუძლია დიდ ვაჭრობაში ჩაებას. ძირითადი პროდუქტი აბრეშუმია, რომლის მოსავალიც წლიურად, სულ ცოტა, ათას ფუთს ანუ ორმოცი ათას რუსულ გირვანქას შეადგენს. აქაური აბრეშუმი სამი ხარისხისაა: პირველის ღირებულებაა 90 მანეთი ვერცხლით (360 ფრ. 1 ფუთი), მეორისა - 75 მანეთი, მესამისა კი - 60.

როგორც წესი, სომეხი ვაჭრები უშუალოდ გლეხებისაგან ყიდულობენ მათ მიერვე მოყვანილ აბრეშუმს, უხდიან მათ ბეს და საქონელს იაფად იგდებენ ხელში; თუმცა, ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ამგვარი გარიგებით ვაჭრები ავანსის ტოლფას თანხასაც ველარ იღებენ.

იგივე ვაჭრები დიდი რაოდენობით აბრეშუმს შოულობენ აგრეთვე ნუხის სახანოში, რომელიც ყარაბაღსა და იმ მთებს შორის მდებარეობს, სადაც ლეკები ცხოვრობენ. ვწუხვარ, რომ ვერ შევძელი ჩასვლა ნუხის პროვინციაში, სადაც მიწა დიდი ნაყოფიერებით გამოირჩევა, ხოლო მოსახლეობა (თითქმის მთლიანად სომხური) მრეწველობაშია ჩაბმული. ნუხის ბოლო ხანი ამ ექვსი თვის წინ გარდაიცვალა და სახანო მემკვიდრეობით გადაეცა რუსეთს, რომელიც აქედან შემოსავლის სახით იღებს 800,000 მანეთზე მეტს ასიგნაციით.

ერთი წლის წინ ახალი გზის გაყვანა დაიწყეს. იგი თბილისიდან გადაკვეთს კახეთს, გაივლის ნუხას, აქედან კი ორი განშტოებით გაემართება დერბენდისა და ბაქოსაკენ. კომუნიკაციისთვის ეს უმნიშვნელოვანესია. ახალი გზა ერთ მესამედზე მეტით შეამცირებს ახლანდელ მანძილს და ამ მშვენიერ მხარეებსაც გამოაცოცხლებს.

განჯის ოლქის ბამბა ერევნის ბამბასთან შედარებით უფრო დაბალი ხარისხისაა, მაგრამ ბევრად უფრო ძვირი ღირს იმის გამო, რომ იგი ადგილობრივად მოიხმარება და მისგან ამზადებენ უხეშ ტილოს. აქ შეიძლება აგრეთვე ცვილის, თაფლის, ენდროსა და ხარ-კამეჩის ტყავის შოვნაც; მოჰყავთ სხვადასხვა ჯიშის მსხვილმარცვლიანი ყურძენი რომლისგანაც მშვენიერ ღვინოს აყენებენ და აქვე იაფად ყიდიან.

თბილისის სომეხმა არქიეპისკოპოსმა ნერსესმა რეკომენდაცია გამიწია განჯის არქიმანდრიტთან. ამ კეთილმა მღვდელმა შემოგვთავაზა მასპინძლობა და ჩვენც დავთანხმდით. მან გამოგვიყო ერთი დიდი ოთახი, რომლის სიგრძეც 25 ფუტი იყო, სიგანე კი - 12. დიდი ოსტატობით დამუშავებული ცაცხვის პანელი, რომელიც ამ მხარეში ფუფუნების საგანს წარმოადგენს, მთელ ჭერს ფარავდა; იგი კარგად იყო გაპრიალებული და ურთხელის ჩარჩოთი გარშემოვლებული; რკალის ფორმის ფორმის ფანჯრები მხოლოდ დღის დარაბებით იხურებოდა.

ელიზაბეტპოლის მაზრის უფროსს, ბ-ნ პოლკოვნიკ პონომარიოვს[16] (Panamaroff), რომელთანაც სარეკომენდაციო წერილები გვქონდა, დიდი ხნის განმავლობაში საკმაოდ მნიშვნელოვანი თანამდებობები ეკავა ყუბაში; ამ ბოლო დროს კი იგი მცირე ხნით თან ახლდა ბ-ნ პოლკოვნიკ მურავიოვს[17] ხივაში

მოგზაურობისას. დასანანია, რომ ჩვენი ჩასვლის მეორე დღეს იგი ელიზაბეტპოლიდან გაემგზავრა, რის გამოც ვეღარ მოვისმინეთ მისი საინტერესო საუბარი ამ, ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობი, მხარეების შესახებ. თუმცა ზოგი რამ განჯის ძველი სახანოს შესახებ ჩვენ მაინც მისი წყალობით შევიტყვეთ.

ელიზაბეტპოლიდან ოცდაათ ვერსზე კაშკარჩაის[18] (Cachekara) ნაპირზე არის მთა ასკეშანი (Askechan), სადაც რკინისა და მაგნიტის საბადოებია. ერთი ცენტნერი რკინის მინერალი 75-დან 80 გირვანქამდე თუჯს იძლევა.

ამავე ოლქში სოფელ აშენიშამპკთან (Achenichampk) –ის ახლოს კიდევ ერთი, საკმაოდ მდარე ხარისხის რკინის საბადოა, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ამუშავებს. სოფლიდან ათ ვერსზე მაღალი მთაა, სადაც საუკეთესო შაბის საბადოა; აქ მოპოვებული შაბი ისეთივე კარგი ხარისხისაა, როგორიც რომაული. სოფელ ზაკლიკის (Zaclique) მახლობლად მდებარე ამ საბადოს მოიჯარადრეები ამუშავებენ და მთავრობას ყოვლწლიურად უხდიან 7500 მანეთს ვერცხლით (30,000 ფრ.). მათ დაქირავებული ჰყავთ ორმოცდაათამდე ყმის ოჯახი, რომლებიც მაღაროში მხოლოდ შემოდგომობით მუშაობენ, წლის დანარჩენ დროს კი მიწას ამუშავებენ. მოჯარადრეებს უფლება არა აქვთ, ერთი ფუთი შაბი 4 მანეთზე (ვერცხლით, ანუ 15 ფრ.) უფრო ძვირად გაყიდონ, რაც შესაბამისად ერთ ცენტნერში 48 ფრანკს უტოლდება.

თათრებთან მოლაპარაკების საფუძველზე, ელიზაბეტპოლიდან ბაქოში ერთი ცენტნერი შაბის გადაზიდვა მოიჯარადრეებს მხოლოდ 27 კაპიკი (ვერცხლით) უჯდებათ, ხოლო თბილისამდე (მიუხედავად იმისა, რომ იგი უფრო ახლოსაა) ისინი 25 კაპიკს (1 ფრ.), ანუ - 1 ცენტნერში 3 ფრანკს იხდიან.

ამ ცნობების მოტანა საჭიროდ ჩავთვალე, რადგან, ვფიქრობ, ვაჭრობასთან მიმართებაში ისინი გარკვეულ ინტერესს იმსახურებენ. ზემოთ ორიოდე სიტყვით მოგახსენეთ განჯის ძველი ხანების მიერ დაწესებული სხვადასხვა სახის გადასახადების შესახებ; მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია გადასახადი ყინულზე, რაც პირველადი მოთხოვნილების საგანია ამ მხარეში, სადაც პაპანაქება სიცხეები იცის. ამ გადასახადი აკრეფა, ისე როგორც ყველა სხვა სახის გადასახადი, იჯარით იყო გაცემული.

ელიზაბეტპოლიდან 5 ვერსზე უზარმაზარი ნანგრევებია; ეს არის ცემენტით შედუღაბებული ქვისა და აგურის მასალის ნარჩენები. ამ ოლქში ვხვდებით ძველი ქალაქების ნანგრევებსაც, რომელთა მშენებლობას, როგორც წესი, ალექსანდრე დიდს მიაწერენ. ვინც არ უნდა იყოს მათი დამაარსებელი და როგორიც არ უნდა იყოს მათი წარმოშობა, ერთი რამ ცხადია: იმ დროს, როდესაც ეს ქალაქები და ძეგლები არსებობდა, ეს მხარე მჭიდროდ უნდა ყოფილიყო დასახლებული და სოფლის მეურნეობა, მრეწველობა და ვაჭრობა აქაური მოსახლეობის ძირითადი საარსებო წყარო იქნებოდა. დროდადრო ამ ნანგრევებში პოულობენ მიდიურ, პართულ, სპარსულ, ბერძნულ და რომაულ მონეტებს.

განჯაში, რომელიც ერთ დროს სპარსეთის ნაწილს შეადგენდა და ახლაც მჭიდროდ არის მასთან დაკავშირებული, ყველანაირი ზნე-ჩვეულება, საოჯახო ინვენტარი თუ საჭმელ-სასმელი ისეთივეა, როგორც შიდა აზიაში. აქაური ყოფა

დიდად განსხვავდება საქართველოსაგან, რომელიც ჩვენ ახლახან დავტოვეთ და სადაც ევროპული და აღმოსავლური ტრადიციები ერთმანეთშია არეული.

ოთხი წლის წინ ელიზაბეტპოლის შემოგარენში ორი გერმანული კოლონია დაარსდა[19]; ერთი შამქორიდან შვიდ ვერსზეა, მეორე კი - ელიზაბეტპოლიდან 5 ვერსზე. თითქმის ყველა ახალმოსახლე ვიურტემბერგელია. რამდენიმე წლის მანძილზე ისინი ჯერ ოდესის მიდამოებში ცხოვრობდნენ და შემდეგ გადმოსახლდნენ ამ მხარეში. პირველ ხანებში კოლონისტები დიდად შეაწუხა აქაურმა გვალვებმა, რის გამოც მუშაობა ძალზე უჭირდათ, თუმცა მოგვიანებით ნელ-ნელა შეეჩვიენ ადგილობრივ კლიმატურ პირობებს და წარმატებებსაც მიაღწიეს.

ელიზაბეტპოლი სპარსეთთან აწარმოებს ვაჭრობას, რომელსაც გაცილებით ფართო ხასიათი ექნებოდა, მაგრამ ამ ბედკრულ მხარეში შინაომებმა, სპარსელთა შემოსევებმა ნადერ შაჰის მეფობისას, რომელიც უფრო თაჰმასბ ყული ხანის სახელით არის ცნობილი, მოსპეს და გაანადგურეს როგორც მთელი მისი სიმდიდრე, ისე განათლების ყველანაირი კერა, ამიტომაც არის, რომ აქ სრული უვიცობა მეფობს.

ელიზაბეტპოლიდან თავრიზისაკენ მიმავალი გზა ყარაბაღზე გადის; ეს ერთ-ერთი იმ პროვინციათაგანია, რომელიც სპარსელებმა რუსეთს დაუთმეს და რომელსაც ამჟამად რუსეთის მოხარკე ხანი განაგებს.(33) ყარაბაღს ჩრდილოეთით ელიზაბეტპოლის პროვინცია ესაზღვრება, აღმოსავლეთით - შირვანი, დასავლეთით - სომხეთი, ხოლო სამხრეთით - არაქსი და ალაგ-ალაგ დაუზუსტებელი საზღვარია, რომელიც მთებზე გადის. საზღვრის ეს დაუდგენელი მონაკვეთები ხშირად იწვევს უთანხმოებას რუსებსა და სპარსელებს შორის.

ყარაბაღის მიწები ცნობილია დიდი ნაყოფიერებით. არაქსის ნაპირებზე უხვი მოსავალი მოდის, რომლის ბადალიც არსად მოიძებნება. ზემოთ მე აღვნიშნე, რომ ყარაბაღში შესაძლებელია შაქრის ლერწმის გახარება; უნდა დავძინო, რომ მთავარმართებელმა უკვე მიიღო გადაწყვეტილება მიწების დარიგების თაობაზე მეურნეობების მოსაწყობად, სადაც შაქრის ლერწმის პლანტაციებს მოაშენებენ.

ყარაბაღის პროვინციაში ვხვდებით როგორც დაბლობებს, ისე უამრავ მთა-ქედებსაც. წელიწადში სამი თვის განმავლობაში დაბლობებზე აუტანელი სიცხეებია; ამ დროს მთელი მოსახლეობა თავიანთი საქონლის ჯოგებთან ერთად მთებს მიაშურებს ხოლმე. თავადებსა და წარჩინებულებს აქ საცხოვრებლები აქვთ. ყარაბაღს აგრეთვე უწოდებენ შუშას (Chouchak), რაც მისი დედაქალაქის სახელწოდებაა. აქ გადის უმოკლესი გზა თბილისიდან თავრიზისაკენ, მაგრამ მთებში სიარული დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული და ამავე დროს, მეტად სახიფათოა ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის დაუდგენელი საზღვრების გამო და იმ მიზეზითაც, რომ ამ საზღვრებზე მომთაბარეობენ თათრები, რომლებიც რეალურად არც სპარსეთს ემორჩილებიან და არც რუსეთს.(34)

---

(33) დაახლოებით სამი წლის წინ ყარაბაღის ხანმა, რომელიც შეთქმულებაში იღებდა მონაწილეობას, მიატოვა თავისი სახანო და დღეს მას რუსეთის ხელისუფლება განაგებს.

(34) ბონაპარტის მამლუქი რუსტამი[20] (Roustan) ყარაბაღში ყოფილა დაბადებული. სპარსელთა უკანასკნელი შემოსევისას იგი გაუტაციათ და თურქებისათვის მიუყიდიათ, შემდეგ კი

თავი XI

ელიზაბეტპოლიდან გამგზავრება. მინგეჩაური (Mingatchaour). გადასასვლელი მტკვარზე. ჩამაისი (Tchamaïs). ახალი შემახა (Chamakhie). ძველი შემახა. მისი უწინდელი ვაჭრობა. ცნობები ძველი ციხის - ფიტაგის (Fitag) შესახებ. მარაზა (Marazy). ნანგრევებად ქცეული ქალაქი. ქარვასლა-არბატი (Caravanserail-Arbat). ბაქოში ჩასვლა.

ელიზაბეტპოლში რამდენიმე დღე დავრჩით და პარასკევს, 10 (22) სექტემბერს, დილის 9 საათზე გავემგზავრეთ აქედან. არქიმანდრიტმა, მიუხედავად იმისა, რომ ღამით მაღალი სიცხე ჰქონდა, მაინც მოისურვა, გამოგვყოლოდა ცხენით რამდენიმე ვერსის მანძილზე. ჩვენი გაცილება ასევე ისურვა მოხუცმა სომეხმა მელიქმაც[1] (melit) ანუ თავადმაც; ჩვიდმეტი წლის წინ იგი ერევნიდან ჩამოსულა და თან ჩამოუყვანია შვიდასი სომეხი ოჯახით: ისინი სპარსეთის დესპოტიზმს გამოექცნენ და ელიზაბეტპოლში დამკვიდრდნენ, რათა რუსეთის კანონებით ეცხოვრათ. ამ ახალშენს, რომლის უფროსიც სწორედ ეს მოხუცი მელიქი გახლდათ, როგორც ჩანს, წარმატებისათვის ვერ მიუღწევია.

ელიზაბეტპოლიდან ქურმუხჩაიმდე[2] (Kourgouloutchai) 46 ვერსს ანგარიშობენ. ამ მონაკვეთზე ორი სადგურია; თათარმა მეგზურმა, რომელიც განჯის ოლქის უფროსმა გამოგვაყოლა, დაგვარწმუნა, რომ მეორე საგუშაგომდე, სადაც ღამის გათევას ვვარაუდობდით, ჩვეულებრივ გზაზე ბევრად უფრო მოკლე იყო სოფლის შარაგზა. ჩვენც იოლად დავეთანხმეთ მის რჩევას - გავყოლოდით ამ მოკლე გზას. ჩვენი თათარი დაცლილი იყო აღმოსავლური ფლეგმატურობისგან: იგი სიცოცხლით სავსე კაცი გახლდათ და თავისი საუბრით გადაგვღალა კიდეც. თუკი მის ნათქვამს დაეჯერება, იგი განჯის მმართველის მრჩეველი, ასევე ხიდებისა და გზების ზედამხედველიც ყოფილა; ყველაფერი, რაც კი ამ ოლქში სასარგებლო გაკეთებულა, თურმე სწორედ მისი დამსახურებაა.

ორი საათის მგზავრობის შემდეგ ერთი ბებერი ჭადრის ქვეშ შევისვენეთ; ეს ერთადერთი გადარჩენილი ხე იყო ამ გავერანებულ ველზე. მოგზაურთა უმრავლესობის ჩვეულება - ცეცხლი გააჩაღონ ამ ხის ქვეშ, რომელიც ამ მხარეში მომხდარი ხშირი გადატრიალებების უტყვი მოწმეა, ნელ-ნელა ანადგურებს ამ ხეს და ალბათ რამდენიმე წელიწადში მოგზაური, რომელიც ამ მხარეში გაივლის, ვეღარ დატკბება მისი ჩრდილით, რაც ესოდენ აუცილებელია აქაურ მცხუნვარე კლიმატურ პირობებში.

როგორც კი შევასვენეთ ჩვენი ცხენები, მაშინვე გავუდექით გზას. თავდა-პირველად ოცდახუთი ვერსი ვიარეთ დაბლობზე, რომელიც მთლიანად ტრიალ მინდორს წარმოადგენდა და ცუდად იყო დამუშავებული. ხელმარჯვნივ, გზიდან ასიოდე ნაბიჯის დაშორებით, საკმაოდ მოზრდილი, ქვით ნაგები და

ეგვიპტეში გაუგზავნიათ. აქ იგი შეუერთდა მამლუქებს, რომელთა ჯარიც, ჩვეულებრივ, კავკასიისა და მოსაზღვრე პროვინციებიდან წამოყვანილი ტყვეებით კომპლექტდებოდა.

განმარტოებულად აღმართული მეჩეთი შევნიშნეთ; ხელმარცხნივ კი, ოდნავ მოშორებით, მეორე მეჩეთი იდგა.

განჯაში მცხოვრებმა თათრებმა მიამბეს, რომ ერთი სომეხი მათი სარწმუ-ნოების უპირატესობაში დარწმუნებულა და ისლამი მიუღია, მაგრამ სომეხ თანამოძმეებს მისთვის სარწმუნოებიდან განდგომა არ უპატიებიათ და მოუკლავთ. ერთ-ერთი მეჩეთი ზუსტად მისი წამების ადგილას აუგიათ, მეორე კი - მის საფლავთან, მისივე ხსოვნის უკვდავსაყოფად.

ქურმუხჩაიმდე თხუთმეტ ვერსზე უღრანი ტყე გავიარეთ, რომელიც დაბრეცილი და სუსტი ხეებით დაგვამახსოვრდა. მათ შორის ბროწეულის ხეები სჭარბობდნენ, რომლებიც ამ დროს უკვე ნაყოფით იყო დახუნძლული. დროდადრო ბამბის პლანტაციებსაც ვხვდებოდით; აქაური ბამბა მოკლებეწვიანი და ნაკლებად ფაფუკია.

კაზაკთა საგუშაგო მდებარეობს ქვიშოვანი მთების ქედთან ახლოს, რომელიც მტკვრის მარცხენა ნაპირს უწყვეტად მდინარის საიხლოვეს ან მისგან მცირე დაშორებით საგუშაგო გაშენებულია ჭაობიან დაბლობზე, სადაც მავნე ჰაერია. უნტერ-ოფიცერი, რომელიც ამ საგუშაგოს განაგებდა, წარმოსადეგი მამაკაცი გახლდათ; მისი იერი მეტყველებდა, რომ მის ძლიერ აგებულებაზე აქაურ კლიმატს ნაკლებად უმოქმედია. მან დიდი ყურადღება გამოიჩინა ჩვენს მიმართ.

მეორე დღეს, შვიდი საათისათვის მინგეჩაურისაკენ გავემგზავრეთ. ის ქურმუხჩაიდან, სადაც ჩვენ ღამე გავათიეთ, 22 ვერსითაა დაშორებული. ამ მანძილის გავლას ოთხი საათი მოვუნდით. ჩვენს მიერ გავლილი მხარე ისეთივე ვაკე იყო, როგორც წინა დღით გავლილი ადგილები, ხეები და ბუჩქნარი კი აქ უფრო ხშირად გვხვდებოდა. გზის ხელმარჯვნივ მიწას, რომელიც ოდნავ უფრო დაბლა იყო, ვიდრე შარაგზა, ქათქათა თეთრი ფერის მარილის თხელი ფენა ფარავდა, როგორც ეს ამ მხარის მიწების უმეტეს ნაწილში გვხვდება. იქვე მდებარე მთებში და მტკვრის სიახლოვეს უხვად არის მარილის საბადოები: ზოგ მათგანში მთის ბროლივით ელვარე და გამჭვირვალე მარილია, ზოგში კი - გაუმჭვირვალე, მაგრამ ძალზე თეთრი და თანაც - უწმინდესი მარცვლების შემცველი. მსგავსი მარილი კატალონიაში მინახავს, იგი კარდონის[3] (Cardone) საბადოებიდან შემოაქვთ.

მინგეჩაურის საგუშაგო მტკვრის მარჯვენა ნაპირზეა გაშენებული. ეს მდინარე, რომელიც ისეთი სისწრაფით მოედინება გორში, რომ ჩვენ უდიდესი ხიფათის წინაშე აღმოვჩნდით მისი გადალახვისას (და რომელიც კიდევ უფრო სწრაფია თბილისში), აქ მეტისმეტად წყნარია და ისე მდორედ მიედინება, რომ მის გასწვრივ 250 ვერსის სიგრძის უზარმაზარ დაბლობზე რომ არ გვევლო, ამას, ალბათ, ვერც დავიჯერებდით. თითქმის მთელ ამ მონაკვეთზე მტკვარი მთების ორი ქედს შორისა მოქცეული: ერთი მათგანი, ხელმარცხნივ, სულ ახლოსაა მდინარესთან და არ არის მაღალი, მეორე კი - ხელმარჯვნივ, მდინარისაგან საკმაოდ მოშორებით არის აღმართული და ბევრად უფრო მაღალია. ამის გამო, ქარიშხლიანი წვიმების შემდეგ, მოგლეჯილი ხეებისაგან ადიდებული მტკვრის დინება მისთვის ჩვეულ სისწრაფეს იღებს და მაშინ, მდინარის მძვინვარების გამო ჩამორეცხილი ქვიშა ყველგან ქმნის წყალქვეშა წინაღობებს, რაც, ამ ადგილას რომ ეს მდინარე სანაოსნო ყოფილიყო, ნაოსნობას დიდად შეაფერხებდა.

მინგეჩაურში არსებობს თევზსარეწი, რომელიც სახელმწიფოს იჯარით აქვს გაცემული. იჭერენ საკმაოდ ბევრ თევზს, განსაკუთრებით - თათრის ჯიშისას, რომელსაც ზუთხს - „ასეტრინას“ (assetine) უწოდებენ. ამ თევზის ზურგის ნაწილი ყველაზე გემრიელია: მალების გასწვრივ საკმაოდ სქლად ამოჭრიან ხოლმე ორი, ან ზოგჯერ - სამი ფუტის სიგრძის სუკს, რომელსაც ამარილებენ და შებოლავენ. 3 აბაზად (2 ფრ. და 40 სანტ.) შევიძინე იმავე დღეს დაჭერილი „ასეტრინას“ ექვსი ცალი სუკის ნაჭერი. ამ ადგილზე და კიდევ - ორგან შირვანის პროვინციაში, მტკვარზე გადასასვლელი იჯარით არის გაცემული წელიწადში 2,150 დუკატად. ეს მდინარე საგულდაგულოდ ნაგები ბორნით გადავლახეთ და შემდეგ მუხისა და წიფლის უზარმაზარი და ულამაზესი ტყის გაყოლებაზე ვიარეთ. აქ მრავლად იყო აგრეთვე კაკლის, ლეღვისა და ბროწეულის ხეებიც, რომელთა უმეტესობას გარეული ვაზი ჰქონდა შემოხვეული. ხელმარჯვნივ გადახრუკული მიწა იყო, ხელმარჯვნივ კი - ამწვანებული ტყე. მშვენიერი გზა ადვილად გავიარეთ და საათნახევარში ჩავედით ჩამაისში, რომელიც ჩვენ მიერ ახლახან დატოვებული საგუშაგოდან თხუთმეტი ვერსის მანძილზეა.

ჩამაისს ლამაზი მდებარეობა აქვს: იგი გაშენებულია ნაკადულის პირას და იმ ტყის ბოლოში, რომელიც ჩვენ გამოვიარეთ. ეს ნაკადული თითქოს სადემარკაციო ხაზია უნაყოფო, გადამხმარ მხარესა (სადაც ჩვენ რვა დღე ვიარეთ) და იმ ნაყოფიერ მხარეს შორის, სადაც ჩვენ აღმოვჩნდით და სადაც მწვანეში ჩაფლული არემარე ამგვარ სანახაობას უკვე გადაჩვეულ თვალს აგრერიგად ახარებდა.

ჩამაისიდან, სადაც ჩვენ ღამე გავათიეთ, გურგანამდე[4] (Gourgane) ძველად მხოლოდ 21 ვერსს ანგარიშობდნენ, დღეს კი ეს გზა 35 ვერსით გაიზარდა. ეს იმიტომ მოხდა, რომ როდესაც დისტანციების დადგენის საკითხი წამოიჭრა, ინჟინერმა, რომელსაც ეს სამუშაო დაევალა, დაბლობზე, სადაც არავითარი დაბრკოლება არ აღინიშნებოდა, შეძლო გზა სწორი ხაზით განესაზღვრა; მაგრამ სახანოში, სადაც ყოველი მელიქი თუ თავადი ყოვლისშემძლე იყო, გზის მიმართულება ისე აჩვენეს, როგორც მემამულეებს სურდათ, ხოლო ამ შემოვლითმა გზებმა, რაც ინჟინერს გააკეთებინეს, საგრძნობლად გაზარდა მანძილი. ამ ხუთიოდე თვის წინ ნუხის ანუ შაქის ხანი, რომელიც მოთმინებით იტანდა მემამულეთა მხრიდან უფლებების ბოროტად გამოყენებას, უშვილოდ გარდაიცვალა და მისი სამფლობელო რუსეთს გადაეცა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მალე რუსეთის მმართველობა ბრძანებას გასცემს ჩამაისსა და გურგანს შორის გზის ისე გაყვანის შესახებ, რომ მოგზაურებმა დრო დაზოგონ, უფრო კი - თავიდან აიცილონ ძნელად სავალი ადგილები.

ჩამაისიდან შვიდ თუ რვა ვერსზე თათრების ერთი სოფელია. სახლები აქაც, ისევე როგორც ყველგან ამ მხარეში, საუცხოო ხეხილის ბაღებსა და ველურ ხეებშია ჩაფლული. სოფელთან ახლოს ქვით ნაგები მეჩეთი მოსჩანს, ერთი ვერსის მოშორებით კი შევნიშნეთ საფლავი, რომლის გუმბათიც ერთი მხრიდან ღია თაღზე იდგა. იგი ძალიან წააგავდა იმ საფლავს, რომელიც ჩვენ ელიზაბეტპოლიდან გამოსვლისას ვნახეთ.

გურგანამდე ერთ ვერსზე პატარა მდინარე გურგენი (Gourgain) მოედინება. იგი სათავეს იღებს იმ მთებში, საიდანაც ერთი ქედი მტკვრის პარალელურად არის

გადაჭიმული. ამ მდინარიდან ოდნავ მოშორებით, იმ საგუშაგოსთან, რომელიც აგრეთვე მდ. გურგენის სახელს ატარებს, ის ძალზე სწრაფი დინების მქონე 5-6 ტოტად იყოფა; მათი კალაპოტები ისე ხშირად იცვლება, რომ ჩვენმა მეგზურმა კაზაკმა აღარ იცოდა, სად მოეძებნა ჩვენთვის შესაფერისი ფონი. მიუხედავად ჩვენი მეეტლეების დიდი მცდელობისა, ცხენები, რომლებმაც წინა დღით უარი თქვეს უხარისხო წყლის დალევაზე და ამიტომაც მეორე დღეს ქანცგაწყვეტილები იყვნენ აუტანელ სიცხეში 25 ვერსის გავლის გამო, წყურვილის მოსაკლავად წამდაუწუმ ჩერდებოდნენ მდინარის ყველაზე რთულ და სახიფათო ადგილებში. ისინი ძლივს მიათრევდნენ ჩვენს ეტლს მდინარის დინების მიერ 200-ზე მეტი ნაბიჯის ფართობზე მოგროვილ ქვებში. მდინარეზე გადასვლისას ძლიერმა ნაკადმა კინაღამ გადააბრუნა ჩვენი თათრული „არბა“, ანუ ეტლი, რომელიც ყველაზე განიერ ტოტზე გადადიოდა.

ჩვენი ცხენების მდგომარეობის გამო გადავწყვიტეთ, ღამე გურგანში გაგვეთია. ეს საგუშაგო ერთ-ერთი ყველაზე უარესთაგანია ამ გზაზე, როგორც სრული უსურსათობის, ასევე ძნელად სავალი გზისა და მავნე კლიმატის გამო. ამიტომ ციებამ, რომელმაც კვლავ შეუტია ჩემს ვაჟიშვილს, აქ განსაკუთრებით იმძლავრა. ამ დაავადებას ვერც ჩემი სიცილიელი მსახური გადაურჩა.

ორშაბათს გურგანიდან გოქჩაისაკენ[5] (Gogtchaï) გავემგზავრეთ, რომელიც ამ ადგილიდან 23 ვერსითაა დაშორებული. როდესაც გურგანის საგუშაგოდან გამოვედით, არცთუ ისე მყარად ნაგები ხიდებით გადავლახეთ შვიდი თუ რვა არხი, რომლებიც მტკვრის გაყოლებაზე მდებარე ქვიშიანი მთებიდან ჩამოდენილი წყლებისაგანაა შექმნილი. მოშორებით, ნიადაგში შერეულია სამეთუნეო თიხა, რომელიც ამ დროს მზისაგან გაქვავებული და დამსკდარი იყო. აქ დაგროვილი წყლები ქმნიან ჭაობებს, რომლებიც სულ უფრო მეტ ფართობს იკავებენ. მათი ნაწილი მაღალი ლერწმით არის დაფარული. მთელი ეს მხარე მოსწორებულია და მის ერთფეროვნებას არღვევს მხოლოდ რამდენიმე უმნიშვნელო სიღრმის ხევი, საიდანაც ჩვენს ცხენებს ძალზე უჭირდათ ამოსვლა. შუა გზაზე თხუთმეტი-ოცი ცხენოსანი თათრისაგან შემდგარი რაზმი შემოგვხვდა. ერთი თათარი ჯგუფს გამოეყო, მოგვესალმა, შემდეგ კი თავის თანამგზავრებს მოუხმო და წარმოგვიდგინა ტარკის[6] (Tarki) შამხალის ერთ-ერთი ვაჟი, რომელიც თბილისს მიემგზავრებოდა: ეს იყო მშვენიერი გარეგნობის კაცი, რომელსაც უწყინარი გამომეტყველება ჰქონდა, თუმცა სახეზე სიმკვირცხლე და გონებრივი განვითარება ნაკლებად ეტყობოდა. მას ეცვა თათრული ტანსაცმელი, რომელიც ოსტატურად იყო გაწყობილი იმ წვრილი სირმით, რომელსაც კავკასიის მთიან მხარეებში ამზადებენ და დიდი გამოყენება აქვს ჩერქეზეთშიც. როცა ახალგაზრდა მთავარმა შეიტყო, რომ ასტრახანში ჩასვლა ტარკის გავლით გვქონდა განზრახული, უმალვე გვთხოვა, მისი ამბავი შეგვეტყობინებინა მამამისისათვის, რომელთანაც გენერალმა ერმოლოვმა სარეკომენდაციო წერილები გამოგვატანა. მოგვიანებით შევიტყვეთ, რომ თბილისში მისი გამგზავრების მიზანი იყო შამხლის უდანაშაულობის დადასტურება, რომელიც დაღესტანში მომხდარი უკანასკნელი ამბოხების დროს ეჭვმიტანილი იყო ღალატში.

გოქჩაის საგუშაგოზე ვერანაირი სურსათი ვერ ვიშოვნეთ; სამაგიეროდ აქედან ერთი ვერსით დაშორებულ თათრების სოფელში იოლად მოვიმარაგეთ ჩვენთვის საჭირო ყველანაირი სანოვაგე. რამდენიმე საათის შესვენების შემდეგ გავემგზავრეთ 12 ვერსით დაშორებულ ერთ სადგურში, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ დაარსდა და ნოვო-უჩრეჟდიონი[7] ეწოდა (Novo-Outchregy-Denuy).

საგუშაგოდან ხელმარჯვნივ თვალუწვდენელი დაბლობი იშლება, სადაც ალაგ-ალაგ ხეების პლანტაციები მოსჩანს, რაც აქა-იქ გაფანტულ თათრული და სომხური სოფლების არსებობაზე მიანიშნებს. ხელმარცხნივ გვალვისაგან გამომშრალი ქვიშის საშინელ მთას მივუყვებოდით, სადაც ისეთი დიდი სიცხე იცის, რომ სექტემბრის ბოლოს, დილით, რეომიურის[8] თერმომეტრი თუ 8 გრადუსს ძლივს უჩვენებდა, შუადღისათვის უკვე იგი 30 გრადუსამდე ადიოდა. ამ მთებში ჰავა მარტო იმიტომ კი არ არის აუტენელი, რომ აქ საშინლად ცხელა, არამედ იგი ჯანმრთელობისთვისაც მეტად საზიანოა და მუდმივი და მონაცველობითი ციებ-ცხელების დაავადების გავრცელებას იწვევს, რაც ასე ხშირია აქაურ მოსახლეობაში.

ღამე ნოვო-უჩრეჟდიონის საგუშაგოზე გავატარეთ. გარედან შემოსული მავნე ჰაერისაგან თავდასაცავად „ბალაგანში“ (balagan), სადაც ჩვენ დავბინავდით, საბნები და ნაბდები (bourka) ჩამოვკიდეთ. ეს ქოხი ორ ნაწილად იყო გაყოფილი: ერთში ჩვენ ვცხოვრობდით, მეორე კი გენერალ ვლასოვს, იმიერკავკასიის „ატამანს“ ეკავა. ეს ის ოფიცერი გახლავთ, რომელსაც იმერეთში, ყვირილას საგუშაგოზე შევხვდით. მაშინ იგი უკვე დაავადებული იყო ციებით და ჯერაც ვერ განკურნებულა.

გენერალი ვლასოვი სახელგანთქმული ოფიცერია. იგი დაახლოებით 50 წლისაა; იბრძოდა საფრანგეთში და დიდად ამაყობდა ეპერნეში[9] გატარებული დღეებით; აქებდა იქაურ საუცხოო ღვინოს. ჩვენ მისგან დიდად დავალებულნი ვართ არა მხოლოდ იმის გამო, რომ ბევრი სასარგებლო რჩევა მოგვცა გზის თაობაზე, არამედ იმითაც, რომ დერბენდამდე არსებული კაზაკთა ყველა საგუშაგოსათვის ერთი საერთო ბრძანება გაგვატანა, რომლის თანახმად საგუშაგოებს ჩვენი ცხენებისათვის საჭირო ფურაჟი უნდა მოეცათ, საფასური კი ჩვენ თვითონ უნდა განგვესაზღვრა. ამ ბრძანების გარეშე, რომელიც, შექმნილი პირობების გამო, გამონაკლისის სახით გაიცა, ჩვენ ვერ შევძლებდით გზის გაგრძელებას. მართლაც, სურსათ-სანოვაგის, განსაკუთრებით კი ფურაჟის ნაკლებობა, რის შესახებაც მე არაერთხელ მქონდა საუბარი, მხოლოდ 1820 წლის ზაფხულის გვალვით როდი იყო გამოწვეული; იგი სულ სხვა მიზეზებით იყო განპირობებული:

დაღესტანში მომხდარი ამბოხებების შემდეგ[10] შირვანის ხანის მიმართ გაჩნდა ეჭვი, რომ ამ ამბებში ისიც მონაწილეობდა, შესაბამისად, მთავარმართებლისაგან გაიცა ბრძანება თბილისში მისი გამოცხადების თაობაზე; ხოლო რადგანაც ხანი ბრძანების შესრულებას აყოვნებდა, თანაც მისი მხრიდან წინააღმდეგობის გაწევასაც არ გამორიცხავდნენ, ამიტომ შირვანში განლაგებულ კაზაკთა ყველა საგუშაგოს ებრძანა, ჯარები, თავიანთი სურსათის მარაგით, საზღვარზე განელაგებინათ. ბრძანება შესრულდა, თუმცა მოლოდინი არ გამართლდა: წინააღმდეგობის გაწევის ნაცვლად, შირვანის ხანმა ჭკუა იხმარა, სპარსეთში

გაიქცა და თავისი მშვენიერი პროვინცია, შემოსავალი, შესანიშნავი ცხენები და თითქმის მთელი მოძრავი ქონება რუსებს დაუტოვა. ეს ამბავი თბილისიდან ჩვენს გამომგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე მოხდა, ამ დროისათვის კაზაკები უკვე დააბრუნეს თავიანთ საგუშაგოებზე, მაგრამ სურსათის მომარაგება ჯერ კიდევ ვერ მოესწროთ.

გამოვეთხოვეთ კაზაკთა გენერალს, რომლისგანაც დიდად დავალებულნი ვიყავით და 14 (26) სექტემბერს, დილის 7 საათზე ინჩას[11] (Ineja) საგუშაგოსკენ გავემართეთ. გზა, რომელიც ამ საგუშაგომდე გავიარეთ, ერთფეროვანი და სევდის მომგვრელი იყო: არსად ჩანდა არც დამუშავებული მიწები და არც სოფლები; მხოლოდ ცხვრის ფარები გვხვდებოდა, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ ეს მხარე მომთაბარე თათრებს ეკავათ. ელიზაბეტპოლიდან გამომგზავრების შემდეგ აქ პირველად შეგვხვდა ხარების ხუთი თუ ექვსი ქარავანი; თითოეულ ხარს საქონლით სავსე ორი პატარა ტომარა ჰქონდა აკიდებული. ქარავანს რამდენიმე თათარი მოუძღოდა და იგი აქედან ბაქოში მიემართებოდა.

ინჩას საგუშაგო წინა საგუშაგოს მსგავსად არის მოწყობილი. სახლებისა და თიხის ქოხმახების ნაცვლად აქ მხოლოდ ლერწმისაგან ნაგები რამდენიმე ბარაკია (barraques), რაც სავსებით ბუნებრივად მოგვეჩვენა, რადგან ჩვენ მიერ გამოვლილი დაბლობის ერთი ნაწილი მთლიანად ამ მცენარით იყო დაფარული. დანარჩენების მსგავსად, ეს საგუშაგოც ქვიშოვანი მთის ძირში და საკმაოდ უვარგისი გემოს მქონე წყაროსთან ახლოს იყო აგებული. აქაც, აგრეთვე, ბევრი ავადმყოფი ჰყავდათ.

ინჩას საგუშაგოზე სამი საათი დავყავით და შემდეგ ახალ შემახაში[12] გავემგზავრეთ. ითვლება, რომ იგი აქედან 18 ვერსითაა დაშორებული, სინამდვილეში კი ეს მანძილი 28 ვერსს აღწევს. მთელ ამ მხარეში, სადაც დიდი ხნის განმავლობაში მთიელები დათარეშობდნენ, წესად ჰქონდათ შემოღებული - გზავნილების მქონე მგზავრებს რამდენიმე ჯარისკაცს ესკორტად აყოლებდნენ. სახანოებში ჩვენ მუდამ თან გვახლდა 5-6 ჯარისკაცი, მაგრამ ამ ოლქში ყველა საგუშაგოზე იმდენი ავადმყოფი იყო, რომ ორი ჯარისკაცი ძლივს გამოგვაყოლეს, თუმცა ესეც კმაროდა ყოველგვარი ხიფათისაგან თავდასაცავად.

ინჩადან ახალ შემახამდე გზა დიდ წრეს აკეთებს მთების გარშემო. ადგილ-ადგილ ხევებზე გადასვლა გვიხდებოდა; ქარიშხლიანი წვიმების შედეგად მათი ფსკერი წყლის დინებით ჩამოტანილი პატარა კენჭებითა თუ დიდი ქვებით იყო დაფარული. აქ სიარული დიდ სიძნელეებს უქმნიდა ჩვენს დაუძლურებულ ცხენებს, რის გამოც ამ ხევებზე გადასვლა ძალზე გაგვიჭირდა.

ახალ შემახამდე 8 ვერსზე ოდნავ ამაღლებული მთებია, მანამდე კი საკმაოდ მაღალი მთების ქედია გადაჭიმული. აქ საქონლით დატვირთული თორმეტი აქლემისგან შემდგარი ქარავანი შემოგვხვდა. მათ დანახვაზე ჩვენი ერთ-ერთი ცხენი ისე დაფრთხა, რომ შურდულივით გავარდა და დანარჩენი სამი ცხენიც თან გაიყოლა. საბედნიეროდ, ციცაბო მთებით გარემოცულ ხეობაში ვიყავით და თხუთმეტწუთიანი დაოთხებული ჭენების შემდეგ ჩვენი ცხენები ისე გაჩერდნენ, რომ არაფერი დაგვშავებია.

ახალი შემახა, სადაც ჩვენ მალევე ჩავედით, დიდი ხანი არ არის, რაც დაარსდა; მან ძველი შემახა შეცვალა, როცა ეს უკანასკნელი მთლიანად აღიგავა პირისაგან

მიწისა; მაგრამ შემდგომში, როცა ეს მხარე მრავალრიცხოვანი შემოსევების ასპარეზად იქცა, ახალი შემახაც განადგურდა. ასე რომ, დღეს აქ მხოლოდ რამდენიმე ასეული მცხოვრებია შემორჩენილი, არის პატარა ბაზარი, სადაც თათრები ადგილობრივ პროდუქციას - ხამ აბრეშუმსა და სპარსელთა პირველადი მოხმარების საკმაოდ იაფ საქონელს ყიდიან.

გენერალმა ვლასოვმა გვირჩია, მავნე კლიმატის გამო ახალ შემახაში ორ საათზე მეტ ხანს არ გავჩერებულიყავით, მაგრამ იქ ისე გვიან ჩავედით, რომ გზის გაგრძელება შეუძლებელი იყო; ამიტომ გადავწყვიტეთ, დაგვეძლია ციების შიში და ღამე გაგვეთია პატარა ოთახში, რომელიც ზიზღის გრძნობა გაგიჩენდა უსუფთაობისა და ყველა სახეობის აურაცხელი მწერის გამო.

მეორე დღეს, დილაადრიანად გავემგზავრეთ ძველ შემახაში, რომელიც ახალი შემახიდან დაახლოებით 30 ვერსზეა, თუმცა მათ შორის მანძილს 23 ვერსს ანგარიშობენ.

დავტოვეთ ახალი შემახას ნანგრევები და დაახლოებით 8 ვერსის სიგრძის დაბლობი გავიარეთ. იგი გადაჭიმულია იმ მთის ქედის ძირამდე, რომლის შესახებაც მე უკვე ვისაუბრე. მის მწვერვალზე ასასვლელად ოთხი წყვილი კამეჩი მოვითხოვეთ; მანძილი ათ ვერსს შეადგენდა. თითო ვერსზე ერთი წყვილი კამეჩისა თუ ხარის ქირად სომხებს, ჩვეულებრივ, 8 კაპიკს ანუ სანტიმს უხდიან. ჩვენ ამ თანხას მცირეოდენი გასამრჯელოც დავუმატეთ, რითაც სომხები დიდად კმაყოფილნი დარჩნენ. ისინი შირვანის ხანის ყმები იყვნენ, ხოლო მას შემდეგ, რაც ეს სახანო რუსეთის სამფლობელოს შეუერთდა, ისინი სახაზინო გლეხები გახდნენ და თავიანთ ცხოვრებაში მომხდარი ამ ცვლილებით მეტად კმაყოფილნიც იყვნენ. წარმოშობით ეს სომხები ყარაბაღიდან იყვნენ და შირვანის ხანს ისინი ამ მხარეზე თავდასხმის დროს აუყვანია ტყვედ.

ჩვენს მიერ გადალახული მთები კავკასიის მთების პარალელურია და ამ უკანასკნელს ქედის განტოტებებით უერთდებიან. ეს საკმაოდ მაღალი მთებია და თითქმის ყველა მათგანი ხრეშსა და ქვიშას შეიცავს; აქა-იქ გრანიტის ფენაც კი შევნიშნე. როდესაც მაღლა მთაზე ავედით, ქვემოთ ჩვენს მიერ სულ ახლახან გამოვლილი უზარმაზარი დაბლობი და ახალი შემახის ნანგრევები გამოჩნდა. ჩრდილოეთის ქარებისაგან ეს დაბლობი ქვიშოვანი მთით არის დაცული, რომლის გასწვრივაც უწყვეტად მივდიოდით. ჰავა აქ ჯანმრთელობისათვის მავნეა, ნიადაგი ნაკლებად ირწყვება და ამიტომაც დღეისათვის აქ ერთი ხეც კი არ ხარობს; ალბათ, ამიტომაც გაგვიჭირდა წარმოგვედგინა, რომ ეს ის მხარეა, რომელიც ძველად თუთის ხეებითა და ზვრებით იყო დაფარული და რომელიც ესოდენ ხატოვან ფერებში აღწერა გიულდენშტედტმა: მან იგი ისეთ კუთხედ წარმოგვიდგინა, რომელსაც თავისუფლად შეეძლო მსოფლიოში ერთ-ერთ უმდიდრეს ადგილად ქცეულიყო.

ძველ შემახამდე 5-6 ვერსზე ქვით ნაშენი მშვენიერი შადრევანია. წყალი აქ მართლაც საუცხოოა. მოშორებით, ორივე მხარეს, - მარჯვნივ და მარცხნივ, უფრო კი - მთების თხემებზე, თათრებისა და სომხების სოფლები ჩანს. ამ უკანასკნელთათვის ასეთი მდებარეობა, უდავოდ, იმისთვის შეარჩიეს, რომ ჰავა აქ ჯანსაღია.

ბოლოს ჩვენ დავინახეთ ის, რასაც დღეს სამართლიანად უწოდებენ ძველი შემახის ნანგრევებს: ეს არის ქვით ნაგები ქარვასლების, ბაზრების, მეჩეთების, საჯარო თუ კერძო შენობებისგან შემდგარი ვრცელი ნაქალაქარი. ქალაქის შემოგარენში არსებული უზარმაზარი სასაფლაო, რომლის თვალუწვდენელი სივრცე მოფენილია გვერდი-გვერდ მიწყობილი საფლავის ქვებით, ისე როგორც საკუთრივ ნანგრევები, მეტყველებდა, რომ მრავალი საუკუნის მანძილზე ეს ქალაქი მჭიდროდ ყოფილა დასახლებული.

შემახა უძველეს დროში უნდა იყოს დაარსებული. თუკი ვოლტერს[13] დავუჯერებთ, რომელიც, არ ვიცი რომელ ავტორიტეტზე დაყრდნობით, თავის „პეტრე დიდის ისტორიაში“ ამბობს, რომ ერთ დროს შემახა მიდიის (Medie) დედაქალაქი და დიდი კიროსის რეზიდენცია ყოფილა. მისი მდებარეობისა და სახელწოდებიდან გამომდინარე, დ’ანვილს[14] (D’Anville) მიაჩნია, რომ ეს არის პტოლემაიოსის „მამაშია“ (Mamachia). თავისი მოსახლეობით, ვაჭრობითა ინტენსივობითა და სიმდიდრით იგი დიდი ხნის მანძილზე აყვავებული ქალაქი იყო. როდესაც 1645 წელს ოლეარიუსი ამ ქალაქს ჰოლშტაინის ჰერცოგის საელჩო მისიის წევრად ეწვია, ის ჯერ კიდევ თავისი ბრწყინვალების ზენიტში იმყოფებოდა; ამ დროს რუსები აქ გაცხოველებულ ვაჭრობას ეწეოდნენ. გასული საუკუნის დასაწყისში, როცა სპარსელებმა აქ რუსი ვაჭრები ამოჟლიტეს, ქვეშევრდომების სიკვდილზე შურისძიების მიზნით პეტრე დიდმა მრავალრიცხივანი არმიით გაილაშქრა შირვანზე და ააოხრა ძველი შემახა[15]. ამის შემდეგ სპარსეთი შინაომებმა მოიცვა, რის გამოც ამ საცოდავ ქალაქს ათასნაირი უბედურება დაატყდა თავს, რაც თან ახლავს ხოლმე აღმოსავლეთში წარმოებულ დაპყრობით ომებს. ცეცხლმა, მახვილმა, ტყვეების წასხმამ - აღარავითარი კვალი არ დატოვეს არც შემახის ძველი დიდებისაგან და არც მისი მოსახლეობისაგან. ეჭვი არ არის, რომ სწორედ ამგვარადვე აღიგავა აზიის ზედაპირიდან ბაბილონი, სუსა (Suze), ეკბატანა (Ecbatane), პერსეპოლისი (Percépolis).[16]

კაზაკთა საგუშაგო, სადაც ჩვენ შევჩერდით, ძველ ქარვასლაში განეთავსებინათ. აქ ყველა ნაგებობა საკმაოდ კარგ მდგომარეობაში იყო. გამოგვიყვეს თაღიანი ოთახი, სადაც ისეთი ნესტი იდგა, რომ ჩემმა თანამგზავრებმა სუფთა ჰაერზე დაწოლა ამჯობინეს. ამ ნანგრევებსა და უკაცრიელ ადგილზე მარაგის შესავსებად ვერანაირი სურსათი ვერ ვიშოვნეთ და იძულებულნი გავხდით ერთი სომეხი და ერთი კაზაკი 6 ვერსით დაშორებულ სოფელში გაგვეგზავნა სურსათისათვის. მათ მოგვიყვანეს ერთი ცხვარი, რომელშიც გადაიხადეს 1 მანეთი ვერცხლით (4 ფრ.) და მოაყოლეს ერთი ტიკი ახალი ღვინო. იმის გამო, რომ ღვინო ჯერ კიდევ არ იყო დადუღებული, ჩვენ ვერ შევძელით შეგვეფასებინა, მართლაც იყო თუ არა ამ ქალაქის გარეუბნების ღვინო ბორდოს საუკეთესო „კლარეტივით“ კარგი, როგორც ამას გიულდენშტედტი ამბობს. მეორე დღეს გავიარეთ ქალაქის ერთი ნაწილი და საგუშაგოდან ერთი ვერსის დაშორებით მდებარე ციხეში მივედით. როდესაც ვიხილეთ სწორად გაყვანილი ქუჩები, ჯერ კიდევ დაუნგრეველი ბაზრის კედლები, სახლები და ქარვასლები, რომელთა თაღებიდან ზოგი ნაწილობრივ იყო დანგრეული, გავიფიქრეთ, რომ დამპყრობელს შენობების მიმართ უფრო გამოუჩენია ლმობიერება, ვიდრე მოსახლეობისადმი: ამ ერთიოდე საუკუნის წინ ამ

ქალაქში მცხოვრები ასი ათასამდე სულიდან დღეს 25-30 მოსახლე შემორჩენილიყო; ისინი ქალაქის ბოლოში ცხოვრობდნენ. ციხე, რომელიც ძველად შირვანის ხანის საცხოვრებელი იყო, ჯერ კიდევ კარგ მდგომარეობაშია და მის აღსადგენად სულ მცირე ხარჯებია საჭირო.

სასახლე, მისი მინაშენები და ბაღები შემაღლებულ და ჯანმრთელობისათვის სასარგებლო ადგილზე იყო გაშენებული. აქ რამდენიმე წყაროა და სუფთა წყალი ქალაქის ყველა უბანში მიედინებოდა გამომწვარი თიხის მილებით, რომელთა ნაკვალევიც ყველგან შეიმჩნევა. ჩვენს ჩასვლამდე ერთი თვით ადრე შირვანის ხანი ჯერ კიდევ ფლობდა ძველი შემახიდან დაახლოებით 20 ვერსით დაშორებულ ფიტაგის ციხეს. როცა მან დაინახა, რომ მისი სატახტო ქალაქი მოწინააღმდეგეთა მუდმივი შემოსევებისაგან აოხრებული და განადგურებული იყო, მისი ქვეშევრდომები კი ტყვედ წაყვანილნი, იგი სასოწარკვეთილებამ მოიცვა და ორივე შემახისა და მიმდებარე დაბლობის გადარჩენილი მოსახლეობა აიძულა მასთან წამოსულიყო ფიტაგში, რომელიც სატახტო ქალაქად გამოაცხადა; აქ იგი საიმედოდ იყო დაცული თავდასხმებისაგან, რომელთა ასპარეზადაც იქცა მისი ქვეყანა. მიუხედავად იმისა, რომ ფიტაგის ციხეს არცთუ ისე ხელსაყრელი მდებარეობა ჰქონდა (იგი მაღლობზე იდგა), ვაჭრობას აქ ჯერ კიდევ ჰქონდა გასავალი, რადგან საბაჟო გადასახადები აბრეშუმზე, ხორცით ვაჭრობაზე და ზოგიერთ სხვა საქონელზე წლიურად 7000 დუკატად იყო იჯარით გაცემული.

არაპირდაპირი გადასახადები აზიაში უძველესი დროიდან ჩნდება, შეიძლება ითქვას - პასტორალური საფუძვლებიდანაც კი. ეს გადასახადები უფრო იოლი ასაკრეფი და ნაკლებად საეჭვო იყო, ვიდრე საადგილმამულო გადასახადები, დაწესებული მიწებზე, რომელთა არც ფლობა და არც დამუშავება არასოდეს იძლეოდა სრულ გარანტიას. საგადასახადო სისტემა გულდასმით ეძიებდა ყოველგვარ საბაბს, მათ შორის ყოვლად აუცილებელი პირველადი მოხმარების საგნების ჩათვლითაც კი, რათა გადასახადით დაებეგრა; მაგალითად, როგორც შირვანში, ასევე განჯაშიც გადასახადი იყო დაწესებული ყინულზე, რომელიც ამ მცხუნვარე კლიმატურ პირობებში სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო.

შირვანის ხანის შემოსავალი მეტად მაღალი იყო. როგორც ამბობდნენ, იგი 2 მილიონ მანეთზე (2 მლნ. ფრანკი) მეტს აღწევდა. სასურსათო საქონელზე გამოსაღების გარდა, შირვანის ხანი თავისი ოლქების მიწების უდიდესი ნაწილის მფლობელიც იყო. ეს მიწები, ჩვეულებრივ, თათარ და სომეხ გლეხებს ჰქონდათ იჯარით აღებული და მცირე ბეგარას იხდიდნენ. ამჟამად გაუდაბურებული ახალი და ძველი შემახის მშვენიერი და ვრცელი ველები უწინ ხანის ძირითად მამულებს, ხოლო აქედან მიღებული პროდუქცია კი - მისი შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენდა.

შირვანის ხანის მამულებს შორის არ შეიძლება არ დავასახელოთ მუღანის ველი[17] (Mougan), რომელიც სალიანისაკენ[18] (Salian) პირდაპირ მიმავალ გზაზეა. ეს ის ველი გახლავთ, სადაც, რომაელ ისტორიკოსთა ცნობით, იმდენი გველი იყო, რომ პომპეუსის ჯარი აქ შედგა და ველარ გაბედა ამ მხარეში შემოჭრა. ეს არის ერთ-ერთი იმ ისტორიულ ფაქტთაგანი, რომელიც უკანასკნელ საუკუნეში უარყვეს, როგორც მცდარი; მაგრამ თუკი გავითვალისწინებთ ამ ველის ამჟამინდელ

მდგომარეობას, ეს ფაქტი სინამდვილეს უნდა შეესაბამებოდეს.[35] ადგილობრივი ხალხის გადმოცემით, ივნისის, ივლისისა და აგვისტოს თვეებში მუღანის ტრამალზე, ანუ ველზე, იმდენი გველია, რომ ადამიანებისა და ცხენებისათვის აქ გავლა უკიდურესად სახიფათოა. წლის დანარჩენ დროს კი გველები მიწაში და ხვრელებში იმალებიან და სპარსელებსა თუ თათრებს მხოლოდ ამ პერიოდში შეუძლიათ, უსაფრთხოდ აძოვონ აქ თავიანთი ნახირი.

როცა გენერალმა ზუბოვმა[20] (Zubboff) სალიანს ალყა შემოარტყა, მისი ჯარი 1800 წლის შემოდგომის ბოლოს მუღანის ველზე დაბანაკდა და ზამთარიც იქვე გაატარა. კარვების ჩასადგმელად იძულებული იყვნენ მიწა ამოეთხარათ და მისი ჯარისკაცები წამდაუწუმ აწყდებოდნენ გველებს გაშეშებულ მდგომარეობაში. ეს გველები (და სხვა ცხოველებიც) ასეთ მდგომარეობაში ატარებენ მთელ ზამთარს და ამ ხნის მანძილზე ყოველგვარი საკვების მიღების გარეშე ცოცხლობენ.

სალიანის მეთევზეობა შირვანის ხანის შემოსავლის ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენდა. იგი იჯარით ჰქონდა აღებული მდიდარ ასტრახანელ სომეხს ივანოვს (Ivanoff), რომელიც დაახლოებით 500,000 მანეთს (ანუ ფრანკს, ასიგნაციით) იხდიდა.

ციხის ზემოდან მოჩანს ძველი შემახის ის მშვენიერი დაბლობი ადრე რომ ზვარ-ვენახებითა და თუთის ხეებით იყო მოფენილი. სამხრეთის მხრიდან, ქალაქიდან ნახევარ ლიეზე, ლამაზი ნაგებობებია, რომელთაგან ერთი მეჩეთი იყო, სხვები კი - ხანებისა და დიდი სენიორების საფლავები.[36]

ამ ქალაქში ერთი დღე-ღამე გავატარეთ და 16 (28) სექტემბერს, ნაშუადღევს გავემგზავრეთ. ღამის გათევას ქარვასლა-ჯამათში (Karavanserai-Djematy) ანუ მარაზაში[22] (Marazy) ვაპირებდით, რომელიც აქედან მხოლოდ 25 ვერსით არის დაშორებული. ამ მანძილის გასავლელად ექვსი საათი დაგვჭირდა. ჩვენი ორი

---

[35] ამ უკანასკნელი ბრძოლის შემდეგ, როცა პომპეუსი გზას დაადგა, რათა შეჭრილიყო ჰირკანიაში (Hircanie) და კასპიის ზღვამდე გასულიყო, იგი იძულებული გახდა, უკან დაბრუნებულიყო ურიცხვი შხამიანი და მკვლელი გველების შიშით, რომელნიც მან იქ ყოფნისას სამი დღის განმავლობაში იხილა. იგი მცირე არმენიაში (Arménie la mineure) გამობრუნდა, სადაც ელიმაისელთა (Elémiens) და მიდიელთა მეფეებისაგან საჩუქრები მიიღო [19]. პლუტარქე, პომპეუსის ცხოვრება, თარგმანი ამიოტისა (Amyot).

[36] როდესაც 1820 წელს შემახაში გახლდით, სამიოდე კვირით ადრე შირვანის ხანმა[21], რომელიც ღალატში იყო ეჭვმიტანილი, ნაცვლად იმისა, რომ გენერალ ერმოლოვის ბრძანება შეესრულებინა და თბილისში გამოცხადებულიყო, ამჯობინა მიეტოვებინა თავისი სახანო და სპარსეთში ეპოვა თავშესაფარი. მისი სამფლობელო რუსეთის იმპერიას შეუერთდა და გენერალმა ერმოლოვმა მიზანშეწონილად ჩათვალა, ფიტაგში დარჩენილი მოსახლეობა (30,000 კაცი) ჩამოეყვანა შემახის ველზე და მათთვის ძველი საცხოვრებლები დაებრუნებინა. ეს კეთილშობილური პროექტი ოთხი წლის წინათ განხორციელდა. უკვე შეკეთდა ძველი შემახის კედლები, ქუჩები გამოცოცხლდა, ბაზრები და ქარვასლები საქონლით აივსო, დაბლობი დამშვენდა თუთის ხეებით, ქალაქის სიმდიდრის წყაროს რომ წარმოადგენენ. ეს ყველაფერი იმის მაჩვენებელია, რომ ეს ანტიკური ქალაქი ახლად აღორძინდება და გაცხოველდება ვაჭრობაც, რამაც ის თავის დროზე აღმოსავლეთის ერთ-ერთ ყველაზე აყვავებულ ქალაქად აქცია.

მეგზურიდან ერთი კაზაკი იყო, რომელიც წინა დღეს ჩამოვიდა საგუშაგოში და გზები კარგად არ იცოდა; მეორე კი მეტისმეტად გაუბედავი თათარი გახლდათ; მას იმდენად ეშინოდა, პასუხი არ მოგვეთხოვა იმ სიძნელების გამო, რომელსაც შესაძლოა გზაზე გადავყროდით, რომ სულ განზე იდგა და გზას არც კი გვითითებდა. ეს მხარე მთაგორიანი იყო; დამუშავებული მიწები ყველგან შემოეღობათ, ეტლების სავალი გზა კი ჯერ არ გაეყვანათ, ამის გამო გზა ხშირად გვეშლებოდა და მარაზაში გვიან ღამით ჩავედით.

ეს საგუშაგო ქალაქის ნანგრევებს შორისაა განთავსებული. ძველად ამ ქალაქს გარკვეული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ჯარისკაცები დაბანაკებულნი იყვნენ ძველ ციხეში, რომელსაც გვერდით კოშკები ჰქონდა. მისი ერთი ნაწილი ქარვასლად გამოიყენებოდა იმ ხანებში, როცა ძველ შემახაში უამრავი ვაჭარი მოდიოდა აბრეშუმისა და სხვა ძვირფასი საქონლის შესაძენად, რომელთა საწყობიც სწორედ ამ ქალაქში იყო.

მხარე, სადაც მარაზა მდებარეობს, სრულიად დაუმუშავებელია; მთებიც კი მოშიშვლებულია: არც ერთი ხე და არავითარი მცენარეულობა. ვიწრო ხეობებში, სადაც დიდი გზა გადის, მცენარეული საფარი ასევე მწირია. მოსახლეობა აქ ვაჭრობამ მოიზიდა და დაამკვიდრა, მაგრამ როგორც კი ვაჭრობა შეწყდა, ხალხიც მაშინვე აიყარა ამ გაუბედურებული ადგილიდან. მსგავსად იმ დღისა, როდესაც ზენობიმ ქარავნებს მფარველობა შეუწყვიტა და და მათაც ხმელთშუა ზღვის სანაპიროსკენ პალმირას გზის გამოყენება შეწყვიტეს, ეს შესანიშნავი ქალაქი გაუკაცრიელდა, და იმ უდაბნოებს დაემსგავსა, რომელთა შორისაც იგი იყო გაშენებული.

მარაზას მიდამოებში გოგირდის საბადოებია. მთავრობის მიერ გამოგზავნილი ინჟინრის ცნობით, რომელმაც აქ დაზვერვითი სამუშაოები აწარმოა, ეს საბადოები ძალზე მდიდარი უნდა იყოს.

17 (29) სექტემბერს, დილის რვა საათზე მარაზადან გავემგზავრეთ გრუბოკ-სალკაში (Grubok-Salka), რომელიც მისგან 25 ვერსითაა დაშორებული. მხარე, რომელიც ჩვენ გავიარეთ, მოუსავლიანი იყო. დროდადრო გვხვდებოდა ერთად შეჯგუფული თხუთმეტი-ოცი სახლი და მათ სოფლებს უწოდებდნენ. აქ ცხოვრობენ სომხები, სპარსელები და თათრები. გრუბოკ-სალკამდე 8-10 ვერსზე, ხელმარცხნივ, მიწიდან ნავთობის შადრევნები ამოდის. ჩვენ შევჩერდით მათ დასათვალიერებლად. მათ დაახლოებით 50 ნაბიჯამდე კვადრატული ფართობი უკავიათ. ნავთობი განუწყვეტლივ თუხთუხებდა და წყლის ზედაპირზე ტივტივებდა. იგი საკმაოდ შორ მანძილზე აფრქვევს ჰაერში უსიამოვნო სუნს.

ბიტუმს მთელ ამ მხარეში დიდი გამოყენება აქვს. მას ხმარობენ სახლების გასანათებლად, „პოვოზკების“, ურმებისა და ეტლების თვლების დასაზეთად, რომელთაც ხის ლილვები აქვთ და აგრეთვე - ტიკების შიგნიდან შიდა მხარეზე წასასმელად. ამ ტიკებს ღვინის გადასაზიდად იყენებენ.

გრუბოკ-სალკაში რამდენიმე საათის შესვენების შემდეგ ქარვასლა-არბატში გავემგზავრეთ. აქ ჩვენს ჩვეულებრივ ესკორტს რამდენიმე კაზაკიც დაუმატეს, რათა გულმშვიდად გაგვევლო ეს მხარე, სადაც ერთი თვის წინ შეიარაღებულ

გამოსვლები იყო და სადაც რაიმე ხიფათის შემთხვევაში, არავითარი იმედი არ გვქონდა იმისა, რომ სოფელს ან რაიმე დასახლებულ ადგილს წავაწყდებოდით.

გზის უმეტესი ნაწილი საკმაოდ მთაგორიანი იყო, მაგრამ სამ საათში მაინც ჩავედით ქარვასლა-არბატის საგუშაგოში. ის 25 ვერსითაა დაშორებული იმ საგუშაგოდან, რომელიც ჩვენ ახლახან დავტოვეთ. დაგვაბინავეს კომფორტულად, ძველი ქარვასლის ერთ-ერთ პატარა ოთახში. ეს ქარვასლა დღეს კაზაკთა საცხოვრებელს წარმოადგენს. იგი მყარად არის ნაგები თლილი ქვებით. მის შიდა განლაგებას რაღაც საერთო აქვს ესპანეთის ვენტებთან[23] და გალიციის მშვენიერ ტავერნებთან. აქ არის თაღით გადახურული დიდი მოედანი, რომელიც იმდენად ვრცელია, რომ 40-50 ცხენი თავის ტვირთიანად თავისუფლად მოთავსდება. ხელმარჯვნივ და ხელმარცხნივ მოგზაურთათვის განკუთვნილი ოთახებია. თაღზე ფართო ბანია, სადაც აზიელები, თავიანთი ჩვეულების თანახმად, ღამეს ატარებენ ხოლმე ზაფხულის პაპანაქება სიცხეში.

მეორე დღეს, 18 (30) სექტემბერს, დილის ექვს საათზე გავემგზავრეთ კაზაკების ცხენებით. ჩავედით ბაქოში, რომელიც ამ ადგილიდან 30 ვერსითაა დაშორებული. გზაზე მხოლოდ დაუსახლებელი ადგილები, შიგადაშიგ - მოუსავლიანი ველები და ბორცვები გვხვდებოდა. ამ ქალაქამდე ექვს ვერსზე საკმაოდ მაღალ მთაზე ავედით და როცა მის მწვერვალზე მოვექეცით, დავინახეთ კასპიის ზღვა და ყურის სიღრმეში მდებარე ბაქო.

შევჩერდით გარეუბანში მდებარე კაზაკთა საგუშაგოში. რამდენიმე საათით შესვენების შემდეგ ერთი ჯარისკაცი გამაყოლეს და წავედი ქალაქის კომენდანტთან, რომელთანაც მთავარმართებელმა ერმოლოვმა რეკომენდაცია გამიწია. თანმხლები ჯარისკაცი გზას გვიკაფავდა ბაზარში და ყველას, ვინც კი მისგან მარჯვნივ ან მარცხნივ გზაზე შეხვდებოდა, ხელს კრავდა. ასეთი საქციელი ვაჭრებს სულაც არ სწყინდათ, პირიქით - ისინი თითქოს კიდეც ერთობოდნენ ამით.

სომეხი პოლკოვნიკი მელიქოვი[24] (Melicoff) რომელსაც კომენდანტის პოსტი ეკავა, მშვიდი და ამასთანავე, მტკიცე ხასიათის კაცი გახლდათ. მან საუცხოოდ მიმიღო, მაშინვე გაგზავნა კაცი საგუშაგოში ჩვენი ეტლების წამოსაყვანად და თავისივე სახლი გვერდით მეტად კომფორტული ბინა მიგვიჩინა. მთელი იმ ხნის მანძილზე, რაც ბაქოში დავყავით, ჩვენ სულ მასთან ვიკვებებოდით, თუმცა ამას უკვე მივეჩვიეთ: ეს წესი თითქმის საერთოა ყველა იმ ქვეყანაში, სადაც პრიმიტიული და მესაქონლე ხალხების ზნე-ჩვეულებათა შორის სტუმართ-მოყვარეობის უკეთილშობილეს ტრადიციას უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება.

თავი XII

ბაქოს აღწერა. შემოსავლები უკანასკნელი ხანებში. ამ ქალაქის აღება გენერალ ციციანოვის (Titianoff) მიერ. ნადირობა სელაპებზე. ბაქოს სახანოს პროდუქცია. ზაფრანას შენახვის წესი. ნავთობსარეწი. მოპოვებული ნავთობის რაოდენობა. ბაქოს ჩირაღდნები. სტატისტიკური ცნობები ამ სახანოს შესახებ. ვაჭრობა. ცნობები კასპიის ზღვისა და მისი ნაოსნობის შესახებ. თურქმანული ცხენები. ბაქოს ვაჭრობის განვითარების პერსპექტივები.

ბაქო მდებარეობს ჩრდილო განედის 390 30'-ზე და აღმოსავლეთის გრძედის 500-ზე. მთას, რომელსაც იგი ეკვრის, ბეშბარმაგი[1] (Beschbarmak) ჰქვია. ზღვის მხრიდან მას სამკუთხა ფორმა აქვს. ქალაქის ყველაზე ამაღლებულ ადგილზე აღმართულია მეჩეთი, რომელიც სპარსეთის ხელმწიფის - აბას II-ის მიერ აგებული ძველი სასახლის ახლოსაა.[2]

ბაქო შედგება დიდი ციხის ანუ ქალაქისაგან და გარეუბნისაგან. აქ ძირითადად სპარსელები ცხოვრობენ, მოსახლეობის დანარჩენ ნაწილს კი სომხები და თათრები შეადგენენ. ქალაქის ქუჩები უკიდურესად ვიწროა, გარეუბნებისა კი - ფართო და სწორი. თითქმის ყველა სახლს ზემოთ ბანი აქვს, რომლის ზედაპირიც ნავთობში არეული მიწით არის მოტკეპნილი, ამიტომაც იგი წვიმას არ ატარებს. ბაზარი კარგად მარაგდება სპარსული და რუსული საქონლით. ერთსა და იმავე დუქანში ვხვდებით ჰამბურგის ფაბრიკებში დამზადებულ შაქრის მშვენიერ რაფინადს, რომელსაც სომხები მაკარიევის ბაზრობაზე ყიდულობენ, და ასევე ნახავთ მაზანდარანის უხარისხო, მოყვითალო ფერის შაქარს, რომელიც ოდნავ არის გაწმენდილი და დაწნეხილია პატარ-პატარა ნაჭრებად. პირველის მომხმარებლები რუსები არიან, მეორისა კი – ადგილობრივი მოსახლეობა.

ბაქოს ქუჩები დიდი ბრტელი ქვებითაა მოკირწყლული, რის გამოც ქალაქში მუდამ სისუფთავეა. ვაჭრობა აქ გამოცოცხლებულია, მაგრამ მაინც საკმაოდ შეზღუდული, რაც იმის შედეგია, რომ ზღვით შემოზიდულ საქონლის უდიდეს ნაწილზე რუსეთის ტარიფის მიხედვით დაწესებულია 25-პროცენტიანი გადასახადი.[(37)] მიუხედავად იმისა, რომ ბაქოში ვაჭრობა დაკნინებულია, საბაჟოს წლიური შემოსავალი აქ ჯერ კიდევ აღწევს 30,000 მანეთს ვერცხლით (120,000 ფრ.).

ბაქო მცირე სახანოს სატახტო ქალაქი იყო. სახანო გეოგრაფიულად შირვანის ტერიტორიაზე იყო შეჭრილი. მისი სუვერენი რუსეთის წინააღმდეგ იბრძოდა, ამიტომ გენერალმა ციციანოვმა სახანოს დედაქალაქს ალყა შემოარტყა. ხანმა იცოდა, რომ ამ შეუპოვარ და მოხერხებულ გენერალს ვერაფერს დააკლებდა, ამიტომ გადაწყვიტა მისი მოკვლა მოლაპარაკების დროს, რომელზეც ეს უკანასკნელი მიიწვია ვითომ იმ მიზნით, რათა შეთანხმებულიყვნენ რუსეთის იმპერატორისათვის სახანოს გადაცემის პირობებზე. სომხებმა, რომლებსაც

---

(37) 1821 წლის 8 (20) ოქტომბრის „უკაზის" შედეგად, რომელმაც ამიერკავკასიის რუსულ პროვინციებში შემოტანილ საქონელზე 5 პროცენტით შეამცირა გადასახადი, ბაქო სულ მალე აღიდგენს უწინდელ კეთილდღეობას.

სარწმუნოების გარდა რუსეთთან საკუთარი ინტერესებიც აკავშირებდათ, რაღაც საშუალებებით მოახერხეს გაეფრთხილებინათ ციციანოვი მოსალოდნელ საფრთხეზე, მაგრამ გენერალმა კეისარივით უპასუხა: „ვერ გაბედავენო“ და თავის ურყევ სიმამაცეს კიდევაც ემსხვერპლა.

ამ ბოროტმოქმედების ჩადენის შემდეგ მოსახლეობას, არცთუ უსაფუძვლოდ, რუსების მხრიდან შურისძიებისა შეეშინდა და აუჯანყდა საკუთარ სუზერენს, რომელმაც ძლივს მოასწრო გაქცევა სპარსეთში.

შირვანის ხანის მსგავსად, ბაქოს ხანიც თავის სამფლობელოში არსებული ყველა მამულისა და შენობის მესაკუთრე იყო; დღეს კი ეს ყველაფერი რუსეთის მთავრობას ეკუთვნის. გარდა საბაჟო და ტერიტორიული შემოსავლებისა, სახელმწიფოს იჯარით აქვს გაცემული სელაპებზე ნადირობის ნებართვა, რაც ბაქოდან რამდენიმე ლიეთი დაშორებულ ერთ კუნძულზე წარმოებს. ეს იჯარა აღებული აქვს სომეხ ვართანოვს (Vartanoff). აქ წლიურად 6 ათასამდე სელაპს იჭერენ; ისინი ზომით უფრო პატარები არიან, ვიდრე კასპიის ზღვის დიდი კუნძულების ბინადარი სელაპები: პირველი მათგანის წონა 25 რუსულ გირვანქამდეა, მეორისა კი - 40-მდე. თითოეულ დაჭერილ სელაპზე მეთევზეებს 50-70 კაპიკს (ანუ სანტიმს) უხდიან. ასტრახანში მათი გადაგზავნა 35 კაპიკამდე ჯდება, აქედან კი ზამთრობით მათ ყაზანში (Cazan) აგზავნიან. სელაპის ზეთი შედის უბრალო საპნის შემადგენლობაში, რომელსაც ამ ქალაქში დიდი რაოდენობით ამზადებენ და იგი მთელ რუსეთში მოიხმარება.

მთავარმართებელმა რეკომენდაცია გამიწია დიდად პატივცემულ სომეხ ვაჭართან - ვართანოვთან, რომლის დახმარებითაც შევაგროვე ცნობები ბაქოს ვაჭრობის შესახებ.

აბრეშუმის მოსავალი, რომელსაც უწინ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ოლქში, დღესაც 12 ათას ფუთს (400 ათას გირვანქას) შეადგენს. 1820 წლისათვის ერთი გირვანქა აბრეშუმი, ხარისხის შესაბამისად, 10-დან 18 მანეთამდე (10-18 ფრ.) ფასობდა. ბაქოს სახანოს მეორე მნიშვნელოვანი პროდუქცია ზაფრანა გახლავთ. წლიურად დაახლოებით 500 ფუთს (16,500 გირვანქას) იღებენ და მისი ფასი 8-დან 15 მანეთამდეა (8-15 ფრ.) მერყეობს. იგი აღმოსავლური ზაფრანის სახელწოდებით არის ცნობილი და ბევრად უფრო ძლიერია ევროპულ ზაფრანასთან შედარებით. უკვე რამდენიმე საუკუნეა, რაც გლეხები მას სეზამის ზეთთან ერთად ზელენ და ამზადებენ ბრტყელ-ბრტყელ კვერებს: მათი გადაზიდვა უფრო იოლია და თანაც ამგვარად დამუშავებული ზაფრანა გაღვივებისაგან დაცულია და მრავალი წლის მანძილზე ინახება; მაგრამ, ამავე დროს, ეს მანიპულაცია ხელს უწყობს თაღლითობას და საშუალებას აძლევს სპარსელებს, არაკეთილსინდისიერად მოიქცნენ და დაუმატონ მას უცხო მინარევები.[38]

ბაქოს პროვინციაში მოჰყავთ, აგრეთვე, ცოტაოდენი ბრინჯი და ველური ენდრო. ბამბა, რომელიც ამ მხარეში ტილოს წარმოებისათვის გამოიყენება,

---

[38] 1823 წელს პარიზის სამეფო ბაღს და სწავლულ ბოტანიკოსს ბ-ნ გეის (Gay) ბაქოს ზაფრანის 300 ბოლქვი გავუგზავნე. მათ მშვენივრად იხარეს ლუქსემბურგის ბაღში, მაგრამ მიღებული ნაყოფი არაფრით განსხვავდებოდა გატინეს (Gatinais) ზაფრანისაგან.

მაზანდარანიდან შემოდის. იგი მოკლებოჭკოიანია, მაგრამ საკმაოდ ფაფუკია და ქათქათა თეთრი ფერი აქვს. ჩვეულებრივ, იგი ერევნიდან შემოტანილზე უფრო ძვირად ფასობს, თუმცა ამ უკანასკნელზე არცთუ ბევრად უკეთესია.[39]

ბაქოს მაზრის ბევრად უფრო მნიშვნელოვანი პროდუქცია შავი და თეთრი ნავთობია, რომელსაც ზღვასთან ახლოს ამოთხრილი ჭებიდან იღებენ. ჭების სიღრმე ათიდან სამოც ფუტამდეა. იმის გამო, რომ ამ ქვეყანაში დიდი სიცხეები იცის, ნავთობის ზედა ფენა მეტად ბლანტია, ქვედა კი - რომელიც სიღრმეშია, - უფრო თხევადი. შავი ნავთობი, ჩვეულებრივ, გვხვდება ქვიშაქვისა და ზოგიერთი სხვა ქანებშერეულ თიხიან მიწაში, რომლის ძირშიც ასევე ქვიშა ჭარბობს. დაბალ ადგილებში და ზღვის ნაპირას არსებული ნავთობი წყლის სიღრმიდან ამოდის და ზედაპირზე ტივტივებს.

თეთრი ნავთობი სავარაუდოდ იგივე შავი ნავთობი უნდა იყოს, ოღონდ ქვიშაქვის ფენის გამჭოლი ინფილტრაციის მეშვეობით გაწმენდილი და გათეთრებული; მას ისეთივე გემო აქვს და აბსოლუტურად იგივე თვისებები გააჩნია, რაც შავ ნავთობს ახასიათებს.

ნავთობის ჭები მთავრობისაგან იჯარით აქვს აღებული ერთ სომეხს - ლეიტენანტ ტარუმოვს (Taroumoff). შავ ნავთობის სარეწში იგი წლიურად იხდის იჯარას - 51,000 მანეთს ვერცხლით (204,400 ფრ.), ხოლო თეთრისაში - 1550 მანეთს ვერცხლით.

შავი ნავთობის მოსაპოვებლად ასამდე ჭაა ამოთხრილი, თეთრისათვის კი - თხუთმეტი. ამოღებული ნავთობი ურმებით მთლიანად გადააქვთ ბაქოში, აქ კი მას ცისტერნებში ინახავენ. ბიტუმის უდიდესი ნაწილი სპარსეთში იგზავნება, სადაც მას დიდი გამოყენება აქვს. შავ ნავთობს წლიურად მოიპოვებენ და ყიდიან 241,020 ფუთის, ანუ დაახლოებით 80,000 ცენტნერის ოდენობით. აქედან მარტო სპარსეთს გააქვს 214,920 ფუთი, დანარჩენი კი ადგილობრივად მოიხმარება ან იგზავნება ასტრახანში. ჩვეულებრივ, ერთი ფუთი შავი ნავთობის ფასი სულ ერთი მანეთია ასიგნაციით, მაგრამ ყოველთვის ნაღდ ფულს ან ისეთ საქონელს მოითხოვენ, რომელიც მოიჯარადრეებს ესაჭიროებათ. თეთრი ნავთობი დაახლოებით 800 ფუთზე მეტი არ იყიდება; ერთი ფუთის ჩვეულებრივი ფასია 10 მანეთი და 50 კაპიკი ასიგნაციით.

ლეიტენანტ ტარუმოვს 11,055 მანეთად ვერცხლით, ანუ 44,220 ფრანკად იჯარით აქვს აღებული აგრეთვე ბაქოს პროვინციის ტბები. მარტო მასაზირის[3] (Massasir) ტბიდან, რომელიც ბაქოდან ჩრდილოეთით 20 ვერსზეა, თავისუფლად შეუძლიათ მიიღონ 600,000 ფუთი მარილი. მოიჯარადრე კმაყოფილდება 150,000-ის ამოღებით, რომელსაც წლიურად ყიდის. მარილი (Kalvard), რომელიც 666

---

[39] იმპერატორი შაჰ აბასი კეთილგანწყობილი იყო მაზანდარანის მოსახლეობისადმი, მათაც არაერთხელ დაუმტკიცებიათ მისთვის ერთგულება. სწორედ შაჰის წყალობით გაკეთდა ის მშვენიერი გზა, რომელიც უწინ ასთარაბადიდან სალიანში მიემართებოდა. დღეს ეს გზა იშვიათად გამოიყენება და თითქმის მიტოვებულია. ამავე პროვინციაში შაჰმა ასევე ააგო მშვენიერი სასახლეც, რომლის ნანგრევები 1787 წელს ინგლისელმა მოგზაურმა ფორსტერმა (Forster) მოინახულა. შაჰმა აქ 400 ათასი სომეხი ჩაასახლა, მაგრამ 50 წლის შემდეგ მათგან მხოლოდ 400 ოჯახიღა დარჩა: ასეთი სახის ცვლილებები ხდება აზიაში.

გირვანქას იწონის და არა 8 ცენტნერს, როგორც ამას არაერთი მოგზაური ვარაუდობს, იყიდება 1 მანეთად და 25 კაპიკად ვერცხლით, ანუ 5 ფრანკად. ეს მარილი ქათქათა თეთრია, მაგრამ ოდნავ მწკლარტე გემო აქვს.

ბაქოში რვა დღე დავრჩით და განა შემეძლო, ამ ხნის მანძილზე არ წავსულიყავი აგრერიგად ცნობილი ჩირაღდნების სანახავად, რომელთაც ზოროასტრის სექტანტი ღებრები[4] და ზოგიერთი ინდუსი ეთაყვანებიან. როცა ქალაქიდან გამოვედით, მარჯვენა მხარე დავიჭირეთ, გადავლახეთ ორი გორაკი, რომელთაგან ერთი საკმაოდ მაღალი იყო, შემდეგ კი ორი სოფელიც გავიარეთ. ამ სოფლების მცხოვრებნი, ნაწილი სომხები და ნაწილი კი სპარსელები, ჩვენს სანახავად გარეთ იკრიბებოდნენ.

ოთხი საათი ვიარეთ საკმაოდ უნაყოფო მხარეში და მივადექით ოთხკუთხა ადგილს, რომელსაც ლარტიშიგეის უწოდებენ (Lartichigay). მას გარს აკრავს ქონგურებიანი კედლები, ხოლო ინტერიერში დგას მონასტერი ცეცხლთაყვანისმცემლებისათვის.[5] შუა ეზოში აღმართულია საკურთხეველი, სადაც რამდენიმე საფეხურიანი კიბით ადიან. ყველა კუთხეში ჩანს ოთხკუთხა ფორმის, დახურული, 25 ფუტის სიმაღლის მქონე კვამლსადენი. გაზისაგან მიღებული ალი ამ კვამლსადენიდან 2-3 ფუტის სიმაღლეზე ამოდის; ღამით იგი კარგად ჩანს ბაქოს კომენდანტის სახლის ბანიდან. საკურთხევლის ცენტრში, თითქმის მიწის დონეზე, ცეცხლის დასანთები ადგილია, საიდანაც ალი ასევე თანაბრად და უწყვეტად ამოდის. ასეთია მარადიული ჩირაღდნები, რომლებიც ამდენი საუკუნის მანძილზე თაყვანისცემის მუდმივ ობიექტს წარმოადგენს ზოროასტრის მიმდევართათვის. ამ წმინდა გალავნის კედლებს ოციოდე სენაკი ეკვრის; ზოგში ინდუსები ცხოვრობენ, ზოგში კი ფარსები (Parsis), ანუ ძველ ღებრთა შთამომავალნი. იმ სპარსული ოჯახებიდან, რომლებიც მოგვთა რელიგიის ერთგულნი დარჩნენ, სულ ცოტა გადაურჩა იმ სისხლიან შემოსევებს, რომელთა ასპარეზიც იყო მათი სამშობლო მუსლიმობის დასაბამიდან. თითქმის ყველა მათგანი იაზდში და სამხრეთ სპარსეთის სხვა ქალაქებში ცხოვრობს. არაბთა შემოსევის დროს რამდენიმე ოჯახი მალაბარისა[6] და განგის ნაპირებზე გადაიხვეწა, სადაც დღემდე ცხოვრობენ. მათ შენარჩუნებული აქვთ წინაპართა სარწმუნოება და ზნე-ჩვეულებანი.

მონასტერში მცხოვრები ბერები, ჩვეულებრივ, შავგვრემანები და უკიდურესად გამხდრები არიან. მშვიდი გამომეტყველების მიღმა, რაც ესოდენ დამახასიათებელია ინდუსებისათვის, მათ მზერაში რაღაც პასიურობისა თუ მერყეობის მსგავსი გამოსჭვიოდა. ზოგი მათგანი მიტკლის სამოსელში იყო გახვეული, ორი კი – სრულიად შიშველი იყო და მხოლოდ ტილოს ქამარი ერტყა.

მათ შორის იყო, ყოფილი სიფაი (cipaye) ჯარისკაცი, რომელსაც დიდხანს უმსახურია ინგლისური ჯარის ინდოელთა ასეულში. როცა გვერდით ჩავუვლიდით, იგი უმალ შეჩერდებოდა ხოლმე მოკრძალებული ჯარისკაცის პოზაში, თითქოს თავისი ოფიცრების წინაშე იდგა. მასთან ინგლისურად გასაუბრება მოვინდომე, მაგრამ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა, რადგან სულ რამდენიმე ინგლისური სიტყვაღა ახსოვდა. ღებრების საცხოვრებელი სენაკები გაკრიალებული იყო; ყველგან ორი თუ სამი სასანთლე ან თიხის მილი ჩაეფლოთ მიწაში. ცეცხლის

მიახლოებისთანავე ალი ჩნდებოდა, მაგრამ სულ მცირე მოძრაობითაც კი ადვილად ქრებოდა. გაზს, რომელიც ცეცხლს წარმოშობდა, არასასიამოვნო სუნი ჰქონდა, რასაც ინდუსებიც კი თავიანთ სენაკებში დიდხანს ვერ უძლებდნენ.

მონასტრიდან გამოსვლის შემდეგ გავემართეთ აქედან ორი-სამი ვერსის დაშორებით მდებარე ნავთობის ჭების სანახავად; მათი უმეტესი ნაწილი საკმაოდ ვრცელ, მოგრძო პარალელოგრამის ფორმის ადგილზე მდებარეობს, რომელიც თითქოს ჩაფლულია 7-8 ფუტის სიღრმეზე გაშლილ დაბლობში. ჰაერი მთელ გზაზე ნავთობისა და გაზის სუნით იყო გაჟღენთილი.

სწავლულ ფიზიკოსებსა და ქიმიკოსებს რომ ბაქოს ჩირაღდნები ენახათ და ყველა მათ თვისებაში გარკვეულიყვნენ, ალბათ დიდი ხნის წინ მოიფიქრებდნენ განათების მიზნით გაზის გამოყენებას, როგორც ეს ჩვენს დროშია მიღებული. მრავალი საუკუნის განმავლობაში ამ მხარის მოსახლეობა გაზს კირის წარმოებისათვის ხმარობდა. ნავთობის ჭებთან ახლოს 15-20 კირის საწვავი ღუმელი ვნახეთ.

ბაქოს სახანოს ტერიტორიის სიგრძე დაახლოებით 80 ვერსია, სიგანე კი - 60. უწინ იგი მჭიდროდ იყო დასახლებული, დღეს კი მისი მოსახლეობა 13,706 სულს არ აღემატება, რაც 3862 ოჯახს შეადგენს, რომლებიც 39 სოფელში ბინადრობენ. მამაკაცსა და ქალს შორის აქ თითქმის ისეთივე მნიშვნელოვანი დისპროპორციაა, როგორც საქართველოსა და იმერეთში: არ ვიცი, ეს იგივე მიზეზითაა გამოწვეული, თუ არა. ასეთ მცირერიცხოვან მოსახლეობაზე მამაკაცთა რაოდენობა 1718-ით ჭარბობს ქალებისას; მარტო ქალაქ ბაქოსა და მის შემოგარენში 1137 ოჯახი, ანუ - 5152 სული ცხოვრობს. ამ საკმაოდ ზუსტი ცნობებიდან ჩანს, რომ სახანოში უნდა ყოფილიყო 471 აქლემი, 2929 ცხენი, 4974 ხარი-ძროხა და 42,460 ცხვარი. ხეხილის ბაღების რაოდენობა შეადგენს 1794, ხოლო შემოღობილი ნაკვეთებისა, სადაც ზაფრანაა გაშენებული, - 1207-ს.

ბაქო უძველესი ქალაქია. დერბენდის მსგავსად, მასაც აქვს პრეტენზია, რომ ოდესღაც აქ ყოფილა ალექსანდრე მაკედონელი. ბაქოს ერთ-ერთ კოშკზე იკითხება სპარსული წარწერა, რომელიც გვამცნობს, რომ იგი 500 წელზე მეტი ხნის წინათ შეუკეთებიათ. ორი სხვა კოშკიც ასეთივე ძველი უნდა იყოს.

ხანის სასახლე ნანგრევებადაა ქცეული; აქ უკიდურესად გაჭირვებული თათრებისა და სპარსელების 37 ოჯახი ცხოვრობს. აქა-იქ სასახლეს შემორჩენილი აქვს ძველი სიდიადის კვალი; იგი ქალაქის ყველაზე შემაღლებულ ადგილას დგას - იქ, სადაც ჰაერი უფრო ჯანსაღია. ქალაქის გარეუბანი ახალი აშენებულია: თითქმის ყველა სახლი მიწისა და წნულისაგან არის ნაგები.

ბაქოს პროვინციის მოსახლეობას მშვიდობიანად იმართება. რეგულარულმა სასამართლომ შეცვალა თვითნებური მართლმსაჯულება, რომელსაც უწინ ემორჩილებოდნენ. თუმცა მათ შეუნარჩუნეს თავიანთი ადათების ნაწილი, რაც ხალხისათვის ხშირად სასიცოცხლო მოთხოვნილებას წარმოადგენს, მაგრამ მოსამართლეებს უფლება მიეცათ, სამოქალაქო საქმეებისათვის ან ძველი კანონები მიესადაგებინათ, ან - რუსული. ამასთანავე, სისხლის სამართლის კოდექსით გააუქმეს სიკვდილით დასჯა და სხეულის დასახიჩრება, რითაც მუსლიმურ სამართალს სახელი აქვს გატეხილი. მოსამართლეთა ნაწილი სპარსელია, ნაწილი კი

- სპარსული ან თათრული ენის მცოდნე რუსი. ეს ენა ფართოდაა გავრცელებული ამ მხარეებში.

ალბათ, ბრძნული მმართველობა და მშვიდობიანი ცხოვრების უპირატესობა შთააგონებს ბაქოს სახანოს მოსახლეობას, რომ სრული ნდობით მოეკიდოს რუსეთის მთავრობას; თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ვაჭრობით დაგროვილი ოქრო ჯერ კიდევ მიწაში აქვთ ჩაფლული და რომ კასპიის ზღვის მოსაზღვრე ქვეყნებთან ბაქოს ჯერაც არავითარი ურთიერთობა არ დაუმყარებია; თუმცა, ვფიქრობ ამის განხორციელებას წინ არაფერი ეღობება. ეს ვითარება უთუოდ შეიცვლება, როცა რუსეთსა და სპარსეთს შორის შეთანხმება დაიდება, ამ ორი იმპერიის საზღვარი არაქსზე გავა და ძველი სახანოების მოსახლეობაც სრულ სიმშვიდეს მოიპოვებს.

ბაქოსა და თბილისს შორის სავაჭრო კავშირები უმნიშვნელოა: ნავსადგურიდან საქართველოს დედაქალაქში ეზიდებიან ნავთობს, ხიზილალას, რკინას და ზოგიერთ სხვა საქონელს, რომელიც ბაქოში სპარსეთიდან და ასტრახანიდან შემოდის. გადაზიდვას აწარმოებენ ურმებით (არაბატს - თათრული ურმები), 12 დღეში ან ორ კვირაში, სრული გარანტიით. გადაზიდვის ღირებულება ფუთში 2 მანეთია ასიგნაციით ანუ - ცენტნერში 6 ფრანკი.

ადრე ბაქოში ბევრი ხომალდი შემოდიოდა ასთარაბადიდან, ანზალიდან და კასპიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს სხვა ნავსადგურებიდან. დღეს კი ამ პორტში მხოლოდ 60-70 ხომალდი თუ შემოდის.

ითვლება, რომ კასპიის ზღვაზე ნაოსნობა რთული და სახიფათოა. ასტრახანიდან შემოსული გემები ზღვაში იშვიათად გადიან 1 მაისამდე და თითქმის ყოველთვის შემოდიან 1 ნოემბრამდე; მაგრამ ფაქტია, რომ ექვსი წლის მანძილზე იმპერიის საზღვაო ხომალდებს შორის გემის დაღუპვის არც ერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა; და თუკი სავაჭრო გემების შემთხვევაში მდგომარეობა განსხვავებულია, მათი დაღუპვის მიზეზი გახლავთ არა ამ ზღვაზე ნავიგაციის საშიშროება, არამედ კაპიტნების სრული უმეცრება: მათმა უმრავლესობამ წერა-კითხვაც კი არ იცის, რუკითა და კომპასითაც ვერ სარგებლობს.

შიდა ზღვებს შორის კასპიის ზღვის შესახებ ყველაზე მეტი ჰიპოთეზა და ვარაუდია გამოთქმული; სტრაბონი დარწმუნებული იყო, რომ იგი ვიწრო სრუტით ჩრდილოეთის ოკეანეს უკავშირდებოდა. ეს აზრი იუსტინიანეს დროსაც არსებობდა. ასეთი შეცდომა გასაკვირია თუნდაც იმიტომ, რომ, სტრაბონამდე ხუთასი წლით ადრე, ჰეროდოტეს იგივე ზღვა საკმაო სიზუსტით ჰქონდა აღწერილი.

1558 წლამდე, როდესაც ინგლისელმა ჯენკინსონმა[7] (Jenskison) კასპიის ზღვის სანაპიროს გასწვრივ რუსი ვაჭრების ქარავანთან ერთად იმოგზაურა, საერთო შეხედულების თანახმად, ამ ზღვის სიგრძის მიმართულებას აღნიშნავდნენ არა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ (როგორც ეს სინამდვილეშია), არამედ –აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. სტრუისმა[8] (Struys) კი, რომელიც აქ მოგვიანებით იმყოფებოდა, თავის რუკაზე ეს ზღვა ბევრად უფრო დიდი სიგრძით დაიტანა.

კასპიის ზღვის მოხაზულობის სიზუსტისათვის, საჭიროდ ჩავთვალე ჩემი „მოგზაურობისათვის“ დამერთო რუკა, რომელიც 1819 წელს პეტერბურგის რუკების საცავში დაცულ რუკას შემცირებული სახით იმეორებს. მე მას მეორე

რუკაც დავურთე, სადაც ამ ზღვის ძირითადი ყურეებია აღნიშნული ისეთივე მასშტაბით, როგორც რუსულ რუკაზე.

იმასაც ფიქრობდნენ, რომ ოდესღაც კასპიის ზღვა დიდი ხნის განმავლობაში აზოვის ზღვას უკავშირდებოდა. უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ორ ზღვას შორის მდებარე ტერიტორიაზე ზედმიწევნითი დაკვირვება ამ აზრს გარკვეულ დამაჯერებლობას ანიჭებს. დაბოლოს, იმასაც ამტკიცებდნენ და ახლაც ირწმუნებიან, რომ კასპიისა და სპარსეთის ყურეს შორის მიწისქვეშა კავშირი არსებობს. ამ ვარაუდის დასამტკიცებლად მოჰყავთ ის ფაქტი, რომ ყოველ წელს, ზამთრის დადგომისას, სპარსეთის ყურის ნაპირებზე, იქ, სადაც კასპიის ზღვა ყველაზე ახლოსაა, ტივტივებენ ისეთი ხეების ფოთლები და ტოტები, რომლებიც სამხრეთ სპარსეთისათვის უცხოა და მხოლოდ გილანსა და მაზანდარანში იზრდება.

ამ, მეტ-ნაკლებად დამაჯერებელი, ვარაუდების გარდა არსებობს ერთი საინტერესო და თანაც - უდავო ფაქტი: კასპიის ზღვა, რომელიც ურალით, ვოლგითა და სხვა ნაკლებად მნიშვნელოვანი მდინარეებით იკვებება, ყოველ-წლიურად არა მარტო პერიოდულად იმატებს ამ მდინარეების მსგავსად, არამედ მისი სიღრმეც ასევე განიცდის ცვალებადობას, რაც საუკუნეების განმავლობაში აღინიშნება.[9]

ამჟამად კასპიის ზღვა იკლებს და წყლის დონის დაცემა იმდენად შესამჩნევია, რომ თუკი ამ ოთხი წლის წინ ამ ზღვაზე 18-ფუტიანი წყალწყვის მქონე ხომალდებს შეეძლოთ ნაოსნობა, დღეს აქ არა უმეტეს 15-ფუტიანი წყალწყვის შიგა გემები დაცურავენ.

სულ რამდენიმე წლის წინ კასპიის ზღვის ტალღები ბაქოს გალავნის კედლებს ეხეთქებოდა; დღეს კი ზღვა ძალზე დაშორებულია ნაპირს. ამის გამო იმპერიის სამხედრო ხომალდები ბაქოს ყურეში ვეღარ დგებიან, ისინი 15 ვერსით დაშორებულ საკმაოდ მოხერხებულ კუნძულ სარას[10] (Sara) პორტში ჩერდებიან.

წყლის დაკლების შედეგად თავდაპირველად დიდი ქარვასლის ზედა, შემდეგ კი - ქვედა ნაწილიც გამოჩნდა. იგი ზღვაში დგას და ნაპირიდან ორ ვერსზე მეტით არის დაცილებული. ამგვარად, არცთუ ისე შორეულ ეპოქაში კასპიის ზღვის დონე ბევრად უფრო დაბალი იყო დასავლეთი ნაპირის მხარეს, ვიდრე ახლაა, როცა მისი დაკლება შესამჩნევი გახდა.

ამ თავისებური მოვლენის დასასაბუთებლად აღვნიშნავ, რომ ადგილობრივი გადმოცემის თანახმად, ძველად კასპიის ზღვის გასწვრივ მიმოდიოდნენ ლენქორანიდან[11] (Lankara) სალიანამდე, დღეს კი ეს გზა, ადგილ-ადგილ ზღვის წყლითაა დაფარული და გასავლელი აღარ დარჩა.

წყლის დონის დაკლების გამო, რამდენიმე ახალი კუნძულიც გამოჩნდა. ერთ-ერთი მათგანი რამდენიმე ვერსზეა გადაჭიმული. ნიადაგი აქ ძალზე მყარია და რამდენიმე წელიწადში, ისე როგორც კასპიის ზღვის დანარჩენ კუნძულებზე, აქაც ალბათ მეთევზეები დასახლდებიან.

ბაქოში ყოფნისას ჩემს ვაჟსა და თარჯიმანს იმდენად მძლავრად შეუტია ციებ-ცხელებამ, რომ სამწუხაროდ, ვეღარ მოვახერხე თევზსაჭერი გემით სარას კუნძულზე წასვლა, რათა მენახა წყლის დაკლების შემდეგ გამოჩენილი ქარვასლა, ახალი კუნძული და აგრეთვე ის კუნძულიც, სადაც სელაპების რეწვა წარმოებს.

ბაქოდან გამგზავრებამდე კომენდანტმა გვაჩვენა ექვსი თურქმანული ცხენი, რომლებიც რამდენიმე თვის წინ ბალხანის (Balkan) ყურიდან ჩამოუყვანიათ. მათ შორის პირველი ადგილი უკავიათ თექის (Teki) ჯიშის ცხენებს; მათზე მაღლა მხოლოდ ნეჯდის (Nedji) არაბული ცხენები დგანან, შემდეგ მოდის იამუცის (Yamoutz) ჯიშისა - ბესთამის[12] (Bestan) გარეუბნებიდან, ასთარაბადის ზემოთ; დაბოლოს, კუკულანისა (Koukoulans) - იმავე კუთხიდან.

ეს ცხენები სიმაღლითა და ძლიერი კიდურებით გამოირჩევიან და ხორასნის ყველაზე წვივმაღალ ცხენებს გვანან. მათ მეტი გაბედულება აქვთ, უფრო მაგარი აგებულებისანი არიან, უკეთ იტანენ დაღლილობას, უფრო სწრაფად და დიდხანს დარბიან, ვიდრე ყველა სხვა ცნობილი ჯიშის ცხენი. არიან ფიცხნი და შეუპოვარნი, ძალზე მორჩილნი, თუკი კარგად გაწვრთნიან და იმდენად მომთმენნი, რომ შეუძლიათ ქერის მცირეოდენი ულუფით დაკმაყოფილდნენ და მიუხედავად ამისა, მთელი დღის განმავლობაში შეუსვენებლად იარონ.

ზოგიერთები ირწმუნებიან, რომ ამ ცხენებს 24 საათის მანძილზე შეუძლიათ შეუსვენებლად დაფარონ 30 ფარსანგიანი (75 ლიე) გაშლილი სივრცე. სპარსეთში, გარდანის[13] საელჩოს ერთ-ერთი ოფიცერი, რომელმაც ეს ცნობა მომაწოდა, მარწმუნებდა, რომ როცა ბიძამისის სიკვდილის ჟამს ფათჰ ალი შაჰი ცდილობდა, დროულად ჩასულიყო შირაზიდან ისფაჰანში, რათა არ დაეშვა ხელისუფლების უზურპაცია, მას 24 საათში დაუფარავს ამ ქალაქებს შორის მანძილი (96 ლიე) სწორედ ამ თურქმანული ჯიშის ცხენით.

ამიერკავკასიის რუსულ პროვინციებში, თბილისის შემდეგ, ბაქოს ყველაზე უკეთესი ადგილმდებარეობა აქვს ფართო ვაჭრობის თვალსაზრისით. როცა საქართველოს დედაქალაქი აზიის მთავარ ბაზრად გადაიქცევა, ბაქო მისი აუცილებელი ფილიალი გახდება. იგი ყველაზე ხელსაყრელი ადგილია ბუხარიდან, ქაშმირიდან და ტიბეტიდან, აგრეთვე იაზდიდან, ისპაჰანიდან, ავღანეთიდან თუ ინდის ნაპირებიდან (მულტანიდან მოყოლებული გუჯარათამდე (Guzurate) შემოტანილი საქონლის გადასაზიდად.

1820 წელს ვოლგაზე ააგეს თბომავლები; სავსებით შესაძლებელია, ეს სასარგებლო სიახლე ამ მდინარიდან კასპიის ზღვაზეც გავრცელდეს. მაშინ, წელიწადის ნებისმიერ დროს, ბაქოდან გასული გემები სამ დღეში ჩავლენ ბალხანის ყურეში, ასთარაბადში, ბალფუროშში (Balfruch). ბალხანის ყურიდან კი ოც დღეში ქარავნები მივლენ ხივაში, ოცდახუთ დღეში - ბუხარაში და ოცდაათ დღეში - სამარყანდში.[14] ამგვარად, ბუხარელებთან მიმოსვლა ამ გზით განხორციელდება იგივე დროში, რაც საფრანგეთის ერთი ბოლოდან მეორემდე მისასვლელად არის საჭირო. ბუხარელები კომერციული ტრადიციების მქონე ხალხია და მათი სავაჭრო ურთიერთობა ჩინეთამდე, ტიბეტამდე და პენჯაბამდე აღწევს.

მაზანდარანის ნაპირზე ბალფუროშიდან ქარავნები ათ დღეზე ნაკლებ ხანში ჩავლენ თეირანში, ოცდახუთ დღეში კი - ისპაჰანში, სადაც დიდძალი საქონელი შემოდის ინდის ნაპირებიდან (Indus). სრული ერთი თვეც კი არ არის საჭირო ცენტრალურ სპარსეთთან ბაქოს დასაკავშირებლად; ბოლოს, ასთარაბადიდან სულ რამდენიმე დღეში მივლენ მაშჰადში (Mesched) და ჰერათში[15] (Hérat) - ხორასნის ორ ყველაზე მნიშვნელოვან სავაჭრო ქალაქში.

იმ დროს, როდესაც 40 წლის წინ სახელგანთქმული მოგზაური ფორსტერი[16] (Forster) შიშით მოდიოდა ამ მხარეში და ვერ ბედავდა თავისი ინგლისელობა გაემჟღავნებინა, ევროპაში ცოტა რამ იყო ცნობილი ამ ქვეყნების შესახებ, რომლებთანაც ეს სავაჭრო ურთიერთობები უნდა დამყარებულიყო. დღეს, თუკი რუსეთი აზიის დიდ სახელმწიფოთა საზღვარზე უზარმაზარი ჯარით დგას და ამ ტერიტორიებს იცავს, მას საკმაო გავლენაც გააჩნია, რათა საქართველოსაკენ მომავალი ქარავნები ყოველგვარი ხიფათისაგან დაიცვას.

იმ მოტივებს შორის, რომელთა გათვალისწინების შემთხვევაშიც ინდის მოსაზღვრე უმდიდრეს პროვინციათა ქარავნები თბილისისაკენ აიღებენ გეზს, ყველაზე მნიშვნელოვანი გახლავთ ის, რომ ამ ბაზრით თავიდან აიცილებენ ინდოეთის ინგლისური კომპანიის მონოპოლიას. აქაური ინდიგო და სხვა ძვირფასი ან კომპანიის მფლობელობაშია, ან კომპანიას აკრძალული აქვს ამ ნაწარმით ვაჭრობა, ანდაც დაბეგრილია დიდი გადასახადებით, რათა კონკურენციამ ხელი არ შეუშალოს იგივე სახეობის პროდუქციის რეალიზაციას, რაც მისი შემოსავლის ნაწილს შეადგენს. მთელი სასურსათო საქონელი შემოვა თბილისის ბაზარზე, სადაც იგი ევროპულ საქონელზე გაიცვლება; ხოლო საფრანგეთი, უდავოდ, ევროპულ სახელმწიფოთაგან იქნება ერთ-ერთი, ვინც თავისი მრავალფეროვანი სამრეწველო საქონლის მეშვეობით შეძლებს უდიდესი მოგების მიღებას ამ ახალი სავაჭრო ურთიერთობების შედეგად, რომელსაც ჯერ კიდევ არ ენიჭება სათანადო მნიშვნელობა.

შარდენი გვიამბობს, რომ როდესაც შაჰ აბას I-მა სომხები ქალაქ ჯულფადან[17] (Yulfa) ისპაჰანის გარეუბანში გადაასახლა (რომელსაც მათივე ძველი სამშობლოს სახელი უწოდა), სომეხი ვაჭრები ერთიანად გაკოტრდნენ, მაგრამ 30 წლის შემდეგ მათ ისეთ სიმდიდრეს მოუყარეს თავი, რომ ამ ვაჭართაგან 60-ზე მეტმა ადამიანმა, თითოეულმა მილიონ ნახევრიდან ორ მილიონამდე კრონი (8-დან 10 მილიონამდე ფრ.) დააგროვა. თუკი ეს მაგალითი არ შეიძლება მივუსადაგოთ ახლანდელ დროს, ყოველ შემთხვევაში, იგი იმას მაინც ადასტურებს, თუ რა შედეგი შეიძლება მოიტანოს ვაჭრობამ ამ მხარეში. მე არ ვგულისხმობ, რომ ეს მხოლოდ ნორმალური მმართველობის პირობებში მოხდება, არამედ ეს ყველაფერი განხორციელდება მაშინ, როცა დესპოტურ რეჟიმის სათავეში მოექცევიან გაწაფული და საქმის მცოდნე ადამიანები, როგორც ეს იყო შაჰ აბასის დროს.

მოვიყვან უახლოეს მაგალითს: ბერძენმა ვარვაციმ[18] (Varvachi), რომელმაც თავი ისახელა თანამემამულეთა მიმართ გაწეული კეთილშობილური საქმეებით, მიამბო, რომ ასტრახანში მდებარე თავის ძირითად სავაჭრო კანტორაში იგი ხშირად ოთხჯერ მეტ მოგებას იღებდა გილანსა და მაზანდარანში გაგზავნილი საქონლის რეალიზაციიდან, ხოლო იქიდან შემოტანილზე კი - ორ-სამჯერ მეტს.

1737 წელს კასპიის ზღვიდან ევროპაში გაგზავნილი საქონელი ვერ სარგებლობდა იმ უპირატესობით, რომ მოკლე ხანში მოხვედრილიყო ადგილზე და ამიერკავკასიის რუსულ პროვინციებზე გავლისას დიდი ხარჯები არ გამოეწვია. იგივე ითქმის ევროპული საქონლის მიმართაც, რომელიც აზიის მოხმარებისათვის იგზავნებოდა; მაგრამ ეს ვაჭრობა ინგლისის ხელისუფლებისათვის მაინც საკმარისად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რამდენადაც მან პრივილეგია მიანიჭა პეტერბურგის ფაქტორიას, მიუხედავად ლევანტისა[19] და აღმოსავლეთ ინდოეთის

კომპანიების პროტესტისა, რომლებიც აცხადებდნენ პრეტენზიას, რომ კასპიის ზღვა მათ კომპეტენციაში შედიოდა. სწორედ პეტერბურგიდან ასტრახანის გავლით წარმოებდა ევროპული საქონლის გადაზიდვა გილანის სანაპიროზე. იგივე გზით ბრუნდებოდა საქონელი გილანიდან, რუსეთის მთავრობას კი უხდიდნენ ბაჟს 8%-ის ოდენობით. ამასთანავე, ამ პერიოდში სპარსეთში ათასნაირი საფრთხე არსებობდა, ხოლო კასპიის ზღვაზე ინგლისური სავაჭრო კომპანიის ხელმძღვანელს - ჰენვეის საამისოდ აუცილებელი მფარველობის გაწევის საშუალება არ ჰქონდა. ამ არახელსაყრელ გარემოებათა მიუხედავად, აღნიშნულმა სავაჭრო კანტორამ წარმატებით იარსება 1734-დან 1745 წლამდე და მხოლოდ იმის გამო იქნა მიტოვებული, რომ 1746 წლის „უკაზმა“ ინგლისელებს ტრანზიტის კონცესია დააკარგვინა. ამრიგად, ეს მაგალითები განამტკიცებენ ჩემს მოსაზრებებს იმის თაობაზე, თუ რა მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს ბაქოს ვაჭრობას.

მე მივუთითე მანუფაქტურული ინდუსტრიის ახალ, მნიშვნელოვანი გასაღების მქონე ბაზრებზე, ვისაუბრე თბილისისა და ბაქოს ხელსაყრელი მდებარეობის თაობაზე, საქონლის უამრავი მომხმარებლისა და გადასაზიდად იოლი გზების უპირატესობის შესახებ; ვამტკიცებდი, რომ ამ ქვეყნებში ვაჭრობას დაცულობის სრული გარანტია ექნება, რაც ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა; მაგრამ ეს ყველაფერი ამაო იქნება წარმატების მისაღწევად, თუკი დიდი კომპანიები ან მძლავრი სავაჭრო სახლები თავიანთ წარმოებას საქმეში ჩაუხედავ ადამიანებს მიანდობენ.

თუკი სავაჭრო კომპანიებს სათავეში ისევ ჩაუდგებიან ბრიუე (Brué),[40] დიუპლეიქსი (Dupleix), და ლაბურდონე[20] (Labourdonnaye), მაშინ აზიის რესურსები თითქმის ამოუწურავი იქნება. ისინი დაუყოვნებლივ აღნუსხავენ ყველა სახის ნედლეულის მოპოვების ადგილებს, დაამყარებენ სავაჭრო ურთიერთობებს არა მარტო აზიის დიდ ვაჭრებთან, არამედ თვით სუვერენებთანაც კი; იპოვიან გასაღების უზარმაზარ ბაზრებს ჩვენი ფაბრიკების ისეთი პროდუქციისათვის, რომლის არსებობის შესახებ დღეს აღმოსავლეთში წარმოდგენაც კი არა აქვთ. მაგრამ თუ ამ მხარეებში გონებაშეზღუდული ადამიანები გაიგზავნებიან, ისინი ყველგან წააწყდებიან სიძნელეებს, წინააღმდეგობებს და დატოვებენ ბაზრებს, რომელთა გამოყენებასაც მოახერხებენ მათზე უფრო ჭკვიანი ადამიანები. ჩემი ძირითადი თემიდან ასეთი ვრცელი გადახვევა განპირობებულია იმ დიდი მნიშვნელობით, რაც ბაქოს ადგილ-მდებარეობას აქვს სავაჭრო თვალსაზრისით.

მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც ამ ქალაქში ვიყავით, ბ-ნ პოლკოვნიკ მელიქოვის ყურადღება ჩვენს მიმართ ერთი წუთითაც არ შენელებულა. მისი პატივისცემა არც გამომგზავრების შემდეგ მოგვკლებია: მან უხვად გამოგვატანა ჩვენთვის საჭირო ყველანაირი სურსათი, რომლის შოვნაც ჩვენ ფრიად გვიჭირდებოდა გზაში.

---

[40] როდესაც სენეგალის კომპანიის ყველაზე ცნობილი მმართველი - ბ-ნი ბრიუ სენ-ლუიში იმყოფებოდა, აფრიკაში საქმეები წარმატებით მიდიოდა; მაგრამ საფრანგეთში კომპანიის მმართველობას ცუდად ხელმძღვანელობდნენ და წესრიგი მხოლოდ მაშინ აღდგებოდა ხოლმე, როცა მას პარიზში გამოიძახებდნენ. ამის გამო იყო, რომ სენეგალში კომპანიის საქმიანობა წარუმატებლობას განიცდიდა.

თავი XIII

ბაქოდან გამგზავრება. კირის საწვავი ღუმელები. კილიაზი (Kiliasi). დივაჩი (Dividje). საშიშროება, რომელსაც ამ მხარის საძოვრები უქმნიან ცხენებს. ყუბა. ცნობები ამ ქალაქის შესახებ. მისი მავნე კლიმატი. ცნობები ყუბის მოსახლეობის შესახებ. ამ პროვინციის სასოფლო-სამეურნეო კულტურები და პროდუქცია. ზიაკური (Ziakour). მისი მოსახლეობა. ქვეყნის პეიზაჟი. ყულარი (Koular). სამური (Zamour). დერბენდში ჩასვლა.

ბაქოდან ოთხშაბათს, 1820 წლის 22 სექტემბერს (4 ოქტომბერს) გავემგზავრეთ ქარვასლა სუმგაითისკენ[1] (Caravanserail-Soumgaita), რომელიც ოცდაათი ვერსითაა იყო აქედან დაშორებული. ქალაქიდან გამოსვლის შემდეგ კვლავ ქარვასლა-რაბათის გზას დავადექით და პირველი ათი ვერსის მანძილზე ამ გზას მივყვებოდით; შემდეგ ხელმარჯვნივ შემოვბრუნდით, გავიარეთ თათრების ორი მშვენიერი სოფელი და მინდვრები, სადაც ბუნებრივი გაზით ანთებული კირის საწვავი ღუმელები ვნახეთ და შემდეგ სუმგაითის საგუშაგოს მივადექით. იგი ძველ, მაგრამ საკმაოდ კარგად შემონახულ ქარვასლის შენობაშია იყო განთავსებული. ბაქოსაკენ მიმავალ გზებზე ქარვასლები ხშირად გვხვდებოდა. ყველა მათგანი ქვითა და აგურით იყო ნაგები და ამ მხარეებს უწინდელი კეთილდღეობის მოგონებად შემორჩა. კაცობრიობის საბედნიეროდ, თვით დესპოტიზმისა თუ აბსოლუტური ძალაუფლების პირობებშიც კი, შიგადაშიგ სასიკეთო პერიოდები ჩნდება ხოლმე. ასე მაგალითად, ტიბერიუსების, კალიგულების, ნერონების, დომიციანების[2] ეპოქაში აგრე რიგად შევიწროვებულმა რომმა კეთილდღეობა და ბედნიერება ჰპოვა ნერვას, ტრაიანეს, ადრიანესა და ორივე ანტონიუსის[3] ზეობის ხანაში; თვით სპარსეთიც კი აყვავებული იყო ხოსრო I-სა და აბას დიდის დროს. ცხადია, მე შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ ზემოთ დასახელებული იმპერატორების გვერდით მოვიხსენიო ეს ხელმწიფეები, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ აქ აბსოლუტური ძალაუფლების მატარებელნი იყვნენ გონიერი და განათლებული სუვერენები, რომლებიც მუდამ თავიანთი ხალხის ინტერესების საკეთილდღეოდ მოქმედებდნენ.

სუმგაითიდან კილიაზამდე[4], სადაც ღამის გატარებას ვვარაუდობდით, 22 ვერსია. ბოლო დღეებში მოსულმა თავსხმა წვიმებმა გზები ისე დააზიანეს, რომ აქ გავლა თითქმის შეუძლებელი გახდა. ამიტომაც კილიაზამდე მისასვლელად დაახლოებით ოთხი საათი დაგვჭირდა. ბაქოდან მოყოლებული, მთელ ამ მხარეში დაბლობები და ბორცვები გვხვდებოდა; მოსახლეობა ცოტა იყო და არც ნათესები ჩანდა.

კილიაზში საკმაოდ კარგი ბინა ვიშოვეთ: ყველა იმ ბინისაგან, სადაც ბოლო ორი კვირის განმავლობაში ვჩერდებოდით, იგი ზედმიწევნითი სისუფთავით გამოირჩეოდა. მეორე დღეს, დილაადრიან გავემგზავრეთ აქედან 25 ვერსით დაშორებულ ხადერზინდეში[5] (Khaderzinder). ამ ორ სადგურს შორის გზა დასერილი იყო მთებით და რიყის ქვებით მოფენილი ხევების დიდი კალაპოტებით, რომელთა ციცაბო ნაპირები მუდმივად დაბრკოლებებს გვიქმნიდნენ. ამის გამო საგუშაგომდე

მისვლას ხუთი საათი მოვანდომეთ. ნასადილევს კვლავ გავემგზავრეთ აქედან 32 ვერსით დაშორებულ დავაჩში.

ეს სოფელი მთლიანად თათრებითაა დასახლებული და, როგორც ჩანს, ისინი კარგადაც ცხოვრობენ. იგი ლამაზ ნარგავებშია ჩაფლული; კაზაკთა შენობები ფართოა და საგულდაგულოდ ნაგები; უცხოელთათვის განკუთვნილი ბინები კი კარგად არის მოწყობილი. სოფლის მამასახლისმა (Maire) თავაზიანად მიგვიღო. ეს თათარი მაღალი ტანისა იყო და სახეზე გამბედაობისა და სიკეთის იერი დაკრავდა. მან უმალვე გვიშოვა ცხვარი, ქათმები, კარაქი, კვერცხი და დიდი გაჭირვებით დავითანხმეთ, რომ ამ ყველაფერში ფული აეღო. მოგვართვეს ხონჩა, რომელზედაც სხვადასხვა ჯიშის ნესვი, საზამთრო, მსხალი და ძალზე მსხვილმარცვლიანი ყურძენი ეწყო.

მთელი ეს მხარე, რომელიც ხადერზინდედან დაწყებული გავიარეთ, ცხენებისათვის დიდად სახიფათოა, თუკი მათ, საუბედუროდ, საბალახოდ გაუშვებენ: აქაურ ბალახებს შორის არის ერთი, რომელიც ამ პირუტყვისათვის მომაკვდინებელ შხამს შეიცავს; თუკი ცხენები მას უზმოზე შეჭამენ, რამდენიმე წუთში იხოცებიან, ნაჭამზე კი აგონია ხანდახან 24 საათს გრძელდება და ამ ბალახის საბედისწერო მოქმედებას იშვიათად თუ გადარჩენია რომელიმე ცხენი.

წინა საგუშაგოსა და ამ საგუშაგოს შორის, სადაც ჩვენ ვიმყოფებოდით, გზიდან ოდნავ მოშორებით უამრავი დახოცილი ცხენი ვნახეთ. როგორც აგვიხსნეს, ეს იმით იყო გამოწვეული, რომ თურმე ვერ მოასწრეს კაზაკთა კაპიტნის დროულად გაფრთხილება ამ საძოვრებზე არსებული საშიშროების შესახებ; 46 ცხენიდან, რომლებიც ექვსიოდე კვირით ადრე ჩამოეყვანა, ერთიც კი ვერ გადაურჩენიათ. მათი ლეში ძაღლების, ყვავებისა და ვეებერთელა ძერების საჯიჯგნად ეყარა. ამ უხვი ნადავლის გასანაწილებლად, ეს სხვადასხვა ცხოველები თითქოს სრული შეთანხმებით მოქმედებდნენ.

ბაქოს სახანოში ლაშქრობისას გენერალი ციციანოვი დაუდევრობით არ გააფრთხილეს ამ საშიშროების შესახებ და მას ერთ ღამეში დაეხოცა 250 ცხენი, რომლებიც მის არტილერიას ეზიდებოდნენ. ამ მოულოდნელმა გარემოებამ მას მთლიანად ჩაუშალა ლაშქრობის გეგმა და აიძულა განჯის ალყა შემდგომი წლისათვის გადაედო. ერთი საუკუნით ადრე იგივე უბედურება თავს დაატყდა პეტრე დიდის ჯარს, როცა იგი შემახაზე სალაშქროდ მიემართებოდა.[6]

ამ მცენარის თვისებების შესახებ გარკვევით ვერაფერი მითხრეს, მაგრამ ბ-ნი გრაფი დე ლეზერი (Laizer), რომელიც დიდხანს მსახურობდა რუსეთის არმიაში და იყო გენერალ ბენიგსენის[7] (Benigsen) ადიუტანტი დაღესტანში, მარწმუნებდა, რომ ცხენებისათვის ესოდენ სახიფათო მცენარე იყო პონტიკური აბზინდა[8] (Absynthe pontique), რომელიც სხვა მცენარეებს მოწყვეტილი ყლორტებით საზრდოობს; ცხვრისა და საქონლისათვის იგი სრულებითაც არ არის მავნე, როგორც ჩანს, ეს მცენარე მხოლოდ ცხენის კუჭს აღიზიანებს, რის შედეგადაც ეს უკანასკნელნი კრუნჩხვის მაგვარი დაავადებით იხოცებიან. ბ-ნ დე ლეზერის აზრით, ამ შხამის მოქმედების შესაჩერებლად საუკეთესო საშუალებაა სისხლის გამოშვება, ამჟავებული რძე და ზეთი. ადგილობრივი თათრები იზიარებენ მის აზრს სისხლის გამოშვების თაობაზე და ირწმუნებიან, რომ თავად უნახავთ, რა კარგი შედეგი

გამოუღია, როდესაც მოწამლული ცხენისათვის ერთი ბოთლი ცხვრის სისხლი დაულევინებიათ. ამ საგუშაგოს კაზაკებს კარგი ურთიერთობა აქვთ სოფელ დივაჩის მკვიდრ თათრებთან. განმარტოებით მდებარე სხვა საგუშაგოებში არაფერი იშოვებოდა, აქ კი ყველაფერი უხვად იყო. თუკი სოფლებში არ არის კაზაკთა ბევრი საგუშაგო, ეს, უდავოდ, იმის გამოა, რომ ოკუპაციის დასაწყისში შიშობდნენ, შეიარაღებულ მეომრებს ადგილობრივი მცხოვრებნი არ შეევიწროვებინათ.

აქაური თათრები მისდევენ სოფლის მეურნეობას, განსაკუთრებით კი – პირუტყვის მოშენებას; ასევე ქსოვენ ხალიჩებს. ამ სამუშაოს შესრულებაში მათ თავიანთი ცოლები ეხმარებიან. აქ შევიძინეთ 8 ფუტი სიგრძისა და 3 ფუტის სიგანის ხალიჩა 32 მანეთად (ასიგნაციით). აქაური ხალიჩები ხარისხით თითქმის ისეთივე კარგია, როგორც სპარსული, ოღონდ მოხატულობა კიდევ უფრო უცნაურია. ზოგი ხალიჩა დაბალბეწვიანია, ზოგი კი ძალზე სქელია, მაგრამ არ ღირს ბევრად ძვირი, რადგან ნაქსოვის ბადე სუსტია და ამიტომ ნაკლებ სამუშაო დროს მოითხოვს.

24 სექტემბერს (8 ოქტომბერს) სოფელ დივაჩიდან ხაჩმაზისაკენ[9] (Tchaktchak) გავემართეთ, რომელიც აქედან 27 ვერსითაა დაშორებული. ეს მხარე უფრო კარგად გამოიყურებოდა და მიწაც იყო დამუშავებული იმასთან შედარებით, რომელიც ბაქოდან მოყოლებული გამოვიარეთ. ყველგან ვხვდებოდით მჭიდროდ დასახლებულ სოფლებს. დამუშავებულ მიწებს შორის უამრავი ჩირგვნარი იყო დატოვებული, რომლის ჩრდილიც დიდი გვალვებისაგან გამოწვეულ სიცხეს ანელებდა.

ხელმარცხნივ საკმაოდ მაღალი მთებია, რომლებზეც დომინირებს თოვლით დაფარული კავკასიონის მწვერვალები. ქვეყანა, რომელიც სამხრეთისაკენ გადაჭიმულ მთებს ეკვრის, დასერილია უამრავი ნაკადულით, რომლებიც სათავეს ამ მთებში იღებენ და კასპიის ზღვისაკენ მიედინებიან. ერთმანეთისაგან ოდნავ დაშორებული მათი კალაპოტები ძნელად გადასალახი იყო, რის შესახებაც ადრეც ხშირად მისაუბრია. შუა გზაზე სამოცი კაზაკი შეგვხვდა, რომლებიც თბილისიდან ყუბაში მიდიოდნენ, სადაც უნდა დასახლებულიყვნენ. ოცამდე მათგანი ციებით იყო დაავადებულნი და მათი უმრავლესობა ურმებზე იწვა.

ხაჩმაზის საგუშაგო, სადაც ჩვენ რამდენიმე საათით შევჩერდით, ხევის ნაპირზე, თვალწარმტაც ადგილას არის გაშენებული. ბინები აქ კარგია და აუცილებელი ავეჯით საკმარისად აღჭურვილი.

პირველ საათზე გავემგზავრეთ ყუბაში, ამავე სახელწოდების მქონე სახანოს ძველ დედაქალაქში, რომელიც ხაჩმაზიდან 20 ვერსით იყო დაშორებული.

საგუშაგოდან გამოსვლის შემდეგ ერთი მდინარის ბობოქარ კალაპოტში მოვხვდით, რომლის გადალახვაც საკმაოდ სახიფათო აღმოჩნდა. ამ ადგილას რამდენიმე თათრული ოჯახი შეგვხვდა, რომლებიც თავიანთ ფარას მიერეკებოდნენ; სიცივის გამო მათ მთები მიეტოვებინათ და გამოსაზამთრებლად საკუთარ სახლებში ბრუნდებოდნენ.

ყმები და მსახურები ხარებზე ან გადახურულ ურმებზე ისხდნენ, თათართა ცოლები კი ცხენებზე გადაკიდებულ კალათებში წყვილებად მოთავსებულიყვნენ. მათ წინ მიუძღოდათ ერთი ყმა, რომელსაც თეთრი ჯოხი თაფლის სანთელივივით ეჭირა ხელში და რომლითაც იგი გამვლელებს აფრთხილებდა, რომ ქალებისათვის

თვალი აერიდებინათ. როცა თათრებს გვერდით ჩავუარეთ, ქალები მართლაც ყველანაირად ცდილობდნენ, რომ მათი სახეები არ დაგვენახა.

მთელ დანარჩენ გზას ყუბამდე ტყე კვეთდა, სადაც, როგორც წესი, დაბალტანიანი ხეები ხარობდნენ. დროდადრო თვალს გვიხარებდა მშვენიერი ხეხილის ბაღები: ნაყოფით დახუნძლული ტოტები სიმძიმისაგან თითქმის მიწამდე დახრილიყვნენ. ამ კანტონში მრავლად იყო აგრეთვე ზაფრანის პლანტაციები, ყოველ მათგანს მცენარეული მესერი ჰქონდა შემოვლებული.

ვიდრე ყუბაში ჩავიდოდით, რამდენიმე მდინარის კალაპოტის გადალახვა მოგვიხდა, მათგან ყველაზე დიდი ქალაქიდან 1 ლიეთი იყო დაშორებული. ყუბაში ალის ერთ-ერთი ვაჟიშვილის – ჰუსეინის[10] დღესასწაულის დადგომამდე რვა დღით ადრე ჩავედით. ამ დღეს ქალაქის კარიბჭესთან, ველზე, დიდი ბაზრობა იმართება. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით იყიდება ცხენები და საქონელი. აქვე, სადაც ბაზრობა იყო გამართული, ქვეითი ჯარის დიდი ბანაკი იყო.

ყუბას გარს აკრავს მიწით ნაგები საკმაოდ მაღალი კედელი. ქალაქის შესასვლელი და ქუჩები იმდენად ვიწროა, რომ ჩვენი „ბრიჩკით“ დიდი გაჭირვებით გავდიოდით. თავდაპირველად კაზაკთა საგუშაგოსთან შევჩერდით, შემდეგ კი მაზრის კომენდანთთან – გენერალ ვრედესთან[11] (Wrède) წავედით. მთავარმართებელმა მასთან სარეკომენდაციო წერილები გამოგვატანა, თანაც იგი ჩვენი ჩასვლის თაობაზე წინასწარ იყო გაფრთხილებული. გენერალმა მეტად თავაზიანად მიგვიღო და თავისთან დაბინავებაც შემოგვთავაზა.

ბ-ნი ვრედე ლივონელია. გენერალ გარდანის ელჩობის დროს ის თეირანის კარზე რუსეთის რწმუნებული იყო; შემდეგში იგი განჯის მმართველი გახდა, მოგვიანებით კი – ბაქოსი. ბოლო დროს, უკვე რამდენიმე წელია, იგი ყუბის ძველი სახანოს[12] მმართველია. ყუბა ამ მხარეში ერთ-ერთი ყველაზე დიდი სახანოა. უნდა ითქვას, რომ ყველა თანამდებობაზე ყოფნისას ვრედემ დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

ყუბის ყოფილი ხანი მებრძოლი და მოუსვენარი ხასიათის კაცი გახლდათ; იგი კავკასიის მთიელ მოსახლეობას განუწყვეტლივ რუსეთის წინააღმდეგ აქეზებდა და თანაც ყველანაირ ამბოხებებში მონაწილეობდა. მას კავშირი ჰქონდა დაღესტნის აჯანყებასთანაც, რომელიც გენერალმა მადათოვმა (Mandatoff) სულ მოკლე ხანში და დიდი წარმატებით ჩაახშო. ყუბაში ჩემი ყოფნის დროსაც ეს ხანი რამდენიმე ცხენოსნის თანხლებით დაძრწოდა ამ მხარეში და სპარსეთში გადასვლას ცდილობდა, სადაც იმ დრომდე აპირებდა დარჩენას, ვიდრე არ მიეცემოდა შესაძლებლობა კვლავ რომელიმე აჯანყებაში ჩართულიყო.

ყუბელებისათვის კარგად იყო ცნობილი მისი ულმობელი ხასიათი, ამიტომაც მეტად ეშინოდათ მისი შურისძიებისა, თუკი ოდესმე საამისო საბაბს მისცემდნენ; სწორედ ამის გამო იყო, რომ ხანს თავშესაფარზეც ვერ ეუბნებოდნენ უარს და ყოველნაირად ეხმარებოდნენ კიდეც რუსების დევნისაგან თავდასაღწევად. ამასთანავე, ყუბის პროვინციას გარს აკრავს კავკასიის მაღალი მთები, რაც საუცხოო ბუნებრივ თავშესაფარს წარმოადგენდა მეამბოხე ხანისათვის.

ყუბის პროვინციაში დაახლოებით ათი ათასი ოჯახი ცხოვრობს, რაც 60 ათას სულს შეადგენს; ქალაქ ყუბაში კი, რომელიც საკმაოდ განიერი ხევის ნაპირზე,

თითქმის 200 ფუტის სიმაღლეზეა გაშენებული, - ათასი ოჯახი, ანუ დაახლოებით ხუთი ათასი მცხოვრებია. ხევის გაღმა ნაპირზე ებრაელთა[13] სოფელია; ისინი სოფლის მეურნეობას მისდევენ და, როგორც ჩანს, უხსოვარი დროიდან ცხოვრობენ ამ ოლქში. მათი სახლები გამოირჩევა სისუფთავით; ხოლო სახის გამომეტყველებით თუ ვიმსჯელებთ, აქაური ებრაელები უზრუნველყოფილნი არიან და, წესით, არ უნდა მისდევდნენ მევახშეობას და ყველა იმ მანკიერებას, რაც ევროპელ ებრაელთა ერთი ნაწილის დეგრადირების გამომწვევ მიზეზად იქცა.

ყუბიდან შორს მოჩანს კავკასიონის მაღალი მწვერვალები, მათგან ზოგიერთი მარადიული თოვლითაა დაფარული.

ყუბის ჰაერი ჯარისკაცთა ჯანმრთელობისათვის ძალზე მავნებელია, ხოლო დაბლობზე, მდინარის ნაპირზე გაშენებულ სოფელში იმდენად ჯანსაღი ჰაერია, რომ აქაური ებრაელები თითქმის არასდროს ავადმყოფობენ. ჩვენი ბადრაგის ოფიცრები, რომლებიც ყიზლარამდე გამოგყვნენ, მარწმუნებდნენ, რომ ყუბაში დახოცილ თითქმის ყველა ჯარისკაცს ფილტვები ან ღვიძლი განგრენოზული ჰქონდა.

გარნიზონში გავრცელებული დაავადებების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ის უნდა იყოს, რომ დღის განმავლობაში აქაური კლიმატისათვის დამახასიათებელი დიდი სიცხე სწრაფადვე იცვლება საშინელი სიცივით და ეს ხდება მაშინ, როცა ქარი ჩრდილოეთიდან უბერავს და ვიდრე ქალაქამდე მოაღწევს, თოვლით დაფარულ კავკასიონს გადაუქროლებს. ამასთანავე, ყუბაში ხშირად წვიმს და რადგან ქუჩები ვიწროა და შესაბამისად, მოსახლეობაც მჭიდრო უბნებად არის შეჯგუფებული, სინოტივე აქ დიდი ხნით ისადგურებს; თუკი ამ ყველაფერთან ერთად იმასაც გავითვალისწინებთ, რომ აქაური წყალი სასმელად უვარგისია, სულაც აღარ იქნება გასაკვირი, რომ ამ ქალაქში დაბანაკებულ პოლკებში სიკვდილიანობის ყოველწლიური დონე მაღალია. სწორედ ამ მიზეზით იყო, რომ მთავარმართებლის ბრძანებას ყუბის ოლქში ციხის ასაგებად შესაფერისი ადგილი შერჩევის თაობაზე, საგანგებო მითითებაც დაერთო, რათა შეემოწმებინათ, იყო თუ არა აქაური წყალი უვნებელი, ხოლო ჰავა – ჯანსაღი.

ყუბის მაზრაში დიდი რაოდენობით მარცვლეული მოჰყავთ, რითაც იგი ამარაგებს შირვანს მაშინ, როდესაც ამ სახანოში მოსავლის ნაკლებობაა. აბრეშუმის გარდა, აქ მოჰყავთ ზაფრანა, ენდრო და ბამბა; აქვე გავრცელებული სხვადასვა ჯიშის ჯადვარის ბოლქვიდან კი ამზადებენ სალეფს.[14] ამ მხარეში ასევე მრავლად არის მოშენებული ცხენი და სხვადასხვა ჯიშის პირუტყვი, რადგანაც ნოტიო კლიმატი ხელს უწყობს ბალახის (შემდეგში კი თივის) სიუხვეს. ყუბელები მისდევენ მიწათმოქმედებას, ვაჭრობას და ამზადებენ უხეშ მაუდს, რომელსაც მთიელებს უცვლიან თაფლში, ცვილსა და სხვადასხვა სახის ბეწვეულში. ისინი განსაკუთრებით დახელოვნებულნი არიან ხალიჩების ქსოვაში, რაც ყუბის მთავარი სავაჭრო საქონელია.

გენერალი ვრედე ჩვენ მიმართ დიდი გულისხმიერებით გამოირჩეოდა. გარდა ამისა, იგი მასპინძლობას უწევდა ერთ გაჭირვებულ გერმანელს, რომელიც, როგორც ბოტანიკოსი, სამოგზაუროდ გამოუგზავნია ერთ-ერთ წარჩინებულ პიროვნებას. გზისა და კვების ხარჯების დასაფარად მას თურმე წლიურად მხოლოდ

1000 მანეთი ეძლეოდა ასიგნაციით (1000 ფრ.); რადგანაც მას წლიური ხელფასი უკვე დახარჯული ჰქონდა და არანაირი საშუალება აღარ გააჩნდა სპარსეთში გასამგზავრებლად, სადაც მცენარეები უნდა შეეგროვებინა, ერთი რუსი ოფიცრის ბავშვებისათვის ფრანგული ენის სწავლება დაუწყია; ამ გაკვეთილებში აღებული გასამრჯელოს მეშვეობით იგი ცოტაოდენი ფულის შეგროვებას და თავისი მოგზაურობის გაგრძელებას ვარაუდობდა. ამ ბოტანიკოსმა მაჩვენა ყუბის პროვინციაში და კავკასიის მთებში მის მიერ შეგროვილი მცანარეულობის კოლექცია. მისი წყალობით პარიზის სამეფო ბაღში გავაგზავნე სხვადასხვა ჯიშის ჯადვარი, რომელიც ამ ქვეყანაში ხარობდა და ზოგიერთი სხვა, საკმაოდ იშვიათი სახეობის მცენარე.

ყუბაში ჩასვლამდე ორი დღით ადრე ჩემმა ჯანმრთელობამ, რომელმაც აქამდე ყოველგვარ განსაცდელს გაუძლო, მიმტყუნა. ეს ჩვენ მიერ შემოვლილი ქვეყნების არაჯანსაღი ჰავისა და იძულებით მიღებული უჩვეულო საკვებით იყო გამოწვეული. ყუბაში რამდენჯერმე გადავიტანე ციების შეტევა, მაგრამ ვიმედოვნებდი, რომ დაავადებას გადავურჩებოდი, თუკი ამ ქალაქიდან მალევე წავიდოდი; ამიტომ გადავწყვიტე დერბენდში გამგზავრება, სადაც რამდენიმე დღე უნდა შეგვესვენა ბადრაგის შეკრების მოლოდინში, რომელსაც ყიზლარამდე უნდა ჩავეყვანეთ.

დავემშვიდობეთ გენერალ ვრედეს, რომლის ყურადღებასაც არ გამოჰპარვია არაფერი, რასაც კი ჩვენი მოგზაურობის შემსუბუქება შეეძლო და რითაც ჩვენ კიდევ უფრო მოვიხიბლეთ. 3 (15) ოქტომბერს გზას გავუდექით. აქაური ჩვეულების თანახმად, ჩვენს მიერ გენერალ ვრედესთან გაცნობილმა გარნიზონის რამდენიმე ოფიცერმა სურვილი გამოთქვა, ცხენზე ამხედრებული გამოგვყოლოდა პირველი 8-10 ვერსის მანძილზე იმ საფოსტო სადგურამდე, სადაც უნდა ჩავსულიყავით. ეს იყო ზიაკური (Ziakour), რომელიც ყუბიდან 25 ვერსით არის დაშორებული. ქალაქიდან რომ გამოვედით, გადავლახეთ კულინკა (Koulinka), რაც საკმაოდ დიდ სიძნე-ლეებთან აღმოჩნდა დაკავშირებული, ვინაიდან მდინარის ორივე ნაპირი ძალზე ამაღლებულია და მეტისმეტად დაქანებული. აქ ჩვენი ესკორტის ჯარისკაცებმა დიდი სამსახური გაგვიწიეს და უსაფრთხოდ გავაღწიეთ სამშვიდობოს.

როცა მდინარის მეორე ნაპირზე აღმოვჩნდით, შემოგვხვდა ქვეითი ჯარის ნაწილი ორი ქვემეხით. ისინი აპირებდნენ გამოჰყოლოდნენ იმ ბადრაგს, რომელიც დერბენდიდან ყიზლარში ჩვენთან ერთად უნდა წამოსულიყო.

პირველ საფოსტო სადგურამდე ჩვენ მიერ გავლილი მიდამო მშვენიერი ადგილმდებარეობით გამოირჩეოდა; გვხვდებოდა დაბლობები, ხეობები და მთები უზარმაზარი შეფენილი ხეებით. მიწები საკმაოდ ნაყოფიერი მეჩვენა. მოსახლეობა მხოლოდ იმ მიწის ნაკვეთებს ამუშავებდა, რომლებიც იოლად გადასასვლელ მდინარეებთან ახლოს იყო და თავისუფლად შეიძლებოდა მათი მორწყვა. მთელ ამ ოლქში ვაჭრობა ნაკლებად არის განვითარებული. ამ საქმიანობას მხოლოდ ზოგიერთი სომეხი მისდევს. სამწუხაროდ, მათ მხოლოდ მცირე კაპიტალი აქვთ და ამიტომ ვერ ახერხებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვას იმ რაოდენობით, რა რაოდენობითაც მისი წარმოებაა შესაძლებელი ამ მხარეში.

აქ საკმაოდ ბევრია თათრების სოფლები; ადგილობრივი მცხოვრებნი დიდი შრომისმოყვარეობით გამოირჩევიან და უფრო მეტად ცხენებისა და პირუტყვის მოშენებას მისდევენ.

ზიაკურში დღის ორი საათისათვის ჩავედით. აქ არტილერიის 200 ჯარისკაცი იყო დაბანაკებული და მათ მეთაურობდა ბ-ნი პოლკოვნიკი ფლინგი (Fling), რომელიც ლივონიაში დაბადებულა. სწორედ ამ ოფიცერმა შემოგვთავაზა მასპინძლობა და ღამე მასთან დავრჩით.

ზიაკურის მოსახლეობა 800 სულს შეადგენს. ეს არის მშრომელი, უნარიანი და მუყაითი ხალხი; ისინი განსაკუთრებით არიან დახელოვნებულნი ხალიჩების ქსოვაში. აქაური ქალები სილამაზით არიან სახელგანთქმულნი.

მეორე დღეს დილაადრიან კვლავ გავუდექით გზას; სოფლიდან გამოსვლისთანავე ციცაბო ფერდობზე დავეშვით, შემდეგ კი გადავლახეთ ხევი, რომელზე გადასვლაც ხშირად სახიფათოა. მისი ნაპირებიდან ოდნავ მოშორებით კაზაკთა საგუშაგო იყო. მავნე ჰავის გამო, ის საკმაოდ ცუდ ადგილად ითვლებოდა: წლის განმავლობაში აქ კაზაკთა რაოდენობის ერთი მეოთხედი იხოცებოდა, ამიტომაც ჩვენ დიდი გაჭირვებით შევძელით ჩვენი ესკორტისათვის სამიოდე კაზაკის შოვნა. გზა კი საკმაოდ სახიფათო იყო. სამი კვირის წინ ორი სომეხი, რომელიც საგუშაგოდან ექვსი ვერსის დაშორებით მდინარეზე ურმით გადადიოდა, ლეკებმა გაიტაცეს.

აქედან იწყება და თითქმის ხუდათის საგუშაგომდე გრძელდება ხევებითა და ტყეებით დაფარული მხარე. მიწები მხოლოდ აქა-იქ არის დამუშავებული. ყველაზე ფართო და სახიფათო მდინარე, რომლის გადალახვაც მოგვიხდა, სამურია (Zamour). ის კასპიის ზღვას ერთვის და დ'ანვილს სამური პტოლემაიოსის „ალბანუსი" (Albanus) ჰგონია. ეს მდინარე იმ წყაროებით იკვებება, რომლებიც მის გარშემო მდებარე მთებიდან ყოველი მხრიდან უხვად ჩამოედინებიან. სამიოდე თვის წინ ამ ხევზე გადასვლისას დიდი სირთულეები შეექმნა გენერალ მადათოვის ჯარს. იგი ერთი თათარი ხანის წინააღმდეგ საბრძოლველად მიდიოდა, რომელიც თითქმის მიუვალ ადგილას მდებარე სოფელ კოზერეკში (Causerec) იყო გამაგრებული. მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, ჯარმა მოახერხა ხევის გადალახვა და მხოლოდ ერთი კაზაკი და ერთო სომეხი დაიხრჩო.

თუმცა ხევში წყლის დონე საკმაოდ დაწეული იყო, მაგრამ ჩვენ მაინც უკიდურესად გაგვიჭირდა სამურის ერთ ტოტზე გადასვლა: კალაპოტის ზედაპირი მთლიანად იყო მოფენილი უზარმაზარი ხეების მორებით; ისინი წყლის დინებას ჩამოეტანა ქარიშხლიანი წვიმების შედეგად, რაც იმაზე მეტყველებდა, თუ რა ბობოქარი ძალა ჰქონდა ამ მდინარეს.[41]

---

[41] სამურის ნაპირებზე აღმართულ მთებში, სოფელ კურუშთან (Kourouche) ახლოს, ერთ-ერთ ოლქში, რომელიც ჯერ კიდევ დაუმორჩილებელია და მას ალიფარას (Alypara) უწოდებენ, თიხიან მიწაში წვრილ ძარღვებად შეკრული ბრწყინვალე გრაფიტი მოიპოვება, რომლის ერთი ცენტნერი მადანი დაახლოებით 18 გირვანქა ტყვიას და მცირე რაოდენობით ვერცხლს შეიცავს.

ამ დაბრკოლების დაძლევის შემდეგ ჩვენ მალევე ჩავედით ყულარში, კაზაკთა საგუშაგოში, სადაც იმდენ ხანს დავყავით, რამდენიც საჭირო იყო ცხენებისა და ესკორტის შესაცვლელად.

ყულარიდან დერბენდამდე 31 ვერსს ანგარიშობენ. გზა ამ ორ პუნქტს შორის საკმაოდ კარგია და არცთუ ისე მთაგორიანი. სულ რაღაც ორიოდე ვერსზე დერბენდამდე, რომელიც ამფითეატრისებურად არის გაშენებული, კასპიის ზღვასთან ახლოს მოჩანს ქალაქი და მისი ციხე, რომელიც კავკასიონიდან გამომავალ ერთ-ერთ მთაზეა წამოჭიმული.

თავი XIV

სხვადასხვა მოსაზრებები დერბენდის დაარსების შესახებ. დაღესტნური ნაწარმი. სპარსული სახლის აღწერა. სტატისტიკური ცნობები დერბენდზე. ამ ქალაქიდან გამგზავრება. ბადრაგი და ესკორტი. ბერიქეი (Bereckey). კარგი მიღება ამ დაბაში. კაიაკენტი (Kayaqoute). ბოინაკი (Bausinac). ქვეყნის პეიზაჟი. ტარკის (Tarkou) შამხლის ორი ვაჟისა და მათი აღმზრდელის სტუმრობა. ტარკში ჩასვლა.

დერბენდის[1] დაარსებას ალექსანდრეს უკავშირებენ. ეს მოსაზრება, შესაძლოა, მთელ აზიაში გაბატონებული პატივმოყვარეობიდან მომდინარეობს და ვფიქრობ, არავითარ ავტორიტეტს არ ემყარება; ამიტომ მე შემოვიფარგლები მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ საკმარისია ამ ქალაქის წარმოსადეგი ანსამბლის, კოშკებისა და გალავნის სოლიდური კონსტრუქციების ხილვა, რათა დავრწმუნდეთ არა მარტო იმაში, რომ იგი უძველეს ხანას განეკუთვნება, არამედ იმაშიც, რომ იგი ძლევამოსილი მონარქის მიერ უნდა ყოფილიყო დაარსებული და განვრცობილი. შეიძლება გავიზიაროთ მათი მოსაზრებაც, ვინც თვლის, რომ დერბენდი დაარსებულია მიდიის (Mede) მეფის მიერ, ხოლო გამაგრებული – ანუშირვანის მიერ, რომელმაც იგი სპარსეთის ერთ-ერთ დასაყრდენადაც აქცია; ხოლო როცა ქალაქი არაბებმა აიღეს, ცნობილმა ხალიფამ ჰარუნ ალ-რაშიდს[2] (Haraoun-Al-Raschid) აქ რეზიდენცია ჰქონდა და მან ქალაქი კიდევ უფრო გაამშვენიერა. ამ დროიდან მოყოლებული, სპარსეთში მომხდარი გადატრიალებები დერბენდზეც აისახებოდა და აქ ხშირად იცვლებოდნენ სუვერენები. 1722 წელს ის პეტრე დიდმა დაისაკუთრა[3], შემდეგ ისევ სპარსეთს გადაეცა და ქალაქს დაღესტნელი ხანები მართავდნენ. 1795 წელს დერბენდი კვლავ რუსებმა დაიკავეს და აქედან მოყოლებული, იგი ამ ვრცელი იმპერიის შემადგენელი ნაწილია.

სამწუხაროდ, დერბენდში ჩასვლისას იმდენად ვიყავი დაუძლურებული ციებისაგან, რომ ვერ შევძელი ქალაქისა და მისი შემოგარენის დათვალიერება ისეთი ყურადღებით, როგორსაც ეს ქალაქი იმსახურებს; ამიტომ ჩემი აღწერა სრულყოფილი არ არის.

ქალაქიდან ზღვამდე, მთების გასწვრივ, გადაჭიმულია კედელი, რომელიც სპარსეთსა და საქართველოს სკვითებისა და კავკასიის მეომარ ხალხთა

შემოტევებისაგან იცავდა. როგორც ჩანს, ქალაქთან ახლოს უნდა იყოს ის ვიწრო ხეობა, სადაც 14 ფუტი სიგანის რკინის კარიბჭე იყო. როგორც ამბობენ, ეს ის კარიბჭე გახლავთ, ქუთაისიდან 15 ვერსზე მდებარე გელათის მონასტერში რომ ვნახეთ.

კასპიის ზღვის სანაპიროდან დერბენდი დაახლოებით 4 ვერსით არის დაშორებული. ამ ადგილას არც პატარა ყურეა და არც უბე, რის გამოც აქ ნაოსნობა არ სწარმოებს და ვაჭრობაც მეტად შეზღუდულია.[4]

გარდა საკმაოდ მდარე ხარისხის აბრეშუმისა, რომელიც აქ ამზადებენ, ამ ქალაქის გარეუბნებში დიდი რაოდენობით მოდის ზაფრანა, რომელიც ბაქოს ზაფრანის მსგავსად, ფირფიტებად შეკრული იყიდება. აქაური ზაფრანა უფრო წმინდაა და გარდა სეზამის ზეთისა, მასში სხვა უცხო ნივთიერება არ ურევია. დაღესტანში მოჰყავთ აგრეთვე დიდი რაოდენობით ველური ენდრო. ამ მცენარის მოშენება სომხებმა დაიწყეს და მათი ინიციატივა მეტად წარმატებული გამოდგა. სასურველია, რომ მათ მიმდევრები გამოუჩნდნენ და მაშინ ეს პროდუქცია ამ მხარის ვაჭრობის მნიშვნელოვან შემადგენლად იქცევა.

ჩვენ სარეკომენდაციო წერილები გვქონდა დერბენდის კომენდანტთან, რომელმაც რუსეთის სამსახურში მყოფი მაიორის – სპარსელი თავადის ბინაში მოგვათავსა. მისი სახლი წესების სრული დაცვით იყო აგებული: კვადრატულ ეზოს ყოველი მხრიდან მიშენებული ჰქონდა სამზარეულოები, საჯინიბოები და რამდენიმე ოთახი მსახურთათვის. სიღრმეში განლაგებული შენობის პირველი სართული სახლის პატრონის საცხოვრებელს წარმოადგენდა. ქვედა სართული, რომელსაც წინ ღია გალერეა ჰქონდა, განკუთვნილი იყო მსახურებისათვის. ბინის ინტერიერის პანელი დიდი მონდომებით, შეიძლება ითქვას, გემოვნებითაც კი იყო მოჩუქურთმებული; მაგრამ ფანჯრები, მინები და საკეტები აქაურობისთვის ჯერ კიდევ უცნობია.

სახლის პატრონმა თავისი ბინა დაგვითმო. იგი ყურადღებას არ გვაკლებდა, გვიგზავნიდა ყველანაირ საჭირო სურსათს. რადგანაც უკვე აცივდა, მან უხვად მოგვამარაგა შეშით. ბუხრები აქ ვიწროა და გადახურულია ისრული თაღით; შეშას ბუხარში არა დახრილად, არამედ ვერტიკალურად აწყობენ, რომ ცეცხლისგან უფრო მეტი სითბო მიიღონ.

დერბენდში ჩვენი ჩასვლისას სპარსელები თავიანთი ერთ-ერთი წამებულის – ჰუსეინის, - ალის სიძის გარდაცვალების წლისთავს აღნიშნავდნენ.[5] ცერემონია საღამოს ექვს საათზე იწყებოდა და თერთმეტამდე გრძელდებოდა. შეუძლებელია იმის წარმოდგენა, რა ღრიანცელი ახლავს თან ამ რიტუალს. დღესასწაულმა ნათლად დაგვანახა, როგორ გულმხურვალედ ეკიდებიან დერბენდელი მუსლიმები რელიგიურ დღესასწაულებს. ეს განსაცვიფრებელი სცენები არაერთ მოგზაურს აქვს აღწერილი, ამიტომ მათ შესახებ საუბარი საჭიროდ არ ჩავთვალე.

დერბენდში სურსათი კიდევ უფრო იაფია, ვიდრე თბილისში, ელიზაბეტპოლსა და ბაქოში; 6-7 კაპიკად ვყიდულობდი ერთ გირვანქა შესანიშნავ ხორცს და მის შესატყვის ფასში თითქმის ყველა სხვა დანარჩენ პროდუქტს. ბაზრებში უხვად იყო სპარსეთისა და შიდა აზიის საქონელი, ისე როგორც თათრებისა და მთიელების სამრეწველო ნაწარმი. ზაფხულის დიდი გვალვების გამო მხოლოდ ფურაჟი გამოდგა

მეტად ძვირი და ასე იყო ყველგან, სადაც კი მგზავრობა მოგვიხდა ბოლო ერთი თვის განმავლობაში.

გენერალმა ვრედემ რეკომენდაცია გაგვიწია ორ სომეხ ძმასთან, რომლებსაც იგი დერბენდში ჩასვლისას თარჯიმნებად იყენებდა; მათ არაერთგზის დაგვიმტკიცეს თავიანთი გონიერება და წესიერება.

დერბენდში ვერავინ ვიპოვე, ვინც ისტორიით, სიძველეებითა და მონეტებით იქნებოდა დაინტერესებული. მიუხედავად ჩემი დიდი მცდელობისა, გარწმუნებთ, ვერაფერი ახალი და საინტერესო ვერ გავიგე ამ ქალაქის შესახებ. მხოლოდ გენერალმა ვლასოვმა მითხრა, რომ დერბენდის შესახებ არსებობდა რუსულ და ფრანგულ ენებზე შესრულებული ერთი ხელნაწერი[6], თუმცა დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერც ამ ხელნაწერს მივაკვლიე.

დერბენდის მოსახლეობა შვიდ თუ რვა ათას სულს შეადგენს; მათ შორის ორი მესამედი სპარსელია. რუსული გარნიზონისა და ადმინისტრაციის გარდა, აქ აღირიცხება ექვსასი-შვიდასი სომეხი, ორასი თუ სამასი ებრაელი და რამდენიმე არაბი, რომლებიც მათი შთამომავალები არიან, ვინც სპარსეთი ისლამის დამკვიდრების პირველივე საუკუნეში დაიპყრო.[7]

თბილისიდან ჩვენს გამომგზავრებამდე მთავარმართებელმა გენერალ ვრედეს დაავალა დერბენდში ათი ქვეითი ჯარისკაცისაგან, რამდენიმე ცხენოსნისა და ორი საარტილერიო ქვემეხისაგან შემდგარი ბადრაგი შეეკრიბა, რომელიც დერბენდიდან ყიზლარში უნდა წასულიყო და ჩვენც ამ ესკორტით უნდა გვესარგებლა. ამავე დროს, მან გულისხმიერება გამოიჩინა და სარეკომენდაციო წერილები გადმოგვცა ტარკის შამხლისა და სხვა თათარი მთავრებისათვის, რომლებიც გზად შეგვხვდებოდნენ. ეს ბევრად მეტი იყო, ვიდრე ჩვენ გვესაჭიროებოდა ყოველგვარი ხიფათისაგან თავის დასაღწევად, რადგან რუსების ორმა უკანასკნელმა ლაშქრობამ დაღესტანში, კერძოდ – ხოზრეკის[8] (Coserek) ციხის იერიშით აღებამ, ამ მხარეში მცხოვრებ ხალხებს რუსი ჯარისკაცისადმი შიში ჩაუნერგა და მთიელთა შორის მომრავლდა მათი რიცხვი, ვინც გაუთავებელი, არაფრისმომტანი ომებისაგან დაიღალა და გულწრფელად სწადდა რუსეთისადმი დამორჩილება.[9]

ბადრაგი სხვადასხვა პოლკის ჯარისკაცებისაგან შედგებოდა; ზოგი სამსახურიდან იყო გადამდგარი, ზოგი კი სტავროპოლში მიდიოდა ჭვავის ფქვილისა და საბრძოლო მასალის შესაძენად, რომელიც საქართველოში უნდა ჩამოეტანათ. დაახლოებით ორასკაციანი ქარავნის შემადგენლობაში იყვნენ სხვადასხვა რაზმები, შვებულებაში გასული რამდენიმე ოფიცერი, კაზაკები, რომლებსაც საარტილერიო შეიარაღება ებარათ, ყიზლარში მიმავალი ოფიცრის ცოლები და ბავშვები, ასევე საკმაოდ ბევრი მოსამსახურე. დიდი რაოდენობით მოგვყვებოდა აგრეთვე თათრების ეტლები და ურმები, რომლებსაც ფურაჟი უნდა გადაეზიდათ.

ბადრაგს კაზაკთა კაპიტანი ზუბკოვი მეთაურობდა. იგი ხშირად მოდიოდა ჩვენთან და კითხულობდა, როდის ვიქნებოდით მზად გასამგზავრებლად. ბოლოს, ციებამ, რომელიც მთელი იმ ხნის მანძილზე, რაც დერბენდში ვიყავი, არ გამნელებია, როგორც იქნა გამიარა და 15 (27) ოქტომბერს გავემგზავრეთ. დავბანაკდით ყუბის შესასვლელთან ახლოს, შემდეგ ქალაქი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ გადავჭერით და გავედით ზღვამდე გადაჭიმულ დაბლობზე. მის

გასწვრივ დაახლოებით 13 ვერსი ვიარეთ და მივადექით მესერით გარშემოვლებულ ერთ ცუდად ნაგებ ბასტიონს, სადაც რუსეთის ქვეითი ჯარის ერთი ბატალიონი იდგა.

ბადრაგი, რომელთან ერთადაც უნდა გვემგზავრა, უკვე ორი საათის წინ შეკრებილიყო და ჩვენ გველოდებოდა; მაგრამ ბოლო მომენტში სამი თვის წინათ გარდაცვლილი ერთი ოფიცრის ქვრივმა იმშობიარა და ამის გამო გადავწყვიტეთ ღამე ციხეში გაგვეთია და მეორე დღეს დილით გავმგზავრებულიყავით. ამ დროს გვესტუმრა ბერიქეის სუვერენის ამირანცას (Amiranza) მკვიდრი ძმა იოაკ ბეი (Joak-Bey). იგი მთავარს გამოეგზავნა ოცდაათ თათართან ერთად, რათა ჩვენს ბადრაგს შეერთებოდნენ და კიდევ უფრო გაეძლიერებინათ ჩვენი უსაფრთხოება. იოაკ ბეიმ შეგვაგულიანა, გზა გაგვეგრძელებინა ბერიქეიმდე, რომელიც მხოლოდ 25 ვერსზე იყო ციხიდან, თან გვარწმუნებდა, რომ იქ უკეთ დაგვაბინავებდა. რამდენადაც მისი ესკორტი საკმარისი იყო ჩვენი უსაფრთხოების სრული გარანტირებისთვის, რაც ბადრაგის უფროსმაც დაგვიდასტურა, სასწრაფოდ დავთანხმდით მის წინადადებაზე. თათრებთან ერთად გავუდექით გზას და ორი საათიც კი არ დაგვჭირვებია ბერიქეიში ჩასასვლელად. მთავარი გაფრთხილებული იყო ჩვენი ჩასვლის თაობაზე და ამ პატარა დაბის ერთ-ერთ ყველაზე დიდ სახლში მშვენიერი ბინა დაგვახვედრა. ჩვენთვის გამოყოფილი ორი ოთახი დიდებულად იყო განათებული; ბუხრებში დიდი ცეცხლი გიზგიზებდა. მომსახურებისათვის ჩვენ ხუთი თუ ექვსი თათარი მოგვიჩინეს.

ეტლიდან ჩამოვედით თუ არა, მაშინვე იოაკ ბეი და თათარი წარჩინებულები გვეწვივნენ. ჩვენ მათ ჩაი მივართვით და რადგან მასში ნახევარზე მეტი რომი იყო გარეული, მათ ეს სასმელი ფრიად ეამათ; რომი არ მზადდება ყურძნისაგან და ამდენად, ის არ განეკუთვნება იმ სასმელებს, რომლებსაც წინასწარმეტყველი უკრძალავს მუსლიმებს - ყოველ შემთხვევაში ასე თვლიან კავკასიის ხალხები, რომლებიც ღრმადმორწმუნე მუსლიმები არ არიან.

სტუმრების წასვლისთანავე მთავარმა წიწილებითა და ცხვრის ხორცით დამზადებული ფლავი და ერთი ლანგარი საუცხოო ხილი გამოგვიგზავნა, თან რამდენიმე ცხვარიც გვაჩუქა; მათგან ერთი დავკალით, დანარჩენები კი კაზაკთა კაპიტანს გადავეცით, რათა ჩვენი ბადრაგის ოფიცრებისათვის გაენაწილებინა. ჩვენი წამოსვლის შემდეგ, სულ მალე მათაც გადაეწყვიტათ გამომგზავრება და ჩავედით თუ არა ბერიქეიში (Bereckey), რამდენიმე საათში ისინიც გამოჩდნენ.

ბერიქეი ერთი პატარა დაბაა, სადაც სახლები ერთმანეთისაგან შორი-შორს დგას. კაპიტანმა მიზანშეწონილად არ ჩათვალა მისდამი დაქვემდებარებული ჯარისკაცებისა და მისთვის დასაცავად მინდობილი მოგზაურების ერთმანეთისაგან დაშორება და მთელი ქარავანი ერთად მოათავსეს კარვებში, რომლებიც ჩვენი სახლის მომიჯნავე ეზოში და მის ირგვლივ მდებარე საკმაოდ მოზრდილ მინდორზე გაშალეს.

მეორე დღეს დილაადრიან გავემგზავრეთ კაიაკენტისაკენ[10] (Kayayoute), რომელიც ბერიქეიდან ოცდაათ ვერსზეა. მთავარმა მოისურვა, ცხენოსან თათრებთან ერთად გამოგვყოლოდა იმ სოფლამდე, რომელიც მის ძმას ეკუთვნოდა.

მთელი დღის განმავლობაში ისეთ მხარეში მივდიოდით, რომელიც წინა დღეს გავლილს ჰგავდა. აქ ოდნავ მომაღლო ბორცვები და იმ პერიოდისათვის წყალმარჩხი ნაკადულების კალაპოტები იყო. გზა ხშირად ზღვის გასწვრივ გადიოდა. კაიაკენტში ადრიანად ჩავედით. ეს არის დიდი, შუა ფერდობზე გაშენებული ქალაქი, რომელსაც ლამაზი ადგილმდებარეობა აქვს და ზღვასთანაც სულ ახლოსაა. აქ ჩვენთვის საკმაოდ კარგი ბინა გაემზადებინათ.

კაიაკენტის მცხოვრებთ დიდი რაოდენობით ჰყავთ ფარა და ქსოვენ ხალიჩებს, რომლებიც ხარისხით ჩვენს მიერ ყუბაში შეძენილ ხალიჩებს ბევრად ჩამოუვარდებიან. მათ, ჩვეულებრივ, წითელი და მწვანე ზოლები აქვთ და, როგორც წესი, მსუყე ფერებით გამოირჩევიან.

დერბენდიდან გამომგზავრების მესამე დღეს მხოლოდ 27 ვერსი გავიარეთ და ღამის გასათევად ბოინაკში[11] (Bousinac) წავედით. გზაზე მჭიდროდ დასახლებული ადგილები გავიარეთ. ზღვის ხედით თითქმის უწყვეტად ვტკბებოდით. აქაური მოსახლეობის სიმდიდრის წყარო ცხენები და საქონელია. მათ ძირითად საკვებს წარმოადგენს ბრინჯი, რომლითაც ისინი ყიზლარის ოლქიდან მარაგდებიან, ამდენად, აქ მეტად ცოტაა დამუშავებული მიწები.

ბოინაკი მშვენიერი სოფელია, რომლის გამგებელმაც (chef) ჩვენს მიმართ დიდი ყურადღება გამოიჩინა. მან უხვად მოგვამარაგა საჭირო სურსათით როგორც ჩვენ, ისე მთელი ქარავანი. სახლიდან, სადაც ვცხოვრობდით, ზღვის დანახვა შეგვეძლო. სოფლის გამგებელმა ეზოში რამდენიმე თათარი მსახური დაგვიყენა, რომლებიც ვერაფრით დავითანხმე, რომ მცირედი გასამრჯელო მაინც აეღოთ ჩვენგან. არაერთხელ მოგვეცა საშუალება, ასეთი უანგარობა შეგვენიშნა აქაური ხალხის საქციელში.

საღამოს კაზაკთა კაპიტანი მოვიდა ჩვენთან და შემოგვთავაზა ნაშუადღევს გავმგზავრებულიყავით, რათა მეორე დღის ბოლოს ჩავსულიყავით ტარკში, რომელიც აქედან 32 ვერსით არის დაშორებული. იქ შეგვეძლო ოცდაოთხ საათს გავჩერებულიყავით. ამ წინადადებას უყოყმანოდ დავთანხმდი, რადგან, როგორც გვითხრეს, ბოინაკსა და ტარკს შორის არც ერთი სოფელი არ იყო, სადაც ღამის გათევას შევძლებდით.

ბადრაგი პირველი საათისათვის გაუდგა გზას და შვიდ საათამდე თითქმის შეუსვენებლად ვიარეთ, შემდეგ კი დავბანაკდით ხეობაში, ტბასთან ახლოს, რომლის წყალიც სრულიად უვარგისი იყო. მთელი გზა თითქმის სულ კასპიის ზღვის გასწვრივ ვიარეთ, ხანდახან მხოლოდ ერთი ვერსით ვშორდებოდით მას. დროდადრო ხელმარჯვნივ, შორს, თოვლით დაფარული კავკასიონის მთები გამოჩნდებოდა. მიწა ჩინებულად იყო დამუშავებული და ხორბალი და ფეტვი დაეთესათ. საკმაოდ მრავლად გვხვდებოდა ხარების ჯოგი და ცხვრის ფარა. ნიადაგი მწირი ჩანდა; გასული ზაფხულის დიდ გვალვას ისეთი ზიანი მიეყენებინა მისთვის, რომ სახნისიც ვეღარ ერეოდა. 1 მაისიდან ამ დრომდე, მთელი ჩვენი მოგზაურობის განმავლობაში მხოლოდ ორი კვირა წვიმდა, რომელთაგან რვა დღე იმერეთში ჩვენს ხანმოკლე ყოფნაზე მოდის. იმერეთში ჰავა ნაკლებად მშრალია, ვიდრე საქართველოსა და სპარსეთის ძველ პროვინციებში.

სოფელ ბოინაკიდან იმ ტბამდე, რომლის ნაპირზეც ჩვენ სამი საათით შევისვენეთ, 20 ვერსს ანგარიშობენ; რადგანაც მთელ ამ მხარეში ტყე იშვიათია, ჯარისკაცებმა ტბებისა და გუბურების ნაპირებზე ბუჩქნარის ტოტები და გამხმარი ბალახები მოაგროვეს, მიწაში ამოთხრილ ორმოებში ცეცხლი გააჩაღეს და თავიანთი შესაძლებლობის მიხედვით, ყველა საჭმლის მომზადებას შეუდგა.

კაპიტანს თავიდანვე შევთავაზეთ, მთელი მოგზაურობის მანძილზე ჩვენთან ერთად ესადილა. მისი საზოგადოება ჩვენთვისაც სასიამოვნო იყო თუნდაც იმიტომ, რომ მუდამ საქმის კურსში ვიყავით, თუ რა ღონისძიებებს მიმართავდა იგი ქარავნის მსვლელობასთან დაკავშირებით და რა მოულოდნელი ამბები ხდებოდა მგზავრობის დროს.

ბანაკი ათი საათისათვის დავტოვეთ, გავიარეთ 16 ვერსი და ორი საათისათვის კვლავ შევისვენეთ. გზის ეს მონაკვეთი სწორი იყო, მხოლოდ აქა-იქ გვხვდებოდა ოდნავ მომაღლო ბორცვები. შუა გზაზე, ხელმარცხნივ, დავინახეთ საკმაოდ დიდი სოფელი, რომელსაც მანასი[12] (Manasse) ერქვა. იგი ზღვის პირდაპირ, შუა ფერდობზე იყო გაშენებული და იქ თათრები ცხოვრობდნენ, რომლებიც მიწის დამუშავებასა და მესაქონლეობას მისდევდნენ.

ქარავანი სადილად შეჩერდა კასპიის ზღვიდან დაახლოებით ორი ვერსის დაშორებით მდებარე მინდორზე, ტბის ნაპირას, რომლის წყალიც, ისევე როგორც მთელ ამ მხარეში, უვარგისი იყო. სადილობისას ერთი თათარი დიდებული გვესტუმრა, რომელსაც ოცდაათამდე ცხენოსანი ახლდა. იგი ტარკის შამხალს გამოეგზავნა, რომელიც ამ მხარეში ერთ-ერთი უძლიერესი მთავარი იყო. თავისი სუვერენის სახელით მან მომილოცა მშვიდობით ჩამობრძანება და მისივე სახელით გამოთქვა სინანული იმის გამო, რომ იმ დროისათვის შამხალი სატახტო ქალაქიდან შორს იმყოფებოდა და არ შეეძლო პირადად მიეღო მოგზაურები, რომლებსაც თვით მთავარმართებელმა ერმოლოვმა გაუწია რეკომენდაცია წერილით (ეს წერილი მას გენერალმა ვრედემ აახლა შიკრიკის ხელით); ამასთანავე, დიდებულმა მაცნობა, რომ ქალაქიდან ოდნავ მოშორებით შამხლის ორი ვაჟიშვილი იმყოფებოდა თავიანთი აღმზრდელისა და მრავალრიცხოვანი ესკორტის თანხლებით და თუკი მოვისურვებდი ქარავნისათვის გამესწრო და მათთან ერთად მემოგზაურა, ტარკში კარგ ბინას და საჭირო სურსათს დამახვედრებდნენ.

კაპიტანმა, რომელიც პასუხს აგებდა ჩვენს უსაფრთხოებაზე, მოიწონა ეს წინადადება და ჩვენც გავუდექით გზას. ტარკამდე 14 ვერსი გვქონდა გასავლელი; აქედან პირველი ექვსი ნელა ვიარეთ. მალე ცხენოსანი თათრების მრავალრიცხოვანი რაზმი დავინახეთ. ისინი ორ ახალგაზრდა მთავარს ეხვივნენ გარს. ერთი მათგანი ათი წლისა იყო, მეორე – თორმეტისა. ეს ყმაწვილები ულამაზეს ულაყებზე ისხდნენ და ისე გულდაჯერებით და ლაზათიანად მოჰყავდათ ცხენები, გეგონებოდათ ზრდასრული მამაკაცები არიანო.

თათრებს, ყალმუხებს, კაზაკებსა და ამ მხარის ყველა ხალხებს წესად აქვთ შემოღებული – როგორც კი მათი ვაჟები ექვსი-შვიდი წლის ასაკს მიაღწევენ, მათ ცხენზე ჯდომას ასწავლიან; ეს კი მათ ადრეულ ასაკშივე უვითარებს ისეთ თავდაჯერებულობასა და ჩვევებს, რომლის წარმოდგენაც ევროპაში შეუძლებელია. ეს არის ნამდვილი კენტავრების ქვეყანა: მხედარი თითქოს თავის ცხენთან ერთ

არსებად იქცევა და ითავისებს მისი მოძრაობის სიზუსტეს, როგორი მარდი და ფიცხიც არ უნდა იყოს ცხენი.

ორივე ახალგაზრდა, რომლებიც მათმა აღმზდელმა წარგვიდგინა, აღმზრდელთან ერთად მოგვესალმა და მათ კმაყოფილება გამოთქვეს ჩემი, როგორც გენერალ ერმოლოვის მეგობრის, ჩამოსვლის გამო. სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია აღვნიშნო, რომ სწორედ ამ უკანასკნელის დამსახურება გახლდათ ჩვენი ესოდენ განსაკუთრებული მიღება; ამით შეიძლება ვიმსჯელოთ, თუ რა გავლენა აქვს რუსეთის მთავრობას მთელ ამ მხარეში.

შევუერთდით ახალგაზრდა მთავრების თანმხლებ ოთხმოც თათარს, გავუსწარით ქარავანს და მალე ქალაქ ტარკის ქვემო ნაწილში ჩავედით, რომელიც მის გარეუბანს წარმოადგენდა. მოვთავსდით ჩვენთვის განკუთვნილ ბინაში, სადაც უამრავი ხალიჩა, ბალიში და სხვა ყველაფერი იყო, რაც კარგი მიღებისათვის არის საჭირო.

თავი XV

შესანიშნავი მიღება ტარკის (Tarkou) შამხალთან. მისი სატახტო ქალაქის აღწერა. სადილი სასახლეში. ტარკიდან გამგზავრება. ტარკსა და იანგიურთას (Angiourte) შორის მდებარე მხარის პეიზაჟი. ამ დაბაში ჩასვლა. მოსაზრებანი კასპიის ზღვის გასწვრივ არსებულ გზაზე. სულაკი (Soulak). ყიზილიურთის ციხე და სოფელი. მიღება მთავართან (Scheffy). ბადრაგი, რომელიც მან გამოგვიყო. კავკასიის მრეწველი ხალხები. შეხვედრა ყალმუხთა (Calmouks) ურდოსთან. მათი კარვების აღწერა. ნახიჩევანის (Natchivan) კარანტინში ჩასვლა. თერგზე გადასვლა. ყიზლარი.

ტარკში[1] ჩასულებს, ორივე ახალგაზრდა მთავარი, მათი აღმზრდელი, შამხლის ცოლი და ცოლისძმა ოცამდე წარჩინებული თათრის თანხლებით გვესტუმრნენ იმ სახლში, სადაც დაგვაბინავეს. მათ კიდევ ერთხელ გამოხატეს კმაყოფილება იმის გამო, რომ მთავარმართებლის მეგობრის მიღების საშუალება მიეცათ. ცოტა ხნის შემდეგ მოგვართვეს ოთხი უზარმაზარი ხონჩა თეთრი ცომის გალეტებითა და სხვადასხვა სახის ტკბილი ღვეზელებით; აგრეთვე, ფლავი, შარბათი და საუცხოო ხილით სავსე ლანგრები, რომლებიც იატაკზე დააწყვეს.

იმავე საღამოს რამდენიმე ცხვარი და ერთი ხარი დაკლეს. ქარავანი უფასოდ და უხვად მოამარაგეს საჭირო სურსათ-სანოვაგით. გამომშვიდობებისას შამხლის ცოლისძმამ თავისი დის სახელით მეორე დღეს სასახლეში სადილად მიგვიპატიჟა და დაბეჯითებით გვთხოვა, უარი არ მეთქვა; თან დაუმატა, რომ თავად გვეახლებოდა და ცხენებით წაგვიყვანდა.

მეორე დღეს მშვენიერი ამინდი გამოვიდა და საშუალება მოგვეცა დავმტკ-ბარიყავით იმ ყველაფრის ხილვით, რაც კი საუცხოო და ღირსშესანიშნავი იყო ტარკში. ეს ქალაქი არ უნდა გავაიგივოთ მეორე ტარკთან, რომელსაც ძველი გეოგრაფოსები თერგის შესართავთან მიუთითებდნენ და რომელიც დღე უკვე აღარ

არსებობს. ეს ქალაქი მდინარის ნიაღვრებმა და ომებმა გაანადგურეს, მისი გადარჩენილი მოსახლეობა კი ყიზლარში გადასახლდა.

ტარკში დაახლოებით ორი ათასამდე სახლია და თორმეტი ათასი მცხოვრები, თითქმის ყველა თათარი. არის ასევე რამდენიმე ლეკი, სხვა ლტოლვილი მთიელები და საკმაოდ დიდი რაოდენობით – სომხები: ეს ის ერი გახლავთ, რომელიც აზიის ყველა სხვა ხალხებთან არის შერეული; მათ ვხვდებით ალეპოში, სმირნაში, ინდისა და განგის ნაპირებზე მათ და ყველგან შენარჩუნებული აქვთ თავიანთი რელიგია, ზნე-ჩვეულებანი და ვაჭრობის უნარი. დაღესტნელი თათრები ჩერქეზულ ტანსაცმელს ატარებენ. მთავრების სამოსი მთლიანად ვერცხლის სირმებითაა გაწყობილი. მათი ხმლის ვადას ჯვრის ფორმა აქვს, როგორც ეს ჯვაროსნული ომების დროს იყო; გარდა ამისა, აქ ამავე ეპოქის უამრავ იარაღს ვხვდებით.

ვერსად ნახავთ ისეთ თავისებურ და თვალწარმტაც ადგილმდებარეობას, როგორიც აქვს ტარკს. ქალაქი ამფითეტრისებურად არის გაშენებული ნახევრად ელიფსურ სიღრმეში, რომელიც ყველა მხრიდან მაღალი მთების ქედს ებჯინება. ქალაქის ყოველი წერტილიდან მოჩანს კასპიის ზღვა, რომელიც აქედან ორ ვერსზეა. ყურე დაცულია ყველა მიმართულების ქარებისაგან, გარდა აღმოსავ-ლეთისა, რომელიც ზღვის მხრიდან უბერავს. ტარკის სანაპირომდე ორ ვერსზე გადაჭიმული დაბლობი წარსულში, სავარაუდოდ, მთლიანად წყლით უნდა ყოფილიყო დაფარული. მაშინ ღუზიანი ხომალდები ამ ყურეში სავსებით დაცული იყვნენ და ქალაქს ვაჭრობისათვის ხელსაყრელი მდებარეობა ჰქონდა.

თორმეტ საათზე დაახლოებით ორმოცდაათამდე მხედარი, რომელთაც წინ შამხლის ორივე ვაჟი, მათი აღმზრდელი და ბიძა (დედის ძმა) მოუძღოდათ, ჩვენს წასაყვანად გამოცხადდნენ. ჩვენც ცხენებზე ავმხედრდით და სასახლისაკენ გავემართეთ. სასახლისაკენ მიმავალი გზა მეტად ფრიალო იყო, სასახლე კი ამ ულამაზესი ამფითეატრის ყველაზე ამაღლებულ ადგილზე აეშენებინათ და მის მწვერვალს ქმნიდა. ქუჩები, სადაც გავიარეთ, ვიწრო და მიხვეულ-მოხვეული იყო. თითქმის ყველა სახლი ბაღებში იყო ჩაფლული, სადაც სხვადასხვა ჯიშის ხეები ხარობდა. მათ შორის გამოირჩეოდა იტალიური ალვის ხე, რომელიც, ისე როგორც საქართველოში, აქაც ადგილობრივი ჯიშის უნდა იყოს. უამრავი წყაროდან უხვად მოჩქეფდა კამკამა წყალი, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ქალაქის ბოლომდე ჩანჩქერებად იღვრებოდა. ჩვენს მსვლელობას ახალისებდნენ თათრები, რომლებიც თავიანთი სახლებიდან ჩვენი კავალკადის თვალის შესავლებლად გამოდიოდნენ, ხოლო ქალები, კედლებსა და კარებს ამოფარებულნი, ცდილობდნენ თავიანთი ცნობისმოყვარეობა ასე მალულად დაეკმაყოფილებინათ.

შამხლის სასახლეში მისვლისთანავე დავინახეთ, რომ პირველივე ეზო სავსე იყო ცნობისმოყვარეებით, რომელთაგან უმრავლესობა სასახლის სტუმრები უნდა ყოფილიყვნენ. ჩამოვქვეითდით თუ არა ცხენებიდან, პირველ სართულზე ავედით; შეგვიყვანეს საცხოვრებელ ბინაში, რომელიც საკმაოდ დიდი ვესტიბიულისა და მშვენიერი სასტუმრო დარბაზისაგან შედგებოდა. მას ძალზე სწორი პარალელოგრამის ფორმა ჰქონდა, სიღრმეში კი იყო ბუხარი, რომელშიც დიდი ცეცხლი გიზგიზებდა. ამ დეტალებს იმიტომ აღვნიშნავ, რომ მიმაჩნია - ადგილობრივი ხალხისათვის ცეცხლით უხვად სარგებლობა ერთ-ერთი ძირითადი

საშუალებაა ციებისაგან თავის დასაცავად. მართლაც, ეს დაავადება უფრო ხშირად უცხოელებს ემართებათ, რომლებიც არავითარ ზომებს არ იღებენ სიცხისა და სიცივის მკვეთრი მონაცვლეობის დროს. მე არაერთხელ მომეცა საშუალება ამის დასადასტურებლად. შენობის ფანჯრებიდან, რომლებსაც აქ დარაბები ცვლიდნენ, შესანიშნავად ჩანდა მთელი ქალაქი და კასპიის ზღვა.

მალე ჩაი მოგვართვეს. ეს ჩვეულება, ვფიქრობ, ამ მხარეებში უფრო ძველი უნდა იყოს, ვიდრე ევროპაში. აქ იგი ყალმუხებს[2] უნდა შემოეტანათ, რომლებიც ჩინელების ქვეშევრდომები იყვნენ. შამხლის ცოლისძმა და ახალგაზრდა მთავრების აღმზრდელი, როგორც ჩანს, სასახლის საპატიო წევრებებად ითვლებოდნენ. ჩვენი სომეხი თარჯიმანი, რომელიც თათრულად კარგად საუბრობდა, ამ დღეს მეტად მნიშვნელოვან პიროვნებად იქცა: მას ათასნაირი კითხვები მიაყარეს საფრანგეთის შესახებ და თან არ იშურებდნენ ქათინაურებს, როგორც ეს აზიაშია მიღებული. ამავე დროს, დარბაზის მთელ სიგრძეზე დააგეს ხალიჩები და ზედ დააწყვეს სამი უზარმაზარი ხონჩა ფლავით, ცხვრის ნაჭრებითა და შემწვარი შინაური ფრინველებით, სხვადასხვა მურაბებითა და საუცხოო ხილით. სასმელად მოგვართვეს ორი სახის შარბათი, რომელიც ჩინური ფაიფურის ლამაზ ჯამებში ესხა. სამივე სუფრა ერთნაირად იყო გაწყობილი. ამავე დროს, მასპინძლებმა ყურადღება გამოიჩინეს და იმ სუფრასთან, სადაც ჩვენ დაგვსვეს, მერხები დადგეს, აგრეთვე დანარჩენი ორი სუფრისგან განსხვავებით, ვერცხლის კოვზები და დანა-ჩანგალი მოგვართვეს. მეორე სუფრასთან ისხდნენ შამხლის ცოლისძმა, ორივე ახალგაზრდა მთავარი, მათი აღმზრდელი და ერთი მუსლიმი სასულიერო პირი, რომელმაც რამდენიმე იტალიური სიტყვა იცოდა და ატარებდა თეთრ დოლბანდს – მექაში მისი მოგზაურობის ნიშნად. მესამე სუფრა ადგილობრივმა თათარმა წარჩინებულებმა დაიკავეს.

როდესაც სუფრას მივუსხედით, თათრები მათთვის განკუთვნილ ადგილებზე ჩაცუცქდნენ და ხელით შეუდგნენ ფლავისა და ხორცეულის ჭამას, ბრინჯსაც პეშვებით იღებდნენ. ჩვენ ძალიან ცოტას ვჭამდით, რადგან ახალი გამოჯანმრთელებულები ვიყავით, თათრები კი პირიქით – მშვენიერ მადაზე იყვნენ, მაგრამ სადილი დიდხანს მაინც არ გაგრძელებულა. როდესაც სტუმრები სუფრიდან აიშალნენ, მსახურებმა წყლით სავსე თასები შემოიტანეს ხელების დასაბანად: ეს ჩვეულება მათი ჭამის მანერიდან უნდა მომდინარეობდეს.

მრავალფეროვანი კერძების სიუხვე გვაფიქრებინებს, რომ როცა სუფრიდან ავიშალეთ, ხონჩები ჯერ კიდევ სავსე იყო კერძებით, რომლითაც ამჯერად უნდა გამასპინძლებოდნენ იმ თათარ წარჩინებულებსა და სასახლის სხვა სტუმრებს, რომლებიც ჩვენთან ერთად არ მონაწილეობდნენ ნადიმში. აალაგეს ხალიჩები და ხონჩები. რამდენიმე წარჩინებული იმ სუფრას შემოუსხდა, ჩვენ რომ გვეკავა, უფრო დაბალი რანგის თათრები კი მეორე სუფრასთან აღმოჩნდნენ. ხოლო რაც შეეხება მდაბიო კლასის წარმომადგენლებსა და მსახურებს, ისინი უხეშად გააძევეს დარბაზიდან და ვესტიბიულში გაუშალეს მესამე სუფრა; აქ ყველაფერი ელვისებურად შეიჭამა.

დარბაზში კიდევ ერთ საათს დავრჩით. წასვლამდე დედოფალმა – შამხლის მეუღლემ, თავისი გულწრფელი სინანული დამიდასტურა იმის გამო, რომ ადგილობრივი წესებიდან გამომდინარე, მას ჩემი მიღება ეკრძალებოდა.

ამასთანავე, შემომითვალა, რომ თუკი მგზავრობისათვის რაიმე სახის სურსათი დამჭირდებოდა, საკმარისი იყო ამის შესახებ მისთვის შემეტყობინებინა. ამის შემდეგ დავათვალიერეთ წინა ეზო სასახლის იმ ნაწილში, რომელიც შამხლის მეუღლესა და სხვა ქალებს ეკავათ. აქ მშვენიერი საბანაო აუზი იყო, რომელიც წყაროს წყლით მარაგდებოდა. ამ უზარმაზარ ამფითეატრში ასეთ წყაროებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვსვდებოდით. ბოლოს ცხენებზე ავმხედრდით და ჩვენს საცხოვრებლამდე იმავე ამალამ მიგვაცილა, რომელმაც სასახლეში მოგვიყვანა. ამჯერად ბაზრებზე გამოვიარეთ. აქ არც ჩვეული ფუსფუსი იგრძნობოდა და არც სიცოცხლე ჩქეფდა ისე, როგორც ეს თბილისსა და ბაქოში ვნახეთ. დუქნებში ზოგადად ბევრი არაფერი იყო.

შინ დაბრუნებისთანავე ორმა თათარმა საჭმელებითა და ხილით სავსე ხონჩები მოიტანეს ჩემი ვაჟისათვის, რომელიც ციებამ იძულებით გამოკეტა ოთახში და ჩვენთან ერთად სასახლეში ვერ წამოვიდა.

ნაშუადღევს ორი ქალი – დედა-შვილი გვეწვია; ერთი მათგანი დაახლოებით ორმოცდახუთი წლისა იქნებოდა, მეორე კი ახალგაზრდა და ლამაზი გარეგნობის იყო. მათ მთხოვეს შამხალთან შუამდგომლობა, რათა ამ უკანასკნელს მათი ვაჟისა და ძმისათვის ეპატიებინა ის დიდი შეურაცხყოფა, რომელიც მას მიუყენებია – შეუცდენია შამხლის მეუღლის ერთ-ერთი მსახური. დედა-შვილი გულმხურვალედ მევედრებოდნენ, დავხმარებოდი და თან ცრემლად იღვრებოდნენ. სრულიად ზედმეტი იყო მათი ხვეწნა-მუდარა, რადგანაც მათი გასაჭირი ისედაც გულთან ახლოს მივიტანე; ყმაწვილ კაცს ისეთი დანაშაული ჰქონდა ჩადენილი, რომელიც ამ მხარეებში მიუტევებლად ითვლებოდა. ამის თაობაზე ახალგაზრდა მთავრების აღმზრდელს მოველაპარაკე. მან დამარწმუნა, რომ თუკი შამხალს დამნაშავის მიტევებას ვთხოვდი, იგი უარს არ მეტყოდა. დედა-შვილს წერილი გადავეცი, სადაც შამხალს დამნაშავის სრულ შეწყალებას ვევედრებოდი, ისინიც გულდაჯერებულნი წავიდნენ, რადგან ირწმუნეს, რომ სულ მალე იხილავდნენ მას, ვისი გულისთვისაც ასე გაისარჯნენ.

როდესაც დადგა განშორების ჟამი, თათარმა თავადებმა გვაცნობეს, რომ სამოცდაათი ცხენოსნით გამოგვყვებოდნენ ყიზილიურთამდე, რომელიც ტარკიდან მთელი ორი დღის სავალზეა. კაპიტანმა მათ უთხრა, რომ გამგზავრებას მეორე დღეს, ექვსი საათისათვის გეგმავდა. თათრები წავიდნენ და დაგვიბარეს, რომ დანიშნულ დროს ზუსტად გამოცხადდებოდნენ. საღამოს ისევ მოგვართვეს პური, ღვეზელები, ფლავი და მურაბები, რითაც ჩვენი ბადრაგის ერთი ნაწილი მოვამარაგეთ.

ტარკის შამხალი საკმაოდ დიდი ტერიტორიის მფლობელია; მოსახლეობა აქ 60 ათასს არწევს. მიწები ნაყოფიერია, მაგრამ გასაღების ბაზრის უქონლობა ხელს უშლის სოფლის მეურნეობის წარმატებას და აფერხებს მის განვითარებას. მოსახლეობა ძირითადად ცხენებისა და სხვადასხვა სახის პირუტყვის მოშენებითაა დაკავებული. ქალაქისა და მთელი მხარის ვაჭრობა უმთავრესად სომხების ხელშია: როგორც წესი, ისინი მოგზაურობენ რომელიმე თავადის მფარველობის ქვეშ, რომელსაც ამისათვის საკომისიო გასამრჯელოს უხდიან, თავადი კი მათ უზრუნველყოფს კონაკით (konac).

ჩვენს სენეგალის კოლონიებში მეფის მთავრობა მანდინგებს (Mandingues) ვოლოფებს (Yoloffs), ფულბებს[3] (Poules) და მდინარის ნაპირზე მცხოვრებ სხვა ტომებს მშვიდობის შესანარჩუნებლად ერთგვარ საფასურს უხდიდა – ამ ხალხებისათვის საჭირო სამრეწველო პროდუქტების სახით. ამ საჩუქრებს ადათ-წესები დაარქვეს და ამაში არაფერი ყოფილა არასოდეს სათაკილო. იქნებ ამგვარი სისტემის შემოღება შესაძლებელია კავკასიის ხალხების მიმართაც? ამით მათ დამორჩილებას თუ არა, ყოველ შემთხვევაში, იმას მაინც მიაღწევენ, რომ ავაზაკობაზე ხელს ააღებინებენ და ეს საშინელი ჩვევა იმის ღრმა რწმენით შეიცვლება, რომ თუკი მშვიდობიან ურთიერთობებს დაამყარებენ რუსეთთან, სოფლის მეურნეობა და ვაჭრობა მათ გაცილებით მეტ სარგებელს მოუტანს.

თავადების წასვლის შემდეგ, საღამოს ათი საათისათვის ახალი დაწოლილები ვიყავით, როდესაც კაზაკთა კაპიტანი მოვიდა და მითხრა, რომ თუ წინააღმდეგი არ ვიქნებოდი, იქნებ შუაღამით გავმგზავრებულიყავით: მეორე დღეს ტარკიდან 52 ვერსით დაშორებულ სოფელ იანგიურთში[4] ჩავიდოდით, რომელიც შამხალს ემორჩილებოდა; თან დაუმატა, რომ იქ მშვენიერ ბინას ვიშოვიდით და ქარავანსაც საჭირო სურსათით მოვამარაგებდით; ხოლო თუკი დილის ექვს საათზე გავემგზავრებოდით, როგორც ადრე შევთანხმდით, მაშინ იანგიურთში ჩასვლამდე გზაში ბანაკის გაშლა მოგვიწევდა. ამ წინადადებას უყოყმანოდ დავთანხმდი და ორიოდე საათის შემდეგ უკვე გზაში ვიყავით.

ახალგაზრდა მთავრების აღმზრდელმა რამდენიმე თათარი მოსამსახურე დაგვიტოვა. ერთი მათგანი სასახლეში გავგზავნე ახლადმიღებული გადაწყვეტილების შესატყობინებლად და ჩემი სინანულის გამოსახატავად იმის გამო, რომ მასთან დამშვიდობებას ვეღარ ვასწრებდი; ამავე დროს შამხალს მადლობა გადავუხადე გულისხმიერი მასპინძლობისათვის და შევუთვალე, რომ ჩვენი დაცვის სრული გარანტიისათვის სავსებით საკმარისი იყო ჩვენივე ამალა და ამიტომ, რადგანაც არ მინდოდა ახალგაზრდა მთავრების ტყუილ-უბრალოდ გადაღლა, ვთხოვდი, რომ აღარ წამომყოლოდნენ.

საუცხოო ამინდი იდგა; მთვარე მთელი თავისი ელვარებით ანათებდა. გავიარეთ სწორი და ნაკლებად დამუშავებული მხარე. მიწა ჯერ კიდევ მწვანე ბალახით იყო დაფარული, რომელსაც საქონლის ჯოგებისა და ცხვრის ფარებისათვის საძოვრად იყენებდნენ. დროდადრო ოდნავ მომაღლო ბორცვები და ადვილად გადასალახი ხევები გვხვდებოდა. ქარავანი ნელა მიდიოდა; ზოგჯერ ვჩერდებოდით, რათა ჩამორჩენილებისათვის საშუალება მიგვეცა, დაგვწეოდნენ.

დაახლოებით 21 ვერსის გავლის შემდეგ ერთ მშვენიერ საძოვარზე შევჩერდით, რათა გვესაუზმა და ცხენებისათვის სულის მოთქმის საშუალება მიგვეცა. საძოვარი ხეებით იყო გარშემორტყმული და იქვე ახლოს გუბეც მოჩანდა საკმაოდ ცუდი წყლით. ასეთი გუბეები ამ მხარეში თითქმის ყველგან არის.

21 ვერსის გავლას შვიდი საათი მოვანდომეთ, ე. ი. საგუშაგოდან მოყოლებული, ერთ საათში ერთ ლიეზე ნაკლებს გავდიოდით. ამ მხარის ლანდშაფტიდან გამომდინარე, თითქმის სულ ერთ ხაზზე გვიწევდა სიარული, რის გამოც ბადრაგის თავსა და ბოლოს შორის ხშირად ერთ ვერსზე მეტი მანძილი იყო.

მინდორი, სადაც შევჩერდით, სოფელ თირქალი-ოზენის (Tarkali-Ousen) მახლობლად იყო. ამ სოფლის გლეხები მიწათმოქმედებას მისდევენ, ამავე დროს მცირე რაოდენობით ხალიჩებსაც ამზადებენ. ამ ნაწარმზე მოთხოვნილება შეიძლება რუსეთშიც გაჩნდეს და ის ექსპორტის მნიშვნელოვან საგნად იქცევა.

კარავში სამი საათი შევისვენეთ, შემდეგ კი ათი საათისათვის კვლავ გავუდექით გზას. ვიარეთ შედარებით ნაკლებად ნელა, ვიდრე ღამით; რადგანაც დღისით მგზავრობისას თვალყურის მიდევნება უფრო იოლი იყო და გაჩერებებიც ნაკლებად აუცილებელი, შეიძლება ვიანგარიშოთ, რომ სამ საათში ოთხ ვერსს გავდიოდით. ამგვარად, მანძილი იმ მინდვრიდან, სადაც დილით შევისვენეთ, იმ ადგილამდე, სადაც ორი საათისათვის კვლავ დავბანაკდით, 16 ვერსია.

თანდათანობით გზა სულ უფრო შორდებოდა კასპიის ზღვას და უახლოვდებოდა კავკასიის მთებს. ეს იყო ნამდვილი ტრამალი, რომელსაც დიდი მსგავსება ჰქონდა ძველი სკვითიის (Scythie) ტრამალებთან. დაბლობის სწორი ზედაპირი სულ პატარა გორაკითაც კი არ იყო გადაკვეთილი, მაგრამ ეს ტრამალი იმით განსხვავდება ამიერკავკასიის სხვა ტრამალებისაგან, რომ აქ ადგილ-ადგილ პატარა ჭალებია. დერბენდიდან იანგიურთამდე უამრავი გარეული იხვი და ბატი ვნახეთ. ბადრაგის ერთ-ერთმა ოფიცერმა, რომელიც კარგი მონადირე აღმოჩნდა, ბევრი მათგანი დახოცა. ამ ველებზე საკმაო რაოდენობით იყვნენ აგრეთვე ირმები და ჯეირნები.

ორიოდე საათის შესვენების შემდეგ გეზი ავიღეთ იანგიურთისაკენ, რომლისაგანაც დაახლოებით 13 ვერსი გვაშორებდა. მალე დავინახეთ, როგორ გვიახლოვდებოდნენ მხედრები – ტარკის ორი ახალგაზრდა მთავარი და მათი აღმზრდელი ცხენოსანთა დიდი ამალითურთ. ნამდვილად არ მოველოდით ყურადღების ამ ახალ გამოვლინებას: შამხალის ბრძანებაში იგულისხმებოდა, რომ ყიზილიურთამდე, რომელიც საშამხლოს საზღვარზე იყო, არ მივეტოვებინეთ. მთავრების ამალიდან ერთმა თათარმა ტკბილი ორცხობილით სავსე სამი ყუთი გადმოგვცა საგზლად. ამ ყუთებში უზომო რაოდენობით ორცხობილა აღმოჩნდა და მიუხედავად იმისა, რომ ყველას ვურიგებდით, ეს მარაგი მხოლოდ ასტრახანში ჩასვლის დღეს ამოვწურეთ. თათრები დიდად დახელოვნებულნი არიან ამგვარი ნამცხვრების მომზადებაში.

ქალაქ იანგიურთისა და მისი ოლქის მმართველი გახლდათ ახალგაზრდა მთავრების აღმზრდელის ძმა. ჩინებული აღნაგობის მქონე ამ თათარს წრფელი და პატიოსანი სახის გამომეტყველება ჰქონდა. მან მართლაც საუცხოოდ მიგვიღო; ბინა, რომელშიც მოგვათავსა, გაწყობილი იყო ხალიჩებით, ბალიშებითა და ბამბის საბნებით, რაც აღმოსავლეთის ხალხებში ფუფუნების საგნად ითვლება. რამდენადაც ბადრაგი მხოლოდ მეორე დღეს, რვა საათზე აპირებდა გამგზავრებას, აქ მოსასვენებლად საკმარისი დრო გვქონდა.

სახლი, სადაც დაგვაბინავეს, შუა ფერდობზე, მშვენიერ ადგილას იდგა. ჩვენს თვალწინ გადაშლილ სოფლის ხედს სიცოცხლეს მატებდა მექარავნეთა განუწყვეტელი ფუსფუსი: მათ ჩვენი სახლის ახლოს დაეკავებინათ ბინები, ზოგიერთებს კი იქვე გაეშალათ ბანაკი. დაბინავებისთანავე ახალგაზრდა მთავრების თანმხლები თათრები გვეწვივნენ. სოფლის მამასახლისმა (Chef)

ხელგაშლილად დაარიგა ყველანაირი სანოვაგე: არასოდეს მონახავს ისეთი გულუხვი გამასპინძლება, როგორც ეს ამ მხარეშია მიღებული. 1820 წელს, როცა მთავარმართებელი ერმოლოვი საკმაოდ მრავალრიცხოვან საჯარისო კორპუსთან ერთად შამხლის სამფლობელოში იმყოფებოდა, ეს მთავარი უხვად ამარაგებდა ჯარს ყველანაირი პროდუქტით; მთავარმართებლისა და მისი შტაბის მიმართ ასეთი გულითადი დამოკიდებულება შეიძლება იყოს მხოლოდ ევროპის ყველაზე ცივილიზებულ სახელმწიფოში.

მეორე დღეს ყიზილიურთისაკენ გავემგზავრეთ, რომელიც იანგიურთიდან მხოლოდ 30 ვერსითაა დაშორებული. გზა, ჩვეულებრივ, ყველგან კარგი იყო; ადგილი – სწორი, ერთფეროვანი და ნაკლებად დამუშავებული, სოფლები კი – უფრო იშვიათი და გზიდან დიდი მანძილით დაშორებული. ზღვისგანაც შორს ვიყავით, მაგრამ ხელმარცხნივ მაინც ბუნდოვნად ილანდებოდა კავკასიის მაღალი მთები, რომლებსაც მწვერვალი აბოლოვებდა, მათსა და კასპიის ზღვას შორის კი ვრცელი დაბლობი რჩებოდა.

უძველეს ხანაში, ისე როგორც ჩვენს დროში, იმიერკავკასიის უზარმაზარ ტრამალებში მცხოვრები მეომარი ხალხები აზიაში სალაშქროდ ამ დაბლობის გავლით მიდიოდნენ. ეს ის გზა გახლავთ, კიმერიელთაგან[6] დევნილი სკვითები რომ მიუყვებოდნენ; ამ გზაზე გაიარა პეტრე დიდმაც, როცა 1722 წლის 15 მაისს ეკატერინესთან ერთად სპარსეთისკენ მიემართებოდა და თან მიჰყავდა ჯარი 22 ათასი ქვეითის, 9 ათასი დრაგუნისა და 15 ათასი კაზაკის შემადგენლობით. ამ ჯარის ნაწილი იმ ხომალდებით გადაჰყავდათ, რომლებიც ასტრახანისა და ვოლგის სხვადასხვა ადგილებზე პირადად მისი ხელმძღვანელობით ააგეს; მას უნდოდა შური ეძია თავისი ქვეშევრდომების გამო, რომლებიც ძველ შემახაში დახოცეს (ეს ის ძველი ქალაქია, რომლის ნანგრევებმაც ესოდენ მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე).

ექვსი დღის განმავლობაში ჩვენს მიერ გამოვლილი მხარე ბევრად უკეთესად იქნებოდა დამუშავებული და მჭიდროდ დასახლებული, მის წინსვლას დიდად რომ არ აბრკოლებდეს გასაღების ბაზრის უქონლობა, ვაჭრობის დაკნინებება და ამ ხალხების მუდმივად მტრული დამიკიდებულება როგორც ერთმანეთთან, ისე რუსეთთან.

წლევანდელმა გვალვებმა ამ ოლქში საკვების გარეშე დატოვეს ცხვრის ფარები. ამის გამო შამხალი, რომლის სამფლობელოც სულაკის[7] ნაპირებზე მთავრდებოდა (რომელშიც ბ-ნმა დე სენ-კრუამ [Saint-croix], ვფიქრობ, სავსებით მართებულად ამოიცნო პტოლემაიოსის იოანა [Yoana]), იძულებული გახდა, ყუმუხ[8] თათართა (Tartares-Koumis) მთავრისთვის (scheffy) ეთხოვა ნებართვა, რათა დადგენილი საფასურის გადახდით, 200 ათასი ცხვარი საძოვრად გადაერეკა მის ტერიტორიაზე, რომელიც სულაკის მარცხენა ნაპირიდან თერგამდეა გადაჭიმული.

რამდენიმე კვირის წინ ცხვარი უკვე გადაეყვანათ მდინარეზე და ყუმუხელთა მიწაზე აძოვებდნენ. მაგრამ ამ დროს შამხალსა და ყუმუხ მთავარს შორის უთანხმოება ჩამოვარდნილა და ამ უკანასკნელს სასწრაფოდ მოუთხოვია დაახლოებით 2 ათასამდე ცხვრის უკან გადაყვანა. მართალია, მდინარე არც ისე განიერი იყო, მაგრამ ამ დროისათვის მას მეტისმეტად სწრაფად მოედინებოდა, რის

გამოც ცხვრის ფარისათვის მისი გადალახვა დიდ ხიფათს წარმოადგენდა. შამხალი შიშობდა, და არცთუ უსაფუძვლოდ, რომ ცხვრები მდინარეზე ცურვით უნდა გადაეყვანათ და ამ დროს მათი უდიდესი ნაწილი აუცილებლად დაიღუპებოდა. ამიტომ სადავო საკითხი განსახილველად მთავარმართებელს წარუდგინეს და მის გადაწყვეტილებას ელოდნენ.

ყიზილიურთში დავემშვიდობეთ აღმზრდელსა და ახალგაზრდა მთავრებს, რადგან ისინი უფრო შორს ველარ გამოგვყვებოდნენ შამხალსა და ყუმუხთა შორის არსებული განხეთქილების გამო. ვერც კი მოვახერხეთ ჯეროვნად გამოგვეხატა მადლიერება იმ თავაზიანობისა და გულისხმიერებისათვის, რაც ჩვენს მიმართ გამოიჩინეს ტარკის შამხლის სამფლობელოში ყოფნისას.

ვიდრე მდინარეს მივადგებოდით, უკან ჩამოვიტოვეთ ხელმარცხნივ მთებში, 10 თუ 12 ვერსის მოშორებით მდებარე პატარა ქალაქი ანდრეევი[9] (Andrew), რომელიც საშამხლოს ტერიტორიაზეა. აქ გასულ წელს ააგეს ციხე, სადაც რუსული ჯარი ჩააყენეს. ქალაქის მოსახლეობის დიდ ნაწილს შეადგენენ ებრაელები, რომლებიც ბაბილონის დაპყრობის შემდეგ გაფანტულ ებრაელთა შთამომავლები არიან. ისინი ძირითადად იარაღის ოსტატები, მჭედლები და სპილენძის ხელოსნები არიან. გადმოცემის თანახმად, თავიანთ წარმომავლობას ისინი უკავშირებენ გადის ტომს[10] (Gad), რომლის წიაღშიც, როგორც ვარაუდობენ, ანტიქრისტე უნდა იშვას.

სამი საათი იქნებოდა, როდესაც ბადრაგმა სულაკის ნაპირებს მიაღწია. მდინარის ხელმარჯვნივ რუსების ციხე დგას, ხელმარცხნივ – სოფელია, რომელიც ყუმუხი მთავრის საკუთრებაა; ორივე მათგანს ყიზილიურთი ჰქვია. ციხესიმაგრის კომენდანტი – ქვეითი ჯარის მაიორი, ჩვენი ჩასვლის თაობაზე გაფრთხილებული იყო; იგი შემოგვეგება, თავისთან მიგვიპატიჟა და გვთხოვა, უარი არ გვეთქვა ხემსზე, რომელიც საგანგებოდ ჩვენთვის მოამზადებინა.

ყიზილიურთის გარნიზონი შედგება კარაბინერების რაზმის, ქვეითი ჯარის, ოციოდე კაზაკის და საკმაოდ საკმაოდ ბევრი არტილერისტი ჯარისკაცისგან. ციხის კედლებთან განთავსებული რამდენიმე ზარბაზნითა და მრავალი ტყვიამფრქვევით ამ საგუშაგოს უფროსს თავისუფლად შეუძლია დაძლიოს მთიელთა წინააღმდეგობა, რომელთაც შიშის ზარს სცემს ევროპული არტილერია.

მაიორი უკვე რამდენიმე წელია, ყიზილიურთში იმყოფება და მის ჯანმრთელობას კიდეც დაეტყო აქაური მავნე ჰაერის კვალი. ისევე, როგორც მისი გარნიზონის ოფიცრები, ისიც მოუთმენლად ელოდა რუსეთში დაბრუნების ნებართვას. ყიზილიურთის გარეუბნები სავსეა სხვადასხვა ჯიშის ნადირით; ძალზე ხშირად გვხვდება ტახი ანუ გარეული ღორი, რომლის ხორციც გემრიელია და ამავე დროს, მსუბუქიც. ეს გამორჩეული ხარისხი შარდენმა სამეგრელოს ღორებშიც შენიშნა. ციხის კომენდანტი გაგვიმასპინძლდა ხოხბებით, რომლებიც თვითონ ჰყავდა მოშენებული; მან დიდი გულისხმიერება გამოიჩინა და სამი ხოხობი საგზლადაც გაგვატანა.

ახალგაზრდა მთავრებისა და მათი მრავალრიცხოვანი ამალის გამგზავრებამ ჩვენი ესკორტი დროებით შეამცირა, თუმცა ეს დანაკლისი მალევე შეივსო: მიღებული ბრძანების თანახმად, ყიზილიურთის კომენდანტმა ჩვენს ბადრაგს ორმოცი კარაბინერი შემოუერთა. მათი მეთაური – ახალგაზრდა ოფიცერი,

სიხარულს ვერ მალავდა იმის გამო, რომ რამდენიმე დღით მოშორდებოდა ყიზილიურთის საგუშაგოს. თავის მხრივ, ყუმუხთა მთავარმა, რომელმაც ვერ შეძლო პირადად შეგვხვედროდა, გამოგვიგზავნა ერთ-ერთი თავისი ნათესავი, რომელმაც შეგვატყობინა, რომ მეორე დღეს, ჩვენი გამგზავრების დროისათვის, ისიც შემოუერთდებოდა ჩვენს ბადრაგს სამოცი ცხენოსანი თათრის თანხლებით.

სოფელი ყიზილიურთი სულაკის მარცხენა ნაპირზე, შუა ფერდობზეა გაშენებული. აქ დაახლოებით 500-მდე სახლი დგას, მოსახლეობა კი 3 ათას სულს შეადგენს. მათ შორის არიან ყუმუხი თათრები, ჩეჩნები (tchetchens), ლეკები და სხვა მთიელები. მთავარი მუდამ მზად არის ყველა ლტოლვილს, იმათაც კი, ვისაც დანაშაული აქვს ჩადენილი, თავშესაფარი მისცეს ყიზილიურთში ან მთებთან ახლოს მდებარე სოფელში, რომელსაც ამჟამინდელი იმპერატორის პატივსაცემად ალექსანდროვი (Alexandrow) ეწოდება. ამით მან თანდათან გაზარდა მოსახლეობის რიცხვი და გააძლიერა თავისი სამფლობელო. პეტრე დიდის მიერ განხორ-ციელებული პირველი იერიშის შემდეგ ამ საგვარეულოს მთავრები სამუდამოდ დაუკავშირდნენ რუსეთს. ჩვენი ამალის წინამძღოლმა გვაჩვენა მშვენიერი ხმალი, რომელიც ეკატერინე დედოფალს მამამამისათვის უბოძებია. ამ ხმლის პირზე ამოკვეთილი წარწერა ყუმუხ თათართა მთავრის ერთგულებას ადასტურებდა.

მთავრის სამფლობელოს ახლოს, მთებში ორი მშვენიერი სოფელია, სადაც ენერგიული, მოხერხებული, მშვიდობიანი, შრომისმოყვარე, მდიდარი და დამოუკიდებელი ხალხი ცხოვრობს. მათ ზნე-ჩვეულებებსა და რელიგიას არაფერი აქვს საერთო გარშემო მყოფ ხალხებთან. მიღებული თვალსაზრისით, ისინი მორაველი ძმების[11] (Moraves) კოლონიის შთამომავალნი არიან. ეს გადმოცემა იმდენად გავრცელებული იყო, რომ ოცდაათი წლის წინ სარეპტას[12] (Sarepta) მორავებმა აქ სამკაციანი დეპუტაცია გამოგზავნეს მათთან დასაძმობილებლად; მაგრამ ეს ამბავი ან შეთხზული უნდა იყოს, ან უნდა ვიფიქროთ, რომ ორი თუ სამი საუკუნის მანძილზე მთებში ცხოვრებამ ყოველგვარი კვალი წაშალა ამ ხალხში მათი ენის, კულტურისა და რელიიგისაგან. წარგზავნილები უკან გაწბილებულნი დაბრუნებულან, რადგან დარწმუნდნენ, რომ ამ ტომთან დაახლოების იმედი უსაფუძვლო იყო.

ამ ორი სოფლის მოსახლეობის ნაწარმი მრავალგვარია: ისინი კარგი მეიარაღეები არიან, ამზადებენ თოფისწამალს, რომლითაც ადგილობრივ მთიელებს ამარაგებენ; აკეთებენ სხვადასხვა სახის ავეჯს, რომელსაც კავკასიის ხალხები ყიდულობენ. ბ-ნ მაიორ დელპოცოს[13] (Delpozzo), რომელიც ამ მთებში ტყვედ იმყოფებოდა, ეს ორი სოფელი უნახავს და ხშირად აღტაცებით მესაუბრებოდა ხოლმე ამ გონიერ, მშვიდ და შრომისმოყვარე ადამიანებზე. აქაურებს მიაჩნიათ, რომ მათ სამრეწველო პროდუქციას ისეთი სარგებლობა მოაქვს კავკასიის ყველა ხალხისთვის, რომ მიუხედავად მათ მიერ დაგროვილი სიმდიდრისა, ძლიერი მეზობლები მათ არასოდეს დასხმიან თავს.

ამ ორი სოფლის მცხოვრებნი ასევე მისდევენ სოფლის მეურნეობასაც და საკმაოდ დიდი რაოდენობით პირუტყვი ჰყავთ. კავკასიის თითქმის ყველა ხალხმა გაითავისა ფეოდალური მმართველობის წესი, როგორც უფრო მოსახერხებელი მეომარ ხალხთათვის, რომელნიც მუდმივად მზადყოფნაში უნდა იყვნენ მტრის

თავდასხმებისაგან თავის დასაცავად, ამიტომ თავიანთ წინამძღოლად ისინი ყველაზე ძლიერ და მამაც ადამიანს ირჩევენ. მათგან განსხვავებით, ამ ორი სოფლის მოსახლეობას მონარქიის თავისებური სახეობა აქვს შექმნილი: სათავეში უდგათ მთავარი, მას დიდ პატივს მიაგებენ, თუმცა არანაირ გადასახადს არ უხდიან. მას ირჩევენ და არჩევისას მის წინაშე დებენ ფიცს, რომ გაჰყვებიან ბრძოლაში, თუკი ამის აუცილებლობას ყველა ერთხმად აღიარებს; ხოლო თუ მთავარი, საკუთარი პატივმოყვარეობის გამო, ან ხალხის თანხმობის გარეშე დაიწყებს ბრძოლას, მისი ქვეშევრდომები მას არ მიჰყვებიან და ასეთ შემთხვევაში იგი იძულებული ხდება შემოიფარგლოს თავისი ახლობლებით ან გარეშე პირებით, რომლებსაც საგანგებოდ დაიქირავებს. როდესაც გენერალი ციციანოვი საქართველოს გენერალ-გუბერნატორი იყო, იგი ამ სოფლებზე გავლისას აქ შეყოვნდა და შეეცადა აქაურები დაეთანხმებინა, რომ ამიერკავკასიის რომელიმე პროვინციაში დასახლებულიყვნენ, თან დაპირდა, რომ ბევრად უფრო დიდ ტერიტორიას გამოუყოფდა და განსაკუთრებულ უფლებებსაც მიანიჭებდა; მაგრამ ამ ხალხმა, მდიდარმა და სავსებით კმაყოფილმა საკუთარ მთებში ცხოვრებით, არ მოისურვა რისკის ფასად საკუთარი ბედნიერებისა და დამოუკიდებლობისთვის ხიფათი შეექმნა და ეს ყველაფერი გაეცვალა შესაძლოა უფრო საამო, მაგრამ უსაფრთხოების არც თუ ისე მყარი გარანტიის მქონე არსებობაზე.

მთავარი არ აღმოჩნდა ისეთივე ხელგაშლილი, როგორც ბერიქეი, ან განსაკუთრებით – ტარკის შამხალი. ამალის წინამძღოლმა დიდი გაჭირვებით შეძლო მისგან ცხენებისა და ხარებისათვის აუცილებელი ფურაჟის მოპოვება. საბედნიეროდ, თათრების ურმებს, რომლებიც უკან მოგვყვებოდნენ, გზის სარეზერვო მარაგი მოჰქონდათ, რაც სავსებით საკმარისი იყო ორდღიანი მგზავრობისათვის: ყიზლარამდე სწორედ ორი დღის სავალი დაგვრჩა.

ყიზილიურთიდან საკარანტინო პუნქტამდე, რომელსაც ნაშტურინი (Nachthourin) ეწოდებოდა, 65 ვერსია. რადგან გზის ამ მონაკვეთზე სოფლის ჭაჭანებაც არ იყო, გადაწყდა, რომ ღამის გატარება ამჯერად კარავში მოგვიწევდა. ბადრაგის ცხენების უმრავლესობა იმდენად დაქანცული იყო, რომ ყიზილიურთიდან 20 ოქტომბერს (1 ნოემბერს) მხოლოდ ნაშუადღევს გავედით. მთავრის მოხუცი ნათესავი და 60 თათარი, რომელთა შესახებ ზემოთ ვისაუბრე, ბადრაგს შემოუერთდნენ, რათა ყიზლარამდე გამოგვყოლოდნენ.

საღამოს შვიდ საათამდე შეუსვენებლად მივდიოდით. დაახლოებით 26 ვერსი გავიარეთ ტრამალში, სადაც დროდადრო გვხვდებოდა საკმაოდ განიერი და ღრმა ტბორები, რომელთა გადალახვა საკმაოდ დიდი სიძნელეებს გვიქმნიდა. შევჩერდით ლამაზ მდელოზე, სადაც ბედნიერმა შემთხვევამ ხელი შეუწყო ჩვენს დაბანაკებას: ყალმუხთა ურდოს საუცხოო წყაროსთან ახლოს ამოერჩია მდელო, სადაც თავიანთი კარვები გაეშალათ. მათ მაშინვე შემოგვთავაზეს ღამის გასათევად ყველაზე დიდი კარავი და ერთ წუთში იგი მდელოს ყველაზე მშრალ ადგილას გადაიტანეს. ამ მსუბუქი კარვების გადატანა იოლი საქმეა: მათი კარკასი შედგება ხის თამასე-ბისაგან, რომლებიც შეერთებულია მოწნული ლაფნით, ეყრდნობა ხის რამდენიმე ფიცარს და მათ აუცილებლად ნუშისებრი ფორმა აქვთ. კარკასი მთლიანად დაფარულია ჰაერგაუმტარი და წყალგაუმტარი ნაცრისფერი ან შავი ნაბდით.

ასეთივე ნაბდით არის დაფარული საკმაოდ ვიწრო, ოთხ ფუტამდე სიმაღლის შესასვლელი. ინტერიერის დიამეტრი დაახლოებით 9 ფუტია; ცეცხლი ინთება კარვის შუაგულში, რისთვისაც ზემოთ, ჭერში დაახლოებით 18 გოჯის ზომის ხვრელია დატანებული. როცა ცეცხლი არ ანთია, ხვრელი ნაბადგადაკრული ხის საცობითაა დახურული. ყოველივე ამის გამო, და იმის წყალობითაც, რომ ინტერიერი მთლიანად მოფენილი იყო ხალიჩებით, ჩვენ ისე კარგად მოვეწყვეთ და სიცივისა თუ ნესტისაგან იმდენადვე კარგად ვიყავით დაცულნი, როგორც თათრულ სახლში. ყალმუხებმა, თავიანთი ჩვეულების თანახმად, პატარა წრიული ღარი გაავლეს, რომელშიც ზუსტად ჩაჯდა კარავი, ამიტომაც ცივი ჰაერი შიგნით ვერ აღწევდა.

ქეჩებით მორთული ასეთი კარავი დაახლოებით 60 მანეთამდე ღირს. ისინი დიდად გამოსადეგარი იქნება ახალი კოლონიებისთვის და დროებით საცხოვრებლად. ერთი ადგილიდან მეორეზე გადასატანად კარვებს დაუშლელად დებენ დაბალთვლებიან ურმებზე. ამ კარვების გამოყენება სხვა თვალსაზრისითაც უფრო მოხერხებულია, ვიდრე სახურავიანი კარვებისა, რადგან ეს სახურავი ცუდად მაგრდება პალოებით და, როგორც წესი, სრულყოფილად ვერ იცავს მობინადრეს წვიმისა და ქარისაგან.

ამ მხარის ყველა ხალხმა იცის ქეჩის წარმოება. თხის ბეწვისა და მატყლის დაბალი ფასის გამო ქეჩა ძალზე იაფად იყიდება. მისაღებ ფასად იმდენი ქეჩის ყიდვა შეიძლება, რაც სავსებით საკმარისია კარვის გადასახურად. ასტრახანი ერთ-ერთი იმ ადგილთაგანია, სადაც ამ საქონლის შეძენა ყველაზე იაფად შეიძლება.

დონის მარცხენა ნაპირზე გადაჭიმულ ტრამალებში მომთაბარე ხალხები საუკუნეების მანძილზე ცხოვრობდნენ ამ კარვებში. ქვეყანა, სადაც ჩვენ ვიმყოფებოდით, მისგან თერგითაა გამოყოფილი, მაგრამ ყველაფრით მისი მსგავსია; იშვიათად გვხვდებოდა დამუშავებული მიწები, ადგილობრივი მოსახლეობა მარტო ცხენებისა და პირუტყვის მოშენებით არის დაკავებული, რაც მათი სიმდიდრის ერთადერთი წყაროა. დროდადრო ერთფეროვან და მოუსავლიან ველებზე თათრებისა და ყალმუხების სადგომებს ვხვდებოდით. მომთაბარეებს თან ჰყავდათ თავიანთი ნახირი, სადაც ყოველთვის იყო რამდენიმე აქლემი.

რვა საათზე ტირიფებითა და ალვის ხეებით გარშემორტყმულ წყაროსთან შევჩერდით. ყოველი შესვენებისას, როგორც კი დავდგამდით კარავს, მაშინვე გვეწვეოდა მთავრის ნათესავი თანმხლებ თათრებთან ერთად. მოციქულის აკრძალვის მიუხედავად, ისინი სიამოვნებით მიირთმევდნენ ჩვენ მიერ შეთავაზებულ რომს.

საუზმის შემდეგ, 10 საათისათვის ქარავანი გზას გაუდგა. შუადღისათვის საკმაოდ განიერ, ნახევარი ვერსის სიგრძის წყალსატევს მივადექით. იგი ისეთი ღრმა იყო, რომ ეკიპაჟი, „პოვოზკები“ და ქვეითი ჯარი ფონით ვერ გავიდოდნენ; ასეთ შემთხვევებში ყოველთვის სამ ფართო და მოხერხებულ პონტონის ხიდს იყენებენ ხოლმე. ჩვენი ბადრაგი ისეთი მრავალრიცხოვანი გახდა, რომ ამ წყალსატევზე გადასვლა სამ საათზე მეტხანს გაგვიგრძელდა.

ჩვენ პირველივე პონტონის ხიდით გადავედით. მოგვათავსეს მენავეების საცხოვრებელი ქოხის ერთ კარგ ოთახში. მთავრის მოხუცი ნათესავი ტბის გაღმა მხარეს დაგვემშვიდობა. მან ერთ-ერთ თავის ძმას, ბევრად უფრო ახალგაზრდას,

დაუბარა ეზრუნა ჩვენზე და თავის თათრებთან ერთად ყიზლარამდე გამოგვყოლოდა. ამ ლამაზი გარეგნობის ყმაწვილ კაცს თავაზიანი და მომხიბვლელი მანერები ჰქონდა. იგი ჩემს ვაჟს დაუმეგობრდა და მასთან დაძმობილების ნებართვა მთხოვა. ჩემს მიმართ კი, როგორც შვილი მამის მიმართ, ისე გამოხატავა პატივისცემას.

როცა მთელი ბადრაგი შეგროვდა, ამ წყალსატევიდან მხოლოდ სამი ვერსით დაშორებულ ნაშტურინის კარანტინისაკენ გავემგზავრეთ. ერთი კაზაკი დაწინაურდა; იგი კარანტინის უფროსთან გაგზავნეს, რათა გაეფრთხილებინა ქარავნის მოახლოების შესახებ და თან გადაეცა წერილები და დეკლარაციები, როგორც დასტური იმისა, რომ ჩვენს მიერ გამოვლილ ქვეყნებში არავითარი ეპიდემია არ მძვინვარებდა.

კარანტინის შესასვლელთან თხუთმეტი წუთი გვალოდინეს. ბოლოს, როგორც იქნა, კარი გაიღო. როცა ჩემი „ბრიჩკა“ ერთი შენობის წინ გაჩერდა, სადაც საწყობი და სადეზინპექციო პუნქტი იყო განთავსებული, მაშინვე შეგვიყვანეს ერთ პატარა ოთახში. შემოიტანეს რაღაც ქურა და ზედ ხრჩოლვის გამომწვევი ნივთიერება დაყარეს, რომელმაც ისეთო ბოლი დააყენა, რომ მახრჩობელა გაზით გაგუდვას მხოლოდ სასწრაფოდ კარის გაღებამ გადაგვარჩინა. ამ შემოწმების შემდეგ შევედით ზედამხედველთან, რომელმაც თავისთან შემოგვთავაზა ოთახი, სადაც საკარანტინო პერიოდი უნდა გაგვევლო. ჩვენ მისი დიდად მადლიერნი ვართ იმ ყურადღების გამო, რომელიც მან ჩვენს მიმართ გამოიჩინა მთელი იმ ხნის მანძილზე, რაც იქ დავრჩით. ნაშტურინის საკარანტინო პუნქტს დიდი ფართობი უკავია; მოგზაურთა და ვაჭართა საცხოვრებელი შენობები დიდია და კარგად მოწყობილი. სამწუხაროდ, ეს მხარე ვაკეა და ირგვლივ ყველგან მავნე და უვარგისი წყლებია, რაც ხელს უწყობს ციების გავრცელებას: ვინც კი რამდენიმე კვირას გაატარებს ამ ადგილებში, ციებას ვერ გადაურჩება.

საკარანტინო პუნქტიდან ყიზლარამდე 13 ვერსია. გზა გადის დაბლობზე, რომელიც ხშირად წყლით არის დაფარული; ნაწვიმარზე იგი ალბათ ნამდვილ ჭაობად იქცევა და დიდ დაბრკოლებებს უქმნის ურმების სვლას.

თუკი ყიზლარიდან დერბენდისაკენ მიმავალი გზა აზიის კომერციისათვის ერთ-ერთ ძირითად მაგისტრალად იქცევა, რუსეთის მთავრობამ, პირველ რიგში, მის მოწესრიგებასა და გაუმჯობესებაზე უნდა იზრუნოს. ყიზლარის მცხოვრებთ კარგად აქვთ შეგნებული ამის საჭიროება და როგორც მითხრეს, დიდი ხანი არ არის, რაც მათ თავიანთი ხარჯებით შეუთავაზებიათ ამ გზის კეთილმოწყობა; აქ საჭიროა მხოლოდ დამბის აგება, რაც ძვირი არ დაჯდება.

საკარანტინო პუნქტიდან 9 ვერსის დაშორებით მეტად მოხერხებული ბორნით გადავლახეთ თერგი; უფრო სწორად, ეს იყო თერგის ერთ-ერთი ტოტი, რომელიც თხუთმეტიოდე წელია, რაც არსებობს. თერგი ხშირად იცვლის კალაპოტს, ტოტების რაოდენობასა და მათ მიმართულებასაც. ასევე დატოტვილი სახით ჩაედინება იგი კასპიის ზღვაში. ოდნავ მოშორებით, დიდი გაჭირვებით გადავლახეთ თერგის კიდევ ერთი ტოტი, რამდენიმე წუთში კი უკვე ყიზლარში ვიყავით; ეს მოხდა 1820 წლის 25 ოქტომბერს (6 ნოემბერს).

თავი XVI

ყიზლარის აღწერა. ქალაქში მცხოვრები სომხების წარმატებები ვაჭრობაში. ზვრები, თუთის ხეები. ქალბატონ ტარუმოვას (Taroumof) მამული. სოფლის მეურნეობა. ყიზლარიდან ასტრახანში ტვირთის გადასაზიდი საშუალებანი. ყიზლარიდან გამგზავრება. ცუდი გზები. შეხვედრა მომთაბარე ტომთან. ცნობები ტრამალების შესახებ. სირთულეები "ბელოეს"(Beloï) ტბაზე გადასვლისას. ასტრახანში ჩასვლა.

ყიზლარი[1] 1736 წელს, დედოფალ ანას[2] დროს, მიტოვებული წმინდა ჯვრის (Saint-Croix) ციხესიმაგრის ნაცვლად აშენდა. იგი ჩრდილოეთის განედის 43^0 51'-სა და აღმოსავლეთის გრძედის 64^0 10'-ზე მდებარეობს.

ციხე მყარად არის ნაგები, კარგადაა შეიარაღებული ქვემეხებით და აქ ყოველთვის საკმაოდ მრავალრიცხოვანი გარნიზონი დგას. მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ სომხები, რომელთაც თერგამდე გადაჭიმული ქალაქის გარეუბანი უკავიათ. ქუჩები აქ განიერია და ლარივით სწორი; სახლები ერთმანეთისაგან დაცილებულია და, როგორც წესი, დიდი ეზოები და ბაღები აქვთ.

ყიზლარში პირველად 1818 წლის ივნისში ვიყავი. მას შემდეგ კავკასიისა და კერძოდ – დაღესტნის მოსახლეობასთან სომხების ურთიერთობა ბევრად გაფართოვდა და ამის შედეგად მათ ისეთი დიდი სიმდიდრე დაუგროვდათ, რომ ამ ქალაქში მრავალი მილიონერი გაჩნდა. ამიტომ მათ წამოიწყეს საზოგადოებრივი შენობების დიდი ფუფუნებით აგება, თან ამას ისე ახერხებდნენ, რომ საკუთარ ძირითად დანაზოგს ხელს არ ახლებდნენ; ამჟამად სომხები მშვენიერი ეკლესიის მშენებლობას ამთავრებენ. მასალად იყენებენ თლილ ქვებს, რომლებსაც შორი მანძილიდან ეზიდებიან; მშენებლობაზე მთლიანად 600 ათას მანეთზე მეტი დაიხარჯა ასიგნაციით. სომხებს პეტერბურგში თავიანთი წარმომადგენელი ჰყავთ, რომელსაც კარგ გასამრჯელოს უხდიან და მას ევალება მათი საქმეების წარმოება რუსეთის დედაქალაქში.

ვაჭრობით მოპოვებულ სიმდიდრესთან ერთად, სომხები დიდ მოგებას იღებენ თავიანთი კუთვნილი ზვარ-ვენახების პროდუქციითა და არყის წარმოებით: ღვინო და არაყი დიდი რაოდენობით გააქვთ რუსეთში, განსაკუთრებით - მაკარიევის ბაზრობაზე; მაგრამ აქაური ღვინის ნაკლები სიმაგრის გამო, მათი წარმოებით მიღებული მოგება მცირდება. ერთი წილი არყის მისაღებად საჭიროა 9-10 წილი ღვინო. სახელმწიფო გადასახადი ერთ ვედროში (wedro) (პარიზული საზომით – 13 პინტა და ერთი მესამედი) 2 მანეთია ასიგნაციით.

სომხებმა, რომლებიც ვაჭრობის გასაფართოებლად არაფერს იშურებენ, კავკასიის ზოგიერთი ხალხები – ძირითადად დაღესტნელი თათრები, დაარწმუნეს, რომ თავიანთ მთებში ზვრები გაეშენებინათ. ამის შემდეგ კი ისინი ამ უკანასკნელთაგან ყიდულობდნენ ღვინოს, რომელსაც ეს მუსლიმი ხალხები საერთოდ არ მოიხმარენ. საქმე ის არის, რომ ამ ღვინოს გაცილებით მეტი სიმაგრე აქვს ქალაქის შემოგარენის ღვინოსთან შედარებით.

მთავრობას და კერძო პირებს თავიანთი ვენახები აქვთ და მათ მიერ დამზადებული ღვინოც კარგი რეპუტაციით სარგებლობს: ის მოსკოვშიც კი

იგზავნება. ღვინისა და არყის გარდა ყიზლარის ვაჭრები, ასტრახანელ ვაჭრებთან ერთად, ყიდიან ყურძენსაც, რომელიც ასევე იგზავნება რუსეთის ძველსა და ახალ დედაქალაქებში: ყურძენს სელის ზეთოვანი მარცვლებზე აწყობენ და სულ მცირე დროში დაუზიანებლად ჩააქვთ აქედან 500 ლიეთი დაშორებულ პეტერბურგში.

ზვრების მოშენების გარდა, ყიზლარელი სომხები აბრეშუმის ჭიის გამოყვანითაც არიან დაკავებულნი. ამ ოლქში 500 ფუთამდე (16,666 გირვანქა) აბრეშუმის ძაფს ახვევენ, რომელიც საკმაოდ კარგად არის დართული. ამ ძაფის ნაწილს ადგილობრივად მოიხმარენ, აწარმოებენ ძალზე მყარ, ერთფეროვან ქსოვილებს, დანარჩენი კი ასტრახანში იგზავნება. ქალაქის შემოგარენში, იმ ადგილებში, რომლებიც სარწყავად მოსახერხებელია, მოჰყავთ აგრეთვე ჩვეულებრივი ბრინჯი, ხოლო თერგისგან მოშორებით – მშრალი ბრინჯი. ყიზლარელი სომხები სოფლის მეურნეობასაც მისდევენ და ყველანაირ ზომებს მიმართავენ, სადაც კი რაიმე სარგებლის მიღებას ელიან; ასე მაგალითად, მათ წამოიწყეს მოკლებოჭკოვანი ბამბის მოყვანა, რომლის თესლიც მაზანდარანიდან შემოიტანეს. გააფართოვეს სეზამის კულტურის მოშენება და მისგან მიღებული ზეთი მთლიანად აკმაყოფილებს ადგილობრივ მოთხოვნილებას. სომხებს დიდი რაოდენობით ჰყავთ აგრეთვე პირუტყვიც. ყველანაირი სურსათი ამ ქალაქში ძალიან იაფია: ხშირ შემთხვევაში ერთი გირვანქა ხორცი ღირს არა უმეტეს 5-6 კაპიკისა (ანუ სანტიმისა). აქ ასევე უხვად მოიპოვება ნადირი და თევზი.

ასტრახანიდან ყიზლარში შესვლისას ხეივნებად ან შეჯგუფებულად დარგული ტირიფები, იტალიური ალვის ხეები და კოპიტები, თუთის ხეებისა და ზვარ-ვენახების პლანტაციები სასიამოვნო სანახაობას სთავაზობენ ნებისმიერ მოგზაურს, რომელიც ასი ლიეს მანძილზე გადაჭიმული უზარმაზარი უდაბნოს გადალახვის შემდეგ, თითქოს ჯადოსნური ძალის ზემოქმედებით, ასეთი თვალწარმტაცი ბაღნარის წიაღში აღმოჩნდება. ამ განსხვავებული ბუნების ორი სხვადასხვა მხარე ერთმანეთისაგან თერგის ერთი ტოტით არის გამიჯნული.

ყიზლარში დავბინავდით ერთ მდიდარ სომეხ ვაჭართან – მაკარ ზურაბოვიჩ სამიზოვთან (Makar-Zourabovitch-Samizoff), რომელიც ჩვენს მიმართ დიდი ყურადღებით იყო აღსავსე. თბილისის არქიეპისკოპოსმა ნერსესმა მის გარდა ორ სხვა სომეხთან გაგვიწია რეკომენდაცია. ჩვენ საშუალება გვქონდა კიდევ ერთხელ დავრწმუნებულიყავით, ისე როგორც სხვა დროს, თუ რაოდენ დიდად ფასობდა ამ პრელატის რეკომენდაცია.

ყიზლარში ყოფნისას თათარი დიდებული, თავადი ბეკოვიჩი (Bekowitz) გავიცანი; იგი იმ თავად ბეკოვიჩის[3] ძმისწული გახლავთ, გასული საუკუნის დასაწყისში ასე ტრაგიკულად რომ დაიღუპა ხივის ლაშქრობაში. ამავე დროს, იგი გენერალ ერმოლოვის ადიუტანტის, თავად ბეკოვიჩის ძმაა, რომელიც თბილისში გავიცანი. ეს თავადი თბილისში დიდი ადგილ-მამულებისა და ცხენების მრავალრიცხოვანი რემის მფლობელია.

ყიზლარის ჰავა ჯანმრთელობისათვის მავნეა; გარნიზონში მუდამ ბევრი ავადმყოფია. თუმცა, სომხები აქაურ კლიმატს ბევრად უკეთ ეგუებიან, თანაც ამ ქვეყნისათვის შესაბამის კვების რეჟიმს იცავენ და ალბათ ამის გამოა, რომ ადგილობრივი კლიმატი მათზე გავლენას არ უნდა ახდენდეს. რამდენიმე წლის წინ

ქალაქში ყოფნა სახიფათო იყო: მთიელები ხშირად გადმოდიოდნენ თერგზე, ღამ-ღამობით თავს ესხმოდნენ შორი-შორს განლაგებულ სახლებს და იტაცებდნენ მცხოვრებლებს, რომლებსაც მხოლოდ დიდი გამოსასყიდის ფასად ათავისუფლებდნენ.

ყიზლარში ჩემი ყოფნისას ქალბატონმა ტარუმოვამ, ყოფილი „სამოქალაქო" მაიორის[42] ქვრივმა, რამდენიმე დღით თავის მამულში მიგვიწვია. იგი ქალაქიდან 25 ვერსით იყო დაშორებული. მამულამდე რომ მიგვეღწია, თერგის ერთ-ერთი ტოტის გადალახვა მოგვიხდა ბორნით. შემდეგ გავიარეთ ქვიშნარი, სადაც ტირიფები იყო დარგული და მივედით სომხებით დასახლებულ ერთ სოფელში, რომლის მოსახლეობაც მეთევზეობასა და პირუტყვის მოშენებას მისდევდა. აქედან ერთი საათის სვლის შემდეგ ჩავედით ტარუმოვკაში[4] (Taroumoffka), თერგის ერთ-ერთი ტოტის მარჯვენა ნაპირზე; ორიოდე დღით ადრე იგი ისე ადიდებულიყო, რომ მისი ფონით გადალახვა უკიდურესად გაგვიჭირდა. მაიორის ქვრივმა მეტად თავაზიანად მიგვიღო. იგი იმდენად მამაცი ქალი გახლდათ, რომ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ, მთიელთა შემოსევების მუდმივი საფრთხის მიუხედავად, მტკიცედ გადაწყვიტა, რომ თავისი ცხოვრება უზარმაზარ მამულში გაეტარებინა, საიდანაც შეეძლოთ ტყვედ წაეყვანათ ან სულაც მოეკლათ კიდეც.

ამ სოფლის მოსახლეობას შეადგენს 170 მამაკაცს და 230 ქალს. სიკვდილიანობა აქ მაღალია: ოთხას სულ მოსახლეზე წელიწადში დაახლოებით ოცდაათამდე ადამიანი. მამაკაცებსა და ქალებს შორის ესოდენ დიდი რიცხობრივი დისპროპორცია იმის დამადასტურებელია, რომ მამაკაცები ძირითადად დაბლობში, ჯანმრთელობისათვის მავნე ადგილებში ასრულებენ მძიმე სამუშაოს, რის გამოც ხშირად ავადდებიან. ქალბატონ ტარუმოვას გლეხები ორ ჯგუფად იყოფიან: ერთი ნაწილი დაოჯახებულია და მიწათმოქმედებას მისდევს, მეორენი კი იხდიან გადასახადს – წელიწადში 24-დან 30 მანეთამდე და თავიანთ გემოზე ცხოვრობენ. როგორც ჩანს, ეს მათთვისაც მოსახერხებელია, რადგან ამ ქვეყანაში ვაზის მოვლა-პატრონობა და მეთევზეობა დიდი რაოდენობით მუშახელს მოითხოვს. მათ, ვინც მიწათმოქმედებას მისდევს, შეუძლიათ იმდენი მიწა დაამუშავონ, რამდენსაც თავად მოისურვებენ და მხოლოდ ერთადერთი ვალდებულება აქვთ – თავიანთ ქალბატონს გადაუხადონ მოსავლის სულ უმნიშვნელო ნაწილი. გლეხების ნაწილი საძოვრებს უვლის და ჰყავთ თავიანთი რემა (500-მდე ცხენი), ასორმოცდაათი ხარ-ძროხა და ექვსასშვიდასამდე ცხვარი, ძირითადად ყირგიზული (kirghize) ჯიშისა. გლეხები თავიანთი მემამულისათვის კვირაში მხოლოდ სამ დღეს მუშაობენ და უფლება აქვთ, მის მამულში იმდენი საქონელი, ცხენი და ცხვარი აძოვონ, რამდენის ყოლაც შეუძლიათ.

---

[42] რუსეთში სამოქალაქო მმართველობაშიც ისეთივე ხარისხებია დაწესებული, როგორც სამხედრო სამსახურში. ასე მაგალითად, მოსამართლეს აქვს კაპიტნის ჩინი, პრეზიდენტი _ პოლკოვნიკია; გენერალი ტრიგუბოვი (Trigouboff), რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მონაწილეობას იღებდა ომებში, ოდესაში სავაჭრო ტრიბუნალის პრეზიდენტის პოსტზე ვიხილე; ხოლო ერთ ბერძენს, ბ-ნ მაკედონსკის (Makedonski), რომელიც დიდხანს იყო საიმპერატორო საზღვაო ოფიცერი, ტაგანროგის საბაჟოს მმართველობა ჰქონდა მინდობილი.

ქ-ნ ტარუმოვას მამული ფართობით დაახლოებით 250 ფრანგულ არპანამდე იქნება. ნიადაგი აქ ყველგან ერთნაირი როდია, მხოლოდ ერთ მესამედზე ოდნავ მეტი თუ იქნება დასამუშავებლად ვარგისი. აქ თესენ ხორბალს, ბრინჯს, ბამბას და სეზამს; გარდა ამისა, თერგის ერთ-ერთ ტოტზე, რომელიც ქ-ნ ტარუმოვას მამულს გადაჰკვეთს, მას საკმაოდ მნიშვნელოვანი თევზსარეწიც აქვს: აქ დასაქმებული მეთევზეები დაჭერილი თევზის ნახევარს მას უტოვებენ, თვითონ კი შეუძლიათ წაიღონ იმდენი თევზი, რამდენიც სჭირდებათ. დაბოლოს, ამ ენერგიულმა და ჭკვიანმა ქალმა თერგის ახალ ტოტზე ხის ხიდი ააგო და მთავრობისაგან მიიღო ნებართვა, მხედრებისა და ფეხით მოსიარულეთაგან აეღო გადასახადი 5 კაპიკის (სანტიმის) ოდენობით, ხოლო ეტლის გავლისათვის – 15 კაპიკი. მარწმუნებდნენ, რომ ეს ხიდი მას არა უმეტეს 3000 მანეთისა ასიგნაციით (3000 ფრ.) დაუჯდა, ხოლო წლიურად აქედან სულ ცოტა – დანახარჯის ტოლ თანხას იღებდა მოგების სახით. ასტრახანისაკენ მიმავალი გზა ამ ხიდის გავლით უფრო მოკლე და მოსახერხებელია, ვიდრე ძველად არსებული გზა. უკვე ერთი წელია, რაც ამ გზას უპირატესობა მიანიჭეს თათრებმაც, რომლებსაც გაზაფხულიდან მოყოლებული, წელიწადში ექვსი თვის განმავლობაში ყიზლარიდან ასტრახანში გადააქვთ ღვინო, არაყი, ენდრო, თუთუბო, დაღესტნური აბრეშუმი, ხოლო იქიდან შემოაქვთ მარილი და მაკარიევის ბაზრობიდან ჩამოტანილი სხვადასხვა საქონელი.

ჩვენი პირველი მოგზაურობისას ხშირად გვხვდებოდა ხოლმე თათრების მრავალრიცხოვანი ბადრაგი. მათ მსუბუქი ურმებით მოჰქონდათ ერთი კასრი არაყი ან ორი კასრი ღვინო, რაც შესაბამისად, შეადგენდა ათას გირვანქას. ურმებს ორი ხარი ან ერთი ცხენი ეზიდებოდა, ერთი კაცი კი თავისუფლად უძღვებოდა ერთიმეორის მიყოლებით მიმავალ ექვს ურემს; ეს დაახლოებით ფრანშ-კონტეს[5] ურმებს მოგვაგონებს, რომელთაც პარიზიდან შვეიცარიაში გადააქვთ საქონელი. ბადრაგი, ჩვეულებრივ, ასამდე ურმისაგან შედგებოდა ხოლმე, ყოველ შემთხვევაში – ორმოცდაათზე ნაკლები არასდროს ყოფილა. მეურმეთა ხარჯი, რომლებიც დღეში 40 ვერსს გადიან და ასტრახანიდან ყიზლარში ჩასვლას ათ დღეს ანდომებენ, მეტად უმნიშვნელოა, რამდენადაც ისინი, როგორც წესი, შუადღით და ღამით ტრამალებში რომელიმე ჭასთან ან ტბორთან ახლოს ჩერდებიან ხოლმე და ხარებსა და ცხენებს საშუალებას აძლევენ, მოძოვონ ბალახი მანამ, სანამ ეს მორჩილი და ამგვარ ცხოვრებას მიჩვეული პირუტყვები არ მომაგრდებიან სათანადოდ, რომ კვლავ ურმებში შეაბან.

ვუბრუნდები ყიზლარს, რომლისგანაც ამ გადახვევამ დამაშორა; ყიზლარში რვა დღე გავატარეთ და 28 ოქტომბერს (9 ნოემბერს) ასტრახანისაკენ გავემგზავრეთ. ვიმედოვნებდით, რომ მგზავრობას ოთხ დღეს მოვანდომებდით, მაგრამ რვა დღეზე მეტი დაგვჭირდა. რამდენიმე თვის განმავლობაში დასადგურებულ საუცხოო ამინდს უძლიერესი ქარი მოჰყვა; მან დიდი რაოდენობით ქვიშით ისე დაფარა და გაჭედა ყველა გასასვლელი, რომ მათი ცნობა შეუძლებელი გახდა; ჩვენს მეეტლეებს წამდაუწუმ ერეოდათ გზა: მოულოდნელად მათ წინ ქვიშის მთები ეღობებოდათ ხოლმე, ამიტომ იძულებულნი ხდებოდნენ, საფოსტო სადგურებში მისულიყვნენ და იქიდან ხუთი-ექვსი ცხენი წამოეყვანათ სავალ გზაზე შექმნილი ქვიშის ბარიერების ტყვეობიდან ჩვენს გამოსახსნელად.

როცა ამ მხარეში 1818 წლის ივნისის თვეში ვიმოგზაურე, აქ მშვენიერი დარი იდგა, სრულიად საწინააღმდეგო იმ ამინდისა, ახლა რომ მთელი თავისი უსიამოვნებებით შევიგრძენით. მაშინ გზად თათართა ერთ ურდოს გადავეყარეთ; მათ მიეტოვებინათ ის ადგილი, სადაც რამდენიმე კვირის განმავლობაში იყვნენ დაბანაკებული და თავიანთი ნახირისათვის უფრო მოხერხებულ ადგილს ეძებდნენ. უაღრესად მსუბუქი, თამასისაგან გაკეთებული და ნაბდით დახურული კარვები ურმებზე ეწყო და მათ თვლებს ორივე მხარეს თითქმის ორი ფუტით იყო გადმოცილებული. ბავშვები, არანაკლებ რვა წლისანი, ცხენებს დააჭენებდნენ და გაბნეულ პირუტყვს თავს უყრიდნენ, რათა როცა ადგილიდან დაიძვრებოდნენ, წინ გაერეკათ. ქალები მცირეწლოვან ბავშვებთან ერთად გადახურულ ურმებში იყვნენ შემალულნი. თავიანთი წინამძღოლების მიმართ თათრები პატივისცემასა და სრულ მორჩილებას გამოხატავდნენ. ისინი მოგვიახლოვდნენ და გულითადად მოგვესალმ-ნენ. შემოგვთავაზეს რძე და ყველი. ზოგიერთმა მათგანმა მოისურვა, რამდენიმე ვერსის მანძილზე გამოგვყოლოდა: ჩვენმა გავლამ მათ მშობლიურ ტრამალებში თითქოს უფლება მიანიჭათ, ჩვენს მიმართ სტუმართმოყვარეობა გამოეჩინათ. ამ ტომების გადაადგილება, უდაბნო, ყველანაირი სახის საქონლის ნახირი, ესოდენ მორჩილი მსახურები და მოკრძალებული ბავშვები – ყოველივე ეს პირველყოფილი მწყემსი ხალხების ზნე-ჩვეულებებს გვაგონებდა.

კავკასიას, დონს, აზოვისა და კასპიის ზღვებს შორის გადაჭიმულ ამ უზარმაზარ ტრამალებში არც ტყეებია და არც კარგი წყალი. მიწების უდიდესი ნაწილი მხოლოდ რამდენიმე თვის განმავლობაში ოდნავ იფარება ბალახით. აქ არც მარცვლეული მოდის, და არც – სეზამის, ბამბისა თუ ბრინჯის კულტურები; მხოლოდ მომთაბარე ტომები, რომელთაც შეიძლება უდაბნოს მიწათმოქმედნი ვუწოდოთ, ახერხებენ იყოლიონ ამ მხარეში დიდი რაოდენობით ცხენი და ყველანაირი პირუტყვი. უწინ ამ მოხეტიალე ტომების ნაწილს ნოღაელი[6] (Nogais) თათრები შეადგენდნენ, მაგრამ მათი მოუსვენარი ხასიათისა და აგრესიულობის გამო, იმპერატორმა ალექსანდრემ გადაწყვიტა ისინი ბინადარ და მიწათმოქმედ ტომებად ექცია. დღეს ეს ნოღაელები დამკვიდრებულნი არიან ობიტოჩნაიას[7] (Oubitchnei) ნაპირებზე - იქ, სადაც ეს მდინარე აზოვის ზღვას უერთდება. ამ ხალხების ზნე-ჩვეულებათა შეცვლა და მათთვის ცივილიზაციის ანაბანასთან ზიარების საპატიო მოვალეობა ერთ ფრანგს – ბ-ნ გრაფ მეზონს (Mაისონ) დაეკისრა. წარმატების მისაღწევად იგი ერთდროულად მიმართავდა კარგად მოფიქრებულ და ერთობ ჰუმანურ საშუალებებს, თუმცა მათი აქ გადმოცემა ძალზე შორს წაგვიყვანდა.

ამ მივარდნილ უდაბნოში ხშირად გვხვდებოდა დიდი და პატარა ზომის არწივი, ძერა, მიმინო, სხვადასხვა მტაცებელი ცხოველი. ასევე ბევრი იყო გედი, ბატი, სხვადასხვა ჯიშის იხვი, ყარყატი, წერო და ყანჩა. როგორც ჩანს, მათ იზიდავთ აქაურ ტბებში არსებული უამრავი თევზი და, აგრეთვე ნარჩენები, რომლებსაც მეთევზეები ვოლგის ნაპირებზე ყრიან მას შემდეგ, რაც ისინი დაჭერილ თევზს ამოაცლიან ხიზილალას, წებოს და მოაჭრიან სუკის ნაჭრებს, რომლებსაც შებოლავენ ან ამარილებენ.

ამ გზაზე მდებარე ყველა საგუშაგოს შენობა ხისაა და ორად არის გაყოფილი: ერთში საგუშაგოს უფროსი ცხოვრობს, მეორე კი განკუთვნილია მოგზაურთათვის. ყველა ეს შენობა ერთ მდიდარ ბერძენს – ვარვაცის (Varvachi)

აუგია, მაგრამ რადგანაც ისინი ზღვასთან ახლოს დგანან, ქვიშით დაფარვის საფრთხე ემუქრებათ; ამიტომაც დგას საკითხი – ეს სახლები ახლანდელი ადგილიდან 2-3 ლიეს მოშორებით, ტრამალის სიღრმეში გადაიტანონ. ეს გადაადგილება მოგზაურებს თავიდან ააშორებს ყველა იმ უსიამოვნებას, რაც ჩვენ საკუთარ თავზე ვიწვნიეთ.

როცა „ბელოის“ (Beloï) ტბამდე[8] მდებარე საფოსტო სადგურში ჩავედით, ვნახეთ, რომ ეს მხარე წყლით იყო დაფარული: ეს გახლდათ შედეგი აღმოსავლეთის ძლიერი ქარებისა, ოთხი დღის განმავლობაში რომ მძვინვარებდნენ. კასპიის ზღვა ბევრგან ნაპირიდან იყო გადმოსული. საგუშაგოს შენობები და იქვე გაშლილი ყალმუხთა კარვები ღამით წყალს დაეტბორა ორ ფუტზე მეტ სიმაღლეზე.

საგუშაგოდან გამოსვლის შემდეგ „ბელოის“ტბამდე დაახლოებით 8 ვერსი წვიმაში ვიარეთ. ჩვენი სავალი გზის ერთ ვერსზე მეტი მთლიანად დაფარული იყო ამ ტბიდან გადმოსული წყლით. შეძლებისდაგვარად ახლოს მივუყვებოდით ქვიშის გორაკს, რომელმაც წყლის ვარდნა შეაჩერა, შეავიწროვა მისი კალაპოტი და ამით წყალი სიღრმეში გაუშვა. ამ გზაზე სიარული იმდენად ძნელი იყო, რომ იძულებულნი გავხდით, ჩვენს „ბრიჩკაში“ ექვსი ცხენი შეგვება და მაინც უკიდურესად გვიჭირდა წინსვლა. უეცრად ერთი თვალი შლამში ჩაეფლო, ცხენები მაშინვე გაჩერდნენ და ჩვენმა ორმა ყალმუხმა მეეტლემ რა არ იღონა, მაგრამ ვერა და ვერ შეძლო მათი ადგილიდან დაძვრა. არც ცხენებისთვის ადგილების შეცვლამ გვიშველა. ბოლოს, მეეტლეებმა ყველა ცხენი ერთბაშად გამოუშვეს „ბრიჩკიდან“, ვითომ იმისათვის, რომ თავიდან შეებათ და კვლავ ეცადათ მათი ადგილიდან დაძვრა, მაგრამ, ნაცვლად ამისა, ისინი მოულოდნელად ამ ცხენებს მოახტნენ და საგუშაგოსაკენ გააჭენეს, ჩვენ კი ტბის შლამში ჩაფლულები მიგვატოვეს. ჩემი სიცილიელი მსახური და თარჯიმანი ყალმუხებს განზრახვას მიუხვდნენ, მაგრამ ეს უკანასკნელნი ვერც მათმა მუქარამ შეაჩერა. სხვა გზა არ იყო, ორივენი წყალში გადაეშვნენ, ნაპირზე გავიდნენ და ფეხით გასწიეს დახმარების სათხოვნელად იმ საგუშაგოსაკენ, რომელიც ახლახანს დავტოვეთ. მთელი ამ ხნის განმავლობაში მე და ჩემი ვაჟიშვილი წყალში ვიდექით, რომელიც ყოველ წუთს მატულობდა. ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან წამოსული ძლიერი ქარის გამო ქვიშით დავიფარეთ. საშინელი სიცივე გვემუქრებოდა უდაბნოში, სადაც მხოლოდ მომთაბარე ტომები ცხოვრობდნენ და მათთან შეხვედრა ხშირად არცთუ ისე უსაფრთხო იყო.

საღამოს ათი საათისათვის ჩემი სიცილიელი ერთ ყალმუხთან ერთად დაბრუნდა ცხენით. მან გვითხრა, რომ ღამის წყვდიადის გამო გათენებამდე შეუძლებელი იყო მაშველების მოსვლა. მათ შემოგვთავაზეს, რომ ჩვენთან დარჩებოდნენ, მაგრამ რადგან ამით ჩვენთვის არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეეძლოთ, ისინი კვლავ უკან, საგუშაგოში გავაბრუნეთ, ჩვენ კი შევურიგდით იმ აზრს, რომ ღამე ამ სიცივეში უნდა გაგვეტარებინა. ჩვენს მდგომარეობას ის გარემოებაც ართულებდა, რომ ჩემს ვაჟს ციება ჰქონდა. მეორე დღეს, დილის ცხრა საათზე, ჩვენს საშველად მოვიდნენ, თან მოიყვანეს რვა ცხენი და საჭირო რაოდენობის მაშველები.

ეს იყო ბოლო უსიამოვნება ჩვენს მოგზაურობისას ყიზლარიდან ასტრახანამდე, სადაც 1820 წლის 16 ნოემბერს ჩავედით, მას შემდეგ, რაც რამდენიმე დღე ამ ქალაქიდან 6 ვერსით დაშორებულ საკარანტინო პუნქტში დავყავით.

თავი XVII

ასტრახანში ჩასვლა. ამ ქალაქის აღწერა. მოსახლეობა. რუსები. თათრები. სპარსელები. ინდუსები. ყალმუხები. ცნობები ამ ხალხების შესახებ. სომხები. თურქმენები. ბუხარელები (Boukhares). ფლოტის მეზღვაურები. გარნიზონი. სხვადასხვა კულტი. ბიბლიური საზოგადოების ინგლისელები.

როცა საკარანტინო პუნქტი დავტოვეთ და ასტრახანისაკენ გავემართეთ, ვოლგის გადალახვა მოგვიხდა. ასტრახანის პირდაპირ ამ მდინარის სიგანე მეოთხედ ლიეზე მეტია. მასზე ადვილად გადადიან გემბანიანი ნავებით. საფოსტო ცხენებს მოგზაურები მხოლოდ ვოლგის ნაპირამდე მიჰყავთ. როცა მეორე ნაპირზე გადავედით, ჩვენი „ბრიჩკის“ თრევა ხელით მოგვიხდა, ვიდრე არ მივედით ბ-ნ ბოზზოსთან[1] (Bozzo); ეს გახლავთ ბერძენი, წარმოშობით კუნძულ იდრადან, მდიდარი ვარვაცის მეგობარი და მისივე კომპანიონი თევზსარეწ მეურნეობაში. ჩემი პირველი მოგზაურობის დროს, 1818 წელს, მე მასთან გავჩერდი და ახლაც შემოგვთავაზა, ასტრახანში მასთან დავბინავებულიყავით.

ქალაქი მდებარეობს ჩრდილო განედის 460 21’ 7’’-ზე და აღმოსავლეთის გრძედის 450 45’45’’-ზე, ვოლგის ორი ტოტის მიერ შექმნილ კუნძულზე. კასპიის ზღვიდან იგი დაახლოებით 15 ლიეთია დაშორებული. ასტრახანის აღწერა პარიზის მსგავსად, მხოლოდ ზოგადად თუ შეიძლება; მაგრამ თუკი საფრანგეთის დედაქალაქში ნებისმიერი ნაგებობებისა და საცხოვრებელი სახლების შიდა განლაგება სახელმწიფოს მიერ არის განსაზღვრული და მეტ-ნაკლებად გათვალისწინებულია მოსახლეობის ინტერესები, ასტრახანში თითოეული კვარტალი თავისებურია, რაც იმ მრავალრიცხოვანი ხალხების ზნე-ჩვეულებებითაა განპირობებული, რომლებიც ამ ქალაქის მოსახლეობას შეადგენენ.

ციხესიმაგრე ანუ კრემლი[2] ვოლგის ნაპირზეა გაშენებული. აქვეა ტაძარიც. ეს არის ფართო და ლამაზი ნაგებობა, რომლისკენაც უამრავი კიბე მიემართება და მისი სიძველის გამო, ვფიქრობ, რომ იგი ძველი ასტრახანის, თათართა სამეფოს დროებითი სატახტო ქალაქის დროინდელი ნაგებობა უნდა იყოს. თუმცა, გავრცელებული აზრის თანახმად, იმდროინდელი ტაძრის ნანგრევები ახლანდელი ქალაქიდან რამდენიმე ვერსის მოშორებითაა.

კრემლიდან შევდივართ ახალ ქალაქში. იგი კარგად არის ნაგები და ყველა სახლი ქვის ან აგურისაა. ლამაზი ქუჩები კვადრატულ მოედანთან ბოლოვდება. ყველაზე გამორჩეული ქუჩები სპარსელებს უკავიათ. აქ სახლების გასწვრივ თაღოვანი გალერეა მიუყვება, რომელიც ერთ იტალიელ ხუროთმოძღვარს, გვარად დიგბის[3] (Digbi) აუგია. როცა ამ ქალაქში პირველად ჩამოვედი, ეს უკანასკნელი ჯერ

კიდევ ასტრახანში იმყოფებოდა, სადაც განსვენებულ რაინეგსთან[4] (Reinegg) ერთად იმერეთსა და სამეგრელოში მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ დამკვიდრებულა. პერპენდიკულარული ქუჩა ინდუსებს უჭირავთ. ახალ ქალაქში ცხოვრობენ, აგრეთვე, რუსები და სომხები.

ასტრახანის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში ძველად მყრალი ჭაობი ყოფილა, რომელიც ერთი პატარა მდინარისაგან – კუტუმისაგან[5] (Coutume) გაჩენილა ვოლგასთან მისი შეერთების ადგილას. მდიდარმა ვაჭარმა ვარვაციმ მდინარის კალაპოტი შეავიწროვა, წყალი არხში გაუშვა, ნაპირები ამოაშენებინა და ეს სანაპირო ქალაქის ძირითად სასეირნო ადგილად აქცია. მდინარის მეორე ნაპირზე განლაგებული კვარტლები თათრებს უკავიათ; მათი საცხოვრებელები ძირითადად ხისგან ნაგები, გრძელი კედლებითა და გარედან ფიცრული ფასადებით, უსიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს. მუსლიმთა ჩვეულების თანახმად, სახლების ფანჯრები და შესასვლელები ინტერიერშია განთავსებული. რამდენიმე წლის წინ აქ აგურით ნაგები და რკინის ფირფიტებით მოპირკეთებული ულამაზესი სახლი აშენდა. იგი აღა მამედს (Aga-Mamet) ეკუთვნის, რომელიც იმ დროს თათრებში უმდიდრეს ადამიანად ითვლებოდა. აქ ერთად არის წარმოდგენილი ევროპული და აზიური ფუფუნება; ოთახები, გალერეები და დიდი დარბაზები მარმარილოს იმიტაციით არის მოპირკეთებული, ჭერი – ფრესკებით მოხატული და ზედ ბროლისა თუ მოოქრული ბრინჯაოს ჭაღებია დაკიდებული. ოთახებს ამკობს სპარსული ხალიჩები და მდიდრული ქსოვილებით დაფარული ტახტები. კანდელაბრები ჩინური ფაიფურის მაგიდებსა და ამპირის სტილის ავეჯს შნოსა და ლაზათს მატებს. ეზოები, ბაღები, ქალთათვის განკუთვნილი შენობები – ყველაფერი შეესაბამებოდა იმ ბრწყინვალებას, რასაც, მის თანამემამულეთა უბრალო საცხოვრებლების ფონზე, შეიძლება ეწოდოს სასახლე.[43]

თათრების კვარტალშივე ცხოვრობენ მცირე რაოდენობით თურქმანები და ბუხარელები; მათგან მოშორებით, ხის ბარაკებსა თუ ნაბდის კარვებში ყალმუხები ბინადრობენ. ვოლგის სანაპიროზე კი, გალავნით შემოზღუდულ ვეებერთელა ადგილზე, ადმირალის სახლი დგას, რომელიც კასპიის ზღვის ფლოტს მეთაურობს. აქვეა მაღაზიები, სამჭედლოები, თოკების საამქროები, საავადმყოფო, - ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაც საიმპერიო საზღვაო უწყებას შეადგენს, როგორც ეს პეტრე დიდს ჰქონდა წარმოდგენილი.

ასტრახანის მოსახლეობა 40-45 ათას სულს აღწევს. აქ წარმოდგენილია აზიის ყველა ხალხი და ევროპის თითქმის ყველა ეროვნება. შეუძლებელია, არ მოიხიბლოთ იმ თანხმობით, რომელიც ამ ადამიანთა შორის სუფევს, რომლებიც სრულიად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავიანთი ჩაცმულობით, ენით, ზნე-ჩვეულებებითა და რელიგიით. ძველად ისინი სხვადასხვა მმართველებს ემორჩილებოდნენ, თითქმის განუწყვეტლივ ომობდნენ ერთმანეთთან, დღეს კი

---

[43] როგორც მარწმუნებდნენ, ამ თათრის გაკოტრება შედეგი იყო სწორედ ასეთი დიდი ხარჯებისა და სავაჭრო სპეკულაციისა, რომელიც ან დაუფიქრებლად აწარმოა, ან ბედმა უმტყუნა.

დაივიწყეს თავიანთი ქიშპობა და ერთი სუვერენის ძალაუფლების ქვეშ გაერთიანდნენ, რომელიც, თავის მხრივ, ყველას თანაბრად უწევს მფარველობას.

ასტრახანში დაახლოებით 20 ათასამდე რუსია დამკვიდრებული; მათი უმეტესობა ვაჭრობას მისდევს. მათ შორის არიან, აგრეთვე, ყველანაირი პროფესიის მუშები. ვაჭრები, როგორც წესი, მდიდრები არიან. შეუძლებელია იმის წარმოდგენა, თუ რამდენი ურემი იყრის ხოლმე თავს ქალაქში ისეთი დიდი დღესასწაულის დროს, როგორიცაა, მაგალითად აღდგომა. ამ დროს ქალები მდიდრული ჩაცმულობით გამოირჩევიან ხოლმე: აცვიათ ოქროთი და ვერცხლით მოქარგული კაბები. თავი, მხრები, ყელი და წელზე შებმული ქამარი ურიცხვი მარგალიტით, ალმასებითა და სხვა ძვირფასი ქვებით აქვთ მორთული. ასტრახანელმა რუსებმა ძველი ჩვეულებები შეინარჩუნეს: უმრავლესობა ატარებს წვერს, თავს იკავებს თუთუნის წევისაგან და უარს ამბობს ყველანაირ სიახლეზე. მათ შორის არის ბევრი სექტანტი, რომელთაც „რასკოლნიკებს“[6] (raskolniks), ანუ ჭეშმარიტ მორწმუნეებს უწოდებენ.

ასტრახანში, სულ ცოტა, ათი ათასამდე თათარი ცხოვრობს; თითქმის ყველანი ამ მხარის დამპყრობთა შთამომავალნი არიან. მათი ძირითადი საქმიანობა ცხენებისა და პირუტყვის მოშენებაა. მათ შორის ვაჭრები და მეურმეებიც არიან და, როგორც წესი, პატიოსანი ხალხის რეპუტაციით სარგებლობენ: ბევრია ისეთი მეურმე, ვისაც სრული გარანტიით შეიძლება ანდოთ მოსკოვში ან მაკარიევის ბაზრობაზე გასაგზავნი აბრეშუმის, ბამბისა და აზიის სხვა ძვირფასი საქონლის გადაზიდვა. ვისაც ასტრახანიდან ტაგანროგში ან მოზდოკში უდაბნოების გავლით სურს წასვლა, ამ თათრებთან შეიძლება საიმედოდ გარიგება. ექვსი ცხენი სულ რაღაც 360 მანეთი ღირს ასიგნაციით. გზაზე, რომელიც 200 ლიეს შეადგენს, ვერ შეხვდებით ვერც ერთ ქალაქს ან რაიმე დასახლებას. ადგილ-ადგილ მხოლოდ მომთაბარე ურდოებს თუ გადაეყრებით თავიანთი საქონლის ჯოგებთან ერთად; მოგზაურობთ ისე, როგორც ქვეყნის დასაბამის პირველ საუკუნეებში: წევხართ კარვებში, დასასვენებლად კი ჩერდებით ტბებისა და წყაროების მახლობლად.

ასტრახანიდან მოზდოკისაკენ მიმავალ გზაზე, კუმასთან[7] (Kouma) ახლოს, ძველი ქალაქის – მაჯარის[8] (Madjar) ნანგრევებია, რომლის შესახებაც პალასი (Pallas) და ბ-ნი კლაპროთი მოგვითხრობენ თავიანთი მოგზაურობების აღწერაში. იმ დროს, როცა ვენეციელები ტანაში ვაჭრობას აწარმოებდნენ, ეს ქალაქი წარმოადგენდა გასასვლელ გზას და საწყობს იმ საქონლისათვის, თერგის შესართავიდან აზოვის ზღვის მიმართულებით რომ გადაჰქონდათ. ასტრახანში მცხოვრები თათრები მუსლიმი სუნიტები არიან. მათ მშვენიერი მეჩეთი აქვთ. ამჟამად თათრები აღარ არიან დაკავებულნი მეზობლებთან განუწყვეტელი ომებით, აღარც თავიანთი საძოვრების დაცვა სჭირდებათ იარაღით ხელში; ამის გამო მათ აღარაფერი შემორჩათ ბარბაროსული ჩვევებიდან: დღეს მათ მწყემსი ხალხისათვის დამახასიათებელი ყველა ღირსება გააჩნიათ; სამაგიეროდ, დაკარგეს მებრძოლი ხალხების მანკიერი თვისებები.

ეს წყნარი და თვინიერი ბუნების თათრები მათი შთამომავალნი არიან, ვინც თემურ ლენგის მეთაურობით ხმალამოღებულნი იბრძოდნენ სპარსეთის ყურიდან კავკასიამდე, ევფრატიდან ინდოეთამდე და ყველგან გამოირჩეოდნენ თავიანთი

სისასტიკით. თემურ ლენგის მაგალითი, რომელიც მისმა ისტორიკოსმა და პანეგირიკოსმა განადიდეს, საშუალებას გვაძლევს, განვაზოგადოთ, თუ რას წარმოადგენენ გამარჯვებული მუსლიმები.

თავის „სპარსეთის ისტორიაში“ მალკოლმი ამბობს, რომ როდესაც თათართა ჯარი თემურ ლენგის მეთაურობით დელის მიადგა, მას თან ჰყოლია ავღანეთიდან და მულტანიდან (Moultaz) წამოყვანილი ასი ათასზე მეტი ტყვე. როცა თემურმა ქალაქის ალყაში მოქცევა გადაწყვიტა, იფიქრა, რომ „ამ სამხედრო ოპერაციაში ეს უამრავი ტყვე ხელს შეუშლიდა: გაიცა ბრძანება მათი დახოცვის შესახებ, თან საშინელი სასჯელით ემუქრებოდნენ ყველას, ვინც რაიმე სახით წინ აღუდგებოდა ამ ბრძანების შესრულებას. ფიქრობენ, რომ ამ ურიცხვ ტყვეთაგან არც ერთი არ გადარჩენილა ცოცხალი;[9] ადამიანთა მოდგმის ისტორიაში ალბათ არ მოიძებნება არც ერთი სხვა მაგალითი ასეთი გულცივობით ჩადენილი საზარელი სისასტიკისა. მიუხედავად ამისა, ამ ყველაფრის ჩამდენი ადამიანი ქებით მოიხსენიება ისტორიკოსებისა და პოეტების მიერ და ლამის ღმერთკაცადაც არის აღიარებული. ბევრი მათგანი იმითაც არ დაკმაყოფილდა, რომ მას მიაწერა ყველანაირი ღირსება, პოლიტიკური გამჭრიახობა და სამხედრო საქმის უბადლო ცოდნა, რაც მას უდავოდ ახასიათებდა, და განადიდეს იგი მისი უსაზღვრო სათნოებათა გამო, განსაკუთრებით კი – სამართლიანობისა და გულმოწყალების გამო.“[(44)]

ასეთია მუსლიმ დამპყრობელთა თუ იმპერიის ბელადთა ცნობიერება. მე ეს მუსლიმები, ოღონდ – უკვე მშვიდობისმოყვარენი, ვოლგისა და კასპიის ნაპირებზე ვიხილე. აქ ვნახე ნოღაელებიც, რომლებიც, როგორც იქნა, ბინადარ ცხოვრებაზე გადავიდნენ და არანაირი კვალი აღარ შერჩათ თავიანთი ულმობელი თვისებებიდან.

ომარის სექტის ამ მუსლიმთა გვერდით ასტრახანში დაახლოებით 4 ათასამდე სპარსელია – ალის სექტის მიმდევრები. ისინი ძირითადად ვაჭრები არიან და სპარსეთიდან და ცენტრალური აზიიდან იღებენ საქონელს, რომელსაც ასთარაბადში, ანზალისა (Enzili) და ბაქოში მყოფი თავიანთი მომწოდებლები უგზავნიან. მე დავათვალიერე მათი ბაზრები, მაგრამ ჯერ კიდევ არ დამდგარიყო გაზაფხული –საქონლის პირველი შემოტანის დრო, ამიტომ ბაზრებში ნაკლებად იყო აბრეშუმი, ბუხარისა და მაზანდარანის ბამბა და ქაშმირის შალი.

ასტრახანში მცხოვრები სპარსელები მდიდრულ ტანისამოსს ატარებენ: ისინი საკმაოდ შეძლებულნი არიან და სახეზეც ბედნიერი იერი დაკრავთ, რაც კონტრასტს ქმნის იმ უკიდურეს სიღატაკესთან, რომელიც მათ საკუთარ სამშობლოში ვიხილე: იქ, სპარსეთში, ადამიანები საშინელ ჩაგვრას განიცდიან და იმის შიშით, რომ კიდევ უფრო უარეს დღეში არ ჩაცვივდნენ, იძულებულნი არიან, თავი ღარიბად მოაჩვენონ. იქაურმა სპარსელებმა იციან, რომ მათი თანამემამულეები რუსეთში ბედნიერად ცხოვრობენ, ამიტომ, არის შემთხვევები, როცა ისინი სურვილს გამოთქვამენ ხოლმე, თავადაც შეიცვალონ საცხოვრებელი ადგილი. თავის მოგზაურობაში (1817 წ.) ინდოეთიდან ინგლისში, სპარსეთისა და საქართველოს გზით მიმავალ ბ-ნ პოლკოვნიკ ჯონსონს ამის თაობაზე მოჰყავს

[(44)] მალკოლმი, „სპარსეთის ისტორია“ (*Histoire de la Perse*, par Malcolm),ტომი 2, გვ. 227.

ერთი ფაქტი, რომელიც იმდენად უჩვეულოა დესპოტური ქვეყნისათვის, რომ საჭიროდ მიმაჩნია, ეს ადგილი სიტყვა-სიტყვით შემოგთავაზოთ:

„რამდენიმე დღის წინ, – აღნიშნავს იგი, – როცა მისი უდიდებულესობა ფეხით სეირნობდა ბაზარში, ერთი ვაჭარი თავისი დუქნიდან გამოვიდა და მოახსენა: თქვენმა უდიდებულესობამ არ იცის, რა გაჭირვებაში არიან ჩავარდნილნი ღარიბები; მაშინ, როცა თქვენ ფუფუნებაში ცხოვრობთ, ჩვენ პურის შოვნაც კი არ შეგვიძლია. სოფლიდან ჩამოტანილ მარცვლეულს მაშინვე მდიდრები ყიდულობენ, რომლებიც, ჩვენდა საუბედუროდ, ყოველთვის თქვენი მფარველობით სარგებლობენ; შემდეგ ისინი ამ მარცვლეულს საწყობებში ინახავენ და ნელ-ნელა ისეთი მცირე რაოდენობით გამოაქვთ ხოლმე, რომ არავის ჰყოფნის, თანაც ძალზე ძვირად ჰყიდიან. ღვთის გულისათვის, შეისმინეთ ჩვენი ჩივილი, დაეხმარეთ თქვენს ქვეშევრდომთ, რომლებსაც შიმშილით სული ძვრებათ. ხელმწიფემ ყურადღებით მოისმინა საჩივარი, შემდეგ გასცა არაფრისმთქმელი ბრძანება და გზა განაგრძო მრავალრიცხოვანი ამალის თანხლებით, რომელშიც სხვებთან ერთად მისი ვაჟი – უფლისწული ალი მირზაც (Ali-Mirza) იმყოფებოდა. სასოწარკვეთილმა ვაჭარმა წამოიძახა: დაე, ღარიბთა სანუგეშოდ, რუსები დაეპატრონონ ამ სამეფოს! უფლისწულმა ალი მირზამ, თეირანის ციხის კომენდანტმა, გაიგონა ამ კაცის ნათქვამი და როცა გვერდით ჩაუარა, დიდხანს დაჟინებით აკვირდებოდა, თითქოს მისი სახის ნაკვთების აღბეჭდვა სურდა მეხსიერებაში, რათა შემდგომში მისი ცნობა არ გასჭირვებოდა; მაგრამ ამ ამბავს გაგრძელება არ მოჰყოლია და ვაჭარი აღარავის შეუწუხებია.“

ინდუსების რაოდენობა ორას ორმოცდაათიდან სამასამდეა; თითქმის ყველა მულტანიდან ან ლაჰორიდანაა და ისინი სპარსელებით დასახლებული კვარტლის მახლობლად ცხოვრობენ. ამ მხარეში ისინი უხსოვარი დროიდან დამკვიდრებულან. ჩვეულებრივ, აქ ჩამოდიან ოცი-ოცდახუთი წლის ასაკში, ხოლო ცოლებს ინდოეთში ტოვებენ. მათი სიკვდილის შემთხვევაში გამოჩნდებიან ხოლმე მემკვიდრეები, რომლებიც თავს მათ ვაჟებად აცხადებენ, მაშინაც კი, როცა ამგვარი ნათესაური კავშირისათვის არავითარი ფიზიკური მონაცემები არ არსებობს. ინდუსები, როგორც წესი, არიან შავგვრემანები, აქვთ სახის სწორი ნაკვთები და მათ გამოხედვაში მუდმივად გამოსჭვივის სიმშვიდე, რაც ამასთანავე მათი მარტივი გემოვნებისა და ჩვეულებების უტყუარი გამოხატულებაა. ამ ხალხს მხოლოდ ორი გატაცება აქვს – ყვავილებისა და ოქროს სიყვარული: ეზოებში ყვავილნარები აქვთ გაშენებული, ხელშიც მუდამ ყვავილები უჭირავთ და სტუმარსაც მისვლისთანავე ყვავილს სთავაზობენ. ასეთივე დამოკიდებულება აქვთ ოქროს მიმართაც: გაუთავებლად ითვლიან მას და ტკბებიან მისი ცქერით; სადღესასწაულოდ მათთან სახლში მისულ სტუმრებსაც ოქროს გამოუფენენ ხოლმე.

ინდუსები ლაჰორიდან იღებენ მუსლინსა და სხვა სახის ქსოვილებს. ისინი ვაჭრობენ გონივრულად, ცხოვრობენ ხელმომჭირნედ და, როგორც წესი, მდიდრები არიან. ის, რასაც ევროპაში მევახშეობას უწოდებენ, აზიაში კანონიერი მოგების წყაროდ ითვლება. მსოფლიოს ამ ნაწილში, რომელიც მუდმივად თავდასხმების, დაპყრობებისა და ადგილობრივ ხელისუფალთა მიერ ყოველგვარი ჩაგვრის ასპარეზს წარმოადგენდა, არავინ იყო დარწმუნებული საკუთარი ქონებისა თუ

არსებობის შენარჩუნებაში და ამიტომ კერძო პირისათვის პროცენტით გაცემული სესხი, როგორი მდიდარიც არ უნდა ყოფილიყო გამსესხებელი, განიხილებოდა როგორც ფულიდან მისაღები სარგებლის შემადგენელი ნაწილი, ხოლო ეს სარგებელი – როგორც გაწეული რისკისათვის მიღებული დაზღვევის ჯილდო. სავარაუდოდ, აზიაში დამკვიდრებული ჩვეულების შედეგია, რომ ასტრახანში მცხოვრები ინდუსები ფულს სესხად გასცემენ სასაქონლო ანაბარზე ორიდან ოთხ პროცენტამდე (თვეში); ხოლო ამ სავახშო ოპერაციიდან მიღებული მოგება მათ მიერ დაგროვილი კაპიტალის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს.

ასტრახანში და მის შემოგარენში მდებარე სოფლებში ბევრი ყალმუხი ცხოვრობს. მათ ჰყავთ ცხენები, აქლემები, ხარები და შამტუხად წოდებული ჯიშის ცხვრის ფარები. თათრების მსგავსად, ისინიც სიამოვნებით მიდიან ქირით საქონლის მოსავლელად, მაგრამ მიწის დასამუშავებლად – არასოდეს. ეს ხალხი წარმოშობით დიდი სათათრეთიდანაა (Grand Tartarie) და ძველად საკმაოდ მრავალრიცხოვანიც ყოფილა. მათ მთავრებს შორის ყველაზე ცნობილია ჩინგის ყაენი (Gengiskan) და მისი შვილიშვილი – დიდი ბათუ ყაენი[10] (Batou-kan).

XVI საუკუნეში ეს თათრები ედორად იწოდებოდნენ (Aidor) და მრავალ ურდოდ იყოფოდნენ; მოგვიანებით ოთხი ყველაზე დიდი ურდო გაერთიანდა და მონღოლურ ენაზე მათ ეწოდათ ელეუტები (Eleutes), თათრულად კი – ყალმუხები ანუ ყალმახები (Calmaks), რაც ნიშნავს „დარჩენილებს“, ე. ი. ვინც სხვა ურდოსთან შეერთება არ მოისურვა. შემდეგში ეს ყალმუხები თვითონაც ოთხ ურდოდ დაიყვნენ, რომელთაგანაც ერთს ჩინგის ყაენის ერთ-ერთი ძმა მეთაურობდა; ეს ურდო საკმაოდ დიდხანს ტიბეტის მიდამოებში ბინადრობდა. მეორე ურდო, რომელიც ჩინეთის საზღვრებზე მომთაბარეობდა, გასული საუკუნის შუა წლებში ამ სახელმწიფოსათვის საშიშ ძალად იქცა; დანარჩენი ორი ურდო კი ნელ-ნელა ურალისკენ და ვოლგის ნაპირებისაკენ დაიძრა, სადაც რუსეთის მფარველობის ქვეშ დაიწყო ცხოვრება. ყალმუხთა მრავალრიცხოვანი ტომი ურალიდან კასპიისა და შავი ზღვის სანაპიროებამდე გადაჭიმულ თვალუწვდენელ ველებზე მომთაბარეობდა.[11]

1781 წლის 3 იანვარს უბაშის (Oubachi) მეთაურობით, ცნობილი დუნდონე-ომბოს (Dundone-Ombo) შვილების რეგენტი, რომლის სამხედრო საქმეებსაც მანშტაინმა ქება შეასხა), ყალმუხთა 28 ოჯახმა, ანუ კარავმა[(45)] რუსეთის ტერიტორია დატოვა (რადგან აქ ისინი გარკვეულწილად შეავიწროვეს) და თავი შეაფარა ჩინეთის პროვინციებს; მაგრამ ყალმუხებს არც აქ ელოდათ ბედნიერი ცხოვრება: მათი ბელადები ამოჟლიტეს, ისინი კი მთელ იმპერიაში მიმოფანტეს. 1806 წლისათვის ვოლგის ორივე ნაპირზე და კასპიისა და შავ ზღვას შორის მდებარე ველებზე დაახლოებით 40 ათასამდე ყალმუხი შემორჩა, დღეისათვის კი მათი რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. 1806 წლის აღწერის მიხედვით მათ ჰყავდათ:

57 463 აქლემი;

231 106 ცხენი; 197 562 ხარი და ძროხა;

[(45)] ყალმუხებისა და სხვა მომთაბარე ტომების თითო ოჯახს თითო კარავი ეკავა, ამიტომ მოსახლეობის აღრიცხვისას კარავსა და და ოჯახს ერთი და იგივე მნიშვნელობა ჰქონდა.

734 254 ცხვარი;

ყალმუხთა რელიგიაა ლამაიზმი.[12] მათ ახასიათებთ ბუნებრივად თანდაყოლილი გამჭრიახობა, არიან მშრომელნი და წესრიგის მოყვარულნი.

მოსკოველი ვაჭრები, რომლებსაც სავაჭრო ურთიერთობები აკავშირებთ ჩინეთთან და, ამავე დროს, იციან ყალმუხთა გონიერების შესახებ, სიამოვნებით ქირაობენ მათ მსახურებად ან მეურმეებად კიახტაში თავიანთი საქონლის გადასაზიდად. ასტრახანში ყალმუხები მეთევზეობას მისდევენ და ბევრ მათგანს ამ სამუშაოზე თავად კურაკინის (Kourakin) მოიჯარადრეები ქირაობენ.

სარეპტას (Saperta) თამბაქოს ფაბრიკაში თითქმის ყველა მუშა ყალმუხია. ყალმუხებს ბუნებით მოსდგამთ მორჩილებისადმი მიდრეკილება. ეს მათ განასხვავებს სხვა ხალხებისაგან, რომლებიც ხშირ შემთხვევაში დამოუკიდებლობის, ან სხვების დამორჩილებისაკენ ისწრაფვიან. როდესაც ყალმუხებს მუშებად ქირაობენ ფერმაში ან მანუფაქტურულ საწარმოში, ისინი ერთად შეგროვდებიან, დაადგენენ, თუ ვინ არის მათ შორის ასაკით ყველაზე უფროსი და მას თავიანთი სადავო საკითხების მომრიგებლად ნიშნავენ, თანაც მძიმე სამუშაოსაც განარიდებენ; მგზავრობის დროს კი, თუკი დაღლილობას შეამჩნევენ, ხელში აყვანილი მიჰყავთ. ამ ხალხის მეორე დამახასიათებელი თვისებაა დიდსულოვნება და ურთიერთსიყვარული: როცა რომელიმე მათგანს რაიმე საკვებს ან თუნდაც ერთ ჭიქა არაყს მივაწვდიდით, იგი მაშინვე იქვე მყოფ თავის ამხანაგებს მოუხმობდა და ყველაფერს მათ უნაწილებდა.

სტუმართმოყვარეობა, სიკეთე, დიდსულოვნება – ყალმუხთა უმრავლესობისათვის დამახასიათებელი თვისებაა, თანაც ყველა ეს ღირსება მათ მოზღვავებულად აქვთ; მაგრამ ყალმუხთა მცირე ნაწილისათვის ასევე დამახასიათებელია მოჭარბებული მიდრეკილება მანკიერებისადმი. ამიტომაც ამბობენ, რომ ყალმუხი ან საუკეთესო მსახურია, ან ყველაზე უვარგისიო. მათ საოცრად იტაცებთ აზარტული თამაშები: მოთამაშე ყალმუხი სრულიად კარგავს თავშეკავებას – თამაშისას ჩამოდის საკუთარ კარავს, ცხენებს - ყველაფერს, რაც კი აბადია და ბოლოს, საკუთარ თავსაც კი, ანუ გარკვეული დროით (რამდენიმე წლით) იყიდება.

ასტრახანში ყოფნისას შესაძლებლობა მქონდა ხშირად შევხვედროდი ყალმუხთა ბელადის ძმას – თავად ტუმინს (Toumin); 1814 წელს იგი იბრძოდა საფრანგეთში, სადაც ყალმუხთა ხუთასკაციან რაზმს მეთაურობდა. ეს მებრძოლები ყველაზე შეძლებულ ყალმუხთაგან იყვნენ შერჩეულნი, ყველა მათგანი ფლობდა რამდენიმე აქლემს, ოცდაათ-ორმოც ცხენს, ას-ასორმოცდაათ ხარს და დიდი რაოდენობით ცხვარს. ამ ხუთასი კაციდან, რომლებიც დიდი სიმამაცითა და საუკეთესო დისციპლინით გამოირჩეოდნენ, ორას ორმოცდარვა ბრძოლის ველზე დაეცა. თვით თავად ტუმინს – მათ პოლკოვნიკს, ამ ბრძოლებში შვიდი ცხენი მოუკლეს, თუმცა არც ერთხელ არ დაჭრილა. პარიზში ყოფნისას იგი მოიხიბლა ჩვენი სამრეწველო საქონლით, კარგად გაიაზრა მისი საჭიროება და იმაშიც დარწმუნდა, რომ ეს იყო ევროპული ფუფუნების ნაწილი. ომის შემდეგ პარიზში მოხვედრილ უამრავ ხალხს შორის არავინაა ისეთი, ვინც ევროპის ცივილიზებულ ხალხებთან ურთიერთობის შედეგად არ ეზიარა ახალ გემოვნებას, ვისაც არ გაუჩნდა ახალი მოთხოვნილებები; სწორედ ასე თანდათანობით ჩნდება ვაჭრობის ელემენტები და ურთიერთდაინტერესების საფუძველზე მყარდება კავშირები ევროპისა და აზიის ხალხებს შორის.

ორი წლის შემდეგ, როდესაც თავადი ტუმინი საფრანგეთიდან თავის მამულში დაბრუნდა, მას ზიზღის გრძნობა გაუჩნდა საკუთარი ცოლ-შვილისა და მსახურების მიმართ ამ უკანასკნელთა უსუფთაობის გამო: პარიზიდან

დაბრუნებული, იგი უკვე ვეღარ ეგუებოდა თავისი ხალხის ზნე-ჩვეულებებს; უნდოდა, რომ ყველაფერი შეეცვალა. მის სურვილს ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დამორჩილდნენ, მაგრამ გამოხდა ხანი და მისი ცხოვრების შინაგანმა რეჟიმმა თანდათანობით კვლავ უწინდელი სახე მიიღო!

ძალიან ვინანე, რომ არ დავეთანხმე ასტრახანის პოლკის პოლკოვნიკის, საფრანგეთში დიდხანს ნამსახურებ ბ-ნ გრაფ დ'ორფინგო პიემონტელის (D'Orfingo Piemontais) მიერ შემოთავაზებულ წინადადებას – შვიდი-რვა დღით წავსულიყავი თავად ტუმინის მშვენიერ მამულში, რომელიც ასტრახანიდან 50-60 ვერსზეა და უზარმაზარი ფართობი უჭირავს. თავადს ჰყავს 4 ათასი ცხენი, რომელთა შორის საუკეთესო ჯიშისანიც არიან, 10 ათასი ხარი და 40 ათასი ცხვარი. ეს მხარე მდიდარია ყველანაირი გარეული ფრინველით და მათზე ნადირობა თავადის ყველაზე დიდი გატაცებაა. დიდი სიამოვნების მომგვრელია გარეულ გედებზე ნადირობა შევარდნითა და მიმინოთი; ნადირობის ეს წესი ჩვენში ჰუნებმა შემოიტანეს, რომლებიც ამ მხარის მიმდებარე ადგილებიდან წამოვიდნენ და ატილას მეთაურობით იტალიასა და გალიაშიც კი შეიჭრნენ.

ვიდრე დავასრულებდე საუბარს ყალმუხებისა და ყალმუხელი თავადის შესახებ, უნდა აღვნიშნო, რომ ერთი საუკუნის წინ თერგის შესართავთან, კასპიის ზღვაზე არსებობდა ქალაქი ტუმინის სახელწოდებით, დღეს კი იგი წყლით არის დაფარული.

ასტრახანში მცხოვრები სომხების რაოდენობა 4 ათასს აღწევს. წარმოუდგენელი იქნებოდა, რომ ვაჭრობისათვის ასეთი კარგი ადგილმდებარეობის მქონე ქალაქში ამ გონიერ ხალხს აქ სავაჭრო კანტორა არ ჰქონოდა: ამ ხალხმა მართლაც ზედმიწევნით კარგად გამოიყენა ეს უპირატესობა, რათა ფართო ურთიერთობა დაემყარებინა ორენბურგთან, სპარსეთთან და ბუხარასთან. ამ ურთიერთობების შესახებ ქვემოთ ვისაუბრებ.

1812 წელს თურქმანთა ცხრა ათასამდე მომთაბარე ოჯახმა თავშესაფარი სთხოვა იმპერატორ ალექსანდრეს. ისინი თავიანთი „კიბიტკებითა" და ჯოგებით აიყარნენ ქოჩაკ-კულტუკიდან (Kotchak-Koultuk), რომელიც კასპიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ასტრახანთან ყველაზე ახლოს მდებარეობდა და ამ ქალაქში მოვიდნენ. ზოგიერთმა მათგანმა აქვე დასახლება გადაწყვიტა, უმრავლესობა კი ვოლგის მარჯვენა ნაპირის ველებზე მომთაბარეობს: ამის უფლება მათ იმპერატორმა მისცა. ეს ემიგრაცია, რაც ხშირად ხდებოდა რამდენიმე წლის მანძილზე, გამოწვეული იყო იმით, რომ რუსეთის მთავრობა მშვიდობიანი ხელისუფლების რეპუტაციით სარგებლობდა. ამის დასტურად მოვიყვან საბუთს, რომელიც ამ შემთხვევაში არ შეიძლება, რომ საეჭვოდ ჩავთვალოთ: მკითხველს შევახსენებ, რომ ბ-ნი რობერტ უილსონი[13] (Robert Wilson) 1817 წელს გამოქვეყნებულ თავის თხზულებაში, რომლის მიზანიც იყო რუსეთის წინააღმდეგ განგაშის გამოცხადება, იძულებული გახდა მაინც ეღიარებინა, რომ ეს სახელმწიფო მის შემადგენლობაში მყოფი პროვინციების კოლონიური შევიწროებისაგან თავს იკავებდა; რომ აქ აღმსარებლობის სრული თავისუფლება იყო; რომ უცხოელთა მიმართ არ ხორციელდებოდა არავითარი პოლიტიკური დევნა, რომ რუსეთი ყველგან პატივს სცემდა ადგილობრივ რწმენასა და წეს-ჩვეულებებს, თუკი ისინი არ ეწინააღმდეგებოდნენ ჰუმანურობის აღიარებულ პრინციპებს; დაბოლოს, ყველა მის ახლადშეძენილ ქვეშევრდომს იმპერიული ხელისუფლება გზას უხსნიდა სამოქალაქო თუ სამხედრო სამსახურში კარიერული წინსვლისთვის.

ასტრახანში დამკვიდრებულ აზიელ ხალხებს შორის უნდა მოვიხსენიო, აგრეთვე, ბუხარელები და ქართველები: ბუხარელები ამ ქალაქში ვაჭრობამ მოიზიდა, ქართველებმა კი სპარსელთა 1795 წლის შემოსევის შემდეგ შეაფარეს აქაურობას თავი.

დაბოლოს, ამავე ქალაქში ცხოვრობენ ბერძნები, გერმანელები, პოლონელები, მცირე რაოდენობით კი – ინგლისელები და იტალიელები. თუმცა მათი რიცხვი უმნიშვნელოა. ამას უნდა დავუმატოთ აგრეთვე მეზღვაურები, რომლებიც საიმპერიო ფლოტის ნაწილს წარმოადგენენ და ასტრახანის გარნიზონის პოლკი[46], რაც სულ დაახლოებით 1200 კაცს ისგან შედგება; მათგან 400 ყიზლარშია დაბანაკებული. ბ-ნი გრაფი დ'ორფინგო, რომელმაც საუცხოოდ მიმიღო, ფრიად ამაყობდა მის პოლკში არსებული დისციპლინითა და ჯარისკაცთა სანიმუშო ქცევით. მიუხედავად ამისა, მითხრა მან, ბევრი ჯარისკაცი მაინც იმსახურებს ციმბირში გადასახლებას და ვცდილობ, რომ იქ შემსუბუქებული სასჯელით გავგზავნოო. ამასთან დაკავშირებით პოლკოვნიკმა ერთი ამბავიც მომიყვა, რომელიც ადასტურებს, თუ რა ძლიერად მოქმედებს გადასახლებულზე სინდისის ქენჯნის ძალა: ერთხელ მასთან მისულა ჯარისკაცი, რომელიც სამაგალითო ყოფაქცევით გამოირჩეოდა, მაგრამ ყველა ამჩნევდა, რომ მას მუდამ სევდიანი გამომეტყველება ჰქონდა. ჯარისკაცმა უამბო, რომ სამხედრო სამსახურში გაწვევამდე მას საშინელი დანაშაული ჩაუდენია, ამჯერად კი ამ დანაშაულის აღიარება სურდა და გრაფი დააფიცა, რომ იგი მართლმსაჯულებისათვის გადაეცა. მისი ცრემლებითა და სასოწარკვეთილი განწყობით გულაჩუყებულმა გრაფმა ურჩია, საიდუმლო შეენახა და ამიერიდან წესიერად მოქცეულიყო, თავის მხრივ კი აღუთქვა, რომ ამ დანაშაულის გამოძიებას არ შეუდგებოდა. ჯარისკაცი მაინც დაჟინებით იმეორებდა თავის თხოვნას და სასოწარკვეთილმა აღიარა, რომ მოკლა მღვდელი და გაიტაცა საეკლესიო სიწმინდეები – ბარძიმები; ასეთი მკრეხელობა კი, მისივე აზრით, არ იმსახურებდა შენდობას არც ღმერთის და არც ადამიანების მხრიდან. გრაფი კვლავ თავისას არწმუნებდა, მაგრამ არაფერმა გაჭრა და ბოლოსდაბოლოს, იძულებული გახდა, მონანიე ჯარისკაცი მართლმსაჯულებისთვის გადაეცა; ეს უკანასკნელი ვაჟკაცურად და, ამავე დროს, მორჩილად შეხვდა თავის განაჩენს: სავსებით ნათელი იყო, რომ იგი ბოროტმოქმედად არ დაბადებულა.

ასტრახანის ჭრელი მოსახლეობის ვრცელი ჩამონათვალი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქალაქში სხვადასხვა რელიგიური კულტი თანაარსებობს.

აქ დამკვიდრებული რუსები, ბერძნები და მცირერიცხოვანი ქართველები ბერძნულ წესს მისდევენ; მათ 25 ეკლესია აქვთ. აღდგომის დღესასწაულზე მე დავესწარი ქალაქში საღმრთო მსახურებისას შესრულებულ რიტუალს. თავის დროზე ვლადიმირ დიდი[14] (Vladimire-le-Grand) მოხიბლულა ბერძნული ეკლესიის ბრწყინვალებითა და საზეიმო იერით და უპირატესობა მისთვის მიუნიჭებია კათოლიკურ ეკლესიასთან შედარებით, რომელიც მის დროს ჯერ კიდევ არ ყოფილა

---

[46] რუსეთში გარნიზონის პოლკს უწოდებენ იმ სამხედრო ნაწილს, რომელიც მუდმივად ქალაქში რჩება და ომში მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში მიდის.

ფუფუნებით მოსილი გერმანიის იმ ადგილებში, რომელთა დათვალიერებაც დავალებული ჰქონდათ მეფის (tzar) რწმუნებულებს, რათა მისთვის მოეხსენებინათ, თუ რა მდგომარეობაში იყო ქრისტიანული რელიგიის ეს ორი მიმდინარეობა, რის შედეგადაც მეფეს მათ შორის არჩევანი უნდა გაეკეთებინა.

ეკლესიაში აღტაცებას იწვევს არქიეპისკოპოსის სამოსელი, აგრეთვე, იმ მღვდელთა ჩაცმულობა, რომლებიც ესწრებიან ღვთისმსახურებას. წინაპართა მსგავსად, გრძელი, დახვეული წვერი მათ სახეს ერთდროულად მედიდურ და ასკეტურ იერს ანიჭებდა. მარგალიტები და სხვა ძვირფასი ქვები ამკობდნენ მიტრას, ჯვარს და ყველაფერს, რაც ამ რიტუალისათვის იყო საჭირო. მუსიკა სასიამოვნო იყო, განსაკუთრებით – ვოკალი, რომელიც საეკლესიო გალობაში ძლიერ დაბალ ბანებს მოითხოვს; ასეთი ბანები ძალზე ხშირია მთელ რუსეთში.

გარდა ბერძნული სარწმუნოებისა, რომელიც წმინდა სინოდის მიერ არის დაშვებული, რუსეთში არსებობს, აგრეთვე, მრავალი სექტა; ყველაზე მრავალ-რიცხოვანია რასკოლნიკების, ანუ ჭეშმარიტ მორწმუნეთა სექტა, რომლის შესახებაც მე უკვე ვისაუბრე. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ეკლესიაში გამეფებულია თავაშვებულობა და ამიტომ ისეთივე ასკეტურ ცხოვრებას ეწევიან, როგორც ეს უმკაცრესი წესის კათოლიკურ ორდენებშია: კრძალავენ ყოველგვარ არაფრისმომცემ სიამოვნებას და ბერძნული სარწმუნოებით დაკანონებული 230 სამარხვო დღის გარდა, წელიწადში კიდევ ბევრ დღეს მარხულობენ.(47) რასკოლნიკები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა თავიანთ რიგებში გააერთიანონ პროზელიტები[15]; ყოველ შემთხვევაში, საფუძველი მაქვს, ასე ვიფიქრო იმ ფაქტის გამო, რომელიც იმდენად უჩვეულოა, რომ საჭიროდ ჩავთვალე მისი გადმოცემა:

1818 წლის აპრილის თვეში, როცა ტაგანროგიდან ასტრახანში ვბრუნდებოდით, იძულებულნი გავხდით, დონეცის (Donets) მარჯვენა ნაპირზე – ჩირსკაიაში[16] (Tchirskia) შევჩერებულიყავით და დავლოდებოდით პონტონის ხიდის გადებას, რომელზეც უნდა გაგვევლო. ყინვის გამო ეს სამუშაოები ფერხდებოდა. ამ ქალაქში ყოფნისას ოციოდე წლის ფრანგი ქალი გვეწვია: თავზე დიდი თავშალი ჰქონდა მოხვეული, რომელიც, თურქი ქალების მსგავსად, ნიკაპამდე სწვდებოდა და მის ლამაზ სახეს თითქმის მთლიანად ფარავდა. ოთახში შემოსვლისთანავე მან ღვთისმშობლის ხატის წინაშე რამდენჯერმე გადაისახა პირჯვარი მარჯვნიდან მარცხნივ; ძნელია იმის გადმოცემა, თუ რაოდენ აღელვებულიიყო ეს ახალგაზრდა ქალი: სამი წლის განმავლობაში მან პირველად იხილა ფრანგები თავისი სამშობლოდან ათასი ლიეს მოშორებით და ეს მისთვის იმდენად მოულოდნელი რამ იყო, და იმდენ მოგონებას უკავშირდებოდა, რომ კარგა ხანს იგი ცრემლად იღვრებოდა და გონს ვერ მოვიყვანეთ. მან გვიამბო, რომ უწინ ლორენის (Lorraine) ერთ-ერთ ქალაქში ცხოვრობდა, რომელიც რუსებმა დაიკავეს. იგი ერთ კაზაკ

(47) ამ სექტის დამაარსებელი ცხოვრობდა იარვორსკში (Yarvorsk) _ ვოლინში, საიდანაც სექტამ მიიღო სახელწოდება – იარვორსკის სექტა. იგი მეფე თევდორე ალექსის ძის (Feodor-Alexiowitz) თანამედროვე იყო. პეტრე დიდმა ამ სექტანტებს მოსთხოვა, ზურგზე, ჩასაცმელის ზემოდან დაკერებული წითელი მაუდის ნაჭერი ეტარებინათ. დღეს ამ ბრძანებას უკვე აღარავინ ასრულებს.

ოფიცერს გამოჰყოლია, რომელიც ცოლად შერთვას ჰპირდებოდა და არწმუნებდა, რომ რაინიდან ას ორმოცდაათი ლიეს მოშორებით ცხოვრობდა. ყმაწვილი ქალი გამოქცეულა თავისი მეურვის სახლიდან, რომელმაც იგი აღზარდა და რომელზეც, მისივე თქმით, კარგის მეტს ვერაფერს იტყოდა. მან გამოიარა ელბა, ოდერი, ვისლა და ყველაფერი ეს იმისათვის, რომ სამშობლოდან ასე მოშორებით დარწმუნებულიყო, რა მწარედ მოატყუეს. ამის შემდეგ იგი მისი გამტაცებლის სახლიდან გამოქცეულა და თავი შეუფარებია ერთი კაზაკი გენერლის დასთან, რომელიც თავგამოდებული რასკოლნიკი ყოფილა. მარტოდმარტო, ყოველგვარი მხარდაჭერის გარეშე დარჩენილმა, ამ მანდილოსნის მფარველობა მიიღო, ეზიარა მის სარწმუნოებას და მისი ნათლულიც კი გახდა; აქედან მოყოლებული, იგი ცხოვრობდა ამ ქალთან, თითქოსდა მისი ქალიშვილი ყოფილიყო და მორჩილად იცავდა ახლად აღიარებული სარწმუნოების ყველა წესს. ჩვენმა დანახვამ მას მთელი სიმძაფრით გაუღვივა მოგონებები თავის სამშობლოზე. წასვლისას დავპირდი, რომ არაფერს დავზოგავდი იმისათვის, რომ გამომეძებნა გზები მის დასაბრუნებლად საფრანგეთში. ამ მხრივ გარკვეული ნაბიჯები მართლაც გადავდგი, მაგრამ მალევე შევიტყვე, რომ იგი ცოლად გაჰყოლოდა ერთ საკმაოდ მაღალი რანგის კაზაკ ოფიცერს და ბედნიერად ცხოვრობდა.

რაოდენ დიდი განსხვავებაა რასკოლნიკთა ასკეტურ, ყოველგვარ სიამოვნებათაგან თავშეკავებით შთაგონებულ ცხოვრებასა და იმ საშინელ ფანატიზმს შორის, ერთ ახალ სექტად რომ გააერთიანა ადამიანები, რომლებიც სრულ დასახიჩრებაზე თანხმდებიან! სულ ცოტა ხნის წინ შექმნილმა ამ სექტამ ბევრად მეტ წარმატებას მიაღწია, ვიდრე ვარაუდობდნენ. ჩემი კალამი უძლურია, აღწეროს ის დეტალები, რაც თან ახლავს ამ შემზარავ რიტუალს – მსხვერპლშეწირვას. ეს მოვალეობა, ჩვეულებრივ, მოხუც ქალს ეკისრება. თავიანთი ბარბაროსობის მიუხედავად, ამ სექტის წევრებმა გარკვეულწილად შეინარჩუნეს ადამიანური გრძნობები და დასახიჩრების რიტუალს ისე ასრულებენ, რომ მას თან არ სდევს უბედური შემთხვევის საშიშროება.

როგორც ჩანს, მათ თავიანთი დოქტრინა სახარების ერთ გამონათქვამზე ააგეს, სადაც საუბრია იმის შესახებ, რომ თუ საკუთარი თვალი გაცდუნებთ, იგი უნდა ამოითხაროთ; აგრეთვე, ბიბლიის ერთ ეპიზოდზე, რომელიც საჭურისთა ბედნიერებას ეხება. ერთი ფრიად სანდო პიროვნება მიყვებოდა, რომ როდესაც ოდესის კანცელარიის ერთი თანამშრომლისთვის, ამ სექტის წევრისათვის უკითხავთ, თუ რატომ გაიმეტა თავი ასეთი წამებისთვის, მას შემზარავი ღიმილით უპასუხია: თქვენ არ გესმით, რას ნიშნავს ეშმაკეული სულის განდევნაო. დაახლოებით რვა წლის წინ ამ სექტანტების დასჯის მიზნით მოინდომეს მათი ციმბირში გადასახლება; მაგრამ საოცარი იყო, რომ ის სექტანტები, რომლებზეც ეს სასჯელი არ გავრცელებულა, დასჯილთა, ანუ მსხვერპლთა მიმართ შურით განიმსჭვალნენ. ამიტომაც უმჯობესად მიიჩნიეს სექტის არსებობაზე თვალის დახუჭვა, თუმცა მის საჯაროობას აუცილებლად მოჰყვებოდა კიდევ უფრო დიდი წარმატებით მისი გავრცელების საფრთხე, განსაკუთრებით – საიმპერიო ფლოტის მეზღვაურთა შორის.

ასტრახანში დაახლოებით რვაასი კათოლიკეა; მათგან ექვსასი სომეხია, დანარჩენნი კი – პოლონელები, გერმანელები და იტალიელები არიან. მათი ეკლესია იმ მონასტრის ნაწილია, რომელშიც იეზუიტები იყვნენ დამკვიდრებულნი. 1821 წლის „უკაზის“ გამო, მათ იძულებით დატოვეს რუსეთი, ხოლო მათი ადგილი დომინიკანელმა ბერებმა დაიკავეს. ამ ქალაქის მონასტრის აღზრდილები ვოლგის ნაპირზე მდებარე სარატოვის (Saratoff) გერმანულ სოფლებში მიდიოდნენ მღვდლებად: კათოლიკეთა რიცხვი აქ ორი ათასს აჭარბებს. არაკათოლიკე სომხებს ასტრახანში ორი ეკლესია აქვთ და ერთი ეპისკოპოსის ეპარქიაში შედიან. დაბოლოს, ერთი ტაძარი აქვთ აქაურ ლუთერანებსაც.

ამ სხვადასხვა წესის ქრისტიანული ეკლესიების გვერდით ასტრახანში ლონდონის ბიბლიური საზოგადოების წარმომადგენელი სამი ინგლისური ოჯახიც ცხოვრობს;[17] მათ მდიდარი ვარვაცისაგან იყიდეს მშვენიერი სახლი და, როგორც ჩანს, ყოველმხრივ უზრუნველყოფილნიც არიან. ამ ინგლისელების მიზანი იყო თათრების, ბუხარელებისა და ყალმუხების მოქცევა ქრისტიანობაზე, რისთვისაც ისინი ამ ხალხების ენებზე თარგმნილ ბიბლიას ავრცელებდნენ; თუმცა, ამას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, რადგან ამ ადამიანთა უმრავლესობამ კითხვა არ იცოდა, ხოლო ვისაც კითხვა შეეძლო, სულაც არ იყო განწყობილი რწმენა შეეცვალა და ისეთი აღმსარებლობა მიეღო, რომელიც მოკლებული იყო მათთვის ჩვეულ რიტუალს და ღვთისმსახურების გარეგნულ ფორმებს. ამ ინგლისელებს დიდი მსგავსება აქვთ ბიბლიის საზოგადოების სხვა წევრებთან, რომლებიც წარმოშობით შოტლანდიიდან არიან და საკმაოდ დიდხანს ცხოვრობდნენ გეორგიევსკის მინერალურ წყლებთან ახლოს; მაგრამ ყაბარდოელი ჩერქეზები მათ ხშირად ესხმოდნენ თავს და ძარცვავდნენ, ამიტომ ისინი ორენბურგში გადასახლდნენ. ბიბლიის საზოგადოების წევრებს მეტად მკაცრი წესები აქვთ და, ჩვეულებრივ, დიდად დაფასებულნი არიან.

მუსლიმები იყოფიან ორ სრულიად განსხვავებულ სექტად – სუნიტებად და შიიტებად, რომელთა დაახლოებაც ყოვლად შეუძლებელია. კავკასიის ხალხები, თათრები, თურქები და თურქმენები სუნიტები არიან, სპარსელები კი - შიიტები. ორივე სექტას ასტრახანში საკუთარი მეჩეთები აქვს.

ინდუსებს, ზოროასტრის მიმდევარ სექტანტებს თავიანთ პატარა, შემოღობილ მამულში აგებული აქვთ ტაძრის მსგავსი შენობა, სადაც ისინი ოთხ ძირითად ელემენტს ეთაყვანებიან.

ყალმუხები მისდევენ დალაი ლამას (Dalaï-Lama) კულტს. მათ უამრავი მღვდელი ჰყავთ. 14,650 „კიბიტკიდან“, სადაც ყალმუხები 1818 წლიდან ცხოვრობენ, 1707, ანუ ერთ მეცხრედზე მეტი, მღვდლებს ეკავათ. ირწმუნებიან, რომ ყალმუხთა ზოგიერთი ტომს წესად აქვს მიცვალებულთა დამარხვის ნაცვლად მათი მიტოვება საცხოვრებლიდან მოშორებულ ადგილებში, ყველაზე მაღალი მთების მწვერვალებზე, გარეულ ცხოველთა და ფრინველთა საჯიჯგნად. სრულიად ბუნებრივია, – ამბობენ ისინი, – ჩვენი სიკვდილის შემდეგ ეს ცხოველები ჩვენი ხორცით რომ გამოიკვებონ, რადგანაც ჩვენ ხომ მთელი სიცოცხლის მანძილზე მათი ხორცით ვიკვებებითო.

ამ თავში გადმოცემული ცნობები დასტურია იმისა, რომ ასტრახანში, ქალაქიდან გამოუსვლელად, შეიძლება საოცრად საინტერესო ცნობები მოაგროვოთ რუსეთში გავრცელებული სექტებისა და აზიის ხალხთა ძირითადი სარწმუნოებების შესახებ.

თავი XVIII

კლიმატი. ჰოსპიტლები. საზღვაო არსენალი. სოფლის მეურნეობის კულტურები. მეთევზეობა ვოლგაზე. ასტრახანის ვაჭრობის უძველესი ტრადიციები. ქალაქის ადგილმდებარეობის უპირატესობანი. ცნობები კასპიის ზღვის ნაოსნობის შესახებ. ოთხი ვაჭრის მოგზაურობა სპარსეთის ყურიდან ასტრახანში. სანავიგაციო გემები ვოლგაზე. საგადასახადო ღონისძიებები, რომლებიც სპარსეთთან ვაჭრობას აფერხებენ. პეტრე დიდის მიერ მიღებული ზომები თავის იმპერიაში ვაჭართა მოზიდვის მიზნით. ასტრახანიდან ტაგანროგსა და პეტერბურგში გამგზავრება.

ასტრახანის კლიმატური პირობები ჯანმრთელობისათვის მავნეა, თუმცა ამ ქალაქში მცხოვრები ერთი დიდად განათლებული ექიმი მარწმუნებდა, რომ სიკვდილიანობა, როგორც წესი, დაახლოებით 30 პროცენტს შეადგენს, რაც პარიზის მაჩვენებლის შესატყვისია. კიდევ უფრო მცირე იყო სიკვდილიანობა 1817 წელს: 45 ათასი მცხოვრებიდან გარდაცვლილთა რაოდენობა მხოლოდ 1400-ს შეადგენდა. მიუხედავად აცრების შემოღებისა, გარდაცვლილთა მთლიანი რაოდენობის ერთ მესამედს ხუთი წლის და უფრო მცირე ასაკის ბავშვები შეადგენენ. ამ ქალაქში რამდენიმე ასწლოვანი მოხუციც იყო.

ასტრახანის ჰოსპიტალი მშვენიერ ადგილზეა აგებული; აქ დიდი ეზოები და ბაღებია, ოთახებიც მუდამ გაკრიალებულია. ავადმყოფები ცოტაა; სულით დაავადებულთა განყოფილებაში იმჟამად სულ შვიდი ავადმყოფი იწვა და ყველას მელანქოლიური აშლილობის დიაგნოზი ჰქონდა.

ჩვენ საზღვაო ჰოსპიტალიც მოვინახულეთ. ის კიდევ უფრო უკეთ იყო კეთილმოწყობილი. აქ მხოლოდ ვენერიული სენით დაავადებულები ჰყავდათ. ჰოსპიტლის დათვალიერების შემდეგ წაგვიყვანეს ფარდულში, სადაც თვით პეტრე დიდის მიერ აგებული ორი კარჭაპის ნახვით მოვიხიბლეთ. ცხადია, დღეს ეს კარჭაპები საკმაოდ შელახულია, ტაკელაჟის თოკები კი, რომლებიც ასევე პეტრეს ხელით იშვიათი სრულყოფილებითაა დამზადებული, მშვენივრადაა შემონახული.

ადმირალიტეტის შენობებს, ისე როგორც პარკსა და ნავსაშენს, უზარმაზარი სივრცე უკავია; თუმცა გემთმშენებლობა აქ ნაკლებად სწარმოებს და კასპიის ზღვის მთელი საზღვაო ძალები რამდენიმე ბრიგისა და ორანძიანი ნავისგან შედგება: რადგანაც რუსები კასპიის ზღვას მხოლოდ სანაოსნოდ იყენებენ და აქ მტერთან ბრძოლა არ უწევთ, ამიტომ მათ უკიდურესად შეზღუდეს საომარო ტექნიკის რაოდენობა; მაგრამ საჭიროების შემთხვევაში, საომარი აღჭურვილობის შესაქმნელად, მთელ ევროპაშიც კი არ მოიძებნება ასტრახანის მსგავსი ნავსადგური, სადაც ასე იოლად და იაფად შეიძლება ამ პრობლემის მოგვარება.

როდესაც ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარები ციმბირამდე გადაჭიმულ უზარ-მაზარ ველებს გადაივლის და ასტრახანამდე მოაღწევს, დიდი სიცხე მკვეთრად იცვლება ასევე ძლიერი სიცივით, რაც გავლენას ახდენს ამ მხარის სოფლის მეურნეობაზე და აზიანებს მცენარეებს, რომლებიც მთელი ზამთრის მანძილზე მიწის სიღრმეში რჩებიან.

ასტრახანის გარშემო, ძირითადად ქვიშიანი და მოუსავლიანი ნიადაგის პირობებში, მაინც დიდი წარმატებით ახერხებენ ვაზის მოშენებას: საჭიროა მხოლოდ უსაფრთხოების ზოგიერთი ზომის გათვალისწინება ყინვებისაგან ვაზის დასაცავად. ვაზის პირველი პლანტაციები ერთმა ავსტრიელმა ტყვემ გააშენა, რომელმაც 1613 წელს ბერძნული სარწმუნოება მიიღო; იგი ბერად აღიკვეცა და თავისი მონასტრის შემოგარენში დარგო ვაზი, რომელიც შემახიდან ჩამოატანინა. ვაზმა ისე კარგად იხარა, რომ მეფე მიხეილ თევდორეს ძემ[1] (Mikail Fœdorovitch) მას სახელმწიფოსათვის ვენახის გაშენება უბრძანა. ამ დროიდან მოყოლებული, ასტრახანის ბაღებში ვაზის კულტურა გავრცელდა და ახალთახალი ყურძენი აქედანაც ისევე იგზავნება პეტერბურგში, როგორც ყიზლარიდან.

ამ კანტონში ნიადაგის დიდი ნაწილი მარილის ფენითაა დაფარული, ხოლო ასტრახანიდან ოდნავ მოშორებით მარილიანი ტბებია; არის, აგრეთვე, ქვამარილის მოსაპოვებელი ერთი მაღარო და ასპიდის, თაბაშირისა და ალებასტრის კარიერები; და მაინც, ასტრახანის სიმდიდრის წყარო უფრო ვაჭრობა და მეთევზეობაა, ვიდრე სოფლის მეურნეობა.

ვოლგა იძლევა ისეთი უსაზღვრო რაოდენობით თევზს, რომლის წარმოდგენაც კი შეუძლებელია. იმპერატორმა პავლემ, რომელიც უსასრულო გატაცებების ადამიანი გახლდათ და უსაზღვრო სულგრძელობას იჩენდა მათ მიმართ, ვინც უყვარდა, ვოლგის შესართავთან არსებული თევზსარეწი საჩუქრად გადასცა ორ თავადს, გვარად კურაკინს. მდიდარ ბერძენ ვარვაცის, რომელიც ზემოთ არაერთხელ მოვიხსენიე, დიდი ხნის მანძილზე იჯარით ჰქონდა აღებული ასტრახანის თევზსარეწი და წლიურად 500 მანეთს იხდიდა ასიგნაციით. ამით მან დიდი სიმდიდრე დააგროვა. დღეს ეს თევზსარეწი 900 ათას მანეთად იჯარით აქვს აღებულიერთ რუს ვაჭარს, გვარად საპოჟნიკოვს (Sapojnikoff), რომელიც ასევე გამდიდრდა თავის კომპანიონებთან ერთად. მან აქ 8-10 ათასამდე მუშახელი დაასაქმა. მთელი მდინარე მოფენილი მისი დამბებით და ანკესებით. რუსეთის მოსახლეობის მიერ ხანგრძლივი მარხვების განმავლობაში მოხმარებული დამარილებული და შებოლილი თევზის უდიდესი ნაწილი სწორედ ამ საწარმოში მუშავდება. დაბოლოს, ეს ვაჭარი იტალიასა და საბერძნეთში აგზავნის ხიზილალას და თითქმის მთელ ევროპაში კი – თევზის წებოს, რაზეც დიდი მოთხოვნილებაა.

ამ თევზსარეწის სანახავად ვოლგის შესართავთან ჩავედი. დავათვალიერე ვეებერთელა სარდაფები, სადაც თევზის დამარილება და დაკონსერვება ხდება. ამ შენობაში ყველაფერს გიგანტური ზომები აქვს: აქ ვნახე ისეთი უზარმაზარი თართი, რომლის წარმოდგენაც კი შეუძლებელია; მას სვიასაც (balouga) უწოდებენ და ზოგიერთი 2,400 გირვანქამდეც კი იწონის. ზუთხი (assetrine), ორაგული, კობრი, ცქვრიანა – ევროპულ თევზებთან შედარებით ყველა დიდი ზომისაა. მკითხველს შევახსენებ პალასისა და გიულდენშტედტის ნაშრომებს, სადაც ძალზე საინტერესო

ცნობებია დაცული ვოლგაზე თევზჭერისა და კასპიის ზღვაზე სელაპების რეწვის შესახებ.

თავისი ადგილმდებარეობის გამო ასტრახანი ყოველთვის სავაჭრო ქალაქი იყო. შუა საუკუნეების ეპოქაში იგი ჰანზის ქალაქებსა[2] და აზიას შორის დამაკავშირებელ პუნქტს წარმოადგენდა. ბრემენი, ჰამბურგი და ჩრდილოეთის ზღვის ზოგიერთი სხვა ნავსადგურები, ინგლისი და ჰოლანდია სწორედ ამ გზით იღებდნენ სანელებლებსა და სხვა სურნელოვან ნივთიერებებს, ძვირფას ქვებსა და ძვირადღირებულ ინდურ ქსოვილებს, რითაც ვენეციელი და გენუელი ვაჭრები იტალიასა და საფრანგეთს ამარაგებდნენ. როდესაც XVI-XVII საუკუნეებში აზიის ვაჭრობამ ძირითადად ევროპელების მიერ ინდოეთში დაარსებულ სავაჭრო კომპანიებში გადაინაცვლა, ცხადია, ეს ცვლილება ასტრახანზეც ისევე აისახა, როგორც ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ნავსადგურებზე; თუმცა ამის მიზეზი ყოველთვის სწორად არ არის შეფასებული.

აზიური ვაჭრობის (შავი და ხმელთაშუა ზღვების გზა), და მასთან ერთად – გენუისა და ვენეციის დაცემას, რომელთა წარმატებაც ამ ურთიერთობებს ემყარებოდა, როგორც წესი, კეთილი იმედის კონცხის[3] აღმოჩენას მიაწერენ ხოლმე. ვფიქრობ, რომ აქ საქმე გვაქვს მიზეზ-შედეგობრიობის აღრევასთან, რადგან კეთილი იმედის კონცხი აღმოაჩინეს კაფადან[4] (Caffa) გენუელების განდევნიდან და ქრისტიანული დროშის ქვეშ მოცურავე გემებისათვის შავი ზღვის ჩაკეტვიდან დაახლოებით 30 წლის შემდეგ.

დიდი ხნის მანძილზე იტალიის ორი რესპუბლიკის კომერციულ წარმატებებსა და სიმდიდრეს შურით შესცქეროდნენ და მთელი ეს სავაჭრო ურთიერთობები მათ ხელში აღმოჩნდა ოკეანის გზით ინდოეთის მიღწევის შემდეგ. სწორედ ამ დროს კი აზიისა და მთელი ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს დაპყრობამ და კონსტან-ტინოპოლის აღებამ განუკითხავი ძალმომრეობა და ბარბაროსობა დანერგა მთელ ამ მხარეში, დიდი ხნის განმავლობაში ვაჭრობის უმდიდრეს ცენტრს რომ წარმოადგენდა.

მას შემდეგ, რაც 1821 წლის 8 (20) ოქტომბრის „უკაზმა“ ძლიერი და ცივილიზებული სახელმწიფოს ტერიტორიაზე აზიის ქარავნებს კვლავ გაუხსნა გზა გასაღების ბაზრებისაკენ, რომლებიც მფარველობითა და მხარდაჭერით სარგებლობენ; რუსეთის გავლენის წყალობით, ამავე ქარავნებს შეუძლიათ უსაფრთხოდ გადალახონ მთელი დასავლეთი აზია, ინდის მარცხენა ნაპირიდან კასპიის ზღვამდე და შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირომდე; დაბოლოს, – მას შემდეგ რაც ამ ბაზრებით შესაძლებელი ხდება კავშირის დამყარება ევროპასთან (მშვიდობიანობის პირობებში ზღვით, ხოლო ომიანობის შემთხვევაში – სამდინარო მიმოსვლით), აღარ არის საეჭვო, რომ აზიის ძირითადი ვაჭრობა კვლავ თავის ძველ გზას დაუბრუნდება, რადგან ეს არის უფრო მოკლე, უფრო მომგებიანი და მასზე არ ბატონობს არც ერთი პრივილეგირებული კომპანია.

ამ ცვლილებების შემდეგ ასტრახანი, რომელიც შიდა ნავიგაციით ერთი მხრივ პეტერბურგს, მეორე მხრივ კი – აზოვის ზღვას უკავშირდება, აუცილებლად ჩაერთვება ფართო ვაჭრობაში, რომლის ცენტრიც, უპირობოდ, საქართველო გახდება.

დღეისათვის ეს ქალაქი, ასე ვთქვათ, მხოლოდ საკომისიო ვაჭრობას აწარმოებს; აქ დამკვიდრებული სპარსელები და სომხები მაისსა და ივნისში ბუხარიდან თუ სპარსეთიდან გამოგზავნილ საქონელს იღებენ და მიაქვთ მაკარიევში, სადაც ცვლიან ევროპისა და რუსეთის ფაბრიკების იმ პროდუქციაზე, რომელზეც დიდი მოთხოვნილებაა შიდა აზიაში. ასტრახანის გზით გადააქვთ აგრეთვე რკინაც, რომელიც ციმბირიდან მოდის და იგზავნება ბაქოში, ანზალისა და ბალფუროშში.

1 აპრილიდან 1 აგვისტომდე სპარსეთის ნავსადგურებიდან გამოსული გემების მიმოსვლას ხელს უწყობს სამხრეთის ქარები, რომლებიც ძირითადად წელიწადის ამ დროს არის აქტიური. მოგვიანებით კი ეს ქარები უკვე ჩრდილოეთიდან უბერავენ და აიოლებენ ხომალდების სვლას ასტრახანიდან ანზალისა და ასთარაბადისკენ. ბუნების ამ თავისებურებიდან გამომდინარე, გილანისა და მაზანდარანის სანაპიროსაკენ მოცურავე ხომალდები აქ შემოდგომის დასაწყისისათვის ჩამოდიან. ამ დროს ამ პროვინციების ჰავა იმდენად მავნეა, რომ გემის კაპიტნები იძულებულნი არიან, თან წამოიყვანონ გაორმაგებული ეკიპაჟი, ვინაიდან ამ სახიფათო ნაპირზე რამდენიმე კვირის გატარების შემდეგ მეზღვაურები ან ავადდებიან, ან იხოცებიან და საჭირო ხდება მათი ჩანაცვლება. ამიტომ ტვირთის გადაზიდვის ფასი ყოველთვის მაღალია ყოველთვის დიდია. კასპიის ზღვაზე თბომავლების შემოღება, გარდა იმისა, რომ დააჩქარებს მიმოსვლას და შეამოკლებს ასტრახანიდან ანზალიმდე ჩასასვლელად საჭირო სამგზავრო დროს, იმითაც არის მომგებიანი, რომ შემოდგომით ამ ნაპირზე ჩამოსული ეკიპაჟების წევრთა სიკვდილიანობასაც ბოლოს მოუღებს.

კასპიის ზღვის გავლით გაგზავნილ საქონელზე გარანტიას არასოდეს იძლეოდნენ. ამასთანავე, ვიდრე რუსეთი გამოიყენებს ხელშეკრულებით მიღებულ უფლებას, რაც სპარსეთის სამხრეთ სანაპიროს ნავსადგურებში კონსულების დანიშვნასა და სავაჭრო კანტორების გახსნას გულისხმობს, ამ მხარეებში მისი ვაჭრობა მეორეხარისხოვანი იქნება, ხოლო კასპიის ზღვაზე ნაოსნობა – უაღრესად შეზღუდული.

რამდენიმე წლის წინ შიდა რუსეთის ვაჭრები ასტრახანიდან კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროზე მდებარე კულტიუკის (Koultiouk) ყურეში გაემგზავრნენ. აქედან ისინი ქარავანს გაყვნენ ხივაში და მიაღწიეს ბუხარამდე, თურქმანების ქვეყნის გავლის შემდეგ, რომელსაც სანაპიროს ერთი ნაწილი უჭირავს.

სპარსეთთან ქალაქ ასტრახანის პირდაპირი ვაჭრობა საკმაოდ შეზღუდულია და უნდა ვიფიქროთ, რომ ამ უკანასკნელს ინდოეთთან და არაბეთთან ჯერ კიდევ არ დაუმყარებია კავშირი სპარსეთის ყურის მეშვეობით; მაგრამ ამ საუკუნის დასაწყისში იგი გახდა მოწმე იმ მოგზაურობისა, რომელსაც მისი ყურადღება ამ ვრცელი მხარეებისაკენ უნდა შემოებრუნებინა და დაერწმუნებინა, რომ ამ გზით ინდოეთთან მიმოსვლა გაცილებით უფრო იოლი იყო.

1801 წელს ჰაჯი აბდულა (Hadji-Abdoula) – ბაღდადელი თურქი ვაჭარი, მაკუ (Makou) – ფილიპოლელი (Philipol) ბერძენი და ორი სომეხი მესოპოტამიიდან ასტრახანში ჩამოვიდნენ ტვირთით, რომელშიც შედიოდა იემენის ყავა, ინდური საქონელი და შირაზის თამბაქო. ვაჰაბიტების[5] (Vahabites) შიშით მათ უარი თქვეს

ჩვეულებრივ გზაზე, რომელიც კონსტანტინოპოლში ჩაიყვანდა: ბასრამდე[6] (Bassora) ეს ვაჭრები ევფრატს აყვნენ და ორმოცდაორ დღეში ჩავიდნენ ანზალიში – კასპიის ზღვაზე, გაიარეს რა ყაზრუმი (Casroum), შირაზი, ისპაჰანი, ქაშანი და ყაზვინი (Casbin). ამის შემდეგ ისინი ანზალიდან ასტრახანისაკენ გაემგზავრნენ და აქედან ვოლგას აჰყვნენ დუბოვკამდე (Dubofka); შემდეგ საქონელი ხმელეთით გადაზიდეს კალაჩამდე (ჩატჰალნი), რომელიც აქედან 15 ლიეთია დაშორებული. აქ საქონელი დაიტვირთა დონზე და გაიგზავნა ტაგანროგამდე, შემდეგ კი – კონსტანტი-ნოპოლში. ამ დროიდან მოყოლებული, ყოველ წელს ზოგიერთი ბასრელი თურქი ვაჭარი მთელი სპარსეთის გავლით გილანის მთავარ ქალაქ რეშთში (Recht) ჩადის. აქ ეს ვაჭრები ევროპულ და ინდურ საქონელს ყანდაჰარის, სპარსეთის, ქაშმირისა და ტიბეტის საქონელზე ცვლიან.

ასტრახანი შეუწყვეტლივ აწარმოებს ნავიგაციას ვოლგაზე და მის უამრავ შენაკადზე. ამ მდინარის 4 ათასზე მეტი ვერსი (ათასი ლიე) სანაოსნოდ ვარგისია. იგი გადაკვეთს რუსეთის უმდიდრეს პროვინციებს და თავისი შენაკადებით ამ უკიდეგანო იმპერიის უშორეს ადგილებს უკავშირდება. მას ის უპირატესობაც აქვს, რომ აქ არ არის ჩანჩქერები და ყველგან მოსახერხებელია ბაგირით წევა. სამწუხაროდ, უკვე რამდენიმე წელია, რაც ვოლგა თანდათანობით წყლის დონის კლებას განიცდის; ჩვენ საშუალება გვქონდა, იგივე მოვლენა აგვეღნიშნა კასპიის ზღვასთან დაკავშირებითაც. წყლის დაკლება იმდენად საგრძნობია, რომ უკვე ასტრახანიდან პერმის (Perme) გუბერნიაში იგზავნება არაუმეტეს ას ორმოცდაათ ტონიანი ხომალდები, მაშინ როდესაც ათიოდე წლის წინ ორას ორმოცდაათ ტონიანი ხომალდები პირთამდე დატვირთულნი ადიოდნენ ვოლგაზე.

მდინარეზე სანავიგაციოდ ორი სახის გემი გამოიყენება: პირველს, ანუ ვიატკის (Viatka) კარპაჭებს ასტრახანში სამშენებლო ხე-ტყის მნიშვნელოვანი ტვირთი ჩამოაქვთ. ამ კარპაჭებს 18 ფუტამდე სიმაღლე აქვთ, მაგრამ მხოლოდ 9 ფუტამდე სიმაღლეზე შეიძლება ტვირთის დაწყობა; ამავე დროს, მათ ნაოსნობა შეუძლიათ მხოლოდ წყლის დონის აწევისა და მდინარის წყალვარდნის დროს. ასტრახანში მათი შემოსვლისას, ჩვეულებრივ, ერთად იყიდება როგორც სამშენებლო ხე-ტყე, ასევე ეს კარჭაპებიც (მათ ნაწილ-ნაწილ შლიან). მათ მეორენაირად „ბელას“ (bela - თეთრი) უწოდებენ, რადგან გარედან გუდრონს უსვამენ, რათა მყიდველებმა ამ კარპაჭების ხის მასალა სახლების ასაშენებლად გამოიყენონ.

ვოლგაზე მოცურავე მეორე სახის კარჭაპით ასტრახანში ხორბალი ჩამოაქვთ. მათ იგივე სიგრძე აქვთ, სიმაღლე კი ნაკლები აქვთ და მათი კორპუსის შემად-გენელი ნაწილებიც უფრო ვიწროა. კარჭაპებს იმ ქალაქის სახელებს არქმევენ, საიდანაც იგზავნებიან. ვოლგაზე იყენებენ აგრეთვე გრძელ და ბრტყელძირა ნავებსაც, რომლებსაც ცაცხვის ქერქგადაკრული მსუბუქი ხისაგან ამზადებენ; მათ აქვთ ერთი გემბანი და იყენებენ არყის, რკინისა და ქვანახშირის გადასაზიდად.

კურსირების ორჩხომელს უწოდებენ ისეთ ნავს, რომელიც საკმაოდ სწრაფი დინების მქონე ვოლგაზე აღმა და დაღმა ცურავს. მისი სიგრძე ექვსიდან თორმეტ საჟენამდეა[48], აქვს შესაბამის სიღრმე და ერთი გემბანი. ვოლგაზე დაღმა ცურვისას

[48] საჟენი (sagenne) არის 6 ფუტი, 6 გოჯი და 6 ხაზი.

მისი ეკიპაჟი 8-10 კაციანია, ხოლო აღმა სვლისას – 40 კაცამდე იზრდება. ამ კარპაჭებს ერთადერთი ანძა და უამრავი იალქანი აქვთ.

შიდა ნავიგაციის შესახებ საუბრის შემდეგ ორიოდე სიტყვით მოგახსენებთ ასტრახანის თანამედროვე ურთიერთობებზე სპარსეთთან.

საბაჟო კანონმდებლობაში ხშირად შეცდომას უშვებენ, რადგან ისეთი ღონისძიებების დანერგვისას, რომელთა მეშვეობითაც ფიქრობენ, რომ ხელს შეუწყობენ მანუფაქტურული მრეწველობისა თუ სოფლის მეურნეობის ახალი დარგის განვითარებას, ხშირად ვერ ითვალისწინებენ, რა გავლენას მოახდენს ეს ყველაფერი მრეწველობის სხვა დარგებზე. ამგვარად, ახლად შექმნილი წარმოებების სასარგებლოდ მიღებულმა კანონმა შესაძლოა, უცხოელთა მხრიდან რაღაც აკრძალვები გამოიწვიოს, რაც საზიანო იქნება დიდი ხნის განმავლობაში მოქმედი ფაბრიკებისათვის. ის, რაც საბაჟო საქმიანობის მხრივ დიდად დაწინაურებულ ქვეყნებში ხდება, ბუნებრივად უნდა განხორციელდეს ისეთ მხარეშიც, სადაც ფისკალური კანონმდებლობა, რაც ზოგადად რთული და ესოდენ ძნელად გასაგები სფეროა, მუდმივად ჩამოუყალიბებელი სახისაა.

1812 წლამდე რუსეთი მაზანდარანში მეტად იაფად ყიდულობდა კარგი ხარისხის მოკლებოჭკოვან ბამბას, რომელშიც დუკატებს იხდიდა. 1812 და 12813 წლებში კი ქვეყნიდან ოქროს გატანა აიკრძალა და ამ დროიდან მოყოლებული, ბამბის შესყიდვაც შეწყდა. ინგლისმა, რომელიც მუდამ მოხერხებულად იყენებს იმ ხალხის შეცდომებს, ვისთანაც ვაჭრობის სფეროში ქიშპობა აქვს, გადაინაცვლა ბალფუროშის ბაზარზე, სადაც ყოველგვარი კონკურენციისაგან თავისუფალ და დუკატებთან შედარებით იაფ ფასებში ყიდულობდა მაზანდარანულ ბამბას, რომელიც შემდეგ სპარსეთის ყურიდან შემოჰქონდათ ევროპაში და იყიდებოდა, როგორც სუბუჟაკის (Souboujac) ბამბა, ამ უკანასკნელთან დიდი მსგავსების გამო. პირველი ორი წლის განმავლობაში ინგლისელები ამ ბამბაში დუკატებს იხდიდნენ, მაგრამ ახლახან დამყარებული ურთიერთობების შედეგად მათმა აგენტებმა დაადგინეს, თუ რა ფერისა და ზომის მაუდზე ან სხვა ქსოვილებზე იყო მოთხოვნილება ჩრდილოეთ სპარსეთის მოსახლეობაში და მალევე დაიწყეს ამ სახის პროდუქციის წარმოება და შემდეგ ოქროზე მისი გაცვლა, რაც ესოდენ აუცილებელი იყო მათი პირველადი სავაჭრო ოპერაციებისათვის; მაგრამ საქმეში ჩახედულმა მინისტრმა, რომელმაც ეს მცდარი ღონისძიება გაატარა, სასწრაფოდ გააუქმა ეს აკრძალვა და დუკატების გატანა კვლავ დააშვებინა. რუსეთსა და სპარსეთს შორის არსებული სავაჭრო ოპერაციებიდან ხავერდით ვაჭრობა ამოვარდა მას შემდეგ, რაც მოსკოვის შემოგარენში ამ ქსოვილის წარმოებისათვის ხელშესაწყობად შეიქმნა საწარმო, ხოლო რუსეთის მთავრობამ დააწესა გადასახადები, რაც უცხოური ხავერდის აკრძალვის ტოლფასი იყო: სპარსეთში მხოლოდ ამ უცხოურ ხავერდზე არსებობდა მოთხოვნილება.

1813 წელს, რუსეთ-ირანის უკანასკნელი ომის დროს, ინგლისელებმა სათავისოდ გამოიყენეს ამ ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობების შეწყვეტა და სპარსელები ინგლისური წარმოების მაუდს, რკინა-კავეულს და ბევრ სხვა საქონელს შეაჩვიეს, რითაც უწინ მათ რუსეთი ამარაგებდა.

სპარსეთსა და ცენტრალურ აზიას შორის ფართო ვაჭრობა სწარმოებს მოსკოტილეულით[7], რაც მედიცინასა და სამღებრო საქმეში გამოიყენება. ეს საქონელი ჯერ კიდევ მცირე რაოდენობით შემოდის ასტრახანში, სადაც ვერც ერთი გადამყიდველი და ვაჭარი მის მნიშვნელობაში ვერ ერკვევა. ამგვარად, ვაჭრობის ესოდენ მნიშვნელოვანი დარგი, რომელიც შესაძლოა სულ იოლად ჩაიგდოს ხელში რუსეთმა, ჯერ კიდევ ინგლისელებისა და ჰოლანდიელების პრივილეგიაა, რომლებიც ამ საქონლით ევროპის სახელმწიფოებს და საკუთრივ რუსეთის იმპერიასაც ამარაგებენ.

მაზანდარანისა და ბუხარის ბამბის გარდა, ასტრახანის ვაჭრობის ძირითად საქონელს წარმოადგენს სპარსული აბრეშუმი; სპარსელებს შემოაქვთ, აგრეთვე, საკმაოდ დიდი რაოდენობით წმინდა მარგალიტი და ქაშმირის შალი. აქ სრულებით არ წარმოებს ალმასებით ვაჭრობა, რამაც ლუი XIV-ის დროს შარდენი და ტავერნიე მიიზიდა სპარსეთში.

თანამედროვე ასტრახანის აღწერის შემდეგ, თუკი საჭიროა იმ ურთიერთობათა სურათის წარმოსახვა, რომელიც კაპიტალითა და კრედიტებით მდიდარი ევროპული სავაჭრო სახლების ამ ქალაქში დამკვიდრების შემთხვევაში შეიძლება მივიღოთ, საკმარისია გავიხსენოთ პეტრეს გეგმები და მისივე შორეული მიზნები ამ ქალაქის სავაჭრო პერსპექტივების თაობაზე.

ამ მართლაც არაჩვეულებრივმა ადამიანმა ჰოლანდიაში დიდი ხნის მანძილზე ყოფნისა და ინგლისში მოგზაურობის შედეგად, სამშობლოში ჩამოიტანა ამ ორი ხალხის ცოდნა-გამოცდილება ვაჭრობის დარგში. უპირველეს ყოვლისა, იგი მიხვდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სპარსეთთან ვაჭრობას და დახმარების საფასურად, რომელსაც ამ ქვეყნის სუვერენისადმი იჩენდა, მან მიიღო გილანი, მაზანდარანი და ასთარაბადის პროვინცია; ამ ადგილების დასაკუთრებით, რომელთა მაღალი მომგებიანობაც მისმა მემკვიდრეებმა სათანადოდ ვერ შეაფასეს, მან ხელთ იგდო ორი ვრცელი იმპერიის მდიდარი ვაჭრობა და მომგებიანი ურთიერთობა დაამყარა ყველა იმ ქვეყანასთან, რომლებიც ინდის ნაპირებზე, პენჯაბიდან გუჯარათამდე მდებარეობს.

ამ ახალი პროვინციების დასაცავად, პეტრე დიდისთვის საჭირო იყო კასპიის ზღვაზე გაბატონება. ამისათვის მან ასტრახანში სასწრაფოდ შექმნა ნავსაშენი; სამი თუ ოთხი წელი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ აქ უამრავი სატრანსპორტო ხომალდი და სამხედრო გემი აეგოთ, რომელთა მეშვეობითაც შემდეგში ამ პროვინციების დაცვას განახორციელებდნენ.

მაგრამ რუსმა ხელმწიფემ კარგად იცოდა, რომ ბუხარის პროვინციაში – ბალხი (Balk), სამარყანდი და ბუხარა მნიშვნელოვანი ქალაქები იყო და მათი კავშირ-ურთიერთობები ტიბეტამდე, ქაშმირამდე და ინდოეთამდე ვრცელდებოდა. მას შემდეგ, რაც გერმანელმა კაპიტანმა ბუხჰოლცმა[8] (Bucholts) პეტრეს მიერ საკუთარი ხელით დაწერილი ინსტრუქციების მიხედვით შეისწავლა ეს მხარე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ხივაში ექსპედიციის მოწყობის თაობაზე. ამ მიზნით გაიგზავნა 3 ათასი კაცი თავად ბეკოვიჩის (Bekovits) ხელმძღვანელობით, რომელსაც საგანგებოდ დაევალა ოქსუსის ძველი გზის მოძიება იმ განზრახვით,

რომ რუსეთის მეფეს თავის სახელმწიფოში აღედგინა ვაჭრობის ის მდიდარი ტრადიცია, რითაც ასტრახანი შუა საუკუნეებში სარგებლობდა.

ბეკოვიჩის ექსპედიციის საბედისწერო დასასრული, რომლის არც განახლების და არც შურისძიებისათვის მეფეს დრო აღარ ჰქონდა, სრულიადაც არ ამტკიცებს ამ შემთხვევაში მისი გეგმების უგუნურებას, რადგან, ხივის დაპატრონებით იგი ბუხარის ვაჭრობასაც იგდებდა ხელთ. თუკი საჭიროა იმის მტკიცება, რომ სურვილის შემთხვევაში, ამ მხარის დაპყრობა პეტრესათვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა, მოვიყვან ერთ მაგალითს: ამ ოციოდე წლის წინ კაზაკთა უმნიშვნელო ნაწილი, ბრძანების გარეშე, თვითნებურად შეიჭრა ურალის ნაპირებიდან ხივამდე გადაჭიმულ ტერიტორიაზე, აიღო ეს ქალაქი და ალბათ, კიდეც შეინარჩუნებდა მას, მაგრამ ამასობაში ამ ამბავმა ხელისუფლების ყურამდეც მიაღწია და კაზაკებს უბრძანეს, სასწრაფოდ დაბრუნებულიყვნენ თავიანთ „სტანიცებში“.

ცენტრალურ აზიაში თავისი მიზნების განსამტკიცებლად პეტრე დიდმა კასპიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე სამი ციხესიმაგრე ააგო.

იგი უყურადღებოდ არ ტოვებდა თავისი ვრცელი იმპერიის არც ერთ კუთხეს და სურდა ესარგებლა მის ხელთ არსებული ყველა საშუალებით, რომ განევრცო საკუთარი იმპერიის ვაჭრობა.

1653 წელს ერთ-ერთი განსწავლული პიროვნების – ბაიკოვის[9] (Baïkow) შუამავლობით, ტობოლსკის (Tobolsk) გუბერნატორმა პირველად დაამყარა ურთიერთობა ჩინეთთან[(49)]; მაგრამ ეს ამბავი შეუმჩნეველი დარჩა და ერთი მოგზაური ირწმუნებოდა კიდეც, რომ ამის შესახებ არაფერი იცოდნენ არც რუსებმა და არც ჩინელებმა, როდესაც ისინი ტუნგუსების (Tongousses) დევნისას მათი დამორჩილების მიზნით მდინარე ამურის ნაპირებზე ერთმანეთს შეხვდნენ: თითოეული მათგანი საკუთრად მიიჩნევდა ამ ტერიტორიას და ერთმანეთთან საომრადაც კი მზად იყვნენ. ამ პერიოდში მაშინდელ მეფეს პეკინში ელჩიც გაუგზავნია ამ უთანხმოების მოგვარების მიზნით. თავდაპირველად ამ ელჩობას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია; მხოლოდ 1689 წელს, ახალმა ელჩმა – თევდორე გოლოვინმა[10] (Fœdor Golovin) შეძლო დაეზუსტებინა ამ ორი ქვეყნის საზღვრები და ხელი მოეწერა სავაჭრო ხელშეკრულებაზე.[11] დაახლოებით ამავე პერიოდში კანტონის[12] (Canton) საშუალებით სხვა ქრისტიანულმა სახელმწიფოებმაც დაამყარეს ურთიერთობა ჩინეთთან.

1691-დან 1712 წლამდე ორ მოსაზღვრე იმპერიას შორის სავაჭრო ურთიერთობა სუსტად ვითარდებოდა, ვიდრე მეფე პეტრემ ჩინეთში ელჩად არ გაგზავნა ლორან ლანგი (Laurent Lange), რომელსაც ციმბირის გზით მგზავრობა დაევალა. ამ მოხერხებულმა შვედმა ინჟინერმა სრულყოფილად შეასრულა თავისი მისია: დიდხანს იცხოვრა პეკინში, როგორც მეფის რეზიდენტმა და მოამზადა 1728 წლის 14 ივნისის ხელშეკრულება, რომელსაც კიახტაში მოეწერა ხელი. ამ ხელშეკრულებით რუსებს არამარტო დაუდასტურდათ ყოველწლიურად ქარავნების

---

(49) ერთ გერმანულ ნაშრომში, რომელიც რუსეთის ვაჭრობას ეხება, აღნიშნულია, რომ XVII საუკუნის დასაწყისიდან ციმბირსა და ჩინეთს შორის გარკვეული ურთიერთობები არსებობდა.

პეკინში გაგზავნის უფლება; არამედ, მათ იმის უფლებაც მიიღეს, რომ აქ აეშენებინათ ეკლესია და საკუთარი მღვდლები ჰყოლოდათ. თუკი შემდგომში ეს პრივილეგიები მოისპო და რუსეთ-ჩინეთს შორის ვაჭრობამ ჩინეთის საზღვარზე – კიახტაში გადაინაცვლა, ესეც, დღევანდელი მნიშვნელობით, მეფის დამსახურებაა. სავაჭრო ურთიერთობების დასამყარებლად ასტრახანს ისეთივე კარგი მდებარეობა აქვს, როგორიც მოსკოვს. ჩემი აზრით, შესაძლებელია ამ ურთიერთობების შემდგომი წარმატებული განვითარება, თუკი რუსეთის ხელისუფლება, ცხადია, - საკუთარი ინტერესების შესაბამისად, დათანხმდება ევროპული წარმოების მრავალფეროვან პროდუქციაზე დააწესოს სატრანზიტო ბაჟი, როგორც ეს მოხდა პრუსიულ მაუდის შემთხვევაში.

მე უკვე აღვნიშნე, თუ რა სახის ურთიერთობები შეიძლება დაამყაროს ასტრახანმა კასპიის ზღვის მოსაზღვრე მხარეებთან და, აგრეთვე – ვოლგის აღმოსავლეთით, რუსეთის სამხრეთითა და აზოვის ზღვის მიმდებარე ქვეყნებთან. ეს ცნობები საკმარისია იმისათვის, რათა ვიმსჯელოთ ამ ქალაქის მნიშვნელობაზე და დავამტკიცოთ, რომ იგი ნამდვილად იმსახურებს ევროპელ კომერსანტთა ყურადღებას.

ასტრახანში ორი კვირა დავყავით და 18 (30) ნოემბერს ტაგანროგში გავემგზავრეთ. ჩვენი ჩასვლის წინა დღეს, საღამოს 5 საათზე თერმომეტრი რვა გრადუს სითბოს უჩვენებდა, მეორე დღეს კი, დილის 7 საათზე თექვსმეტი გრადუსი ყინვა იყო. გარეთ, მინდორში დარჩენილმა ცხენებმა და ხარებმა ჰაერის ტემპერატურის ასეთ მკვეთრ ცვლილებას ვერ გაუძლეს და გზაზე უამრავი გაყინული პირუტყვი შემოგვხვდა. ჩვენ თვითონაც სასწაულებრივად გადავურჩით გაყინვას და 1820 წლის 1 (13) დეკემბერს ტაგანროგში ჩავედით. აქ რამდენიმე დღე დავრჩით და გეზი პეტერბურგისაკენ ავიღეთ.

აქ დასასრულს უახლოვდება ჩემი ამოცანა, რომელიც მიზნად დავისახე: მინდოდა, ბოლოს და ბოლოს, ევროპის, უფრო კი – საფრანგეთის ყურადღება მიმექცია აზიის ერთი ნაწილისათვის, რომლის მოსახლეობაც ოთხჯერ აღემატება ამერიკისას. აქ ფართო გასაღებას იპოვის ევროპის ყველანაირი სამრეწველო პროდუქცია; აქ უხვად არის ყოველგვარი სახის სიმდიდრე, მაგრამ ოქროს უდიდესი ნაწილი ჯერ კიდევ უხილავია, მიწის წიაღს არის მინდობილი და მის გამოსაჩენად მხოლოდ ერთი რამ არის საჭირო – რწმენა იმისა, რომ მისი მფლობელი არ დაიჩაგრება. იმ დიდი მოვლენების გარემოცვაში, რომელთა ასპარეზიც გახდა კონსტანტინოპოლი და რომელთაც თან ახლდათ სისხლიანი სცენები, ამასთანავე – ცივილიზებული ხალხების კანონი, რომლის თანახმადაც დივანი უარს აცხადებს კონფისკაციაზე, თითქოს მაუწყებელია იმ მომავალი ცვლილებებისა, რაც აზიაში მზადდება და იმ შესაძლებლობებისა ვაჭრობის სფეროში, რასაც ერთ მშვენიერ დღეს აზიის ეს ქვეყნები შემოგვთავაზებენ.

ჩემს მოგზაურობაში მე ვახსენე ქუთაისი, რომელსაც კარგი ადგილმდებარეობა აქვს სხვადასხვა სახეობის ევროპული სამრეწველო საქონლით მთელი ანატოლიისა (Natolie) და თურქეთის სომხეთის (Armenie Turque) მოსამარაგებლად; შემდეგ მე შევეხე თბილისს – ყველანაირი ურთიერთობების ცენტრალურ პუნქტს, ყველა სავაჭრო კანტორების მთავარ ქალაქს; შემდეგ მოდის ბაქო – კასპიის ზღვაზე,

რომელიც უმცირეს დროში უკავშირდება სპარსეთის ჩრდილოეთ ნაწილს, ყანდაჰარსა და ბუხარას; დაბოლოს, ასტრახანი, რომელიც ანახლებს ძველ ურთიერთობებს აზიასთან და აზოვისა და ბალტიის ზღვებს შორის მოქცეულ მსოფლიოს ამ ნაწილის შუამავლის როლს ასრულებს.

ჩემ მიერ დასახული კეთილშობილი მიზნის საფასურად მკითხველისაგან მე მხოლოდ და მხოლოდ შემწყნარებლობას ვითხოვ იმ მრავალრიცხოვანი უზუსტობების გამო, რომელთაგანაც არ არის დაზღვეული ნაჩქარევად შესრულებული ნაშრომი; ასევე უნდა მომიტევოთ ნაჩქარევი რედაქტირებისათვის, ყოველდღიურად რომ სრულდებოდა სხვადასხვა სამუშაოებთან ერთად. ისღა დამრჩენია, გავიხსენო ყველაფერი, რასაც უნდა ვუმადლოდე აწ გარდაცვლილ ცნობილ პიროვნებას – გრაფ დე რიშელიეს (duc de Richelieu). ეს არის მისი ავტორიტეტული რეკომენდაცია სუვერენის წინაშე, რომლის ამაღლებულმა სულმა ასე კარგად შეაფასა მისი ღირსება და სათნოება. ასევე უნდა ვახსენო გრაფ დე ლა ფერონეის (le comte de La Ferronnays) – პეტერბურგში მეფის ელჩის წყალობა, მისი ბრძნული რჩევები და ის მხარდაჭერა, რომელიც ჩემთვის ესოდენ აუცილებელი იყო. მათ უნდა ვუმადლოდე ჩემი მოგზაურობის წარმატებას და სიამოვნებით ვაღიარებ, რომ მათ გარეშე ჩემი პროექტები უნაყოფო, ხოლო გეგმები კი განუხორციელებელი იქნებოდა.

მეორე ტომის დასასრული

დანართი №1

განმარტებითი ცნობები

საქართველოში, ისე როგორც რუსეთში, გამოიყენება წონის შემდეგი ერთეულები: ფუთი (poud)[1],, რომელიც ოცდაცამეტისა და ერთი მესამედი გირვანქის[2] ეკვივალენტურია და შეიცავს რუსეთის ანუ მარსელის ორმოც გირვანქას; ეს ორი უკანასკნელი ერთმანეთისაგან სულ უმნიშვნელოდ განსხვავდება.

გირვანქა ანუ ფუნტი ((poud) იყოფა ოცდათორმეტ ლოტად (lot)[3]; ერთი ლოტი - სამ ზოლოტნიკად (solotnik), ერთი ზოლოტნიკი - სამ გრანად (grain), ხოლო გრანი - სკრუპულებად (scrupule)[4]. ეს წილადური დაყოფა გამოიყენება მხოლოდ და მხოლოდ ალმასებით, მარგალიტებითა და ოქროთი ვაჭრობის დროს.

ბერკოვეცი (berkovitz)[5] წონის ერთეულია, რომელიც გამოიყენება დიდი მოცულობის საქონლისათვის, როგორიცაა კანაფი და პოტაში[6]. ამ სახელწოდებით ეს საზომი ერთეული მხოლოდ პეტერბურგში, რიგასა და რუსეთის ზოგ სხვა ქალაქში იხმარება; იგი შეესაამება ჩეტვერტს (tchetvert)[7] და შეიცავს ათ ფუთს ანუ სამას ოცდაცამეტ და ერთ მესამედ გირვანქას, ანუ რუსეთის ოთხას გირვანქას.

თბილისის ხორცის დუქნებში ან სხვა საკვები პროდუქტებით ვაჭრობისათვის გამოიყენება განსაკუთრებული საზომი, რომელსაც ლიტრას (litre)[8] უწოდებენ. ის სპარსეთის სამეფოს ნახევარი ბათმანისა (batman)[9], სამი თურქული ოყისა (oke)[10] და რუსეთის ცხრა გირვანქის ეკვივალენტურია[*].

ქვეყანაში, რომელიც ესოდენ ხშირად იყო დაპყრობილი თურქების, უფრო კი _ სპარსელების მიერ, სულაც არ არის გასაოცარი ის ცვლილება, რაც ზომა-წონის ერთეულების ხმარებასა და ვაჭრობის წესებში აისახა, ეს კი დიდი ყურადღებას მოითხოვს საქონლის ყიდვა-გაყიდვის პროცესის დროს.

მოცულობის საზომებიც ისეთივე ცვალებადია, როგორც წონის ერთეულები.

რუსეთში გამოიყენება:

1. კასრი (pipe), თორმეტი ანკერის (ancre) მოცულობისა (იგი შეიცავს დაახლოებით ხუთასამდე პარიზულ პინტას[12].

2. ბორდოს ოქსოფტი (oxhoft)[13] ანუ კასრი (barrique), რომელიც შეიცავს ოცდაათ ველტს, ანუ დაახლოებით პარიზის ორას ორმოცდაათ პინტას.

3. ანკერი, რომელიც შეიცავს სამ ვედროს (wedro)[14], ანუ პარიზის ორმოც პინტას.

4. ვედრო შეიცავს ცამეტ მთელსა და ერთ მესამედ პარიზის პინტას.

მაგრამ თბილისში, სადაც ჯერ კიდევ არ გამოიყენება კასრები და სადაც ღვინო და ყველა სახის სითხე მეტ-ნაკლები მოცულობის ტიკებით ანუ „ბურდიუკებით“ (burdouk) გადააქვთ, იყენებენ მოცულობის ისეთ საწყაოს, რომელიც ამ ქვეყნისათვის არის დამახასიათებელი. ასე მაგალითად, ღვინო იყიდება ჩაფით (chappe), რომელიც შეიცავს სამ თუნგს (tonque), და თუნგით, რომელიც ბორდოს ხუთ-ნახევარ ბოთლს მოიცავს.[15]

სიგრძის საზომი ერთეულები

საქართველოში, როგორც წესი, თითქმის ყოველთვის რუსული არშინი (archine) იხმარება; იგი საფრანგეთის ოცდაექვსი გოჯისა (pouce) და ექვსი ხაზის (linge) ეკვივალენტურია[16].

---

[*] საქართველოში, განსაკუთრებით მარცვლეულისათვის, იხმარება აგრეთვე საზომი ერთეული, რომელსაც კოდი (codde)[11] ეწოდება; იგი ორი ფუთის ტოლია.

საფრანგეთის ასი წყრთა (aune)[17] ეკვივალენტურია რუსული ას სამოცდაოთხი არშინისა.

საჟენი (sagenne) არის სამი არშინი და, შესაბამისად, ეკვივალენტურია ექვსი ფუტისა (pied) და შვიდ-ნახევარი გოჯისა[18].

არშინი იყოფა თექვსმეტ ვერშოკად (verchok)[19]; ერთი ვერშოკი შეესაბამება საფრანგეთის ოც ხაზს.

ვერსი (werste)[20], მანძილის საზომი ერთეული, შეიცავს ხუთას საჟენს, ექვს ფუტს, ექვს გოჯს, ექვს ხაზს; შესაბამისად, ოთხასი ვერსი ეკვივალენტურია ორი ათასი საჟენისა ანუ ორი ათას ორასი ტუაზისა (toise)[21] და უმნიშვნელო ნაწილისა, დაახლოებით საფრანგეთის ორი მთელი და ერთი მეათედი ლიესი (lieu)[22].

მიწის საზომი ერთეულები

რუსეთში მიწები იყიდება დესეტინობით (disséatine)[23]. კერძო პირებს შორის ხმარებული დესეტინა განსხვავდება სახელმწიფოს მიერ გამოყენებული დესეტინისაგან: პირველი ტოლია ოთხმოცი საჟენი სიგრძისა ორმოც საჟენ სიგანეზე, ეს არის სამი ათას ორასი კვადრატული საჟენი და იგი ეკვივალენტურია საფრანგეთის სამი მთელი და ერთი მესამედი არპანისა (arpent), ასი კვადრატული პერშისა (perche)[24]. პერში შეიცავს ოც ფუტს, გარდა განსხვავებისა კვადრატულ საჟენსა და კვადრატულ ტუაზს შორის.

სახელმწიფოს დესეტინა - სამოცი ორმოცზე - შეიცავს ორი ათას ოთხას კვადრატულ საჟენს და ეკვივალენტურია დაახლოებით საფრანგეთის ორ-ნახევარი არპანისა, თუკი პერშს ვიანგარიშებთ ოცი ფუტით.

მთელ საქართველოსა და იმერეთში მიწა იზომება იმისდა მიხედვით, თუ რამდენის მოხვნა შეუძლია ოთხ, ექვს ან რვა ხარშებმულ გუთანს ერთი დღის განმავლობაში. საჭირო არ არის იმის მტკიცება, თუ რამდენად საეჭვოა ამგვარ უზუსტობაზე დამყარებული ასეთი სახის გაზომვა. ვფიქრობ, რომ ეს საზომი დაახლოებით დესეტინის მეხუთედს უტოლდება[25].

ამასთანავე, საზომებისადმი ასეთი გულგრილი დამოკიდებულების ასახსნელად მკითხველს შევახსენებდი, რომ საქართველოში, მთელ ძველ კოლხეთსა და რუსეთში, გარდა შემოღობილი ადგილებისა, სადაც თუთის ხეები, ვაზი და ზაფრანაა გაშენებული, ანგარიშობენ არა მიწის ფართობს, არამედ მამულებზე მიმაგრებულ მამაკაც ყმათა რაოდენობას. რუსეთში მებატონემ ზუსტად იცის საკუთარი ყმების რაოდენობა, მაგრამ წარმოდგენაც კი არა აქვს თავისი მამულის სიდიდეზე.

თბილისთან შედარებით რუსული ზომა-წონის ერთეულები იმერეთსა და სამეგრელოში, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე თურქებს ემორჩილებოდნენ, ნაკლებად გამოიყენება; ამ მხარეებში, ჩვეულებრივ, ის ზომა-წონის ერთეულები იხმარება, რაც კონსტანტინოპოლში.

ღვინო კი ამ მხარეებშიც, ისე როგორც საქართველოში[26], იყიდება ჩაფით, თუნგითა და „მანერკით“ “ (manerque)[27], რომელიც შეადგენს ნახევარ თუნგს. სპეციალურ პარაგრაფში მე ვისაუბრებ კონსტანტინოპოლის ზომა-წონის ერთეულებზე, რადგანაც ანატოლიასთან და სამხრეთთან უკვე მჭიდრო ურთიერთობაა დამყარებული და ეს ურთიერთობა კიდევ უფრო გაფართოვდება მომავალში.

სპარსული ზომა-წონის ერთეულები, რომლებიც ზოგჯერ გამოიყენება საქართველოში

განჯის ანუ ელიზავეტპოლის, ნუხის, ყარაბაღის, შირვანისა და დაღესტნის სახანოებში, რომლებიც დღეს რუსეთის შემადგენლობაშია, სპარსელებმა და თათრებმა თავიანთ ადათ-წესებთან ერთად შეინარჩუნეს სპარსული ზომა-წონის ერთეულებიც.

სპარსული ზომა-წონის ერთეულების ზუსტად განსაზღვრა ძალზე ძნელია მათი დიდი სხვადასხვაობის გამო და იმ მიზეზითაც, რომ ისინი, ვინც ყოველდღიურად იყენებენ ამ ერთეულებს, თავადაც ნაკლებად არიან გარკვეულნი მათ წონადობაში.

მანი (man) ანუ ბათმანი წონის ერთეულია, რომელიც მეტწილად თავრიზში და სპარსეთის უმეტეს ნაწილში იხმარება. ხელისუფლების მიერ გამოყენებული ბათმანი შეიცავს ორმოც სირს (sir)[28], ხუთი სირი კი ერთი გირვანქის ეკვივალენტურია; ეს დაახლოებით ერთი თბილისური ლიტრაა და ისე როგორც თავრიზში, წონის ეს ერთეული თბილისშიც ხორცის, შაქრის, ყავისა და ბევრი სხვა საქონლის გაყიდვისას გამოიყენება.

თავრიზის ახლომდებარე ადგილებში ხორბლისა და ბრინჯის გაყიდვისას იყენებენ ბათმანს, რომელიც შეიცავს ორმოცდახუთ სირს, ანუ ცხრა გირვანქას. ეს საზომი სპარსეთის ყურის ნავსადგურებშიც გამოიყენება.

ისპაჰანსა და მის შემოგარენში იხმარება ერევნის ბათმანი, რაც სამოც სირს, ანუ თორმეტ გირვანქას შეიცავს.

დაბოლოს, მანი ანუ შაჰის ბათმანი (მანე-შაჰი/meni-chahi) შეიცავს ოთხმოც სირს, ანუ თექვსმეტ გირვანქას და, შესაბამისად, განსხვავდება თურქული ბათმანისაგან, რომელიც ექვსი ოყის, ანუ რუსეთის თვრამეტი გირვანქის ტოლია. ეს ფართოდ გავრცელებული წონის ერთეულია ისპაჰანში, ქაშანში, თეირანში და მთელ გილანსა და მაზანდარანში, განსაკუთრებით აბრეშუმით ვაჭრობაში.

ბ-ნი შევალიე ამედე ჟობერი (Amédée Jaubert)[29], ვისგანაც მომდინარეობს ამ ცნობების ერთი ნაწილი, ამტკიცებს, რომ ხოიში (Khoy) იხმარება განსაკუთრებული მანი ანუ ბათმანი, რომელიც შეიცავს ას სამოც სირს, ანუ ოცდათოთხმეტ გირვანქას. ეს, უდავოდ, ის ერთეულია, რომელსაც ბამბით ვაჭრობისას იყენებენ; თეირანსა და ყაზვინშიც ამ ერთეულს იყენებენ ხორბლის, ქერის, კარაქისა და ხმელი ხილისათვის.

ქერის თავდაპირველად წონის ერთეულის საფუძველს წარმოადგენდა სპარსეთში. ვარაუდობდნენ, რომ ქერის ოთხი მარცვალი, რომელსაც ჯოუ (djew)[30] ეწოდება, ეკვივალენტურია მუხუდოს მარცვლისა - შიშისა (chiche) ანუ ნოხუდისა (nockoud)[31]; რომ ოცდაოთხი ნოხუდი ანუ მუხუდოს მარცვალი შიში უტოლდება ერთ მისხალს (mistqual)[32] ანუ ოცდაორ კარატს (karat)[33]. ეს საზომი მთელ სპარსეთში ყველგან ერთნაირია და როგორც შესადარებელი ერთეული, საყოველთაოდ მიღებულია.

თურქული მისხალი ორ კარატს აღემატება; მისხლობით იყიდება მარგალიტები, ოქრო, ვერცხლი, საყოფაცხოვრებო ფხვნილები, შალის კუპონები და სხვა ძვირფასი ნივთები.

თექვსმეტი მისხალი შეადგენს ერთ სირს, რაც ათას ხუთას ოცდათექვსმეტი ქერის მარცვლის ტოლია.

ხუთი სირი შეადგენს შვიდი ათას ექვსას ოთხმოც მარცვალს და, როგორც უკვე მოგახსენეთ, საფრანგეთის ერთი გირვანქის ეკვივალენტურია.

მას შემდეგ, რაც მკითხველს სპარსეთში ხმარებული წონის ერთეულებზე ეს ცნობები მივაწოდე, უნდა ვაღიარო, რომ მე კვლავინდებურად ეჭვი მეპარება ამ გამოანგარიშების სიზუსტეში, რადგან თუკი ასტრახანელ სომეხ ვაჭრებს ვერწმუნებით, რომლებიც სამ შაჰის ბათმან (batmanstchah) აბრეშუმს რუსეთის ორმოცდაორ-ნახევარ გირვანქად მიიჩნევენ, მაშინ შაჰის ბათმანი რუსეთის თორმეტი მთელი და ერთი მესამედი გირვანქის ტოლი უნდა იყოს, ნაცვლად თექვსმეტი გირვანქისა.

სიგრძისა და ფართობის საზომები

სიგრძისა და ფართობის ერთეულები სხვა საზომებთან შედარებით კიევ უფრო ცვალებადი და არაზუსტია.

ერთ-ერთი უახლოესი დროის მოგზაურის გადმოცემით, გაზი (გუეს) ანუ შაჰის არშინი (archine royale)[34], რომელიც ყველაზე მეტად იხმარება სპარსეთში, ერთი მეტრის და

ოცდახუთი სანტიმეტრის ტოლია (ანუ დაახლოებით 38 გოჯი), მაგრამ ყველა სპარსელი ვაჭარი, რომლებთანაც კონსტანტინოპოლის ნეგოციანტებს აქვთ ურთიერთობა, შეთანხმებულია, რომ სპარსეთის შაჰის არშინი ზერაიშაჰი (zerraychahi) იანგარიშონ მხოლოდ ოცდაჩვიდმეტ გოჯად; ეს კი ზუსტად შეეესაბამება ქართულ არშინს, რაც თავისთავად სპარსული არშინია. გარდა საერთო შაჰის არშინისა, რომელიც სპარსეთში იხმარება, არსებობს აგრეთვე განსაკუთრებული არშინი, რომელიც გამოიყენება ისპაჰანში, იაზდში, შირაზში, ლარში, ბანდარ-ბუშეჰრსა და ხოიში.

მიწის საზომ ერთეულს ჯერიბს (djirib) ანუ თანაბს (tenef)[35] უწოდებენ; იგი შეადგენს თექვსმეტ შაჰის არშინს. საჭიროდ არ მიმაჩნია, ვისაუბრო ტევადობის საწყაოებზე, რადგან სპარსეთში საყოველთაოდ მიღებულია სითხით ვაჭრობისას ისეთივე წონის ერთეულების გამოყენება, როგორც ეს ყველანაირი სახის მარცვლეულის შემთხვევაშია.

იმერეთსა და საქართველოში გამოყენებული თურქული საზომები

მთელ ძველ კოლხეთში, რომელიც დიდი ხნის მანძილზე თურქებს ექვემდებარებოდა, გამოიყენება შემდეგი წონის ერთეულები: ცენტნერი (quintal) ანუ კანტარი (cantaro)[36], რაც ორმოცდაოთხი ოყის ტოლია. როცა საქმე საბაყლო საქონელს ან სანელებლებს ეხება, ცენტნერი კონსტანტინოპოლში იყოფა ასად; მაგრამ კოლხეთში ქვედანაყოფად აღიარებენ ოყას, რომელიც ოთხას დრაქმად/დირჰამად (dragme)[37] იყოფა; მარსელის ზომის მიხედვით ოყა სამი მთელი და ერთი მეათედი გირვანქის ტოლია. ამგვარად, ჩვეულებრივ, ოცდაცამეტ ოყას რუსეთის ან მარსელის ასი გირვანქის ტოლად ანუ ოთხმოცდასამ და ერთ მეოთხედ გირვაქად მიიჩნევენ.

ვარდის ესენციებისათვის, ძვირფასი ქვებისათვის, ოქროსა და მარგალიტებისათვის იყენებენ სამედიცინო სასწორს, რომელიც ერთნახევარ დრაქმს მოიცავს.

რაც შეეხება მარილს, სიმინდსა თუ სხვა მარცვლეულს, მათ ქილით (kilo)[38] - ტევადობის საწყაოთი ყიდიან; ხუთი მთელი და შვიდი მერვედი ქილა ხორბალი ოდესის ჩეტვერტი (schetweert) ხორბლის ეკვივალენტურია.

ქილა მარილი იწონის ოცდარვიდან ოცდათორმეტ ოყამდე, ანუ ოთხმოცდაოთხიდან ოთხმოცდათექვსმეტ გირვანქამდე, ხოლო ერთი ქილა სიმინდი - დაახლოებით ოცდაორ ოყას ანუ სამოცდაექვს გირვანქას იწონის.

სიგრძის საზომად მთელ ძველ კოლხეთში, ისე როგორც კონსტანტინოპოლში, იყენებენ პიკს (pic)[39], რაც ოცდახუთი გოჯის ტოლია და, ამდენად, ძალზე მცირედით განსხვავდება რუსული არშინისაგან, რომელიც ოცდაექვს-ნახევარი გოჯის ტოლია.

ფული

თბილისში ბრუნვაშია როგორც რუსეთში მოჭრილი, ისე სპარსეთში გავრცელებული ფული; რამდენიმე ხანია, რაც აქ თურქულ მონეტებსაც ხშირად შეხვდებით და რადგანაც ისინი ბრუნვაშია მთელ იმერეთში, მე თანმიმდევრობით დავახასიათებ ერთსაც და მეორესაც.

რუსეთში ორნაირად წარმოებს ანგარიშსწორება - ბანკის ასიგნაციებითა და ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის მონეტებით.

რუსეთისაგან განსხვავებით, თბილისში ბანკის ასიგნაციები არ არის ბრუნვაში: აქ ყველაფერი ვერცხლის მანეთებში იყიდება, მაგრამ ბანკის ასიგნაციები მაინც აუცილებელია საფონდო ფასეულობის რუსეთში გადასატანად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სომხები მაკარიევის - დღევანდელი ნიჟნი ნოვგოროდის ბაზრობაზე ყიდულობენ საქონელს.

ბანკის ასიგნაციებს საქართველოში ერთდროულად ფულისა და თამასუქის დანიშნულება აქვთ. მე ზემოთ განვმარტე, რა ხელსაყრელ შესაძლებლობებს უქმნის

ნეგოციანტებს ფოსტის საშუალებით ფულის გადარიცხვა ან მიღება ერთპროცენტიანი გადასახადით და რამდენად აიოლებს ეს დიდ სავაჭრო და საბანკო ოპერაციებს.

რუსული ფულია ოცმანეთიანი ოქროს ფული ასიგნაციით (20 ფრანკი). მასზე, ზოგადად, ნაკლებია მოთხოვნილება და იგი მეტ-ნაკლებად წამგებიანიც კი არის ვერცხლის მანეთზე გადაცვლისას. მას არ იყენებენ სავაჭრო ანგარიშსწორების დროს, თანაც საქართველოში იგი საერთოდ არ გვხვდება.

ყველაზე მეტად ბრუნვაშია ვერცხლის მანეთიანები: ბაზრებში ყველგან ანგარიშსწორება ხდება ვერცხლის მანეთიანებით და, ჩვეულებრივ, შეთანხმებისამებრ, იგი უტოლდება 3 მანეთსა და ოთხმოც კაპიკს[40] ასიგნაციით (3 ფრანკი და ოთხმოცი სანტიმი)[41]; მოსკოვსა და ოდესაში მისი კურსი ცვალებადია _ 3 მანეთი და სამოცი კაპიკიდან 3 მანეთსა და ოთხმოც კაპიკამდე.

იშვიათია ნახევარი მანეთი და 80- და 40-კაპიკიანი რუსული მონეტები; ანგარიშსწორებისას პირველ მათგანს აბაზს (abaze)[42] უწოდებენ, მეორეს კი ნახევარ აბაზს.

მთელ შიდა რუსეთთან შედარებით თბილისში სპილენძის მონეტებს გაცილებით მეტი ღირებულება აქვთ, რადგან სპილენძის 60 კაპიკი იანგარიშება 80-კაპიკიანი მონეტის ტოლფასად და, შესაბამისად, 300 კაპიკის სპილენძის მონეტის ღირებულება მერყეობს ვერცხლის 1 მანეთიდან 3 მანეთსა და 80 კაპიკამდე. ვფიქრობ, საჭიროა ამ უცნაურობის მიზეზის ახსნა: დიდი ნაწილი სპილენძის მონეტებისა, რომლებსაც აგრეთვე „პეტაკს“ (pataque)[43] უწოდებენ, იმდენად მძიმე წონისაა, რომ სამოცდაოთხი ცალი ასეთი მონეტა ერთ ფუთს ანუ ორმოც რუსულ გირვანქას იწონის; რადგან ერთი ფუთი ბრუტო სპილენძი 30-32 მანეთზე ნაკლები არ ღირს ასიგნაციით, აქედან გამომდინარე, მათი გადადნობა კაპიტალის მოგებას გამოიწვევდა, ხოლო ამ ოპერაციის განხორციელებას მუდმივად გაძლიერებული მეთვალყურეობაც კი ვერ შეაჩერებდა. ამიტომ მთავრობა ცდილობს ამოიღოს ეს მონეტები ბრუნვიდან და ჩაანაცვლოს ისინი ძალზე მსუბუქი წონის მონეტებით, რათა მათი გადადნობით ვერანაირი მოგების მიღება ვერ მოახერხონ.

სპარსული ფული

რუსეთთან შეერთებამდე საქართველოში მხოლოდ სპარსული ფული იყო ბრუნვაში.

ოქროს მონეტებია თუმნიანები (toman)[44], ნახევართუმნიანები და მეოთხედი თუმნიანები. ბ-ნ ამედე ჟობერის ცნობით, ოქროსთუმნიანი იწონის ოცდარვა ნოხუდს ან ერთ მისხალსა და ერთ მეექვსედს და მისი ღირებულება 20 ფრანკს შეადგენდა იმ დროს, როცა გენერალ გარდანის ელჩობა თეირანში იმყოფებოდა. ეს განსწავლული და საინტერესო მოგზაური ან შეცდომას უშვებს ამ ფულის რეალური ღირებულების გაანგარიშებისას, ან კიდევ მას შემდეგ ამ ფულის წონა შემცირდა; ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ნათელია: თუმნის ღირებულება, რომელიც დიდი რაოდენობით შემოაქვთ თბილისში სპარსელებს, შეადგენს 4 მანეთს ვერცხლით (16 ფრ.) და სამი თუმანი, რომელიც 48 ფრანკია, ზუსტად უტოლდება ჰოლანდიურ 4 დუკატს[45].

მთელ საქართველოში ყოველთვის, როცა სომეხი ვაჭრები ანგარიშსწორებას ახდენენ თუმნით, ერთ ნომინალურ თუმანს 40 ფრანკად ანგარიშობენ, რაც წარმოსახვითი ფულია და ოქროს ორ-ნახევარ თუმანს წარმოადგენს.

თუმანი იყოფა 8 რეალად (real)[46]; თითო რეალი უდრის 2 ფრანკს. თბილისში რეალი იშვიათია და აქ მე ის იმ მოსაზრებით ვახსენე, თუკი სავაჭრო გარიგება სპარსეთში მოხდება და გარდა ამისა, მინდოდა მეჩვენებინა, თუ როგორ იყოფა თუმანი. ეს რეალები სუფთა ვერცხლისაა.

თუკი ოქროს თუმნიანები და რეალები თბილისში მიმოქცევაში არსებულ მონეტებად არ მიიჩნევა, იგივე არ ითქმის აბაზზე: ეს მონეტა, რომელიც აბას დიდის დროს მოიჭრა სპარსეთში და სახელიც მისი შეინარჩუნა, წმინდა ვერცხლისაა და ვაჭრობაში 80-კაპიკიანი მონეტის ეკვივალენტურად ითვლება. თითქმის ყველა სახის ანგარიშსწორება ამ მონეტით ხორციელდება.

რამდენიმე წლის წინ რუსეთის მთავრობამ, საქართველოს მთავრობის მიბაძვით, თბილისის ზარაფხანებში დიდი რაოდენობით მოაჭრევინა აბაზიანები და მათი დუბლიკატები. სპარსეთში მოჭრილ აბაზიანებზე გამოხატული ლეგენდის ან ზედწერილის ნაცვლად თბილისში მოჭრილ აბაზიანებზე ერთ მხარეს ქართული ასოებით ამოტვიფრულია თბილისის სახელი, მეორეზე კი - მონეტის ქართული სახელწოდება და წელი.

სპარსეთში მოჭრილი აბაზიანებისაგან განსხვავებით, თბილისური აბაზიანები სუფთა ვერცხლის არ არის: არ ვიცი, რა მინარევს შეიცავენ ისინი, თუმცა ანგარიშსწორების დროს ამ ორ მონეტას შორის არავითარი განსხვავება არ არის.

ამ ორი ტიპის აბაზიანებისაგან დამოუკიდებლად, განჯის, უფრო კი - შირვანის უწინდელმა ხანებმა მოაჭრევინეს მეტ-ნაკლებად მინარევებიანი აბაზიანები, რომლებიც ღირებულებით დიდად განსხვავდება სპარსეთსა და საქართველოში მოჭრილი აბაზიანებისაგან.

სპარსული და თურქული მონეტების გარდა, თბილისში ყველაზე ხშირად ვხვდებით ჰოლანდიურ დუკატებს. როდესაც ეს მონეტები ახლადმოჭრილია, ან აბსოლუტურად შენარჩენებული აქვთ წონა, თბილისში თითოეულ მათგანში სამ მთელსა და სამ მეოთხედ მანეთს იძლევიან (ვერცხლით). ასეთივე ფასში იყიდებოდა ეს დუკატი 1820 წელს, როცა პარიზული კურსის მაჩვენებელი 115 იყო. ვენეციურ ცეხინებზე (sequin)[47] კი ნაკლები მოთხოვნილებაა, რადგანაც ისინი დაცვას საჭიროებენ.

თურქული მონეტები

თურქულ მონეტებს თბილისელ სომხებთან ისეთივე გასავალი აქვთ, როგორც დუკატებსა და ასიგნაციებს; იმერეთსა და სამეგრელოში ისინი გამოიყენება ყველანაირი ანგარიშსწორების დროს, მაგრამ სახელმწიფო სალაროებში მათ არ იღებენ.

ოცდაათი წლის განმავლობაში თურქული მონეტები იმდენად შეიცვალნენ, მათ იმდენად ხშირად ამზადებდნენ და აყალბედნენ უცხოეთის ქვეყნებში და ისეთი ცვლილება განიცადეს ღირებულების თვალსაზრისით, რომ დღეისათვის სრულ უწესრიგობასა და ქაოსს ქმნიან. და რადგან ოსმალეთის იმპერიაში ფულის კურსისა და ფინანსების დისკრედიტაციას მისივე მონეტების კურსის დაცემა მოჰყვა, შეიძლება ითქვას, რომ მრავალ მიზეზთა შორის მხოლოდ ეს ერთი მიზეზიც საკმარისია იმისათვის, რომ ამ ხელისუფლების სიძლიერე შეილახოს იმ მომენტში, როცა კურსის დაცვას უზარმაზარი ხარჯები და დიდი ფული სჭირდება.

იმერეთსა და სამეგრელოში ყოველგვარი ანგარიშსწორება ხდება ფარებით (paras)[48]; ორმოცი ფარა ერთ თურქულ პიასტრს (piastre)[49] შეადგენს.

ოცდაათი წლის წინ ერთი პიასტრის ღირებულება 2 ფრანკსა და 50 სანტიმს უტოლდებოდა, ახლა კი მისი ფასია მხოლოდ 40 კაპიკი ანუ სანტიმი, ან შეიძლება უფრო ნაკლებიც, რადგან უკანასკნელ ხანს კონსტანტინოპოლში განვითარებულ მოვლენებს არ შეუძლიათ გააუმჯობესონ ფულის კურსი და მისი ღირებულება.

უკვე დიდი ხნის მანძილზე იმერეთსა და სამეგრელოში თურქული პიასტრი აბაზის ეკვივალენტურია. ამგვარად, ქუთაისში ჩასვლისას ქართველი ვაჭრები 2-აბაზიან ვერცხლის მანეთს აქ 200 ფარაზე, ხოლო 1 აბაზს – 40 ფარაზე ცვლიდნენ.

ორი წლის წინ კონსტანტინოპოლში პიასტრის დაცემამ ფარას ღირებულებში მცირეოდენი დანაწილება გამოიწვია: ერთ აბაზში იძლეოდნენ 42 ფარას, ნაცვლად 40-ისა. ამ კურსის მიხედვით, ვისაც თავისი ფარა უშუალოდ კონსტანტინოპოლიდან შემოჰქონდა, ოცდახუთ პროცენტზე მეტ მოგებას იღებდა; ამიტომ სომეხ ვაჭრებს კონსტანტინოპოლში ჩაჰქონდათ დუკატები, რომლებშიც ქუთაისში 3 მანეთსა (ვერცხლით) და რამდენიმე კაპიკს იხდიდნენ, ხოლო კონსტანტინოპოლიდან მოჰქონდათ ვალუტა ფარებში, რითაც ქვეყანა აავსეს. ამის შედეგად რამდენიმე დღეში აბაზი 50 ფარამდე ავიდა, დღეს კი მისი ღირებულება გაცილებით მაღალი უნდა იყოს.

თურქული ოქროს მონეტები, რომლებიც დიდი რაოდენობით გვხვდება თბილისში, არის მაჰმუდები (makmoidies)[50], რომელთა ღირებულებაც კონსტანტინოპოლში 25 პიასტრის ტოლფასი იყო. 1823 წელს თბილისში მათი შეძენა შეიძლებოდა 4 მანეთად (ვერცხლით) ანუ 20 აბაზად; ეს მონეტა დიდი ხნის მანძილზე თურქულ პიასტრს უტოლდებოდა.

თბილისში ასევე გვხვდება ნახევარ-მაჰმუდი, რომელშიც 2 მანეთს (ვერცხლით) იხდიან.

აქ ყიდულობენ, აგრეთვე, რუბიებს (roubiers)[51] - თურქულ მცირე ზომის ოქროს მონეტას, რომლის ღირებულებაც დაახლოებით 3 თურქული პიასტრია და რომელსაც 2 აბაზ-ნახევრად ან ზოგჯერ უფრო იაფადაც ყიდულობენ.

ესპანეთის პიასტრები და გერმანული ტალერები (thalers)[52], ისევე როგორც საფრანგეთის მონეტები, ჯერ კიდევ არ გავრცელებულა თბილისში და, რადგანაც, როცა რაიმე საეჭვოა, სომეხი ვაჭრები ყოველთვის ფრთხილობენ, რომ არ მოტყუვდნენ, ამიტომ ვფიქრობ, ვიდრე ევროპელ ნეგოციანტებს ამ მხარეში სავაჭრო კანტორები არ ექნებათ, საჭიროა გონივრული მოქმედება და ყველანაირი გადარიცხვის წარმოება მხოლოდ ბანკის ასიგნაციებითა და დუკატებით.

დანართი №1-ის კომენტარები:

1. ფუთი - წონის ერთეული, იხმარებოდა მეტრული სისტემის შემოღებამდე და 16,38 კგ-ს უტოლდებოდა.

2. გირვანქა ანუ ფუნტი - საქართველოში გირვანქა XVIII ს. დასაწყიდიდან შემოდის. ტერმინი რუსული „გრივენკა“-დან მომდინარეობს. თავდაპირველად გრივენკა სავაჭრო ურთიერთობების შედეგად გავრცელდა სპარსეთში “გირვანქის” ფორმით და ამ სახით დამკვიდრდა საქართველოში და მთელ კავკასიაში მეტრული სისტემის შემოღებამდე. იგი შეესაბამება რუსულ ფუნტს და 409,512 გრ-ს შეადგენს; (იხ. გ. ჯაფარიძე, ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, თბილისი, 1973, გვ. 71).

3. ლოტი - (გერმ.) წონის ერთეული მეტრული სისტემის შემოღებამდე, უდრიდა 12,8 გრ-ს, ანუ 3 რუსულ ზოლოტნიკს (Каменцева Е. И., Устюгов Н. В. Русская метрология. Москва, 1975, გვ. 262: http://yakov.works/history/11/1/kamenzeva–00.htm).

4. ზოლოტნიკი - ძვ. რუსული წონის ერთეული, 4,266 გრამი; გრანი (ლათ.granum, მარცვალი), უტოლდებოდა 62,2 მგ-ს, გამოიყენებოდა სააფთიაქო პრაქტიკაში; სკრუპული - (ლათ. პატარა კენჭი) - ძვ. სააფთიაქო წონის ერთეული, რუსულ სისტემაში უდრიდა 1,24 გრ-ს, ხოლო ინგლისურში 1,29 გრ. (Советский энциклопедический словарь, Москва, 1990, გვ. 471, 337, 1233).

5. **ბერკოვეცი** (берковск)- წონის ერთეული, დაახლ. 10 ფუთის ტოლი, იხმარებოდა რუსეთში მეტრული სისტემის შემოღებამდე. პირველად იხსენიება XII ს. ვსევოლოდ მსტისლავის ძის სიგელში ნოვგოროდელი ვაჭრებისადმი (Энциклопедический словарь, изд. Ф.А. Брокгауза и И.А. Эфрона, СПБ, 1891, ტ. 6, გვ. 540).

6.**პოტაში** (ინგლ. potash) - ხის ნაცრისაგან ან ქლოროვანი კალიუმისაგან დამზადებული კრისტალური ნივთიერება, გამოიყენება მინის, თხევადი საპნის წარმოებაში, ფოტოგრაფიაში და სხვ. (უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შეადგინა მ. ჭაბაშვილმა, თბილისი, 1989, გვ. 402).

7. **ჩეტვერტი** (რუს. четверть) - მარცვლეულის მოცულობის აღმნიშვნელი ძველი რუსული საზომი ერთეული, რომელიც დაახლ. 9 ფუთს უტოლდებოდა (ჟაკ ფრანსუა გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, გამოსცა მ. მგლობლიშვილმა, თბილისი, 1987, ტ. I, გვ. 313, შენ. 17);

8. ლიტრა (ბერძნ.) - ტერმინი ზოგადად ჭურჭელს აღნიშნავდა; წონის ერთეულად პირველად გვხვდება რომაულ მეტროლოგიაში, მოგვიანებით გავრცელდა ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში. ქართულ წყაროებში ლიტრა პირველად IX ს-ში ჩანს, (ადიშის ოთხთავში), თუმცა გ. ჯაფარიძის აზრით, მისი გამოყენება გაცილებით ადრეა სავარაუდო. ლიტრის სიდიდე საქართველოში საუკუნეთა მაძილზე ცვალებადი იყო: ახასიათებდა ზრდის ტენდენცია. მაგ. თავდაპირველად ბიზანტიური ლიტრა 327,45 გრ.-ის ტოლი იყო, IX ს-დან XVIII ს. მეორე ნახევრამდე კი მისმა მაჩვენებელმა საქართველოში 3 კგ-ს გადააჭარბა. XIX ს. პირველი ნახევარში საქართველოში ლიტრის სხვადასხვა მაჩვენებელია დაფიქსირებული: თბილისის მაზრასა და იმერეთში - 9 ფუნტი ანუ 3,7 კგ., ხოლო კახეთში (თელავისა და სიღნაღის მაზრებში) 3,2-3,4 კგ-ს შორის მერყეობდა. გ. ჯაფარიძის დასკვნით, აღნიშნულ პერიოდში ლიტრის წონა საქართველოში ძირითადად 3,7 კგ-ით შეიძლება განისაზღვროს (გ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 48-60; შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, წიგნში: ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, თბილისი, 1925, გვ. 99-108; გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ.I, გამოსცა გ. გელაშვილმა, თბილისი, 1962, გვ. 237).

9. **ბათმანი** - აბრეშუმის, მარცვლეულის და ა.შ. საწყაო, საქართველოში გავრცელდა XVIII ს-დან; ირანული ბათმანი დაახლ. 3 კგ-მდე იყო, გიულდენშტედტის ცნობითაღმ. საქართველოს ბათმანის წონა 1 ლიტრს (ანუ 3,7 კგ-ს) უტოლდებოდა, ოსმალური კი დაახლ. 7,3 კგ-ს. ბათმანის სახელით აღინიშნებოდა თავრიზული "მანი", რომელიც წონით ქართულ ლიტრას უახლოვდება. XIX ს-ის საქართველოში ბათმანის წონა ცვალებადი იყო, რის გამოც გ. ჯაფარიძე არ უთითებს მის ზუსტ მაჩვენებელს დასავლეთ საქართველოში (გ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 68-71; გამბა, მოგზაურობა..., ტ. I, გვ. 350, შენ. 47; გიულდნშტედტის მოგზაურობა.., ტ I, გვ. 237).

10. ოყა - ოსმალური წონის ერთეული (1,28 კგ.), საქართველოში ჩანს XVI ს-დან, ძირითადად გავრცელებული იყო ქვეყნის დასავლეთ და სამხრეთ ნაწილში. XIX ს-ის პირველი ნახევრის მასალებით ერთი ოყა სამ რუსულ ფუნტს ანუ 1,228 კგ-ს უტოლდებოდა. დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში (რაჭის, ოზურგეთის, ახალციხის, ქუთაისის მაზრები) ოყა მარცვლეულის საწყაოდაც გამოიყენებოდა (გ. ჯაფარიძე, დაახ. ნაშრ., გვ. 73-74).

11. კოდი - საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში გავრცელებული მარცვლეულის საწყაო (XV ს-ის დასაწყისიდან); XVII-XVIII სს-ში კოდი 8-10 ლიტრიანი იყო (ლიტრა=3,7 კგ.), მოგვიანებით, ლიტრის ზრდის კვალდაკვალ, კოდის მაჩვენებელიც იცვლებოდა და XIX ს. პირველ ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოში 10-ლიტრიანი კოდი 37 კგ-ს იწონიდა (გ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 96-100).

12. **კასრი** - მარცვლეულისა და ღვინის საწყაო; გავრცელდა XVI ს-დან. XVIII ს-ში აღმოსავლეთ საქართველოში მარცვლეულის საზომი კასრი 16,5-17 კგ-ს იტევდა, დასავლეთ საქართველოში კი იგი უმთავრესად ღვინის საწყაოდ გამოიყენებოდა და დაახლოებით 48 ლიტრას შეადგენდა (გ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 94-95).

ანკერი - (ჰოლანდ. ანკერ - პატარა კასრი), ღვინის ძველებური საწყაო ზოგიერთ ქვეყანაში, უდრიდა 36 ვედროს, რუსეთში - 3 ვედროს (იხ. ქვემოთ), დაახლ. 33-40 ლიტრამდე (ქსე, I, გვ. 467; Каменцева Е. И., Устюгов Н. В., დასახ. ნაშრ., გვ.256).

პინტა (ინგლ.pint) **-** ინგლ. მოცულობის საზომი, დიდ ბრიტანეთში 0,56 ლიტრი იყო, ფრანგული პინტა კი 0,93 ლიტრს უტოლდებოდა (უცხო სიტყვათა ლექსიკონი, დასახ. გამოც., გვ. 386).

13. **ოქსოფტი/ოქსჰოფტი** - ევროპული სითხის საწყაო რუსეთში, უტოლდებოდა 180 შტოფს (შტოფი ორი ბოთლის ტოლი იყო, იხ. Каменцева Е. И., Устюгов Н. В., დასახ. ნაშრ., გვ. 253, 256).

14. **ვედრო** - რუსული სითხის საზომი ერთეული, დაახლ. 12 ლიტრის ტევადობით.

15. **ჩაფი** - (სომხ. "ზომა"), სითხის საწყაო, საბუთებში პირველად XIV ს-დან გვხვდება დასავლეთ საქართველოში, XVI-XVIII სს-ში გავრცელდა მთელ საქართველოში. მისი ტევადობა ცვალებადი იყო და, სავარაუდოდ, XIX ს. პირველ მეოთხედში შეადგენდა 7,5-9 ლიტრას (გ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 124-125).

თუნგი - სითხის საწყაო, თიხის ან სპილენძის მაღალყელიანი ჭურჭელი, ქართულ წყაროებში პირველად იხსენიება XVI ს-ში. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მისი ტევადობა ცვალებადი იყო; XIX ს. პირველ ნახევარში თბილისში, შორაპნისა და ახალციხის მაზრებში თუნგი იტევდა 3,7 ლიტრას, კახეთში კი - 3,4 ლიტრას (გიულდენშტედტი.., გვ. 137; გ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 90-92).

ბორდოს ბოთლი გამოიყენებოდა ბორდოს ღვინის საწყაოდ და მას ორი მნიშნელობა აქვს: 1. კასრი, რომელიც დაახლ. 225 ლიტრიანია და 2. განსაკუთრებული ფორმის ბოთლი, რომელიც დაახლ. 0,75 ლიტრს იტევს (Le Petit Robert, I, გვ. 200).

16. **არშინი** - სიგრძის საზომი ერთეული, რომლის მაჩენებელიც სხვადასხვა ქვეყანაში მერყეობდა 65,2 სმ-დან 112 სმ-მდე. რუსეთში არშინი XV-XVI სს-დან შემოიღეს მისი თავდაპირველი ზომა 72 სმ., ხოლო XIX ს. დამდეგიდან - 71,12 სმ. იყო (ქსე, I, გვ. 614; Каменцева Е. И., Устюгов Н. В., დასახ. ნაშრ., გვ. 241). განსხვავებული მოსაზრება აქვს გ. ჯაფარიძეს, რომლის აზრით ადლი, გაზანდარის გაზი და ხანის/ყაენის არშინი ტოლფასი საზომები იყო და საშუალოდ 101,15 სმ-ს მოიცავდა (გ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 129-132).

გოჯი -მანძილი ცერის ბოლო სახსრიდან ფრჩხილის წვერამდე, დაახლ. 4 სმ-ს სიგრძისა, (გამბა, ტ.I, გვ. 311, შენ. 86; გ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 137). **ხაზი/წირი/ წრეხაზი** - იხ. თავი I, კომენტ.40.

17. **წყრთა** - იხ. თავი VIII, კომ. 5.

18. **საჟენი** - მანძილის საზომი ერთეული რუსეთში; 1835 წ. ბრძანებულებით საჟენის ზომა განისაზღვრა 213,36 სმ-ით (Каменцева Е. И., Устюгов Н. В., დასახ. ნაშრ., გვ. 241);

ფუტი - (ინგლ.foot -ტერფი), რუსული სისტემის მიხედვით 1 ფუტი 1/7 საჟენს, ანუ 30,48 მ-ს უტოლდებოდა (Каменцева Е. И., Устюгов Н. В., დასახ. ნაშრ., გვ. 241).

19. **ვერშოკი** - ძველებური სიგრძის საზომი რუსეთში, დაახლ. 4,4 სმ. (ან 44-45 მმ.); არშინში 16 ვერშოკი იყო. საქართველოში ვერშოკი გავრცელდა XIX ს-დან (ქსე, IV, გვ. 378).

20. **ვერსი** - იხ. თავი I, კომენტ. 42.

21. **ტუაზი** - იხ. თავი I, კომენტ. 5.

ძვ. ფრანგული სიგრძის საზომი ერთეული, 1,949 მ-ის ტოლფასი (Franck Jedrzejewski, Histoire universelle de la mesure, Paris, Ellipses, 2002, გვ. 346).

22. **ლიე** - იხ. თავი I, შენ. 2;

23. **დესეტინა** (რუს.десятина, ლათ. decima - მეათედი)- მიწის საზომი ერთეული ძველ რუსეთში, 1753 წ. სამეჯნო ინსტრუქციის თანახმად, სახაზინო დესეტინა 2 400 კვ. საჟენით, (ანუ 1,0925 ჰა) განისაზღვრა (ქსე, III, გვ. 480; Каменцева Е. И., Устюгов Н. В., დასახ. ნაშრ., გვ. 244).

24. **არპანი** - ადგილისდა მიხედვით განსხვავებული ძვ. მიწის საზომი ერთეული, დაახლ. 58,47 მ. (191,8 ფუტი); **პერში** - ძვ. სიგრძის საზომი ერთეული საფრანგეთში, დაახლ. არპანის მეასედის ტოლი (Le Petit Robert, I, გვ. 1399).

25. სიგრძის ან მანძილის საზომებად საქართველოში გამოიყენებოდა სახნავი სამეურნეო იარაღები და აგრეთვე ე.წ. დღის მიწა/დღიური. ამ უკანასკნელში იგულისხმებოდა მიწის ის

ფართობი, რომელსაც გუთანი ერთი დღის მანძილზე მოხნავდა. ამასთანავე, „დღიური“ დამოკიდებული იყო ნიადაგის ხარისხზე, სამუშაო დღის ხანგრძლივობაზე და გამწევი საქონლის ძალაზე. XIX ს. მასალების მიხედვით, დღიური 3 900 კვ.მ-დან 0,5 ჰა-ს შორის მერყეობდა (გ. ჯაფარიძეს უფრო მისაღებად მიაჩნია 0,5 ჰა). ორი “დღიური” მიწა, ჩვეულებრივ, ერთ რუსულ დესეტინას შეესაბამებოდა (გ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 157-158).

26. იმ დროისათვის დამკვიდრებული ტერმინოლოგიით იგულისხმება აღმოსავლეთი საქართველო (ქართლ-კახეთი).

27. **მანერკა** - მათარა, პატარა სამგზავრო წყლის ჭურჭელი, რომელსაც, ჩვეულებრივ, ქამარზე იკიდებდენ. ამზადებდნენ ტყავის, მინის ან ლითონისაგან (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, V, თბილისი, 1958, გვ. 19).

28. **სირი** - ირანული საზომი ერთეული, დაახლ. 75 გრ. (Персидско-русский словарь, 2, Москва, 1983, გვ. 56).

29. **ჟობერი, პიერ ამედე ემელიან** (1779-1847) - ფრანგი ორიენტალისტი. მონაწილეობდა 1798 წ. ეგვიპტის ექსპედიციაში, იყო დრაგომანი (თარჯიმანი) და დიპლომატიური აგენტი თურქეთსა და ირანში. (იხ. ამედე ჟობერი. მოგზაურობა სომხეთსა და სპარსეთში 1805-1806 წლებში, ფრანგულიდან თარგმნა ი. ნაჭყებიამ. თბილისი, 1997).

30. **ჯოუ** - (ქერის მარცვალი), წონის ერთეული საიუველირო ნაწარმისათვის, დაახლ. 1/96 ზოლოტნიკის ტოლი (გ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 43; Персидско-русский словарь, 1, გვ. 446).

31. **ნოხუდი (მუხუდო)** - წონის მცირე ერთეული, 1/5 გრ-ის ან 1/24 მისხალის ტოლი (გ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 43; Персидско-русский словарь, 2, გვ. 632).

32. **მისხალი** 4,6 გრ-ს უტოლდებოდა, საქართველოში დამკვიდრდა XVII ს-დან და გამოიყენებოდა ძვირფასი თვლების და ა.შ. ასაწონად (გ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 47).

33. **კარატი/კერატი/ყირათი** - (ცერცვის მარცვალი), ძვ. ბერძნული წონის ერთეული, გავრცელებული იყო ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში; ბერძნულ-რომაული კარატი 0,189 გრ-ის ტოლი იყო, ეგვიპტური - 0,296 გრ-ის, სირიულ-არაბული კი 0,212 გრ. საქართველოში ეს ტერმინი დამკვიდრდა კერატის (XI-XII სს.) და ყირათის (XVII-XVIII სს.) სახელწოდებით. კერატი შედიოდა დრამის წონით სისტემაში და ამ უკანასკნელის 1/12 ანუ 0,212 გრ-ის ტოლი იყო; ყირათი კი მისხლის 1/24 ანუ 0, 192 გრ-ს უდრიდა (გ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 37,42; ქსე, V, გვ. 393).

34. **გაზი** - სიგრძის საზომი ერთეული, დაახლ. 105 სმ. (Персидско-русский словарь, 2, გვ. 395). გაზი ანუ შაჰის არშინი (გაზ ე-შაჰი, შაჰის წყრთა,“ყაენის ადლი”) XVII ს-ში 95 სმ. უდრიდა, XIX ს. პირველ ნახევარში - 101,49სმ.; „გაზანდარის გაზი“ ან „გაზანდარის ადლი“ იხსენიება XVIII ს. ქართულ საბუთებში. XIX ს.რუსულ მასალებში გაზანდარის ადლი ან „ხაზანდარის არშინი“ გაიგივებულია ხანის (ყაენის) არშინთან. გ. ჯაფარიძის დასკვნით, „ხანის არშინის“ საშუალო ზომაა 101,86 სმ., ხოლო რადგან სპარსული შაჰის წყრთა იყო 101,49 სმ., შესაბამისად, ხანის არშინი იგივე შაჰის წყრთა - გაზ-ე შაჰი უნდა იყოს. ამრიგად, ადლი, გაზანდარის გაზი (ადლი) და ხანის არშინი ტოლფასი საზომებია (გ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 131-133).

35. **ჯერიბი/ჯარიბი** - ფართობის საზომი ერთეული, დაახლ. 1 ჰა (Персидско-русский..., 1, გვ. 435); **თანაბი (თენაბი)** - სიგრძის საზომი ერთეული, დაახლ. 7-8 მ-ს ტოლფასი (Персидско-русский.., II, გვ. 160).

36. **კანტარი** - მუსლიმურ ქვეყნებში გავრცელებული წონის ერთეული, საქართველოში გამოიყენებოდა ახალციხის მაზრაში, იწონიდა დაახლ. 220 კგ. (გ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 72).

37. **დირჰამი/დირჰემი** (ბერძნ. „დრახმე“-დან) „დრამის“ ფორმით (როგორც მონეტა) ტერმინი შეითვისეს ირანელებმა და სომხებმა, „დირჰამის“ ფორმით კი - არაბებმა. ეს სახელი, სავარაუდოდ, ერქვა სასანურ ვერცხლის მონეტას. საქართველოში ირანის გზით უნდა შემოსულიყო: ჯერ მონეტის (IX-X სს.), მოგვიანებით კი - წონის ერთეულის სახით. გ. ჯაფარიძის ვერსიით, დრამი არაბული საწონის - დირჰამის შესატყვისი უნდა ყოფილიყო, დირჰამი კი შუასაუკუნეებში 2,97 გრ. იწონიდა (გ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 33-34). ამ კონკრეტულ შემთხვევაში, თუკი გამბას გაანგარიშებით ვიხელმძღვანელებთ, 400 დირჰამი 1,18 კგ-ს ტოლია, თუმცა ოყის თეორიულ წონად 1,28 კგ-ია მიღებული.

38. **კილო/ქილა** - ტერმინი არაბულია; XIV ს. გავრცელდა ირანში, აქედან კი - ოსმალეთში. XVI ს-ში დასავლეთ საქართველოში ოსმალეთიდან შემოვიდა; თავდაპირველად 14,6 კგ. უტოლდებოდა, მოგვიანებით, XIX ს. 50-იანი წლებისათვის კი - 16 კგ. (გ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 122-123). მკვლევართა მონაცემების მიხედვით, გამბას გაანგარიშება ამჯერად მცდარია: 1 ქილა სიმინდის მაგალითზე 22 ოყა გვაძლევს 26 კგ-ს, ხოლო 66 გირვანქა - დაახლ. 26,4 კგ-ს, რაც ქილის წონით მაჩვენებელს საგრძნობლად აჭარბებს და 16-ის ნაცვლად 26 კგ-ს უტოლდება.

39. **პიკი** - სიგრძის საზომი ერთეული საბერძნეთსა და თურქეთში (Энциклопедический словарь, изд. Ф.А. Брокгауза .., ტ. 46, გვ. 585). ოსმალური სისტემის მიხედვით 25 დიუიმის ტოლია (გამბა, I, გვ. 345).

40. **მანეთი** - (რუს. рубль) „რუბლის“ქართული სახელწოდება. რუსული მმართველობის შემოღების შემდეგ ტერმინი “მანეთი” საბოლოოდ დამკვიდრდა საქართველოში და „რუბლის“ ეკვივალენტურ სახელწოდებად იქცა. რუბლი/მანეთი იყო ერთიანი სახელმწიფო სისტემის ფულის ერთეული, რომელიც 1534 წ. შეიქმნა რუსეთში, 1704 წლიდან კი დაიწყო მანეთის ღირსების (28 გრ.) მქონე ვერცხლის ფულის მოჭრა, რის შედეგადაც რუსული მანეთი ევროპულ ფულად სისტემაში შევიდა; **კაპიკი** - მანეთის 1/100 იყო (Х. Фенглер, Г. Гироу, В. Унгер, Словарь нумизмата, Москва, 1982,გვ. 246-247).

41. **ფრანკი** - მაღალი სინჯის ფრანგული ოქროს მონეტა XIV ს-ში (3,826 გრ.). XVI-XVII სს-ში იჭრებოდა ვერცხლის ფრანკი (14,1 გრ.), 1795 წლიდან ბრუნვაში შემოდის ვერცხლის ფრანკი სუფთა წონით 4,5 გრ. **სანტიმი** - ფრანკის 1/100. (Словарь нумизмата, გვ. 292);

42. **აბაზი** - ვერცხლის მონეტა (7,8 გრ.), რომელიც აბას I-მა შემოიღო ირანში, შემდგომში კი გავრცელდა მეზობელ ქვეყნებში, მათ შორის - საქართველოშიც (ივ. ჯავახიშვილის აზრით, XVII ს. დამდეგიდან, იხ. ქართული საფას-საზომთამცოდნეობა.., გვ. 24-30). XVIII ს. ბოლოსათვის აბაზის წონა 3 გრ-მდე შემცირდა. მონეტის შუბლზე ამოტვიფრული იყო შაჰის სახელი, ტიტულატურა, ფულის მოჭრის ადგილი და თარიღი, ზურგზე კი - რელიგიური ფორმულა. საქართველოში აბაზს ჭრიდნენ XVII ს. პირველი მეოთხედიდან XVIII ს. მიწურულამდე (გიულდენშტედტის მოგზაურობა, I, გვ. 233).

43. **პეტაკი** - (пятак) რუსული ხუთკაპიკიანი მონეტა.

44. **თუმანი** - მონღოლური ტერმინია და აღნიშნავდა 10 000, ფულადი სახით კი 10 დინარად ითვლებოდა, თუმცა ქართულში იგი განსხვავებულ ერთეულად დამკვიდრდა და 10 მინალთუნს უტოლდებოდა (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა.., გვ. 23,57; ჟ.პ. დე ტურნეფორი, მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა მზია მგალობლიშვილმა, თბილისი, 1988, გვ. 63; გიულდენშტედტის მოგზაურობა, I, გვ. 237).

45. **დუკატი** - ვენეციური ვერცხლის, შემდგომში კი ოქროს მონეტა (3,5 გრ-მდე), იჭრებოდა ევროპის მრავალ ქვეყანაშიც; XIV ს-დან ოქროს დუკატი საერთაშორისო ფულადი ერთეული გახდა. რუსეთში 1701-1855 წწ-ში ჭრიდნენ დუკატს “ჩერვონეცის” სახელწოდებით (3,6 გრ.). XV-XVIII სს-ში საქართველოში მიმოქცევაში იყო ვენეციური,

ჰოლანდიური და უნგრული დუკატები, რომელთაც „ფლურს“ უწოდებდნენ (Словарь нумизмата, გვ. 85-86; რ. ქებულაძე, ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV-XVIII სს., თბილისი, 1971).

46. **რეალი** - (ესპ. რეალ-სამეფო) ძვ. ესპანური ვერცხლის მონეტა, მიმოქცევაში იყოXV-XIX ს-ის 70-იან წლებამდე.

47. **ცეხინი** - (იტალ. zecchino – ზარაფხანა) დუკატის იტალიური სახელწოდება (Словарь нумизмата, გვ. 87).

48. **ფარა** - თურქული ვერცხლის მონეტა, იჭრებოდა XVII ს-დან. მისი თავდაპირველი წონა იყო 1,10 გრ. XVIII ს. დასასრულისათვის მისი ღირებულება დაკნინდა და წონაც ჯერ 0,77 გრ-მდე, ხოლო 1810 წლისათვის - 0,22 გრ-მდე დაეცა. 1867 წლისათვის ერთი ფარა 1/100 დინარს გაუტოლდა (Словарь нумизмата, გვ. 204). ფარა ფართოდ იყო გავრცელებული დასავლეთ საქართველოში.

49. **პიასტრი** - (იტალ.piastra d'argento - ვერცხლის ფირფიტა), თურქული „ყურუში“ (გროში); ფულადი ერთეული თურქეთში 1687 წ-დან, 1/100 ლირის ტოლფასი თურქული ხურდა ფული; მისი თავდაპირველი წონა 19,24 გრ. იყო და 40 ფარას უტოლდებოდა. 1810 წლისთვის მისი წონა 4,65 გრ-მდე დაეცა (Словарь нумизмата, გვ.211; ქსე, VIII, გვ. 54).

50. **მაჰმუდი/უზალთუნი (**თურქ.ასი ალთუნი) - თურქული ვერცხლის მონეტა, ქართულ წყაროებში ჩნდება XVIII ს-დან, აღნიშნავს ირანული აბაზის სისტემის მონეტას - მაჰმუდს (2 შაურს ან 10 კაპიკს, იხ. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 30,57) და შეიცავს უკნინეს სამონეტო ერთეულს - ალთუნს. თბილისის ზარაფხანაში უზალთუნი იჭრებოდა XVII-XIX სს-ში. (ქსე, X, გვ. 107).

51. **რუბია/რუპია** - ინდოეთის, ინდონეზიის, პაკისტანის, ბირმისა და სხვა ქვეყნების, მათ შორის - ირანისა და ოსმალეთის ფულის ერთეული. ოქროსა და ვერცხლის რუპიებს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა მსყიდველობითი ღირებულება ჰქონდა.

52. **ტალერი** - ვერცხლის მონეტა; 1555 წლიდან ფულის ერთეულად იყენებდნენ „საღვთო რომის იმპერიაში“, პოლონეთში, შვედეთში, საფრანეთში და ა.შ. თავდაპირველად შეიცავდა 28-29 გრ. სუფთა ვერცხლს. 1871-73 წწ. გერმანიაში გატარებული რეფორმების შედეგად ტალერი გაუთანაბრდა 3 ოქროს მარკას (Словарь нумизмата, გვ. 271; ქსე, IX, გვ. 644).

დანართი №2

ნაწყვეტი მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ალექსანდრე I-ის 1817 წლის 10 მაისის უკაზიდან

პრუსიული მაუდის ტრანზიტი აზიაში დაშვებულია შემდეგი პირობებით, სახელდობრ:

1. რუსეთის ყველა ქვეშევრდომს, რომელსაც უცხოური საქონლით ვაჭრობის უფლება აქვს, შეუძლია აზიაში გასაგზავნად შემოიტანოს პრუსიული მაუდი.

2. მათ უნდა გადაიხადონ საბაჟო გადასახადები პოლანჟენის (Pollangen), ბრესტ-ლიტოვსკის (Brest-Litowsky) ან პეტერბურგის საბაჟოებში.

3. საქონლის შემოტანისას ნეგოციანტმა ან მისმა აგენტმა წერილობით უნდა მიუთითოს ფუთებისა და მაუდის თოფების რაოდენობა და იქვე დააზუსტოს, რამდენ არშინს შეიცავს თითო თოფი. სატრანზიტო საბაჟო გადასახადია თითო არშინზე 15 კაპიკი ვერცხლით; გადახდა შესაძლებელია ასიგნაციის კურსის შესაბამისად.

4. საბაჟო გადასახადის გადახდის შემდეგ ყუთები ან ფუთები სატრანზიტო ბეჭდით ილუქება.

5. ამავე დროს, ხსენებული მაუდის მფლობელს საბაჟოს მუშაკები ხელს აწერინებენ ხელშეკრულებაზე, რომ ქვემოთ აღნიშნულ დროში იგი წარადგენს საქონელს სავაჭრო დეპარტამენტში და აზიის რომელიმე საბაჟოდან გამოგზავნის დამადასტურებელ ცნობას, რომ აღნიშნული მაუდი ნამდვილად სრულად იქნა გადატანილი საზღვარზე. თუკი ეს პირობა აღნიშნულ ვადაში არ შესრულდება, ან საქონელი მთლიანად არ იქნება გაგზავნილი, იგი რუსეთში დარჩენილ საქონელზე შემოზიდვის ბაჟს გადაიხდის 1816 წლის ტარიფის შესაბამისად, ე. ი. არშინზე 1 მანეთსა და 10 კაპიკს (უკვე გადახდილი 15 კაპიკი ვერცხლის ზემოთ).

6. თავისი ხელშეკრულების გარანტად მაუდის მფლობელმა საბაჟოს უნდა წარმოადგინოს საბუთი მთავრობის ნდობით აღჭურვილი რომელიმე სავაჭრო სახლის თავდებობის შესახებ.

7. თავდებობის მიღების, საბაჟო გადასახადის გადახდისა და რეგისტრირების შემდეგ მაუდი ვაჭრობის წარმომადგენელს უბრუნდება მოწმობასთან ერთად, სადაც, თოფებისა და არშინების ჩვენებით, აღნიშნულია ბეჭედდასმული ფუთების რაოდენობა.

8. აღნიშნული მოწმობის ასლი საბაჟოს მიერ იგზავნება სავაჭრო უწყებაში.

9. უწყებაში გასაგზავნ სავაჭრო მოწმობას, რომელიც საზღვარს მიღმა მაუდის გადატანას ეხება, ორი წლის ვადა აქვს კიახტისა და ბუჰორმისათვის და თორმეტი თვისა - ტროიცკის, ორენბურგის, ასტრახანისა და აზიის სხვა საბაჟოებისათვის (პოლანჟენის, ბრესტ-ლიტოვსკისა ან პეტერბურგის საბაჟოებში ტვირთის ჩამოსვლის დღის ჩათვლით).

10. აზიის სასაზღვრო საბაჟოში მაუდის შეტანისას, მის გასაგზავნად ნებართვის გაცემამდე, საბაჟო მოხელე მოწმობის მიხედვით დაათვალიერებს საქონელს და თუ ყველაფერი წესრიგშია, ეს უკანასკნელი იგზავნება აზიაში.

11. აკრძალულია შავი ფერის მაუდის დატოვება რუსეთში და თუკი ასეთი რამ მოხდება, მაუდს აპატიმრებენ და მის კონფისკაციას ახდენენ.

ტექსტის კომენტარები

თავი I

1. **მორავია** - ისტორიული რეგიონი თანამედროვე ჩეხეთის აღმოსავლეთ ნაწილში; **ვოლინი** - ისტორიული ოლქი თანამედროვე უკრაინის ჩრდ.-დას. ნაწილში. **პოდოლი (პოდოლიე)**- ისტორიული ოლქი თანამედროვე უკრაინის დასავლეთ ნაწილში; **გალიცია/გალიჩინა** - ისტორიული ოლქი დღევანდელი უკრაინისა და პოლონეთის ტერიტორიაზე; **აქსაი** - ქალაქი როსტოვის ოლქში ამავე სახელწოდების მდინარეზე, მდ. დონის მარჯვენა შენაკადზე.

2. ლიე - ძველი ფრანგული სიგრძის საზომი ერთეული, დაახლ. 4 ან 4,5 კმ. (Dictionaire encyclopédique Larousse, Paris, 1979, გვ. 819).

3. მოზდოკი – (ყაბარდ. ენაზე „მეზ დოგუ“ – უღრანი ტყე) ქალაქი ახლ. ჩრდ. ოსეთში, თერგის ნაპირზე. დაარსდა 1763 წ. მცირე ყაბარდოს მთავრის – **კორჩოკ კონჩოკინის** თაოსნობით, რომელსაც მიზნად ჰქონდა ამ ტერიტორიაზე დასახლების შექმნა. რუსეთის სამსახურში ყოფნისას კონჩოკინმა +ქრისტიანობაც მიიღო და იმპერიის ერთგულებისათვის პოდპოლკოვნიკის სამხედრო ჩინიც დაიმსახურა. რუსეთის მთავრობამ მას 1759 წ. გამოუყო ეს ტერიტორია, რათა მთავარი თავის ქვეშევრდომ ხალხთან ერთად აქ დასახლებულიყო. ყაბარდოელთა წინაპრები (თვითსახელწოდება – ადიღე) ჩერქეზებთან და ადიღელებთან ერთად შეადგენდნენ ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის აბორიგენ მოსახლეობას. XIII-XV სს-ში ყაბარდო ცენტრალურ კავკასიისწინეთში დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბდა. XVI ს-ში (1557 წ.) ყაბარდოს მთავარმა რუსეთის ქვეშევრდომობა აღიარა, თუმცა რეალურად კვლავაც ოსმალეთის და ყირიმის სახანოს აგრესიის ობიექტად რჩებოდა. მდგომარეობა არ შეცვლილა 1739 წ. ბელგრადის ზავის შემდეგაც, როცა ყაბარდო "სუვერენულ და ნეიტრალურ სახელმწიფოდ" გამოცხადდა. მთავრის წოდება არჩევითი წესით ენიჭებოდათ ფეოდალთა სახლების წევრებს, ამის გამო მუდმივი შიდაომების შედეგად XVII ს-ში აქ ორი პოლიტიკური ერთეული – დიდი და მცირე ყაბარდო ჩამოყალიბდა; პირველი მოიცავდა ტერიტორიას მალკიდან ურუხამდე, ხოლო მეორე – ურუხიდან თერგის შუა წელამდე. 1774 წ. ქუჩუკ-კაინარჯის ზავის 21-ე მუხლის მიხედვით, რუსეთისა და ყირიმის ხანის შეთანხმების შედეგად ყაბარდო (დიდი და მცირე) აღიარებულ იქნა რუსეთის ქვეშევრდომად. 1763 წ. მოზდოკში აშენდა ციხესიმაგრე, ყაბარდოდან შემოხიზნული გლეხების დასაცავად შეიქმნა მოზდოკის ე.წ. გამაგრებული ხაზი (ყიზლარამდე); ქრისტიანობის მიღების შემთხვევაში ახლად გადმოსახლებულებს ერთჯერად დახმარებასთან ერთად გარკვეული პრივილეგებიც ენიჭებოდათ. ამის შედეგად სწრაფად გაიზარდა ყაბარდოდან ლტოლვილთა რაოდენობა და მალე აქ მთელი დასახლება წარმოიქმნა; 1770 წ. მოზდოკი ოფიციალურად გამოცხადდა ქალაქად (Народы и религии мира. Энциклопедия. М., 2000, с. 207-208; История народов Северного Кавказа, т. 1, под ред. В.Б. Пиотровского, М. 1988, გვ. 276-296, 441; История Кабардино-Балкарской АССР с древнейших времен до наших дней, т. 1, М., 1967, с. 168-169; თ. ბოცვაძე, საქართველო-ყაბარდოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1963, გვ. 9-10; Jamie Stoke (ed.). *Encyclopedia of the Peoples of Africa and the Middle East*. New York: Facts on File, 2009, p. 359-360).

4. **რკინის კუნძული** - მერიდიანიდან გამომდინარე, სავარაუდოდ, უნდა იგულისხმებოდეს კანარის კუნძულებიდან ერთ-ერთი.

5. **ტუაზი¬** ¬¬– ძველებური ფრანგული სიგრძის საზომი ერთეული, 1,949 მ-ის ტოლფასი (Franck Jedrzejewski, Histoire universelle de la mesure, Paris, Ellipses, 2002, გვ. 346).

6. ქართველები მოზდოკის დაარსებიდანვე მისი ძირითადი მოსახლეობის შემადგენლობაში იხსენიებიან სომხების, ყაბარდოელების, ოსებისა და ბერძნების გვერდით. რაც შეეხება აღა მაჰმად ხანის შემოსევას (იხ. ქვემოთ), კრწანისის ომის შემდეგ მტრისგან გადარჩენილი მოსახლეობის ნაწილი შიმშილისა და ეპიდემიის საფრთხის გამო ჩრდილო კავკასიაში გადაიხვეწა.

ნიშანდობლივია, რომ რუსეთის თავისუფალი ეკონომიკური საზ-ბის მიერ შედგენილი ასტრახანისა და კავკასიის გუბერნიის ეკონომიკური აღწერის მიხედვით 1804 წ. მოზდოკში ცხოვრობდა 1411 სომეხი და 811 ქართველი, რაც მთელი ქალაქის მოსახლეობის 63% შეადგენდა (პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს., მონოგრაფიები, ტ. I, თბ., 1949, გვ. 110).

7. რუსეთის მთავრობა თავად იყო დაინტერესებული მოზდოკში ჩრდილო კავკასიელი მთიელების ჩამოსახლებით და ხელს უწყობდა ამ პროცესს: მთიელები აქეთ მოიწევდნენ არა მხოლოდ სისხლის აღების შიშით, როგორც ეს გამბას მიაჩნია, არამედ ადგილობრივი ფეოდალების მხრიდან გაუსაძლისი ჩაგვრის გამო; ამასთანავე, ყოველ გაქრისტიანებულ ყაბარდოელს ეძლეოდა ფულადი დახმარება და ენიჭებოდა გარკვეული პრივილეგიები. საკუთრივ ოსების აქ გადმოსახლებაში დიდი როლი შეასრულა "ოსეთის სასულიერო კომისიამ", რომელიც 1732 წ. დაარსდა მთიელთა შორის ქრისტიანობის გავრცელების მიზნით (История Северо-Осетинской АССР, Орджоникидзе, 1966, с. 132-133).

8. **ფრანკი** - ძვ. ფრანგული ვერცხლის მონეტა (იხ. დანართი № 1-ს კომენტ. 41).

9. **გირვანქა** ანუ **ფუნტი** - 409,512 გრამი (იხ. დანართი № 1-ს კომენტ. 2). სუ - ძვ. ფრანგული ხურდა ფული, ლივრის 1/20.

10. **ვიკუნია** - აქლემისებრთა ოჯახის ძუძუმწოვარა ცხოველი. მისი ბეწვი ფაფუკი და ძვირფასი ხარისხისაა.

11. **ნამიური** - პროვინცია ბელგიაში.

12. **ჯონ ჯონსონი** - ინგლისელი სამხედრო ოფიცერი, 1817 წ. იმოგზაურა ინდოეთიდან ინგლისში სპარსეთის, საქართველოს, რუსეთის, პოლონეთისა და პრუსიის გავლით; 1818 წ. გამოიცა მისი ნაშრომი "A Jorney from India to England, through Persia, Georgia, Russia, Poland and Prussia, in the year 1817"by John Johnson. 2011 წ. ეს ნაშრომი გამოაქვეყნა გამომცემლობა Nabu Press-მა (აშშ).

13. **კლაპროტი, იულიუს** (1783-1835) - გერმანელი მეცნიერი, ლინგვისტი-ორიენტალისტი. რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. 1807-1808 წწ. ისტორიულ-ფილოლოგიური კვლევის ჩასატარებლად მივლინებული იყო კავკასიაში (საქართველოში დაჰყო 6 თვე). 1815 წ. დასახლდა პარიზში, სადაც 1821 წ. დააარსა აზიური საზოგადოება და თანამშრომლობდა ამ საზოგადოების მიერ გამოცემულ "ჟოურნალ Aსიატიქუე"-ში. კავკასიასა და საქართველოს კლაპროტმა უძღვნა რამდენიმე გამოცემა, მათ შორის "მოგზაურობა კავკასიასა და საქართველოში 1807 და 1808 წლებში", 2 ტომად, ჰალე და ბერლინი, 1814 (იხ. გ. გელაშვილი, იულიუს კლაპროტი ოსების შესახებ, კრებ. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, თბილისი, 2012, №1, გვ. 275-312).

14. XIX ს. დასაწყისიდან ირანი ევროპული სახელმწიფოების გავლენის ქვეშ მოექცა. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდა ინგლისი, რომელიც ირანს ამარაგებდა არა მხოლოდ სამხედრო იარაღით, არამედ გამოცდილი ოფიცრებითა და არტილერისტებითაც; ისინი წვრთნიდნენ ირანელთა ჯარს, ხელმძღვანელობდნენ საომარი გეგმების შედგენას და უშუალოდაც მონაწილეობდნენ სამხედრო ოპერაციებში. მათ შორის იყო არტილერიის ოფიცერი **ლინდსი,** რომელიც თავრიზში დამკვიდრდა. იგი იმდენად მნიშვნელოვანი ფიგურა გახდა, რომ ირანის სამხედრო მინისტრადაც კი მოიხსენიებდნენ. 1812 წ. რუსეთის ჯარმა გენერალ-მაიორ კოტლიარევსკის მეთაურობით ირანელებთან ბრძოლაში გაიმარჯვა, ამ დროს ირანელთა ჯარს მეთურობდა ინგლისელი მაიორი კრისათი, ხოლო არტილერიას ხელმძღვანელობდა კაპიტანი ლინდსი (იხ. Очерки истории Дагестана, т.1, Махачкала, 1957, გვ. 191; А. Р. Иоаннисян, Присоединение Закавказья к России и международные отношения, Ереван, 1958, გვ. 290; ზ. შარაშენიძე, ირანის შინაპოლიტიკური ვითარება და საგარეო ურთიერთობანი XIX ს. დასაწყისში, თბილისი, 1984, გვ. 171). სამწუხაროდ, ჩვენ ვერ დავაზუსტეთ გამბას ცნობა იმის თაობაზე, რომ

ლინდსის ცოლად ჰყავდა ქართველი ქალი, მაგრამ ვფიქრობთ, ასეთი ფაქტი არ არის გამორიცხული, მით უფრო, რომ გამბას პირადად უნახავს ეს ქალი თბილისში.

15. **აბას-მირზა** (1789-1833) - ფათჰ-ალი შაჰის (ირანის შაჰი 1797-1834 წწ. ყაჯართა დინასტიიდან) მემკვიდრე; ადრეული ასაკიდანვე აზერბაიჯანის ბეგლარბეგი, მამამისის მმართველობის დროს ფაქტობრივად განაგებდა ირანის სახელმწიფო პოლიტიკას; მთავარ ამოცანად მიაჩნდა ამიერკავკასიიდან რუსეთის განდევნა. რუსეთ-ირანისა (1804-1813; 1826-1828) და ირან-თურქეთის ომების დროს ირანელთა ჯარის მთავარსარდალი იყო; ინგლისელი და ფრანგი ინსტრუქტორების მეშვეობით ცდილობდა მოეხდინა სახელმწიფო აპარატისა და არმიის რეორგანიზაცია ევროპულ ყაიდაზე. იყო სამხედრო საქმის კარგი სპეციალისტი, ნიჭიერი დიპლომატი და ადმინისტრატორი. მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიით უკმაყოფილო ქართველ დიდებულებთან, რომელთა ნაწილი თავრიზში მის კარზე იმყოფებოდა. 1828 წ. იძულებული გახდა ხელი მოეწერა რუსეთთან თურქმან-ჩაის ხელშეკრულებაზე და ეცნო ამიერკავკასიაში ირანის სამფლობელოების დაკარგვა.

16. **სერინგაპატამის (შრირანგაპატამის) ალყა** - ინგლისისა და მაისურის ინდური სამეფოს მეოთხე ომის უკანასკნელი ეპიზოდი. 1799 წელს ინგლისელებმა აიღეს სერინგაპატამის ციხე-სიმაგრე, რაც ომში გამარჯვების მომასწავებელი იყო.

17. პერსეპოლისი – (ბერძნ. სპარსთა ქალაქი), აქემენიანთა დინასტიის ერთ-ერთი სატახტო ქალაქი (ახლ. შირაზის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ფარსის პროვინციაში), დაარსა დარიოს I-მა (ძვ.წ. 550 – 486).

18. **ბანდარ-ბუშეჰრი (ბენდერ-ბუშირი)** - ნავსადგური სპარსეთის ყურეში, დაარსდა 1736 წ.

19. **გეორგიევსკი** – ქალაქი სტავროპოლის მხარეში; დაარსდა 1777 წ. როგორც ციხესიმაგრე, 1786 წლიდან ქალაქია; 1783 წ. აქ მოეწერა ხელი რუსეთ-საქართველოს შორის გაფორმებულ მფარველობით ხელშეკრულებას (ტრაქტატს). 1786 წ., კავკასიის გუბერნის შექმნისას, გეორგიევსკი ჯერ სამაზრო ქალაქად, შემდეგ (1802 წ.) – საგუბერნიო ქალაქად გადაკეთდა, 1822 წლიდან კი კვლავ სამაზრო ქალაქი იყო.

20. **კობი** – სოფელი ყაზბეგის რ-ნში, მდ. თერგის მარჯვენა ნაპირზე.

21. **ერმოლოვი ალექსი პეტრეს ძე** (1777-1861) - რუსი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, არტილერიისა და ინფანტერიის გენერალი; 1791 წლიდან მონაწილეობდა პოლონეთის კამპანიასა და 1794 წ. - ე.წ. სპარსეთის ლაშქრობაში (Персидский поход). 1812 წ. „სამამულო ომის“ ერთ-ერთი გმირი, ბოროდინოს ბრძოლის მონაწილე. 1816-1827 წწ. - იყო საქართველოს მთავარმართებელი, კავკასიის კორპუსის სარდალი და რუსეთის სრულუფლებიანი ელჩი ირანში. 1817 წ. რუსეთის 200-კაციანი ელჩობა ერმოლოვის ხელმძღვანელობით თბილისიდან თეირანში ჩავიდა, რათა განემტკიცებინა გულისტანის ზავის პირობები და ეიძულებინა ირანი, უარი ეთქვა ყოველგვარ ტერიტორიულ პრეტენზიებზე. ერმოლოვმა ფათჰ ალი შაჰთან მოლაპარაკებები წარმატებულად დაასრულა, რისთვისაც ინფანტერიის გენერლობა მიანიჭეს. მასვე უკავშირდება „კავკასიის ომის“ სახელით ცნობილი სამხედრო ოპერაცია (1817-1864 წწ.) ჩრდილო კავკასიის დასამორჩილებლად; ერმოლოვის ძალისხმევით რუსეთმა გააუქმა და შეიერთა აზერბაიჯანის სახანოები (შაქის, შირვანის ყარაბახის და სხვ.), ააგო ციხესიმაგრეთა მთელი ხაზი გროზნოდან ეკატერინოდარამდე - დღ. კრასნოდარი (*Энциклопедический словарь Брокгауза и Ефрона*, том XIA (22), СПБ, 1894, გვ. 675; Н. Дубровин, *История войны и владычества русских на Кавказе*, т. VI, СПБ, 1888, გვ. 167; Орлов А.С., Георгиева Н.Г., Георгиев В.А., *Исторический словарь*, 2-е изд., Москва, 2012, გვ. 179).

22. **დუკატი** - ვენეციური ვერცხლის, შემდგომში კი ოქროს მონეტა (იხ. დანართი №1, კომენტ. 45).

23. **კონსტანტინოვსკაია** – სავარაუდოდ, კონსტანტინოგორსკაია – ახლანდელი პიატიგორსკიდან ესენტუკისაკენ მიმავალ გზაზე 1780 წ. აგებული ციხესიმაგრე (აზოვ-მოზდოკის

თავდაცვითი ხაზის ერთ-ერთი გამაგრებული პუნქტი); ეს თარიღი ითვლება ქ. პიატიგორსკის დაარსების წლად. სიმაგრეს სახელი ეწოდა ეკატერინე II-ის შვილიშვილის – კონსტანტინე პავლეს ძის პატივსაცემად (Е. Вейденбаум, Путеводитель по Кавказу, Тифлис, 1888. с. 230).

24. **ფუტი -** ანუ 30,48 მ. (იხ. დანართი №1-ს კომენტ. 18).

25. ვლადიკავკაზის ციხესიმაგრეს 1784 წ. 6 მაისს ჩაეყარა საფუძველი: ინგუშთა აულის (ზაურის) ადგილზე, პ. პოტიომკინის განკარგულებით, საქართველოს სამხედრო გზის დასაცავად აიგო პატარა ციხესიმაგრე ვლადიკავკაზი; ამის შემდეგ, რუსი სამხედროების დაცვის ქვეშ, იწყება მისი დასახლება კაზაკებითა და ოსებით, რასაც მოჰყვა მახლობელი აულებიდან ინგუში მოსახლეობის გადინება. ქალაქი (1860 წლიდან) მდებარეობს დარიალის ხეობიდან 30 კმ-ის დაშორებით, მდ. თერგის ორივე ნაპირზე; თავის დროზე უდიდესი მნიშვნელობის სამხედრო-სტრატეგიული და სავაჭრო ცენტრი იყო.

26. **ბალთა/ბალთაში** – სოფელი ვლადიკავკაზიდან დაახლ. 10 კმ-ის დაშორებით, თერგის მარცხენა ნაპირზე; ეკუთვნოდა დონდართა საგვარეულოს.

27. **დონდარები/დონდაროვები/დუდაროვები** – ოსების ერთ-ერთი ძლიერი ფეოდალური საგვარეულო, რომელიც გვიან შუა საუკუნეებში თაგაურელ ფეოდალთა შორის ყველაზე გავლენიან ძალად ითვლებოდა. მათი სამფლობელო კიდევ უფრო გაიზარდა XIX ს. პირველ მესამედში – რუსეთის ხელისუფლებისადმი გაწეულის სამსახურის სანაცვლოდ (იხ. Акты собранные Кавказской археографической комиссией, т. II, ч. I,Тифлис, 1868, გვ. 552; Блиев М. М.Русско-осетинские взаимоотношения, Орджоникидзе, 1984, მისივე, Осетия в первой трети XIX века, Орджоникидзе, 1964).

28. **ლარსი/ზემო ლარსი** – (ოს. Уæллаг Ларс; რუს. Верхний Ларс), სოფელი და საკონტროლო-გამშვები პუნქტი რუსეთ-საქართველოს საზღვარზე (ჩრდ. ოსეთში, ვლადიკავკაზის ოკრუგის შემადგენლობაში), საქართველოს სამხედრო გზაზე, მდ. თერგის მარჯვენა ნაპირზე.

29. **დარიალი** – სოფ. ყაზბეგის რ-ში.

30. დარიალის ძველი ციხე მდებარეობს საქართველოს სამხედრო გზაზე, თერგის მარცხენა ნაპირზე (დარიალის ხეობაში) აღმართული, მიუვალი კლდის თავზე. ნანგრევებში განირჩევა სხვადასხვა ეპოქის (ანტიკური, ფეოდალური) სამშენებლო ფენები;შესასვლელი სამხრეთიდან იყო, მდინარეზე კი საიდუმლო გვირაბი ჩადიოდა. სახელწოდება „დარიალი“ მომდინარეობს სპარს. დარ-ი ალანიდან და ნიშნავს „ალანთა კარს“. ანტიკური ავტორების მიხედვით, **დარიალის ხეობა** იგივე კასპიის ან კავკასიის კარია. ძველქართულ და უცხოურ წყაროებში მოიხსენიება სხვადასხვა სახელწოდებებით: დარიალანი, დარიელა, არაგვის კარი, იბერიის კარი, კავკასიის კარი, სარმატიის კარი, კარი ოვსეთისა, გზა დარიალანისა და ა.შ. ამ პუნქტს უდიდესი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, ამიტომაც უძველესი დროიდან აქ შენდებოდა საფორტიფიკაციო ნაგებობები, რათა ჩრდილოეთის მხრიდან გზა გადაეკეტათ მომთაბარე მარბიელი ტომებისათვის, რომლებიც აქედან გადმოდიოდნენ ამიერკავკასიასა და ირანში. შესაბამისად, საქართველოს მეფეები ყოველთვის ზრუნავდნენ ამ გზის გამაგრებაზე ციხე-გალავნებისა და საომარი კოშკების მეშვეობით. რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ ამ გზის სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა, ინტენსიურად მიმდინარეობდა გზებისა და ხიდების მოსაწესრიგებელი სამუშაოები, რუსული გარნიზონების დასაბინავებლად იგებოდა ახალი ციხეები და ა.შ. (ზაქარაია პ., არაგვისა და თერგის ხეობა, ისტორიულ-არქიტექტურული გზამკვლევი, თბილისი, 1972, გვ. 59; მისივე, დარიალის ციხე, თბილისი, 1957; წითლანაძე ლ., დარიალის ციხე, „ძეგლის მეგობარი“, 1971, #27-28, გვ. 62-67. ნ.ბერძენიშვილი, გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ., 1966, გვ. 54-65; ჯ. გვასალია, არაგვის კარი (დარი-ალანი), კრებ. ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბილისი, 1976; ს. მაკალათია, ხევი, ტფილისი, 1934).

31. დედოფალ (თავადის ასულ) დარიას შესახებ თქმულებას არაერთი მოგზაური თუ მკვლევარი იმეორებს (იხ. ი. ანდრონიკაშვილი, საქართველო მ. ლერმონტოვის შემოქმედებაში, თბილისი, 1953, გვ. 35-39; Шесть писем о Грузии и о Кавказе, писанные в 1833 году Платоном Зубовым, Москва, 1934, с. 41).

32. **ლეონ I** – (დიდი) ბიზანტიის იმპერატორი 457-474 წწ. (თრაკიული დინასტია);

33.**ანასტასიოს I** – ლეონ I-ს ძმა, ბიზანტიის იმპერატორი 491-518 წწ.

34. **კავად I** – სპარსეთის შაჰი (488-494; 499-531) სასანიდების დინასტიიდან

35. **იუსტინიანე I** – ბიზანტიის იმპერატორი 527-565 წწ. (იუსტინიანიდების დინასტია).

36. **პროკოპი კესარიელი** – VI ს. ბიზანტიელი ისტორიკოსი, ავტორი ცნობილი წიგნისა „ომების შესახებ“, რომელიც საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი წყაროა.

37. **ხოსრო I,** მეტსახელად ანუშირვანი (უკვდავი სული) და სამართლიანი - კავად I-ის ძე და მემკვიდრე, სპარსეთის ხელმწიფე 531-579 წწ. თავისი მმართველობისას ქვეყანაში დიდი სოციალური და ადმინისტრაციული რეფორმები გაატარა. მისი მმართველობის წლები სასანიანთა ირანის ისტორიაში „ოქროს ხანადაა“ აღიარებული, რადგან რეფორმების წყალობით სახელმწიფომ განვითარების და ძლიერების უმაღლეს დონეს მიაღწია

38. ძველ ქართულ მწერლობაში თერგსაც „არაგვი ოვსეთისაÁ“ ეწოდებოდა (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბილისი, 1983, გვ. 45).

39. იგულისხმება **გაბრიელ დიმიტრის (ყაზბეგის) ძე ჩოფიკაშვილი (კაზბეკოვი)** 1760-1817 – (მწერალ ალექსანდრე ყაზბეგის პაპა), ხევის გავლენიანი ფეოდალი, მამის სახელის მიხედვით მიიღო გვარი და მას შემდეგ მისი შთამომავლები ყაზბეგებად იწერებოდნენ. XVIII ს. მიწურულს სტეფანწმინდის მოურავი და ერეკლე II-ის ერთგული თანამოაზრე იყო. მოგვიანებით დიდი როლი შეასრულა რუსული მმართველობის დამკვიდრების საქმეში, რისთვისაც მადლიერმა რუსებმა 1803 წ. მაიორის, შემდგომში კი გენერლის ჩინი უბოძეს. 1812 წ. აჯანყების დროს რუსეთის ჯარებთან ერთად მონაწილეობდა ამბოხებულთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ „დამსახურებისათვის“ რუსებმა მაიორობა და აზნაურობა მიანიჭეს, მყინვარწვერსა და სტეფანწმინდას კი “ყაზბეგი” უწოდეს. გაბრიელის მეუღლე ჩერქეზი იყო, გვარად მურთაზოვა, ნათლობის შემდეგ ელისაბედი ეწოდა. 1817 წ. გაბრიელი გარდაიცვალა (დაკრძალულია სტეფანწმინდაში); მას დარჩა ორი ვაჟი - მიხეილი (გენერალი) და ნიკოლოზი (პოლკოვნიკი) და აგრეთვე სამი ქალიშვილი - სოფიო, ეკატერინე და ნინო (იხ. ვ. შადური, მასალები ალექსანდრე ყაზბეგის ბიოგრაფიისათვის, თბილისი, 1985; ლ. დოლიძე, გენერალისიმუსი, მარშლები, გენერლები, ადმირალები ჩვენი თანამემამულენი, თბ. 2000).

40. **წირი (ხაზი/წრეხაზი)** - ძველებური ფრანგული სიგრძის საზომი ერთეული, დაახლ. 2,25 მმ. (ჟაკ ფრანსუა გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ტ. I, თარგმანი და კომენტარები მ. მგალობლიშვილისა, თბილისი, 1987, გვ. 311, შენ. 87).

42. **პირიტი** - ოქროსფერი მინერალი, გოგირდისა და რკინის ნაერთი.

43. იგულისხმება **გერგეტის ანუ ყაზბეგის სამება;** ხუროთმოძღვრულ ანსამბლში შედის გალავნით გარშემოვლებული გუმბათოვანი ტაძარი (XIV ს. 30-იანი წლები), სამრეკლო (XIV ს. II ნახ.) და ე. წ. „საბჭეო“ (XV ს.). იგი ძველთაგანვე სოფ. გერგეტის კუთვნილება იყო, რაც მის სახელწოდებაშიც აისახა. ტაძარი ნაკურთხია ღვთისმშობლის სახელზე (იხ. თ. სანიკიძე, გერგეტის ხუროთმოძღვრული ანსამბლი, თბ., 1975).

44. **ვერსი** - (რუს. верста) სიგრძის საზომი ერთეული ძველ რუსეთში; ლიტერატურულ ძეგლებში დასტურდება IX ს-დან. მისი ზომა ხშირად იცვლებოდა: XVIII ს. ბოლოდან მეტრული სისტემის შემოღებამდე 1 ვერსი 500 საჟენს ანუ 1,0668 კმ-ს უტოლდებოდა. საქართველოში ვერსი XIX ს-დან გავრცელდა (გამბა, I, გვ. 311, შენ. 84; ქსე, IV, გვ. 376).

თავი II

1. გამბა ცდება: წყაროებით დადასტურებულია, რომ ლუდის წარმოება ოსეთში უძველესი დროიდან იყო გავრცელებული და ხშირად რიტუალურ სასმელადაც იყენებდნენ (იხ. გ. გელაშვილი, იულიუს კლაპროტი ოსების შესახებ, გვ. 283-284).

2. ინგუშები (საკუთ. სახელწოდება „ღალღა“) – კავკასიონის ქედის ცენტრალური ნაწილის ხეობებში მცხოვრები ხალხი (ინგუშეთის რესპუბლიკის ტერიტორია), ენითა და კულტურით – ჩეჩნების მონათესავენი. თავდაპირველად მთებში ცხოვრობდნენ, XVI-XVII სს. დაიწყეს ბარში ჩამოსახლება, რამაც ინტენსიური ხასიათი მიიღო XIX ს. 30-60-იან წლებში. XVI ს. მიწურულიდან, როცა დაღესტნიდან მუსლიმური ტალღა წამოვიდა, ინგუშები მორწმუნე სუნიტი მუსლიმები გახდნენ. 1810 წ. ინგუშებმა რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღეს.

3. დეიზმი – XVII ს. ინგლისში შექმნილი რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება, რომელმაც საფრანგეთის რევოლუციის პერიოდში სახელმწიფო რელიგიის სტატუსი მიიღო (ე.წ. გონების რელიგია). დეისტები იყვნენ ვოლტერი, დიდრო და სხვა განმანათლებლები. დეიზმის მიხედვით, არსებობს სრულყოფილი არსება – დეუს, რომელმაც შექმნა სამყარო ადამიანითურთ, თუმცა სრულიად შეუცნობელია ადამიანისთვის; მის მიერ შექმნილი სამყარო ემსგავსება საათის სრულყოფილ მექანიზმს, რომელიც მინდობილია თავის თავს და მისი შემქმნელის მხრიდან ყოველგვარი ჩარევის გარეშე მუშაობს. ამგვარ ღმერთთან ადამიანი კონტაქტს ვერ ამყარებს, ამიტომაც გამორიცხულია ყველა რელიგიისათვის ესოდენ დამახასიათებელი ლოცვა, ან მსახურება; დეიზმის მიმდევრები მთლიანად არ უარყოფდნენ რელიგიას, მაგრამ აკრიტიკებდნენ შუასაუკუნეების ეპოქის თეოლოგიურ შეხედულებებს და სამღვდელოებას, რომელიც, მათი აზრით, ხალხში ნერგავდა ადათებსა და ცრურწმენებზე დაფუძნებულ რელიგიის ფორმებს – ქრისტიანობას, იუდაიზმსა და ისლამს; ამის საპირისპიროდ დეიზმის მიმდევრები აღიარებდნენ ე.წ. “ბუნებრივ რელიგიას”, რომელიც საკუთრივ ადამიანის ბუნებიდან მომდინარეობდა და გონებას ემყარებოდა.

4. თამარ მეფის ზეობის წლებია 1184-1207/1210/1213 (1178-1184 წწ. იგი მამის - გიორგი III-ს თანამოსაყდრე იყო).

5. ქრისტიანული რელიგიის გავრცელება ჩრდილო კავკასიაში და, კერძოდ, ინგუშეთში ისტორიულად დადასტურებული ფაქტია, ამაზე მოწმობენ ამ ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილი ქრისტიანული კულტურის ძეგლები – თუშოლი, გალ-ერდი, ალბი-ერდი, თხაბა-ერდი/ტყობა-ერდი და სხვ. (ვრცლად იხ. გ. ღამბაშიძე, ტყობა-ერდი – ქართული კულტურის ძეგლი ინგუშეთში, “ლიტერატურული საქართველო”, 1971 წ., 4 ივნისი; ა. შავხელიშვილი, საქართველო-ჩეჩნეთ-ინგუშეთის ურთიერთობა XV-XVIII სს-ში, თბილისი, 1980, გვ. 10-11; მ. ბეჟიტაშვილი, ქრისტიანული ძეგლები ინგუშეთში, ჟურნ. “ისტორიანი”, 2012, #5/17 და სხვ.).

6. ციმლიანსკი – XVII ს. დონის კაზაკების მიერ როსტოვის ოლქში დაარსებული ქალაქი, სადაც მევენახეობა და მეღვინეობა მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია. აქ დამზადებული ღვინო “შავი ციმლიანსკი” დონის ერთ-ერთ საუკეთესო ღვინოდ ითვლება.

7. კაიშაური - სოფელი დუშეთის რ-ში, მთიულეთის არაგვის მარცხენა მხარეს, დიდველის ზეგანზე. მის მიდამოებში რამდენიმე ციხე-კოშკისა და ეკლესიის ნანგრევებია, რომელთა შორის სიძველით გამოირჩევა “სუნთიციხე”; იგი საგრძნობლად არის დაზიანებული; აქვეა მცირე სამლოცველო, რომელიც, გადმოცემის თანახმად, განდეგილ მესვეტე ბერს დაუდგამს. როგორც ჩანს, გამბა სწორედ ამ ციხეს გულისხმობდა.

8. წმ. ქრისტეფორეს მთას გამბა უწოდებს ჯვრის უღელტეხილს, ხოლო “პატარა ძეგლი ამაღლებული ჯვრით” - ეს არის ქვის პატარა ჯვარი, რომელიც პირველად 1803 წ., მეორედ – 1809 წ. დაიდგა გაბრიელ ყაზბეგის მიერ, ხოლო მესამედ - ერმოლოვის დროს, 1824 წელს. არსებობს მოსაზრება, რომ სახელწოდება “ჯვრის უღელტეხილი” სწორედ 1824 წლიდან დამკვიდრდა (იხ. И.

А. Арджеванидзе, Военно-грузинская дорога, Тбилиси, 1954, გვ. 194; Е. Вейденбаум, დასახ. ნაშრ., გვ. 296); თუმცა ქართულ საისტორიო წყაროებში ბევრად უფრო ადრე (XIV-XV სს.) დაფიქსირებული "ჯუართა ყელი" სწორედ ჯვრის გადასასვლელს აღნიშნავს. ჯვრის უღელტეხილი წყაროებში ცნობილია აგრეთვე ხევისყელისა და გუდაურის უღელტეხილის სახელწოდებით. მდებარეობს მცხეთა-მთიანეთის მხარეში, ხევის კავკასიონის მთავარ ქედზე, მდინარეების ბიდარისა (თერგის მარჯვ. შენაკადი) და მთიულეთის არაგვის წყალგამყოფზე (იხ. გიორგი ბრწყინვალის სამართალი, გამოსცა ი. დოლიძემ, თბილისი, 1957, გვ. 24; ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბილისი, 1983, გვ. 32-47; ვ. ითონიშვილი, დარიალის გზა საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში, მნათობი, №9, 1983, გვ. 101-108). გაუგებარია ჯვრის უღელტეხილთან და იქ აღმართულ ქვის ჯვართან ქრისტიანულ სამყაროში ლეგენდარულ პერსონაჟად აღიარებული წმინდა ქრისტეფორეს სახელის დაკავშირება. ყველაზე გავრცელებული ვერსიის თანახმად (X-XI სს.), გიგანტური აღნაგობისა და დიდი ფიზიკური ძალის მქონე ქრისტეფორემ მიზნად დაისახა, ეპოვნა უძლიერესი ხელისუფალი, რომელსაც მოემსახურებოდა; იგი ჯერ მეფესთან მივიდა, მაგრამ დარწმუნდა, რომ ეს უკანასკნელი სატანის შიშით ძრწოდა, ამის შემდეგ სატანას მიაშურა, მაგრამ სატანას ჯვრის შიში ჰქონდა, საბოლოოდ ქრისტეს ეახლა და მის სამსახურში ჩადგა: მომლოცველები და მოგზაურები ზურგით გადაჰყავდა მდინარეზე. ერთხელაც, ბავშვის გადაყვანისას, შუა მდინარეში შესულმა ისეთი სიმძიმე იგრძნო, თითქოს მთელი სამყარო აწვა ზურგზე; ეს ბავშვი აღმოჩნდა ქრისტე, რომელმაც წმ. ქრისტეფორეს აუწყა, რომ მას მხრებზე თვით სამყაროს შემქმნელი აწვა. აქდან წარმოსდგა წმინდანის სახელი "ქრისტეფორე", რაც ქრისტეს მატარებელს აღნიშნავს. წმ. ქრისტეფორე მოგზაურების, მეცნიერებისა და სხვ. მფარველად მიიჩნეოდა. XVI-XVII სს-ში იჭრებოდა წმინდანის გამოსახულებიანი მონეტები, რომლებსაც ავგაროზებად იყენებდნენ (იხ. Le petit Robert, 2, Paris, 1980, გვ. 417; Мифы народов мира, т. 2, Москва, 1988, გვ. 604-605).

9. მაკარიევი - ქალაქი კოსტრომის ოლქში, მდ. ვოლგის ერთ-ერთ შენაკადზე. აღმოცენდა წმ. მაკარის მიერ XV ს-ში დაარსებული ჟელტოვოდსკის მონასტრისა და მისი მიმდებარე დაბების ადგილზე. 1741 წლიდან აქ იმართებოდა დიდი ბაზრობა, რომელიც რუსეთში ყველაზე მსხვილ სავაჭრო ობიექტად ითვლებოდა. 1816 წ. ხანძარმა გაანადგურა საბაზრო ადგილი თავისი ქარვასლითურთ და 1817 წლიდან იმპერატორის საგანგებო ბრძანებით ბაზრობა გადაიტანეს ნიჟეგოროდის ოლქის ადმინისტრ. ცენტრში - ნიჟნი ნოვგოროდში (ყოფ. გორკი); აქ, ისევე როგორც მაკარიევში, ბაზრობა ივლისის დასაწყისში იმართებოდა.

10. ფასანაური - დაბა დუშეთის მუნიციპალიტეტში, მდ. მთიულეთისა და გუდამაყრის არაგვის შესაყართან.

11. მლეთა - დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფლების – ზემო მლეთისა და ქვემო მლეთის ძვ. სახელწოდება.

12. კატანია - ქალაქი სიცილიაში, კატანიის პროვინციაში. 1693 წ. მიწისძვრის შედეგად დაინგრა და XVIII ს-ში აღადგინეს.

13. გრაფი ბუგენვილი ლუი ანტუან (1729-1811) - ფრანგი ზღვაოსანი, მათემატიკოსი, სამართალმცოდნე, შემდგომში გემის კაპიტანი, საზღვაო აკადემიის წევრი; ფრანგ ბუნებისმეტყველთან და მოგზაურთან კომერსონთან ერთად მონაწილეობდა სამეცნიერო ექსპედიციაში დედამიწის გარშემო. მოგზაურობიდან ჩამოიტანეს დიდი კოლექცია და ჩანახატები. 1771 წ. ბუგენვილმა გამოაქვეყნა ნაშრომი „მოგზაურობა დედამიწის გარშემო". მისი სახელი ეწოდა სოლომონის არქიპელაგის (წყნარ ოკეანეში) ყველაზე დიდ კუნძულს (Шведе Е. Е., Луи Антуан де Бугенвиль и его кругосветное плавание в 1766, 1767, 1768 и 1769 годах., Москва, 1960, გვ. 5-22).

14. **სანტიმი** - ფრანკის 1/100 (იხ. დანართი №1, შენ. 41).

15. ანანური – სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტში, მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირზე. ისტორიულად საქართველოს უძლიერეს ფეოდალთა – არაგვის ერისთავთა რეზიდენცია იყო; საერისთავოს გაუქმების შემდეგ (1743 წ.) ანანური (ციხითურთ) სამეფო მფლობელობაში გადავიდა (ერეკლე II-ის ვაჟს ვახტანგს გადაეცა საუფლისწულო მამულად), ხოლო 1803-1821 წწ. მაზრის ცენტრი იყო.

ანანურის ციხე – XVI–XVII სს. ძეგლი, არაგვის საერისთავოს ფეოდალთა რეზიდენცია. მის კოშკებში საცხოვრებელი ოთახებიც იყო განთავსებული, ამიტომ იგი ციხე-დარბაზის ტიპის ნაგებობებს განეკუთვნება. გამორჩეულია დას. კედლის შუაში აღმართული კვადრატული ფორმის შვიდსართულიანი კოშკი "შეუპოვარი", კედელში დატანებული კიბით (კომპლექსის შესახებ ვრცლად იხ. ვ. ბერიძე, XVI-XVIII სს. ქართული ხუროთმოძღვრება, ტ. I, თბილისი, 1983; პ. ზაქარაია, საქართველოს ძველი ციხესიმაგრეები, თბილისი, 1988).

16. **არყალა** – მთიულეთის არაგვის ერთ-ერთი მთავარი შენაკადი.

17. XVII ს. დუშეთი არაგვის ერისთავთა რეზიდენცია იყო, საერისთავოს გაუქმების შემდეგ კი მისი მნიშვნელობა დაეცა. 1756 წლიდან იგი ქალაქად ითვლება, 1802 წ. დუშეთი მაზრის ცენტრი იყო. ციხე, რომელზეც გამბა საუბრობს, სავარაუდოდ – 1798-1801 წწ. დათარიღებული „ჭილაშვილების ციხე-დარბაზი", იგივე მილახვრიანთკარია (Пл. Иоселиани, Описание города Душети,Тифлисской губернии, Тифлис, 1860).

18. **ღართისკარი/ღართა** – სოფელი მცხეთის ჩრდილოეთით (ამავე სახელწოდების სოფლები გვხვდება ხაშურისა და ახალციხის მუნიციპალიტეტებში). აქ აღმოჩენილია საფორტიფიკაციო ნაგებობათა კომპლექსი (იხ. Мმცხეთა, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, ტ. 5, თბილისი, 1981; А. М. Апакидзе, Великая Мцхета, კრებულში: Археологические открытия 1980 года, Москва, 1981); მკვლევართა აზრით, ამ ტოპონიმის მიხედვით მცხეთის ჩრდილოეთით მდებარე მშრალ ხევსაც (რომელიც მარჯვნიდან უერთდება არაგვს) ღართისკარი ეწოდა, რაც „გზას, გასავალს" აღნიშნავდა (ვახუშტი, *აღწერა*..., გვ. 351; ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, 2013, გვ. 553-554).

19. **იგულისხმება ბელტის ციხე,** მცხეთის ჩრდილო გარეუბანში, მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირის გორაკზე. ქართლის ცხოვრებაში ციხე პირველად იხსენიება დემეტრე I-ის გარდაცვალებასთან დაკავშირებით (ქართლის ცხოვრება I, სიმ. ყაუხჩიშვილის გამოც., თბილისი, 1955, გვ. 367,5). XIV ს-ში ბელტის ციხე სოფელი და საკათალიკოსო მამულია. XVIII ს-ში ლეკების თავდასხმების დროს ეს ციხე აკონტროლებდა ღართისკარიდან მცხეთისაკენ მიმავალ გზას. XIX ს-ის მეორე ნახევრიდან ბელტის ციხეს ბებრისციხის სახელით მოიხსენიებენ (ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი.., გვ. 101).

20. **მცხეთა** - აქ უზუსტობაა: სვეტიცხოვლისა და სამთავროს ტაძრების აღრევის გამო გამბამ ორივე ერთ ძეგლად გააერთიანა; პირველ ტაძარში, რა თქმა უნდა, იგულისხმება სვეტიცხოველი, თუმცა ის, რასაც ავტორი "ცენტრში მდგარ ციხედ" მიიჩნევს, სინამდვილეში სვეტიცხოვლის გალავანში დატანებული კოშკებია; XVIII ს. (1787 წ) ერეკლეს ბრძანებით აგებული, საბრძოლო ბილიკით, სათოფურებითა და სალოდეებით აღჭურვილი, სვეტიცხოვლის გალავანი მოიცავს 6 ცილინდრულ და 4 ოთხკუთხა ფორმის კოშკს (გალავნის ჩრდილო კედელში ჩართულია ადრინდელი გალავნის ფრაგმენტები). რაც შეეხება "მღვდელმთავარს, რომელიც ამ ციხის შიგნით ცხოვრობდა", აქ უკვე საუბარია სამთავროს საეპისკოპოსო ტაძარზე (XI ს. პირველი ნახევარი), რომლის კომპლექსშიც, ტაძრის გარდა, შედის " მინიატურული გუმბათოვანი ეკლესია, როგორც ჩანს ძალიან ადრინდელი ხანისა (IV ს.?) (ანუ წმ. ნინოს სახელობის ეკლესია – ლ.მ.). ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან აღმართულია სამსართულიანი ლამაზი სამრეკლო... არაუადრეს XIII საუკუნისა" (ვ. ბერიძე, ძველი ქართული ...., გვ. 141). სამხრეთიდან ტაძარს მიშენებული აქვს კამარებით გადახურული ეკვდერი. ეზოს სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში აღმართულია ძველი

გალავნიდან შემორჩენილი ცილინდრული კოშკი (XVIII ს.), რომელიც ამჟამად დედათა მონასტრის საცხოვრებელია.

21. **ბაჰმანი** - ძველი ირანის ლეგენდარული დინასტიის - ქაიანიანების ერთ-ერთი მეფე. „მდინარე მტკვარს საერთოდ უწოდებენ შაჰ-ბაჰმან სუს, ე.ი. ხელმწიფე ბაჰმანის მდინარეს. სახელი ბაჰმანი ერთი იმ სახელთაგანია, რომლითაც სპარსული მატიანეები მეფე კიროსს იხსენიებენ“ (იხ. შარდენის მოგზაურობა, დასახ. გამოც., გვ. 289,406)

22. **პომპეუსის ხიდი/მოგვთა ხიდი** – მდებარეობდა მოგვთა უბნის მახლობლად (იქ, სადაც წინარექრისტიანულ ხანაში ბინადრობდნენ წარმართი, ე.წ. მოგვთა ქურუმები, შესაბამისად, ქართულ ისტორიულ წყაროებშიც იგი “მოგვთა ხიდის” სახელით იხსენიება). ვახტანგ გორგასალს ხიდის საფუძვლიანი რეკონსტრუქცია მოუხდენია (წყლის დონის აწევისას ჭარბი ნაკადის გასატარებლად), ამ სახით იარსება “მოგვთა ხიდმა” საქართველოში რუსთა დამკვიდრებამდე; 1839-1841 წწ. რუსულმა ხელისუფლებამ დაანგრია ძველი ისტორიული ხიდი და მის ადგილზე დიდი, ოთხთაღოვანი ხიდი ააგო (მშენებელი ინჟინერი ტერმონი). მოგვიანებით, 1926 წ. ხიდი ზაჰესის საგუბარში მოექცა და მთლიანად დაიფარა წყლით. თავის დროზე უცხოელმა ავტორებმა იგი შეცდომით “პომპეუსის ხიდად” მოიხსენიეს, თუმცა ხიდი ქართლში პომპეუსის ლაშქრობამდე (ძვ.წ.აღ. 65 წ.) დიდი ხნით ადრე არსებობდა (მკვლევართა აზრით, ჯერ კიდევ ელინისტურ ხანაში, ძვ. წ. IV-III სს.); სამწუხაროდ, ეს შეცდომა იმდენად მყარად დამკვიდრდა, რომ ზოგიერთი ავტორი რუსების მიერ 1841 წ. აგებულ ახალ ხიდსაც კი „პომპეუსის ხიდს“ უწოდებდა (ნ. კვეზერელი-კოპაძე, ანტიკური ხანის ორი ხიდი საქართველოში, ძეგლის მეგობარი, 1971, #27-28).

23. **არმაზის მთა** - იგულისხმება არმაზციხე-ბაგინეთი, მცხეთის მოპირდაპირე მხარეს, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. ძვ. წ. აღ. IV-III სს. აქ ფარნავაზს აუგია ციხესიმაგრე; მომდევნო მეფეებმა (საურმაგი, მირვანი და ა.შ.) გააგრძელეს არმაზის მშენებლობა და ძ.წ. აღ. III ს-ში იგი უკვე ჩამოყალიბდა ციხე-ქალაქად (თავისი შიდა ციხით). XVIII-XIX სს. ქართულ წყაროებში არმაზციხე “ბაგინეთის” სახელით მოიხსენიება (დაწვრილებით იხ. ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური.., გვ. 46-53).

24. სავარაუდოდ, **ალექსანდერსდორფი**, ახლ. დიდუბის ტერიტორიაზე (სამტრედიის, წყალტუბოს და აგლაძის ქუჩები), სადაც 1818 წლიდან დასახლდნენ ვიურტემბერგიდან წამოსული გერმანელი კოლონისტები; ხანგრძლივი მგზავრობისას ისინი ოდესაში შეყოვნდნენ და ზამთარი იქ გაატარეს (გერმანული კოლონიების შესახებ იხ. ქვემოთ).

25. **ველიამინოვი ივანე ალექსანდრეს ძე (1771-1837)** - ინფანტერიის გენერალი, ფინეთის ომის მონაწილე, 1818 წლიდან დივიზიის უფროსი საქართველოში (იხ. გამბა, მოგზაურობა.., ტ. I, გვ. 338).

26. პოლის მიერ დაარსებული სასტუმრო (რესტორაცია) XIX ს. დამდეგისათვის ერთადერთი ამ ტიპის დაწესებულება იყო და ახლანდ. ორბელიანის (ყოფ. კოლმეურნეობის) მოედანზე მდებარეობდა. ამ სასტუმროს არაერთი ცნობილი პიროვნების სახელი უკავშირდება; 1828 წლის შემდეგ სასტუმრო ასევე უცხოელი მატასის საკუთრება გახდა (დაწვრილებით იხ. კ. ტუღუშის წერილი “უძველესი სასტუმრო” გაზ. თბილისი, 1988, 09.01; დ. ხოშტარია, ძველი თბილისის სასტუმროები, თბ., 2011.).

თავი III

1. **ვიურტემბერგი** – ისტორიული ოლქი სამხრეთ-დასავლეთ გერმანიაში (დედაქალაქი შტუტგარტი). XVIII ს. აქ ჩაისახა სექტანტურ-სეპარატისტული მოძრაობა, რომლის წევრებიც, სხვა სექტანტებისაგან გასხვავებით, უარყოფდნენ კავშირს ლუთერანულ ეკლესიასთან. ვიურტემბერგიდან დაიწყო გერმანელ კოლონისტთა გადმოსახლება ამიერკავკასიაში:

შტუტგარტში ყოფნისას იმპერატორი ალექსანდრე I დათანხმდა გერმანელების თხოვნას, ქვეყანაში არსებული რთული ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების გამო, ამიერკავკასიაში (არარატის მთის მახლობლად) მათი ჩამოსახლების თაობაზე. ამ საქმეში საკუთარი ინტერესები ჰქონდა რუსეთსაც (ვრცლად იხ. ქვემოთ).

2. **ავლაბრის ხიდი** – ხიდი მდ. მტკვარზე ისტორიულ ძველ თბილისში, რომელიც უძველესი დროიდან მეტეხის ვიწრობებში იყო აგებული და ისანს კალასთან აკავშირებდა. 1840-იან წლებში აქ ერთმანეთის სიახლოვეს აგებული ხის ორი ხიდი 1870 წლისათვის ლითონის ხიდებით ჩაანაცვლეს. ერთ მათგანს ავლაბრის ხიდი ერქვა, მეორეს – მეტეხისა. 1950-იან წლებში, ახლანდელი მეტეხის ხიდის აგების შემდეგ, ძველი ხიდები მოშალეს (თ. კვირკველია, ძველთბილისური დასახელებანი, თბილისის, 1985, გვ. 10).

3. ანტიკურ წყაროებში მოხსენიებულ „კამბისეს“ ამიანე მარცელინი შეცდომით ჩრდილო-დასავლეთ სპარსეთის მდინარედ მიიჩნევს, სინამდვილეში იგი მდ. იორთან არის გაიგივებული; კიროს II დიდი (ძვ. წ. 558-530), აქემენიანთა სახელმწიფოს დამაარსებელი, პერსიდის მეფის – კამბისე I-ის ძე იყო. თუმცა „კამბისესი“ უკავშირდება ქართულ „კამბეჩოვანს“ (ქიზიყი, მდ. ივრის ქვემო წელი, ახლ. შირაქის ველი და ივრის ხეობა) და სპარსელი მეფის სახელთან მისი გაიგივება მცდარია (იხ. გეორგიკა, I, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, გამოსცეს ალ. გამყრელიძემ და სიმ. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1961, გვ. 121-122, 160; დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბილისი, 1977, გვ. 169, 218-220).

4. **პეტერსდორფი** – მარიენფელდის მახლობლად იყო (იხ. აქვე), სახელწოდება მიენიჭა პეტრე I-ის პატივსაცემად. ვიურტემბერგელი კოლონისტები აქ 1818 წ. დასახლდნენ. მოგვიანებით იგი მარიენფელდს შეუერთდა (იხ. გ. მანჯგალაძე, გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიაში, თბილისი, 1974; პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში, მონოგრაფიები, ტ. I, თბილისი, 1949; ა. სონღულაშვილი, გერმანელები საქართველოში, თბილისი, 1995; ავგუსტ ჰაქსტჰაუზენი საქართველოს შესახებ, გ. გელაშვილის გამოც., თბილისი, 2011; ლ. მიქიაშვილი, პატარა ექსკურსია კახეთში (ეპიზოდი დიუბუა დე მონპერეს ნაშრომიდან “მოგზაურობა კავკასიის გარშემო”), კრებ. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, თბილისი, 2016, #2 და სხვ.).

მარიენფელდი – მდებარეობდა კახეთის გზატკეცილზე, სართიჭალაში (მდ. ივრის ნაპირზე). გერმანელი კოლონისტები აქ 1817 წ. დასახლდნენ.

5. **პერისტილი** – სვეტნარით (კოლონადით) გარშემორტყმული მოედანი ან შიდა ეზო.

6. **დესეტინა, არპანი -** იხ. დანართი №1, კომენტ. 23,24.

7. მუხროვანი – სოფელი ქვემო ქართლში (გარდაბნის მუნიციპალიტეტში). აქ არის ეკლესია-გამოქვაბული XV ს-ის მოხატულობით (ნ. ჩიხლაძე, მუხროვანის ეკლესიის საკონქო გამოსახულების იკონოგრაფიისათვის, ნარკვევები, VI, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, თბ., 2000, გვ. 83-92).

8. მთავარმართებელ ა. ერმოლოვთან კავკასიაში მისი ორი ნათესავი მსახურობდა (ს.ნ და პ.ნ. ერმოლოვები). როგორც ჩანს, აქ იგულისხმება სერგეი ნიკოლოზის ძე; საგულისხმოა, რომ ნ.ნ. მურავიოვ-კარსკი წარუმატებლად ცდილობდა, ეს უკანასკნელი დაექორწინებინა ნინო ჭავჭავაძეზე, რადგან სასტიკად არ მოსწონდა გრიბოედოვი. (იხ. ი. ანდრონიკაშვილი,საქართველო მ. ლერმონტოვის შემოქმედებაში, თბილისი, 1953, გვ. 248; Т. Харламова, Еще несколько слов о Грибоедове, Москва, 1980).

9. **კივერი** – ძველებური მაღალი, ცილინდრული ფორმის სამხედრო ქუდი (ტყავისა და მაუდისა). ხშირად ამშვენებდა ბუმბულისაგან დამზადებული ე. წ. „სულთანი“. ევროპული ქვეყნების არმიებში გავრცელებული იყო 1801 წლიდან, რუსულ არმიაში – 1805 წლიდან. რუსული

კიერი სახმარად მძიმე და მოუხერხებელი იყო, მაგრამ ჯარისკაცს გარკვეულწილად მაინც იცავდა თავის არეში ხმლის დაკვრისას.

10. იგულისხმება ალექსანდრე მაკედონელი: დაპყრობილ ტერიტორიებზე ძალაუფლების შენარჩუნებისა და განმტკიცების მიზნით იგი მართლაც აარსებდა თავისი სახელობის ქალაქებს – ალექსანდრიებს (მათი რაოდენობა დაახლ. 70-მდე იყო).

11. **შვეცოვი პავლე** - ქართველ გრენადერთა პოლკის მაიორი, კავკასიის ომების აქტიური მონაწილე. 1817-1818 წწ. იბრძოდა ჩეჩნეთში, მონაწილეობდა მთიულეთის, იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს აჯანყებების ჩახშობაში. გამბას მიერ აღწერილი შემთხვევა მოხდა 1816 წელს, როცა შვეცოვი შემახადან შვებულებით მიდიოდა; ყიზლარში ჩასვლამდე იგი მთიელებმა დაატყვევეს და გამოსასყიდად დიდი თანხა მოითხოვეს. გენერალმა კოტლაიარევსკიმ, რომელიც მიღებული ჭრილობების გამო იმ დროს უკვე გადამდგარი იყო სამხედრო სამსახურიდან, გარკვეული თანხა გაიღო და გაზეთებშიც გამოაქვეყნა მიმართვა შვეცოვისათვის თანხის შესაგროვებლად. მიმართვას მართლაც ბევრი გამოეხმაურა (Дж. Ватейшвили, Генерал П.С. Котляревский, очерк жизни и боевой деятельности, Тбилиси, 1980, გვ. 50).

12. **ყიზილიურტი** – ქალაქი დაღესტანში, მდ. სულაკის ნაპირზე (მახაჩყალიდან 53 კმ-ში).

დერბენდი/დარუბანდი – ქალაქი კასპიის ზღვის სანაპიროზე (ვრცლად მის შესახებ იხ. თავი XIV). **ყიზლარი** – ქალაქი დაღესტანში.

13. **მობეჟი** – ქალაქი საფრანგეთის ჩრდილოეთ ნაწილში, ბელგიის საზღვართან. 1814 წ. ნაპოლეონის წინააღმდეგ კოალიციის გამარჯვების შემდეგ აქ რამდენიმე წლით განლაგებული იყო რუსული საოკუპაციო კორპუსი მ. ვორონცოვის (გენერალი, კავკასიის მეფისნაცვალი 1844-1854) მეთაურობით; რუსი მემუარისტის Aფ. ვიგელის ცნობით, ამ პერიოდში მობეჟს "რუსული საფრანგეთის დედაქალაქი" შეარქვეს.

14. **კაჩემი** - სოფ. ხაშმი უნდა იყოს (საგარეჯოს მუნიც.), მდ. ივრის მარცხენა ნაპირზე, გომბორის ქედის სამხრეთ-დასავლეთ კალთაზე.

15. ალაზანი და იორი მინგეჩაურის წყალსაცავში ჩაედინებიან, უწინ კი იორი მართლაც ალაზანს უერთდებოდა.

16. **დამპალა** მოხსენიებულია ვახუშტი ბატონიშვილთან: "იორის პირს ყოფილა სასახლე, დამპალას" (ვახუშტი "აღწერა სამეფოსა საქართველოსა", გვ. 343,1) და ქართულ საისტორიო საბუთებში (მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, გამოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ და შ. ბურჯანაძემ, ტ.I, თბილისი, 1964, გვ. 70), თუმცა მისი ადგილმდებარეობა დღემდე დაუზუსტებელია, მკვლევართა აზრით იგი ლოკალიზდება საგარეჯოს მუნიციპალიტეტში (ტოპოარქეოლოგიური..., გვ.174).

17. **ქიზიყი** - ისტორიული კუთხე კახეთში, ყარაიის ველიდან ივრისა და ალაზნის ქვემო წელის აუზში (ახლ. სიღნაღისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტები). ანტიკურ და ფეოდალურ ხანაში "კამბეჩოვანი"ერქვა, სახელწოდება „ქიზიყი" წყაროებში XV ს-დან გვხვდება. V ს-დან იგი ქართლის სამეფოს შემადგენლობაშია, VIII-X სს. ჰერეთის სამეფოს საერისთავოა (ცენტრით ხორნაბუჯში); XI-XIII სს. გაერთიანებული საქართველოს შემადგენლობაშია (ხორნაბუჯის საერისთავო), XV ს-დან მოიხსენიება როგორც „ქიზიყის სამოურავო. XVII ს. მთელი კახეთის ცენტრად ითვლება ქიზიყის ტერიტორიაზე მდებარე ყარაღაჯი (საზაფხულო რეზიდენცია იყო მაღარო). ისტორიულად ქიზიყი ძირითადი ძალა იყო დამპყრობლებთან ბრძოლაში, მაგ. XVIIIს. თეიმურაზისა და ერეკლე მეფობისას იგი განსაკუთრებულ როლს ასრულებდა დაღესტნელთა და ჭარ-ბელაქნელთა თავდასხმების მოსაგერიებლად. ქიზიყი უბატონო ქვეყანა იყო და უშუალოდ მეფეს ემორჩილებოდა. XV ს-ში გიორგი VIII-ის მიერ ოთხ სადროშოდ დაყოფილ კახეთში მეწინავე ქიზიყი იყო. სადროშოს საზღვრები ქიზიყიდან კისისხევამდე ვრცელდებოდა და ომიანობის დროს ჯარს ბოდბელი ეპისკოპოსი მეთაურობდა.

სიღნაღი - მდებარეობს გომბორის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთ კალთაზე. XVIII ს. ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით, ქალაქისა და მის გარშემო ზღუდის (გალავნის) მშენებლობა, სადაც ქიზიყის მთელი მოსახლეობა ეტეოდა, ერეკლე II-ს 1762 წ. დაუსრულებია. ("სიღნაყი" თურქ. წყლიანი თხრილითა და მიწაყრილით გამაგრებულ ადგილი). არსებობს მოსაზრება, რომ სიღნაღს ძველად ქიზიყი ეწოდებოდა. რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ ახალი ადმინისტრაციული დაყოფის თანახმად სიღნაღი სამაზრო ქალაქი გახდა. ალბათ ამას გულისხმობს გამბა, როცა სიღნაღს მაზრისა და მთელი კახეთის "მთავარ ქალაქად" მოიხსენიებს (თოდრია თ., ქიზიყის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს სისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ. VI, თბილისი, 1982; დ. მუსხელიშვილი, ქიზიყის ძველი ისტორია, თბილისი, 1997; შ. მესხია, საისტორიო ძიებანი, ტ. II, თბილისი, 198, გვ. 219-222; სინ, IV, გვ. 828; ტოპოარქეოლოგიური..., გვ. 481).

18. კახეთის აჯანყება რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ 1812 წლის 31 იანვრიდან 1813 წლის ზაფხულამდე გაგრძელდა. აჯანყებაში მონაწილეობდნენ ქართლ-კახეთის თავადები და ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელიც ირანის მხარდაჭერით ვარაუდობდა სამეფო ტახტის აღდგენას (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბილისი, 1965; ა. კიკვიძე, გლეხთა აჯანყება კახეთში 1812 წელს. თბილისი, 1941; Маркова О., Восстание в Кахетии 1812 г., Москва, 1951; ალ. ფრონელი, ამბოხება კახეთისა (1812), ტფილისი, 1907; საქართველოს ისტორიის ნარკვევები (შემდეგ: ***სინ***) ტ. IV, თბილისი, 1973, გვ. 920-930; გ. ცინაძე, რუსეთ-საქართველოს ომი, წწწ. საუნჯე.გე და სხვ.).

19. **მონტესკიე შარლ ლუი, ბარონი დე სეკონდა** (1689-1755) - XVIII ს. ფრანგი განმანათლებელი, აბსოლუტური მონარქიის მოწინააღმდეგე. გამბას მხედველობაში აქვს მისი ნაშრომი რომაელებზე (Considérations sur les causes de la grandeur des Romains et de leur decadence, Amsterdam, 1734 – Рассуждения о причинах величия и падения римлян).

20. ახლ. დედოფლისწყარო (საბჭოთა პერიოდში – წითელწყარო).

21. **ვაქირი** - სოფ. სიღნაღის მუნიც-ში; XV ს. II ნახევრიდან შედიოდა ქიზიყის სამოურავოში და კახეთის მეწინავე, ბოდბელის სადროშოში (თ. თოდრია, დასახ. ნაშრ., გვ. 81).

22. **ყარაღაჯი** - მდებარეობს სიღნაღის მუნიციპალიტეტში, ალაზნის მარჯვენა ნაპირას, ახლ. სოფ. ყარაღაჯიდან ჩრდ.-აღმ-ით. ყარაღაჯზე გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო-სატრანზიტო გზა, რომელიც სიღნაღი-თელავი-ახმეტა-თიანეთი-ჟინვალის, შემდეგ კი დარიალის ხეობის გავლით შაქსა და შირვანს ჩრდილოეთ კავკასიასთან აკავშირებდა. XVII ს-ში აქ კახეთის ყიზილბაში ხანების რეზიდენცია იყო, XIX ს. დასაწყისიდან კი რუსეთის ჯარი იდგა: რუსებმა პატარა ციხესიმაგრე ააგეს და 20-იანი წლებისათვის აქ დაბანაკდა ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკი, რომელსაც „კორდონის ხაზის" დაცვა და ლეკთა თავდასხმების მოგერიება ევალებოდა (ტოპოარქეოლოგიური.., გვ. 560; ჯ. გვასალია, კახეთის ქალაქების ისტორიული გეოგრაფიისათვის, "მაცნე", ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №1, 1986, გვ. 58-68).

23. **მუკუზანი** - სოფელი გურჯაანის მუნიციპალიტეტში, გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთაზე. წყაროებში იხსენიება XVII ს-დან.

24. **სიკომორი** (Ficus sycomorus) - მაღალი (40 მ-მდე) ხე ფიკუსის გვარისა აღმ. აფრიკასა და წინა აზიაში, ლეღვის მსგავსი ნაყოფით და მაგარი მერქნით; იგივე -ლეღვსულელი (საბა, *ლექსიკონი ქართული*, II, თბილისი, 1993, გვ.88), ჭადარი, მთის ბოკვი (ა. მაყაშვილი, *ბოტანიკური ლექსიკონი*, თბილისი, 1991, გვ. 63, 193).

25. გამბა **წინანდლის** მამულს აღწერს; ჭავჭავაძეების სახლი მდ. კისისხევის ნაპირას, დამრეც ფერდობზე იდგა და ალაზნის ველს გადაჰყურებდა. ალექსანდრე ჭავჭავაძე (1786-1846) დაიბადა პეტერბურგში, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწისა და დიპლომატის - გარსევან ჭავჭავაძის (1757-1811) ოჯახში. მონაწილეობდა 1804 წ. ცარიზმის წინააღმდეგ

მთიულეთის აჯანყებაში, რომლის მიზანი იყო ქართული სამეფოს აღდგენა. აჯანყების ჩახშობის შემდეგ იგი ტამბოვში გადაასახლეს.

26. სინამდვილეში ალექსანდრეს დედა მარიამ (მაია) ავალიშვილი (1758-1836) ცნობილი ქართველი მოღვაწის, მწერლისა და მოგზაურის გიორგი ავალიშვილის (1769-1850) და იყო. თანამედროვეთა დახასიათებით, სათნო და თავისი დროისათვის მეტად განათლებული ადამიანი. ალექსანდრეს მეუღლე იყო სარდალ იოანე დავითის ძე ორბელიანის ასული და ლუარსაბ ორბელიანის და. საყოველთაოდ ცნობილ ლეგენდას ორბელიანთა წარმომავლობაზე აქ აღარ შევეხებით (ა. ჭავჭავაძე, *თხზულებანი*, რედ. ი. გრიშაშვილი, თბილისი, 1940; მ. ბერძნიშვილი, *მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის*, II, თბილისი, 1983; ზ. ცქიტიშვილი, *გარსევან ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა*, თბილისი, 1982);

27. **კონდოლი** - სოფელი თელავის მუნიციპ.-ში, ალაზნის ველზე, მდ. კისისხევის მარცხენა ნაპირზე. XVII-XVIII სს-ში ეკუთვნოდა ალავერდის ტაძარს (ტოპორარქეოლოგიური.., გვ. 299). „ღვინო კონდოლისა წარჩინებული“ (ბატონიშვილი ვახუშტი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება*, ტ. IV, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., თბილისი, 1973, გვ. 547,2).

28. **ივანე აფხაზი** - სავარაუდოდ, კარდანახელი მემამულე ივანე შერმაზანის ძე აფხაზი (მაქს. ბერძნიშვილი, *დასახ. ნაშრ.*, ტ. I, გვ. 161-162).

29. **შაპტალი, ჟან-ანტუან კლოდ** (1756-1832), გრაფი შანტელუ - ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე, სწავლული ქიმიკოსი, ექიმი, პეტერბურგის მეცნ. აკადემიის საპატიო უცხოელი წევრი; ღვინის დაყენების მის მიერ შემუშავებულ მეთოდს “შაპტალიზაცია” ეწოდება. მისი სახელი შეტანილია XVIII-XIX სს. გამოჩენილ ფრანგ მეცნიერთა 72-კაციან სიაში, რომელიც ეიფელის კოშკის პირველ სართულზეა მოთავსებული.

30. როგორც ჩანს, გამბა აქ ქართულ კევრს აღწერს.

31. **თელავი** - ქალაქი კახეთში, ცივი მთის ბორცვზე. წყაროებში პირველად იხსენიება XI ს-ში. XII ს-ში სამეფო ქალაქია; 1706 წ. ლეკთა შემოტევების გამო მეფე დავით III იმამ-ყულიხანმა კახეთის დედაქალაქი ყარაღაჯიდან თელავში გადმოიტანა; აქ დაიბადა და აქვე გარდაიცვალა ერეკლე II (1744-1798). არსებობს მოსაზრება, რომ ბერძენი გეოგრაფოსის კლავდიოს პტოლემაიოსის (ახ. წ. აღ. II ს.) „გეოგრაფიაში“ დაახელებული ქალაქი „თელაივა/თელადა“ იგივე თელავია; გარდა ამისა, „თუბლას“ სახელწოდებით თელავი მოხსენიებულია X ს. არაბულ წყაროშიც (ვრცლად იხ. *ტოპორარქეოლოგიური..*, გვ. 242-247).

32. **გომბორი/ცივ-გომბორის ქედი/ჰერეთის მთა/ცივის მთა** - კავკასიონის მთათა სისტემასთან დაკავშირებული ქედი, მდ. ალაზნისა და ივრის წყალგამყოფი. მასზე გადიოდა ივრის ხეობისა და ალაზნის ველის დამაკავშირებელი უმოკლესი გზები; ისტორიულ წყაროებში დაფიქსირებულ სახელწოდებათაგან (იხ. ზემოთ) უძველესი უნდა იყოს „ჰერეთის მთა“, ხოლო გვიანდელი - „გომბორის ქედი“, რომელიც აქ გზატკეცილის გაყვანის შემდეგ დამკვიდრდა (თ. თოდრია, ა.თოდრია, მ. ფუტკარაძე, გარე კახეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, *კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები*, VIII, 1988, გვ. 113;).

33. **მითრიდატე** - იგულისხმება მითრიდატე VI ევპატორი (ძვ. წ. აღ. 132-63), პონტოს მეფე.

34. **ადამ ოლეარიუსი/ოლშლეგერი** (1599-1671) - გერმანელი სწავლული, მოგზაური, მათემატიკოსი, ასტრონომი და გეოგრაფი. 30-წლიანი ომის დროს (1618-1648) საცხოვრებლად შლეზვიგ-ჰოლშტაინში გადავიდა და ჰერცოგ ფრიდრიხ III-ის სამსახურში ჩადგა. ამავე პერიოდში გაემგზავრა რუსეთში ჰოლშტაინის საელჩოს მდივნის (მოგვიანებით - მრჩევლის) რანგში (ელჩობის მიზანი იყო მოსკოვში ხელშეკრულების გაფორმება

გერმანისათვის ირანთან სატრანზიტო ვაჭრობის უფლების მისაღებად). ეს მოგზაურობა (კასპიის ზღვის მხრიდან რუსეთის გავლით - სპარსეთში) აღწერილია 1647 წ. მის მიერ გამოქვეყნებულ ვრცელ ნაშრომში; ოლეარიუსი საქართველოში არ ყოფილა, თუმცა მის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობები აქვს მოპოვებული (იხ. *Подробное описание путешествия Гольштинского посольства в Московию и Персию*, пер. П. Барсова, Москва, 1870; М.А. Полиевктов, *Европейские путешественники XIII-XVIII вв. по Кавказу*, Тифлис, 1935, გვ. 150-155; *Адыги, балкарцы и карачаевцы в известиях европейских авторов XIII-XIX вв.*, составитель В.К. Гарданов, Нальчик, 1974, გვ. 82. ბ. ჯავახია, *საქართველო და ქართველები ადამ ოლეარიუსის მოგზაურობის წიგნში*, თბილისი, 2005) .

35. **ჭარი/ფიფინეთი** - იოანე ბატონიშვილის ნაშრომში იხსენიება კახეთის სოფლების ჩამონათვალში: „ენისელს რაც მიეწერება სოფლები სამეფო, სათავადო, სააზნაურო და საეკლესიო... ფიფინეთი ანუ ჭარი“ (იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, გამოსცეს თ. ენუქიძემ და გ. ბედოშვილმა, თბილისი, 1986, გვ. 72); გიულდენშტედტის ნაშრომში ასევე „კახეთის მხარეში“ მოიხსენიება სოფელი ჭარი (იხ. *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში*, თარგმანი გ. გელაშვილისა, ტ. II, თბ., 1964. 261). ფიფინეთი პირველად XVI ს. წყაროებში გვხვდება, ჭარი მას XVIII ს-ში ეწოდა (*ტოპარქეოლოგიური..*, გვ. 524).

36. **მუხროვანი** - აქ იგულისხმება სოფელი საგარეჯოს მუნიც-ში (გარე კახეთი).

37. **დაღესტანი** - ახლ. დაღესტნის რესპუბლიკა (რუსეთის ფედერაციაში) მდებარეობს ჩრდილო კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში, კასპიის ზღვის სანაპიროზე (სამხრეთიდან და სამხრეთ დასავლეთიდან ესაზღვრებიან აზერბაიჯანი და საქართველო). სახელწოდება ცნობილია XVII ს-დან და თურქულ-ირანული წარმომავლობისაა (დაგ - თურქ. მთა/მიწა/ქვეყანა და სთან - ირან. გეოგრაფიული ადგილის მაწარმოებელია, ანუ „მთების ქვეყანა“ - იხ. ნ. ხუციშვილი, *დაღესტანი*, თბილისი, 2002; თ. ბოცვაძე, *საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან*, თბილისი, 1968).

38. **ნუხის ანუ შაქის სახანო** - ფეოდალური სახელმწიფო აზერბაიჯანის ჩრდილო ნაწილში XVIII ს. შუა ხანებიდან XIX ს. დასაწყისამდე: 1805 წ. ხელშეკრულებით შაქელმა სელიმ-ხანმა რუსეთის ვასალობა აღიარა, და ხარკის გადახდაც იკისრა. 1813 წ. გულისტანის ზავით რუსეთმა სხვა აზერბაიჯანულ სახანოებთან ერთად შაქის სახანოზეც განიმტკიცა უფლებები, 1819 წლიდან კი შაქის სახანო პროვინციის სტატუსით დაექვემდებარა რუსეთის სამხედრო ადმინისტრაციას.

39. **მინგეჩაური/მინგეჩევირი** - ქალაქი (1948 წლიდან) აზერბაიჯანში.

40. **შემახა** - ერთ-ერთი უძველესი ქალაქი აზერბაიჯანში, შემახის სახანოს ცენტრი XVIII ს. შუა ხანებში. **არდებილი** (არდაველი) - უძველესი ქალაქი ირანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში (ირანის აზერბაიჯანში), არდებილის პროვინციაში.

41. **გავაზი/ძველი გავაზი** - ისტორიული სოფელი კახეთში, მდებარეობდა თანამედროვე ახალსოფლის ტერიტორიაზე ყვარლის მუნიციპალიტეტში, მდ. ალაზნის მარცხენა შენაკადის - ავანისხევის (გავაზისწყლის) ორივე ნაპირზე. ქართულ წერილობით წყაროებში პირველად იხსენიება IX ს-ში (*ქსე*, 2, თბ. 1977, გვ. 623).

42. **დიდოეთი** - ისტორიული მხარე დაღესტანში, მდ. ანდის ყოისუს ზემო დინებაზე. XII-XIII სს-ში საქართველოს ყმადნაფიცი იყო, XV ს. მეორე ნახევრიდან კახეთის სამეფოს შემადგენლობაშია, XVIII ს. მეორე ნახევრიდან საბოლოოდ გამოეყო საქართველოს(თ. ბოცვაძე, საქრთველო-დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდნ, XV-XVIII სს., თბილისი, 1968).

გონზუკური-იგივე ონსოქოლო (ოსოქოლო//უნცუქკული// უნზუკული//ოსოკური), სოფელი შიდა დაღესტნის მხარეში (ყოისუბუ); განთქმული იყო იარაღის ოსტატებით. აქ

ჰყავდათ ლეკებს დატყვევებული დავით გურამიშვილი (ა. დიუმა, დასახ. გამოც., გვ. 485, შენ. 233).

43. **ელისუს სასულთნო** - ძვ. ჰერეთის აღმოსავლეთი განაპირა თემი მდ. ყანი-ყობასა და ყაფუ-ჩაის შორის. XVII ს.-ში ეს ტერიტორია შაჰ აბასმა კახთა მეფე კონსტანტინეს „გამოსთხოვა“ და გადასცა წახურელ ალი ბეგს, რომელსაც სულთნობაც უწყალობა (სხვა ვერსიის თანახმად კი - გამუსლიმებულ თავად ვახვახიშვილს გადასცა). ასე შეიქმნა ელისუს სასულთნო, რამაც ამ მხარის თავდაცვისუნარიანობა საგრძნობლად დაასუსტა და გზა გაუხსნა საქართველოსადმი მტრულად განწყობილ მუსლიმებს, განსაკუთრებით - დაღესტნელებს, რომლებიც თანდათანობით იკავებდნენ კახეთის სოფლებს; XIX ს. დასაწყისში რუსული მმართველობა ელისუს სასულთნოს „ჭარის პროვინციაში“ მოიაზრებდა, რადგან სულტანი ფაქტიურად ჭარის ჯამაათის ვასალი იყო. იმ დროისათვის ჭარ-ბელაქანს დიდი გავლენა ჰქონდა ელისუს სულთანსა და მეზობელ სახანოებზე (მ. დუმბაძე,*აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან*, თბილისი, 1953, გვ.14-15, 110; თ. პაპუაშვილი, *ჭარ-ბელაქანი*, თბილისი, 1972, გვ. 9-10; მისივე, *საინგილოს ისტორიის ნარკვევები*, თბ., 2008).

44. აღმოსავლეთ კახეთში ჩამოსახლებული დაღესტნელები ბრძოლითა და ძალადობით იკავებდნენ ადგილობრივთა მიწა-წყალს, დროთა განმავლობაში მკვიდრი მოსახლეობის ნაწილი გააძევეს, ნაწილი კი დაიმონეს და იძულებით მიაღებინეს ისლამი („გალეკება“). ამას უნდა გულისხმობდეს გამბა, როცა ინგილოებს „ახლებს ანუ ცოტა ხნის წინათ რჯულშეცვლილებს“ უწოდებს (მ. დუმბაძე, *დასახ. ნაშრ.,* გვ. 21).

45. სავარაუდოდ, „თათრებში“ იგულისხმებიან მუღალები - მონღოლურ-თურქმანული წარმოშობის ხალხი, რომლებიც XVIII-XIX სს. ჩასახლდნენ საინგილოში და ისევე იჩაგრებოდნენ ლეკთაგან, როგორც ინგილოები. მუღალები ყაზახიდან და ბორჩალოდან გამოქცეულ მუსლიმ გლეხებს შორისაც იყვნენ (მ. დუმბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 22,29,57).

46. **ქევხა/ქეთხუდა** - სოფლის მამასახლისი, რომელსაც “სასოფლო კრება” ირჩევდა. მას სისრულეში მოჰყავდა კრების გადაწყვეტილება, სასამართლოს განაჩენი და ა.შ. როგორც წესი, ქევხა ფეოდალური ზედაფენის ინტერესების გამომხატველი იყო (მ. დუმბაძე, გვ. 78).

47. **ჯამაათი** - კრება, ყრილობა., გაბატონებული თემების უმაღლესი ორგანო. სოფლის საკრებულოსაგან განსხვავებით, ჯამაათზე განიხილებოდა პოლიტიკური საკითხები, წყდებოდა საგარეო ურთიერთობის პრობლემები. თემებს შორის საერთო საქმეები განიხილებოდა ყველა გვარის წარმომადგენელ უხუცესთა საერთო კრებაზე, რომელიც იმართებოდა ღია ცის ქვეშ, სოფ. აგდამში (მუხახის ახლოს).

48. ამ ფაქტს მოჰყვა სახალხო მღელვარება ჭარ-ბელაქანში 1822 წელს. ამბოხებულთა დასამორჩილებლად გაიგზავნა სამხედრო ექსპედიცია თავ. გიორგი ერისთავის სარდლობით. ექსპედიციის შემადგენლობაში იყო ნიჟეგოროდელთა დივიზიონიც ალ. ჭავჭავაძის მეთაურობით (იხ. მ. დუმბაძის *დასახ. ნაშრ.,* გვ. 152).

49. **სუნიტები -** ტერმინი მომდინარეობს სიტყვიდან **სუნა** - (გზა, მიმართულება) გადმოცემებით შემონახული და მუსლიმთათვის სახელმძღვანელოდ მიღებული მოციქულ მუჰამადის ნამოქმედარი და სიტყვები. სუნიზმი (შიიზმთან და ხარიჯიზმთან ერთად) ისლამის ერთ-ერთი ძირითადი მიმდინარეობაა. სუნიტებად ითვლებიან ის მუსლიმები, რომლებიც აღიარებენ პირველი ოთხი “მართლმორწმუნე ხალიფას” (აბუ-ბაქრი, ომარი, ოსმანი, ალი) კანონიერებას. სუნიზმისა და შიიზმის გამიჯვნის პროცესი VII ს-შივე დაიწყო (ვრცლად იხ. *ისლამი, ენციკლოპედიური ცნობარი*, თბ., 1999, გვ. 175-176, 212).

ომარი - ომარ I (უმარ იბნ ალ-ხატაბი, დაახლ. 585-644 წწ.), მეორე მართლმორწმუნე ხალიფა (634-344), მოციქულ მუჰამადის სიმამრი და მისი მიმდევარი; მუჰამადთან ერთად შეასრულა ჰიჯრა (მექიდან მედინაში გადასახლება 622 წ.) და მონაწილეობდა ყველა მის

ლაშქრობაში. პირველმა ხალიფამ – აბუ ბაქრმა იგი სიკვდილის წინ თავის მემკვიდრედ დაასახელა. ომარის ზეობის დროს არაბებმა დიდი ტერიტორიები დაიპყრეს, მათ შორის დას. ირანი, ერაყი, სირია, ეგვიპტე და ა.შ. სუნიტური ტრადიცია ომარს იდეალურ გამგებლად და ღვთისმოსავ ასკეტად წარმოადგენს. 638 წ. ომარმა შემოიღო ჰიჯრით წელთაღრიცხვა , რომელიც მთვარის მოძრავ კალენდარს ემყარება (იხ. *ისლამი,* დასახ. გამოც., გვ. 158, 175).

50. **ჰაჯი** - პილიგრიმობა მექაში, მუსლიმის ხუთი ძირითადი მოვალეობიდან ანუ - ისლამის ხუთი ბურჯიდან ერთ-ერთი. ჰაჯი, ცხოვრებაში ერთხელ მაინც, სავალდებულოა ყველა მუსლიმისათვის. მუსლიმთა მოგზაურობა მექაში სახიფათო იყო და ბევრი მათგანი სამშობლოში ვეღარ ბრუნდებოდა, შესაბამისად, შინ მშვიდობით დაბრუნებული მომლოცველი ბედნიერ ადამიანად ითვლებოდა და მას „ჰაჯის“ (ანუ წმინდანს) ეძახდნენ (*ისლამი* ..., გვ. 233).

51. **ოყა, ბათმანი** - იხ. დანართის კომენტარებში.

თავი IV

1. იგულისხმება რუსეთის წინააღმდეგ იმერეთის აჯანყება 1819-1820 წწ.

2. **მუხრანი/მუხნარი** - ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე ქართლში (ახლ. მცხეთის რ-ნის ტერიტორია, ძირითადად მოიცავდა მუხრანის ველს), სახელწოდება წარმოდგება “მუხიდან”. საზღვრები: აღმოსავლეთიდან შემოზღუდულია არაგვით, სამხრეთიდან – მტკვრით, ჩრდილოეთიდან - ციხევდავის/ციხებოდავის ქედით; სახელწოდება მუხნარი („მუხრანი“ რ-ნ მეტათეზისის შედეგია) მომდინარეობს მუხისაგან, რომლის ნარგავებითაც მდიდარი იყო ეს მხარე; “მუხნარით კერძი” ქალაქი ისტორიულ წყაროებში მცხეთის ჩრდილოეთი უბნის მნიშვნელობით იხმარება. XVIII ს. 70-იანი წლებიდან მუხრანი აღნიშნავს ერთ დასახლებულ პუნქტს, კერძოდ, ძველ სოფელ შიოსუბანს (დაწვრილებით იხ. ჯ. გვასალია, *აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები,* თბილისი, 1983, გვ. 97-107);

3. გამბა საუბრობს **ქსნის ერისთავებზე**, რომელთა ოსური წარმომავლობის შესახებ გადმოცემა შემონახულია ქსნის ერისთავთა ისტორიის ამსახველ წყაროში “ძეგლი ერისთავთა (იხ. შ. მესხია, ძეგლი ერისთავთა, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1954, ნაკვ. 30); წყარო დათარიღებულია XIV-XV სს-ით, მისი ავტორი (ავგაროზ ბანდაისძე) ძირითადად ფოლკლორულ გადმოცემებსა და ძველ ქრონიკებს ემყარება. ქსნის ერისთავთა საგვარეულო სამარხი ლარგვისში იყო, მათ რეზიდენციას კი წარმოადგენდა ქვენიფნევი (აქედან წარმოსდგება მათი გვარი – ქვენიფნეველი). XVI-XVII სს. მიჯნაზე ერისთავებს რეზიდენცია ახალგორში გადმოაქვთ, ხოლო საგვარეულო სამარხი - იკორთაში (დაწვრილებით იხ. ჯ. გვასალია, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 62-79). XV ს-დან ქსნის ერისთავთა მამული იყო აგრეთვე მაღრან-დვალეთი. XVII ს. პირველი ნახევრიდან დვალეთში – საქართველოს ისტორიულ პროვინციაში დაიწყო ოსთა ჩამოსახლება ჩრდილო კავკასიის მთიანი ხეობებიდან (რ. თოფჩიშვილი, *საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა* და *შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები*, თბილისი, 1997, გვ. 218).

4. **ჭალა** - 1791 წ. დავთრის მიხედვით, საამილახვროს კუთვნილი სოფელი მდ. რეხულის (ლეხურის) ხეობაში (ჯ. გვასალია, დასახ. ნაშრ., გვ. 94).

5. **გორი** - შიდა ქართლის ცენტრალურ ნაწილში, ლიახვისა და მტკვრის შესართავთან მდებარეობს. წყაროებში პირველად იხსენიება VII ს-ში. სახელწოდება მიიღო მისივე ცენტრში მდებარე კლდოვანი გორისაგან, რომელზეც აღმართული ისტორიული ციხესიმაგრე გორის ციხე (წყაროებში XIII ს-დან იხსენიება). ქალაქი უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ და ეკონომიკურ გზათა გადაკვეთაზე მდებარეობდა და მისი დაუფლება

მთელი შიდა ქართლის კონტროლის შესაძლებლობას იძლეოდა (დ. გვრიტიშვილი, *გორის ისტორია*, თბილისი, 1954; *ტოპოარქეოლოგიური...*, გვ. 156-158).

6. **ფშანი** - მდინარე ქართლში, ძველად – ლიახვის ერთ-ერთი შენაკადი.

7. **კაპუცინები** - (იტალ. cappucio - კაპიუშონი) - დაახლ. 1525 წ. იტალიაში დაარსებული კათოლიკურ-მონაზვნური ორდენი (ფრანცისკანელთა შტო), რომელიც XVI-XVIII სს-ში დასავლეთ ევროპის მრავალ ქვეყანაში გავრცელდა. ორდენის ბერები ატარებდნენ უხეში მაუდის კაპიუშონიან ანაფორებს (აქედან მიიღეს სახელწოდებაც), ახასიათებდათ მაღალი სულიერება და ასკეტური ცხოვრების წესი, სახელი გაითქვეს გულმოწყალე მისიონერული საქმიანობით. საქართველოში (კერძოდ თბილისში) კაპუცინები XVII ს-ის 70-იანი წლებიდან დამკვიდრდნენ, მას შემდეგ, რაც თეათინელმა ბერებმა დატოვეს ქართლი (1633-1634) და გადაინაცვლეს სამეგრელოში. მისიონერები ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერითა და მფარველობით სარგებლობდნენ (მ. თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, ტფილისი, 1902, გვ. 222-დან).

8. **ჟან შარდენი** (1643-1713) - ფრანგი იუველირი და მოგზაური; 1664-1670 წწ. იმოგზაურა ინდოეთსა და ირანში, სადაც შაჰის კარზე რამედიმე წელი დაჰყო. საფრანგეთში დაბრუნებისთანავე (1671 წ.) გამოაქვეყნა თავისი პირველი თხზულება „შაჰ სულეიმანის მეფედ კურთხევა“, სადაც მნიშვნელოვანი ინფორმაციაა მოცემული იმდროინდელი სპარსეთის შესახებ. 1671 წ. შარდენმა ხელმეორედ იმოგზაურა სპარსეთსა და ინდოეთში, ამჯერად კონსტანტინოპოლიდან შავი ზღვისა და კავკასიის გავლით. ამ მოგზაურობის დროს დაწერილი თხზულების მნიშვნელოვანი ნაწილი ეძღვნება საქართველოს *(ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში*, ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბილისი, 1975; თხზულების მეორე, შევსებული გამოცემა: *შარდენის მოგზაურობა, ცნობები საქართველოს შესახებ*, ფრანგულიდან თარგმნეს, შესავალი და კომენტარები დაურთეს მ. მგალობლიშვილმა და გ. სანიკიძემ, თბილისი, 2018).

9. **თავრიზი** - ქალაქი ირანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში; ამჟამად ირანის პროვინცია ჩრდ. აზერბაიჯანის დედაქალაქი; სეფიანთა სახელმწიფოს სატახტო ქალაქი 1548 წლამდე, გეოგრაფიული მდებარეობით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო ქალაქი იყო. **იაზდი** - ქალაქი ირანის ცენტრალურ ნაწილში.

10. **რუისი** - სოფელი შიდა ქართლში, ქარელის რ-ში. სოფლის ცენტრში დგას ღვთისმშობლის ტაძრის კომპლექსი (ტაძარი, კოშკი-სამრეკლო და გალავანი). „სამხრით ურბნისისა... არს დაბა დიდი რუისი, და ეკლესია ღვთაებისა, გუმბათიანი, დიდი, დიდშენი“ (ვახუშტი, აღწერა.., გვ. 373). ტაძარზე რამდენიმე სამშენებლო ფენაა, მათგან უძველესი VII-IX სს-ებით თარიღდება, 1400 წ. თემურ-ლენგის შემოსევისას ტაძარი საფუძვლამდე დაანგრიეს და იგი ალექსანდრე I-მა (1412-1442) აღადგინა. XVI და XVII საუკუნეებში ტაძარი განაახლეს მროველმა ეპისკოპოსმა დიონისე ლარაძემ და როსტომ მეფის მეუღლემ მარიამ დედოფალმა (გ. ჩუბინაშვილი, რუისის ტაძრის ისტორია, *ენიმკის მოამბე,* V-VI, 1940, გვ. 440; ტოპოარქეოლოგიური.., გვ. 421-423).

11. **გარგარები/გარგარეთი/გარგალი** - სააკაძისეული სოფელი: “როსტომ მეფემ უბოძა გარგარი იორამ სააკაძეს. საქართველოდან გიორგი სააკაძის “გადავარდნის” შემდეგ ეს სოფელი სახასო იყო” (იხ. *მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა* და *ტოპონიმიკისათვის*, დასახ. გამოც., გვ.49).

12. **სურამი** - დაბა მდებარეობს ლიხის ქედის კალთაზე, მდ. სურამულას ნაპირებზე. XII ს-დან იხსენიება, როგორც ქალაქი, XVIII ს-ში იგი სამეფო ქალაქია სამოურავო მმართველობით.სურამი ქვეყნის ერთ-ერთ უძველეს პუნქტს წარმოადგენდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს დამაკავშირებელ გზაზე. სურამის ციხე დაბის სამხრეთ

ნაწილში, მდინარისპირა კლდოვან გორაკზეა აღმართული. კომპლექსში შედის გალავანი, ციხე, წმინდა გიორგის ეკლესია, სასახლე; აგებულია XII-XIII სს-ში (ჯ. გვასალია, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 139-146; *ტოპოარქეოლოგიური..*, გვ. 492-493).

13. **პოლკოვნიკი პუზირევსკი ივანე** - იმერეთის მმართველი, მონაწილეობდა იმერეთის 1819-1820 წლების ამბოხების ჩახშობაში; 1820 წ. აპრილში ქაიხოსრო გურიელის დასასჯელად მოაწყო სამხედრო ექსპედიცია (გურიელმა შეიფარა სოლომონ I-ის ასულის დარეჯანის ვაჟი ივანე ქაიხოსროს ძე აბაშიძე, რომელიც ამბოხებულებმა მეფედ წამოაყენეს) და გურულებმა მოკლეს (Махарадзе Н.В., *Восстание в Имеретии в 1819-1820 гг.*, *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*, ნაკვ. III, თბილისი,1942, გვ. 95-97; სინ, IV, გვ. 934-935).

14. **რედუტ-კალე** - ნავსადგური დასავლეთ საქართველოში, შავი ზღვის სანაპიროზე, ახლანდ. ყულევი (მდ. ხობისწყლის შესართავთან). დაარსდა 1804 წ., როდესაც აქ რუსული ჯარის ნაწილები განლაგდნენ და რედუტი მოეწყო. შემდგომში იგი რუსეთის ჯარის მთავარ სასურსათო ბაზად იქცა.

15. **მოლითი** - სოფელი იმერეთში, მდ. ჩხერიმელის მარვენა ნაპირზე; წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVII ს-ში. აქ გადიოდა გზა აღმოსავლეთიდან დასავლეთ საქართველოსაკენ. შემორჩენილია გვიანფეოდალური ხანის კოშკის ნანგრევები.

16. საქარა (დღ. ზედა საქარა და ქვედა საქარა) - სოფელი ზესტაფონის მუნიციპალიტეტში.

17. **მარკიტანტი** - ძვ. ვაჭარი, რომელიც ჯარს დაჰყვებოდა ლაშქრობაში და ყიდდა სურსათს და სხვა წვრილმან საქონელს.

18. **არპანი -** დაახლ. 58,47 მ. (იხ. დანართი I-ს კომენტარი 24).

19. **ქაბუდან (კაპუდან, კაპიტან) ფაშა** - ოსმალეთის ფლოტის ადმირალი.

20. **ვლასოვი, მაქსიმ გრიგოლის ძე** (1767-1848) - დონელ კაზაკთა ატამანის მოადგილე (1836 წ-დან), რუსეთის არმიის კავალერიის გენერალი (1843 წ.). მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთისა და რუსეთ-საფრანგეთის ომებში, 1819 წლიდან მსახურობდა კავკასიაში (მათ შორის – საქართველოშიც), სადაც სადამსჯელო ოპერაციებში მონაწილეობდა იმერეთისა და შირვანის ამბოხებების ჩასახშობად. 1820-1826 წწ. შავი ზღვის კაზაკთა არმიას მეთაურობდა (*Энциклопедический словарь Брокгауза и Эфрона*, т. VIA, 1892, გვ. 669).

21. **ჩოლაბური** - მდინარე დასავლეთ საქართველოში, ყვირილას მარჯვენა შენაკადი.

22. **ცხენისწყალი** - მდინარე დასავლეთ საქართველოში, რიონის მარჯვენა შენაკადი.

მარანი - სოფელი დასავლეთ საქართველოში, სამეგრელო-ზემო სვანეთის მუნიციპალიტეტში. მდებარეობს ოდიშის დაბლობზე, მდ. ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს.

23. **ახალქალაქი** - (ქართლის ახალაქალაქი), სოფ. შიდა ქართლში, კასპის მუნიცი-პალიტეტში, მდ. თეძმის ხეობაში (კასპიდან 16 კმ-ზე). გვიან შუა საუკუნეებში მცირე ქალაქი იყო. მას „წითელქალაქად“ ან „მეფისქალაქადაც“ იხსენიებდნენ, რაც როსტომ მეფის (1632-1658) სახელს უკავშირდება, რომელმაც XVII ს. მეორე ნახევარში აქაურობა ააღორძინა. ამის თაობაზე მოგვითხრობს ახალქალაქის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის წარწერა (ჯ. გვასალია, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 162-163; *ტოპოარქეოლოგიური...*, გვ. 74-75).

24. გამბას მხედველობაში აქვს ახალქალაქის შესახებ ეპიზოდი შარდენის „მოგზაურობიდან“: “16 დეკემბერს გორიდან გავემგზავრე... გავიარეთ 7 ლიე, უმთავრესად მდინარე მტკვრის გასწვრივ... აქვეა თითქმის მთლიანად ნანგრევებად ქცეული ქალაქი კალი-კალა (Cali-cala). გზა ზედ ამ ქალაქზე გადის და იგი გორიდან 4 ლიეზეა დაშორებული” (*შარდენის მოგზაურობა*, 2018, გვ. 273; აქვეა ვრცელი კომენტარი - გვ. 405).

25. **პოლ გიბალი** - გამბას პირადი თარჯიმანი მოგზაურობის დროს.

თავი V

1. **ყარაბაღის/შუშის სახანო** - XVIII ს. შუა ხანებში ახლ. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე აღმოცენებულ სახანოებს შორის ერთ-ერთი უძლიერესი იყო. 1748 წ. ნადერ შაჰის ყოფილი სარდლის - ფანაჰ ალი ხანის მიერ მტკვრისა და არაქსის შუამდინარეთში დაარსებულმა სახანომ ძლიერების მწვერვალს მიაღწია იბრაჰიმ ჰალილ ხანის (ფანაჰ ალის ვაჟის) მმართველობისას (1759-1806); ამის მიუხედავად, XVIII ს. ბოლოს, ირან-ოსმალეთის მხრიდან მოსალოდნელი აგრესიის გამო, იბრაჰიმ ხანმა რამდენჯერმე მიმართა რუსეთს მფარველობაში მიღების თხოვნით;1805 წ. გაფორმდა სათანადო ხელშეკრულებაც, ხოლო 1822 წლიდან სახანოს მმართველობა გაუქმდა და იგი რუსულმა სამხედრო ადმინისტრაციამ ჩაანაცვლა (Левиатов В. Н., *Очерки из истории Азербайджана в XVIII в.*, Баку, 1948; Джаваншир А., *О политич. существовании Карабахского ханства с 1747 по 1805 г.*, Баку, 1961);

2. **განჯა/განჯის სახანო** - აზერბაიჯანული ნახევრადდამოუკიდებელი ფეოდალური სახელმწიფო (XVIII-XIX ს. დასაწყ.). მისი ცენტრი იყო ციხე-ქალაქი განჯა, რომელზეც გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო გზა (თბილისი-განჯა-თავრიზი). სახანო მუდმივად ირან-ოსმალეთის ქიშპობის ობიექტი იყო, შესაბამისად, მის შიგნით მიმდინარეობდა ბრძოლა ორ მოწინააღმდეგე ძალას - ირან-ოსმალური ორიენტაციისა და რუსეთთან შეერთების მომხრეთა შორის.

3. **ნუხა/ნუხის** ანუ **შაქის სახანო** - ფეოდალური სახელმწიფო აზერბაიჯანის ჩრდილო ნაწილში; არსებობდა XVIII ს. შუა წლებიდან XIX ს. დასაწყისამდე.

4. **სომხითი** - ა) სომხეთის (არმენია) აღმნიშვნელი სახელწოდება ქართულ ისტორიულ წყაროებში. ამ სახელწოდებით გაერთიანებულია როგორც "ქართლის სომხითი", ისე სომხეთი (არმენია). ბ) შუა საუკუნეების საქართველოში სამშვილდისა და ხუნანის საერისთავოების (ისტ. გაჩიანისა და გარდაბნის ტერიტორია) სახელწოდება; წყაროებში პირველად იხსენიება XI ს-ში, როდესაც ქართულ მიწები, კერძოდ, ქვემო ქართლის უდიდეს ნაწილი სომხეთის (ანისის) სამეფომ დაიპყრო, შესაბამისად, აქ სომხური მოსახლეობაც გაჩნდა და სახელწოდება „სომხითი" ამ ტერიტორიაზეც გავრცელდა. საკუთრივ სომხეთისაგან განსხვავებით, ვახუშტი ბაგრატიონი მა „ქართლის სომხითად" მოიხსენიებს (იხ. *აღწერა*.., გვ. 311-312, 708). ეს ტერიტორია ორ ნაწილად იყოფოდა: „ქუემო კერძო, ქუეყანა სომხითისა", რომელიც გაგის (იგივე ძვ. გარდაბანი) პროვინციას მოიცავდა და, სავარაუდოდ, „ზემო კერძოი ქუეყანა სომხითისა", რომელიც გაჩიანის პროვინციას მოიცავდა. საზღვარი გადიოდა მდ. ქურდვაჭრის (დებედას) ხევზე. გ) გვიანი შუასაუკუნეების ქვემო ქართლის ერთ-ერთი პროვინციის სახელწოდება: მდ. დებედის ქვემო დინებიდან (აღმ-ით) ფოლადაურის ხეობითურთ და მდ. ხრამის ქვემო დინებიდან (ჩრდ-დან) ლელვაჭარ-ლოქის მთებამდე (სამხრ-ით). „სომხითის" ცნების ასეთი დავიწროება ეტაპობრივად, ქვემო ქართლის პოლიტიკური ვითარების ცვლილებების კვალდაკვალ ხდებოდა: სათავადოების აღმოცენება (საბარათიანო, საორბელო...), თურქმანული ტომების მოძალება სამხრეთიდან და ლორეს დაპყრობა, მომთაბარე ელის ჩამოსახლება ქვემო ქართლისა და გარდაბნის ველებზე და ა.შ. (იხ. ივ. ჯავახიშვილი, *საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული,* ტფილისი, 1919, გვ.21; დ. ბერძენიშვილი, *ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან*, თბილისი, 1979; დ. მუსხელიშვილი, ქვემო ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის საველე სამუშაოთა (1956-1958) შედეგები, *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული*, ტ. I, თბილისი, 1960).

5. ქართველთა ეთნარქები, ლეონტი მროველის მიერ "ქართლის ცხოვრებაში" მოხსენიებული ლეგენდარული გმირები: თარგამოსის ძე ქართლოსი, ქართლოსის ძენი - მცხეთოსი, გარდაბოსი, კახოსი, და ა.შ. (ვახუშტი ბაგრატიონი, *აღწერა..*, გვ. 47).

6. **ფარნავაზი** - ქართული წყაროების თანახმად, მცხეთის მამასახლისის - სამარას ძმისწული, დედით სპარსი, ქართლის (იბერიის) სამეფოს პირველი მეფე ძვ. წ. IV-III სს, ფარნავაზიანთა დინასტიის დამაარსებელი.

7. **მირიანი** - ქართლის (იბერიის) უკანასკნელი წარმართი და პირველი ქრისტიანი მეფე IV ს. პირველ ნახევარში.

8. **მირდატი** - ქართლის მეფე IV ს. 60-70-იან წწ. იყო ფრიად მორწმუნე და ეკლესიათა მაშენებელი. მემატიანე მას მიაწერს თუხარისის ეკლესიის აგებას, ერუშეთისა და წუნდას ეკლესიების შემკობას და ა.შ. (იხ. *საქართველოს მეფეები,* მ. ლორთქიფანიძისა და რ. მეტრეველის რედაქციით, თბილისი, 2000, გვ. 34-35).

9. **გიორგი** - გიორგი V ბრწყინვალე, ერთიანი საქართველოს მეფე (1299; 1318-1346; მკვლევართა ნაწილი მისი გამეფების თარიღად 1314 წ. მიიჩნევს; იხ. *საქართველოს მეფეები*, გვ. 161).

10. **ვახტანგი - ვახტანგ VI**, ქართლის ჯანიშინი 1703-1714 წწ., ქართლის მეფე 17016-1724 წწ. „სამართლის წიგნის" სახელით ცნობილი კანონთა კრებულის ავტორი (ვახტანგ VI, *სამართლის წიგნი*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა თ. ენუქიძემ, თბილისი, 1955).

11. საუბარი სასანიანთა ირანის შაჰ **ხოსრო I-ზე**.

12. **იუსტინიანე I დიდი** - ბიზანტიის იმპერატორი (527-565); სასანური ირანის წინააღმდეგ მისი ხანგძლივი ბრძოლის ძირითადი ასპარეზი იყო ეგრისის სამეფო, რომელსაც სტრატეგიული მდებარეობის გამო დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

13. **მაჰმუდ ღაზნევი** - ღაზნევიანთა (თურქული წარმოშობის დინასტიის) სახელმწიფოს სულტანი 998-1030; ნიჭიერი მხედართმთავარი და პოლიტიკოსი, ზრუნავდა მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაზე, თუმცა ამავე დროს იყო დესპოტი მმართველი; მის დროს ღაზნევიდების სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა ახლანდ. ავღანეთი, ირანის ზოგიერთი ოლქი,შუა აზია, ინდოეთის ჩრდილო-დასავლეთი პროვინციები.

14. **ალფ არსლანი** - მუჰამად იბნ დაუდ, სელჩუკთა სახელმწიფოს სულტანი 1063-1072 წწ., რომელმაც ორჯერ (1064 და 1068 წწ.) დალაშქრა საქართველო.

15. **თემურ ლენგი** (ევროპ. ტამერლანი, 1336-1405) - შუააზიელი მხედართმთავარი, ემირი (1370-1405), გათურქებული მონღოლური ტომის ბეგის შთამომავალი. მისი სამეფო წარმოადგენდა ფეოდალურ სამფლობელოთა კონგლომერატს, რომლის დედაქალაქი იყო სამარყანდი. თემურ ლენგის ლაშქრობები განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა. 1386-1403 წწ. იგი რვაჯერ შემოესია საქართველოს და უდიდესი ზიანი მიაყენა ქვეყნის სახელმწიფოებრიობას (იხ. კ. ტაბატაძე, *ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ, XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე,* თბილისი, 1974, გვ. 96-97).

16. **თაჰმასბ (თამაზ) I, შაჰ თამაზი** - ირანის შაჰი სეფიანთა დინასტიიდან (1524-1576); ოსმალეთთან ხანგრძლივი ომი ჰქონდა ამიერკავკასიაში გაბატონებისათვის, რა დროსაც 4-ჯერ ილაშქრა საქართველოში (1541, 1547, 1551 და 1554 წწ.). ბოლო ლაშქრობისას 30 ათასი ტყვე წაიყვანა ირანში. 1555 წ. გაფორმებული ამასიის ზავით ირანმა და ოსმალეთმა გაინაწილეს კავკასია, ხოლო ერაყი წილად ხვდა თურქეთს.

17. **შაჰ აბასი, აბას I დიდი** - ირანის შაჰი (1587-1629) სეფიანთა დინასტიიდან. მის დამპყრობლურ საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ენიჭებოდა საქართველოს: ამიერკავკასიაში გასაბატონებლად მას აუცილებლად მიაჩნდა ქართლ-კახეთის სამეფოების მაჰმადიანურ სახანოებად გადაქცევა. ამ მიზნით პირადად მისი სარდლობით ირანელთა ჯარებმა სამჯერ (1614, 1616 და 1617 წწ.) დალაშქრეს ქართლ-კახეთი, 1625 წ. კი

აჯანყებული ქართველების წინააღმდეგ შაჰმა მრავალრიცხოვანი ჯარი გამოგზავნა. თუმცა ქართველთა შეურიგებელი პოზიციის წყალობით, შაჰ-აბასის გეგმა ვერ განხორციელდა. ამ ნიჭიერი, მაგრამ ვერაგი და დაუნდობელი შაჰის სახელს უკავშირდება ცნობილი ქეთევან დედოფლისა და მისი ვაჟის - თეიმურაზის I-ის შვილების ტრაგიკული ისტორია.

18. **თაჰმასბ (თამაზ) ყული-ხანი**, იგივე **ნადერ შაჰი** - ირანის შაჰი (1736-1747 წწ.) ყიზილბაშთა ავშართა ტომიდან. დაპყრობითი ომებით შექმნა უზარმაზარი იმპერია, სადაც, საკუთრივ ირანის გარდა, პროვინციების თუ ვასალური ტერიტორიების სახით, შედიოდა: სომხეთი, აზერბაიჯანი, აღმ. საქართველო, დაღესტანი, ავღანეთი, ბელუჯისტანი, ხივის და ბუხარის სახანოები. მის სახელს უკავშირდება ქართლ-კახეთში ე. წ. "ყიზილბაშობის ხანა", როდესაც შაჰის ბრძანებით მოსახლეობა აღწერეს (1741 წ.) და უმძიმესი ხარკი დააკისრეს. გარდა ამისა, მოსახლეობას ყიზილბაშთა სასარგებლოდ სამხედრო სამსახურიც ევალებოდა. ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ქართლი, ხოლო კახეთი, თეიმურაზ II-ის მოქნილი პოლიტიკის წყალობით, 1742 წლიდან საბოლოოდ განთავისუფლდა ყიზილბაშთა ხარკისაგან.

19. **ერეკლე II** - კახეთის მეფე 1744-1762 წწ.; ქართლ-კახეთის მეფე 1762-1798 წწ. თეიმურაზ II-ისა და თამარ დედოფლის (ვახტანგ VI-ის ასული) ვაჟი (1720-1798).

20. **ინდი** - მდინარე სამხრეთ აზიის ტერიტორიაზე; სათავეს იღებს ტიბეტში, პაკისტანისა და ინდოეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილებზე გავლით ჩაედინება არაბეთის ზღვაში.

21. **ევფრატი** - (არამეულად - „ტკბილი წყალი") მდინარე თურქეთში, სირიასა და ერაყში; სათავეს იღებს სომხეთის მთიანეთში, გაედინება მესოპოტამიის დაბლობზე, მდ. ტიგროსთან შეერთებისას ქმნის ერთობლივ წყლის ნაკადს შატ-ალ-არაბის სახელწოდებით და ჩაედინება სპარსეთის ყურეში. ითვლება დასავლეთ აზიის ყველაზე გრძელ მდინარედ.

22. **არაქსი** - მდინარე ამიერკავკასიაში, მტკვრის მარჯვენა შენაკადი, სათავეს იღებს თურქეთში (ბინგოლის ქედზე), გაედინება თურქეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, ერთვის მდ. მტკვარს.

23. **ეკატერინე II** - (წარმოშობით პრუსიელი სოფია ფრედერიკა ავგუსტა ფონ ანჰალტ-ცერბსტი), რუსეთის იმპერატორ პეტრე III-ის მეუღლე, თავადაც რუსეთის იმპერატორი 1762-1796 წწ. მისი მმართველობის დროს გეორგიევსკში გაფორმდა 1783 წლის „მფარველობითი ტრაქტატი" ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის.

24. **გიორგი XII** - ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე 1798-1800 წწ., ერეკლე II-ს ვაჟი. 1799 წ. შემუშავებულ „სათხოვართა პუნქტებში" გიორგი XII რუსეთის იმპერატორს სრულ მორჩილებას აღუთქვამდა, სანაცვლოდ კი ბაგრატიონთა სამეფო უფლებების დაცვის გარანტიას ითხოვდა; დოკუმენტში საუბარი არ ყოფილა სამეფოს გაუქმებაზე, რასაც რუსი ისტორიკოსი ნ. დუბროვინიც აღნიშნავდა (**Н. Дубровин,** История войны и владычества русских на Кавказе, т. 3. СПб, 1886, გვ. 335). ამავე დროს, 1799 წ. საქართველოში ბაბა-ხანის მოსალოდნელი თავდასხმის საფრთხის გამო, აღნიშნული იყო, რომ დახმარებაზე უარის შემთხვევაში მეფე საერთოდ გაწყვეტდა კავშირს რუსეთთან (გეორგიევსკის ტრაქტატის ჩათვლით) და მხოლოდ მეზობლური ურთიერთობით შემოიფარგლებოდა. 6-პუნქტიანი დოკუმენტის დედანი პეტერბურგში "რედაქტირების" შემდეგ 16 პუნქტამდე გაიზარდა. ეს ვერსია გიორგი XII-ს არ უნახავს (მანამდე გარდაიცვალა), არც ხელმოწერით დაუმტკიცებია, ასევე არ გაფორმებულა მომდევნო შეთანხმების დოკუმენტიც - ორმხრივი საიმპერატორო აქტი. შესაბამისად, მას არანაირი იურიდიული ძალა არ გააჩნია და მხოლოდ ისტორიულ რელიკვიად დარჩა, რაც სათანადოდ არის დასაბუთებული ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში (იხ. **А. Цагарели,** Грамоты, т. II, вып. 2, გვ. 287; З. Авалов, დასახ. ნაშრ., გვ. 191-242; **М. Думбадзе,** Из истории борьбы грузинского народа против

колониальной политики царизма, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნ-ბათა განყ. მოამბე, №5, 1963, გვ. 72. **ზ. ცქიტიშვილი,** გარსევან ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, თბილისი, 1982, გვ. 150; **ე. ხოშტარია-ბროსე,** რუსეთი და საქართველო "ტრაქტატიდან" შეერთებამდე, კრებ. ქართული დიპლომატია, №6, 1999, გვ.33; **O. Джанелидзе,** Завоевание или добровольное присоединение, კრებულში: Некоторые вопросы грузино-русских взаимоотношений в современной историографии, Тбилиси, 2011,გვ.160-200 და ა. შ.). ამის მიუხედავად, 1801 წ. 12 სექტემბერს (გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ) გამოქვეყნდა პავლე I-ს ცნობილი მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან „შეერთების" შესახებ.

25. **პავლე I** - რუსეთის იმპერატორი 1796-1801 წწ. პეტრე III-სა და ეკატერინე II-ის ვაჟი.

26. **ალექსანდრე** - კახეთის მეფე ალექსანდრე II (1574-1605), შორსმჭვრეტელი და ნიჭიერი პოლიტიკოსი იყო, მაგრამ ურთულეს პერიოდში მოუწია მოღვაწეობა : ირან-ოსმალეთთან გატარებული მშვიდობიანი პოლიტიკის წყალობით მოახერხა კახეთის სამეფოს აღორძინება, ამავე დროს მოლაპარაკებებს აწარმოებდა რუსეთთანაც კახეთის მფარველობაში მიღების თაობაზე, რაც საბოლოოდ 1587 წ. გაფორმებული ხელშეკრულებით (ე.წ. „ფიცის წიგნით") დასრულდა; მაგრამ შაჰ-აბასისათვის რუსეთთან კახთა მეფის კავშირი მიუღებელი იყო და ჩვეული სისასტიკით უპასუხა: 1605 წ. 12 მარტს ქ. ძეგამში ოფიციალური მოლაპარაკების დროს ალექსანდრეს უმცროსმა ვაჟმა კონსტანტინემ (რომელიც 7 წლის ასაკიდან მძევლად იმყოფებოდა ირანში) შაჰის საიდუმლო დავალება აღასრულა და ყიზილბაშებს ღალატით მოაკვლევინა მამა, ძმა (გიორგი ბატონიშვილი) და თათბირის მონაწილე კახელი დიდებულები (ვრცლად იხ. ნ. ბერძენიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს-თა მიჯნაზე, *საქართველოს ისტორიის საკითხები,* ტ. IV, თბილისი, 1967, გვ.131-138; ისქანდერ მუნში, *აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება, ცნობები საქართველოს შესახებ*, ტექსტი ქართული თარგმანით და კომენტარებით გამოსცა ნანა გელაშვილმა, თბილისი, 1981, გვ. 51-52, 71).

27. **თევდორე ივანეს ძე** - რუსეთის უკანასკნელი მეფე რიურიკოვიჩთა დინასტიიდან (1584-1598), ივანე IV მრისხანის ძე, იყო უნებისყოფო და უუნარო მმართველი და მის დროს სამეფოს ფაქტიურად განაგებდა მისი ცოლის ძმა ბორის გოდუნოვი (რომელიც მოგვიანებით გამეფდა კიდეც).

28. **გიორგი** (?) - სავარაუდოდ, იგულისხმება გიორგი X (სვიმონ I-ის ძე), თუმცა ამ წლებში (1578-1600) ქართლის მეფეა სვიმონ I, რომლის ურთიერთობის შესახებ რუსეთთან არაფერია ცნობილი; მისი ძის - გიორგი X-ის ხანმოკლე მეფობისას (1600-1606) მართლაც გადაიდგა ნაბიჯები ამ მხრივ, ბორის გოდუნოვმა ქართლის მეფეს დამოყვრებაც კი შესთავაზა (მეფის ასულ ელენესა და თევდორე ბორისის ძე გოდუნოვის დაქორწინება), ამ მიზნით ელჩებიც გაიგზავნა რუსეთს, თუმცა საქართველოში შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარების გამო 1605 წელს აღნიშნული ელჩობა არაგვის ხეობიდან უკან დააბრუნეს (იხ. გ. ჯამბურია, ირან-ოსმალეთის ახალი ომი და ქართლ-კახეთის სამეფოები, *სინ*, ტ. IV; ვ. სიდამონიძე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, ჟურნ. „*ისტორიული მემკვიდრეობა*", 2011, №2, გვ. 22-25).

29. რუსეთის სუზერენობის აღიარების თაობაზე გამბას ეს ცნობა მცდარია: 1615-1619 წწ. ქართლის მეფეა ბაგრატ VII (დავით XI-ის, იგივე დაუდ-ხანის ძე), რომელიც შაჰ-აბასმა ლუარსაბ II-ის ნაცვლად დასვა ქართლის მმართველად და ტიპური ირანელი მოხელე-ხანი იყო; 1619-1631 წწ. ქართლის ტახტზეა სვიმონ II (ბაგრატ VII-ს ძე), ასევე შაჰ-აბასის მიერ ქართლის ხანად დანიშნული, მის „ვექილად და ხელძღვანელად" კი შაჰმა გიორგი სააკაძე

დააყენა. 1625 წ. გიორგი სააკაძის მიერ შაჰის წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყების დროს სვიმონ-ხანი ყიზილბაშებთან ერთად გაიქცა თბილისიდან და აღჯაყალის ციხეში (დღ. მარნეულის რ-ნი) გამოიკეტა, ქართლ-კახეთში კი კახთა მეფე თეიმურაზ I (ალექსანდრე მეფის შვილიშვილი, ქართლ-კახეთის მეფე 1625-1632 წწ.) გამეფდა. თავისთავად გამორიცხულია რუსეთთან კავშირზე ეზრუნა ქართლის მეფეს - როსტომს (1632-1658), რომელიც საკუთარ თავს ირანის ვასალად აღიარებდა. ვახტანგ V, იგივე შაჰნავაზ-ხანი, ქართლის მეფე (1658-1675), მუხრანბატონთა შტოს პირველი წარმომადგენელი, ასევე ირანის შაჰის მიერ დადგენილი „ვალი“ იყო. ქართლის მეფე **გიორგი XI** (1676-1688; 1703-1709) - ასევე არ ჰქონია რუსეთთან კავშირის მცდელობა;

ერეკლე I - ნაზარალი-ხანი (1688-1703), კახეთის მეფის თეიმურაზ I-ის ძის - დავითის ვაჟი, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის სამეფო კარზე აღიზარდა, ასევე ირანის მორჩილიც იყო;

ქაიხოსრო (1703-1711), გიორგი XI-ის ძმის - ლევანის ძე, მართალია შაჰმა ქართლის მეფედ დაამტკიცა, მაგრამ სამშობლოში არ გამოუშვა და ქართლის გამგებლად ისევ მისი ძმა - ვახტანგი (ჯანიშინი) დატოვა.

ვახტანგ VI მხოლოდ 1719 წ. დაბრუნდა სამშობლოში (გამაჰმადიანების შემდეგ) და როდესაც საქართველოს გარშემო შესაბამისი პოლიტიკური ვითარება შეიქმნა, მან სცადა რუსეთის გამოყენება და 1720 წ. ერთობლივი სამხედრო ოპერაციის ჩატარებაზე შეუთანხმდა პეტრე I-ს (1689-1725), მაგრამ ეს მცდელობა წარუმატებელი და, ამავე დროს, ვახტანგისათვის საბედისწერო აღმოჩნდა.

კახეთი: **თეიმურაზ I-მა** (კახეთის მეფე 1606-1648) რამდენჯერმე გააგზავნა რუსეთში ელჩობა (1618, 1624, 1635 წწ.) დახმარების თხოვნით, მაგრამ უშედეგოდ. 1639 წ. მან „ფიცის წიგნი“ განაახლა და რუსეთის ერთგულებაზე დაიფიცა, მაგრამ არავითარი დახმარება არ მიუღია. 1653 წ. მან რუსეთში გაგზავნა თავისი შვილიშვილი და ერთადერთი მემკვიდრე ერეკლე (შემდგომში ერეკლე I), ხოლო 1658 წ. თავადაც გაემგზავრა, თუმცა მისი მცდელობა დახმარების მიღებაზე კვლავ უშედეგოდ დასრულდა.

არჩილ II - კახეთის მეფე 1664-1675 წწ.; იმერეთის მეფე 1661-1663, 1678-79, 1690-91, 1695-96 წწ; 1682-1688 წლებში იმყოფებოდა რუსეთში და ცდილობდა რეალური დახმარების მიღებას, მაგრამ უშედეგოდ. 1699 წ. იგი საბოლოოდ გადასახლდა რუსეთში, მოსკოვის მახლობლად, სოფ. ვსესვიატსკოეში და საფუძველი ჩაუყარა ქართველთა სათვისტომოს ამ ქვეყანაში.

რაც შეეხება იმერეთს, არჩილის გარდა მხოლოდ გიორგი III-ს (1604-1639 წწ., ბაგრატ III-ს ძის კონსტანტინეს უკანონო შვილი) ჰქონდა რუსეთთან კავშირის მცდელობა: 1615 წ. მან შაჰ-აბასისაგან დევნილი მეფეები - ლუარსაბი და თეიმურაზი შეიფარა, ხოლო 1618 წ. თეიმურაზმა და გიორგი III ერთობლივი ელჩობა გაგზავნეს და რუსეთს ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება სთხოვეს, მაგრამ ამ ელჩობასაც არ მოჰყოლია შედეგი (იხ. საქართველოს მეფეები, დასახ. გამოც. გვ. 243-244).

30. იგულისხმება **დავით ბატონიშვილი,** რომელიც თავის დროზე რუსეთმა ტახტის მემკვიდრედ დაამტკიცა, გიორგი XII-ს გარდაცვალების შემდეგ კი მხოლოდ „დროებით გამგებლად“ დანიშნა (1800-1801). ცხადია, იმ დროისათვის დავითი “ჩვილი ბავშვი” არ ყოფილა: 1801 წ. 18 იანვარს პავლე I-ის მიერ მანიფესტის გამოქვეყნებისას დავით ბატონიშვილი (1767-1819) 34 წლის იყო.

31. **ალექსანდრე ბატონიშვილი** (1770-1844) - ერეკლე II-ის ვაჟი, დაპირისპირება ჰქონდა გიორგი XII-თან, რადგან იულონის გამეფების მომხრე იყო. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ სიცოცხლის ბოლომდე იბრძოდა რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ სამეფოს აღდგენის მოთხოვნით. 1804-1813 წწ. ომში მონაწილეობდა ირანის

მხარეზე. 1812 წ. კახეთის აჯანყებას ედგა სათავეში, 1818 წლამდე დაღესტანს აფარებდა თავს, 1819 წლიდან კვლავ ირანში დაბრუნდა, მონაწილეობდა 1826-1828 წწ. ომშიც. გარდაიცვალა თეირანში, დაკრძალულია სომხური ეკლესიის ეზოში (შ. ხანთაძე, მასალები ალ. ბატონიშვილის ბიოგრაფიისათვის, *ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე*, ტ. 22, თბილისი, 1961; Ерицов А., Последний потомок грузинского царского дома, «*Весь Кавказ*», т. 1, 1903);

32. **ციციანოვი (ციციშვილი), პავლე** (1754-1806) - რუსეთის არმიის ინფანტერიის გენერალი. მისი პაპა ვახტანგ VI-სთან ერთად გაემგზავრა რუსეთში და მოსკოვის ქართველთა კოლონიაში დაიდო ბინა. პ. ციციანოვმა სამხედრო განათლება მიიღო, მონაწილეობდა მთელ რიგ საომარ ოპერაციებში და ნიჭიერი და მამაცი გენერლის სახელი დაიმსახურა. იყო რუსული იმპერიული პოლიტიკის აქტიური მომხრე და გამტარებელი. 1802 წ. დანიშნეს საქართველოს მთავარმართებლად და ასტრახანის გენერალ-გუბერნატორად, რასაც საფუძვლად ედო კონკრეტული მიზანი, კერძოდ: იმ ეტაპზე რუსეთის იმპერიისათვის პოლიტიკური და ეკონომიური თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბაგრატიონთა საგვარეულოსა და ქართველ დიდგვაროვანთა გასახლებას რუსეთში, რის შედეგადაც მოისპობოდა ტახტის აღდგენისათვის მოსალოდნელ შეთქმულებათა კერა, ხოლო სამეფო ოჯახისა და მასთან დაახლოვებულ პირთა ქონება ხაზინას გადაეცემოდა. ამ პროცესში ძალის გამოყენების პარალელურად იმპერიის ხელისუფლება ცდილობდა საქართველოში დარჩენილი ბატონიშვილებისათვის ყოველგვარი საარსებო საშუალება მოესპო, ხოლო რუსეთში გადასახლებულთ გულუხვად ასაჩუქრებდა მამულებითა და ყმა-გლეხებით, უნიშნავდა დიდ პენსიას. ალექსანდრე I ამ საქმეში დიდ იმედებს ამყარებდა პავლე ციციანოვზე, რომელიც სამეფო ოჯახს ენათესავებოდა (გიორგი XII-ის მეუღლის - მარიამ ციციშვილის ხაზით), შესაბამისად, იგი უმტკივნეულოდ მოიშორებდა ქვეყნიდან ქართველ ბატონიშვილებს, მიიმხრობდა ადგილობრივ თავადაზნაურობას, რომელიც ყოველგვარი გართულების გარეშე შეეგუებოდა ქართული სამეფოს გაუქმებას. ამ გეგმის შემდგომ ეტაპზე ციციანოვის მეშვეობით განზრახული იყო რუსეთის მიერ მთელი ამიერკავკასიის დაუფლება. ციციანოვის ძალისხმევით 1805 წ. რუსეთმა მართლაც შეიერთა შაქის, ყარაბაღის და შირვანის სახანოები, შურაგელის სასულთნო, თუმცა 1806 წ. იგი ბაქოს ციხის მისადგომებთან ჰუსეინ ყული-ხანთან მოლაპარაკებისას მოკლეს. დაკრძალულია თბილისში, სიონის ტაძარში.

33. **მარიამ დედოფალი** (1768-1850, გიორგი ციციშვილის ასული) - გიორგი XII-ის მეუღლე, საქართველოს უკანასკნელი დედოფალი.

34. **გენერალი ლაზარევი,** ივანე პეტრეს ძე (1765-1803) - საქართველოში იმყოფებოდა 1799 წლიდან, გიორგი XII-ს გარდაცვალების შემდეგ, 1801წ. იყო დროებითი მმართველობის თავმჯდომარე. 1803 წ. ასრულებდა იმპერატორის დავალებას ქართული სამეფო ოჯახის წევრთა რუსეთში გასასახლებლად; ძალის გამოყენებით სცადა სასახლიდან მარიამ დედოფლის გამოყვანა, რა დროსაც მოკლულ იქნა. გამბას მიერ აღწერილ ტრაგიკულ სცენას მართლაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ ამ ფაქტს განსხვავებულად აღწერენ სხვადასხვა წყაროები, ერთ-ერთი ვერსიით, ციციანოვმა ვერ დაითანხმა მარიამი საქრთველოდან გამგზავრებაზე და ძალის გამოყენება სცადა: მისი ბრძანებით გენერალმა ლაზარევმა კაზაკთა რაზმით ალყაში მოაქცია დედოფლის სასახლე და ამ უკანასკნელს ძალდატანებით დაუპირა სასახლიდან გამოყვანა, რა დროსაც დედოფლის ერთ-ერთმა მსახურმა იგი ხანჯლით განგმირა. გამბა ცდება, როდესაც ლაზარევის ქართულ წარმომავლობაზე საუბრობს (რომ აღარაფერი ვთქვათ დედოფალთან მისი „მიჯნურობის“ აბსურდულ ვერსიაზე), ამავე აზრს იმეორებს XIX ს. გერმანელი მეცნიერი და მოგზაური კ. კოხიც (იხ. *კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ*, თარგმანი ლ.

მამაცაშვილისა, თბილისი, 1981, გვ. 211; თამარ და აკაკი ფაღავები, *მარიამ, უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი*, ბუენოს-აირესი, 1956; ა. კიკვიძე, *საქართველოს ისტორია-XIX საუკუნე,* თბილისი, 1954, გვ. 45-46 და სხვ.). მარიამ დედოფალი რუსეთში ბელგოროდის მონასტერში გამოკეტეს, 1811 წ. ალექსანდრე I-მა შეიწყალა და მოსკოვში, შვილებთან ცხოვრების უფლება მისცა. დედოფალი 1850 წ. იქვე გარდაიცვალა, ანდერძის თანახმად სამშობლოში ჩამოასვენეს და მცხეთაში მეუღლის - გიორგი XII-ის გვერდით დაკრძალეს.

35. **ალექსანდრე I** - რუსეთის იმპერატორი (1801-1825), პავლე I-ის ვაჟი.

36. **პირენეს მთები** - ბუნებრივი საზღვარი საფრანგეთსა და ესპანეთს შორის.

37. **მანშტეინი ქრისტოფ გერმან** (1711-1757) - პრუსიის არმიის გენერალ-მაიორი, 1736-1744 წწ. მსახურობდა რუსეთში (იხ. მისი მემუარები „Записки Манштейна о России, 1727-1744“, СПБ, 1875).

38. **გულისტანის ზავი (ტრაქტატი)** – რუსეთ-ირანის 1804-1813 წწ. ომის შედეგად დადებული საზავო ხელშეკრულება 1813 წ. 12 ოქტომბერს გულისტანში (ყარაბაღში), რომლის თანახმადაც ირანმა ცნო აღმოსავლეთ საქართველოს, დაღესტნისა და ჩრდილო აზერბაიჯანის შესვლა რუსეთის შემადგენლობაში. ხელშეკრულების ერთ-ერთი პუნქტით გათვალისწინებული იყო ირანთან ვაჭრობაში შეღავათების დაწესება (5%-იანი საბაჟო ტარიფი და ა.შ. ვრცლად იხ. ქვემოთ, კომენტ. 45).

39. **ასტრახანის ძველი სამეფო** - იგულისხმება ასტრახანის სახანო; თათართა ფეოდალური სახელმწიფო, შეიქმნა XV ს-ში (1459/60 წწ.) ქვემო ვოლგისპირეთში, ოქროს ურდოს დაშლის შედეგად. დედაქალაქი იყო აჟდარხანი/ჰაჯი-თარხანი, მდ. ვოლგის მარჯვენა ნაპირზე, ახლ. ასტრახანიდან 12 კმ. დაშორებით. ძირითად მოსახლეობას შეადგენდნენ თათრები და ნოღაელები. ხელსაყრელი მდებარეობის წყალობით მნიშვნელოვან სავაჭრო პუნქტად გადაიქცა, მათ შორის - მონათვაჭრობის თვალსაზრისითაც. ხორეზმის, ბუხარისა და ყაზანის გარდა მჭიდრო ეკონომიკური კავშირი ჰქონდა მოსკოვის სამეფოსთანაც. სახანოს საზღვრებში შედიოდა ქვემო ვოლგისპირეთი და წინა კავკასიის ველები. იგი შედგებოდა ერთმანეთთან სუსტად დაკავშირებული ცალკეული ფეოდალური სამფლობელოების - ე.წ. ულუსებისაგან. სრულ დამოუკიდებლობას მიაღწია XVI ს-ში, მას შემდეგ, რაც ყირიმელებმა საბოლოოდ დაამარცხეს ოქროს ურდო (1502 წ.). 1554 წლიდან ასტრახანის ხანმა დერვიშ-ალიმ რუსეთის ვასალობა აღიარა და ხარკის გადახდა იკისრა, თუმცა 1556 წ. ივანე მრისხანის (1530-1584) მიმართ ურჩობაში დასდეს ბრალი და რუსეთის ჯარმა ასტრახანი უბრძოლველად აიღო, დერვიშ-ალი გაიქცა, სახანო კი გაუქმდა და რუსეთმა შეიერთა (И.В. Зайцев, *Астраханское ханство*, Москва, 2006).

40. **გენერალი ველიამინოვები** - ალექსეი ალექსანდრეს ძე ველიამინოვი (1785-1838), რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი, ა.პ. ერმოლოვის უახლოესი თანამებრძოლი და თანამოაზრე კავკასიის ომში. ივანე ალექსანდრეს ძე ველიამინოვი (ალექსეის უფროსი ძმა, 1771-1837), ინფანტერიის გენერალი, 1827-1834 წწ. - დასავლეთ ციმბირის გენერალ-გუბერნატორი. 1818 წ. იყო დივიზიის უფროსი საქართველოში (*Энциклопедический словарь Брокгауза и Ефрона*, том VA (10), СПБ, 1892, გვ. 868).

41. **პოლიბიოსი** - (დაახლ. ძვ. წ. აღ. 200-120 წწ.) ძველი ბერძენი ისტორიკოსი და პოლიტიკური მოღვაწე, ავტორი თხზულებისა „ისტორია“, რომლის 40 ტომიდან სრული სახით შემორჩა 5 ტომი.

42. **ვერგილიუსი, პუბლიუს მარონ** (ძვ.წ. 70-19 წწ.) - რომაელი პოეტი, ჩვენამდე მოაღწია მისმა სამმა თხზულებამ: „ბუკოლიკები“ (ანუ „ეკლოგები“), „გეორგიკები“ და „ენეიდა“. ამ თხზულებსა და მათზე დართულ კომენტარებში ვხვდებით საყურადღებო ცნობებს კოლხეთის შესახებ.

43. **ციცერონი, მარკუს ტულიუს** (ძვ. წ. 106-43 წწ.) – ძვ. რომაელი მწერალი, პოლიტიკური მოღვაწე და ორატორი. მისი პოლიტიკური იდეალი იყო შერეული ტიპის სახელმწიფო, რომელიც შეიცავდა მონარქიის, არისტოკრატიის და დემოკრატიის ელემენტებს.

44. იგულისხმება აღა მაჰმად ხანის ლაშქრობა 1795 წ. **აღა მაჰმად ხანი** (1742-1797) - 1794 წლიდან ირანის გამგებელი, ხოლო 1796 წლიდან - შაჰი, ყაჯართა დინასტიის დამაარსებელი. 1795 წ. ილაშქრა საქართველოზე, დიდი მსხვერპლის ფასად გაიმარჯვა კრწანისის ბრძოლაში და დაუნდობელი სისასტიკით დაარბია თბილისი. 1796 წ. შაჰინშაჰის ტიტულის მიღების შემდეგ დაიპყრო ხორასანი (ისტ. ოლქი შუა აღმოსავლეთში; 1510-1736 წწ. სეფიანთა ირანის შემადგენლობაში იყო, შემდეგ კი მისი ნაწილი - ჰერათის ოლქი და ბალხი ავღანეთის საზღვრებში მოექცა). 1797 წ. ამიერკავკასიაზე განმეორებითი ლაშქრობის დროს მისივე მსახურებმა მოკლეს.

45. ნადერ შაჰის იმპერიის დაშლის შემდეგ ახლ. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე XVIII ს. შუა ხანებიდან ჩამოყალიბდა რამდენიმე ნახევრად დამოუკიდებელი ფეოდალური სახანო; მათ შორის, მდ. არაქსის ჩრდილოეთით, იყო შირვანის, ყარაბაღის (შუშის) და შაქის (ნუხის) სახანოები; თუმცა ამიერკავკასიაში რუსეთის შემოსვლის შემდეგ მათ ვეღარ შეძლეს პოლიტიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნება და XIX ს-ის პირველი მეოთხედისათვის რუსული მმართველობის ქვეშ აღმოჩნდნენ.

46. **უკაზი** - საქართველოს ანექსიის შემდეგ რუსეთი დაინტერესებული იყო როგორც აღმოსავლეთის ქვეყნებთან ეკონომიკური კავშირით და მათი ბაზრების ხელში ჩაგდებით, ისე ამიერკავკასიაში მოქმედი რუსული არმიის ადგილობრივი სურსათ-სანოვაგით, ტანისამოსითა და აღჭურვილობით დაკმაყოფილებითაც. ამის გამო რუსეთის სავაჭრო პოლიტიკა მიზნად ისახავდა, უმოკლეს დროში მოეპოვებინა საქართველოში ვაჭრობის მონოპოლია, ამის უმთავრესი დამაბრკოლებელი გარემოება კი იმხანად მრავალრიცხოვანი შიდა საბაჟოების არსებობა იყო. საქართველოში შემოტანილი საქონელი სახელმწიფო გადასახადების გარდა სხვადასხვა კერძო პირთა, საეკლესიო და საერო ფეოდალთა სასარგებლოდაც იბეგრებოდა. ბაჟის აღების ამგვარი წესი („სარახტარო სისტემა“) მთელ ამიერკავკასიაში მოქმედებდა და მოხელეთა თვითნებობისათვის ფართო გასაქანს იძლეოდა, შესაბამისად, ზღუდავდა ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას. ამ მხრივ ერთგვარი გამოსავალი იყო 1813 წ. გულისტანის ტრაქტატის თანახმად 5%-იანი ბაჟის დაწესება ირანიდან შემოტანილ საქონელზე და მოგვიანებით, 1821 წ., რუსეთის ხელისუფლების ბრძანებულებით (უკაზი) 10-წლიანი შეღავათიანი ტარიფის შემოღება, რომლის ძალითაც ქართული და აზიური ტარიფები უქმდებოდა: ევროპული საქონელი, სპარსულის მსგავსად, მხოლოდ 5%-იანი ბაჟით უნდა დაბეგრილიყო. მიუხედავად იმისა, რომ მიღებული კანონი მრავალგზის ირღვეოდა და შინაფეოდალური ბაჟების შემსყიდველები ძველებურად აგრძელებდნენ უცხოურ საქონელზე ბაჟის აღებას, რითაც ხელოვნურად აბრკოლებდნენ ვაჭრობის განვითარებას, 1821-1831 წწ. მანძილზე ამიერკავკასიაში შეღავათიანმა ტრანზიტმა დიდად შეუწყო ხელი ვაჭართა ფენაში მნიშვნელოვანი ფულადი კაპიტალის დაგროვებას და, შესაბამისად, მათი გავლენის შემდგომ ზრდასაც. შეღავათიანმა ტარიფმა ასევე დადებითად იმოქმედა მთელი ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონეზე, რასაც ადასტურებს კავკასიის მთავარსარდლის ბარონ როზენის 1832 წ. 25 თებერვლით დათარიღებული წერილი იმპერიის იუსტიციის მინისტრის – დაშკოვისადმი: „მოქალაქეები არა თუ არ ღარიბდებიან, არამედ მათი კაპიტალები ბევრად უფრო გაიზარდა და არა მხოლოდ ვაჭრები, არამედ წვრილი მეწარმეები და გლეხი მოვაჭრეები გამდიდრდნენ... და წინანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს სახაზინო შემოსავალი“ (*Акты..*, VIII, №12, გვ. 32; პ. გუგუშვილი.

საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს., ტ. VI, თბ., 1979, გვ. 306; მ. მგალობლიშვილი, ლ. მიქიაშვილი, ჟაკ ფრანსუა გამბა ვაჭრობის განვითარების პერსპექტივებისა და გარანტიების შესახებ XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში (თბილისის სტრატეგიული ადგილმდებარეობის ანალიზი) - კრებულში „*ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები*“ №2, თბილისი, 2007).

47. **ერევნის სახანო** - აბას I-ის მიერ აღმ. სომხეთის ტერიტორიაზე 1604 წ. დაარსებული ნახევრად დამოუკიდებელი ფეოდალური სახელმწიფო, სადაც ხელისუფლების სათავეში შაჰის მიერ დანიშნული ე.წ. ბეგლარბეგი იდგა. ერევნის ხანებად ქართველებიც ინიშნებოდნენ (მაგ. კახთა მეფე კონსტანე, იგივე მაჰმად ყული-ხანი); XVIII ს-დან ერევნის სახანოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დაიწყო, ამ ბრძოლაში სომხებს თანადგომას უწევდნენ ვახტანგ VI და ერეკლე II; 1749 წ. სახანოს თავს დაესხა მაჰმად-ხანი (თურქმანული ტომების მეთაური), რომელიც ქართველ-სომეხთა ერთობლივმა ჯარმა დაამარცხა და ამიერიდან ერევნის სახანო ქართლ-კახეთის მფარველობაში შევიდა. რუსეთ-ირანის ომების დროს (1804-1813, 1826-1828) სახანოში გაძლიერდა რუსეთთან შეერთების მომხრეთა მოძრაობა. 1828 წ. თურქმანჩაის ზავით ერევნის სახანო რუსეთს შეუერთდა (История армянского народа, ч.1, Ер., 1951; Петрушевский И. П., *Очерки по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении...*, Л., 1949).

48. **ფათჰ ალი შაჰი//ბაბა ხანი** - აღა მაჰმად ხანის ძმისწული და მემკვიდრე, ირანის შაჰი 1797-1834 წწ.

49. **ანზალი** (ენზელი/ბანდარ-ანზალი) - ქალაქი ირანის ჩრდილოეთში, გილანის პროვინციაში, უმსხვილესი პორტი კასპიის ზღვის სანაპიროზე.

50. **ასთარაბადი** - (ახლ. გურგანი, ქალაქი ჩრდ. ირანში) შუა საუკუნეებში სიდიდით მეორე ქალაქი იყო კასპიისპირა ოლქში.

51. რეზიდენტი **სიმონ ივანეს ძე მაზაროვიჩი** (1784-1852) - რუსეთში მოღვაწე იტალიური წარმოშობის (ვენეციელი) ექიმი და დიპლომატი; 1807 წლიდან რუსეთის სამსახურშია; 1818-1826 წწ. იყო რუსეთის საქმეთა რწმუნებული ირანში. 1828 წ. იგი ჩაანაცვლა ა. გრიბოედოვმა (ეს უკანასკნელი მანამდეც, 1818-1821 წწ. შაჰის კარზე რუსული დიპლომატიური მისიის მდივნად მსახურობდა).

თავი VI

1. საუბარია ახლ. **მეტეხის ხიდზე**; ძველად აქ ორი ხიდი იყო: ერთი მათგანი, რომელიც 1797 წ. აღადგინეს, 1805 წ. ადიდებულმა მტკვარმა წაიღო; 1826 წელს აქ აიგო ხის თაღოვანი ხიდი, რომელსაც „ავლაბრის ხიდი“ უწოდეს. მისგან ოდნავ ქვემოთ იყო მეორე, დროებითი ხიდი, რომელსაც “მეტეხის ხიდი” ერქვა და მას დროგამოშვებით განახლებითი სამუშაოები უტარდებოდა. გამბა სწორედ ამ უკანასკნელ ხიდს გულისხმობს (იხ. თ. კვირკველია, *ძველთბილისური დასახელებანი*, თბილისი, 1985, გვ. 61-63).

2. **ფუტი** –30,48 სმ. ტოლია (იხ. დანართი №1-ის კომენტ.).

3. **ვალერიან გრიგოლის ძე მადათოვი** (1782-1829) - პოდპოლკოვნიკი, ამიერკავკასიის მუსლიმური სახანოების მმართველი; კავკასიაში ერმოლოვთან ერთად ჩამოვიდა. დაიღუპა თურქული ციხე-სიმაგრის - შუმლის ალყის დროს და იქვეა დაკრძალული (მ. ბერძნიშვილი, *მასალები XIX ს. პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობს ისტორიისათვის*, ტ. II, თბილისი, 1983, გვ. 82). თბილისში მადათოვის სახლი იდგა გ. ჭანტურიას (ყოფ. ჯორჯიაშვილის) ქუჩაზე, ძველი ყაბახის ადგილას (ვ. ბერიძე, *თბილისის ხუროთმოღვრება 1801-1817 წწ.*, თბილისი, 1960, გვ. 24). მის სახელთან დაკავშირებულია ძველი თბილისური ტოპონიმები: მადათოვის ქუჩა - ახლ. ათონელის ქუჩა), მადათოვის კუნძული (ორბელიანების ყოფილი საკუთრება, რომელიც მადათოვს მიჰყიდეს).

4. **ნერსეს აშტარაკეცი** (1771-1857) - სომეხთა კათალიკოსი 1843-1857 წწ-ში; რუსეთის დახმარებით სომეხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური მომხრე (თუმცა კათალიკოსის რანგში უკვე ეწინააღმდეგებოდა სომხური ეკლესიის მიმართ ცარიზმის პოლიტიკას). მისი ინიციატივით თბილისში, სომხურ-გრიგორიანული საეპისკოპოსო ტაძრის - ფაშა-ვანქის (ვანქის) მახლობლად, 1824 წ. დაარსდა სომხური სასულიერო სემინარია, რომელსაც „ნერსესის სასწავლებელს" (ნერსესიან-სემინარია) უწოდებდნენ.

5. **ნიკოლი, შარლ-ეჟენი** (1758-1835) - ფრანგი პედაგოგი, იეზუიტი აბატი, რომლის გეგმითა და ბურბონთა ყოფილი პრემიერ-მინისტრის - არმან რიშელიეს მხარდაჭერით 1817 წ. ოდესაში ე.წ. „კეთილშობილთა ინსტიტუტის" ბაზაზე აიგო "რიშელიეს ლიცეუმი" (არმან რიშელიე 1790 წლიდან ცხოვრობდა რუსეთში, 1803 წლიდან კი ოდესის მმართველი იყო იხ. აქვე, თავი VIII, კომენტ. 22); აბატი ნიკოლი დიდი ხნის მანძილზე მოღვაწეობდა რუსეთში; XVIII-XIX სს-თა მიჯნაზე მის მიერ პეტერბურგში დაარსებული პანსიონი ყველაზე პრესტიჟულ საშუალო სასწავლებლად იყო აღიარებული (*Энциклопедический словарь Брокгауза и Эфрона*, т. 21, С-Петербург, 1897, გვ. 131).

6. **ძველი პატრიარქები** (Ancient patriarches) - პატრიარქი (ბერძნ.*πατριάρκης* - *მამამთავარი) წმინდა წერილის განმარტებით - ღვთის რჩეული ხალხის (ისრაელის) მამამთავრები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ჭეშმარიტ რელიგიას; პირველი ათი (ძველი) პატრიარქი (ადამიდან ნოემდე) „წარღვნამდელ" პატრიარქებად იხსენიებიან; წარღვნის შემდგომ მორწმუნეთა ახალი თაობის პატრიარქები იყვნენ აბრაამი, მისი შვილი ისააკი, შვილიშვილი იაკობი და შვილთაშვილი იოსები. „ახალ ისრაელად" წოდებული ქრისტიანული ეკლესია თავის წევრებს ამ უკანასკნელთა შთამომავლებად აღიარებს (Энциклопедический словарь Брокгауза и Эфрона*, т.XXIII, გვ. 25-27; *Александр А. Соколовски. Из истории патриархов,* http://www.blagobor.by/*).*

7.იგულისხმება 1820 წ. რიყეზე აგებული **სარქისოვის ქარვასლა;** XIX ს. პირველ ნახევარში თბილისში 13-მდე დიდი ქარვასლა იდგა, მათ შორის სარქისოვის ქარვასლაზე ადრეული ორი ქარვასლა, სავარაუდოდ, უნდა იყოს არწრუნისა (აშენდა 1818 წ., მდებარეობდა ე. წ. იარაღის რიგში, სიონის ტაძრის მახლობლად) და ბატონიშვილების (XVIII ს-ში აგებული) ქარვასლები; შესაძლოა, გამბას მხედველობაში აქვს მელიქის (ბებუთოვის) ქარვასლაც, რომელიც ე.წ. ბნელ რიგში (დღ. შარდენის ქუჩა) იდგა და ვახუშტის გეგმაზეა დატანილი (იხ. თ. ბერიძე, *ძველი თბილისის სურათები*, თბილისი, 1980, გვ. 23; მ. ბერძნიშვილი, *თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში*, თბილისი, 1965, გვ. 22-23).

8. სავარაუდოდ, იგულისხმება **არწრუნის ქარვასლა.**

9. ნიშანდობლივია, რომ გამბა ხშირად სარგებლობს ნერსესის მიერ მიწოდებული ინფორმაციით.

10. იგულისხმება 1802 წ. აგებული **მთავარმართებლის სასახლე** (დღ. მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე რუსთაველის პროსპექტზე).

11. რუსეთის „რჯულშემწყნარებელი მთავრობის" როლი აქ გადაჭარბებულია: ცნობილია, რომ რუსული მმართველობის დამყარებამდე გაცილებით ადრეულ ხანაშიც საქართველოში არც ერთი ეროვნების წარმომადგენლის მიმართ არ ყოფილა შევიწროება: ქართველი მეფე-მთავრები ტრადიციულად პატივისცემით ეკიდებოდნენ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების განსხვავებულ რწმენასა და ზნე-ჩვეულებებს; ამის ნათელი დასტურია თბილისში დღემდე შემორჩენილი სომხურ-გრიგორიანული, მუსლიმური თუ ებრაული საკულტო ნაგებობანი. ჯერ კიდევ ჟან შარდენი აღნიშნავდა: „საქართველოში შეხვდებით სომხებს, ბერძნებს, ებრაელებს, ოსმალებს, სპარსელებს, თათრებს, მოსკოვიტებსა და ევროპელებს. მათ მინიჭებული აქვთ თავისუფლება; აქ (საქართველოში) უფლება გაქვს

იცხოვრო შენი სარწმუნოებით და ადათებით, იმსჯელო მასზე და დაიცვა იგი“ (*შარდენის მოგზაურობა,* დასახ. გამოც., გვ. 297-298); იგივეს აღნიშნავდა გიულდენშტედტიც (*გიულდენშტედტის მოგზაურობა*, დასახ. გამოც., გვ. 209).

12. იგულისხმება თბილისის **ათეშქა** (სპარს. ათეშგაჰი: ათეშ - ცეცხლი, გაჰ - ადგილი, - ცეცხლთაყვანისმცემელთა ტაძარი), შუა საუკუნეების ნაგებობა კლდისუბანში, ბოტანიკური ბაღის სიახლოვეს, ფეთხაინის სამრეკლოსთან (თ. კვირკველია, დასახ. ნაშრ., გვ. 13). მის შესახებ წერდა ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეც (იხ. მ. მგალობლიშვილი, ლ. მიქიაშვილი, ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს ცნობები თბილისის შესახებ, ჟურნ. *ანალები*, 2002, №1, გვ. 96). XVI-XVII სს-თ დათარიღებული შიიტური მეჩეთი კი თბილისში მეტეხის ხიდის თავში იდგა და ხიდის რეკონსტრუქციის დროს დაანგრიეს.

13. გამბა ცდება: მაჰმუდ ღაზნევი XI ს-ის დასაწყისში მოღვაწეობდა, ისლამი კი ირანში VII ს-დან, არაბთა დაპყრობებისთანავე გავრცელდა და მალე პრაქტიკულად ჩაანაცვლა ზოროასტრიზმი.

14. **კათოლიკური (ღვთისმშობლის ამაღლების) ტაძარი** მდებარეობს ქვემო უბანში, ლესელიძისა და აბესაძის ქუჩის გადაკვეთაზე. ძველად ამ უბანს „ფრანგთა უბანი“ ეწოდებოდა, ხოლო ქუჩას - „ფრანგთა ქუჩა“ (თ. კვირკველია, *დასახ. ნაშრ.,* 41). ტაძრის ისტორია XIII ს-დან - საქართველოში კათოლიკეთა მისიის შემოსვლიდან იწყება. 1671 წ. დღევანდელი ტაძრის მოპირდაპირე მხარეს კათოლიკებმა ააგეს „ხარების“ ეკლესია (ე.წ. ლათინთა საყდარი), რომელიც თეიმურაზ II-ის დროს გაუქმდა. ამჟამინდელი ტაძარი 1805-1808 წწ. აგებული; კომუნისტური რეჟიმის დროს გაუქმებულ ტაძარში მღვდელმსახურება აღდგა 1999 წ., საქართველოში რომის პაპის იოანე-პავლე II-ის ვიზიტთან დაკავშირებით.

15. სავარაუდოდ, იგულისხმება XVII-XVIII სს. მიჯნაზე აგებული **ჯიგრაშენის წმ. გიორგის (ზოგიერთი ცნობით ღვთისმშობლის ხარების) ეკლესია** ძველ თბილისში, ახლ. კოტე აბხაზის ქუჩაზე. ტაძარი XX ს. 30-ინ წლებში ქუჩების რეკონსტრუქციისას დაანგრიეს.

16. **პატრი ფილიპე** გიორგი XII-ის მკურნალი ექიმი იყო (მან შეცვალა პატრი დამიანე). 1859 წელსა გარდაიცვალა 77 წლისა და დასაფლავდა აღშენებულსა მისგანვე მცირესა ქვა-კუთხიანსა ეკლესიასა ზოგადსა ფრანგთათვის სასაფლაოსა სოლოლაკის მთისაკენ“ (პლატონ იოსელიანი, *ცხოვრება გიორგი მეცამეტისა*, თბილისი, 1936, გვ. 196).

17. **დომინიკელთა ორდენი** - (ლათ. ძმანი მქადაგებელნი), კათოლიკური „მათხოვრული“ მონაზვნური ორდენი, 1215 წ. ტულუზაში დააარსა ესპანელმა მონაზონმა დომინიკუსმა მწვალებლებთან საბრძოლველად. 1227 წ. მათ მოიპოვეს საყოველთაო ქადაგების უფლება, 1232 წ. კი პაპმა მათვე ჩააბარა ინკვიზიცია, რის შემდეგაც ორდენი პაპობის ინსტიტუტის მთავარ დასაყრდენ ძალად იქცა. XIII ს-დანვე დომინიკელებმა ფართო მისიონერული მოძრაობა წამოიწყეს ევროპისა და აზიის ქვეყნებში, მათ შორის - საქართველოშიც (მ. თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე*, ტფილისი, 1902).

18. **კოლბერი, ჟან-ბატისტ** (1619-1683) - ფრანგი სახელწიფო მოღვაწე, ლუი XIV-ის ფინანსთა მინისტრი (ინტენდანტი), რომელმაც მნიშვნელოვნად განაპირობა ლუი XIV-ის რეფორმების წარმატება. მისი ხელშეწყობით დაარსდა ე.წ. „მცირე აკადემია“ (შემდგომში „ხელნაწერთა აკადემია“), მეცნიერებათა აკადემია, მუსიკის სამეფო აკადემია, ობსერვატორია და სხვ. 1667 წ. კოლბერი არჩეულ იქნა სამეფო აკადემიის წევრად.

19. **ისფაჰანი** - ირანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი, ხელოსნობისა და ვაჭრობის, ეკონომიკისა და კულტურის ცენტრი. 1598-1722 წლებში სეფიანთა სახელმწიფოს სატახტო ქალაქი.

20. **ქალდეველები** - უძველესი მომთაბარე სემიტი ტომები სპატსეთის ყურის სანაპიროზე, ქალდეური/ასირიულ-აღმოსავლური წესის კათოლიკეები. სახელდება

მომდინარეობს ძვ. ქალდეის (მესოპოტამიის) რეგიონის სახელწოდებიდან. ნესტორიანელობიდან კათოლიკურ სარწმუნოებაზე მოქცეული ქალდეელნი რომის ეკლესიას პირველად დაახლ. XVI ს-ის შუახანებში შეუერთდნენ იოანე სულაყას ძალისხმევით, რომელიც ამის გამო 1555 წ. მოწამეობრივად აღესრულა. როგორც შიდა, ისე რომთან მრავალჯერადი დაპირისპირების შემდეგ პაპმა ლეონ XIII-მ ქალდეელთა ეკლესიას პატრიარქისა და ეპისკოპოსების არჩევის უფლება დაუბრუნა (პ. პეტროზილო, *ქრისტიანობის ლექსიკონი*, თბილისი, 2011, გვ. 434).

21. **დალმაციის სამეფო** - ჰაბსბურგების ყმადნაფიცი ქვეყანა, რომელიც მათ 1815 წ. წაართვეს საფრანგეთის პირველ იმპერიას. 1918 წ-მდე რჩებოდა ავსტრიის შემადგენლობაში, იტალიის მიერ მისი დაპყრობის შემდეგ კი სერბების, ხორვატებისა და სლოვენიელების (შემდგომში - იუგოსლავიის) სამეფოს ნაწილი გახდა.

22. **სან-დომინგო-** საფრანგეთის ყოფილი კოლონია კ. ჰაიტის დას. ნაწილში (1804 წ. შემდეგ ჰაიტის რესპუბლიკა).

პრინცესა დე ლამბალი, მარია-ტერეზა-ლუიზა სავოიელი(1749-1792), საფრანგეთის სამეფო ოჯახის წევრის, ლუი XIV-ს შვილთაშვილის - ლუი-ალექსანდრ დე ბურბონის (პრინც ლამბალის) მეუღლე. 1792 წ. რევოლუციონერებმა სიკვდილით დასაჯეს.

23. **ომარისა და ალის სექტა** - იგულისხმება ხალიფა **ომარ (უმარ) იბნ ალ-ხატაბი** (იხ. თავი III, კომენტ. 48) და **ალი იბნ აბი ტალიბი** (დაახლ. 596-661) - მეოთხე და უკანასკნელი მართლმორწმუნე ხალიფა, მოციქულ მუჰამადის ბიძაშვილი და სიძე (ქალიშვილის - ფატიმას ქმარი); მან ერთ-ერთმა პირველმა მიიღო ისლამი, სახელი გაითქვა, როგორც ისლამის ერთგულმა, გამორჩეულმა მეომარმა და ორატორმა. ხალიფად არჩევის შემდეგ (656 წ.) მის წინააღმდეგ წამოწყებულმა ბრძოლამ სათავე დაუდო მუსლიმთა გათიშვას ალის მომხრეებად (შიიტებად) და მის მოწინააღმდეგეებად (სუნიტებად). შიიტები მუჰამადის სულიერ მემკვიდრეებად და ხელისუფლების კანონიერ წარმომადგენლებად ფატიმასა და ალი ბ. აბი ტალიბის შთამომავლებს მიიჩნევდნენ (ზოგიერთ სექტაში ალის თაყვანისცემა მის გაღმერთებაშიც გადადის), ხოლო შიიზმის ტრადიციით ომარი უზურპატორია. (ისლამი.., დასახ. გამოც., გვ. 21-22, 158-159).

24. **ლაჰორი** - ქალაქი აღმ. პაკისტანში, მდ. რავის ნაპირზე. გუზურათი (Guzurate) - სავარაუდოდ გუჯარათი (Gujarat) – შტატი ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთში.

25. **უკაზი** - იხ. თავი V, კომენტ. 45.

26. **ერეკლეს ბაღი** - ცნობილი სოლოლაკის ბაღები (ახლ. თავისუფლების მოედნიდან სოლოლაკის ქედის ძირამდე) მეფე-დედოფლის საკუთრება იყო (იხ. ვ. ბერიძე, *თბილისის ხუროთმოძღვრება..*, დასახ. გამოც., გვ. 20).

27. **თავად გრიგოლ ბებუთოვის** სახლი იდგა გარეთუბანში, ბაღის (შემდგომში ბებუთოვის) ქუჩაზე; სახლი მართლაც საუცხოო ბაღებით იყო გარშემორტყმული (იხ. თ. ბერიძე, *ძველი თბილისის..*, გვ. 34).

28. **ახვერდოვი თევდორე ესაიას ძე** (1774-1820) - რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი, 1807-1811 წლებში - საქართველოს მმართველი, 1816 წლიდან ქართული საარტილერიო კორპუსის მეთაური, ზოგიერთი ცნობით, ცხინვალელი ან თბილისელი სომეხი (იხ. მაქს. ბერძნიშვილი, *დასახ. ნაშრ.,* ტ. I, თბილისი, 1980, გვ. 167; თეიმურაზ ბაგრატიონი, *ახალი ისტორია,* ტექსტი გამოსცა ლ. მიქიაშვილმა, თბილისი, 1983, გვ. 83). ახვერდოვებს თბილისში „სალალაკის ღელესთან სახლი და ულამაზესი ბაღი ჰქონდათ“ (ი. ანდრონიკაშვილი, *საქართველო ლერმონტოვის შემოქმედებაში,* თბილისი, 1953, გვ. 63).

29. **კათოლიკეთა სასაფლაო** ახლ. ჭონქაძისა და გერგეტის ქუჩების მიდამოებში მდებარეობდა.

30. **მონტისი, უილიამ** (Monteith William (1790-1864) - ინგლისის საინჟინრო ძალების ოფიცერი ინდოეთში. 1810 წ. ჯონ მალკოლმის მისიასთან ერთად ჩავიდა ირანში, საიდანაც აბას-მირზამ ამიერკავკასიაში და კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროზე სადაზვერვო სამუშაოების ჩასატარებლად მიავლინა. 1812 წ. მონაწილეობდა საქართველოში რუსული რეჟიმის წინააღმდეგ აბას მირზას მიერ ორგანიზებულ წარუმატებელ სამხედრო ექსპედიციაში (ასლანდუზთან ბრძოლა 19-20 ოქტომბერს). 1826-1828 წწ. რუსეთ-ირანის ომის დროს ირანელთა მთავარ შტაბში იყო, 1828-1829 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის დროს კი ასევე ირანის სამსახურში, ოღონდ - ი. პასკევიჩის (კავკასიის კორპუსის მთავარსარდლის) შტაბში მოღვაწეობდა. 1832-1842 წწ. ინდოეთში (მადრასში) საინჟინრო ძალებს მეთაურობდა. 1847 წ. პენსიაზე გავიდა გენერალ-მაიორის ჩინით; მონტისი მჭიდროდ თანამშრომლობდა აბას-მირზასთან, პირადად იცნობდა ალექსანდრე ბატონიშვილსა და გამბას. სამხრეთ კავკასიაში ყოფნისას მოიარა საქართველო და სომხეთი, დატოვა ამ ქვეყნების გეოგრაფიული მონახაზი და ზოგიერთი პუნქტის (მათ შორის თბილისის, მცხეთის, ქუთაისის, ერევნის და სხვ.) დეტალური აღწერილობა; 1833 წ. თავისი მოგზაურობის ანგარიში გამოაქვეყნა (იხ. М. Полиевктов, *Европейские путешественники по Кавказу 1800-1831 гг.*, Тбилиси, 1946; Маркова О.П., *Восстание в Кахетии 1812 г.*, Москва, 1951, გვ. 229, 240; გ. გელაშვილი, *ინგლისელი გენერალი უილიამ მონტისი ალექსანდრე ბატონიშვილის შესახებ*, კრებ. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, №2, 2017).

თავი VII

1. **მილი** - სიგრძის საზომი არამეტრული ერთეული, გამოიყენება ევროპასა და აშშ-ში და 1,609 კმ-ს ტოლია. ძვ. რუსული მილი 7, 468 კმ. იყო.

2. ბიბლიის თანახმად, აბრაამის შვილიშვილმა **იაკობმა** (ისააკისა და რებეკას ვაჟი, უმცროსი ტყუპისცალი) თავის ძმას - ისავს ოსპის შეჭამანდის ფასად გამოსტყუა პირველშობილობის სტატუსი.

3. იგულისხმება **ეფრემ I (ძორაგეტელი)** - სომეხთა კათალიკოსი 1809-1830 წწ. რუსეთ-ირანის დაპირისპირების დროს 1822-1826 წწ-ში სამღვდელოებასთან ერთად ეჩმიაძინიდან ახპატის მონასტერში (X ს.) გადავიდა.

4. **ეჩმიაძინი** - (სიტყვასიტყვით „მხოლოდშობილის გარდამოსვლა“), სომეხ კათალიკოსთა რეზიდენცია ვაღარშაპატში (ერევნიდან 20 კმ-ს დაშორებით); სამონასტრო კომპლექსში შედის ეჩმიაძინის საკათედრო ტაძარი (IV ს.) რიფსიმეს და გაიანეს ეკლესიები (VII ს.), შოკატაგის ეკლესია (XVII ს.). 1639 წ. ირან-ოსმალეთს შორის ხელშეკრულებით დასავლეთ სომხეთი ოსმალეთს, ხოლო აღმოსავლეთი - ირანს გადაეცა, სადაც შეიქმნა ერევნის, ნახჭევნის და ყარაბაღის სახანოები. XIX ს. დასაწყისიდან სომხეთის რიგი პროვინციები რუსეთის შემადგენლობაში შევიდა. გამბას დროს ერევნის სახანოს ჯერ კიდევ ირანი ფლობდა, ამიტომაც წერს, რომ “ეჩმიაძინის მონასტერი სპარსეთში მდებარეობს”. მოგვიანებით, 1826-1828 წწ. რუსეთ-ირანის ომის დროს, რუსებმა დაიკავეს ერევნისა და ნახჭევნის სახანოები და თურქმანჩაის ხელშეკრულების თანახმად (1828 წ.) ისინი იმპერიის შემადგენლობაში შევიდნენ.

5. **სანაინის მონასტერი** - შუა საუკუნეების ხანის მონასტერი სომხეთში, სოფ. სანაინში (ახლ. ალავერდი), X-XIII სს. ხუროთმოძღვრული ანსამბლი.

თავი VIII

1. . **შენსი** - პროვინცია ჩრდილო-დასავლეთ ჩინეთში.

2. **ოქსუსი**, იგივე **ამუ დარია** - ცენტრალური აზიის უმთავრესი მდინარე. ჩაედინება არალის ზღვაში.

3. **სილეზია** - ისტორიული სლავური ოლქი ცენტრალურ ევროპაში, მდ. ოდერის ზემო და შუა წელზე. მისი დიდი ნაწილი პოლონეთის შემადგენლობაშია (უმსხვილესი ქალაქები ვროცლავი და კატოვიცე), შედარებით მცირე ნაწილი კი ჩეხეთსა და გერმანიას ეკუთვნის.

4. **კიახტა** - ქალაქი ბურიატიის რესპუბლიკაში, რუსეთ-მონღოლეთის საზღვარზე. დაარსდა XVIII ს. დასაწყისში და ჩინეთთან რუსეთის ვაჭრობის ცენტრად გადაიქცა.

5. **არშინი** - იხ. დანართი №1-ის კომენტ. 16; **წყრთა** - (ფრანგ. aune - იდაყვი), ძველებური სიგრძის საზომი ერთეული. დაახლ. 50,6-52 სმ-ის ტოლი იყო. საქართველოში იხმარებოდა XVI ს-დან და მოიცავდა მანძილს იდაყვიდან შუა თითის წვერამდე; წყაროების მიხედვით იგი დაახლ. 50,6-52 სმ-ს უტოლდებოდა (ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, თბილისი, 1973, გვ. 134). ფრანგული წყრთა ჯერ 1,18 მ-ს, შემდეგ კი 1, 20 მ-ის ტოლი იყო, 1840 წ. ამოღებულ იქნა ხმარებიდან (Le Petit Robert, I, გვ. 131).

6. **სელევკიოს I ნიკატორი** („ძლევამოსილი“) – დაახლ. ძვ. წ. 358-281/280 წწ., ალექსანდრე მაკედონელის მხედართმთავარი, სელევკიდების სახელმწიფოსა და დინასტიის დამაარსებელი.

7. **ჯონ მალკოლმი** (1769-1833 წწ.) – ინგლისელი ისტორიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე. მსახურობდა ინდოეთში; დიპლომატიური მისიით რამდენჯერმე იმყოფებოდა სპარსეთში, ამ დროს დაამუშავა მასალები თავისი წიგნისათვის “History of Persia”, L. 1815. (*Энциклопедический словарь*, изд. Ф. А. Брокгауза, и И. А.Эфрона, ტ. 36, გვ. 498, 1894).

8. იგულისხმება **კუნძული ჰორმუზი** სპარსეთის ყურეში, ამავე სახელწოდების სრუტის ახლოს. 1507-1622 წლებში მას პორტუგალიელები ფლობდნენ და უმნიშვნელოვანეს სავაჭრო პუნქტად აქციეს.

9. **პალმირა** – უძველესი ქალაქი სირიის ჩრდილო-აღმოსავლეთში.

10. **ალექსანდრია** - ქალაქი ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, მდ. ნილოსის დელტის დასავლეთ ნაწილში. წარსულში აღმოსავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობის უდიდესი ცენტრი.

11. **პენჯაბი** – ისტორიული მხარე სამხრეთ აზიაში (სპარს. „ხუთმდინარეთი“). 1947 წლიდან მისი აღმოსავლეთი ნაწილი (სიქჰებითა და ინდუსებით დასახლებული) ინდოეთის შემადგენლობაშია, ხოლო დასავლეთი (მუსლიმებით დასახლებული) – პაკისტანისა.

12. **ზენობი** – სომეხი ისტორიკოსი სირიიდან (IV ს.); თხზულებაში „ტარონის ისტორია“ აღწერა ტარონის ოლქში (ვანის ტბის მიდამოებში) ქრისტიანი სომხების ბრძოლა წარმართებთან (გამოცემულია 1708 წ. კონსტანტინოპოლში და 1832 წ. ვენეციაში (*Энциклопедический словарь*, დასახ. გამოც., 1894). ტექსტში ზენობი სომხეთის განმანათლებლის თანამედროვედ არის წარმოდგენილი.

13. **ტანა (ტანაისი)** – მდ. დონის ძვ. ბერძნული სახელწოდება.

14. იგულისხმება აღა მაჰმად-ხანის შემოსევა 1795 წ.

15. **გალის მჟავა** - მელნის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი.

16. **რიშელიე, არმან ემანუელ დიუ პლესი** (1766-1822 წწ.) – ფრანგი ჰერცოგი, სახელმწიფო მოღვაწე, ბურბონების პრემიერ-მინისტრი; ბურჟუაზიული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ გააძევეს ქვეყნიდან; 1790 წლიდან რუსეთშია და მონაწილეობს რუსეთ-თურქეთის ომში (1787-1791 წწ.); 1803 წ. დაინიშნა ქალაქ ოდესის მმართველად; 1803-1814 წწ. იყო ნოვოროსიის გუბერნატორი. ბურბონების რესტავრაციის შემდეგ (1814 წ.) დაბრუნდა საფრანგეთში და მსახურობდა ლუი XVIII-ის კარზე. ნაშრომის პირველ ტომში გამბა ხოტბას ასხამს მას და მის მოღვაწეობას ოდესაში.

17. **სარაჯიშვილების** სავაჭრო სახლი თბილისში ოდითგანვე იყო ცნობილი. ისინი განეკუთვნებიან იმ მცირერიცხოვან ქართველ (და არა სომეხ) ვაჭართა რიცხვს

(ნიკოლაძეებთან, ზუბალაშვილებთან, გოკიელებთან და ა.შ. ერთად), რომელთაც XIX ს. დამდეგიდან გაცხოველებული კომერციული ურთიერთობები ჰქონდათ ჩრდილო კავკასიასთან, რუსეთთან, ირანთან და დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან. ხსენებულ პერიოდში ფიგურირებენ დავით და მიხეილ სარაჯიშვილები, როგორც წარმატებული სოვდაგრები. სავარაუდოდ, დავით სარაჯიშვილი იყო ცნობილი კონიაკის მეწარმის პაპა: ცნობილია, რომ ამიერკავკასიაში რუსეთის დასაყრდენად სომხები ითვლებოდნენ, ამიტომაც მათ განსაკუთრებულ პრივილეგიებს ანიჭებდნენ. ნებისმიერი ვაჭარი თბილისის გილდიაში გაერთიანებისას უნდა ყოფილიყო გრიგორიანელი (რაც ერთგვარი დაუწერელი კანონი იყო). გამბას მიერ დავით სარაჯიშვილის სომეხი ვაჭრების ჩამონათვალში მოხსენიებაც, ალბათ, მისი არასწორი ინფორმირებულობით იყო გამოწვეული (იხ.პ. გუგუშვილი, დასახ. ნაშრ., ტ. VI, გვ. 351-352).

18. **მულტანი** – ქალაქი პაკისტანის ცენტრალურ ნაწილში, პენჯაბის პროვინციაში.

თავი IX

1. **თუნგი** - (სპარს. თიხის მაღალყელიანი ჭურჭელი), მზადდებოდა როგორც თიხისაგან, ისე სპილენძისაგან; გამოიყენებოდა სითხის საწყაოდ. ქართულ წყაროებში პირველად იხსენიება XVI ს-ში. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მისი ტევადობა განსხვავებული იყო. XIX ს. პირველ ნახევარში თბილისში, შორაპნისა და ახალციხის მაზრებში თუნგი იტევდა 3,7 ლიტრას, კახეთში კი - 3,4 ლიტრას (გიულდენშტედტი.., გვ. 137; გ. ჯაფარიძე, *დასახ. ნაშრ.,* გვ. 90-92).

2. **აბაზი** -იხ. დანართი №1, კომენტ. 42.

3. **ელიზავეტპოლი/ელიზაბეტპოლი/ელისაბედპოლი** - აზერბაიჯანის ქ. განჯის სახელწოდება 1804-1918 წწ-ში. 1804 წ. პ. ციციანოვმა (იხ. ქვემოთ) აიღო განჯა და იმპერატორ ალექსანდრე I-ის მეუღლის პატივსაცემად მას ელიზავეტპოლი უწოდა.

4. **ჭიაფერი/კერმესი** - ხასხასა წითელი/ალისფერი საღებავი.

5. **ჯონას ჰენვეი** (1712-1786) - ინგლისელი კომერსანტი. 1743 წ. იმოგზაურა რუსეთის გავლით სპარსეთში. 1734 წ. რუსეთთან მომგებიანი სავაჭრო ხელშეკრულების გაფორმებისა და ლონდონში „რუსული კომპანიის“ დაარსების (1740 წ.) შემდეგ ინგლისისათვის ირანთან ვაჭრობის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა. ჰენვეის მოგზაურობაც ამ მიზნით დაიგეგმა, თუმცა მოსალოდნელი შედეგები არ მოჰყოლია; 1750 წ. ინგლისში დაბრუნების შემდეგ ჰენვეიმ განაგრძო კომერციული საქმიანობა, მათ შორის - ფილანტროპიული დაწესებულებების დაარსება, თუმცა მისთვის დიდი წარმატების მომტანი აღმოჩნდა 1753 წ. ლონდონში გამოცემული ნაშრომი (*An historical Account of the British Trade over the Caspian Sea; with a joirnal of Travels from London through Russia into Persia*, I-IV, by Jonas Hanway, London, 1753), რომელიც ირანში მისი მოგზაურობის აღწერის გარდა, შეიცავს მნიშვნელოვან ცნობებს კასპიის ზღვაზე ინგლისის ვაჭრობის შესახებ (იხ. Полиевктов М.А., *დასახ. ნაშრ.,* გვ. 128-129). თავისი ექსცენტრული ხასიათის წყალობით, ჰენვეიმ ინგლისში პირველმა მოახერხა დაენერგა საწვიმარი ქოლგის გამოყენება, რისთვისაც დიდი ძალისხმევა დასჭირდა (XVIII ს-ში ქოლგა „ზედმეტად ფრანგულ“ და, შესაბამისად არასასურველ ატრიბუტად ითვლებოდა ინგლისში).

6. 1821 წ. 8 ოქტომბრის შეღავათიანი ტრანზიტით დაინტერესებულ უცხოელ ნეგოციანტთა შორის იყვნენ **კასტელა** და **დიდლო**. გარდა სავაჭრო საქმიანობისა, მათ რუსეთისაგან მიიღეს ნებართვა თბილისში ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე დაეარსებინათ აბრეშუმის ძაფსახვევი და საგრეხი ფაბრიკა, რომელმაც 1827 წ. დაიწყო მუშაობა. კასტელამ საქართველოში აბრეშუმის ამოხვევის ევროპული წესი შემოიტანა,

თუმცა მისი გარდაცვალების შემდეგ აღმოჩნდა, რომ მთავრობისაგან ფაბრიკისათვის გაცემული სესხის მხოლოდ მცირე ნაწილი იყო მიზნობრივად დახარჯული, უდიდესი ნაწილი კი სხვა საქმიანობას მოახმარეს (ნ. აბესაძე, *მეაბრეშუმეობა საქართველოში ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით*, თბილისი, 1957, გვ. 158-159).

7. **ვივარე** - ისტორიული პროვინცია საფრანგეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში, ახლ. არდეშის დეპარტამენტი.

8. **პიემონტი** - რეგიონი იტალიის ჩრდილოეთში. ითვლებოდა სატექსტილო ინდუსტრიის უმნიშვნელოვანეს ცენტრად (იხ. გამბა, მოგზაურობა, ტ. I, გვ. 297).

9. **ულმი** - ქალაქი, ნავსადგური და სავაჭრო ცენტრი მდ. დუნაიზე, გერმანიაში.

10. **ბალხანის ყურე** - შიდა ყურე კასპიის ზღვის აკვატორიის აღმოსავლეთ ნაწილში;

11. **შირვანი/შარვანი** - ისტორიული ქვეყანა ახლ. აზერბაიჯანის ჩრდილო-აღმოსავლეთში, კასპიის ზღვის დას. სანაპიროზე, ცენტრი – ქ. შემახა. ძველად შეადგენდა კავკასიის ალბანეთის ნაწილს.

12. **მაზანდარანი** - ისტორიული ოლქი ჩრდ. ირანში.

13. **ლუიზიანა** - XVII-XIX სს-ში მდ. მისისიპის აუზის ტერიტორიის სახელწოდება; ამჟამად გადანაწილებულია აშშ-ს რამდენიმე შტატში (უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი, შემდგენელი ა. ელერდაშვილი, თბილისი, 2006).

14. **სანტო-დომინგო -** დომინიკელთა რესპუბლიკის (კ. ჰაიტის აღმ. ნაწ.) დედაქალაქი.

15. **სეზამი/შირბახტი/ქუნჯუტი** - ბალახოვანი მცენარე, მისი მარცვლებისაგან მიღებული ზეთი გამოიყენება მედიცინასა და კოსმეტოლოგიაში.

16. **ფისტი** (ფსტა/ბუსტუღი/ფისტიღი) - მრავალტოტიანი ხე ან ბუჩქოვანი მცენარე, მისი ნაყოფი ძველთაგანვე გამოიყენებოდა საკვებად, შეიცავს მთრიმლავ და ფისოვან ნივთიერებებს (ა. მაყაშვილი, *ბოტანიკური ლექსიკონი,* თბილისი, 1991, გვ. 70).

17. **ტარბი ანუ ვარდისფერი შოშია** - ბეღურასნაირთა რიგის ფრინველი (ლათ. Pastor [Sturnus] rosaus), ტანი ვარდისფერია, თავი, ფრთები და ბოლო - მოლურჯო-მოშავო. გავრცელებულია ველებისა და ნახევრად უდაბნოს ზონაში (უნგრეთიდან ავღანეთამდე). საქართველოში გვხვდება, როგორც მობუდარი გადამფრენი ფრინველი (აპრილ-სექტემბერში), სპობს კალიებს, თუმცა შემოდგომით ბაღ-ვენახებსაც დიდ ზიანს აყენებს (რ. ჟორდანია, ქსე, ტ. 9, გვ. 660). შდრ. ალ. დიუმა: „მოდის ათიათასობით კალია, სადაც ის ჩნდება, მოსავალი იღუპება, ერთი თავთავიც კი აღარ რჩება ყანებში. ტყეში ხეს ფოთოლი სცვივა. საბედნიეროდ, ეს ღრუბელი კალიისა სწრაფად ქრება: მათ ერეკება გუნდ-გუნდი ფრინველი, რომელთაც ქართველები და სპარსელები ისევე აღმერთებენ, როგორც ეგვიპტელები იბისებს. კალიების ამ გამანადგურებელს ადგილობრივად ტარბი ეწოდება. ეს არის ჩვენი მუზეუმის Paradisia tsitsis“ (ა. დიუმა, *კავკასია*, თარგმანი თ. ქიქოძისა, თბილისი, 1970, გვ. 196-197).

18. **ძენძერუკი** - (ყაჯირი) ქორის მსგავსი ფრინველი.

19. **ვოლნეი, გრაფი კონსტანტინ ფრანსუა დე შასბეფი** - ფრანგი ფილოსოფოსი და მწერალი (1757-1820). მას შემდეგ, რაც შეისწავლა სამართალი და მედიცინა, იმოგზაურა ახლო აღმოსავლეთში, დაბრუნებისას კი დაწერა ნაშრომი “მოგზაურობა ეგვიპტესა და სირიაში” (1787); აქვს სხვა ნაშრომებიც (*Les Ruines ou méditations sur les révolutios des empires*, 1791; *Recherches nouvelles sur l'histoire anciens*, 1814). თავისი თხზულებების მიხედვით სოციოლოგად და მორალისტ მწერლად ითვლება *Robert, II; Dictionnaire des personages historiques*, Torino,1995, გვ. 193).

თავი X

1. **სოღანლუღი/სონღალუღი** - ძვ. „ყურყუთა“ (თურქ. სახახვეთი), სოფელი თბილისის სამხრეთით, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, წყაროებში იხსენიება XVII-XVIII სს-თა მიჯნიდან (ვრცლად. იხ. თ. ბერიძე, *ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია*, თბილისი, 1977, გვ. 108-123).

2. **დემურჩასალი/დემურჩესალი** - გვიანდელ შუა საუკუნეებში თურქმანული მესაქონლე ტომები, ე. წ. ელები (თურქ. ხალხი, მომთაბარე ტომი) დემურჩიასანლუ, ყაზახ-ბორჩალოელნი და სხვ. ჩაასახლეს **ყარაია/ყარაიაზის** მტკვრისპირა ველზე (ახლ. რუსთავის სამხრეთ-აღმოსავლეთით). ისტორიულად აქ იყო საზამთრო საძოვრები და ქართველ მეფეთა სანადირო ადგილი, მაგრამ ჯერ მონღოლთა შემოსევების შედეგად გაუკაცრიელდა, შემდეგ კი „სპარსთა შაჰების გეგმისაებრ აქ უბინადრო ელი დემურჩიასანლუ შემოვიდა (ივ. ჯავახიშვილი, *საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით*, 1919); XIX ს. პირველ ნახევარში ელები ქვემო ქართლში გადავიდნენ გამბას მოგზაურობის დროისათვის სოღანლუღი პირველი, ხოლო დემურჩასალი - მეორე საფოსტო სადგური იყო თბილისიდან ერევნისაკენ მიმავალ გზაზე (ვახუშტი, *აღწერა..*, დასახ. გამოც., გვ. 332; დ. მუსხელიშვილი, *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები*, ნაწ. I, თბილისი, 1980).

3. **სალაგლი/სალოღლი** - დაბა აზერბაიჯანში, აღსტაფის რაიონში (ძვ. სახელწოდება „კუხეთი“).

4. **ხრამი** (ძვ. ქცია) - მდ. მტკვრის მარჯვენა შენაკადი (ერთვის აზერბაიჯანში).

5. იგულისხმება ე.წ. **გატეხილი ხიდი,** გვიანი ფეოდალური ხანის ხიდთმშენებლობის ნიმუში მდ. ხრამზე, თბილისიდან 57 კმ-ის დაშორებით. მასზე გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო და სტრატეგიული მაგისტრალი, რომელიც საქართველოს სომხეთთან, აზერბაიჯანთან და ირანთან აკავშირებდა. დღემდე მოქმედი ეს ოთხთაღოვანი ხიდი ააშენა ქართლის მეფე როსტომმა XVII ს-ის შუა წლებში (ზოგიერთი ცნობით 1653 წ.). იგი არასოდეს დაზიანებულა, მაგრამ მაინც „გატეხილი ხიდის“ სახელით იყო ცნობილი, რაც იმით აიხსნება, რომ მის მახლობლად (95 მ-ის დაშორებით) მდ. ხრამის ორივე ნაპირზე დღემდეა შემორჩენილი სხვა, უძველესი ხიდის ნაშთები – საყრდენი ბურჯები. აქვე, ხრამისა და მტკვრის შესართავთან მდებარეობდა ძველი ქართული ქალაქი ხუნანი (სომხ. ჰნარაკერტი), რომელიც VIII ს-ში მურვან-ყრუს ურდოებს დაუნგრევიათ. როგორც ჩანს, უძველესი ხიდიც ამ დროს განადგურებულა, მის ნანგრევებსა და მიმდებარე ადგილს კი „გატეხილი ხიდი“ შეერქვა. ეს სახელწოდება შემდგომში მემკვიდრეობით გადასულა დღეს არსებულ მოქმედ (როსტომისეულ) ხიდზე, რომელსაც რუსებმა XIX ს-ში „წითელი ხიდი“ დაარქვეს მისი წითელი აგურით ნაგები თაღების გამო (ნ. კვეზერელი-კოპაძე, საქართველოს ძველი ხიდების მთავარი სახეები, „*ძეგლის მეგობარი*“, XIX, თბილისი, 1969; მისივე, ანტიკური ხანის ორი ხიდი საქართველოში, „*ძეგლის მეგობარი*“, №27-28; ლ. მიქიაშვილი, წითელი (გატეხილი) ხიდის აღწერილობა და მისი ფუნქცია XIX საუკუნის ევროპელ მოგზაურთა ნაშრომების მიხედვით, კრებ. *აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, ირანელი და ფრანგი ავტორები მე-19 საუკუნის საქართველოს შესახებ*, თბილისი, 2018, გვ. 124-135).

6. **ნეაპოლის სამეფო** - იტალიის ძველი სამეფო (იტალიის ნ-კ-ის სამხრეთი ნაწილი და სიცილია), რომელიც 1861 წ. შეუერთდა იტალიის ახალ სამეფოს.

7. **თაუზი/თოუზი** - ქალაქი აზერბაიჯანში.

8. **ძეგამი** - დაბა აზერბაიჯანში, თაუზის რაიონში.

9. **შამქორი** - ქალაქი აზერბაიჯანში, მდ. ჯაგირჩაის ნაპირებზე. წარსულში შედადიანთა დინასტიის განჯის ამირების სამფლობელო. 1195 წ. მის მახლობლად მოხდა ცნობილი შამქორის ბრძოლა ქართველებსა და ირანის აზერბაიჯანის ათაბეგ აბუ-ბაქრის ლაშქარს შორის.

10. **ტრაიანეს კოლონა** - იმპერატორ ტრაიანეს (98-117) მიერ რომში აღმართული 38-მეტრიანი მარმარილოს კოლონა, რომელზეც რელიეფურად გამოსახულია ამ უკანასკნელის მიერ წარმოებული ბრძოლების სცენები.

11. **ეუბე** - ბერძნული კუნძული ეგეოსის ზღვაში.

12. **გენერალი დიმიტრი ლისანევიჩი** (1778-1825) - კავკასიის ომის ერთ-ერთი ცნობილი სამხედრო მოღვაწე; მონაწილეობდა სპარსეთის ლაშქრობაში გრაფ ზუბოვის მეთაურობით; საქართველოში ეგერთა მე-17 პოლკის შემადგენლობაში მსახურობდა პ. ციციანოვის მმართველობისას. განჯის შტურმის დროს პოდპოლკოვნიკის ჩინით იბრძოდა და პირველი ავიდა ქალაქის გალავანზე.

13. **განჯის სახანოს** დამორჩილებას რუსეთისათვის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. განჯელმა ჯავად-ხანმა ჯერ კიდევ 1796 წ., როდესაც რუსებმა გენერალ ზუბოვის სარდლობით განჯა აიღეს, აღიარა რუსეთის პროტექტორატი, მაგრამ რუსთა ჯარის წასვლისთანავე (1797 წ.) უარი განაცხადა მორჩილებაზე და მოითხოვდა სახანოში დამოუკიდებელი მმართველობის შენარჩუნებას. 1804 წ. იანვარში პ. ციციანოვმა აიღო განჯის ციხე, ბრძოლაში ჯავად-ხანი დაიღუპა და განჯის სახანო რუსეთს შეუერთდა, ხოლო განჯას იმპერატორ ალექსანდრე I-ის მეუღლის პატივსაცემად ელიზაბეტპოლი ეწოდა. რუსეთისათვის ეს მნიშვნელოვანი წარმატება იყო, რადგან ამის შემდეგ მან იოლად დაიმორჩილა განჯასთან ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფი სახანოებიც (*История Азербайджана*, т. 2, Баку, 1960, გვ. 4).

14. **პრიამოსი** - ძვ. ბერძნული მითოლოგიის პერსონაჟი, ტროას უკანასკნელი - მეექვსე მეფე. იმეფა 40 წელი, ჰყავდა რამდენიმე ცოლი, 50 ვაჟი და ამდენივე ქალიშვილი. ტროას ომის დროს ხანდაზმულობის გამო ბრძოლებში არ მონაწილეობდა. მის შესახებ საუბარია ჰომეროსის პოემაში „ილიადა“, ამის შემდეგ ეს სიუჟეტი გამოიყენეს ესქილემ, სოფოკლემ, ვერგილიუსმა, დიონისე სირაკუზელმა და ა.შ. ტროას ომის დროს აქილევსმა მოკლა პრიამოსის გამორჩეულად საყვარელი ვაჟი - ჰექტორი და მისი გვამი ეტლით ათრია. ტროას დაცემის შემდეგ ზევსის საკურთხეველს თავშეფარებული მოხუცი პრიამოსი აქილევსის ვაჟმა ნეოპტოლემემ მოკლა. პრიამოსის პერსონაჟი განზოგადებული სახით დამკვიდრდა ლიტერატურაში, როგორც ტრაგიკული ბედის მქონე დიდი ოჯახის მამისა და მრავალტანჯული მოხუცის სიმბოლო.

ფრიგიის მეფის ასული **ჰეკუბა/ჰეკაბე** პრიამოსის მეორე ცოლი იყო (ჰექტორისა და პარისის დედა). ომის შემდეგ იგი ოდისევსს ერგო ტყვედ, თუმცა ტყვეობაშიც შურისძიებაზე ფიქრობდა: ერთ-ერთი ვერსიით, თრაკიის სანაპიროსთან მან შვილის (პოლიდორეს) მკვლელს თვალები დასთხარა, თვითონ კი ძუ ძაღლად გადაიქცა და ზღვაში გადახტა. კლასიკურ ლიტერატურაში ჰეკუბა უბედურებისაგან შეშლილი, შურისმაძიებელი დედისა და, ზოგადად, ქალის სიმბოლოა (ა. გელოვანი, *მითოლოგიური ლექსიკონი,* თბილისი, 1983, გვ. 423, 579; *მითოლოგიური ლექსიკონი,* შეადგინა ნ. გაფრინდაშვილმა, თბილისი, 1972, გვ. 260,318).

15. **პიზი** - სოფელი საფრანგეთში, ბურგუნდიის ოლქში.

16. იმ დროისათვის **მაიორ პონომარიოვს** შაქის ხანის კარზე ბოქაულის (კომენდანტის) თანამდებობა ეჭირა.

17. **ნიკოლოზ მურავიოვ-კარსკი** (1794-1866) - რუსი მხედართმთავარი (ინფანტერიის გენერალი), დიპლომატი და მოგზაური. 1854-1856 კავკასიის მთავარმართებლის მოადგილე.

ყირიმის ომის დროს ყარსის აღებისას გამოჩენილი მამაცობისათვის მიიღო საპატიო წოდება „კარსკი“. 1816 წ. კაპიტნის რანგში მსახურობდა ა. პ. ერმოლოვთან. 1817 წ. სპარსეთში საგანგებო ელჩობის წევრი იყო, მისიის დასრულების შემდეგ კავკასიაში დარჩა 1819 წ. გაემგზავრა ურთულესი ექსპედიციით კასპიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროდან ხივამდე. ექსპედიცია მიზნად ისახავდა ზღვის სანაპიროს გეოგრაფიულ აღწერას, სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დაზვერვით სამუშაოებს, ინდოეთისაკენ მიმავალი შესაძლო საგზაო მარშრუტების დადგენას, თურქმენებთან სავაჭრო-დიპლომატიური ურთიერთობის დასამყარებლად მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებას და ხივაში შეღწევას. ექსპედიციას ხელმძღვანელობდა მაიორი პონომარიოვი. ამ ექსპედიციის შედეგებს ნ. მურავიოვმა 2-ტომიანი ნაშრომი მიუძღვნა (*Путешествие в Туркмению и Хиву в 1819 и 1820 годах*, гвардейского Генерального Штаба капитана Николая Муравьева, ч. 1-2, Москва, 1822).

18. **კაშკარჩაი** - მდინარე აზერბაიჯანში, მტკვრის შენაკადი (დასავლეთიდან).

19. ელიზაბეტპოლის გუბერნიაში გერმანელები 1819 წ. გამოჩნდნენ, ისინი ძირითადად ვიურტემბერგიდან იყვნენ. აქ დააარსეს საკუთარი კოლონიები: **ელენენდორფისა** - განჯის მახლობლად (დღ. ქ. ხანლარი აზერბაიჯანში) და **ანენფელდის** - შამქორის სახაზინო მიწებზე. ელენენდორფში 130 ოჯახი დასახლდა, სახელწოდება კი მეკლენბურგ-შვერინის ჰერცოგინიას - ელენე პავლეს ასულის პატივსაცემად ეწოდა. ანენფელდში 91 ოჯახი იყო, სახელწოდება კი ნიდერლანდების დედოფლის - ანა პავლეს ასულიდან მომდინარეობს (გ. მანჯგალაძე, *გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიაში,* თბილისი, 1974, გვ. 30-31).

20. **რუსტამი/რუსტამ რაზა** (1783-1845) - იმპერატორ ნაპოლეონ ბონაპარტის პირადი მცველი მამლუქი. წარმოშობით საქართველოდან იყო, თბილისელი სომეხი; ლიტერატურაში გავრცელებული მცდარი ვერსიით ქართველ როსტომ რაზმაძედაც მიიჩნევდნენ. იგი ბავშვობაში გაიტაცეს და ქაიროში ტყვედ გაყიდეს, 1798 წ. ეგვიპტელმა შეიხმა რუსტამი ნაპოლეონ ბონაპარტს აჩუქა; მას შემდეგ იგი მუდმივად თან ახლდა იმპერატორს, რომელმაც თავის მამლუქს მაღალი ანაზღაურება დაუნიშნა და ყოველი ბრძოლის შემდეგაც გულუხვად ასაჩუქრებდა (მისი ქორწილის ხარჯებიც მთლიანად ნაპოლეონმა გაიღო); რუსტამი დიდი პოპულარობით სარგებლობდა საფრანგეთსა და მის ფარგლებს გარეთ, იგი დიდი მწერლების (ლ. ტოლსტოი, თ. დოსტოევსკი, სტენდალი) რომანების პერსონაჟადაც გვევლინება. რუსტამის „მემუარებში“ ასახულია პერიოდი მისი დაბადებიდან 1814 წლამდე. ეს ნაშრომი პირველად 1888 წ. გამოიცა საფრანგეთში (*Les Ruines ou Méditations sur les révolutios des empires*, 1791; *Recherches nouvelles sur l'histoire ancien*, 1814). რუსტამი დაკრძალულია საფრანგეთში, ქ. დურდანში (იხ. *ნაპოლეონის მამლუქი. რუსტამ რაზას მემუარები.* ფრანგულიდან თარგმნეს ა. მიქაბერიძემ და ნ. ხოფერიამ, თბილისი, 2012; გ. ჯაფარიძე, როგორ იმსხვრევა მითები, *საისტორიო კრებული "წელიწდეული"*, ტ.2, თბილისი, 2012, გვ. 387-399; მ. კალანდაძე, რუსტამი - ნაპოლეონის მამლუქი, გაზ. *კვირის პალიტრა*, 2012, 3 სექტემბერი).

თავი XI

1. **მელიქი** - (არაბ. მალიქ, მფლობელი, გამგებელი); ისლამის დამკვიდრების შემდეგ არაბები ამ ტერმინს არამუსლიმი გამგებლების მიმართ იყენებდნენ. ეს წოდება კავკასიაშიც გავრცელდა: აზერბაიჯანსა და სომხეთში მელიქები ნახევრად დამოუკიდებელი მფლობელები იყვნენ; საქართველოს ტერიტორიაზე მელიქების რამდენიმე სახლი არსებობდა: თბილისის მელიქ-მამასახლისები (ბებუთაშვილები), სომხითის მელიქები (მელიქიშვილები), გორის, ლორის და ა.შ. (ვრცლად იხ. ალ. ბოშიშვილი, თბილისის მელიქის

სახელოს და ქრონოლოგიის შესახებ, *თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები*, III, 2011).

2. **ქურმუხჩაი** - მდინარე აზერბაიჯანში, კახის რაიონში, მდ. ალაზნის მარცხენა შენაკადი, სავარაუდოდ, წინათ ამავე სახელწოდების დასახლებაც არსებობდა.

3. **კატალონია** - ისტორიული ოლქი პირენეს ნ-კის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. ამჟამად ესპანეთის შემადგენლობაშია ავტონომიური სტატუსით (დედაქალაქი ბარსელონა).

კარდონა - ქალაქი ესპანეთში, ბარსელონის მახლობლად (კატალონიის პროვინცია ლერიდუ), მისი სახელწოდება 886 წ. აგებული ისტორიული ციხე-სიმაგრიდან მომდინარებს.

4. დღ. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ამ ტოპონიმს ვერ მივაკვლიეთ.

5. **გოქჩაი/გეიჩაი/გეოქჩაი** - (აზერბ. ლურჯი მდინარე), ქალაქი აზერბაიჯანში, მდ. გეიჩაის მარჯვენა ნაპირზე.

6. **ტარკის საშამხლო** - მთიანი დაღესტნის ტერიტორიაზე XVII-XIX სს-ში არსებული ფეოდალური სახელმწიფო ერთეული (მოსახლეობა - ყუმუხები, ლაკები, დარგოელები). წინათ ღაზიყუმუხის სახანოს შემადგენლობაში იყო; XVII ს. დასაწყისში საშამხლოს დაშლის პროცესი დაიწყო: შამხლის ტიტული მემკვიდრეობით არ გადადიოდა, ტრადიციულად, იგი ენიჭებოდა საშამხლოს რომელიმე ერთეულის მმართველს. იმხანად შამხლის ტახტისათვის ბრძოლაში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ბოინაკის ხელისუფალი - ყირიმ-შამხალი ანდი და ტარკის მმართველი გირეი (ამ საგვარეულოს ეკუთვნის მოგვიანებით დამკვიდრებული რუსული ფორმა ტარკოვსკი), რომელმაც დახმარებისათვის რუსებს მიმართა. შამხლებმა რეზიდენციად შესაბამისად ბოინაკი და ტარკი აირჩიეს, ყუმუხში კი მხოლოდ ზაფხულობით ჩადიოდნენ. 1642 წ. სურხაი-შამხალმა (1641-1667) ტარკი დედაქალაქად გამოაცხადა, რის გამოც უკმაყოფილო ღაზიყუმუხელები აჯანყდნენ, საკუთარი სახანოს დამოუკიდებლობა გამოაცხადეს და მმართველად ალი ბეგ II აირჩიეს. ასევე დამოუკიდებელ სამთავროდ ჩამოყალიბდა ტარკის საშამხლოც (შამხლის ტიტული ტარკის მფლობელებს დარჩათ). 1813 წლიდან ტარკის საშამხლო რუსეთის პროტექტორატის ქვეშ მოექცა, 1867 წ. კი გაუქმდა (Шамхалы тарковские, *ССКГ* (*Сборник сведений о кавказских горцах*), 1868. Вып. 1. გვ. 58. ნ. ხუციშვილი, *დაღესტანი*, თბილისი, 2002, გვ. 44-47; თ. ბოცვაძე, *დასახ. ნაშრ.,* გვ. 23).

7. **ნოვოუჩრეჟდიონაია** - სადგური/პუნქტი ყიზლარ-დერბენდის გზაზე.

8. **რეომიური, რენე ანტუან** (1683-1757) - ფრანგი ფიზიკოსი და ბუნებისმეტყველი, პეტერბურგის აკადემიის უცხოელი საპატიო წევრი. ცნობილია მის მიერ 1730 წ. შემოღებული თერმომეტრით (რეომიურის შკალა), რომელიც დღეს აღარ გამოიყენება.

9. **ეპერნე** - ქალაქი საფრანგეთში, მარნას დეპარტამენტში, შამპანური ღვინის წარმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი.

10. კავკასიის და, კერძოდ, დაღესტნის დაპყრობა რუსეთისათვის რთული და ხანგრძლივი პროცესი იყო: 1796 წ. რუსეთის ჯარი ვ.ზუბოვის მეთაურობით დაღესტნის სამხრეთში შეიჭრა. დერბენდელი შეიხ-ალი ხანი ბრძოლისას ტყვედ ჩავარდა, თუმცა მალევე მოახერხა გაქცევა და ღაზიყუმუხელ სურხაი-ხანთან ერთად გააგრძელა ბრძოლა. 1813 წ. გულისტანის ზავით დაღესტანი რუსეთს ერგო და ამ ტერიტორიაზე რამდენიმე რუსული ციხე-ქალაქი აღმოცენდა. 1817 წ. კავკასიის ომის დაწყებისთანავე ერმოლოვის წინააღმდეგ გაერთიანდნენ ღაზიყუმუხის, ავარიის, თაბასარანის, მეხთულის და აკუშის ხანები, თუმცა მათი ბრძოლა წარუმატებლად დასრულდა: 1820-21 წლისათვის ერმოლოვმა მთლიანად დაიმორჩილა დაღესტანი.

11. **ინჩა//ინჯა** – სოფ. შაქის რაიონში, მდ. შინის ნაპირზე.

12. **შემახა** - ქალაქი აზერბაიჯანში, შემახის რ-ნის ადმინისტრაციული ცენტრი. არქეოლოგიური მასალით დასტურდება, რომ ძვ. წ. აღ. V-IV სს-ში აქ იყო დასახლება, IX-XVI სს-ში შირვანის სატახტო ქალაქი და შირვანშაჰთა რეზიდენცია, ხოლო XVIII ს. შუა

წლებში - შემახის სახანოს მთავარი ქალაქი. ნადერ შაჰის მიერ ძველი შემახის განადგურების შემდეგ 1736 წ. მდ. აქსუს (აღსუს) ნაპირზე (ძვ. შემახის სამხრეთ-დასავლეთით) აშენდა ქ. ახალი შემახა, რომელიც მნიშვნელოვნად გაფართოვდა ნადერ შაჰის მიერ მმართველად დანიშნული ჰაჯი მაჰმუდ ალი ხანის დროს; 1766 წ. ყუბის ხანმა ფათჰ-ალიმ ახალი შემახა გაანადგურა და მოსახლეობა კვლავ ძველ შემახაში დააბრუნა. 1777 წლიდან, მიუხედავად ხშირი დარბევებისა, ახალ შემახაში ისევ გაჩნდა მოსახლეობა, ხოლო შირვანის უკანასკნელი ხანის - მუსტაფას მმართველობის დროს ქალაქი მნიშვნელოვნად აღორძინდა (*Энциклопедический лексикон*, т. 3, СПБ, 1835, გვ. 501-502). ალ. დიუმა თითქმის ანალოგიურად აღწერს შემახას (შდრ. ალ. დიუმა, *კავკასია*, გვ. 204).

13. **ვოლტერი, ფრანსუა მარი არუე** (1694-1778) - ფრანგული განმანათლებლური სკოლის წარმომადგენელი, მწერალი, ფილოსოფოსი, საფრანგეთის აკადემიის წევრი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი და ა.შ. გამბა გულისხმობს მის ნაშრომს „რუსეთის იმპერიის ისტორია პეტრე დიდის მეფობის დროს“ (2 ტომად გამოიცა 1759-1763 წწ.).

14. **ჟან ბატისტ ბურგინიონ დ'ანვილი** (1697-1782) - ფრანგი გეოგრაფი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი; მის მიერ შექმნილი ძვ. გეოგრაფიული რუკები დიდი სიზუსტით გამოირჩევა (Энциклопедический словарь Брокгауза и Ефрона, т.2 (1А), СПБ, 1890, გვ. 715).

15. XVIII ს. პირველ მეოთხედში ირანში შაჰის ხელისუფლება საგრძნობლად შესუსტდა, ქვეყანა საყოველთაო ამბოხებებმა მოიცვა, განსაკუთრებით გამანადგურებელი იყო ავღანელთა და დაღესტნელთა გამოსვლები. 1721 წ. 7 აგვისტოს ღაზიყუმუხის მფლობელმა სურხაი ხანმა და დაღესტნელმა ჰაჯი დაუდმა აიღეს შემახა და ნამდვილი ხოცვა-ჟლეტა მოაწყვეს; თავს დაესხნენ ქარვასლაში რუსი ვაჭრების დუქნებსაც, ნოქრების ნაწილი გააძევეს, ნაწილი კი - დახოცეს და 500 ათასამდე რუბლის საქონელი დაიტაცეს. მოგვიანებით ამბოხებულთა მეთაურები თავს იმით იმართლებდნენ, რომ რუსებმა საკუთარ დუქნებში გადამალეს სომეხი და შიიტი ვაჭრების მიერ მიბარებული საქონელი. ანტიირანულ გამოსვლებს მხარს უჭერდა თურქეთი, რაც კიდევ უფრო ამწვავებდა ირანის ისედაც კრიტიკულ მდგომარეობას. თავის მხრივ, რუსეთისათვის დაუშვებელი იყო ოსმალთა პოზიციების გაძლიერება კასპიისპირა პროვინციებში არა მარტო ამ პროვინციათა უდიდესი სავაჭრო-ეკონომიკური მნიშვნელობის, არამედ - იმ საფრთხის გამოც, რომელიც რუსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვრებს ექმნებოდათ. სწორედ ამით (და არა რუსი ვაჭრების გამო შურისძიებით, როგორც ეს გამბას მიაჩნია) იყო ნაკარნახევი პეტრე I-ის კასპიისპირა ლაშქრობა 1722 წელს. მცდარია გამბას ცნობა პეტრე I-ის მიერ შირვანზე შეტევასა და შემახის აღებაზეც: როგორც ცნობილია, დერბენდის უბრძოლველად დაკავების შემდეგ პეტრე I-მა, არახელსაყრელი პირობების გამო, შეწყვიტა ლაშქრობა და ასტრახანში დაბრუნდა. სათანადოდ მომზადების შემდეგ 1723 წ. მან განმეორებითი ლაშქრობის შედეგად დაიკავა რეშთი, ბაქო, სალიანი, გილანი, მაზანდარანი და ასთარაბადი (В. П. Лысцов, *Персидский поход Петра I*, Москва, 1951).

16. **ბაბილონი** - (აქად. „ღმერთების კარიბჭე“), შუმერების მიერ ძვ. წ. აღ. III ათასწლეულში დაარსებული უძველესი ქალაქი შუამდინარეთში (დღ. ერაყში, ახლ. ქ. ჰილას გარეუბანში). ძვ. აღმოსავლეთის მნიშვნელოვანი კულტურული და პოლიტიკური ცენტრი (ძვ. წ. 323 წ. აქ გარდაიცვალა ალექსანდრე მაკედონელი). დიდი ხნის მანძილზე ბაბილონი მითოლოგიურ ქალაქად ითვლებოდა, მისი ისტორიით მხოლოდ XIX ს. მიწურულს დაინტერესდნენ არქეოლოგები: გერმანიის აღმ. საზოგადოების მიერ ორგანიზებულმა ექსპედიციამ რ. კოლდევეის ხელმძღვანელობით გამოავლინა ბაბილონის ისტორიული რეალობა.

სუსა/სუზა - ქალაქი ელამში (პროტოირანული სახელმწიფო), აქემენიდების საზამთრო რეზიდენცია; მდებარეობდა ზაგროსის მთიანეთის ძირში, დღ. ირანის ქალაქ შუშის ადგილას.

ეკბატანა - (ახლ. ჰამადანი) მდებარეობდა დას. ირანში, მესოპოტამიიდან ირანისაკენ მიმავალ საქარავნო გზაზე. მიდიის სამეფოს სატახტო ქალაქი ძვ. წ. აღ. VII-VI სს-ში.

17. **მუღანის ველი** (ვაკე) - მტკვარ-არაქსის დაბლობის ნაწილი მტკვრისა და არაქსის შესართავის სამხრეთით, აზერბაიჯანში. მისი სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი ირანშია.

18. **სალიანი** - ქალაქი აზერბაიჯანში. ცნობილი იყო თევზის სარეწებით.

19. შდრ: „ალბანელებთან მომხდარი ბრძოლის შემდგომ პომპეუსს გულით სურდა, სამი დღის სავალ მანძილზე მდებარე ჰირკანიისა და კასპიის ზღვასთან (ჰირკანია იგივე კასპიის ზღვაა, სავარაუდოდ, პლუტარქე ამ ზღვის ორ საპირისპირო მხარეს გულისხმობს) გაჭრა; მაგრამ ამ მხარეში იმდენი შხამიანი გველი იყო, რომ პომპეუსი იძულებული გახდა უკან გამობრუნებულიყო; მან მცირე სომხეთისაკენ დაიხია“ (პლუტარქე, *რჩეული ბიოგრაფიები,* ძველბერძნულიდან თარგმნა ა. ურუშაძემ, თბილისი, 1975, გვ. 331).

20. **გრაფი ზუბოვი, ვალერიან ალექსანდრეს ძე** (1771-1804) - ინფანტერიის გენერალი, ეკატერინე II-ის უკანასკნელი ფავორიტის - პლატონ ზუბოვის ძმა. 1796 წ. დაინიშნა კავკასიის გენერალ-გუბერნატორად, მეთაურობდა 35-ათასიან სამხედრო კორპუსს, რომელსაც ევალებოდა პლ. ზუბოვის ამბიციური პროექტის (მთელი წინა აზიის დაპყრობა ტიბეტამდე) განხორციელება. სახელი გაითქვა დერბენდის, ბაქოს, ყარაბაღის და ა.შ. სახანოების წინააღმდეგ წარმატებული სამხედრო ოპერაციების წყალობით. გამბა შეცდომით უთითებს 1800 წელს: ეკატერინე II-ის გარდაცვალებისთანავე პავლე I-მა კავკასიიდან უკან დააბრუნა ჯარები, 1797 წლიდან რუსეთში დაბრუნებული ვ. ზუბოვი (სხვა ზუბოვებთან ერთად) იმპერატორის მიერ შერისხულთა რიგებში აღმოჩნდა, მამულებიც ჩამოართვეს და სამსახურიდან დაითხოვეს. 1800 წ. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო პავლე I-ის წინააღმდეგ შეთქმულებაში და მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ აღუდგა უფლებები.

21. იგულისხმება **მუსტაფა** - შირვანის ხანი 1792-1820 წწ. 1805 წ. შირვანის სახანო რუსეთის პროტექტორატის ქვეშ მოექცა, 1820 წლამდე სახანოს სტატუსი შეუნარჩუნდა, თუმცა ამავე წლის 26 სექტემბრიდან, მუსტაფა-ხანის გაქცევის შემდეგ, ალექსი ერმოლოვმა სახანო გააუქმა და იქ სახაზინო მმართველობა დააწესა (Абдуллаев Г. Б., *Из истории Северо-Восточного Азербайджана в 60-80 гг. XVIII в Баку*, 1958; Левиатов В. Н., *Очерки из из истории Азербайджана в XVIII веке*, Баку, 1948).

22. **მარაზა** - დაბა აზერბაიჯანის აღმოსავლეთში, შირვანის პროვინციაში, 2008 წლიდან - ქალაქი გობუსტანი.

23. **ვენტა** - გზისპირას განლაგებული სასტუმრო-სამიკიტნოები ესპანეთში.

24. **მელიქოვი, პავლე** (1777-1848) - რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი, 1816 წლიდან დაინიშნა ბაქოს კომენდანტად (პოლკოვნიკის ჩინით) და ამ თანამდებობაზე იყო 20-ანი წლების ბოლომდე (Ю. Асадов, *Армянский генеральский корпус царской России, Историко-биографические очерки (1724-1921)*, Москва, 2016).

თავი XII

1. **ბეშბარმაგი (ბერმეკი)** - (აზერბ. ხუთი თითი), ამ მთის კონტური ხუთი თითის მსგავსია. ლეგენდის თანახმად, წინასწარმეტყველი ხიზირი სიცოცხლის ელექსირის ძიებისას მთის მახლობლად, მიწისქვეშა სამეფოში წააწყდა „უკვდავების წყალს“, რომლის დალევის შემდეგ თავადაც უკვდავი გახდა, ამ ადგილს კი მისი სახელი – ხიზირ-ზინდა ეწოდა. ბეშბარმაგის მთაზე შემორჩენილია სასანიანთა ეპოქის VI-VII სს. თავდაცვითი ნაგებობები. მთის ძირში კი - წმინდა ადგილი „პირ ხიდირ ზინდა“, სადაც მომლოცველები იკრიბებიან.

2. **შირვანშაჰების სასახლე** - XIII-XV სს-ის არქიტექტურულ კომპლექსში სასახლის გარდა შედის დივან-ხანე (შიდა ეზოში), მეჩეთი (1441 წ.), შირვანშაჰების საგვარეულო

აკლდამა, სასახლის კარის სწავლულ საიდ იაჰია ბაკუვის მავზოლეუმი და აბანო. მკვლევართა აზრით, საკუთრივ სასახლე ზოგიერთ შენობასთან ერთად XV ს-ს დასაწყისშია აგებული (შირვანშაჰ ხალილ-ულას დროს). შაჰ-აბას II (მცირე) თითქმის ერთი საუკუნით გვიან ზეობდა (1642-1666), რაც გამორიცხავს მასთან ამ ძეგლის კავშირს. აღსანიშნავია, რომ გამბასეულ ვერსიას იმეორებს ალ. დიუმაც (შდრ. დიუმა, *კავკასია*, გვ. 200; Левиатов В. Н. *Памятники азербайджанской культуры (Бакинский дворец ширваншахов)*. Баку: Издательство Азербайджанского филиала Академии наук ССР, 1944. გვ. 52; Бретаницкий Л. С., Веймарн Б. В. *Искусство Азербайджана IV- XVIII веков*, Москва, 1976, გვ. 106- 272).

3. **მასაზირი** - მარილიანი ტბა აზერბაიჯანში, ბაქოს ჩრდილო-დასავლეთით, ყარადაღის რ-ში; მაღალი მარილიანობის გამო ტბის წყალი თითქმის მთლიანად მოკლებულია ფლორასა და ფაუნას, მის ფსკერზე მხოლოდ წყალმცენარეები ხარობენ და წყალს ღია ვარდისფერ შეფერილობას აძლევენ. მისი ნაპირები დაფარულია თოვლივით თეთრი კრისტალიზებული მარილით, რომელსაც აქ 1813 წლიდან დღემდე მოიპოვებენ.

4. **ღებრები** - (გვებრები, ფარსები), ზოროასტრიზმის (ცეცხლთაყვანისმცემლობის) მიმდევრები ძვ. სპარსეთსა და ინდოეთში. VII-VIII სს-ში, არაბთა შემოსევის შემდეგ მათი უმეტესობა სპარსეთიდან ინდოეთში გადაიხვეწა და ქ. ბომბეისთან დასახლდა (ა. დიუმა, *კავკასია,* გვ. 181, 488).

5. საუბარია ე.წ. **ცეცხლის ტაძარზე - ათეშგაჰზე**, რომელიც ბაქოდან 30 კმ-ზე, აფშერონის ნახევარკუნძულზე მდებარეობს. XVI-XVIII სს. კომპლექსი განთავსებულია „მარადიული ცეცხლის“ - ბუნებრივი გაზის აალების ადგილზე; საკუთრივ ტაძარი აგებულია 1713 წ. სხვადასხვა დროს მას თაყვანს სცემდნენ როგორც ზოროასტრიზმის მიმდევრები, ისე სიქჰები და ინდუსები. ეზოს ცენტრში აღმართულია ოთხკუთხა ფორმის საკურთხეველი - ცეცხლთაყვანისმცემელთა მოსალოცი ადგილი. ტერმინი ლარტიშიგეი აზერბაიჯანულ გადმოცემებში არ ფიგურირებს, სავარაუდოდ, იგი ინდუს მორწმუნეთა შორის იყო გავრცელებული. ბაქოს ჩირაღდნებს აღწერს ა. დიუმაც (იხ. *კავკასია*, გვ. 183-184).

6. **მალაბარი -** ისტორიული ოლქი სამხრეთ ინდოეთში.

7. ჯენკინსონი, ენტონი - XVI ს. ინგლისელი მოგზაური; 1557-1571 წწ-ში ოთხჯერ იმოგზაურა მოსკოვსა და ვოლგა-კასპიის გზის გავლით სპარსეთში, კასპიისპირა კავკასიასა და ბუხარაში. კავკასიის შესახებ ყველაზე მნიშვნელოვანი მონაცემები დაცულია სპარსეთში მისი 1561-1563 წწ. მოგზაურობის აღწერაში (М. Полиевктов, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 131-133).

8. **სტრუისი, იანი** - XVII ს. ჰოლანდიელი მეზღვაური, 1668 წლიდან მოსკოვის ხელმწიფის სამსახურშია, 1670 წ. ასტრახანიდან კასპიის ზღვის მიმართულებით გაემგზავრა, სადაც, ხაიდაყის უწმის მიერ დატყვევებული, მონად გაყიდეს. ამ მდგომარეობაში მოუწია ერევნის, დერბენდის, შემახის მიმართულებით გადაადგილება. მონობიდან თავდახსნილი სპარსეთში პოლონეთის წარმომადგენლის (სტრუისის ცნობით - წარმოშობით ქართველის) სამსახურშია, მასთან ერთად იმოგზაურა ამ ქვეყანაში, შემდეგ ისპაჰანიდან შირაზის გავლით ჰორმუზში ჩავიდა, აქ მეზღვაურად მოეწყო და გემით ცეილონსა და ბატავიაში იმოგზაურა. საბოლოოდ 1673 წ. დაბრუნდა ამსტერდამში, სადაც 1676 წ. გამოიცა მისი მოგზაურობის აღწერა (М. Полиевктов, დასახ. ნაშრ., გვ. 177-178).

9. თანამედროვე მეცნიერული მონაცემებით კასპიის ზღვაში წყლის დონის ცვალებადობის ამპლიტუდა უკანასკნელი 3 ათასი წლის მანძილზე 15 მ-ს აღწევს. არქეოლოგიური მასალისა და წერილობითი წყაროების მიხედვით წყლის მაქსიმალური დონე ფიქსირდება XIV ს. დასაწყისში. 1837 წლიდან წარმოებული სისტემატური გაზომვებით წყლის ყველაზე მაღალი დონე 1882 წ. დაფიქსირდა, ყველაზე დაბალი - 1977 წ.

10. **სარა** - კუნძული კასპიის ზღვის დას. სანაპიროზე, ქ. ლენქორანთან. ხმელეთს უკავშირდება ვიწრო ზოლით და ზღვის დონის კლებისას ნახევარკუნძულად იქცევა.

11. **ლენქორანი** - (აზერბ. „ნავსაყუდელი“), ერთ-ერთი უძველესი ქალაქი აზერბაიჯანის სამხრეთში, ნავსადგური კასპიის ზღვაზე. XVIII ს-ში იყო თალიშის სახანოს ცენტრი.

12. **თექე** - მლაშე ტბა ყაზახეთში, ქოქჩეთაუს ოლქში; **ნეჯდი** - საუდის არაბეთის პროვინცია, არაბეთის ნ-კ-ის ცენტრალურ ნაწილში; **ბესთამი** - სოფელი ყაზახეთში.

13. **გენერალი გარდანი, კლოდ-მატიე დე** (1766-1818) - ირანში საფრანგეთის მისიის ხელმძღვანელი 1807-1809 წწ., ნაპოლეონის სრულუფლებიანი მინისტრი შაჰის კარზე; საფრანგეთის კონსულის ანჟ დე გარდანის (რომელიც თავის ძმასთან ერთად იმყოფებოდა ირანში 1718-1730 წწ.) შვილიშვილი (ვრცლად იხ. ი. ნაჭყებია, *ნაპოლეონის დიპლომატიური მისიები ირანში და საქართველოს საკითხი,* თბილისი, 2018, გვ. 128-204).

14. **სამარყანდი** („ქვის ციხე“) - უძველესი (ძვ. წ. VIII ს.) ქალაქი დღ. უზბეკეთის ტერიტორიაზე, მდ. ზარაფშანის ხეობაში; დაარსებულია ისტორიული სოგდიანას ცენტრი, მნიშვნელოვანი პუნქტი აბრეშუმის გზაზე ჩინეთსა და ევროპას შორის. XIV ს-ში თემურ-ლენგის იმპერიის დედაქალაქი (Маликов А. М. *История Самарканда с древних времен до середины XIV в.,* том.1. Ташкент, 2017).

15. **მაშჰადი** - ქალაქი ჩრდილო-აღმოსავლეთ ირანში, ხორასნის ოსთანის ადმინისტრაციული ცენტრი. პირველად იხსენიება X ს-ში, 1736-1747 წწ. - ნადერ შაჰის სახელმწიფოს დედაქალაქი იყო. **ჰერათი** - ქალაქის დაარსებას ალექსანდრე მაკედონელს მიაწერენ (ბერძნ. წყაროების ალექსანდრია-არიანა, ამჟამინდელი სახელწოდება სასანიანთა დროს მიიღო). შუაზიელი სამანიდების დინასტიის დროს (819-999 წწ.) - ხორასნის ერთ-ერთი მთავარი ქალაქი იყო; 1863 წლიდან ავღანეთის შემადგენლობაშია.

16. **ფორსტერი, ჯორჯ** - ინგლისური ოსტ-ინდოეთის კომპანიის თანამშრომელი მადრასში. 1782-1784 წწ. იმოგზაურა კალკუტიდან ინგლისში (ქაშმირის, ავღანეთის, ჰერათის, ხორასნის გავლით, კასპიის ზღვით ასტრახანამდე, აქედან კი რუსეთის გზით ლონდონამდე). აქ 1785 წ. გამოაქვეყნა თავისი ჩანაწერები (*Sketches of the Mythology and Customs of the Hindoos*); ინდოეთში დაბრუნების შემდეგ თავისი მოგზაურობის აღწერის გამოსაცემად სამზადისს შეუდგა, თუმცა მხოლოდ I ტომის გამოცემა მოასწრო. სრული სახით ნაშრომი მისი გარდაცვალების (1792 წ.) შემდეგ გამოქვეყნდა (*A Journey from Bengal to England through the Northern Part of India, Kashmir, Afganistan and Persia; and into Russia by the Caspian Sea*, I-II, London, 1798.. იხ. М. Полиевктов, დასახ. ნაშრ., გვ. 109-110).

17. **ჯულფა/ჯუღა** - სომეხთა მეფის ტიგრან I-ის მიერ დაარსებული ქალაქი ამიერ-კავკასიისა და ირანის საზღვარზე (მდ. არაქსის ნაპირზე); გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით XV ს-ში მნიშვნელოვანი სავაჭრო პუნქტი გახდა. 1603 წ. შაჰ-აბასმა დაიპყრო და მისი მოსახლეობა დაასახლა ისპაჰანის უკაცრიელ გარეუბანში, რომელსაც ახალი ჯულფა (ნორ-ჯუღა) ეწოდა. სტრატეგიული მნიშვნელობის გარდა შაჰის ამ ქმედებას ირანის ეკონომიკური განვითარებაც ედო საფუძვლად: შაჰმა მთელი სავაჭრო საქმიანობა ამ სფეროში გამოცდილ სომხებს მიანდო და სასურველი შედეგიც მიიღო (М.С. Иванов, *Очерк истории Ирана*, Москва, 1952, გვ. 68-69; С.В. Тер-Аветисян, Город Джуга, материалы по истории торговых сношений Джульфинских купцов, XV-XVII вв., Тбилиси, 1937).

18. **იოანის ვარვაკისი/ვარვაცი** (1732/1750-1825) - ბერძენი მეკობრე, მეომარი, შემდ-გომში – ვაჭარი და მეცენატი რუსეთში. ახალგაზრდობიდან იბრძოდა საბერძნეთის დამოუკიდებლობისათვის, რუსეთ-თურქეთის ომის დროს (1768-1774) მთელი ქონება გაყიდა და სამხედრო ფრეგატის შეძენა-აღჭურვას მოახმარა, შემდეგ კი რუსეთის სამხედრო ფლოტს შეუერთდა. თავი ისახელა ჩესმენის ბრძოლაში, რისთვისაც ლეიტენანტის წოდება მიანიჭეს. 1789 წლიდან ვარვაკისი რუსეთის ქვეშევრდომია, ეკატერინე II-მ გულუხვად დაასაჩუქრა და სახელმწიფო მოხელის თანამდებობა უბოძა ასტრახანში, სადაც ხიზილალით ვაჭრობით მილიონერი გახდა. იყო დიდი ქველმოქმედი: მის სახელს

უკავშირდება ასტრახანში ტაძრის (დღეისათვის დანგრეულია), დავრდომილთა თავშესაფრის და სხვ. საქველმოქმედო დაწესებულებების აგება, მდ. ვოლგა-კუტუმის დამაკავშირებელი არხის გაყვანა (დღემდე ვარვაცის სახელს ატარებს); საცხოვრებლად ტაგანროგში გადასვლის შემდეგ (1813 წ.) ააგო ალ. ნეველის სახ. ეკლესია; მუდმივად ეხმარებოდა საბერძნეთის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ორგანიზაციებს. დიდი დამსახურებისათვის მას „ასტრახანისა და მთელი სამხრეთ რუსეთის უდიდესი ქველმოქმედი" უწოდეს (ქველმოქმედებაზე დახარჯა 3,5 მილიონი რუბლი, 1,5 მილიონი კი საბერძნეთს უანდერძა). გარდაიცვალა თავის ისტორიულ სამშობლოში (*Энциклопедический словарь*, изд. Ф.А. Брокгауз, И.А. Ефрон, т. VA, СПБ, 1892, გვ. 50-51; *Энциклопедия Таганрога*. Гл. ред. В. И. Тимошенко, 1998).

19. **ლევანტი** (აღმოსავლეთი) - ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ქვეყნების - სირიის, ლიბანის, თურქეთის ნაწილის და სხვა მიმდებარე ტერიტორიების აღმნიშვნელი ზოგადი სახელწოდება.

20. **ბრიუე, ანდრე** (1654-1738) - საფრანგეთის კოლონიის ადმინისტრატორი, კომერციის გენერალური დირექტორი სენეგალში 1697-1723 წწ-ში. აქვს საინტერესო ჩანაწერები ამ ქვეყნისა და მისი მოსახლეობის შესახებ.

მარკიზი დიუპლეიქსი, ჟოზეფ მარი (1697-1763) - საფრანგეთის საქმეთა მწარმოებელი ინდოეთში; 1720 წლიდან ინდოეთის კომპანიის წარმომადგენლის თანამდებობაზე დიდი ნიჭი და უნარი გამოავლინა და სოლიდური სიმდიდრეც დააგროვა. მისი ტაქტიკა კომერციული საქმიანობის გარდა ტერიტორიულ ექსპანსიასაც გულისხმობდა, რასაც ხელს უწყობდა იმხანად ინდოეთში არსებული ვითარება. ამას წინ აღუდგა ინგლისი და მიუხედავად იმისა, რომ ლა ბურდონეს დახმარებით (იხ. ქვემოთ) დიუპლეიქსმა შეძლო ხელთ ეგდო მადრასი (1746 წ.), ეს უკანასკნელი კვლავ ინგლისს დაუბრუნდა ექს-ლა-შაპელის ტრაქტატით (1748). შვიდწლიანმა ომმა საბოლოოდ დაასამარა მისი კარიერა და 1754 წ. დიუპლეიქსი საფრანგეთში გაიწვიეს.

ლა ბურდონე (La Bourdonnais) **ბერტრან ფრანსუა მაე დე** (1699-1753) - ფრანგი ზღვაოსანი, თავი ისახელა ბრძოლებში მაეს აღებისას 1725 წ.; 1734 წლიდან ინდოეთის ოკეანეში საფრანგეთის კუნძულების (მათ შორის - ბურბონის კ-ლის) გუბერნატორი იყო. ინგლის-საფრანგეთის ომის დროს ინდოეთში საკუთარი ძალებით შეკრიბა ესკადრა და მიაღწია მადრასის კაპიტულაციას, თუმცა გამოსასყიდის სანაცვლოდ დათანხმდა მის დაბრუნებას, რაც ღალატად ჩაუთვალეს და ბასტილიაში სამი წლის პატიმრობის შემდეგ გარდაიცვალა (*Robert, II, Dictionaire des personnages historiques*, Torino, 1995).

თავი XIII

1. **სუმგაითი** - ქალაქი აზერბაიჯანში, კასპიის ზღვის სანაპიროზე, აფშერონის ნ-კ-ის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, მდ. სუმგაითის შესართავთან.

2. **კალიგულა, გაიუს იულიუს, კეისარი** (12-41) - (Caligulla - ჩექმა; ეს მეტსახელი ბავშვობისას შეარქვეს სამხედრო ბანაკში, სადაც რიგითი ჯარისკაცის ფორმას ატარებდა). კალიგულა უპრინციპო პოლიტიკოსი, პატივმოყვარე, ეგოისტი, ავადმყოფურად ეჭვიანი და სისხლისმოყვარე ტირანი იყო. მის დროს სრული განუკითხაობა სუფევდა სამართლის სფეროშიც, გაუთავებელი სადამსჯელო ოპერაციებით მოსახლეობა მუდმივად ტერორის ქვეშ იმყოფებოდა; ბოლოს თავი იუპიტერად გამოაცხადა, საკუთარი ცხენი კი კონსულად დაასახელა. ამბოხებულებმა იგი თავისივე სასახლეში მოკლეს.

ნერონი, ლუციუს კლავდიუს დრუზუს გერმანიკუს, კეისარი (37-68) - პატივმოყვარე, სასტიკი და ამორალური ტირანი; თხზავდა ლექსებს, აწყობდა თეატრალურ სანახაობებს და თავადაც გამოდიოდა სცენაზე მსახიობისა და მომღერლის ამპლუაში, ხატავდა და ა.შ. ამავე

დროს, სასტიკად სჯიდა ყველას, ვინც მისი ხელოვნებით აღფრთოვანებული არ იყო. უახლოესი ადამიანების მიმართაც კი სასტიკად დაუნდობელი იყო: მოაკვლევინა საკუთარი ძმა, დედა, ნათესავები, თვითმკვლელობამდე მიიყვანა თავისი აღმზრდელი სენეკა (ცნობილი ფილოსოფოსი, პოეტი და პოლიტიკოსი); მისი ბრძანებით გადაწვეს რომი: 7 დღე-ღამის მანძილზე მძვინვარებდა ხანძარი, რომლის ჩაქრობა ნერონმა აკრძალა, თვითონ კი თეატრალურ სამოსში გამოწყობილი მაღალი კოშკიდან „ტკბებოდა" ამ სანახაობით.

დომიციანე, ტიტუს ფლავიუს (51-96) - რომის იმპერატორი ფლავიუსების დინასტიიდან, მასში შერწყმული იყო ორი უკიდურესი თვისება - ღირსება და მანკიერება, საბოლოოდ მანკიერებამ გადასძლია და სისხლისმსმელ ტირანად ჩამოყალიბდა (Гай Светоний Транквилл, *Жизнь двенадцати цезарей*, Москва, 1964, გვ. 96-144, 211-220).

3. **ნერვა, მარკუს კოქციეუს (30/35-98)** - რომის იმპერატორი, ანტონინების დინასტიის დამაარსებელი, ტახტზე ავიდა 66 წლის ასაკში და მისი მმართველობა მხოლოდ 2 წელიწადს გაგრძელდა. ეწეოდა ქველმოქმედებას, აღადგინა სენატის უზენაესი უფლებები, სასახ-ლიდან გააძევა ჯაშუშები, დამსმენები და მლიქვნელები, შეამცირა გადასახადები და ა.შ.

ტრაიანე, მარკუს ულპიუს (53-117) - რომის იმპერატორი ანტონინუსების დინასტიიდან. ნერვამ იშვილა და ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადა. დიდი დაპყრობითი ომების ორგანიზატორი; მისი მმართველობა გამოირჩეოდა სახელმწიფოს შინაგანი განმტკიცებით და დიდი ხნის მანძილზე წარუმატებელი საგარეო პოლიტიკის აღორძინებით.

ადრიანე, პუბლიუს ელიუს (76-138) - ანტონინების დინასტიიდან, იმპერატორ ტრაიანეს აღზრდილი და შვილობილი. მისი მმართველობის დროს გაძლიერდა რომის იმპერიის ცენტრალიზაცია, განმტკიცდა იმპერატორის ხელისუფლება, ჩატარდა რომაული სამართლის კოდიფიკაცია და გამოიცა "მუდმივი ედიქტი", რომლის თანახმად ერთიანი იურიდიული ნორმები თანაბრად ვრცელდებოდა იმპერიაში შემავალ ხალხებზე. ააგო თავდაცვითი სიმაგრეების სიტემა "რომის სასაზღვრო ხაზი".

ანტონინების დინასტიას ეს სახელი იმპერატორ ანტონინუს პიუსის (86-161) მიხედვით ეწოდა, თუმცა მისი წარმომადგენლები ერთმანეთის ნათესავები არ ყოფილან; პირველი იმპერატორი იყო ნერვა (96 წლიდან), მის დროს დამკვიდრებული წესით, სენატის მიერ შერჩეულ კანდიდატს იმპერატორი იშვილებდა და თავის მემკვიდრედ აცხადებდა. მათი მმართველობა 96-დან 180 წლამდე გრძელდებოდა და საუკეთესო ხანად იქნა შეფასებული, ამ დინასტიის პირველ ხუთ წარმომადგენელს (ნერვა, ტრაიანე, ადრიანე, ანტონინუს პიუსი, მარკუს ავრელიუსი) კი „ხუთი კარგი იმპერატორის" სახელით იხსენიებენ (Грант М. *Римские императоры, Биографический справочник правителей Римской империи*, Москва, 1998).

4. **კილიაზი** - აზერბაიჯანში, ხიზინსკის რ-ში მდებარეობს.

5. **ხადერზინდე** - ქარავან-სარაი შემახის გზაზე, ბერმეკის მთის მახლობლად (იხ. История, география и этнография Дагестана XVIII-XIX вв., Архивные материалы, под. ред. М. О. Косвена и Х.М. Хашаева, Москва, 1958, გვ. 149).

6. პეტრე I-ს შემახაზე არ ულაშქრია, იხ. თავი XI, კომ. 15.

7. **ბარონი ბენიგსენი, ლეონტი ლეონტის ძე** (1745-1826) - რუსეთის არმიის კავალერიის გენერალი, სახელი გაითქვა ნაპოლეონის წინააღმდეგ პრეისიშ-ეილაუსთან ბრძოლაში.

პოდპოლკოვნიკი ლეზერი, მორის დე - რუსულ არმიაში მოღვაწე ფრანგი ემიგრანტი; 1812 წ. რუსეთ-საფრანგეთის ომის დროს დასავლეთის საზღვრის აგენტურული დაზვერვის ხელმძღვანელი იყო, თუმცა პეტრე ბაგრატიონმა მისი საქმიანობა საეჭვოდ მიიჩნია და არმიიდან გააძევებინა. 1813 წლიდან კვლავ აღუდგინეს სამხედრო წოდება (Е. Тарле, *Нашествие Наполеона на Россию 1812 год*, Москва, 2009).

8. **აბზინდა/ავშანი** (Artemisia) - ბალახოვანი მცენარე, აქვს მრავალი სახეობა, გამოიყენება მედიცინაში, თუმცა ზოგიერთი მათგანი (მაგ., Artemisia taurica) შხამიანია, განსაკუთრებით – ცხენებისათვის (ენციკლოპედია „საქართველო“, ტ. I, თბილისი, 1997, გვ. 29).

9. **დივაჩი, ხაჩმაზი** - სოფლები აზერბაიჯანის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. ამჟამად ხაჩმაზი ქალაქი და ამავე სახელწოდების რაიონის ცენტრია.

10. **ჰუსეინი - ჰუსაინ იბნ ალი,** მოციქულ მუჰამადის შვილიშვილი - ფატიმასა და ალის უმცროსი ვაჟი, შიიტთა მესამე იმამი. 680 წ. დაიღუპა დღ. ქალაქ ქარბალასთან ხალიფას ჯართან ბრძოლაში. შიიტები მას წამებულად აღიარებენ და მისი დაკრძალვის ადგილს თაყვანს სცემენ. მის ხსოვნას ეძღვნება სამგლოვიარო რიტუალი „შაჰსეი-ვაჰსეი“ (შაჰ-ჰუსეინ, ვაი ჰუსეინ), რომლის დროსაც მორწმუნეები ამ შეძახილით და ზურგზე ჯაჭვების ცემით აწყობენ მსვლელობას (*ისლამი*,.. გვ. 238; ი. გრიშაშვილი, *ქალაქური ლექსიკონი,* გამოსაცემად მოამზადა რ. კუსრაშვილმა, თბილისი, 1997, გვ. 304).

11. **ბარონი ვრედე** - რუსეთის არმიის ვიცე-პოლკოვნიკი, ორჯერ იმყოფებოდა ირანში საზავო ხელშეკრულების თაობაზე მოლაპარაკების მიზნით; პირველად 1808 წ. იქნა გაგზავნილი გენ. ი. გუდოვიჩის (საქართველოს მთავარმართებელი 1806-1809 წწ.) მიერ, მეორედ კი 1809 წ. ტორმასოვის მიერ (*Акты..,* ტ. III, გვ. 257, 461-466; ზ. შარაშენიძე, *დასახ. ნაშრ.,* გვ. 154-155, 166-167; ი. ნაჭყებია, *დასახ. ნაშრ.,* გვ. 159, 161-162, 218).

12. **ყუბის სახანო** XVIII ს. მეორე ნახევარში შეიქმნა ახლ. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. განსაკუთრებულ ძლიერებას მიაღწია ფათალი ხანის მმართველობის დროს (1736-1789), რომელმაც მისი საზღვრები სამხრეთით ქ. არდებილამდე გააფართოვა. 1796 წ. რუსეთის არმიამ გენ. ვ. ზუბოვის მეთაურობით სახანო დაიკავა და ყუბელი შეიხ ალი ხანი (1791-1806, ფათალი ხანის ვაჟი) გადააყენა, თუმცა ყუბიდან რუსების გასვლისთანავე, ამ უკანასკნელმა კვლავ გააგრძელა ბრძოლა სახანოს დასაბრუნებლად (1803 წ. ქ. დერბენდიც დაიბრუნა). 1806 წ. რუსულმა ჯარმა გენ. ს. ბულგაკოვის მეთაურობით კვლავ შეუტია ყუბას, შეიხ ალი ხანმა მთებში გაიხიზნა და აქედან განაგრძო ბრძოლა. 1809 წ. კავკასიის მთავარმართებელმა გუდოვიჩმა ოფიციალურად გააუქმა სახანო, იგი ყუბის პროვინციად გამოაცხადა და მმართველად ბაქოს ყოფილი ხანი - მირზა მუჰამედ ხან II დანიშნა (1809-1810). 1810 წ. შეიხ ალი ხანმა კვლავ აღიდგინა ძალაუფლება სახანოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე (ქ. ყუბის გამოკლებით) და რუსეთის ხელისუფლებამ გაჭირვებით მოახერხა მისი მთებში გახიზვნა. 1813 წ. გულისტანის ზავით საბოლოოდ დამტკიცდა ყუბის სახანოს შესვლა რუსეთის იმპერიაში, თუმცა შეიხ ალი ხანი 1819 წლამდე პარტიზანულ ომს აწარმოებდა (Г. Б. Абдуллаев, *Из истории Северо-восточного Азербайджана в 60-80-х гг. XVIII в.*, Баку, 1958, გვ. 212; Дж. Мустафаев, *Северные ханства Азербайджана и Россия: конец XVIII-начало XIX вв.*, Баку, 1989, გვ. 20).

13. საუბარია ე.წ. **მთიელ ებრაელებზე** (ებრაელთა სუბეთნიკური ჯგუფი), რომლებიც უწინ აღმოსავლეთ კავკასიაში, ძირითადად დაღესტნის მთებში სახლობდნენ (აქედან წარმოდგება მათი სახელწოდებაც), ხოლო XVIII-XIX სს-ში იწყეს დაბლობში ჩამოსვლა. ისინი კავკასიის უძველეს მოსახლეობას წარმოადგენენ (მკვლევართა ვარაუდით, მათი წინაპრები მიდიიდან იყვნენ, სადაც ძვ. წ. VIII ს-დან ბინადრობდნენ) და აღმოსავლეთ კავკასიაში გამოჩნდნენ V-VI სს-ში. მათი ისტორიული ფორმირება მიმდინარეობდა დაღესტნელ მთიელებთან მჭიდრო კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობის პირობებში; ერთ-ერთი ვერსიით, მათ ჯერ კიდევ მიდიაში ცხოვრებისას შეითვისეს თათური ენა (სხვა ვერსიით, მისი ერთ-ერთი დიალექტი), თუმცა შეინარჩუნეს საკუთარი რელიგია. აღმოსავლეთ კავკასიაში მცხოვრები ებრაელების სახელწოდება „მთიელი“ XIX ს-დან ჩნდება, როდესაც რუსულ ოფიციალურ დოკუმენტებში კავკასიის ხალხებს ერთიანად

„მთიელებად“ (горские) იხსენიებდნენ, ადგილობრივი ებრაელები კი საკუთარ თავს „ეუდის (იუდეი) ან ჯუუდს“ (სპარს. ჯუჰუდ) უწოდებდნენ. მთიელ ებრაელთა და თათური ენის სიახლოვიდან გამომდინარე, XIX ს-დან სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრდა მცდარი მოსაზრება, რომ ისინი განეკუთვნებიან „თათების ირანულ ტომს, რომელმაც ირანშივე მიიღო იუდაიზმი და შემდგომ ჩამოსახლდა კავკასიაში,), რის შედეგადაც ტერმინი „თათები“ მთიელ ებრაელთა სინონიმად დამკვიდრდა სამეცნიერო ლიტერატურაში. მკვლევართა ბოლო მონაცემებით მთიელი ებრაელები სპარსელ ებრაელთა მკვეთრად განცალკევებულ განშტოებას მიეკუთვნებიან (ვრცლად იხ. И. Ш. Анисимов, *Кавказские евреи-горцы*, Москва, 1888; *Горские евреи - история, этнография, культура,* составление и научная редакция И. Дымшица, Иерусалим-Москва, 1999; «Советская Энциклопедия», 1976, с. 299; В. И. Немирович-Данченко, И. Черный, И. Анисимов, Кавказские евреи-горцы, М., 2017; რ. თოფჩიშვილი, კავკასიის ეთნოლოგია, თბილისი, 2012, გვ. 186-193).

14. **სალეფი** (არაბ. საჰლაპ) - მცენარეული სუბსტანცია, ჯადვარის (გულფილტვას) ბოლქვებისაგან მიღებული ექსტრაქტი, გამოიყენება წამლების დასამზადებლად (ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, გვ. 100).

თავი XIV

1. **დერბენდი/დარუბანდი** - სპარს. „ჩაკეტილი კარი“ (დარ – კარი, ბანდ – ჩაკეტვა), წყაროებში მოიხსენიება სხვადასხვა სახელწოდებით: კარი, რკინის კარი, კასპიის კარი, ზღვის კარი, ჩორი. ქალაქი დაღესტანში, კასპიის ზღვის სანაპიროზე მდებარეობს. მისი დაარსების შესახებ რამდენიმე ლეგენდა არსებობს, მათ შორის ერთ-ერთი იხსენიებს ალ. მაკედონელს, რომელიც დერბენდში არასოდეს ყოფილა. არქეოლოგიური მონაცემებით, ძვ. წ. აღ. VIII-VII სს-ში ამ ადგილას უკვე იყო დამცავი სიმაგრეები, ხოლო წერილობით წყაროებში „კასპიის კარს“ პირველად იხსენიებს ძელი ბერძენი გეოგრაფი ჰეკატეოს მილეთელი (ძვ. წ. აღ. VI ს.). დერბენდის კედლის - მასშტაბური საფორტიფიკაციო კომპლექსის (სიგრძით 40 კმ-დე) აგებას ისტორიული წყაროები სასანიანთა მეფეებს, უპირატესად – ხოსრო I ანუშირვანს მიაწერენ. დერბენდის სამხრეთით შემორჩენილია ძველი ქალაქის ნანგრევები, გალავანი და ღრმა თხრილი. მკვლევართა დასკვნით, აქ იყო ქ. ჩორი (ჩოღი/ჩოგი/ჩიალი/ჩუული/ცალი), საიდანაც ყოფილან წარმოშობით ძვ. ალბანეთის მეფეები. დროთა განმავლობაში მისი მნიშვნელობა დაეცა, ხოლო დასახელება დერბენდზე გადავიდა (ნ. ხუციშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 39-41; С. Хан-Магомедов, *Дербент*, Москва, 1958).

2. **ჰარუნ ალ-რაშიდი** (763/766-809) - აბასიანთა დინასტიის ხალიფა (786 წლიდან). მისი მმართველობის პირველი პერიოდი კულტურულ-ეკონომიკური აღორძინების ხანა იყო: ხალიფა ზრუნავდა განათლების, მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებაზე, ბაღდადში დააარსა უნივერსიტეტი და ბიბლიოთეკა და ა.შ. თუმცა მისი ზეობის ბოლო პერიოდი რეპრესიული იყო. ამის მიუხედავად, ჰარუნ ალ-რაშიდის სახელი ხალხურ შემოქმედებაში „ოქროს ხანასთან“ ასოცირდება, იგი გვევლინება „ათას ერთი ღამის“ პოპულარულ გმირად.

3. 1722 წ. კასპიისპირა ქვეყნებში პეტრე I-ის ლაშქრობის მიზანი იყო კავკასიაში საკუთარი პოზიციების გამყარება და რუსეთის სამხრეთი საზღვრების დაცვა ირან-ოსმალეთისაგან. ასტრახანში შესვლისთანავე პეტრე I-მა გამოაქვეყნა მანიფესტი, სადაც განმარტა, რომ რუსეთის ჯარი მოსახლეობას არაფერს ერჩოდა და მხოლოდ ირანის ქვეშევრდომ ქვეყნებში მშვიდობის დამყარება სურდა. 1722 წ. 23 აგვისტოს დერბენდში შესვლისას ადგილობრივმა მოსახლეობამ იმპერატორი კეთილგანწყობით მიიღო, ხოლო ქალაქის ნაიბმა იმამ ყულიბეგმა მას პირადად გადასცა კარიბჭის ორი ვერცხლის გასაღები და ისტორიული ქრონიკების „დერბენდ ნამეს“ ხელნაწერი (იხ. ქვემოთ). 1722 წ. დერბენდი რუსეთს შეუერთდა, თუმცა 1735 წ. განჯის ხელშეკრულებით იგი კვლავ ირანმა დაიბრუნა.

1796 წ. დერბენდის სახანო ისევ რუსეთის ჯარებმა დაიკავეს, 1813 წ. გულისტანის საზავო ხელშეკრულებით კი იგი საბოლოოდ შეუერთდა რუსეთს (*История Азербайджана*, დასახ. გამოც., გვ. 299; А. Кудрявцев, *Древний Дербент*, Москва, 1982, გვ. 9-დან).

4. დერბენდთან კასპიის ზღვაზე მართლაც არ იყო ბუნებრივი უბე, მაგრამ რადგან ქალაქს უდიდესი სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა, აქ ძველად ხელოვნური ნავმისადგომი აუგიათ; ქალაქის კედლები ზღვაში ღრმად შედიოდა და კარგად იყო გამაგრებული (პ. თოფურია, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები XI-XII საუკუნეებში, თბილისი, 1975, გვ. 110-11).

5. იხ. თავი XIII, შენ. 8.

6. იგულისხმება „დერბენდ ნამე“ (წიგნი დერბენდის შესახებ), რომელიც აღწერს დერბენდის წარსულს და შეიცავს ძვირფას მასალებს V-XI სს-ების დაღესტნისა და ჩრდილო აზერბაიჯანის ისტორიის შესახებ (*Тарихи Дербент-наме*, перевод с языков персидского и французского, под ред. М. Алиханова-Аварского, Тифлис, 1898).

7. არაბეთში ისლამი VII ს. პირველ ნახევარში გავრცელდა. ამავე პერიოდში დასრულდა არაბეთის ნახევარკუნძულზე ადგილობრივი ტომების გაერთიანება და მათ საღვთო ომების ლოზუნგით წამოიწყეს ბრძოლა სასანიანთა ირანის, ბიზანტიისა და ა.შ. წინააღმდეგ. დერბენდში არაბები პირველად 643 წ. შევიდნენ, ქალაქი თავიანთი დაპყრობითი ომების ძირითად ბასტიონად აქციეს და მის მიდამოებში ირანული ტომები ჩამოასახლეს. გარდა ამისა, არაბთა ბატონობის ხანაში (VIII ს. პირველ ნახევარში) აქვე გადმოასახლეს „24 ათასამდე მეომარი დამასკოდან, ჰიმსიდან, მოსულიდან, ქუფადან და ალ-ჯაზირიდან. ისინი ტომობრივი ნიშნების მიხედვით დაასახლეს და ასე შეიქმნა დერბენდში ცალკეული უბნები; ყოველ მათგანს საკუთარი მეჩეთი გააჩნდა“ (პ. თოფურია, დასახ. ნაშრ., გვ. 114).

8. **ხოზრეკი** - სოფელი და გამაგრებული ციხესიმაგრე ღაზიყუმუხის სახანოში. სურხაი-ხანმა დაარღვია 1819 წ. ექსპედიციის შედეგად დადებული რუსეთის მორჩილების პირობა და თავისი ჯარით თავი შეაფარა ხოზრეკის ციხესიმაგრეს, რომელიც ღაზიყუმუხში შესასვლელ ერთადერთ გზას კეტავდა. რუსეთის ჯარმა გენ. მადათოვის სარდლობით აიღო ხოზრეკი და გაანადგურა ამბოხებულთა რაზმები, სურხაი-ხანმა კი გაქცევა მოახერხა (ვრცლად იხ. П. Зубов, *Подвиги русских воинов в странах кавказских с 1800 по 1834 гг.*, т. 2, часть третья, СПБ, 1836, გვ. 70-79).

9. იგულისხმება 1818 წ. დაღესტნელთა ერთიანი აჯანყების (ავარიის, ღაზიყუმუხის, თაბასარანის და სხვ.) ჩასახშობად და მათ დასამორჩილებლად ერმოლოვის მიერ 1819-1820 წწ-ში ჩატარებული სადამსჯელო ოპერაციები.

10. **კაიაკენტი** - დაბა დაღესტანში, დერბენდის მახლობლად, კასპიისპირა დაბლობზე. ცნობილია, როგორც ბალნეოლოგიური კურორტი.

11. **ბოინაკი** (ულუბი-აული/ულუ-ბოინაკი) - სოფელი დაღესტანში, ყარაბუდახკენტის რაიონში; დაარსდა XI-XIII სს-ში, ბოინაკთა თურქული საგვარეულოს წარმომადგენელთა მიერ. ტარკის შამხალთა ერთ-ერთი რეზიდენცია (იხ. თავი XI, კომენტ.8). XV-XVIII სს-ში იყო ე.წ. ყირიმ-საშამხლოს - ტარკის შამხალთა მემკვიდრის კუთვნილი სამფლობელოს ცენტრი.

12. **მანასი** - დაბა დაღესტანში, ყარაბუდახკანტის რაიონში, მდ. მანასოზენის მარცხენა ნაპირზე.

თავი XV

1. **ტარკი** - დაბა დაღესტანში, მახაჩყალის მახლობლად. გაშენებულია ამფი-თეატრისებურად ტარკი-ტაუს მთის (კასპიის ზღვის სანაპიროდან 3 კმ-ის დაშორებით) ჩრდილო აღმოსავლეთ ფერდობზე. XV ს-დან XIX ს-ის დამდეგამდე იყო დაღესტნის

ფეოდალური სამფლობელოს - ტარკის საშამხლოს დედაქალაქი (იხ. თავი XI, შენ. №8). გულისტანის ხელშეკრულებით საბოლოოდ შეუერთდა რუსეთს.

2. **ყალმუხები** (საკუთ. სახელწ. ხალმგი) - მათი წინაპრები იყვნენ ცენტრ. აზიაში მცხოვრები მომთაბარე ოირათები. კასპიისპირეთში XVI-XVII სს. მიჯნაზე გამოჩნდნენ. მიგრაციის პროცესში ყალმუხები ხალხად ჩამოყალიბდნენ და XVII ს-ის მეორე ნახევარში დონისა და ვოლგის ქვემო წელში შექმნეს ყალმუხეთის სახანო, რომლის დიდი ნაწილი ნებაყოფლობით შევიდა რუსეთის ქვეშევრდომობაში. 1935 წლიდან - ყალმუხეთის ასსრ, დედაქალაქი - ელისტა.

3. **მანდინგები/მანდინგო/მალინკე** - დასავლეთ აფრიკაში მცხოვრები ხალხი (სამხ. გამბიის, ჩრდილო-დას. გვინეის, მალის და სპილოს ძვლის ნაპირის ტერიტორიაზე), სასაუბრო ენა მალინკე.

ვოლოფები/უოლოფები - სენეგალის ცენტრალურ ზღვისპირა ზონაში, ნაწილი კი გამბიაში, მალიში და გვინეაში სახლობს. უმრავლესობა ისლამის მიმდევარია, მცირე ნაწილი კი - კათოლიკე.

ფულბები - დას. აფრიკაში, ძირითადად სენეგალის გვინეის, მალისა და კამერუნის ტერიტორიაზე სახლობენ. XIX ს-ში, ევროპული კოლონიზაციის დაწყებისას, ფეოდალური ტიპის სახელმწიფო ჰქონდათ. მათი რელიგია ისლამია, თუმცა ზოგიერთ მესაქონლე ტომში შემორჩენილია წინაპართა და ბუნების ძალთა კულტი (*ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*, ტ. 4, 6, 10).

XVI-XVII სს. სენეგალის ტერიტორიაზე ვაჭრობის მონოპოლიისათვის მიმდინარეობდა ბრძოლა ინგლისს, საფრანგეთს, პორტუგალიასა და ნიდერლანდებს შორის. საფრანგეთმა უპირატესობა მოიპოვა და 1960 წლამდე სენეგალი საფრანგეთის კოლონია იყო.

4. **იანგიურთი** - სოფელი დაღესტანში, მახაჩყალის ჩრდილო-დასავლეთით.

5. **სკვითია** - ჩრდილო შავიზღვისპირეთში, დნეპრისა და დონის სტეპებში მცხოვრები ძველირანული მომთაბარე ტომების - სკვითების მიერ ძვ. წ. აღ. IV ს-ში შექმნილი ძლიერი სახელმწიფო, რომელიც ახ. წ. აღ. III ს-ში გაანადგურეს გუთებმა.

6. **კიმერიელები** - ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში VIII-VII სს-ში მცხოვრები ტომები. VII ს-ში ისინი სკვითებმა გამოდევნეს და მათი ტერიტორია დაიკავეს. არქეოლოგების დასკვნით, კიმერიელებმა ბრინჯაოდან რკინის ხანაში გარდამავალი ეპოქის კულტურა შექმნეს.

7. **სულაკი** – მდინარე დაღესტანში, ერთვის კასპიის ზღვას და ქმნის დელტას.

8. **ყუმუხები/კუმუკები** თურქული მოდგმის ყივჩაღურ ჯგუფს განეკუთვნებიან; ძირითადად დაღესტნის დაბლობ რაიონებში სახლობენ. ყუმუხების ყველაზე მნიშვნელოვანი სახელმწიფო ერთეული იყო ტარკის საშამხლო. მათ XVI ს-დან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ რუსეთთან; გულისტანის ზავით დაღესტანი, და მათ შორის – ყუმუხებით დასახლებული ტერიტორია საბოლოოდ შეუერთდა რუსეთს. ყუმუხთა მნიშვნელოვან პოლიტიკურ გაერთიანებას წარმოადგენდა ასევე ენდერის სათავადო, მეხთულის სახანო და სხვ. (თ. ბოცვაძე, *საქართველო-დაღესტნის*.., დასახ. გამოც., გვ. 4-5; *Народы Дагестана,* გვ. 125-127).

9. **ანდრეევი/ენდირეი/ენდერი** - XVII ს. დასაწყისში შამხალთა დინასტიის წამომადგენლის - სულთან მაჰმუდის მიერ სულაკს გაღმა შექმნილი ყუმუხთა დამოუკიდებელი სამფლობელოს ცენტრი. ძირითად მოსახლეობას შეადგენდნენ ყუმუხები, ჩეჩნები, ლეკები და ებრაელები. ენდერი ძველთაგანვე ტყვეთა ვაჭრობის მნიშვნელოვანი პუნქტი იყო: აქედან ტყვეები ირანსა და ოსმალეთშიც იგზავნებოდნენ. ენდერის მფლობელები იმთავითვე ესწრაფვოდნენ ყუმუხთა შორის პირველობის მოპოვებას, აწარმოებდნენ დამოუკიდებელ დიპლომატიურ პოლიტიკას ირან-ოსმალეთთან და რუსეთთან. კასპიისპირა

ლაშქრობისას გაწეული წინააღმდეგობის გამო რუსეთის ჯარებმა ენდერი დაარბიეს და გადაწვეს. მოგვიანებით მას სახელწოდებაც შეუცვალეს - ენდერი **ანდრეევად** გადააკეთეს, რამაც ხელი შეუწყო ლეგენდის შექმნას: დაბის დაარსება ვინმე ატამან ანდრეის (ერმაკის თანამებრძოლს) მიაწერეს. 1819 წ. გენ ერმოლოვმა ენდერის მოპირდაპირედ, მდ. აქთაშის მარცხენა ნაპირზე ციხესიმაგრე **ვნეზაპნაია** ააგო (Е. Вейденбаум, *Путеводитель*.., გვ. 807; *Энциклопедический словарь Брокгауза и Ефрона*, ტ. 80, 1904, გვ. 807).

10. **გადი** - ბიბლიური იაკობისა და მხევალ ზილფას ვაჟი, ისრაელის თორმეტ ტომთაგან ერთ-ერთის - გადის წინაპარი.

11. **მორაველი ძმები** - ჰუსიტური მოძრაობის მიმდევართა რელიგიური გაერთანება ჩეხეთში. 1722 წ. საქსონელმა გრაფმა ლუდვიგ ფონ ცინცენდორფმა შეიტყო მათი დევნის შესახებ და თავის მამულში შეიფარა; აქ მორაველებმა დააფუძნეს ახალი დასახლება - ჰერნჰუტი, მას შემდეგ მათ ჰერნჰუტელებსაც უწოდებდნენ. მათი მოძღვრების დოქტრინა ძირითადად ემთხვევა ლუთერანულს (Энциклопедический словарь Брокгауза и Ефрона, ტ. IV, 1891). 1782 წ. თბილისში ჩამოსულ ორ ჰერნჰუტელს შეხვედრები ჰქონიათ ერეკლე II-თან, შეთავაზებაც მიუღიათ საქართველოში მათი საძმოს წევრების დასახლებაზე, თუმცა ეს ვერ მოხერხდა, რის ოფიციალურ მიზეზად მეფისათვის საინტერესო დარგების ხელოსნების არარსებობა დასახელდა; (ვრცლად იხ. ა. მარგველაშვილი, ერეკლე II და ჰერნჰუტელი ძმები, „აფრა“, №27, 2020).

12. **სარეპტა** - ყოფილი გერმანული კოლონია, 1931 წლიდან ვოლგოგრადის ადმინისტრაციულ საზღვრებშია. სარეპტა 1765 წ. დააფუძნეს ჰერნჰუტელმა მისიონერებმა ადგილობრივ მოსახლეობაში (ყალმუხებში) ქრისტიანობის საქადაგებლად. გერმანული სიბეჯითით კეთილმოწყობილმა სარეპტამ (მინერალური წყლების კურორტი, საწარმო-სახელოსნოები, საგანმანათლებლო სფერო და სხვ.) სახელი გაითქვა; სხვადასხვა დროს აქ ქართველებიც სტუმრობდნენ, 1773 წ. კი ლევან ბატონიშვილსა და ანტონ კათალიკოსსაც დაუთვალიერებიათ აქაური საწარმო-სახელოსნოები (იხ. ა. მარგველაშვილი, დასახ. ნაშრ.).

13. **ივანე პეტრეს ძე დელპოცო** (1739-1821) - წარმოშობით იტალიელი, რუსეთის არმიის გენერალი, მსახურობდა 1775 წლიდან; 1802 წ. თერგისპირა ციხესიმაგრე ივანოვსკაიადან მთიელებმა გაიტაცეს და გერმენჩუკში ერთი წელი გაატარა ტყვეობაში, შემდეგ პ. ციციანოვმა გამოისყიდა. 1810 წ. ვლადიკავკაზის კომენდანტად და გარნიზონის უფროსად დაინიშნა; მონაწილეობდა 1812 წ. კახეთის აჯანყების ჩახშობაში (ალ. ფრონელი, ამბოხება კახეთისა - 1812 წ., ტფილისი, 1907; В. Потто, Кавказская война. Т. 1. Ставрополь, 1994).

თავი XVI

1. **ყიზლარი** - ქალაქი დაღესტანში, მდ. თერგის დელტაში. 1785 წლიდან – ყიზლარის მაზრის ცენტრი. დაარსდა 1735 წელს: გენერალ-ანშეფ ვ. ლევაშოვის ხელმძღვანელობით აქ აღიმართა ყიზლარის ციხესიმაგრე, შემდგომში მის გარშემო არსებულ დასახლებასთან ერთად ამ ადგილს ქალაქის სტატუსი მიენიჭა. განჯის ხელშეკრულების თანახმად (1735 წ.) რუსეთმა პეტრე I-ის მიერ დაპყრობილი კასპიისპირა პროვინციები ირანს დაუბრუნა, ხოლო 1722 წ. ტარკის საშამხლოს ტერიტორიაზე აგებული წმინდა ჯვრის ციხესიმაგრე ნადერ შაჰის მოთხოვნით ძირფესვიანად დაანგრიეს, აქაური მოსახლეობა კი ყიზლარში ჩაასახლეს.

2. **ანა იოანეს ასული** (1693-1740) - რუსეთის იმპერატორი 1730-1740 წწ.

3. **ყაბარდოელი თავადი ალექსანდრე ბეკოვიჩ-ჩერკასკი** (გაქრისტიანებამდე - დევლეთ ქიზდენ-მურზა) - პრეობრაჟენსკის პოლკის კაპიტანი და პეტრე I-ის თანამდროვე, 1707 წ. საზღვარგარეთ გაგზავნეს განათლების მისაღებად, 1714 წ. დაინიშნა ამუ-დარიისა და ხივის სახანოს სამხედრო ექსპედიციის ხელმძღვანელად. მისი ამოცანა იყო გადაემოწმებინა მოარული ხმები ამუ-დარიის ოქროს ქვიშის უზარმაზარ საბადოს შესახებ. ექსპედიცია

ტრაგიკულად დასრულდა, ბეკოვიჩი კი 1717 წ. მოღალატურად მოკლა ხივის ხანმა. როგორც ჩანს, გამბამ ყიზლარში გაიცნო **ეფიმ ალექსანდრეს ძე ბეკოვიჩ-ჩერკასკი** (გაქრისტიანებამდე - ასლანბეგ ხასბულატის ძე, 1794-1869). სავარაუდოდ, ამ უკანასკნელის უფროსი ძმა იყო თევდორე ალექსანდრე ძე (თემირ-ბულატ ხასბულატის ძე, 1791-1833), რუსეთის ჯარების გენერალ-მაიორი, რუსეთ-ირანის 1804-1813 წწ. ომის მონაწილე, 1812 წ. კახეთის აჯანყების ჩასახშობად სამხედრო ოპერაციების ერთ-ერთი ხელმძღვანელი; 1816 წლიდან ა. ერმოლოვის ადიუტანტი, ფლობდა რამდენიმე ენას, მათ შორის - სპარსულს, რის გამოც 1817 წ. ირანში ერმოლოვის ელჩობის შემადგენლობაში ჩართეს. აქტიურად იღვწოდა კავკასიაში რუსული კოლონიალური პოლიტიკის გასატარებლად: 1825 წ. პირადად მონაწილეობდა საკუთარი ხალხის – ყაბარდოელთა წინააღმდეგ ორგანიზებულ სადამსჯელო ოპერაციაში (В. С. Толстой, *Характеристики русских генералов на Кавказе, Российский архив,* т. 7, Москва, 1996).

4. **ტარუმოვკა** - დაბა დაღესტანში, ტარუმოვსკის რაიონის ადმინ. ცენტრი. 1786 წ. დააარსა ასტრახანის პროკურორმა ანდრეი ტარუმოვმა, რომელმაც ეკატერინე II-ის 1782 წლის „უკაზით“ (სტავროპოლის მხარის ასათვისებლად რუს მემამულეთათვის მიწების გადაცემის შესახებ) ნაბოძებ მამულში დაასახლა გლეხები, სოფელს კი ტარუმოვკა უწოდა.

5. **ფრანშ-კონტე** - ისტორიული ოლქი საფრანგეთში, შვეიცარიის საზღვართან.

6. **ნოღაელები** - თურქული მოდგმის ხალხი. ბინადრობდნენ ჩრდილო კავკასიაში, ყირიმსა და სამხრეთ უკრაინაში. ნოღაელთა ურდო ჩამოყალიბდა XIV ს-ში, ოქროს ურდოს დაცემის შემდეგ; XV ს-ში იგი დაიყო ნოღაელთა მცირე და დიდ ურდოებად. რუსეთის მიერ ყაზანისა და ასტრახანის დაპყრობის შემდეგ ნოღაელთა დიდი ურდო 1557 წლიდან მოსკოვს დაემორჩილა, თუმცა 1634 წლიდან ყალმუხების შეტევის გამო მათ ვოლგის მარჯვენა მხარეს გადაინაცვლეს, მცირე ურდოს შეუერთდნენ და ყირიმის ხანების ქვეშევრდომობაში შევიდნენ. XVIII ს. დამდეგისათვის ნოღაელები კაზაკებმა ჩრდილო შავიზღვისპირეთისაკენ განდევნეს, XIX ს. დასაწყისიდან კი ისინი ძირითადად რუსეთის მფარველობაში იყვნენ და ჩრდილო კავკასიაში მომთაბარეობდნენ (იხ. გამბა, *მოგ ზაურობა*, ტ. I, გვ. 304).

7. **ობიტოჩნაია** - მდინარე უკრაინაში, ზაპოროჟიეს ოლქში; ერთვის აზოვის ზღვას.

8. **ბელოე ოზერო** (თეთრი ტბა) - ტბა ასტრახანის ოლქში.

თავი XVII

1. **კაპიტან-ლეიტენანტი ბოზზო, ივანე პანტელეიმონის ძე** - ვარვაცის უახლოესი მეგობარი და მისი ანდერძის აღმსრულებელი. ვარვაცის მსგავსად, მანაც იძულებით დატოვა სამშობლო (დაიბადა კ. იდრაზე), სწავლობდა ჯერ პეტერბურგის ბერძნულ კადეტთა კორპუსში, შემდეგ-საზღვაო კადეტთა კორპუსში; 1785 წ. მიჩმანის წოდება მიიღო, სამი წლის შემდეგ კი ლეიტენანტი გახდა. მონაწილეობდა საზღვაო ბრძოლებში შვედეთის ფლოტის წინააღმდეგ. 1806 წლიდან სამხედრო სამსახური დატოვა და ვარვაცისთან გადავიდა სალიანის თევზსარეწების კომისიონერის თანამდებობაზე (http://vechkitova.ucoz.ru/publ/personalii/istoricheskie–lichnosti/i–a–varvacij–i–ego–vklad–v–razvitie–astrakhanskoj–gubernii/46-1-0-325).

2. **ასტრახანის კრემლი** - ისტორიულ-არქიტექტურული კომპლექსი, მოიცავს თავდაცვითი და საკულტო დანიშნულების 20 ზე მეტ ნაგებობას. მათ შორის უადრესია ქვის გალავნით გარშემორტყმული ციხესიმაგრე (1580-1620 წწ.) და ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი (1678-1710 წწ.), რომლის პირველ სართულზეც 1737 წ. დაკრძალულია ვახტანგ VI.

3. **ალექსანდრე დიგბი** (1758-1840?) - იტალიური წარმოშობის არქიტექტორი; მისი აგებულია ქ. ქერჩში უნიკალური ძეგლი „მითრიდატეს კიბე“.

4. **იაკობ რაინეგსი** (1744-1793) - XVIII ს. გერმანელი მოგზაური; 1778-1781 წ. იმყოფებოდა ერეკლე II-ის კარზე, შემდეგ გრ. პოტიომკინმა გაიწვია რუსეთში და როგორც რეზიდენტი, ამ უკანასკნელის დავალებებს ასრულებდა. მას ეკუთვნის ნაშრომი „კავკასიის საყოველთაო ისტორიულ-ტოპოგრაფიული აღწერილობა“, რომლის ერთი ნაწილი (ცნობები საქართველოს შესახებ) ქართულად არის თარგმნილი (იხ. იაკობ რაინეგსი, *მოგზაურობა საქართველოში*, გერმანულიდან თარგმნა გ. გელაშვილმა, თბილისი, 2002).

5. **კუტუმი** - მდ. ვოლგის მარცხენა ნაპირის ტოტი ასტრახანთან.

6. **რასკოლნიკები** - XVIII ს. შუა ხანებში აღმოცენებული და რუსეთის იმპერიის მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ დევნილი რელიგიური ჯგუფები: დუხობორები, სკოპცები, მალაკნები და სხვ. ოფიციალურ ეკლესიასთან დაპირისპირების გამო ეს უკანასკნელი სახელმწიფოსთან ერთად მათ სდევნიდა და იმპერიის განაპირა პროვინციებში ასახლებდა (კრებ. ეთნოსები საქართველოში, რედ. მ. ბასილაია, თბილისი, 2008).

7. **კუმა** - მდინარე სტავროპოლის მხარეში, დაღესტანსა და ყალმუხეთში, ერთვის კასპიის ზღვას.

8. **მაჯარი** - ძვ. ქალაქი მდ. კუმის მარცხენა ნაპირზე, სტავროპოლის მხარეში, ქ. პრიკუმსკის გარეუბანში შემორჩენილია მისი ნანგრევები. დაარსდა XIII ს-ში და ოქროს ურდოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი იყო. XV ს-დან დაიწყო მისი დაკნინება, XVII ს-ში კი შეწყვიტა არსებობა. XIX ს-ში აქ ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი აგურის შენობებისა და მეჩეთების ნანგრევები, საფლავის ქვები და სხვ., რასაც იმ პერიოდის მოგზაურების ნაშრომები ადასტურებენ (Е. Вейденбаум, *Путеводитель по Кавказу*, გვ. 236-238).

9. 1398-1399 წწ-ში თემურ ლენგმა მრავალრიცხოვანი ჯარით ილაშქრა ინდოეთში, აიღო დელი და სხვა ქალაქები, დახოცა მოსახლეობა, გაანადგურა მათი მეურნეობა და დიდი ნადავლით დატვირთული დაბრუნდა სამარყანდში. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე თავისი სამფლობელო ოთხ ვაჟს გაუნაწილა (ე.წ. ულუსები).

10. **ჩინგის ყაენი/თემუჩინი** (1162?-1227) - მონღოლთა ტომების გამაერთიანებელი, დიდი დაპყრობითი ომების ორგანიზატორი. მის მიერ შექმნილმა მონღოლთა იმპერიამ არცთუ ხანგრძლივი არსებობის მიუხედავად (1206-1368), თითქმის ნახევარი მსოფლიო მოიცვა.

ბათო ყაენი/საინ-ხანი (1208-1255) - ჩინგის ყაენის შვილიშვილი, მამის (ჯუჩის) გარდაცვალების შემდეგ სათავეში ჩაუდგა ჯუჩის ულუსს. 1236 წლიდან აწარმოებდა დაპყრობით ომებს: თავდაპირველად ყივჩაყთა სამფლობელო - დეშთი-ყივჩაყი დალაშქრა, 1237-1243 წწ. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შეუტია და უკიდურესი სისასტიკით გამოიჩინა თავი. რუსეთის სამთავროების დაპყრობისას ხანგრძლივმა ბრძოლებმა მნიშვნელოვნად დაასუსტა მისი ჯარები, რის გამოც 1240 წლიდან პოლონეთში, ჩეხეთში, უნგრეთსა და დალმაციაში ლაშქრობის შემდეგ 1242 წ. უკან დაბრუნდა. 1243 წ. ვოლგის ქვემო წელზე შექმნა ფეოდალური სახელმწიფო ოქროს ურდო (დედაქალაქი სარაი-ბათუ).

11. გამბას ეს ცნობა დასაზუსტებელია: ყალმუხთა პირველი ხანი იყო აიუკა (1690-1724), რომელმაც თავისი ვაჟი ცერენ დონდუკი სიცოცხლეშივე ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადა; თუმცა აიუკას გარდაცვალების შემდეგ ხანის ტახტისათვის ბრძოლა გაჩაღდა: აიუკის ქვრივმა შვილიშვილი - დონდუკ-ომბო დაასახელა ხანად, მაგრამ ასტრახანის გუბერნატორმა ცერენ დონდუკს დაუჭირა მხარი და 1731 წ. ოფიციალურად გამოაცხადა ხანად. უკმაყოფილო დონდუკ-ომბო ყუბანში გადავიდა და პორტას ქვეშევრდომობა აღიარა. ჩრდილო კავკასიაში თურქეთის პოზიციების გაძლიერების შიშით და იმის გათვალისწინებით, რომ დონდუკ-ომბო ყალმუხებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, რუსეთი იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო: 1735 წ. დონდუკ-ომბო ოფიციალურად გამოაცხადეს ხანად, ცერენ დონდუკი კი დააკავეს და პეტერბურგში გაგზავნეს. დონდუკ-

ომბო - რიგით მესამე ხანი (1735-1741) ქვეშევრდომების მიმართ მკაცრი მმართველი იყო. მისი მემკვიდრე რანდული ტახტისათვის ბრძოლაში მოწინააღმდეგეებს ვერ გაუმკლავდა, დედამისი კი პეტერბურგში გადასახლდა, იქ მოინათლა და ვერა დონდუკოვად იწოდებოდა. რუსებმა ხანის ტახტზე აიუკის ერთ-ერთი შვილიშვილი დონდუკ-დაში დასვეს (1741-1761) და მემკვიდრედ მისივე ვაჟი – უბაში დაასახელეს. უბაში (1761-1771) ყალმუხების მეოთხე და ბოლო ხანი აღმოჩნდა: მამის გადაცვალების შემდეგ მას მუდმივად უწევდა ხანის ტახტის დაცვა პრეტენდენტებისაგან. ამის აღსაკვეთად რუსებმა გადაწყვიტეს ხანის ხელისუფლება შეეზღუდათ, შეექმნათ საბჭო (ზარგო), სადაც ყველა ულუსის წარმომადგენელი შევიდოდა, ხოლო ზარგოს წევრებსა და ხანს შორის უთანხმოება რუსეთის ადმინისტრაციის ჩარევით უნდა გადაწყვეტილიყო. დამამცირებელი შეთავაზებით განრისხებულმა უბაშმა მიიღო გადაწყვეტილება: 1770 წ. თავისი ხალხი კარვებიანად (170 ათასამდე ადამიანი) ჩინეთისაკენ დაძრა. 1771 წ. ისინი უკვე ჩინეთის საზღვარს მიადგნენ, ყალმუხეთის სახანო კი ეკატერინე II-ის ბრძანებით დაუყოვნებლივ გააუქმეს, თუმცა ჩინეთში უბაშს ხანის ტიტული ბოლომდე შეუნარჩუნეს: 1774 წ. იგი 29 წლის ასაკში გარდაიცვალა (С.К. Бастемиев, *Синдром восьмого поколения*, Павлодар, 2016, გვ. 47-50).

12. **ლამაიზმი/ტიბეტური ბუდიზმი** - ბუდიზმის ერთ-ერთი მიმდინარეობა, გავრცელებულია ტიბეტში, მონღოლეთში, ნაწილობრივ - ნეპალსა და ინდოეთში. ჩამოყალიბდა ტიბეტში, სადაც VII ს-ში ბუდიზმი *მაჰაიანის* ფორმით გავრცელდა ინდოეთიდან. ტერმინი მომდინარეობს ტიბეტელთა სულიერი ლიდერის - დალაი-ლამას სახელისაგან; დიდი მსგავსების ფონზე ლამაიზმი ბუდიზმისაგან განსხვავდება მაგიისა და მრავალრიცხოვანი ადგილღმერთებისადმი რწმენით, უამრავი რიტუალით და მორწმუნის (მოწაფის) აბსოლუტური მორჩილებით მასწავლებლისადმი (ლამასადმი).

13. **უილსონი, რობერტ თომას** (1777-1849) - ინგლისელი გენერალი, ნაპოლეონის ეპოქის თანამედროვე, სამხედრო ჟანრის მწერალი, გიბრალტარის გუბერნატორი. 1812 წ. ომის დროს რუსეთის არმიაში ინგლისის ინტერესებს წარმოადგენდა, პირადი მიმოწერა ჰქონდა ალექსანდრე I-თან და მნიშვნელოვანი ჩანაწერები აქვს იმ ეპოქაში განვითარებულ მოვლენებზე (*Sketch of the Military and Political Power of Russia in the Year 1817*. London, 1817).

14. **ვლადიმირ დიდი** - ვლადიმირ სვიატოსლავის ძე (958-1015), კიევის რუსეთის დიდი მთავარი, 988 წ. მიიღო ქრისტიანობა და იგი სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. რუსეთის ეკლესიის მიერ შერაცხულია წმინდანად. გამბა ცდება, როდესაც წერს, რომ ვლადიმირმა „ბერძნულ ეკლესიას“ (მართლმადიდებლობას) მიანიჭა უპირატესობა კათოლიციზმთან შედარებით. X ს-ში ქრისტიანობა არ იყო გაყოფილი მართლმადიდებლობად და კათოლიციზმად. შესაბამისად, ეს ვერ მოხდებოდა.

15. **პროზელიტები** - პროზელიტიზმის ზოგადი არსი პროპაგანდის მეშვეობით სხვა რელიგიის მიმდევართა საკუთარ სამწყსოში გადმობირებას (მისიონერობას) გულისხმობს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში პროზელიტებში ავტორი გულისხმობს ახლად მოქცეულებს, რომლებიც ახალი რწმენისადმი მხურვალე ერთგულებითა და მის დასაცავად დიდი თავდადებით გამოირჩეოდნენ.

16. **დონეცი/სევერსკი დონეცი -** აღმ. უკრაინის ყველაზე დიდი მდინარე, დონის მარჯვ. შენაკადი;

ჩირსკაია/ჩირსკი - რუსეთის სამხრეთში, აღმოსავლეთ ევროპის ვაკეზე სათავეს იღებს მდ. ჩირი, რომელიც ძირითადად როსტოვის ოლქს გაივლის, ციმლიანსკის წყალსაცავში ჩაედინება და ქმნის ყურეს (Чирский залив). ავტორის მიერ ნახსენები ეს ქალაქი, როგორც ჩანს, ამჟამად როსტოვის ოლქის ერთ-ერთი რაიონის დაბა ჩირსკი უნდა იყოს.

17. ჩრდილო კავკასიაში ინგლისელი კოლონისტების გამოჩენა აიხსნება წინა აზიის ქვეყნებისადმი ამ უკანასკნელთა მზარდი ინტერესით XVIII-XIX სს-თა მიჯნაზე. 1801 წ. შოტლანდიელებმა - ბრონტონმა და პატერსონმა რუსეთის მთავრობას მიმართეს თხოვნით ჩრდილო კავკასიაში კოლონიის მოწყობის თაობაზე. მათი მიზანი იყო ადგილობრივ მოსახლეობაში ქრისტიანობის დანერგვა. 1802 წლის მიწურულს ალექსანდრე I-მა მათ ბეშთაუს მთის ძირას დასახლების ნება მისცა. კოლონისტები ენერგიულად შეუდგნენ ადგილობრივთა ენის შესწავლას, ლონდონიდან გამოიწერეს ხელსაწყოები და ქაღალდი ბიბლიის დასაბეჭდად; ამავე დროს, ცდილობდნენ მოსახლეობასთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას და მათი ნდობის მოპოვებას; გარდა ამისა, ითხოვდნენ მიწის მცირე ნაკვეთებს, რაც კოლონიზატორებისათვის უცნაური იყო და ამის გამო ციციანოვს გაუჩნდა ეჭვი, რომ მათ კოლონიური ინტერესები ამოძრავებდათ, კერძოდ კი - კავკასიის მთიელებთან შავი ზღვით ვაჭრობის ხელში ჩაგდება (Письмо П. Цицианова Кочубею от 20 декабря 1802 г., *АКАК*, т. 2, გვ. 927; О. П. Маркова, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 246-247).

თავი XVIII

1. **მიხეილ თევდორეს ძე რომანოვი** (1596-1645) - რუსეთის მეფე 1613 წლიდან, რომანოვების დინასტიის პირველი წარმომადგენელი.

2. **ჰანზის ქალაქები** - XII ს. შუა ხანებში ჩრდილო-დასავლეთ ევროპაში ჩამოყალიბებული სავაჭრო ქალაქების მსხვილი სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანება (ჰანზის კავშირი). XV ს. დამდეგისათვის მასში უკვე 160-მდე ქალაქი იყო გაწევრიანებული. გაერთიანების მიზანი იყო მისი წევრებისათვის სავაჭრო-ეკონომიკური პრივილეგიების უზრუნველყოფა ბალტიისა და, ნაწილობრივ - ჩრდილოეთის ზღვებზე, შესაბამისად, სავაჭრო მონოპოლიის დაწესება მთელ ჩრდილოეთ ევროპაში. რეალურად ეს იყო ვაჭართა გილდიების სამხედრო-საზღვაო კავშირი, რომელიც რაინდთა ორდენებს ეყრდნობოდა. ჰანზის ქალაქებს საკუთარი კანონები ჰქონდათ, აწარმოებდნენ დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას და ფლობდნენ მნიშვნელოვან სამხედრო ძალას. გაერთიანებამ XVII ს. შუა ხანებამდე იარსება (იხ. А. В. Игнатенко, Правовой статус и историческая роль Ганзейского союза, *Российский юридический журнал*, Екатеринбург, 2005, №3; ქსე, ტ. XI, გვ. 599).

3. **კეთილი იმედის კონცხი** - მდებარეობს აფრიკის სამხრეთით, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, კაპის ნახევარკუნძულზე; იგი 1488 წ. აღმოაჩინა პორტუგალიელმა ბართოლომეუ დიაშმა და მას ქარიშხლის კონცხი უწოდა, მოგვიანებით პორტუგალიის მეფემ მას ახლანდელი სახელი დაარქვა იმ იმედით, რომ ეს კონცხი ინდოეთისაკენ გახსნიდა გზას. 1497 წ. მოგზაური ვასკო და გამა იყო პირველი ევროპელი, რომელიც კეთილი იმედის კონცხის შემოვლით ინდოეთის ოკეანეში გავიდა.

4. **კაფა** - ყირიმის ქალაქ ფეოდოსიის ძველი სახელწოდება.

5. **ვაჰაბიტები/ვაჰაბიზმი** - რელიგიურ-პოლიტიკური მიმდინარეობა სუნიტურ ისლამში, ჩაისახა არაბეთის ნ.-კ-ზე XVIII ს. შუა ხანებში. ეს მოძღვრება მოითხოვდა მუჰამადის დროინდელი ისლამისაკენ დაბრუნებას, ერთღმერთიანობის პრინციპების დაცვას, უარყოფდა სიახლეებს, წმინდანებისა და წმინდა ადგილების თაყვანისცემას, გმობდა ფუფუნებას, და მოუწოდებდა ჯიჰადისაკენ/საღვთო ომისაკენ (*ისლამი,...* გვ. 60).

6. **ბასრა/ბასორა** - ქალაქი და ნავსადგური ერაყის სამხრ. ნაწილში, დაარსებულია VII ს-ში ხალიფა ომარ I-ის მიერ; **დუბოვკა -** ქალაქი რუსეთში, ვოლგოგრადის ოლქში.

7. **მოსკოტილეული** - (რუს. Москатель), საყოფაცხოვრებო ქიმიის პროდუქციის ძველებური სახელწოდება.

8. **ბუხჰოლცი, ივანე დიმიტრის ძე** (1671-1741) - გერმანული წარმომავლობის რუსი სამხედრო მოღვაწე, პეტრე I-ის დავალებით ხელმძღვანელობდა 1714-1717 წწ. ექსპედიციას, რომლის მიზანი იყო მდ. ამუ-დარიას აუზში ოქროს ქვიშის საბადოების მოძიება, ქ. ერკეტის(იარკენდი, დღ. ჩინეთში) დაკავება, მდ. ირტიშის ნაპირებზე ციხე-სიმაგრეების აგება და ა.შ. ექსპედიცია წარუმატებლად დასრულდა, 2 700 ადამიანი დაიღუპა. ბუხჰოლცის საქმე გამოძიებას გადაეცა, დადგინდა, რომ ამ საქმეში ბრალი მიუძღოდა ციმბირის გუბერნატორ მატვეი გაგარინს. ბუხჰოლცი კვლავ სამსახურში დააბრუნეს და კარიერა გენერალ-მაიორის წოდებით დაასრულა (Е. Лихач, Бухгольц Иван Димитриевич, *Русский биографический словарь в 25 томах*, СПБ-М., 1896-1918).

9. **ბაიკოვი, თევდორე ისაკის ძე** (დაახლ. 1612-1663/4) - რუსი სახელმწიფო მოღვაწე, მოგზაური და დიპლომატი. 1654-1658 წწ. ჩინეთში პირველი ოფიციალური ელჩობის ხელმძღვანელი. ელჩობის მიზანი იყო ჩინეთთან დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერ-თობების დამყარება (Первые русские дипломаты в Китае – «Роспись» И. Петлина и статейный список Ф.И. Байкова, Москва, 1966).

10. **გრაფი გოლოვინი, თევდორე ალექსის ძე** (1650-1706) - პეტრე I-ის ერთ-ერთი უახლოესი პირი, გენერალ-ადმირალი, საგარეო საქმეთა უწყების ხელმძღვანელი, პირველი გენერალ-ფელდმარშალი რუსეთში. სოფიო ალექსის ასულის (1682-1689 წწ. უფლისწულების - პეტრესა და ივანეს რეგენტი) მიერ წარგზავნილ იქნა ჩინეთის საზღვრებთან სიტუაციის დასარეგულირებლად. 1689 წ. მისი ძალისხმევით გაფორმდა ნერჩინსკის ხელშეკრულება, რომლის თანახმად რუსებმა დათმეს ტერიტორია მდ. ამურის შენაკად გორბიცამდე (ვრცლად იხ. Энциклопедический словарь Брокгауза и Ефрона, 1893, ტ. 9 (17), გვ. 71; Возгрин В. Е. *Россия и европейские страны в годы Северной войны. История дипломатических отношений в 1697—1710 гг.* Ленинград, 1986).

11. **კიახტის ხელშეკრულება** ეხებოდა რუსეთსა და ცინის იმპერიას შორის საზღვრების გამიჯვნასა და ვაჭრობის განვითარების პერსპექტივებს. მოსამზადებელ სამუშაოებს ხელმძღვანელობდა ეკატერინე I-ის (იგივე მარტა სკავრონსკაია – 1684-1727, პეტრე I-ის მეუღლე, 1721 წლიდან იმპერატრიცა მოქმედი იმპერატორის მეუღლის სტატუსის მიხედვით, 1725 წლიდან მმართველი დედოფალი) მიერ 1725-1728 წწ. ჩინეთში ორგანიზებული ელჩობის მეთაური საბა ლუკას ძე რაგუზინსკი-ვლადისლავიჩი. ხელშეკრულების მიხედვით რუსეთმა მოიპოვა უფლება სამ წელიწადში ერთხელ პეკინში სავაჭრო ქარავნის (არაუმეტეს 200 კაცის შემადგენლობით) გაგზავნის თაობაზე (*Энциклопедический словарь Брокгауза и Ефрона*, 1892, ტ. VI-A, გვ. 657; *Русско-китайские отношения в XVIII веке: материалы и документы*, Москва, 1990).

12. **კანტონი** - ახლ. ქალაქი გუანჯოუ ჩინეთში.

საძიებელი

პირთა სახელები

აბას I (დიდი) 83, 141, 143,200,206,228,235
აბას II 133, 250
აბასიანები 254
აბას მირზა 12,74,84,87,92-93,239
აბაშიძე ივანე, ქაიხოსროს ძე 226
აბესაძე გ. 237
აბესაძე ნ. 242
აბრაამი 82, 90, 236, 239
აბუ-ბაქრი 223, 244
ადრიანე პუბლიუს ელიუს 143, 252
ავალიშვილი გიორგი 221
ავალიშვილი მარიამ (მაია) 221
ავგაროზ ბანდაისძე 224
ავგუსტ ჰაქსტჰაუზენი 218
აიუკა 259-260
ალექსანდრე ბატონიშვილი 70, 220, 231, 239
ალექსანდრე მაკედონელი 34, 43, 68, 114, 119, 137, 150, 219, 240, 247, 250
ალექსანდრე I საქართველოს მეფე 225
ალექსანდრე I რუსეთის იმპერატორი 7, 72, 73, 98, 114, 172, 181, 207, 218, 232, 233, 244, 260
ალექსანდრე II კახეთის მეფე 70, 230, 231
ალექსიძე ზ. 219
ალი, იბნ აბი ტალიბი 238
ალი ბეგ II (ყაზიყუმუხელი) 246
ალი ბეგ (წახურელი) 223
ალი მირზა 178
ალფ-არსლანი 69, 228
ამიანე მარცელინი 218
ამიოტი 130
ამირანცა 153
ანა იოანეს ასული 168, 257
ანა პავლეს ასული 245
ანასტასიოს I 18, 213
ანდი (შამხალი) 246
ანდრეი, ატამანი 257
ანდრონიკაშვილი ი. 213, 218, 238
ანდრონიკაშვილი(ები) 43, 47
ანრი, პატრი 11, 12
ანტონინები 252
ანტონინუს პიუსი 252
ანტონინუსი 143
არბუტნოტი 114
არჩილ II 231
აუიე 20
აფხაზი ივანე 43, 221
აქემენიანები 211, 217
აღა მამედი 175
აღა მაჰმად ხანი (მოჰამად აღა) 10, 88, 98, 117, 209, 234, 240
ახვერდოვი თ. 87, 238

ბაბა ხანი იხ. ფათჰ ალი შაჰი
ბაგრატ III (იმერეთის მეფე) 231
ბაგრატ VII 230
ბაგრატიონი იოანე 222
ბაგრატიონი პეტრე 252
ბათო/ბათუ ყაენი/საინ-ხანი 179, 259
ბაიკოვი თ.ი. 193, 262
ბაჰმანი, შაჰი 28, 217
ბებუთოვი გრიგოლ 87, 238
ბედოშვილი გ. 222
ბეთუნი 12
ბეკოვიჩ-ჩერკასკი ალექსანდრე /დევლეთ ქიზდენ-მურზა 169, 192, 193, 257
ბეკოვიჩ-ჩერკასკი ეფიმ/ასლანბეგ ხასბულატის ძე 169, 258
ბეკოვიჩ-ჩერკასკი თევდორე /თემირ-ბულატ ხასბულატის ძე 258
ბენიგსენი ლ.ლ. 144, 252
ბეჟიტაშვილი მ. 214
ბერიძე ვ. 216, 235, 238
ბერიძე თ. 236, 238, 243
ბერძენიშვილი დ. 227
ბერძენიშვილი ნ. 212, 220, 230
ბერძნიშვილი მ. 236
ბერძნიშვილი მაქს. 221, 235, 238
ბოზზო ი.პ. 174, 258
ბორის გოდუნოვი 230
ბოცვაძე თ. 209, 222, 246, 256
ბრონტონი 261

ბრიებელი, ექიმი 66
ბრიუე ანდრე 142, 251
ბუგენვილი ლუი ანტუან 25, 215
ბულგაკოვი ს. 253
ბურჯანაძე შ. 219
ბუხჰოლცი ი. დ. 192, 262

გადი (ბიბლ.) 163, 257
გამბა ჟაკ ფრანსუა 5-9, 202-204, 206, 210, 211, 213, 214, 216, 217, 219-221, 223, 224, 226, 230, 232, 235-237, 239, 240, 242, 243, 247, 248, 258
გამყრელიძე ა. 218
გარდაბოსი 228
გარდანი ანჟ 250
გარდანი კლოდ მატიე 140, 146, 200, 250
გაფრინდაშვილი ნ. 244
გეი, ბოტანიკოსი 134
გელაშვილი გ. 203, 210, 214, 218, 222, 230, 239, 259
გელაშვილი ნ. 230
გელოვანი ა. 244
გვასალია ჯ. 212, 215, 220, 224, 226
გვრიტიშვილი დ. 225
გიბალი პოლ 13, 67, 226
გიორგი ბატონიშვილი (ალექსანდრე კახთა მეფის ძე) 230
გიორგი III (იმერთა მეფე) 231
გიორგი V ბრწყინვალე 68, 215, 228
გიორგი ქართლის მეფე (?) 70, 230
გიორგი VIII 219
გიორგი X 230
გიორგი XI 231
გიორგი XII 70, 229-233, 237
გირეი 246
გიულდენშტედტი იოჰან 127, 128, 187, 203, 204, 206, 222, 237
გოლბერი 14
გოლოვინი თ.ა. 193, 262
გორჩაკოვი პ. 64, 65
გრიბოედოვი ა. 9, 218, 235
გრიშაშვილი ი. 221, 253
გუგუშვილი პ. 210, 218, 234, 241
გუდოვიჩი ი. 253
გურამიშვილი დავით 223

დავით III იმამ ყული ხანი 221
დავით XI (დაუდ ხანი) 230
დავით ბატონიშვილი (თეიმურაზ I-ს ძე) 231
დავით ბატონიშვილი (გიორგი XII-ძე) 231
დალაი ლამა 185, 260
დამიანე, პატრი 237
დ'ანვილი ჟან-ბატისტ ბურგინიონ 128, 149, 247
დარეჯანი (სოლომონ I-ს ასული) 226
დარიოს I 211
დე ლა ფერონეი, გრაფი 195
დე ლეზერი მორის, გრაფი 144, 252
დარია, დედოფალი 18, 213
დელპოცო ი.პ. მაიორი 164, 257
დერვიშ-ალი 233
დიგბი ა. 258
დიდრო 214
დიონისე სირაკუზელი 244
დიუბუა დე მონპერე ფრედერიკ 218, 237
დიუმა ა. 223, 242, 247, 249
დიუპლეიქსი ჟოზეფ 142, 251
დოლიძე ი. 215
დოლიძე ლ. 213
დომინიკუსი, მონაზონი 237
დომიციანე 143, 252
დონდარები/დონდაროვები/ დუდაროვები 17, 212
დონდაროვი ჯანკოტ 17
დონდუკ-დაში 260
დონდუკოვა ვერა 260
დონდუკ-ომბო 259
დ'ორფინგო პიემონტელი, გრაფი 181, 182
დოსტოევსკი თ. 245
დუბროვინი ნ. 229
დუმბაძე მ. 223
დუნდონე-ომბო 179

ეირი 50
ეკატერინე I/მარტა სკავრონსკაია 162, 164, 262
ეკატერინე II 70, 212, 229, 230, 248, 250, 258, 260
ელენე, გიორგი X-ს ასული 230
ელენე პავლეს ას. ჰერცოგინია 245
ენუქიძე თ. 222, 228
ერეკლე I ნაზარალი ხანი 231

ერეკლე II 39, 46, 50, 69, 70, 73, 87, 93, 213, 216, 219-221, 229, 231, 235, 238, 256, 259
ერისთავი გიორგი, გენერალი 51, 53, 55, 223
ერმაკი 257
ერმოლოვი ა. პ. 7, 13, 20, 31, 35, 67, 72, 75, 76, 85, 93, 94, 124, 130, 132, 155, 156, 162, 169, 210, 214, 218, 233, 235, 245, 246, 248, 255, 257, 258
ერმოლოვი პ.ნ. 218
ერმოლოვი ს. ნ. 34, 46, 48, 74, 218
ესქილე 244
ეფრემ I ძორაგეტელი 239

ვანჰოვენ ლივორნელი 85
ვარვაცი/ვარვაკისი იოანის 141, 172, 174, 175, 185, 187, 250, 251, 258
ვართანოვი, ვაჭარი 134
ვახვახიშვილი, თავადი 223
ვახტანგ V შაჰნავაზი 231
ვახტანგ VI 68, 228, 229, 231, 232, 235, 258
ვახტანგ გორგასალი 217
ვახტანგი, ერეკლე II-ის ვაჟი 216
ვახუშტი ბატონიშვილი/ბაგრატიონი 216, 219, 221, 225, 227, 228, 236
ველიამინოვები 72, 233
ველიამინოვი ა. ა. 233
ველიამინოვი ი. ა. 30, 217, 233
ვერგილიუსი პუბლიუს მარონ 72, 233, 244
ვიგელი ფ. 219
ვილოკი, კაპიტანი 48
ვლადიმირ დიდი/სვიატოსლავის ძე 182, 260
ვლასოვი მ. გ. გენერალი 65, 125, 127, 152, 226
ვოლნეი, გრაფი კონსტანტინე ფრანსუა დე- შასბეფი 109, 242
ვოლტერი 128, 214, 247
ვორონცოვი მ. 219
ვრედე, ბარონი, გენერალი 146, 147, 148, 152, 155, 253

ზაქარაია პ. 212, 216
ზენობი 97, 131, 240
ზუბოვები 248
ზუბოვი ვ. 130, 243, 244, 246, 248, 253
ზუბოვი პ. 248
ზუბკოვი, კაპიტანი 152

თამარაშვილი მ. 225, 237
თამარი/თამარ მეფე/თამარ დედოფალი 20, 21, 58, 61, 69, 214
თამარი, ვახტანგ VI-ს ასული 229
თარგამოსი 228
თაჰმასპ/თამაზ I 69, 228
თაჰმასპ ყული ხანი იხ. ნადერ შაჰი
თევდორე ალექსის ძე 183
თევდორე, ბორის გოდუნოვის ვაჟი 230
თევდორე ივანეს ძე 70, 230
თეიმურაზ I 229, 231
თეიმურაზ II 219, 229, 237
თეიმურაზ ბაგრატიონი 238
თემურ ლენგი 29, 69, 176, 177, 225, 228, 250, 259
თოდრია ა. 221
თოდრია თ. 220, 221
თოფურია პ. 255
თოფჩიშვილი რ. 224, 254
თუმანოვი, თავადი 48

იაკობი 82, 90, 236, 239, 257
იაკობ ხანი 31, 48
იბრაჰიმ ჰალილ ხანი 227
იესო ქრისტე 68, 215
ივანე IV მრისხანე 230, 233
ივანე, უფლისწული 262
იმამ ყული ბეგი 254
იოაკ ბეი 153
იოანე სულაყა 238
იოსელიანი პ. 237
ისააკი 236, 239
ისავი 239
ისქანდერ მუნში 230
იულონ ბატონიშვილი 231
იუსტინიანე I 19, 68, 97, 138, 213, 228

კავად I 19, 213
კალანდაძე მ. 245
კალიგულა 251, 143
კამბისე I 218
კასტელა 7, 104, 241
კახოსი 228
კვეზერელი-კოპაძე ნ. 217, 243
კვირკველია თ. 218, 233, 237
კიკვიძე ა. 220, 233
კიროს II დიდი 32, 128, 217, 218
კლაპროტი იულიუს 11, 17, 19, 21, 22, 68, 176, 210, 214
კოლბერი ჟან ბატისტ 83, 237

კოლდეევი რ. 247
კომერსონი 215
კონსტანტინე (ბაგრატ III-ძე) 231
კონსტანტინე I, კახთა მეფე 223, 230
კონსტანტინე II/მაჰმად ყული ხანი 235
კონსტანტინე პავლეს ძე 212
კორმაკი 84
კოტლიარევსკი, გენერალ-მაიორი 210
კოხი კ. 232
კრისათი, მაიორი 210
კურაკინი, თავადი 180, 187

ლა ბურდონე ბერტრან 142, 251
ლაზარევი ი.პ. გენერალი 70, 71, 232
ლარაძე დიონისე 225
ლევაშოვი ვ. 257
ლეონ I 18, 213
ლეონ XIII, პაპი 238
ლეონტი მროველი 228
ლერმონტოვი მ. 213, 218, 238
ლინდსი, მაიორი 12, 13, 31, 210
ლისანევიჩი დ. 115, 244
ლორან ლანგი 193
ლორთქიფანიძე მ. 230
ლუარსაბ II 232, 233
ლუი XIII 80
ლუი XIV 85, 194, 239, 240
ლუი XVIII 242
ლუი ალექსანდრ დე ბურბონი/პრინცი ლამბალი 238

მადათოვი ვ. 76, 146, 149, 235, 255
მაზაროვიჩი ს.ი. 83, 84, 102, 235
მაკალათია ს. 212
მაკარ ზურაბოვიჩ სამიზოვი 169
მაკედონსკი 170
მაკინტოში, მაიორი 12
მაკუ (ვაჭარი) 189
მალკოლმი ჯონ 96, 97, 98, 177, 239, 242
მალტ-ბრუნი 50
მამაცაშვილი ლ. 233
მანშტეინი ქრისტოფ 71, 233
მანჯგალაძე გ. 218, 245
მარგველაშვილი ა. 257
მარია-ტერეზა-ლუიზა სავოიელი იხ. პრინცესა ლამბალი
მარიამ დედოფალი (როსტომ მეფის მეუღლე) 225
მარიამ დედოფალი (გიორგი XII მეუღლე) 70, 71, 232, 233
მარკუს ავრელიუსი 252
მატასი 217
მაყაშვილი ა. 220, 242, 254
მაჰმუდ ღაზნევი 69, 81, 228, 237
მაჰმუდი, სულთანი 256
მგალობლიშვილი მ. 5, 8, 206, 213, 225, 235, 237
მეზონი, გრაფი 172
მესხია შ. 220, 224
მეტრეველი რ. 228
მელიქოვი პ. 132, 142, 248
მერლინი, გენერალი 13, 15, 19
მითრიდატე VI ევპატორი 46, 221
მირდატი 68, 228
მირვანი 217
მირზა მუჰამედ-ხან II 253
მირიანი 68, 228
მიქაბერიძე ა. 245
მიქიაშვილი ლ. 9, 218, 235, 237, 238, 243
მიხეილ თევდორეს ძე (რომანოვი) 187, 261
მონტესკიე შარლ ლუი 37, 220
მონტისი უილიამ 87, 239
მორო 13, 66, 67
მოჰამად აღა იხ. აღა მაჰმად ხანი
მურავიოვ-კარსკი ნ. 118, 218, 245
მურვან ყრუ 243
მურზა კორჩოკ კონჩოკინი 10, 209
მუსხელიშვილი დ. 218, 220, 227, 243
მურთაზოვა ელისაბედი 213
მუსტაფა ალი ხანი 117
მუსტაფა, შირვანის ხანი 247, 248
მცხეთოსი 28, 68, 228

ნადერ შაჰი (თაჰმასბ ყული ხანი) 69, 71, 88, 120, 227, 229, 234, 247, 250, 257
ნაპოლეონ ბონაპარტი 6, 219, 245, 250, 252, 260
ნაჭყებია ი. 4, 205, 250
ნეოპტოლემე 244
ნერვა 143, 252
ნერონი 143, 247, 252
ნერსეს აშტარაკეცი, კათალიკოსი 58, 75, 77, 80, 108, 118, 169, 236
ნიკოლი შარლ ეჟენ, აბატი 77, 236
ნოე 68, 236

ოდისევსი 244
ოლეარიუსი/ოლშლეგერი ადამ 47, 112, 128, 221, 222
ომარი/ომარ I/უმარ იბნ ალ ხატაბი 55, 84, 177, 223, 224, 238, 261
ოროზი, ალბანელთა მეფე 33
ორბელიანები 43, 235
ორბელიანი იოანე 221
ორბელიანი ლუარსაბ 221
ოსმანი, ხალიფა 223

პავლე I 70, 187, 211, 229
პაპუაშვილი თ. 223
პარისი 244
პასკევიჩი ი. თ. 9, 239
პატერსონი 261
პეტრე I 71, 128, 144, 150, 162, 164, 175, 183, 186, 192, 193, 218, 231, 247, 252, 254, 257, 262
პეტრე III 229, 230
პეტროზილო პ. 238
პიეტერსი 46
პლუტარქე 130, 248
პოლი 30, 217
პოლიბიოსი 72, 233
პოლიდორე 244
პომპეუსი 29, 33, 57, 129, 130, 217, 248
პონომარიოვი, პოლკოვნიკი 118, 244, 245
პრიამოსი 116, 244
პრინცესა ლამბალი/მარია-ტერეზა-ლუიზა სავოიელი 84, 238
პროკოპი კესარიელი 19, 213
პტოლემაიოსი კლავდიოს 128, 149, 162, 221
პუზირევსკი ი. 62, 226

ჟობერი ამედე 198, 200, 205
ჟორდანია რ. 242

რაგუზინსკი-ვლადისლავიჩი საბა 262
რაინეგსი ი. 175, 259
რეომიური რენე ანტუან 125, 246
რიშელიე არმან ემანუილ 5, 6, 99, 195, 236, 240
რობერტსონი 96, 114
როსტომ მეფე 225, 226, 231, 243
როსტომ რაზმაძე /რუსტამ რაზა 120, 245

სააკაძე გიორგი 225, 230, 231
სააკაძე იორამ 225
საიდ იაჰია ბაკუვი 249
სალიკოვი, მაიორი 38, 39
სამანიდები 250
სამარა, მამასახლისი 228
სანიკიძე გ. 9, 225
სანიკიძე თ. 213
საპოჟნიკოვი 187
სარაჯიშვილები 240, 241
სარაჯიშვილი/სარაჯიევი დ. 99, 100, 241
სარაჯიშვილი მ. 241
საურმაგი 217
სელევკიოს I ნიკატორი 96, 240
სენ-მარტენი 28, 43
სიდამონიძე ვ. 230
სვიმონ I 230
სვიმონ II (სვიმონ ხანი) 230, 231
სიმონი (ნესტორიანი) 82
სოლომონ I 226
სონღულაშვილი ა. 218
სოფიო ალექსის ასული 262
სოფოკლე 244
სპენსერი ო. 232
სტენდალი 245
სტიუარტი 78
სტრაბონი 58, 138
სტრუისი იან 138, 249
სურხაი შამხალი (ტარკის) 246
სურხაი-ხან I (ღაზიყუმუხის) 247
სურხაი-ხან II (ღაზიყუმუხის) 246, 255

ტაბატაძე კ. 228
ტავერნიე 83, 192
ტარკოვსკი 246
ტარუმოვა 168, 170, 171
ტარუმოვი ანდრეი, პროკურორი 258
ტარუმოვი, ლეიტენანტი 135
ტერმონი, ინჟინერი 217
ტიბერიუსი 143
ტიგრან I სომეხთა მეფე 250
ტოლსტოი ლ. 245
ტრაიანე 113, 143, 244, 252
ტრიგუბოვი, გენერალი 170
ტუმინი, პოლკოვნიკი 180, 181
ტურნეფორი ჟ. პ. 206
ტულუში კ. 217

უბაში 179
უილსონი რობერტ 181, 260
უნგარნ ლივონელი, ბარონი 19

ურუშაძე ა. 248

ფათჰ ალი შაჰი / ბაბა-ხანი 12, 74, 140, 211, 229, 235
ფანაჰ ალი, ყარაბაღის ხანი 227
ფარნავაზი 68, 217, 228
ფატიმა 238, 253
ფაღავა ა. 233
ფაღავა თ. 233
ფერტე დიდლო 104, 241
ფილარეტი 29
ფილიპე, პატრი 82, 237
ფლინგი, პოლკოვნიკი 149
ფონტანიე 63
ფორსტერი ჯორჯ 135, 141, 250
ფრიდრიხ III 221
ფრიცი, ბარონი 64
ფრონელი ალ. 220, 257
ფუტკარაძე მ. 221

ქაიხოსრო გურიელი 226
ქაიხოსრო ლევანის ძე (მეფე) 231
ქართლოსი 28, 30, 68, 228
ქეთევან დედოფალი 229
ქვენიფნეველი 224
ქიქოძე თ. 242

ღამბაშიძე გ. 214

ყაზბეგი/ჩოფიკაშვილი ალექსანდრე 213
ყაზბეგი გაბრიელ დიმიტრის ძე 20, 213, 214
ყაზბეგი ეკატერინე 213
ყაზბეგი მიხეილ 213
ყაზბეგი ნიკოლოზ 213
ყაზბეგი ნინო 213
ყაზბეგი სოფიო 213
ყაუხჩიშვილი ს. 216, 218, 221

შადური ვ. 213
შავხელიშვილი ა. 214
შაპტალი 44, 221
შარაშენიძე ზ. 210, 253
შარდენი ჟან 59, 66, 83, 141, 163, 192, 216, 225, 226, 236, 237
შაჰ სულეიმანი 225
შედადიანები 244
შვეცოვი პ. 35, 219
შეიხ ალი-ხანი 246, 253

ჩინგის ყაენი/თემუჩინი 179, 259
ჩიხლაძე ნ. 218
ჩუბინაშვილი გ. 225

ცერენ დონდუკი 259
ცინაძე გ. 220
ცინცენდორფი ლუდვიგ 257
ციცერონი 72, 234
ციციანოვი/ციციშვილი პავლე 70, 71, 114, 115, 133, 134, 144, 165, 232, 241, 244, 257
ცქიტიშვილი ზ. 220, 230

წმინდა ნინო 29, 216
წმინდა ქრისტეფორე 214, 215

ჭავჭავაძე ალექსანდრე 44, 47, 220, 221
ჭავჭავაძე გარსევან 220
ჭავჭავაძე ნინო 220

ხანთაძე შ. 232
ხიზირი (წინასწარმეტყველი) 248
ხოსრო I ანუშირვანი 19, 97, 143, 213, 228, 254
ხოფერია ნ. 245
ხოშტარია დ. 217
ხოშტარია-ბროსე ე. 230
ხუციშვილი ნ. 222, 246, 254

ჯავად-ხანი 244
ჯავახიშვილი ი. 203, 206, 207, 213, 227, 243
ჯამბურია გ. 230
ჯაფარიძე გ. 202-206, 241
ჯენკინსონი ენტონი 138, 249
ჯონსონი ჯონ, ოფიცერი 11, 177, 210
ჯუჩი 259

ჰაბსბურგები 238
ჰარუნ ალ რაშიდი 150, 254
ჰაჯი აბდულა 189
ჰაჯი დაუდი 247
ჰაჯი მაჰმუდ ალი ხანი 247
ჰეკუბა/ჰეკაბე 116, 244
ჰენვეი ჯონას 104, 142, 241
ჰეროდოტე 114, 138
ჰექტორი 244
ჰოლშტაინი, ჰერცოგი 46
ჰუსეინი/ჰუსაინ იბნ ალი 146, 151, 253

ჰუსეინ ყული, ბაქოს ხანი 232

Абдуллаев Г. 248
Авалов З. 229
Алиханов-Аварский М. 255
Анисимов И. 254
Апакидзе А. 216
Арджеванидзе И. 215
Асадов Ю. 248

Байков Ф. 262
Барсов П. 222
Бастемиев С. 260
Блиев М. 212
Бретаницкий Л. 249
Брокгауз Ф. 202, 206, 211, 226, 233, 236, 240, 247, 250, 257, 262
Вейденбаум Е. 212, 215, 257, 259
Веймарн Б. В. 249
Возгрин В. Е. 262
Гай Светоний Транквилл 251
Гарданов В. 221
Георгиев В. 211
Георгиева Н. 211
Гироу Г. 206
Грант М. 252

Джаваншир А. 226
Джанелидзе О. 230
Дубровин Н. 210, 229
Думбадзе М. 229
Дымшиц И. 254

Ерицов А. 232

Зубов П. 213, 255
Игнатенко А. 261
Иоаннисян А. 210
Иоселиани Пл. 216

Каменцева Е. 202, 203, 204
Косвен М. 252
Кудрявцев А. 255

Левиатов В. 227, 248, 249
Лихач Е. 262
Лысцов В. 247

Маликов А. М. 250
Маркова О. 220, 239, 261
Муравьев Н. 245
Мустафаев Дж. 253

Немирович-Данченко В. 254

Орлов А. 211

Петлин И. 262
Петрушевский И. 235
Пиотровский В. 209
Полиевктов М. 222, 239, 241, 249,
Потто В. 257

Соколовски А. Александр 236

Тарле Е. 252
Тимошенко В. 251
Толстой В. 258

Унгер В. 206
Устюгов Н. 202, 203, 204

Фенглер Х. 206

Хан-Магомедов С. 254
Харламова Т. 218
Хашаев Х. 252

Цагарели А. 229

Черный И. 254

Шведе Е. 215
Эфрон И. 202, 226

Franck Jedrzejewski 204, 209
Jamie Stoke 209
John Johnson 210
Jonas Hanway 241

გეოგრაფიული სახელები

აგდამი 223
ავანისხევი/გავაზისწყალი 222
ავარია 255, 246
ავენი 57

ავლაბარი 32, 75, 94
ავლაბრის ხიდი 218, 235
ავსტრია 5, 10, 84, 238
ავღანეთი 83, 95, 100, 140, 177, 228, 229, 234, 242, 250
აზერბაიჯანი 83, 106, 211, 222, 225, 227, 229, 233, 234, 241-246, 248-253, 255
აზია 5, 6, 8-11, 14, 30, 31, 34, 41, 43, 68, 69, 72, 77, 82, 85, 89, 91, 95-101, 116, 117, 119, 128, 129, 135, 140, 141, 142, 150, 151, 157, 158, 162, 167, 175, 176, 178-180, 186, 188, 189, 194, 195, 207, 208, 229, 237, 240, 256, 261
აზოვის ზღვა 97, 139, 172, 176, 188, 194, 195
ათეშქა/ათეშგაჰი (ბაქოში) 249
ათეშქა/ათეშგაჰი (თბილისში) 237
აკუში 246
ალავერდი (სომხეთი) 239
ალავერდის ტაძარი 221
ალაზანი (Alaxone vel Lebas) 35, 37, 46, 48, 50, 51, 219-221, 246
ალაზნის ველი 220 221
ალბანეთი 57, 242, 252
ალბანუსი 149
ალბი-ერდი 214
ალეპო 98, 157
ალექსანდერსდორფი 217
ალექსანდრია 97, 219, 240
ალექსანდრია-არიანა, იხ. ჰერათი
ალექსანდროვი 164
ალიაბადი 57
ალიასკარი 51
ალიფარა 149
ალ-ჯაზირა 255
ამადი 84
ამასია 228
ამერიკა 15, 95, 100, 194
ამერიკის შეერთებული შტატები 15
ამიერკავკასია 7, 8, 16, 22, 34, 36, 65, 72, 82, 88, 91, 93, 97, 98, 102, 103, 105-107, 114, 133, 140, 141, 161, 165, 202, 210-213, 217, 218, 228, 232, 234, 235, 239, 241, 244, 250, 255
ამსტერდამი 220, 249
ამური 193, 262
ანანური 21, 26, 27, 28, 30, 216
ანანურის ციხე 28, 216
ანაპა 26
ანატოლია 95, 194, 197
ანდის ყოისუ მდ. 222
ანდრეევი იხ. ენდერი
ანენფელდი 245
ანზალი/ენზელი/ბანდარ-ანზალი 75, 138, 177, 189, 190, 235
ანისი 227
აჟდარხანი/ჰაჯი-თარხანი 233
არაბეთის ზღვა 229
არაბეთის ნ-კ 250, 255, 261
არაგვი 17, 22, 23, 24, 26, 28, 100, 214, 222 (გუდამაყრის ა. 213; მთიულეთის ა. 214, 215
არაგვი ოვსეთისა/თერგი 19, 213
არაგვის კარი 212
არაგვის ხეობა 21, 24, 212, 230
არალის ზღვა 240
არარატი 44, 93, 218
არაქსი 69, 74, 89, 104, 105, 106, 120, 138, 227, 229, 234, 248, 250
არდებილი/არდაველი 49, 222, 253
არდეში 242
არზრუმი 7, 96, 105
არმაზი/არმაზის მთა 217
არმაზციხე-ბაგინეთი 30, 217
არმენია (დიდი და მცირე) 10, 130, 209, 227
არყალა 26, 27, 216
არწრუნის ქარვასლა 236
ასთარაბადი/გურგანი 75, 135, 138-140, 177, 189, 192, 235, 247
ასკეშანი მთა 119
ასლანდუზი 239
ასტაბეღლუ 109, 111, 112
ასტრახანი/ასტრახანის
სახანო/ასტრახანის ძველი სამეფო 4, 72, 95, 102, 103, 106,124, 134, 135, 138, 141, 142, 161, 162, 166, 168, 169, 171, 174-177, 179-183, 185-195, 208, 210, 232, 233, 247, 249, 250, 251, 254, 258, 259
ასტრახანის კრემლი 258
აფრიკა 14, 142, 220, 256, 261
აფშერონის ნ-კ 251
აქთაში მდ. 256
აქსაი (ქალ.) 209
ქასაი (მდ.) 209, 210
აქსუ/აღსუ მდ. 247
აღსტაფა 243
აღჯაყალის ციხე 231
აშენიშამპკი 119
ახალგორი 224
ახალსოფელი 222

ახალქალაქი (კასპის), წითელქალაქი/
მეფის ქალაქი/კალი-კალა 66, 226
ახალი ჯულფა/ნორ-ჯუღა 250
ახალციხე 61, 82, 203, 216
ახალციხის მაზრა 204, 205, 241
ახალციხის საფაშო 61, 68, 89
ახმეტა 220
ახპატის მონასტერი 239

ბაბილონი 128, 163, 247
ბალთა/ბალთაში 10, 17, 212
ბალტიის ზღვა 195, 261
ბალფუროში 140, 189, 191
ბალხანის ყურე 95, 105, 140, 242
ბალხი 192, 234
ბამბაკის მაზრა 82
ბანდარ-ბუშეჰრი 13, 84, 96, 199, 211
ბასრა/ბასორა 190, 261
ბასტილია 250
ბატავია 249
ბაქო 9, 29, 34, 42, 67, 70, 73, 75, 79, 95, 103, 109, 111, 118, 119, 121, 126, 132-143, 145, 146, 151, 159, 177, 189, 194, 232, 247, 248, 249
ბაქოს პროვინცია 134, 135, 137
ბაქოს სახანო 133, 134, 137, 138, 144
ბებუთოვის (მელიქის) ქარვასლა 236
ბელაქანი 50, 51
ბელგია 210, 219
ბელგოროდის მონასტერი 233
ბელგრადი 209
ბელოე ოზერო, ტბა 168, 258
ბელტის ციხე/ბებრის ციხე 216
ბელუჯისტანი 229
ბერიქეი 150, 153, 165
ბერლინი 210
ბესთამი 140, 250
ბეშბარმაგი/ბერმეკი 133, 248
ბეშთაუ მთა 261
ბიდარი მდ. 215
ბინგოლის ქედი 229
ბოინაკი/ულუბი-აული 150, 154, 155, 246, 255
ბომბეი 83, 84, 96, 249
ბორდო 44, 102, 128, 196, 204
ბოროდინო 210
ბორჩალო 51, 223
ბოჰემია 18
ბრემენი 188
ბრესტ-ლიტოვსკი 207, 208
ბუენოს-აირესი 233
ბურბონის კ-ლი 107, 251
ბუხარა 69, 85, 95, 99, 140, 177, 181, 189, 192, 193, 195, 233, 249
ბუხარის სახანო 229
ბუხარის პროვინცია 192

გავაზი/ძველი გავაზი 50, 222
გაზანსონი 109, 111, 112
გაიანეს ეკლესია 239
გალ-ერდი 214
გალიცია/გალიჩინა 10, 99, 132, 209
გამბია 256
განგი 83, 136, 157
განჯა/განჯის სახანო 103, 104, 109, 114-119, 121, 122, 129, 144, 146, 201, 227, 241, 245, 254, 257
განჯის დაბლობი 113
განჯის სახანო 197, 227, 244
განჯის ციხე 115, 244
გარგარები/გარგარეთი/გარგალი 61, 225
გარდაბანი/გაგი 218, 227
გარე კახეთი 221, 222
გატეხილი/წითელი ხიდი 243
გაჩიანი 227
გენუა 188
გეორგიევსკი 13, 185, 210, 229
გერგეტის ქ. 238
გერგეტის/ყაზბეგის სამება 213
გერმანია 15, 105, 107, 183, 207, 217, 222, 240, 242, 247
გერმენჩუკი 257
გვინეა 256
გილანი 71, 75, 95, 104, 141, 142, 189, 190, 192, 198, 235, 247
გოგამი 51
გოგირდის აბანოები 75, 79, 86
გომბორი/ ცივ-გომბორის ქედი/ჰერეთის მთა/ცივის მთა 45, 219, 220, 221
გომერი 75
გონზუკური(ოსოქოლო/უნცუქკული/ უნზუკული/ოსოკური) 50, 222
გორბიცა მდ. 262
გორდიენის მთები 75, 84
გორი 57, 59, 60, 66, 76, 82, 103, 224, 225, 226
გორის მაზრა 61
გორის ციხე 61, 224
გორკი 215
გორსენა 58
გოქჩაი/გეიჩაი/გეოქჩაი 124, 125, 246
გროზნო 210

გრუბოკ-სალკა 131
გულისტანი 67, 72, 74, 98, 211, 222, 233, 234, 246, 253, 255, 256
გურგანი 123, 124
გურგენი მდ. 123, 124
გურია 62, 219
გურჯაანი 220
გუჯარათი/გუზურათი 100, 140, 192, 238

დალმაციის სამეფო 238, 259
დამასკო 36, 48, 255
დამპალა 219
დარიალის ხეობა (დარიალანი/დარიელა/ არაგვის კარი, იბერიის კარი, კავკასიის კარი, სარმატიის კარი, კარი ოვსეთისა, გზა დარიალანისა) 10, 17-21, 211, 212, 215, 220
დარიალის ციხე 18, 212
დაღესტანი/ დაღესტნის სახანოები 47, 48, 91, 106, 124, 125, 144, 146, 151, 152, 168, 197, 214, 219, 222, 229, 232, 233, 246, 253-259
დებედა მდ. 227
დებედას/ქურდვაჭრის ხევი 227
დედოფლისწყარო/წითელწყარო/ ცარსკი კოლოდეცი 38, 219, 220
დელი 177
დემურჩასალი/დემურჩესალი 34, 35, 118, 125, 137, 143, 148,150-152, 154, 161, 167, 219, 246-249, 253-255
დერბენდი (კარი, რკინის კარი, კასპიის კარი, ზღვის კარი, ჩორი) 4, 34, 35, 118, 125, 137, 143, 148, 150-152, 154, 161, 167, 212, 219, 246-249, 253-255
დვალეთი 224
დიდი ბრიტანეთი 75, 203
დიდი სათათრეთი 179
დიდოეთი 50, 222
დიდუბე 217
დივაჩი 143, 145, 252
დონი/ტანაისი 10, 23, 71, 106, 166, 209, 214, 240, 256, 260
დონეცი/სევერსკი დონეც მდ. 183, 260
დუბოვკა 190, 261
დუნაი 95, 104, 242
დურდანი 245
დუშეთი 21, 28, 214, 215, 216
დუშეთის ციხე 28

ეგეოსის ზღვა 244
ეგვიპტე 47, 64, 97, 105, 107, 109, 121, 203, 224, 242
ეგრისის სამეფო 228
ევროპა 5-9, 27, 39, 49, 60, 65, 71, 76, 77, 80, 84-88, 95, 97, 98, 100-102, 104, 105, 116, 141, 155, 158, 161, 175
ევფრატი 69, 176, 190, 229
ეიფელის კოშკი 221
ეკატერინოდარი 211
ეკბატანა 128, 248
ელბა 184
ელენენდორფი 245
ელიზაბეტპოლი/ელიზავეტპოლი 103, 104, 109, 111, 113, 114, 117-121, 123, 126, 151, 197, 241, 244
ელიზაბეტსკოე 15, 16
ელისუ/ელისუს სასულთნო 50, 56, 223
ელისტა 256, 257
ენდერი/ანდრეევი/ენდირეი 163, 256
ენისელი 222
ეპერნე 125, 246
ერაყი 224, 228, 229, 247, 261
ერევანი 74, 75, 93, 110, 118, 121, 135, 198, 235, 239, 243, 249
ერევნის დაბლობი 113
ერევნის სახანო 106, 235, 239
ერეკლეს ბაღი/სოლოლაკის ბ. 87, 238
ერკეტი/იარკენდი 262
ეროხტა 14
ერუშეთი 228
ესპანეთი 44, 47, 71, 132, 202, 232, 246, 248
ეტნას მთა 38
ეუბე 114, 242
ეჩმიაძინი 88, 93, 108, 239

ვანქის/ფაშა-ვანქის ტაძარი 236
ვაქირი 31, 39, 40, 42, 47, 220
ვაღარშაპატი 239
ვენეცია 188, 201, 206, 211, 240
ვერხვიანი 57
ვიატკა 190
ვივარე 104, 241
ვისლა 184
ვიურტემბერგი 31, 33, 88, 217, 245
ვლადიკავკაზი 10, 13, 16, 17, 19, 21, 23, 26, 27, 212, 257
ვნეზაპნაია ციხე 257
ვოლგა 103, 139, 162, 172, 174, 175, 177, 179, 181, 185-188, 190, 194, 215, 233, 249, 256, 257, 259
ვოლგა-კუტუმის არხი 251
ვოლგისპირეთი 233

ვოლგოგრადი 257, 261
ვოლინი 10, 183, 209
ვროცლავი 240
ვსესვიატსკოე 231

ზაკლიკი 119
ზარაფშანი, ხეობა 250
ზაური (აული) 210
ზაქათალა 51
ზაჰესი 217
ზესტაფონი 226
ზიაკური 143, 148, 149

თაბასარანი 246, 255
თავრიზი 12, 60, 83, 84, 96, 100, 120, 198, 203, 210, 211, 225, 227
თალა 51
თალიშის სახანო 250
თანალო 57
თაუზი/თოუზი 109, 112, 113, 243
თბილისი 5, 7-10, 12-14, 16, 19, 21, 24, 28-34, 41, 44, 45, 47, 48, 54, 57, 58, 60, 62, 63, 66, 67, 69, 73-82, 84-88, 91, 94-102, 105, 109, 113, 118-120, 122, 124, 125, 126, 130, 138, 140-142, 145, 151, 152, 159, 169, 194, 196-207, 210-228, 230-246, 248, 250, 253, 254, 255, 257, 259
თბილისის ციხე 69
თეირანი 48, 72, 73, 75, 83, 102, 140, 146, 178, 198, 200, 211, 232
თელავი (თელაივა/თელადა/თუბლა) 31, 37, 40, 43, 45, 46, 203, 220, 221
თერგი 10, 11, 13-19, 24, 156, 162, 166-171, 176, 181, 209, 211, 212, 213, 215, 257
თექე, ტბა 140, 250
თეძმა მდ. 226
თიანეთი 220
თირქალი-ოზენი 161
თრაკია 213, 244
თურქეთი 7, 77, 80, 82, 84, 91, 93, 96, 205-207, 211, 226, 228, 229, 239, 240, 247, 250, 251, 259
თურქეთის სომხეთი 194
თურქმან-ჩაი 211, 235, 239
თუშოლი 214
თუხარისი 228

იაზდი 60, 85, 100, 136, 140, 199, 225
იანგიურთი 156, 160, 161, 256
იარვორსკი 183
იბერია 44, 68, 212, 228
იბერიის კარი იხ. დარიალის ხეობა
იდრა კუნძ. 174, 258
იემენი 189
ივანოვსკაია ციხე 257
ივრის ხეობა 218, 221
იკორთა 224
იმერეთი 28, 45, 57, 61, 62, 65, 68, 73, 85, 103, 106, 107, 111, 125, 137, 154, 175, 197, 199, 201, 203, 218, 224, 226, 231
იმერეთის მთები 74
ინგლისი 5, 6, 11, 13, 48
ინგუშეთი 214
ინდი 69, 100, 140, 141, 157, 188, 192, 229
ინდოეთი 5, 11, 31, 75, 83, 84, 87, 96, 97, 101, 141, 176-178, 188, 189, 192, 207, 210, 225, 228, 229, 238, 239, 240, 245, 250, 251, 259-261
ინდოეთის ოკეანე 69, 251, 261
ინჩა/ინჯა 126, 246
იორი/კამბისე/კამბისესი 31, 32, 33, 34, 35, 218, 219, 221
ირანი 9, 191, 206, 207, 210, 211, 213, 217, 220, 222, 224, 225, 228, 229, 231, 233, 234, 235, 237, 239, 247, 250, 254, 255, 258
ირანის აზერბაიჯანი 222, 244
ირტიში 262
ისანი 75
ისფაჰანი 140, 237
იტალია 24, 37, 181, 187, 188, 225, 238, 242, 243
იუგოსლავია 237

კავკასია 5- 9, 12, 21, 34, 37, 61, 72, 74, 84, 172, 176, 202, 209-214, 217, 218, 220, 226, 228, 229, 234, 235, 239, 241, 242, 245, 245, 247, 249, 253, 254, 258, 259, 261
კავკასიის ალბანეთი 242
კავკასიის გუბერნია 210, 211
კავკასიის კარი 18, 19, 212
კავკასიონი/კავკასიის მთები/კავკასიის ქედი 16, 19, 20, 33, 48, 50, 57, 60, 68, 69, 71, 89, 113, 127, 145-148, 150, 153, 154, 161, 162, 214, 215, 221
კათოლიკეთა სასაფლაო 75, 87, 238
კაიაკენტი 150, 153, 154, 255
კაიშაური 21, 23, 24, 25, 214
კალა 218
კალაბრია 44

კალაჩი 190
კალკუტა 83, 85, 250
კამბისე მდ. იხ. იორი
კამბეჩოვანი/კამბისესი 218, 219
კამერუნი 256
კანარის კ-ები 209
კანტონი 193, 262
კაპანახჩი 82
კარაკლი 82
კარდონა 122, 246
კასპი 226
კასპიის ზღვა 6, 31, 36, 69, 71, 74, 95, 96, 104, 106, 130, 132, 133, 134, 139-142, 145, 149-151, 154-162, 167, 172-175, 177, 179, 181, 186, 187-190, 192-194, 219, 222, 235, 239, 241, 242, 245, 248-251, 254, 255, 256, 259
კასპიის კარი იხ. დერბენდი
კასპიისპირა დაბლობი 255
კატალონია 122, 245
კატანია/კატანიის ველები 25, 215
კატეხი 51, 53
კატოვიცე 240
კაფა 188, 261
კაშკარჩაი 119, 245
კაჩარლი 82
კაჩემი/ხაშმი 35, 219
კახეთი 31, 34-37, 46, 48-50, 56, 68, 70, 102, 103, 118, 203, 204, 219-223, 229-232, 241, 257, 258
კახეთის გზატკეცილი 218
კახი 246
კეთილი იმედის კონცხი 188
კიახტა 96, 180, 193, 194, 208, 240, 262
კილიაზი 143, 252
კისისხევი 219, 220, 221
კლდისუბანი 237
კობი 10, 13, 19-23, 211
კოზერეკი 149
კოლხეთი 31, 97, 102, 106, 197, 199, 233
კოლხეთის აუზი 80
კონდოლი 43, 221
კონსტანტინოგორსკაია//კონსტანტი-ნოვსკაია 14, 15, 211
კონსტანტინოპოლი 43, 85, 86, 94, 95, 97-99, 188, 190, 194, 197, 199, 201, 202, 225, 240
კოპული 82
კორსიკა 10, 49
კოსტროიას ოლქი 83
კოსტრომის ოლქი 216
კრასნოდარი 211
კრომი იხ. ხრამი
კულინკა მდ. 148
კულტიუკის ყურე 189
კუმა 176, 258
კურუში 149
კუტუმი მდ. 175
კუხეთი 243

ლაგოდეხი 50
ლაიფციგი 94, 99
ლარგვისი 224
ლარი 199
ლარსი/ზემო ლარსი 10, 17, 212
ლარტიშიგეი 136, 249
ლაჰორი 100, 178, 238
ლევანტი 141, 250
ლელვაჭარ-ლოქის მთები 227
ლენქორანი 139, 249, 250
ლერიდუ 246
ლეხურა/რეხულა 224
ლიეტუვა 33
ლივონია 149
ლოვოსიცი 18
ლონდონი 185
ლორე 227
ლორენი 183
ლუიზიანა 106, 242

მადათოვის კუნძ. 235
მადრასი 83, 85, 239, 250, 251
მაზანდარანი 71, 95, 105, 117, 133, 135, 139-141, 169, 177, 189, 191, 192, 198, 242, 247
მაკარიევი 24, 99, 133, 168, 171, 176, 189, 199, 215
მალაბარი 136, 249
მალი 256
მალკა 209
მამაშია 128
მამრეხი 51
მანასი 155, 255
მანასოზენი მდ. 255
მარაზა/ქარვასლა-ჯამათი/გობუსტანი 121, 130, 131, 248
მარანი 65, 226
მარიენფელდი 32, 33, 34, 218
მარნა 246
მარნეული 231
მარსელი 64, 67, 196, 199
მასაზირის ტბა 135, 248
მაღარო 219

მაღრან-დვალეთი 224
მაშჰადი 140, 250
მაწეხი 51
მახაჩყალა 219, 255, 256
მაჯარი 176, 259
მეზემი 50
მეკლენბურგ-შვერინი 245
მესოპოტამია 189, 229, 238, 248
მეტეხის ხიდი 218, 235, 237
მეფის-წყარო 39
მექა 55, 158, 224
მეხთული/მეხთულის სახანო 246
მთავარმართებლის სასახლე 80, 236
მთიულეთი 214, 215, 219, 221
მიდია 249, 254
მინგეჩაური/მინგეჩევირი 48, 121-123, 219, 222
მისისიპი 242
მლეთა (ზემო//ქვემო) 24, 215
მობეჟი 35, 219
მოგვთა ტაძარი 81
მოგვთა უბანი 217
მოგვთა ხიდი 217
მოზდოკი 10-17, 19, 29, 30, 48, 57, 85, 175, 208-211
მოლითი მდ. 63, 226
მორავია 10, 209
მოსკოვი/მოსკოვის სამეფო 13, 70, 71, 96, 168, 176, 191, 194, 200, 221, 231-233, 249, 258
მოსული 57, 255
მუკუზანი 40, 41, 45, 218
მულტანი 98, 138, 175, 176, 239
მუხახი 49, 50, 221
მუხრანი/მუხნარი 55, 56, 222
მუხროვანი 32, 33, 34, 46, 216, 220
მტკვარი/კიროსი/კური/შაჰ-ბაჰმანი 19, 28-30, 32, 35, 48, 49, 58, 66, 75, 76, 78, 85, 88, 108-110, 121-124, 217, 218, 224, 226, 227, 229, 235, 243, 245, 248
მუღანის ველი 129, 130, 248
მყინვარი (მყინვარწვერი/ყაზბეგი) 20, 213
მცხეთა 19, 21, 22, 28-30, 66, 217, 224, 228, 233, 239
მცხეთა-მთიანეთის მხარე 215

ნამიური 11, 210
ნაშტურინი 165, 167
ნახიჩევანი (ნახჭევნის სახანო) 156, 239
ნეაპოლის სამეფო 112, 243
ნევა 77
ნეჯდი 140, 250
ნიდერლანდები 245, 256
ნილოსი 240
ნიჟეგოროდი, ოლქი 215, 220, 223
ნიჟნი ნოვგოროდი 38, 43, 99, 199, 215
ნოვო-მალინსკი 57, 62, 63
ნოვო-უჩრეჟდიონაია 125, 246
ნოვოჩერკასკი 10
ნუხა, ნუხის/შაქის სახანო 48, 49, 53, 68, 73, 74, 91, 104, 118

ობიტოჩნაია 172, 258
ოდერი 184, 240
ოდესა 5, 10, 30, 33, 67, 77, 84, 86, 99, 120, 170, 184, 199, 200, 217, 236, 240
ოდიშის დაბლობი 226
ორენბურგი 181, 185, 208
ორლეანი 146
ოსეთი 58, 209, 210, 212, 214
ოსიგი 17
ოსმალეთის იმპერია 6, 7, 9, 98, 102, 104, 201, 206, 207, 209, 226, 227, 228, 230, 239, 254, 256
ოქროს ურდო 233, 258, 259
ოქსუსი/ამუ-დარია 95, 192, 240

პაკისტანი 207
პალმირა 97, 131, 240
პარიზი 5, 10, 25, 44, 67, 74, 85, 86, 134, 142, 147, 168, 171, 174, 180, 186, 196, 200, 210
პეკინი 193, 194, 262
პენჯაბი 97, 100, 140, 192, 240, 241
პერმის გუბერნია 190
პერსეპოლისი 13, 128, 210
პეტერბურგი 13, 42, 85, 86, 138, 141, 142, 168, 169, 186-188, 194-196, 207, 208, 220, 221, 229, 236, 246, 247, 258, 259, 260
პეტერსდორფი 32, 33, 218
პიემონტი 104, 242
პიზი 117, 244
პირენეები/პირენეს მთები 71, 233
პირენეს ნ-კ 246
პირ-ხიდირ/ხიზირ/-ზინდა 248
პოდოლი/პოდოლიე 10, 209
პოლანჟენი 207, 208
პოლონეთი 207, 209-211, 240, 249, 259
პომპეუსის (მოგვთა) ხიდი 29, 217
პონტო 221

პორტუგალია 44, 256, 261
პრეისიშ-ეილაუ 252
პრუსია 5, 210, 233

ჟინვალი 220

რავი მდ. 238
რაინი 25, 105, 184
რაშთი/რეშთი 190, 247
რედუტ-კალე (ყულევი) 9, 62, 63, 84, 85, 99, 100, 226
რიგა 196
რიფსიმეს ეკლესია 239
რკინის კუნძული 10, 209
რომი 19, 207, 237, 252
როსტოვი 209, 214, 260
რუისი 61, 225
რუისის ღვთისმშობლის ტაძარი 61, 225
რუსეთი 5-6, 11, 14-17, 20, 21, 25, 26, 32, 33, 37-39, 43, 48, 51, 53-56, 58, 60, 67, 70-75, 77, 78, 81-84, 84-89, 91, 95, 96, 98, 99, 100, 102, 103, 104, 106, 114, 115, 118, 120, 121, 123, 127, 130, 133, 134, 138, 141, 142, 144, 146, 151-153, 156, 160-164, 167-170, 177, 179, 181-183, 185-194, 196-204, 206-215, 218, 220, 221, 224, 226, 227, 229-236, 238-241, 244, 246, 247, 248, 250-262
რუსთავი 244

საამილახვრო 224
საბერძნეთი 187, 206, 250
საგარეჯო 219, 222
საინგილო 223
სალაგლი/სალოღლი 109, 110, 111, 243
სალიანი 129, 130, 135, 139, 247, 248, 258
სამარყანდი 85, 100, 140, 192, 228, 250, 259
სამეგრელო 45, 105, 106, 111, 163, 175, 197, 201, 219, 225
სამეგრელო-ზემო სვანეთის მუნიციპ. 226
სამთავრო 216
სამური 143, 149
სამშვილდე 227
სამხრეთ რუსეთი 14, 15, 95, 99, 250
სამხრეთ კავკასია 5, 6, 7, 8, 9, 239
სამხრეთ ამერიკა 100
სანაინის მონასტერი 93, 239
სან-დომინგო 84, 238
სანლი 16
სანტო-დომინგო 242
საპუნჩი 51
სარა კუნძ. 139, 249
სარაი-ბათუ 259
სარატოვი 185
სარდინია 49
სარეპტა 164, 179, 257
სართიჭალა 218
საფრანგეთი 5-9, 16, 25, 30, 35, 36, 39, 44, 62-64, 71, 77, 78, 83, 99, 100, 103-105, 107, 125, 140-142, 158, 174, 180, 181, 184, 188, 194, 196-198, 202, 204, 214, 219, 225, 226, 233, 238, 240, 242, 244-247, 251, 252, 256, 258
სარქისოვის ქარვასლა 236
საქარა/საქარაქედი/საქარის ქედი 63-65, 226
საქართველო 5-10, 12, 13, 14, 16, 21, 22, 25-32, 34, 35, 36, 38, 39, 41, 42-49, 53, 54, 56, 59-61, 63, 64, 65, 67-75, 79-82, 85, 88-91, 95, 97, 98, 99, 101-104, 106-109, 111, 114, 118, 120, 137, 138, 140, 141, 150, 152, 154, 157, 165, 177, 188, 196, 197, 199-207, 209-246, 250, 253, 256, 257, 259
საქართველოს გუბერნია 93
სენა 87
სენეგალი 142, 160, 251, 256
სენ-ლუი 142
სერინგაპატამი/შრირანგაპატნამი 12, 211
სვეტიცხოველი 216
სილეზია 96
სიონის ტაძარი 81, 232, 236
სირია 84, 96, 224, 229, 240, 242, 251
სიღნაღი 31, 36-40, 102, 203, 219, 220
სიცილია 25, 215, 243
სკვითია 161, 256
სმირნა 64, 85, 97, 98, 99, 157
სოგდიანა 250
სოლომონის არქიპელაგი 215
სომხეთი 28, 30, 43, 68, 69, 83, 84, 91, 93, 108, 120, 194, 205, 227, 229, 235, 239, 240, 243, 245, 248
სომხითი/ქართლის სომხითი 68, 78, 82, 102, 103, 227, 245
სოღანლუღი/სონღალუღი/ყურყუთა 109, 110, 243
სპარსეთი 9, 12, 13, 19, 39, 42, 43, 49, 60, 67, 69, 70, 72-77, 79-85, 88, 89, 91, 92, 93, 96-100, 102, 104, 106, 114, 116, 117, 119-121, 125, 128, 139, 133-136,

138, 139, 140, 142, 143, 146, 148, 150-152, 154, 162, 177, 181, 186, 189-192, 195, 196, 198-202, 205, 210, 211, 213, 218, 222, 225, 239-241, 244, 245, 249
სპარსეთის ყურე 13, 75, 84, 96, 100, 139, 176, 186, 189, 191, 198, 211, 229, 240
სპილოს ძვლის ნაპირი 256
სუბუჟაკი 191
სუზა/სუსა 128, 247
სულაკი 156
სუმგაითი 143, 251
სუნთიციხე 214
სურამი 57, 61, 62, 225
სურამის ციხე 61

ტაგანროგი 9, 170, 176, 183, 186, 190, 194, 251
ტამბოვი 221, 97
ტანა/ტანაისი/დონი 176, 240
ტარკი/ტარკის საშამხლო 124, 150, 152, 155, 156, 157, 159-161, 163, 165, 246, 255, 256, 257
ტარკი-ტაუს მთა 255
ტარუმოვკა 170, 258
ტარუმოვსკის რ-ნი 258
ტიბეტი 85, 95, 100, 140, 179, 190, 192, 229, 248, 258
ტიროლი 24
ტობოლსკი 193
ტროა 244
ტულუზა 237
ტუმინი (ქალაქი) 181
ტყობა-ერდი/თხაბა-ერდი 214

უზბეკეთი 250
უკრაინა 260, 258, 209
ულმი 104, 242
ურალი 139, 179, 193
ურუხი 209

ფაზისი მდ. 36, 65, 95
ფარსის პროვინცია 211
ფასანაური 21, 24, 25, 26, 215
ფეთხაინის სამრეკლო 237
ფილიპოლი 189
ფინეთი 217
ფიფინეთი იხ. ჭარი
ფიტაგის ციხე 121, 129, 130
ფოლადაურის ხეობა 227
ფრანკფურტი 100
ფრანშ-კონტე 171, 258
ფრიგია 244
ფშანი 58, 225

ქარელი 225
ქარვასლა-არბატი 121, 131, 132
ქარვასლა-ჯამათი იხ. მარაზა
ქართლ-კახეთი 205, 220, 222, 228-231, 235
ქართლი/ქართლის სამეფო 61, 62, 68, 70, 102, 106, 216, 217, 219, 221, 225-231
ქაშანი 190, 198
ქაშმირი 95, 99, 100, 140, 177, 190, 192, 250
ქერჩი 258
ქვემო ვოლგისპირეთი 233
ქვემო ქართლი 218, 227, 241
ქვენიფნევი 224
ქიზიყი 36, 38, 50, 218, 219, 220
ქოქჩეთაუ 250
ქოჩაკ-კულტუკი 183
ქუთაისი 7, 28, 29, 57, 65, 82, 85, 151, 194, 201, 203, 239
ქურმუხჩაი 121, 122, 246
ქუფა 255
ქუჩუკ-კაინარჯი 209

ღაზიყუმუხის სახანო 246, 247, 255
ღართისკარი 21, 28, 57, 216
ღვთისმშობლის ამაღლების კათოლიკ. ტაძარი 81, 237

ყაბარდო (დიდი/მცირე) 10, 20, 39, 209
ყაბარდოს მთები 39
ყაზანი 134, 233, 258
ყაზახეთი 250
ყაზახი 51, 223
ყაზბეგი/სტეფანწმინდა 10, 19, 20, 21, 211, 212, 213
ყაზბეგი მთა 20
ყაზბეგის ციხე 20
ყაზრუმი 190
ყალმუხეთის სახანო 256, 259, 260
ყანდაჰარი 83, 190, 195
ყანისუ 50
ყანი-ყობა მდ. 223
ყარაბაღი/შუშა/შუშის სახანო 39, 68, 73, 74, 76, 91, 104-106, 117, 118, 120, 127, 197, 227, 233, 234, 239, 248
ყარაბუდახკენტი 255
ყარაიას/ყარაიაზის ველი 243
ყარაღაჯი 40, 219, 220, 221

ყარაჯალი 51
ყარსი/ყარსის საფაშო 89, 245
ყარსუბანი 50
ყაფისდარა 51, 53
ყაფიჩაი/ყაფუ-ჩაი მდ. 50
ყვარელი 222
ყვირილა 59, 66, 67, 68, 127, 228
ყიზილიურთი 37, 158, 161, 163, 164, 163, 166, 221
ყიზლარი 35, 106, 147, 148, 152, 154, 156, 157, 165, 167-171, 174, 182, 187, 209, 219, 246, 257, 258
ყიზლარის ციხე 257
ყირიმი 106, 209, 245, 255, 258, 261
ყოისუბუ 222
ყუბა/ყუბის სახანო 118, 143, 145-148, 152, 154, 247, 253
ყუბანი 11, 259
ყულარი 143, 150

შავი ზღვა 6, 31, 69, 77, 95, 96, 105, 107, 179, 188, 225, 226
შავიზღვისპირეთი 256, 258
შამქორი 109, 113, 120, 244, 245
შამქორის კოლონა 113
შამშადილი 51
შაქი იხ. ნუხა
შემახა/შემახის სახანო 49, 121, 126-131, 144, 162, 187, 219, 222, 242, 246, 247, 249, 252
შენსი, პროვინცია 95, 239
შვედეთი 207, 258
შვეიცარია 24, 171, 258
შიდა აზია 31, 119, 151, 189
შიდა რუსეთი 16, 118, 189, 200
შიდა ქართლი 68, 224, 225, 226
შინი მდ. 246
შიოსუბანი 224
შირაზი 87, 140, 189, 190, 199, 211, 249
შირაქის ველი 218
შირვანი/შარვანი 73, 74, 91, 104-106, 120, 123, 125, 127-130, 133, 147, 197, 201, 211, 220, 226, 232
შლეზვიგ-ჰოლშტაინი 221
შოკატაგის ეკლესია 239
შორაპნის მაზრა 64, 204, 241
შოტლანდია 185
შტუტგარტი 217, 218
შუა აზია 228
შუმლის ციხე-სიმაგრე 235
შურაგელის სასულთნო 232

ჩაზიგალი 82
ჩარდახი 51, 52
ჩერქეზეთი 16, 124
ჩესმენი 250
ჩეხეთი 209, 240, 257, 259
ჩინეთი 43, 85, 95, 96, 140, 179, 193, 194, 239, 240, 250, 260
ჩირი მდ. 260
ჩირსკაია/ჩირსკი 183, 260
ჩოლაბური 65, 226
ჩრდილო კავკასია 8, 211, 214, 220, 222, 239, 258, 259, 261
ჩრდილოეთის ზღვა 188, 261
ჩრდილოეთის (ყინულოვანი) ოკეანე 138
ჩხერიმელა 226

ცარსკი კოლოდეცი იხ. დედოფლისწყარო
ცეილონი 249
ცენტრალური აზია 175, 190, 191, 238
ციმბირი 101, 180, 182, 185, 187, 191, 231, 260
ციმლიანსკი 23, 214
ცინის იმპერია 262
ციხევდავი/ციხებოდავის ქედი 224
ცხენისწყალი 65, 226

ძეგამი 109, 113, 230, 243

წაბლოვანი 51
წითელწყარო იხ. დედოფლისწყარო
წინა აზია 220, 248
წინაკავკასიის ველები 233
წინანდალი 31, 45
წმინდა სამების ქვაბული 18
წმინდა ქრისტეფორეს მთა 21, 23, 24, 214
წმ. ჯვრის ციხესიმაგრე 168
წუნდა 228
წყნარი ოკეანე 215

ჭალა 58, 224
ჭარი/ფიფინეთი 51, 52, 223, 222
ჭარ-ბელაქანი 219, 223
ჭიაური 50
ჭონქაძის ქ. 238

ხადერზინდე 143, 144, 252
ხაიდაყი 249
ხანლარი 245

ხარების ეკლესია/ლათინთა საყდარი 237
ხაჩმაზი 145, 252
ხევის კავკასიონი 215
ხივა 118, 140, 169, 189, 192, 193, 229, 245, 257, 258
ხიზინსკი 252
ხმელთაშუა ზღვა 97, 99, 104, 105, 131, 188, 240
ხოზრეკის ციხე 152, 255
ხოი 83, 198, 199
ხორასანი 105, 234
ხორეზმი 233
ხორნაბუჯი 219
ხრამი/კრომი /ქცია მდ. 110, 111, 227, 243
ხუნანი/ჰნარაკერტი 227, 243

ჯაგირჩაი 244
ჯიგრაშენი ეკლესია 237
ჯინიხი 51
ჯულფა/ჯუღა - 141, 250

ჰალე 210
ჰამბურგი 133, 188
ჰანზის ქალაქები 188, 261
ჰენგიანი 57
ჰერათი/ალექსანდრია-არიანა 250
ჰერეთი 219, 223
ჰერეტიცს მთა იხ. გომბორი
ჰერნჰუტი 257
ჰილა 247
ჰიმსა 255
ჰირკანია/ჰირკანიის ზღვა 130, 248
ჰოლანდია 107, 187, 192
ჰორმუზი 95-98, 100, 101, 240, 249

ეთნიკური სახელები

აბაზები 22
ადიღელები 209
ავღანელები 92, 247
ალბანელები 32, 248
ამერიკელები 15
არაბები 136, 150, 152, 206, 223, 236, 245, 249, 255

ბერძნები 43, 67, 108, 141, 170, 172, 174, 182, 187, 189, 209, 221, 233, 236, 250, 254
ბიზანტიელები 18, 68, 212, 218

გადის ტომი 163, 257
გერმანელები 4, 30-33, 75, 88, 147, 182, 185, 192, 210, 217, 218, 221, 232, 245, 259
გლონკადორძი/ლევორძელი ლეკები 53

დალმაციელები 83
დარგოელები 246
დემურჩიასანლუ 243

ებრაელები 62, 89, 91, 147, 152, 163, 236, 253, 254, 256
ეგვიპტელები 242, 245
ედორები/ედორას ურდო იხ. თათრები
ელეუტები 179
ელიმაისელები 130
ეუდი/იუდეი/ჯუუდი 254

ვოლოფები/უოლოფები 160, 256

თათრები 24, 47, 51, 56, 79, 88, 89, 91, 92, 107, 110-114, 116, 117, 119-127, 129, 130, 131, 133, 137, 143-146, 149, 151-163, 165-169, 171, 172, 174-176, 179, 185, 197, 223, 233, 236
თურქები 26, 38, 50, 64, 69, 70, 77, 88, 89, 92, 94, 115, 120, 183, 185, 189, 190, 197, 199
თურქმანები/თურქმენები 74, 92, 173, 175, 181, 185, 189, 227, 245

ინგილოები 51, 54, 55, 56, 223
ინგლისელები 8, 12, 13, 31, 84, 85, 87, 104, 105, 135, 138, 141, 142, 174, 182, 185, 191, 192, 210, 211, 239-241, 249, 260, 261
ინგუშები/ღალღა 21, 22, 24, 212, 214
ინდუსები 85, 136, 137, 174, 175, 178, 179, 185, 240, 249
იტალიელები 59, 81, 82, 174, 182, 185, 257
კიმერიელები 162, 256

ლაკები 246

ლეკები 31, 33-35, 37-39, 44, 46, 48, 49-51, 53-56, 68, 70, 79, 89, 118, 149, 164, 216, 223, 256
ლეზგინები 48
ლივონელები 46, 146

მავრები 14
მანდინგები/მანდინგო/მალინკე 160, 256
მთიელი ებრაელები 147, 253, 254
მიდიელები 21, 130
მონღოლები 243, 259
მოსკოვიტები 236
მუღალები 223

ნოღაელები 172, 177, 233, 258

ოსები 4, 21-25, 79, 209, 210, 212, 214
ოსმალები 236

პოლონელები 11, 182, 185
პორტუგალიელები 98, 101, 240, 261
პრუსიელები 229
რუსები 10, 11, 12, 16, 19, 21, 24, 38, 39, 49, 52, 53, 55, 56, 60, 74, 80, 81, 93, 98, 115, 116, 120, 126, 128, 133, 134, 138, 146, 148, 150-152, 163, 174, 178, 182, 183, 186, 193, 211-213, 217, 219, 220, 229, 239, 243, 244, 246, 247, 253, 260, 262.

სერბები 238
სიქჰები 240, 249
სკვითები 19, 150, 162, 256
სლოვენები 238
სომხები 10, 11, 31, 37, 38, 48, 53, 54, 58-60, 65, 66, 68, 76-83, 85, 87-91, 93, 94, 95, 99-102, 108, 113, 114, 118, 121, 122, 127-136, 141, 148, 149, 151, 152, 157-159, 168, 169, 173-175, 181, 185, 189, 198-202, 206, 209, 210, 235, 236, 238-241, 245, 247, 250
სპარსელები 12, 21, 29, 38, 40, 46, 50, 54, 60, 61, 68-70, 73, 76, 77, 78, 79, 81, 84, 88, 89, 91, 92, 94, 99, 100, 117, 120, 127, 128, 130, 131, 133, 134, 136, 137, 151, 174, 177, 178, 182, 185, 189, 191, 192, 196, 197, 199, 200, 218, 236, 242

ტუნგუსები 192

ფარსები 136, 249
ფრანგები 2, 5, 33, 35, 45, 82, 85, 102, 170, 181, 201, 209, 213, 218, 219, 223, 234, 235, 238, 240, 241, 243, 244, 245, 249, 250
ფულბები 158, 254

ქალდეელები 73, 81, 236
ქართველები 8-11, 22, 24, 26, 28, 29, 35, 36, 37, 40, 44, 45, 47-49, 53, 54, 60, 68, 69, 71, 73, 77-79, 85-88, 91, 92, 100, 112, 113, 180, 199, 207, 208, 209, 211, 215, 219, 223, 226, 227, 229, 230, 232, 234, 235, 238, 240-243, 247, 255
ქურთები 72, 81, 86, 90, 91,

ყაბარდოელები 8, 13, 14, 183, 207, 208, 255, 256
ყალმუხები/ყალმახები 153, 154, 156, 163, 164, 171-173, 177, 178, 179, 183, 254-258
ყიზილბაშები 218, 227, 228, 229
ყუმუხები 160, 161, 162, 244, 254

შვედები 191
შუმერები 245

ჩერქეზები 12, 18, 20, 47, 183, 207, 211
ჩეჩნები 162, 212, 254

ხორვატები 236
ჰოლანდიელები 190, 247
ჰუნები 15, 16, 179

შინაარსი

შესავალი 5
თავი I 10
თავი II 21
თავი III 31
თავი IV 57
თავი V 67
თავი VI 75
თავი VII 88
თავი VIII 95
თავი IX 102
თავი X 109
თავი XI 121
თავი XII 133
თავი XIII 143
თავი XIV 150
თავი XV 156
თავი XVI 168
თავი XVII 174
თავი XVIII 186
ტექსტის კომენტარები 209
საძიებლები 263

საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემიის სტამბა
თბილისი – 2021
რუსთაველის გამზ. 52
Georgian National Academy Press
Tbilisi – 2021
52, Rustaveli Ave.